

1984/2



Երեսօր 1984


ՀԱՅԿԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ
ՆԱԽԱՐԱՐԱԾԱՆԿԱՆ ԳՐԱԴԱՐԱՆ

№ 246
(5-6)

5



ISSN 0134-9848



სურათი

საქართველოს მწერალთა კავშირი
მსოფლიო ლიტერატურის ორთვიური
ალმანახი

მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ
ურთიერთობათა მთავარი სარედაქციო
კოლეგია



ქართული
ლიტერატურა
(62)

სამთავრო
ოპტომეტრი

1984

შინაარსი

პროზა და პოეზია

| | |
|--|-----|
| მიხაილ ჯორჯიშვილი. მზის ამოსვლის წინ. დახასრული. თარგმნი ეთერ თვარაძემ | 8 |
| პაინრიხ ბიოლი. უკაცო სახლი. დახაწუხი. გერმანულიდან თარგმნი თენგიზ პატარაიამ | 87 |
| მიხაილ ბულგაკოვი. ბატონ დე მოლიერიის ცხოვრება. დახასრული. თარგმნი გივი კიკილაშვილმა | 119 |
| კეტილ ალტენბერგი. „ნატუშები“. გერმანულიდან თარგმნი ნოდარ კაკაბაძემ | 189 |
| იუსტინას მარცინაჰოვიჩუსი. მინდაუზი. დრამატული პოემა. დახაწუხი. თარგმნი გიორგი ნიშნიანიძემ | 213 |
| ორასიო გირგოლი. ფლამინგოს წინდები. ზღაპარი. თარგმნი კარლო არხენიშვილმა | 229 |
| მედილიან ბუკოვი. კოლკის ბულბული. მოთხრობა. თარგმნი დოდო მოწონელიძემ | 238 |
| ერნი კრუსტინი. მოთხრობები. თარგმნი ირინე უშვერიძემ | 288 |
| მედიან გუცალა. ნადირობა მდებრით. მოთხრობა. უკრაინულიდან თარგმნი გრიგოლ სიხარულიძემ | 242 |
| ალან სილიტოუ. შაბათი დღეს. მოთხრობა. ინგლისურიდან თარგმნი ვეკა გეგეჭკორმა | 261 |

წერილები

| | |
|---|-----|
| ალექსანდრე. ისინი და ოსირისი. ძველბერძნულიდან თარგმნი ანი ჩანტლაძემ | 262 |
| მედიან ფრომანტენი. „ჯვრის აღმართვა“ და „ბარდამონსა“. თარგმნი მედიან ზუბადალაშვილმა | 305 |

მთავარი რედაქტორი:
მუხრან მაჭავარიანი

პ. მგ. მდივანი:

ნანა დარჩია

სარედაქციო კოლეგია:

ელზა ახვლედიანი

ჯემალ აჯიაშვილი

გიორგი გაბანიძე

მზია ბაქრაძე

ბაჩანა ბრეგვაძე

გურამ გოგიაშვილი

მეგალი თოდუა

ნოდარ კაკაბაძე

ზურაბ კიკნაძე

ვახუშტი ალბატიშვილი

რომან შიშიშვილი

გიორგი ნიუნიაშვილი

ოთარ ნოდია

დალი ფანჯიკიძე

რუსუდან შაბუღაძე

იორაშ შენერტაშვილი

ნიკო ურასაშვილი

გივი ქნელაძე

დავით წერეთელი

ნუგზარ წერეთელი

თამაზ წივწივაძე

რაფო ზაიშვილი

«САУНДЖЕ»

ДВУХМЕСЯЧНЫЙ

АЛЬМАНАХ

ВСЕМИРНОЙ

ЛИТЕРАТУРЫ

НА

ГРУЗИНСКОМ

ЯЗЫКЕ

1984

№ 5

СОЮЗ

ПИСАТЕЛЕЙ

ГРУЗИИ

ГЛАВНАЯ

РЕДАКЦИОННАЯ

КОЛЛЕГИЯ ПО

ХУДОЖЕСТВЕННОМУ

ПЕРЕВОДУ

И

ЛИТЕРАТУРНЫМ

ВЗАИМОСВЯЗЯМ

გარეკანზე: რუზინი. ავტოკორექტი

მხატვრული რედაქტორი ან. თოდრია. მხატვარი ა. ვართაგავა. ტექრედაქტორი რ. იმნაიშვილი.
გამომცემი ნანა ბარათია

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380007, დიდუბის ქ. № 2

ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 72-47-31. პასუხისმგებელი მდივანი — 99-60-22.
განყოფილებათა გამგეები — 72-26-30.

გად. წარმ. 9. 07. 84 წ., ხელმოწ. დასაბეჭდად 5. 10. 84 წ., ქაღალდის ზომა 70×1081/32.
საილრ. თ, 22,07. სასტ. თ. 28. საღებავის გატ. 28,5. ტირ. 10.000. შეკვ. № 1504.
ფასი 1 მან. 80 კაპ.

ხაქ. კა. ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის
ორდენოსანი სტამბა, თბილისი, ლენინის 14.



თარგმანი: მთავარი მთარგმნელი

ისტორიის მასწავლებელი

ისტორიის მასწავლებელმა გამიძახა, მაგრამ დღეს ჩემს გვარს როგორღაც განსხვავებულად, წრიბინით წარმოთქვამს. მოსწავლეებმაც მას მიჰბადეს, ისინიც წრიბინებენ და ჭყვიან, მწყინს მასწავლებლის საქციელი, მაგრამ არ ვიცი, როგორ უნდა მოვიქცე, რომ ასეთი რამ აღარ გაიმეოროს.

წამოვდექი და გაკვეთილის მოყოლა დავიწყე, საკმაოდ რიხიანად ვბასუხობდი, მაგრამ უცებ გაკვეთილის ტექსტიდან „ბანკეტი“ ვახსენე და მასწავლებელიც ჩაეჭიდა ამ სიტყვას.

— რას ნიშნავს ბანკეტი? — მკითხა.

შესანიშნავად ვიცი ამ სიტყვის მნიშვნელობა. ბანკეტი ნიშნავს სუფრაზე საზეიმო შეხვედრას, ტრაპეზს, სადილს, მაგრამ არ ვიცი, მართებული იქნება თუ არა, ვიხმაროთ ეს სიტყვა გამოჩენილ ისტორიულ პიროვნებებთან და მოვლენებთან დაკავშირებით.

ამიტომაც ვდუმვარ.

— ა-ა? — წრიბინით ამბობს მასწავლებელი და ამ „ა“-ს ასე აჭიანურებს, რომ უკვე ვიცი, დამცინის, აბუჩად მიგდებს.

მასწავლებელთან ერთად მოსწავლეებიც აწრიბინდნენ.

მასწავლებელმა ხელი ჩაიჭნია და ორიანი დამიწერა.

გაკვეთილი რომ დამთავრდა, მასწავლებელს დავედევნე და კიბეზე დავეწიე, აღელვებისგან სიტყვას ველარ ვძრავდი, ციებიანივით მაცახცახებდა.

მასწავლებელმა ამ ყოფაში რომ დამინახა, მითხრა:

— მეოთხედის ბოლოს ისევ გამოგიძახებთ, როგორმე სამიანს დავიწერო.

— მაგაზე არ გეუბნებით, — ვუთხარი, — ერთხელ კიდევ თუ გამომიძახებთ ამგვარად, მე... მე...

— რაო, რას ამბობთ? — შეცბა მასწავლებელი.

— შეგაფურთხებთ... — წავიბუტბუტე მე.

— რა თქვი? — მრისხანედ შემეკითხა მასწავლებელი, ხელში ხელი ჩამავ-

* დასასრული. დასაწყისი იხ. „საუნჯე“ № 3, 4.

ლო, მაღლა, დირექტორის კაბინეტისკენ მიპირებდა წაყვანას, მაგრამ უეცრად ხელი შემოიშვა და მიიჭრა:

— წადით საკლასო ოთახში!

საკლასო ოთახში მივდივარ და ველი, აი, ახლავს შემოვა დირექტორი და გიმნაზიიდან გამაძევებს-მეთქი, მაგრამ დირექტორი არსად ჩანს.

რამდენიმე დღის შემდეგ ისტორიის მასწავლებელმა დაგვასთან გამიძახა, სმადბლა თქვა ჩემი გვარი და, როცა მოწათვები ჩვეულებრივად აწრიპინდნენ, მასწავლებელმა მაგიდაზე მუშტი დაარტყა და დაიყვირა:

— სიწყნარე!

კლასი გაინაბა. მე დუდუნით ვყვები გაკვეთილს, მაგრამ გულში სულ სხვა რამეზე ვფიქრობ. ვფიქრობ ამ მასწავლებელზე, რომელმაც დირექტორთან არ დამაბეზლა, არც მაშინდელივით წრიბინა ხმით გამომიძახა. შევცქერი მას და თვალები ცრემლით მევსება.

— ნუ დელავთ. სამიანზე, ყოველ შემთხვევაში, იცით საგანი... — ალბათ ეგონა, იმიტომ ვტიროდი, რომ გაკვეთილი ხეირიანად ვერ ვუბასუხე.

კლოროფილი

მე მარტო ორი საგანი მიყვარს — ზოოლოგია და ბოტანიკა. სხვა საგნები ჩემთვის არ არსებობს.

თუმცა ისტორიაც მაინტერესებს, მაგრამ ის წიგნი, რომლითაც ამ საგანს გავდივართ, არაფრად მეპიტნავება.

ძალიან მწყინს, ცუდად რომ ვსწავლობ, მაგრამ არ ვიცი, საქმე როგორ გამოვასწორო.

ბოტანიკაშიც კი სამიანი მიწერია, თუმცა ეს საგანი შესანიშნავად ვიცი. მრავალი წიგნი გადავიკითხე და პერბარიუმიც მაქვს — ალბომი შევიძინე და შიგ ფოთლები, ყვავილები და ბალახბულახი ჩავაწებე.

ბოტანიკის მასწავლებელი კლასში რაღაცას ყვები, მერე კითხულობს: — რატომ არის ფოთოლი მწვანე? ვინ მეტყვის?

კლასში სიჩუმეა.

— ვინც მიბასუხებს, ხუთიანს დავუწერ, — ამბობს მასწავლებელი.

მე შემოძლია პასუხი გავცე ამ შეკითხვაზე, მაგრამ უხმოდ ვზივარ, არ მინდა ვიმეტირო, დაე, წარჩინებულმა მოსწავლეებმა უბასუხონ. გარდა ამისა, სულაც არ მეპიტნავება ეს ხუთიანი, რატომ უნდა გამოვჩხირო ჩემს ორიანებსა და სამიანებში, სასაცილო არ იქნება?

მასწავლებელი წარჩინებულ მოსწავლეს იძახებს, მაგრამ იგი დუმს.

მაშინ დაუდევრად ვწევ ხელს.

— აჰა, თქვენ გცოდნიათ, მიბასუხეთ, — ამბობს მასწავლებელი.

— ფოთოლი იმიტომ არის მწვანე, რომ შეიცავს ქლოროფილს — საღებავ ნივთიერებას, — ვუთხარი.

— ვიდრე ხუთიანს დაგიწერდეთ, უნდა ვიცოდე, რატომ იმთავითვე არ ასწიეთ ხელი, — მეუბნება მასწავლებელი.

მე უხმოდ ვდგავარ. მიძნელდება პასუხის გაცემა.

— იქნებ მაშინვე არ გაგახსენდათ?

— არა, იმწუთსავე გამახსენდა.

— ალბათ არ გინდოდათ წარჩინებული მოსწავლეებისთვის დაგესწროთ? მე ვდუმვარ. მასწავლებელი საყვედურით იქნევს თავს და ჩუთიანს მიწერს.

ყველაფერი დამთავრდა

მარიონეტული
გონიერება

ქარი ისე მძლავრად უბერავს, კროკეტის თამაში უკვე შეუძლებელი ხდება.

მე, ჩემი დები, რეალისტი ტოლია და მისი და ქსენია სახლს უკან ბალახში ესხედვართ და ვსაუბრობთ.

დები მეზუმრებიან, ქსენია მოგწონს, თვალს არ აცილებ და კროკეტის თამაშისას ბურთებს უწყობო.

ქსენია იცინის, იცის, დები მართალს ამბობენ, ჩემს გრძნობაში ეჭვი არ ეპარება...

— შეგიძლიათ, ჩემი გულისთვის სასაფლაოზე წახვიდეთ და ყვავილამოწყვიტოთ? — მეკითხება.

— რატომ უნდა წავიდე? — ვუბრუნებ კითხვას.

— ისე, უბრალოდ, თხოვნა რომ შემისრულოთ.

— თქვენი გულისთვის წავალ, — ვეუბნები ხმადაბლა, ვცდილობ ჩემი პასუხი დებმა არ გაიგონონ.

უეცრად მესერს გადაღმა რაღაც ჩოჩქოლი შეიქნა, ყვირილიც შემოგვესმა, ხალხი აქეთ-იქით გარბი-გამორბოდა, ჩვენც იქითკენ გავიქეციით, რომ გვენახა, რა ხდებოდა.

გზისპირს წყალი ასკდებოდა, ელაგინის კუნძული უკვე დაეფარა. წამიც და გზასაც ჩანთქავდა.

ჩვენ იახტ-კლუბისკენ გავიქეციით, ქარი ისე გვიტევედა, თავს ძლივს ვიკავებდით, რომ მიწაზე ზღართანი არ მოგვეღო.

უეცრად დედაჩემის ძახილი შემოგვესმა:

— სად მიდიხართ, მობრუნდით ახლავე, აქეთ წამოდით!

ჩვენ შემოვბრუნდით, მინდვრებიდან მოვარდნილმა წყალმა თვალის დახამხამებაში დატბორა ყველაფერი ჩვენ უკან.

მე სახლისკენ გავიქეცი, ღვარცოფი ჩვენს ბაღშიც შემოჭრილიყო, თხრილები ამოევსო, ფიცრები და ძელები წამოეტივტივებინა და აქეთ-იქით დააქანებდა.

მუხლებამდე გალუმბული ვერანდაზე ავიჭერი.

სად არის ქსენია, ტოლია, სად არიან ჩემი დები?

აგერ ფეხზე გაუხდიათ და წყალში მოტოპავენ.

ქსენია ვერანდაზე ამოვიდა და კუშტად მითხრა:

— მიგვატოვეთ... ყველაზე წინ გამოიქეციით... ასეთი რამ მიუტევებელია. მორჩა, ჩვენ შორის ყველაფერი დამთავრდა.

ხმა არ გამიღია. მეორე სართულზე ჩემს ოთახში ავედი და საწოლზე გავიშოტე.

ბასრულა

დილაა, ვერანდაზე ვართ. ჩაის ვსვამთ.

უეცრად საშინელი ყვირილი შემოგვესმა, ყვირილს თოფის ხმაც მოჰყვა. ყველანი ზეზე წამოვცვივდით.

ვერანდაზე ქალი ამოიჭრა — ჩვენი მეზობელი — ანა პეტროვნა, საშინლად გაწეწილი იყო, თითქმის შიშველიც — მხრებზე მხოლოდ ხალათი მოეგდო...

— გვედრებით, მიშველეთ, მომკლავს... სერგეი ლგოვიჩიც მოკლა...

— ის ქერა სტუდენტი, თქვენსა რომ დადიოდა? — ხელები გაასავსავა დედამ.

— არა, — თქვა ანა პეტროვნამ და ისტერიკული ტირილით დაეშვა დივანზე.

მე ანა პეტროვნას აგარაკისკენ გავქანდი, მათ ფანჯარას ვეცი, ოთახში შევიხედე და, დაფეთებული, უკანვე გადმოვხტი. საწოლზე მკვდარი მამაკაცი ეგდო, სისხლი წურწურით ჩამოდიოდა ზეწრიდან და იატაკზე გუბედ იშლებოდა. ოთახში არავინ იყო.

მაშინ ბალისკენ გავიქეცი. იქ ხალხი შეგგუფუფულიყო, ორ მამაკაცს ანა პეტროვნას ქმრისთვის მკლავებში ჩაეკლო ხელი.

კაცი გაუნძრევლად იდგა, ხმას არ იღებდა, არც გაქცევა უცდია. მის წასაყვანად პოლიციელები რომ მოვიდნენ, მაშინლა თქვა, დაუძახეთ ჩემს ცოლს, მინდა გამოვეთხოვო.

მე ჩვენი სახლისკენ გავვარდი და ანა პეტროვნას ვუთხარი:

— ანა პეტროვნა, თქვენს ქმარს უნდა დაგემშვიდობოთ, წამოდით, ნუ გეშინიათ, იქ პოლიციელებია.

— მე წესად არა მაქვს მკვლელებს ველაპარაკო, არსადაც არ წამოვალ, — მითხრა ქალმა.

ბალისკენ გავქანდი, რომ მეთქვა, ანა პეტროვნა არ მოვა-მეთქი, მაგრამ იქ აღარავინ დამხვდა, მკვლელები პოლიციელებს წაეყვანათ.

შენიშვნა

ერთმა ამხანაგმა, რომლის ოჯახი ძალზე შეძლებულად ცხოვრობდა, ნადვის ხეზე მიმიწვია.

სტუმრებს დაურიგეს საჩუქრები, მე მაინ ჩიდიის ორი ტომი და ციგურები შემხვდა, გარდა ამისა, ჩემი ამხანაგის დამ მარგარიტამ მაჩუქა მარკების ალბომი, სადაფის ციცქნა დანა და ოქროს პატარა გული თავისივე ძეწკვით.

სტუმრები გვიან ღამით დაიშალნენ.

მე მარგარიტამ და მისმა მოახლე ქალმა გამომაცილეს.

დამშვიდობებისას მარგარიტამ მთხოვა, ხვალ გიმნაზიიდან გამოსვლისას შემხვდითო.

მარგარიტას ხელი ჩამოვართვი, მერე ანუშკასაც დავემშვიდობე და მასაც გავუწოდე ხელი.

ანუშკას ხელს რომ ვართმევდი, მარგარიტა აიღეწა და როგორღაც შეიშმუშნა.

მეორე დღეს მარგარიტას გიმნაზიასთან შეეხვდი.

— თქვენ ალბათ მხოლოდ დემოკრატიულ ოჯახებში დადიხართ, სადაც მიღებულია მოსამსახურეებს ხელის ჩამორთმევით მიესალმონ და დაემშვიდობონ, ჩვენთან კი ასეთი რამ არამართებულად ითვლება, ეს შოკინგია.

ამ საკითხზე არასოდეს დავფიქრებულვარ, გავწითლდი, თავი უხერხულად ვიგრძენი, უცბად ვერც კი მოვისაზრე, რა მეპასუხა, მერე ვუთხარი:

— არა მგონია, რამე დაშავდა იმით, ანუშკას ხელი რომ გავუწოდებ.

— ესლა გაკლდათ, ჯერ ანუშკასთვის გაგეწვდინათ ხელი და მერე მე დამმშვიდობებოდით, თქვენ შემამულის ოჯახიდან ხართ, არ გეკადრებათ ამგვარი საქციელი.

ორი ქუჩა უხმოდ გავიარეთ, ბოლოს და ბოლოს უხერხულობა ვიგრძენი, გიმნაზიელის ქუდი მოვიხადე და მარგარიტას დავემშვიდობე.

ვიდრე წავიდოდი, მარგარიტამ მითხრა:

— თქვენზე ერთი წლით უფროსი ვარ, ამიტომ ჩემი შენიშვნა საწყენად არ უნდა დაგჩიეთ, ყველაფერი კეთილი გულისთ იყო ნათქვამი.

ჩემი მეგობარი

ყოველდღე ვაკითხავ საშა პ-ს, ჭკვიანი ბიჭია, საინტერესო მოსაუბრე. საშა ჩემი ერთადერთი მეგობარია.

შენ ვერავისთან იმეგობრებ, ბუნებლად მამაშენივით მარტოსული ხარო, მეტყოდა ხოლმე დედა.

სრულებითაც არა, საშასთან ყოფნა მოთხოვნილებად გადამექცა, არ შემიძლია ყოველდღე არ ვინახულო.

ფეხსაცმელი გავიწმინდე და აჩქარებით დავადექი გზას.

საშას ოჯახი ჩვენგან სამი ქუჩის იქით, მდინარის პირას ცხოვრობს.

სანაპიროზე მივაბიჯებდი და ვლილინებდი: „ამ მოწყენილი ნაპირებისკენ...“

ბაღში შევედი. მთელი ოჯახი ვერანდაზე დამიხვდა: საშას დედა, საშა და მისი ორი და — ოლია და გალია. ოლია თოთხმეტი წლისაა, გალია — თექვსმეტის. მე კი თხუთმეტი შემისრულდა.

ჩემი მოსვლა ყველას გაეხარდა. საშა მეუბნება:

— თუ გინდა, დღეს ზღვაზე წავიდეთ, ცოტა წავიფილოსოფოსოთ.

გოგონები უკმაყოფილონი არიან, მათ უნდოდათ ბაღში დავმსხდარიყავით ან კროკეტი გვეთამაშა.

— ცოტა ხანს გოგონებთან ისაუბრე, მე კი მანამ წიგნს ჩავიკითხავ, — მითხრა საშამ.

გოგონებთან ერთად ბაღში მივდივარ. ფანჩატურში ვსხდებით და ვსაუბრობთ. მე ოლია უფრო მომწონს, გალიას კი მე მოვწონვარ. ძალზე საინტერესო დრამატული კვანძია, ცხოვრებისეული.

ფანჩატურში დიდხანს ვისხედით. მერე ბაღში დავსეირნობდით, მდინარის ნაპირზეც გავედით და საბოლოოდ ისევ ფანჩატურში დავბრუნდით.

უკვე დაბნელდა. გოგონებს დავემშვიდობე, გალია ყურში რალაცას ჩამჩურჩულებს, ვერაფერი გავიგე, მაგრამ გამეორება არ სურს.

როგორც იყო, საბოლოოდ დავემშვიდობეთ ერთმანეთს და, შესანიშნავ გუნებაზე მყოფი, შინისკენ წავედით.

უეცრად შევცბუნდი, გამახსენდა, რომ საშას არ დავმშვიდობებოვარ, ისიც გადამაფიწყდა, ზღვაზე რომ უნდა წავსულიყავით.

თავი ძალზე უხერხულად ვიგრძენი და ისევ მათი ფეხებიდან გავებრუნდი, მესერს რომ მივუახლოვდი, ჭიშკართან საშა დავმხატვრობოვარ.

— დღეს საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ შენ ჩემთან კი არა, ჩემს დებთან მოდიხარ, — მისაყვედურა მან.

მე გავებრაზდი, ვუმტკიცებდი, ცდები-მეთქი, მაგრამ უეცრად თვითონვე მივხვდი, საშა მართალი იყო.

— ჩვენი მეგობრობა ქვიშაზეა აგებული, ეს მტკიცედ მჯერა, — მითხრა საშამ.

ერთმანეთს ცივად დავემშვიდობეთ.

საბოლოო საუბარი

ჩვენგან ორიოდ სახლის იქით ცხოვრობდა ერთი ქალიშვილი — ირინა. წითური გოგონა იყო, მაგრამ ისეთი ლამაზი და მომზიბლავი, კაცი თვალს ვერ მოაშორებდა.

ბიჭები ხშირად მივდიოდით მესერთან და ვუყურებდით ჰამაკში მწოლარეს. ირინა თითქმის მუდამ ჰამაკში იწვა, მაგრამ არ კითხულობდა, წიგნს ან ბალახში მიაგდებდა ან მუხლებზე ედო.

სალამოს კი, ოლეგთან ერთად, სასეირნოდ მიდიოდა. ოლეგი სტუდენტი იყო, საგზაო ინსტიტუტში სწავლობდა, ძალიან ლამაზი იყო, პენსნეს ატარებდა, ხელში სტეკი ეჭირა.

— ირაშა, ოლეგი მოდის! — ვყვიროდით ბიჭები, ირინას აგარაკისკენ მიმავალ ოლეგს რომ დავინახავდით.

ირა წითლდებოდა და ოლეგის შესახვედრად გარბოდა.

ზუსტად არ ვიცი, რა მოხდა მათ შორის, მაგრამ ზაფხულის ბოლოს ირინა ნავსადგომიდან წყალში გადავარდა, თავი დაიხრჩო. გვამი ვერ იპოვეს.

ყველას ებრალებოდა ირინა, ზოგიერთი ტიროდა კიდევც. მაგრამ ოლეგი მეტისმეტად გულგრილად იქცეოდა. ისევ ისე დასეირნობდა ნავსადგომთან სტეკით ხელში. იცინოდა, ამხანაგებთან ხუმრობდა და ერთ კურსანტ გოგონას, სიმოჩკას არშიყოფაც კი დაუწყო.

ჩვენ, ბიჭებს გული მოგვდიოდა ოლეგის საქციელზე, მთელი სულითა და გულით გვძაგდა ეს სტუდენტი თავისი განუყრელი სტეკით.

ერთხელ ნავსადგომთან რომ იჯდა, ნაპირიდან შურდულებით ქვები დავუშინეთ.

გაცეცხლდა, აყვირდა, გამოგვენთო, მაგრამ ერთს რომ მისდევდა, სხვები შურდულებს უშენდნენ.

ისე უმოწყალოდ ვესროდით, რომ ბოლოს და ბოლოს თავ-პირი ხელე-ბით დაიფარა და შინისკენ გაიქცა.

სამი დღის განმავლობაში ვუშენდით ქვებს მის აგარაკს. ვესროდით გა-

ნურჩევლად ყველას, ვინც კი სახლიდან გამოვიდოდა: ოლეგის დედას, მზარეულ ქალს, სტუმრებს და მზეზე გასათბობად გაწოლილ კატასაც კი.

ვერანდაზე რამდენიმე მინა ჩავუმსხვრიეთ და იმ ზომამდე შერყვანეთ, იძულებული გახდა იქიდან აბარგებულიყო.

ცხვირგაბუშტული წავიდა, ნავსადგომისკენ ბარგით რომ მჭიდროდ იკრავო-
ცამ შურდული ესროლა.

პირველი გაკვეთილი

მე უკვე მოსწავლე მყავს, მთავარ შტაბში გადამწერლად მუშაობს. გამოცდებისთვის ვამზადებ.

ორი თვის შემდეგ პირველი კლასის ჩინზე უნდა ჩააბაროს გამოცდა.

პირობა ასეთია: თუ გამოცდას ჩააბარებს, თავისი ველოსიპედი უნდა მომცეს.

ძალიან ხელსაყრელი პირობაა და მეც ყოველდღე, თუ მეტი არა, სამ საათს მაინც ვუზივარ ამ ყეყჩს, თავში რომ ვერაფერს შეუყვანს კაცი.

ვცდილობ მთელი ჩემი ცოდნა დაბინდულ ტვინში ჩავუჭეჭყო. ვაიძულებ წეროს, იფიქროს, იანგარიშოს, გაკვეთილს მაშინღა ვამთავრებ, წუწუნს რომ მოჰყვება, თავი ამტკივდაო.

ბოლოს და ბოლოს ჩემმა გადამწერმა გამოცდა რიგიანად ჩააბარა და სახეგაბრწყინებულმა მომაკითხა შინ.

გაოცებული შემომყურებდა და მეუბნებოდა, არ მეგონა, თუ ჩავაბარებდიო.

მაშინვე თავისთან წამიყვანა და ველოსიპედი დერეფანში გამოაგორა.

თვალთ დამიბნელდა, მანქანა ჩაქანგული და დამტვრეული იყო. საჭე დაჭყლეთოდა და არც საბურავები ჰქონდა.

თვალებიდან ცრემლები გადმომცვივდა, მაგრამ მომეხატრა მეტქვა, რომ არაფრად მჭირდებოდა ეს დამტვრეული ჯართი.

გადამწერი სიცილით იგუდებოდა და თან ჭკუას მარიგებდა:

— არა უშავს, დაზეთეთ, გააბრიალეთ, საბურავები უყიდეთ და რიგიანა მანქანა დადგება.

დიდი გაჭირვებით მივაგორე ეს ჟანგის გროვა სარემონტო სახელოსნოდ-
დე. ოსტატმა ხელი ჩაიქნია და მითხრა:

— რას ამბობთ, ჭკუაზე ხართ? ამის შეკეთება როგორ იქნება!

ჩემი ორთვალი მანეთად მივყიდე ძველმანებით მოვაჭრეს. ამდენსაც არ იმეტებდა, ოთხმოცდახუთი კაპიკი შემომამძლია, მაგრამ ჩაქანგულ საჭეზე ზარი რომ დაინახა, გული მოუღება.

ახლაც კი, ოცდაათი წლის შემდეგ, ზიზლით ვიგონებ იმ გადამწერს, მის იხვის ნისკარტის მაგვარ ცხვირს, ყვითელ ღრჯოლებს, გაბრტყელებულ თავის ქალას. სადაც ძალისძლიად ჩავუტანე რაღაც ცოდნისდაგვარი.

დასაძინა

აჰა, ბავშვობის მოგონებებიც დასრულდა. ჩემ წინაშეა ოცდათვრამეტი ამბავი, ოცდათვრამეტი შემთხვევა ჩემი ცხოვრებიდან, თავის დროზე ასე რომ ამაღელვა და შემაშფოთა.

ფიქრს შეჰქედებულმა ხელახლა გადავიკითხე ნაწერი, იმედი მქონდა, ახლა მაინც მივაკვლევდი ჩემი ტანჯვის მიზეზს.

მაგრამ ამ ამბებში განსაკუთრებული ვერაფერი ამოვიკითხე.

ჰო, რა თქმა უნდა, ზოგი რამ ძალზე დამაღონებელი მგზავნი მაგრამ უჩვეულოსა და განსაკუთრებულს აქ ვერაფერს ვხედავდი.

ვის არ გარდაცვლია მამა, ვის არ დაუნახავს დედის ცრემლი, ყველა ჩვენგანს შეხვედრია რაიმე საწყენი სკოლაში, აღელვებულიც ყოფილა, შეურაცხყოფაც გადაუტანია და ალბათ ბევრჯერ გაბრიყვებულიც დარჩენილა. ყველას ეშინია ჭექა-ქუხილის, წყალდიდობისა და ქარიშხლის.

არა, ამ ამბებში არაფერი იყო ისეთი, რასაც შეეძლო გავეუბედურებინე, ცხოვრება ჩაეშავებნელდებინა, სევდიანი და გულმოჟამული გავეხადე.

მაშინ ყველა ამ ამბავს ერთად მოვუყარე თავი, რათა უკედ გამომეკვეთა ჩემი ბავშვობის საერთო სურათი, შემეჩმნა ერთი სრული აკორდი, რამაც შესაძლოა, გამაბრუა და დამარცხა, როდესაც გაუბედავი ბავშვური ნაბიჯით ჩემი ცხოვრების ვიწრო ბილიკს მივუყვებოდი.

მაგრამ ამ მთლიან აკორდშიც საგულისხმო ვერაფერი დავინახე, ჩვეულებრივი ბავშვობა გავატარე, ცოტა ძნელად გასაზრდელი კი გახლდით — ნერვული, გულფიცხი, გულში ჩამტანი, თვალმიქცეული იმისკენ, თუ რას ეთქმოდა ცუდი და რას კარგი და ამის გამო მშიშარა და მფრთხალი, მაგრამ შინაგანად სისუსტეს ვერავინ დამწამებდა, პირიქით, ძლიერი ვიყავი.

ღიახ, ამ ამბებში განსაკუთრებული ვერაფერი ამოვიკითხე, აზრი ვერ ვატყენე, რას შეიძლებოდა ამგვარად მოეწამლა ჩემი ცხოვრება.

ისევ საგონებელს ვიყავი, ჩემს ძალას აღემატებოდა მეპოვა და მომესპო ჩემი ჭმუნვის საგანი, ჩამომეცილებინა სევდა და ყველა გულშია ადამიანივით მეც ბედნიერი, ლაღი და მხიარული ვყოფილიყავი. ძე შეცდომილი მხოლოდ სიზმარში უბრუნდება მამისეულ კერას.

მაგრამ ეგება შევცდი? იქნებ სულაც არაფერი მომხდარა? რას ვეძებ, რას ვეპოტინები? ან იქნებ ყველაფერი უფრო ადრეულ ასაკში გადამხდა თავს? მართლაც, რატომ უგულებელვყავი ჩემი ყრმობის ხანა? განა პირველი შთაბეჭდილებები ბავშვს ექვსი ან შვიდი წლის ასაკში უჩნდება? ბავშვი ხომ სამყაროს ბევრად უფრო ადრე ეცნობა. პირველი წარმოდგენები შეიძლება ორი, სამი, ან თუნდაც ერთი წლისასაც კი გაუჩნდეს.

ახლა იმაზე დავიწყე ფიქრი, რა შეიძლებოდა თავს გადამხდომოდა უფრო ადრეულ ასაკში-მეთქი.

მეხსიერება დავძაბე და შევეცადე გონებაში გამეცოცხლებინა ის დრო, პაწაწინა ბიჭუნა რომ ვიყავი. თუმცა მალევე დავრწმუნდი, რომ ყველაფერი უხსოვრობის წყვედიადს მოეცვა, ბოლომდე და სრულად ვერაფერი გავიხსენე, ნაწევრ-ნაწყვეტად მიტრიალებდა თვალწინ რაღაც გარკვეული სურათები, მაგრამ ყოველივე ამას რუხი საბურველი ებურა. შევეცადე ეს ნაწყვეტები მკაფიო ეპიზოდებად მექცია, მაგრამ შიშმა გამთანგა. ახლა უფრო მეტად წამეკიდა შიში, ვიდრე მაშინ, ჩემი ბავშვობის ხანას რომ ვიხსენებდი.

მაშასადამე, სწორ გზაზე ვდგავარ, ისღა დამრჩენია, წყლულს სადღაც აქვე მოვუძებნო თავი, — გავიფიქრე.

V მზის ამოხველის წიგნი

ეს იყო რაღაც საშინელი სამყარო, სადაც
არ ჩანდა ცა და ნათელი და მნათობნი ცათა.*



ამრიგად, გადავწყვიტე გამეხსენებინა ჩემი ყრმობის წლები, რადგან ყველა ჩემი ვარაუდით, სწორედ იმ ხანებში იყო შესაძლებელი თავს დამტყნოდე რაიმე უბედურება.

მაგრამ ეს არც ისე ადვილი გამოდგა, იმ შორეულ წლებს რაღაცნაირი მქრქალი ბურუსი მოსავედა.

მეხსიერების დაძაბვით შევეცადე გამეღწია ამ ბურუსში, მინდოდა გამეხსენებინა ის დრო, სამი წლისა რომ ვიყავი და მაღალ სკამზე წამოსკუპებული ვიჯექი ან დედის კალთაში ვნებივრობდი.

და აი, შორეული წყვედიადიდან ამოტივტივდა ცალკეული სურათები, ნაწყვეტები, რაღაც უცნაური შუქით განათებული და დანაწევრებული.

რას უნდა გაეშუქებინა ეს სურათები? ეგება შიშის გრძნობას ან ბავშვის სულიერ მღელვარებას? დიახ, ალბათ შიშმა და სულიერმა მღელვარებამ გაარღვია მჭვირი საბურველი, ჩემი ყრმობის წლებს რომ ფარავდა.

მაგრამ ეს იყო წამიერი შუქით განათებული ხანმოკლე ხილვები, და მერე ყველაფერი ისევ ნისლში ინთქმებოდა. და როდესაც ჩავუკვირდი ამ ხილვებს, თანდათანობით გავისაცნაურე, რომ ეს სურათები სამი თუ ოთხი წლის ბავშვის თვალთ იყო დანახული.

მერე და მერე კი გაჭირვებით აღვადგინე გონებაში ჩემი ცხოვრება ორიდან ხუთ წლამდე.

ორიდან ხუთ წლამდე

1

გაალე პირი

საბანზე ასანთის ცარიელი კოლოფი გდია. პირი ასანთის ღერებით მაქვს გამოტენილი.

„გაალე პირი!“ — მიყვირის ვიღაც.

პირს ვაღებ და ასანთის ღერებს ვაფურთხებ.

ვიღაცის თითები პირში მიძვრება, კიდევ რამდენიმე ღერი ასანთი გამაქვს.

ვიღაც ტირის. მე უფრო ხმამაღლა ვღრიალებ: პირი გამიმწარდა და თან ასანთიც წამართვეს.

ჯუფლუჯი მიდიან

ლაქის პაწაწინა ფეხსაცმელები, აუწერლად ლამაზი, პრილა პატარა ბაჩები, სადღაც მიემგზავრებიან.

ეს ბაჩები ფეხზე მაცვია, ფეხები დასაჯდომზე მიწყვია. დასაჯდომი ლურჯი ფერისაა, ალბათ ეტლში თუ ვზივარ.

* ლექსები თარგმნა ბათუ დანელიამ.

ლაქის ბაჩები ეტლით მგზავრობენ.

თვალმოუცილებლად ვუცქერი ფეხსაცმელებს, სხვა არაფერი მახსოვს.

მა თვითონ



წინ ფაფიანი ლამბაქი მიდგას. პირთან კოვზი მომიტანეს. ეს კოვზი ვილა-
ცის ხელს უჭირავს.

წავართვი კოვზი იმ ვილაცას, ჩემი ხელით მინდა ვჭამო.

ფაფა პირში ჩავიდე. დამთუთქა. ავღრიალდი, გულმოსულმა ავარახუნე
კოვზი ლამბაქზე. ფაფა სახეზე და თვალეებში შემეშხეფა.

წარმოუდგენელი ყვირილია. ეს მე ვღრიალებ.

ჩიტი ხელში

ერთი მამაკაცი სახეზე შავ თავსაფარს იფარებს, მეორეს ხელში ჩიტი
უჭირავს. მე სკამზე ვდგავარ და ამ ჩიტს მივჩერებივარ.

მამაკაცი ჩიტს მაღლა სწევს. რატომ? უნდა გააფრინოს? ჩიტი ვერ აფ-
რინდება, ეს მხოლოდ ფიტულია, ნოხზე მიმაგრებული ფიტული.

— მორჩა! — თქვა ვილაცამ.

გაოცებისგან თვალეებდაჭყეტილი პატარა ბიჭის ფოტოსურათი დღემდე
მაქვს შემონახული, ამ სურათზე ორი წლის და სამი თვისა ვარ.

დავიკარგე

სადღაც დგას რბილი, ზოლებიანი სავარძელი, სავარძლის ზემოთ მრგვალი
ფანჯარაა, ფანჯრის იქით წყალი მოჩანს.

მე სავარძლიდან ჩამოვფოფხდი და კაიუტის კარი გამოვალე, რა იქნა
წყალი?

დერეფანში გავტანტალდი, ერთხანს ვიტრიალე, მერე ისევ უკან მივბ-
რუნდი.

სად გაქრა ჩვენი კარი? კარი აღარაა. დავიკარგე... ვყვირი და ცრემლად
ვიღვრები.

დედამ კარი გამოაღო და მითხრა:

— მოდი, დაჯექი აქ, ფეხი აღარ მოიცვალა.

მამალი

მახსოვს დიდი ეზო, მზე, დიდრონი ბუზები, პარმალთან კიბის საფეხურზე
ვზივარ, რაღაცას ვჭამ, მგონი, ფუნთუშა უნდა იყოს.

ფუნთუშის ნაფხვენებს ქათმებს ვუყრი.

აგერ მამლაყინწა მიახლოვდება, თავს აქეთ-იქით ატრიალებს, რატომ მომ-
ჩერებია?

ხელი ავიქნიე, მინდოდა გამეგდო, მაგრამ არ შემეძლო, უფრო მომიახლოვდა, უცბად ფრთები ააფრთქუნა, ახტა და ჩემს ფუნთუშას ჩაუნისკარტა. თავზარადცემული ვყვირი და გავრბივარ.

გააგდეთ ძაღლი



ფანჯრის რაფაზე ყვავილებია, ყვავილებს შორის კატა გაწოლილა და მე შემომცქერის.

მე მაღალ სკამზე ვზივარ, ფაფას ვჭამ და კატას ვუყურებ.

უეცრად ოთახში დიდი ძაღლი შემოდის და თათებს მაგიდაზე აწყობს. გულგახეთქილი ვღრიალებ.

— ბავშვს ეშინია, გააგდეთ ეგ ძაღლი! — ყვირის ვილაცა.

ძაღლი გააგდეს.

მე ისევ კატას მივჩერებივარ და ფაფას ვჭამ.

განგება

მე მესერზე ვდგავარ. უკნიდან ვილაც ხელს მაშველებს, რომ არ გადავვარდე.

გზაზე თოფრაკიანი მათხოვარი გამოჩნდება.

— აჰა, აგერ ეს ბიჭი წაიყვანეთ, — ამბობს ვილაც. მათხოვარი ხელს იწვდის ჩემკენ, შემზარავი ხმით ვყვირი:

— არ გაგატან, არ მოგცემ, მე ხომ განგებ ვითხარი, — ამბობს ვილაცა. თოფრაკიანი მათხოვარი თავის გზით მიდის.

წვიმა მოდის

დედას ხელში ვყავარ აყვანილი. გარბის, მე მკერდზე ვეკრობი, წვიმის წვეთებს ჩემს თავზე რაკარუკი გააქვს, წყალი საყელოში ჩამდის. ვტირი.

დედა თავზე თავსაფარს მახურავს. უფრო სწრაფად მივრბის.

აი, უკვე შინა ვართ, ოთახში. დედა საწოლზე მსვამს.

უეცრად ელვა გაკრთა, იქუხა.

საწოლიდან იატაკზე მოვბობლავ, თან ისე ხმამაღლა ვღრიალებ, რომ ქუჩილის ხმას ვახშობ.

მეშინია

დედა ხელში აყვანილს დამატარებს,, ვათვალთვრებთ ცხოველებს, გალიებში რომ სხედან.

აი, უშველებელი სპილო. ხორთუმით იღებს ფუნთუშას და პირისკენ მიიქანებს.

მეშინია სპილოების. ჩვენ ვშორდებით გალიას.

აგერ უზარმაზარი ვეფხვი, ჭანგებითა და კბილებით ფლეთს ხორცს და ჭამს.

მეშინია ვეფხვების. ვტირი.

ზოოლოგიური ბაღიდან შინ ვბრუნდებით.

— ცხოველების ეშინია, — ეუბნება დედა მამას.



ქართული
ენციკლოპედია

ძია საშა კვდება

მაღალ სკამზე წამოსკუბებული რძეს ვსვამ. რძეში ნაღები შემყვა, ვაფურთხებ, ვტირი, ჩემ წინ სუფრას ნაღებით ვთხუპნი.

კარს უკან ვილაც საშინელი ხმით ყვირის:

შემოდის დედა, ტირის, მკოცნის და ამბობს:

— ძია საშა კვდება.

მე ისევ რძეს ვსვამ.

კარს უკან კვლავ საშინელი ყვირილი ისმის.

ღამით

ღამეა, ბნელა. გამეღვიძა და ვყვირი.

დედამ ხელში ამიყვანა.

უფრო ხმამაღლა ავყვირდი, კედელს შევაშტერდი, კედელი ყავისფერია, ზედ პირსახოცი ჰკიდია.

დედა მამშვიდებს.

— პირსახოცის გეშინია? ახლავე ჩამოვხსნი, — მეუბნება. პირსახოცს ხსნის, ინახავს. მე კი ისევ საწოლზე მაწვენს.

ისევ ვყვირი.

ჩემს პატარა საწოლს დედაჩემის საწოლთან დგამენ. მე ვტირი და ასე ვიძინებ.

დასკვნა

აჰა, ჩემ წინაშე პატარა ბავშვის თორმეტი ამბავია.

ყურადღებით გადავითვალთვრე ყოველი მათგანი, ჭაგრამ განსაკუთრებული აქაც ვერაფერი შევამჩნიე, ყველა ბავშვი იჩრის პირში ყველაფერს, რაც ხელში მოჰყვება. თითქმის ყველა ბავშვს ეშინია ცხოველების, ძაღლების, ყველა იფურთხება, თუ რძეში ნაღები შეჰყვა. ყველა იწვავს პირს და სიბნელეში შიშისგან ტირის.

არა, ყველაფერი ჩვეულებრივია, ნორმალური.

ერთად აკინძული ეს ამბებიც ვერ დამეხმარა ამომეხსნა ჩემი თავსატეხი ამოცანა.

ასე მეგონა, ამაოდ გავიხსენე მთელი ეს ბავშვური აჩაბაჩა, მომეჩვენა, რომ ყველაფერი, რაც კი წარსულიდან წამოვაცოცხლე, ფუჭი და ამაო იყო ჩემთვის.

მაშ იქნებ ის უბედური შემთხვევა ორ წლამდე გადაიხდა თავს? — ყოყმანით გავიფიქრე.

მართლაც ბავშვი გარე სამყაროს თუ საგნებს პირველად სამი და ოთხი

წლისა კი არა, უფრო ადრეულ ხანაში ეცნობა, ცხოვრების გარიჟრაჟზე. მზის ამოსვლის წინ.

ალბათ უჩვეულო პირობებში მომიხდა სამყაროს გაცნობა. პატარა ცხოველი, რომელსაც არ შეეძლო ლაპარაკი და არც ფიქრი ძალუძოდა, პირისპირ შეხვდა ცხოვრებას. ის უბედური შემთხვევაც სწორედ მაშინ მოხდებოდა და არა უფრო მოგვიანებით, როგორც აქამდე ვთვლიდი.

მაგრამ როგორ მივაკვლიო მას, როგორ შევალწიო გონების თვალთ იმ სამყაროში, საიდანაც ხსოვნას არაფერი გამოჰყოლია, სადაც არც ცნობიერების შუქი ანათებს და არც ლოგიკა არსებობს?

ორ წლამდე

1

და ყველაფერი,
ერთ საშინელ სიზმარში ისე,
მეჩვენებოდა ფერწასულს, შავი და მქასე.

მეხსიერება დავძაბე და დავიწყე ფიქრი ჩემი ცხოვრების ადრეულ ხანაზე, მაგრამ თვალწინ ერთი სურათიც კი ვერ აღვიდგინე. შორეული კონტურები ისევ ნისლში ინთქმებოდა, ის შორეთი კი ერთ მთლიან, ერთფეროვან მასად იყო აკედლილი ჩემ წინ.

ჩემი ცხოვრების პირველი ორი წელი სქელ რუხ ნისლს დაებურა. ეს ნისლი ჩემ წინაშე კვამლის ფარდასავით ეკიდა და მზერას მიბოროკავდა, შესაძლებლობას მისპობდა განმეჭვრიტა პატარა არსების შორეული, საიდუმლოებით მოცული სამყარო.

ვერ მივმხვდარიყავ, რა გზით უნდა გამეღწია ამ ნისლში, რომ დამენახა ის შფოთიერი წამი, ის ტრაგედია, სიცოცხლის გარიჟრაჟზე, მზის ამოსვლის წინ თავს რომ დამატყდა.

და რომ ტრაგედია სწორედ იმ ხანებში დატრიალდა, უკვე ეჭვმიუტანლად ვიცოდი, შეუძლებელი იყო იმის ძიებისას, რაც არ ყოფილა ან არ მომხდარა, განმეცადა იმგვარი შეუცნობელი შიში, როგორიც განვიცადე იმ დროს, როდესაც ვცდილობდი შემეღწია იმ სიღრმეებში, სადაც ეკრძალებათ შესვლა ადამიანებს, კარგა ხანია რომ გადააბიჯეს ყრმობის ასაკს.

2

ფიქრებში გახლართული ვცდილობდი თავი ერთი წლის პავშვად წარმოემედგინა. პირში სატყუარა მქონდა, ხელში ქლარუნა მეჭირა, ფეხები კი მაღლა მქონდა აშვერილი.

მაგრამ გონებაში ხელოვნურად დახატულმა სურათმა ჩემს მეხსიერებას ბიძგი ვერ მისცა.

და მხოლოდ ერთხელ, დაძაბული ფიქრის შემდეგ, ხსოვნის ბურუსში გამოიბლანდა მივიწყებული ზმანებები.

აგერ საბნის ნაკეცები, კედელზე ვილაცის ხელი, მაღალი, მოქანავე ლანდი, ისევ ლანდი, ისევ ხელი, რალაცნაირი თეთრი ქაფი და კვლავ მაღალი, მოქანავე ლანდი.

მაგრამ ეს ქაოტური ზმანებები იყო, უფრო სიზმრის მინამგვანი, თითქმის არარეალური. მინდოდა მათ მიღმა დამენახა დედაჩემის სახე, ჩემი საწოლისკენ გადმოხრილი მისი სხეული, თუ გნებავთ, მისი ლანდი. მაგრამ არა, ვერ შევძელი. გამოსახულებები ერთიანდებოდა. ლანდები ქრებოდა და მათ უკან ისევ სიცარიელე, წყვდიადი, არარა იყო... როგორც პოეტი ამბობს:

ერთუროს შერწყმა ყველაფერი ამღვრულ ჩრდილად, —
ეს არც ღამე და მწუხრი იყო, არც ღლე და დილა.
წყვდიადი იყო, ოღონდ ბნელი არ ახლდა წყვდიადს,
სიცარიელის სიღრმე იყო, უფსკრული, დიახ,
უფსკრული, რასაც არა ჰქონდა ძირი და ბოლო,
გამოსახული იყო რაღაც, უსახოდ მხოლოდ...
ეს იყო რაღაც საშინელი სამყარო, სადაც
არ ჩანდა ცა და ნათელი და მნათობნი ცათა...

ეს ქაოსის სამყარო გახლდათ და აციმციმდებოდა თუ არა მზე, ჩემ თვალთა წინაშე ყველაფერი მეყსეულად ქრებოდა.

ვერ შევადწიე ამ სამყაროში.

უცხო სამყარო, უცხო პლანეტა იყო იგი ჩემთვის, განსხვავებული, არაჩვეულებრივი კანონებით, რომელთა შემოწმება გონებას არ ძალუდდა.

3

კი მაგრამ, როგორ ცხოვრობს ამ ქაოსში ეს პატარა არსება? — გავიფიქრე, — როგორ იცავს თავს საფრთხე-საშიშროებათაგან გონებისა და ლოგიკის გარეშე?

თუ თავდაცვა საერთოდ გამორიცხულია და ყველაფერი შემთხვევითობაზე, მშობლების ზრუნვაზეა დამოკიდებული?

კი მაგრამ, მშობლებიც რომ გვყავდეს, ამ მოლივლივე ლანდების სამყაროში მაინც საკმაოდ ხიფათიანია ცხოვრება.

ისევ ფიზიოლოგთა სახელმძღვანელოებსა და შრომებს ჩავუჩქეძი, მინდოდა გამეგო, რა აზრის იყო მეცნიერება ადამიანის ცხოვრების ამ ბუნდოვან პერიოდზე.

ამ წიგნებით გავეცანი განსაცვიფრებელ კანონებს, მეცნიერებმა ცხოველებზე დაკვირვების შედეგად რომ დაამუშავეს.

არაჩვეულებრივად მკაცრი და ზუსტი იყო ეს კანონები, რომლებიც თავისებურად იცავდა პატარა არსებას.

რა ვუყოთ, თუ ჩვილი მოკლებულია გონებას და ლოგიკას. მათ ნაცვლად არსებობს რეფლექსი — ორგანიზმის განსაკუთრებული რეაქცია, ასე ვთქვათ, ორგანიზმის თავისებური პასუხი ნებისმიერ გაღიზიანებაზე, რომელსაც ჩვილი გარედან განიცდის.

ეს რეაქცია, ეს პასუხი იცავს ორგანიზმს ყოველგვარი საფრთხისაგან. რაში გამოიხატება პასუხი?

რეფლექტორულ მოქმედებას ახასიათებს ორი ძირითადი ნერვული პროცესი — აღგზნება და შეკავება. ამ პროცესების კომბინაცია აღმოაცენებს ამა თუ იმ პასუხს, მაგრამ ტვინის მოქმედების სხვადასხვაობა არსებითად უმარტი-

ვეს ფუნქციამდე — კუნთების მოძრაობამდე დაიყვანება. სახელდობრ, ყოველი გაღიზიანება იწვევს კუნთის მოძრაობას ან მოძრაობათა კომბინაციას, უეჭველად მიზანშეწონილს თავისი ჩასიათის მიხედვით.

ხოლო ამ რეფლექსის პრინციპები თანაბრად ვრცელდება როგორც ადამიანზე, ასევე ცხოველზე და, რა თქმა უნდა, ჩვილზეც.

მაშასადამე, პატარა არსებას იცავს არა მის ირგვლივ მდებარე ქაოსი, არამედ ათასწლეულობით ნაკურთხი უმკაცრესი წესრიგი.

და ჩვილიც სამყაროს პირველად ამ რეფლექსის პრინციპის მიხედვით ეცნობა.

4

ამთავითვე ბოდიშს ვიხდი, ისეთ საგანზე რომ მიწევს საუბარი, რომელსაც ალბათ შესანიშნავად იცნობს განათლებული მკითხველი, მაგრამ ამ ელემენტალურ საკითხებს ყველა როდი იცნობს ზიგანად. შესაძლოა, მავანსა და მავანს ზოგი რამ დავიწყებული ჰქონდეს კიდევაც და შეხსენება იყოს საჭირო, ზოგ განათლებულ მკითხველს კი ამ ამბებისა იქნებ სულაც არაფერი გაეგებოდეს, უბრალოდ, იქნებ არც კი აინტერესებდეს ქექოს ძაღლების ცხოვრების ამსახველი ფორმულები.

ისინი კი, ვინც ყველაფერი იცის და ყველაფერი ახსოვს, ან თავად მუშაობენ ამ საკითხებზე, განაწყენებულნი ნუ დამრჩებიან და გაუღიზიანებლად გადაიკითხონ რამდენიმე ფურცელი, სადაც მინდა ვილაპარაკო უმაღლეს ფსიქიკურ ფუნქციაზე, უფრო ზუსტად, რეფლექსებზე.

ეს იგივეა, რომ ვილაპარაკო სამყაროს წარმოშობა პირველსაწყის მატერიაზე, რადგან მათი მნიშვნელობა თანაგვარია, რამდენადაც რეფლექსი გახლავთ გონების, ცნობიერების, კეთილისა და ბოროტის დასაბამი და დასაწყისი.

ოდესღაც დიდმა მეცნიერმა ნიუტონმა ხიდან ჩამოვარდნილი ვაშლის წყალობით აღმოაჩინა მიზიდულობის კანონი. არანაკლებ უმნიშვნელო შემთხვევამ საშუალება მისცა რუს მეცნიერ პავლოვს დაემუშავებინა პირობითი რეფლექსების კანონი.

მეცნიერმა შეამჩნია, რომ ძაღლი თანაბრად რეაგირებდა საჭმელზეც და მსახურის ნაბიჯებზეც, რომელსაც ეს საჭმელი მოჰქონდა. ორივე შემთხვევაში ძაღლის სანერწყვე ჯირკვალი ერთნაირად მოქმედებდა. „მაშასადამე, — დასკვნა მეცნიერმა, — ძაღლის ტვინში აღმოცენდება აღგზნების ორი კერა და ეს კერები ერთმანეთთან პირობითად არიან დაკავშირებულნი“.

მსახურის ნაბიჯის ხმა პავლოვმა სინათლით, მეტრონომის კაკუნით, მუსიკალური ბგერით შეცვალა, მაგრამ ძაღლის სანერწყვე ჯირკვალი მუდამ ერთნაირად მოქმედებდა. რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში, თუ ახალი გამღიზიანებლების ხმა რამდენჯერმე დაემთხვეოდა საკვების მიღებას.

ახალი გამღიზიანებლების (შუქი, ბგერა, გამა) რამდენჯერმე აღქმა (საკვების მიღებისას) იწვევდა ახალი ნერვული პირობითი კავშირების წარმოქმნას.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ — პირობითი ბგერა (ან სხვა ნებისმიერი გამღიზიანებელი) ძაღლს აღუძრავდა ჭამის ასოციაციას, და ამ ახალ სიგნალზე ძაღლი იმგვარადვე რეაგირებდა, როგორც საჭმელზე.

ამ პირობით ნერვულ კავშირს, რომელიც წარმოიქმნებოდა თავის ტვინის ქერქში ალგზნების ორ კერას შორის, მეცნიერმა „დროებით კავშირი“ უწოდა, ვინაიდან იგი ქრებოდა იმ შემთხვევაში, თუ ცდებს განმეორებით არ შეაუღლებდნენ ჭამასთან.

ეს გასაოცარი აღმოჩენა იყო.

საქონის
განმეორება

5

მაშინ მეცნიერმა კიდევ უფრო რთული ხასიათის ცდების ჩატარება იკისრა. ძაღლის თათი გააღიზიანა ელექტროდებით, ამ ოპერაციას თან სდევდა მეტრონომის კაკუნი.

ოპერაცია რამდენჯერმე გაიმეორეს და შემდგომ საკმარისი იყო მხოლოდ მეტრონომის ხმის გაგონება, რომ ძაღლი თათის ტკივილს შეეწუხებინა.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, — პირობითი გამღიზიანებელი (მეტრონომი) თავის ტვინის ქერქში აღმოაცენებდა ალგზნების კერას, რომელიც „ანთებდა“ მეორე კერას (ტკივილს), და თუმცა ამ კერის გამღიზიანებელის მოქმედება შეწყვეტილი იყო, ნერვული კავშირი კერებს შორის მაინც განაგრძობდა არსებობას.

მეცნიერმა გამოიკვლია, რომ შესაძლებელია მატერიალური საშუალებებით ცენტრალური ნერვული სისტემის მუშაობაში ჩარევა და ნებისმიერი ნერვული კავშირის აღმოცენება.

მიკვლევულ იქნა საერთო ფიზიოლოგიური კანონი, რომელსაც საფუძვლად ედო უმაღლესი ნერვული მოქმედების უმარტივესი ფუნქცია — რეფლექსი.

ეს კანონი თანაბრად ვრცელდებოდა როგორც ნორმალური პირობების, ასევე პათოლოგიური შემთხვევების დროსაც.

ეს გახლდათ უდიდესი აღმოჩენა, რადგან იგი ნათელს ჰფენდა ცნობიერებას — იმ საკითხებს, რომელიც პირველ რიგში საჭიროებდა სიცხადეს და გარკვეულობას.

რადგან აქ მხოლოდ გარკვეულობა და სიცხადე აძლევდა ადამიანის გონებას წინსვლის საშუალებას და უზულობა უკან — ველურობის, ბარბაროსობისა და წყვედიადისკენ მიმავალ გზას.

ეს იყო უდიდესი აღმოჩენა, რადგან თანაბრად ეხებოდა როგორც ცხოველებს, ასევე ადამიანს და მით უფრო ჩვილს, რომლის ქცევას არ აკონტროლებდა ცნობიერება თუ ლოგიკა.

და ამ კანონის შუქზე ჩვილის საქციელი გასაგები ხდებოდა. ჩვილი ეცნობა სამყაროს, მის ირგვლივ მყოფ საგნებს პირობითი რეფლექსის პრინციპის მიხედვით.

ყოველი ახალი საგანი, ახალი ნივთი ჩვილის ტვინის ქერქში აღმოაცენებს ახალ ნერვულ კავშირებს, ქმნის ახალ ურთიერთობას, ეს ნერვული კავშირები, ისევე როგორც ძაღლზე ჩატარებული ცდების შემთხვევაში, მეტისმეტად პირობითია.

მეტრონომის კაკუნი ძაღლს ტკივილის რეაქციას უღვიძებდა. ყვირილს, კარის მიჯახუნებას, გასროლას, შუქის ანთებას ან სხვა ნებისმიერ გამაღიზიანებელს, რომელიც (ვთქვათ) შემთხვევით დაემთხვა ბავშვის კვების დროს და

რამდენჯერმე იქნა განმეორებული, შეეძლო წარმოეჭმნა რთული ნერვული კავშირები ჩვილის ტვინში.

შპრიცის დანახვაზე ძალღს აღებინებდა. ნებისმიერი საგნის დანახვას, რომელმაც ოდესღაც შემთხვევით ტკივილი მიაყენა ჩვილს, შეეძლო შემდგომ ტანჯვა გამოეწვია.

მართალია, ამ რეფლექსის აღმოცენებისათვის საჭირო იყო განმეორება, მაგრამ მერე რა! უამისობა ხომ მაინც არ იქნებოდა.

კი მაგრამ, აკი ამ ნერვულ კავშირებს დროებითი ვუწოდეთ, კავშირები ქრებოდა, თუ ცდებს აღარ იმეორებდნენ.

აღნიშნული საკითხი გულდაგულ კვლევასა და გაანალიზებას საჭიროებდა. მეცნიერმა შემოგვთავაზა მხოლოდ უმარტივესი პრინციპი, რომელიც შემოწმებული იქნა ძაღლებზე, მაგრამ ადამიანის ფსიქიკა ცხოველის ფსიქიკაზე რთულია, მისი გონებრივი განვითარება ერთ დონეზე კი არ დგას, არამედ იცვლება, განიცდის პროგრესს, მაშასადამე, იცვლება აგრეთვე ნერვული კავშირებიც, ხოლო ეს კავშირები შეიძლება ძალზე რთული და დახლართული იყოს.

სიკვდილმა ხელი შეუშალა მეცნიერზე განეგრძო დაკვირვებები ადამიანის მსგავს ცხოველებზე — მაიმუნებზე. მან მხოლოდ ამ ცდების დაწყება მოასწრო. ადამიანზე კი ეს ცდები ჯეროვნად არ წარმოებულა.

6

ეს დიდი აღმოჩენა — პირობითი რეფლექსების, დროებითი ნერვული კავშირების კანონი მინდოდა ჩემი ცხოვრებისთვის შემეფარდებინა.

მინდოდა ამ კანონის ზემოქმედება ჩემი ბავშვობის მაგალითებზე შემემოწმებინა, რადგან მეგონა, რომ ჩემი უბედურების მიზეზი შეიძლებოდა ყოფილიყო ჩვილის ტვინში აღმოცენებული არასწორი ნერვული კავშირები, რომელთაც შემდგომ შიში ჩამიბუდეს გულში. მომეჩვენა, რომ მეშინოდა შპრიცის, რომლითაც საწამლავი შემიშხაპუნეს.

მომესურვა დამერღვია ჩემს ტვინში აღმოცენებული ეს მცდარი მექანიზმები.

მაგრამ ისევ დაბრკოლებას წავაწყდი — ჩემი თოთოობის ხანიდან ვერაფრის გახსენება ვერ შევძელი.

ერთი სურათი, ერთი შემთხვევაც რომ გამეხსენებინა, შემდგომ და შემდგომ კვანძის გამორღვევას ადვილად შევძლებდი, მაგრამ არა, ყველაფერი ბურუსით იყო მოცული.

ვიღაცამ მითხრა, იმ ადგილას უნდა წახვიდე, სადაც რაღაც დაგავიწყდა და მაშინ დავიწყებულს უეჭველად გაიხსენებო.

გამოვკითხე ჩემს ახლობლებს, ჩემს ბავშვობაში სად ვცხოვრობდით-მეთქი, მათაც მიმასწავლეს, სადაც გავატარე ჩემი ბავშვობის ადრეული ხანა.

სულ სამი სახლი დამისახელეს. ერთი სახლი დამწვარიყო, მეორეში, ორი წლისა რომ ვიყავი, მაშინ ვცხოვრობდით, მესამეში კი, ოთხი წლისა რომ გავმხდარვარ, მაშინ შევსახლებულვართ და მთელი ხუთი წელი გვიცხოვრია.

დარჩა კიდევ ერთი სახლი, ის სახლი სოფელში იდგა და ჩემი მშობლები ყოველ წელიწადს იქ ისვენებდნენ.

მისამართები ჩავიწერე და არაჩვეულებრივი მღელვარებით გავეშურე ამ ძველი სახლების სანახავად.

დიდხანს ვუცქერდი და ვუტრიალებდი სახლს, სადაც ^{მეცხოვრებდა} მამა და დედა. მამა და დედა გახსენებით ვერაფერი გავიხსენე.

მერე ის სახლი მოვიანახულე, რომელშიც ხუთი წელიწადი გცხოვრობდით. გული ჩამიკვდა, ალაყაფის კარს რომ მივუახლოვდი.

ღმერთო ჩემო! რა ნაცნობი იყო ირგვლივ ყველაფერი. ვიცანი კიბე, პატარა ბაღი, ჭიშკარი, ეზო.

ყველაფერი გავიხსენე, მაგრამ როგორ განსხვავდებოდა აქაურობა იმისაგან, რაც გონებაში ჩამრჩენოდა! ოდესღაც ეს სახლი დიდზე დიდ ცათამბჯენად წარმომედგინა, ჩემ წინაშე კი პატარა, ძველი სამსართულიანი სახლი იდგა.

ოდესღაც ეს ბაღი ზღაპრული, იდუმალებით მოცული უშველებელი სამყარო მეგონა, ახლა კი პატარა გასაცოდავებული სკვერის წინ ვიდექი.

ადრე მეგონა, ეს ბაღი თუჯის მასიური მოაჯირით იყო შემოკავებული, ახლა კი ხელით ვეხებოდი ჩკინის უბადრუკ წნელებს, რომლებიც წელზემთ არც კი მწვდებოდა.

მესამე სართულზე ავედი და ჩვენი ბინის კარს მივაღექი.

შეუცნობელმა ტკივილმა გული შემიკუმშა, თავი ცუდად ვიგრძენი. ვერ გამეგო, რა მემართებოდა, ასე რატომ ვღელავდი.

ისევ დაბლა ჩავუყევი კიბეს და დიდხანს ვიჯექი ჭიშკართან ტუმბოზე. ბოლოს საიდანღაც მეეზოვე გამოჩნდა, ექვით ამხედ-დამხედა და მიბრძანა, იქაურობას გავცლოდი.

7

შინ დახაშმული დავბრუნდი, გასავათებული ვიყავი, რაღაცით გუნება-მოშლილი. თან საშინელი კაეშანი მომყვა, და ახლა ეს კაეშანი არც დღე, არც ღამე მოსვენებას აღარ მაძლევდა.

დღისით ოთახში დავბორობილებდი, ვერ ვჭდებოდი, ველარც ვწვებოდი, ღამით კი საშინელი სიზმრები მაწამებდა.

წინათ სიზმრებს არ ვნახულობდი, უფრო სწორად, ვნახულობდი, მაგრამ მავიწყდებოდა, მოკლე-მოკლე და გაუგებარი იყო მაშინდელი ჩემი ზმანებები, უმეტესწილად გამთენიისას რომ ვნახულობდი ხოლმე. ახლა კი თვალს მივლო-ლავდი თუ არა, სიზმრებში ვიძირებოდი.

თუმცა ეს სიზმრები კი არა, უფრო კოშმარები იყო და შიშით გულგახეთქილი ვიდვიძებდი. რომ დავმშვიდებულიყავი და კოშმარებისთვის თავი დამედ-წია, ბრომს ვსვამდი, მაგრამ ბევრს ვერაფერს მშველოდა.

იძულებული გავხდი ექიმი მომეწვია და მეთხოვა რამე წამალი მოეცა. რომ გაიგო, ბრომს ვსვამდი, ექიმმა შემიძახა:

— რას სჩადით, თქვენთვის სიზმარი აუცილებელია, სიზმრებს იმიტომ ხე-დავთ, რომ ბავშვობაზე ფიქრობთ, მხოლოდ სიზმრების წყალობით შეგიძლიათ გაერკვეთ თქვენს ავადმყოფებაში, მხოლოდ სიზმრებში ნახავთ და გაიხსენებთ,

რასაც ეძებთ, — თქვენი ყრმობის დღეებს. მხოლოდ სიზმრის წყალობით შე-
იძწევთ იმ შორეულ, მივიწყებულ სამყაროში.

მაშინ ექიმს მოეუყევი ჩემი ბოლონდელი სიზმარი, მანაც ახსნა დამიწყო,
მაგრამ იმგვარად მიხსნიდა და განმმარტავდა ამ სიზმარს, რომ აღვშფოთდი
და მისდამი რწმენა საბოლოოდ დავკარგე.

მე ვუთხარი, ღამით ვეფხვები და კედლიდან გამოჩრილი ხელი მესიზმ-
რება-მეთქი.

— ცხადზე უცხადესია, თქვენს მშობლებს ძალიან ადრე წაუყვანიხართ ზო-
ოლოგიურ ბაღში. იქ სპილო გინახავთ, მის ხორთუმს შეუშინებიახართ. ხელი
იგივე ხორთუმა, იგივე ფალოსი. თქვენ სექსუალური ტრავმა გაქვთ.

მე გული მომივიდა, ვერ დავიჯერე მისი ნათქვამი, ექიმი განაწყენდა და
მიტხრა:

— თქვენი სიზმარი ფროიდის მიხედვით ამოვხსენი. მე მისი მოწაფე ვარ.
მერწმუნეთ, სხვა ვერაფერი გიშველით...

კიდევ რამდენიმე ექიმის მოწვევა დამჭირდა. ერთნი იცინოდნენ — სიზ-
მრის აყოლა სისულელეაო, მეორენი პირიქით, სიზმარს დიდ მნიშვნელობას ანი-
ჭებდნენ.

ამ ექიმებს შორის იყო ერთი მეტად განსწავლული პიროვნება, იგი მრავალ
საკითხზე მელაპარაკა და ბევრი რამ ამიხსნა. ამ ექიმის ძალზე მაღლიერი
დავრჩი, ვფიქრობდი კიდევ მისი მოწაფე-ფავშტარიაკი, მაგრამ შემდეგ ამა-
ზე ხელი ავიღე, მომეჩვენა, რომ ცდებოდა და არც მისი მკურნალობისა ვირ-
წმუნე რამე.

ეს ექიმი პავლოვის სასტიკი მოწინააღმდეგე იყო, დიდი მეცნიერის ნა-
მუშევრებში ზოოლოგიური ხასიათის ცდების გარდა ვერაფერს ხედავდა, თა-
ვით ფეხამდე ფროიდისტი იყო, ბავშვისა თუ მოზრდილის ყოველ საქციელში
მხოლოდ სექსუალური საწყისები ელანდებოდა. ყოველ სიზმარს ეროტომანიას
უდებდა საფუძვლად.

მისი განმარტებები არ ემთხვეოდა იმას, რაც მე კემმარიტებად მიმაჩნ-
და, არ ემთხვეოდა პავლოვის მეთოდს, პირობითი რეფლექსების პრინციპებს.

8

მაგრამ მაინც გამოაცა ამ ექიმის მკურნალობის მეთოდმა.

არის რაღაც კომიკური სიზმრის განმარტებაში, მე ვფიქრობდი, რომ ეს
გამორეტებული დედაბრებისა და მისტიკურად განწყობილი ადამიანების საქმე
იყო და მეცნიერებასთან საერთო არა ჰქონდა რა. ამიტომ ძალზე გაოცებული
დავრჩი, როდესაც შევიტყვე, რომ მთელი უძველესი, ეგრეთ წოდებული „სა-
ტაძრო მედიცინის“ განვითარებას ერთადერთი საფუძველი გააჩნდა — ეს გაზ-
ლდათ სიზმრების ახსნა. ამაში მდგომარეობდა აპოლონის ვაჟის, მკურნალო-
ბისა და განკურნების ღვთაების ესკულაპუსის (ბერძნულად — ასკლეპიოსის)
კულტი.

რატომ ანიჭებდნენ სიზმრებს ეგზომ დიდ მნიშვნელობას?

რა მოტივები არსებობდა საამისოდ? ნუთუ ეს მხოლოდ რელიგიური და
მისტიკური ზეგავლენით იყო განპირობებული? ნუთუ სხვა, უფრო გონივრული

რამ არ ედო საფუძვლად? ის ძველთაგანები ხომ ბარბაროსები არ ყოფილან. ძველმა სამყარომ შესანიშნავი ფილოსოფოსები, მწერლები, სწავლულები, ბოლოს — შესანიშნავი მკურნალები — ჰიპოკრატე და გალენი მისცა კაცობრიობას.

როგორ მკურნალობდნენ ეს ეჭიმები? მედიცინის ისტორიამ შემოგვინახა მკურნალობის უძველესი მეთოდები:

ავადმყოფს ღამით ტაძარში ტოვებდნენ, იქ სიზმარს ნახავდა, დილით კი თავის სიზმარს ქურუმებს და სწავლულ მოუყვებოდა, ისინიც ამ სიზმრის მიხედვით სვამდნენ დიაგნოზს და შემდეგ ავადმყოფს მკურნალობდნენ. ეს უძველესი მეთოდი, რა თქმა უნდა, მკიდროდ იყო დაკავშირებული ქურუმებთან და რელიგიურ-მისტიკურ რიტუალებთან.

მკურნალობის ღვთაების სადიდებლად მსხვერპლს სწირავდნენ ხოლმე. მკურნალობის ამ საზეიმო რიტუალებს და საიდუმლოებით მოცულ წესებს შეიძლებოდა, ასე თუ ისე, ზეგავლენა მოეხდინა ადამიანზე, აღედგინა მისთვის რწმენა მკურნალობის ღვთაებისადმი, მისი სიძლიერისადმი, მკურნალობაც სწორედ ამ თვითჰიპნოზზე იყო გამყარებული.

რა თქმა უნდა, თვითჰიპნოზს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ არ შეიძლებოდა იგი განკურნების ერთადერთი საშუალება ყოფილიყო.

მედიცინის ისტორია გვამცნობს, რომ შემდგომ და შემდგომ მკურნალობასთან დაკავშირებული რელიგიური წეს-ჩვეულებანი მოიხსნა. ტაძრებში რაღაც სანატორიუმის მსგავსი სამკურნალოები მოაწყვეს. სანატორიუმებშივე აღმოცენდა სამედიცინო სკოლები და ექიმთა კორპორაციები.

ჰიპოკრატე და გალენიც სწორედ სატაძრო სკოლებში ეუფლებოდნენ მედიცინას.

მაინც როგორ აღმოცენდა სიზმრის ახსნის იდეა? რატომ დაედო იგი საფუძვლად უძველეს მედიცინას? რატომ აღარ თვლიდნენ მას შემდგომ მეცნიერებად და რატომ ცდილობდა ახლო წარსულში მრავალი ექიმი და სწავლული, მათ შორის ფროიდი, მისგან მეცნიერული დისციპლინა შეექმნათ?

მე არ შეგეძლო ამ კითხვებზე პასუხის გაცემა.

ამიტომ ჩავუჭეჭე სამედიცინო სახელმძღვანელოებს და ფიზიოლოგთა შრომებს, მიწოდდა გავცნობოდი, რა აზრისა იყო თანამედროვე მეცნიერება სიზმრებსა და ჩვილის მივიწყებულ სამყაროში შეღწევის შესაძლებლობებზე.

9

რას წარმოადგენს თანამედროვე მეცნიერების თვალსაზრისით სიზმარი?

პირველ ყოვლისა, ეს არის ისეთი ფიზიოლოგიური მდგომარეობა, რომლის დროსაც ცნობიერების ყოველგვარი გამოვლინება შეწყვეტილია. უფრო სწორად, ყველა უმაღლესი ფსიქიკური ფუნქცია გამოთიშულია, დაბალი ფუნქციები კი მოქმედებენ.

პავლოვის მოძღვრების მიხედვით, ძილის დროს ადამიანის კონტაქტი გარემოსთან შეწყვეტილია, ცოცხლდება შეკავებული ძალები, დათრგუნვილი, ჩახშობილია გრძნობები.

ეს იმიტომ ხდება, რომ ძილის მექანიზმს საფუძვლად უდევს შეკავება,

მაგრამ ამ შეკავებას ნაწილობრივი ხასიათი აქვს. იგი არ მოიცავს მთლიანად თავის ტვინს, არც დიდი ნახევარსფეროების ყველა წერტილს და ქერქქვეშა კვანძებს ქვემოთ არ ეშვება.

ჩვენი ტვინი, ფიზიოლოგების თვალსაზრისით, თითქოს ორი სართულიდან შედგება. მაღლა მდებარეობს ტვინის ქერქი. ესაა კონტროლისა და ლოგიკის, კრიტიკის და შეძენილი რეფლექსების ცენტრი. ქვემო სართულზე კი უფრო დაბლა რეფლექსებს, ცხოველურ ჩვევებს და ძალებს უჭირავს.

ეს ორი სართული ურთიერთთან ნერვული კავშირებითაა შეერთებული. ღამით ზემო სართული ძილს აძლევს თავს. ცნობიერება ითიშება, წყდება კონტროლი, კრიტიკა, პირობითი ჩვევები.

ქვემო სართული ამ დროს მღვიძარება, და კონტროლის გამოთიშვა საშუალებას აძლევს მის მკვიდრთ ამა თუ იმ ძალით გამოამჟღავნონ თავი.

მაგალითად, ბავშვის მიერ განცდილი, ლოგიკის ჩარევით ან გონებრივი განვითარების წყალობით შეკავებული ან სულაც განდევნილი შიში კონტროლის უქონლობის შემთხვევაში შეიძლება ხელახლა აღმოცენდეს, მაგრამ თუ ასე მოხდა, იგი უეჭველად სიზმრებში აღმოცენდება.

მაშასადამე, სიზმარი წარმოადგენს ადამიანის სულიერი ცხოვრების, მისი ფსიქიკური მოქმედების გაგრძელებას კონტროლის გამორიცხვის შემთხვევაში.

და, გამომდინარე აქედან, სიზმრის მიხედვით შეიძლება აიხსნას, რა ხასიათის ძალები ამუხრუჭებენ ადამიანის ტვინს, რა აღუძრავს მას შიშს და რა შეიძლება გაძევებულ იქნეს ლოგიკისა და ცნობიერების ჩარევით*.

ახლა უკვე გასაგები ხდება, რატომ ანიჭებდა უძველესი მეცნიერება ასეთ დიდ მნიშვნელობას სიზმრებს.

მაგრამ გასაოცარია ერთი რამ: თანამედროვე მეცნიერებამ მხოლოდ ამ ბოლო ხანებში შეძლო გარკვეულიყო ჩვენი ტვინის მექანიზმებში, მაშინ როდესაც კაცობრიობის კულტურის გარიჟრაჟზე, რამდენიმე ათასწლეულის წინ წარმოიშვა იდეა — ეპოვათ ის, რაც ძილის დროს კონტროლს არ ექვემდებარებოდა.

ჩვენ არ ვიცით, ვინ არის უძველესი მედიცინის ფუძემდებელი. მაგრამ ცხადია, რომ ძველ მეცნიერებას საფუძვლად ედო ნათელი იდეა, გენიოსის ბრწყინვალე აზრი.

გენიოსის ხელიდან ამ იდეამ უნიჭო, შუალანა ადამიანების ხელში გადაინაცვლა და მათ თავიანთი შესაძლებლობების მიხედვით დაიყვანეს იგი საკუთარ დონემდე, თვით შარლატანობამდე კი.

რადაც კომიკური ჩანდა ამ იდეაში. თანამედროვე ადამიანი ღიმილის გარეშე ვერ გადაავლებს თვალს სიზმრების ძველთაძველ წიგნებს, რომელთა ყოველი ფურცელი აბდაუბდით და მონაჩმანით არის აჭრელებული.

ჰეშმარიტი იდეა იმ ზომამდე იქნა გაუხამსებული, რომ ახლა მასში გარკვევა შეუძლებელი ხდება. და მხოლოდ თანამედროვე ფიზიოლოგიის წყალობით გასაგები და ნათელი გახდა ეს იდეა — ავადმყოფის ფსიქიკაში ჩაწვდომა, შეცნობა იმისა, თუ რა იწვევს შეკავებას.

აი, რატომ ცდილობენ ახლა მეცნიერები ახლებური თვალსაზრისით მი-

* შემდგომ აღმოჩნდა, რომ პათოლოგიური შეკავების მიზეზის მიკვლევა შესაძლებელია არა მხოლოდ სიზმარზე დაფუძნებით, არამედ სხვა ხერხითაც.

უდგნენ სიზმრებს, ცდილობენ სიზმრების მეშვეობით ჩასწვდნენ ფსიქონევროზის წარმომშობ მიზეზებს და ახლებურად გაიაზრონ ის, რაც შეიძლებოდა ადამიანის გონების ტრაგედიად ქცეულიყო.

ამრიგად, როგორც ვთქვით, ჩვენი ტვენი ორი სართულისაგან — ზემო და ქვემო სართულისაგან შედგება.

ცხოვრებისეული გამოცდილება, პირობითი ჩვევები ეგუება მემკვიდრეობით გამოცდილებას, ჩვენი წინაპრების, ცხოველების ჩვევებს.

ჩვენი ტვინის რთულ აპარატში თითქოს ორი სამყაროა მოქცეული — ცივილიზებული და ცხოველური.

ეს ორი სამყარო ხშირად ვერ უთანხმდება ერთმანეთს, უმაღლესი ძალები ებრძვიან მდაბალ ძალებს, ამარცხებენ მათ, კიდევ უფრო დაბლა სდევნიან, ზოგჯერ კი მთლიანად აძევებენ.

თითქოს სწორედ ეს ბრძოლა უნდა იყოს მრავალი ნერვული ტანჯვის მიზეზი.

მაგრამ ტანჯვას სულ სხვა რამ უდევს საფუძვლად.

არ მინდა წინასწარ ვილაპარაკო ამაზე, მაგრამ ერთი რამ მაინც უნდა აღვნიშნო: თუნდაც დავუშვათ, რომ უმაღლესი და მდაბალი ძალების კონფლიქტი წარმოადგენს ნერვული ტანჯვის მიზეზს, ეს მიზეზი იქნება არა ყოვლისმომცველი, მთავარი და ძირითადი, არამედ ნაწილობრივი.

კონფლიქტს უმაღლესსა და მდაბალ ძალებს შორის შეიძლებოდა (დავუშვათ) გამოეწვია სექსუალური ფსიქონევროზები, ხოლო ამ კონფლიქტში, ამ ბრძოლაში მეცნიერებას მხოლოდ ერთადერთი მიზეზი რომ განეჭვრიტა, მაშინ იგი მხოლოდ სექსუალურ შეკავებას აღმოაჩენდა და ამას იქით ნაბიჯსაც ვერ წადგამდა.

ამ მიმართულებით ბრძოლა ნორმის ფარგლებში ჩდება და პათოლოგიას არ წარმოადგენს.

ჩემი აზრით, ფროიდის სისტემის მანკიერება სწორედ ამ პუნქტში იჩენს თავს.

პავლოვის მიერ აღმოჩენილი მექანიზმების გაუთვალისწინებლად ძნელი არ იქნებოდა მანკიერების, მსგავსი შეცდომის დაშვება.

იმთავითვე შემორჩენილი უზუსტობანი და ბუნდოვნება უმაღლესი ძალების მდაბალ ძალებთან ბრძოლის ფორმულირებაში იძლეოდა მცდარ დასკვნებს და კვლევას ცალმხრივად, სექსუალური ანომალიისკენ წარმართავდა, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი მთლიანის ნაწილი იყო და ამიტომ საკმეს მაინცდამაინც ვერ შველოდა.

ფროიდი ნერვული ტანჯვის მიზეზს უმაღლესი და მდაბალი ძალების ურთიერთკონფლიქტში, თანამედროვე ცივილიზებული ადამიანის გრძნობების ატავისტურ ლტოლვასთან შეხლაში ხედავდა, იგი წერდა:

„კულტურული ცხოვრების წინსვლით აკრძალული, ქვეცნობიერების სიღრმეებში შერჩენილი ეს მიდრეკილებები განაგრძობენ არსებობას, დროდადრო

თავს იჩენენ და ჩვენს ცნობიერებაში დამახინჯებული სახით იჭრებიან...“ მაშასადამე, ცხოველურ ინსტინქტებზე გონების გამარჯვებაში განჭვრეტილი იქნა ტრაგედიის მიზეზი, სხვაგვარად რომ ვთქვათ, დიდი გონება ექვემდებარება დაყენებული.

კაცობრიობის აზროვნების ისტორიას უამრავი მაგალითი მოეპოვება იმისა, როდესაც გონებას მიაწერდნენ ყოველგვარ უბედურებას. ^{ქართულშიც} მას თავს ესხმოდნენ. ეს იმას ნიშნავს, რომ ზოგიერთი ადამიანის ^{გონების} ტრაგედიას ზოგჯერ მაღალ ცნობიერებაში, უმაღლესის მდაბალ ძალებთან კონფლიქტში ხედავდნენ. მათ ეჩვენებოდათ, რომ მდაბალ ინსტინქტებზე გონების გამარჯვება იწვევდა უბედურებას, ავადმყოფობას, ნერვულ ტანჯვას, სულიერ სისუსტეს, ფსიქონევროზებს.

ეს იყო ტრაგედია, რომლის თავიდან ასაცილებლად მხოლოდ ერთ გამოსავალს ხედავდნენ — წარსულისკენ, ბუნების წიაღისკენ პირშებრუნებას, ცივილიზაციისათვის ზურგის შექცევას. ფიქრობდნენ, რომ ადამიანის გონებრივი წინსვლის გზა მცდარი, ხელოვნური და უსარგებლო იყო.

მე არ მიმაჩნია, რომ ეს ფილოსოფია ფაშიზმის ფილოსოფიის მსგავსი იყოს. ფაშიზმს სულ სხვა ძირ-ფესვი აქვს, სხვა რაობა გააჩნია, მაგრამ გონების საკითხში ფაშიზმმა ამ ფილოსოფიიდან რაღაც-რაღაცებს ხაზი გაუსვა, დამახინჯა, გაამარტივა იგი და ფუტურო ადამიანთა დონემდე დაიყვანა.

ბარბაროსობისკენ დაბრუნება ფაშიზმის მიერ მხოლოდ ომის საჭიროებისთვის შემოთავაზებული ფორმულირება როდია, ფაშიზმის თვალსაზრისით ეს გახლავთ ერთ-ერთი ძირითადი მიზანმიმართულება მერმისის ადამიანის იერსახისათვის.

უმჯობესია ბარბაროსობა, ველურობა, ცხოველური ინსტინქტები, ვიდრე ცნობიერების შემდგომი პროგრესიო — აი, მათი მრწამსი.

რა უაზრობაა!

ბარბაროსობისკენ ხელოვნურად პირმიქცეული ადამიანები ვერაფრით ვერ აიცილებდნენ თავიდან იმ ნერვულ სტრესებს, მათ რომ აწამებთ. მაშინ დედამიწაზე იცხოვრებდნენ არამზადები, რომელთაც მოხსნილი ექნებოდათ ყოველგვარი პასუხისმგებლობა საკუთარი ზნედაცემულობისათვის, მაგრამ ეს არამზადები აღრინდელი ტანჯვისაგან მაინც ვერ გათავისუფლდებოდნენ და ტანჯული არამზადები კიდევ უფრო მეტად არაჯანსაღნი გამოჩნდებოდნენ.

პარმონიული ბარბაროსობისაკენ დაბრუნება, რაზედაც ფანტაზიორები ოცნებოდნენ, ათასი წლის წინათაც კი შეუძლებლად იყო მიჩნეული. მაგრამ ამის შესაძლებლობა რომც არსებულებოდა, ტანჯვის გამომწვევი მიზეზი მაინც არ აღმოიფხვრებოდა, რადგან დარჩებოდა ტვინის მექანიზმები. ჩვენ არ ძალგვიძს ამ მექანიზმების მოსპობა, შეგვიძლია მხოლოდ ვისწავლოთ მათი მართვა.

ბავლოვის მიერ აღმოჩენილი მექანიზმები ზედმიწევნით უნდა შევისწავლოთ. ეს გაგვათავისუფლებს იმ საშინელი ტანჯვისაგან, რომელსაც ადამიანები ბარბაროსული მოთმინებით ეგუებოდნენ.

მეცნიერება სრულყოფილი არ არის. ჭეშმარიტება დროის ნაყოფია. მიკვლეული იქნება სხვა, უფრო ზუსტი გზები. ჭერჯერობით კი სიზმრის გულდას-

მითი ანალიზის მეშვეობით შეგვიძლია შევიხედოთ ჩვილის შორეულ სამყაროში, იმ სამყაროში, რომელსაც გონება კონტროლს არ უწევს, დავიწყების იმ ბუჩქში, საიდანაც ზოგჯერ იწყება ჩვენი უბედურება, მთელი ცხოვრების მანძილზე თან რომ გვდევს ხოლმე.

სიზმარს შეუძლია მიგვანიშნოს პათოლოგიური შეკავების მიზეზები, ხოლო პავლოვის პირობითი რეფლექსების სისტემას ამ სიზმრებს მაგალითებზე შეუძლია უბედურებათა თავიდან აცილება.

შეკავების მოხსნა შესაძლებელია.

შეკავების მოხსნა შეიძლება ლოგიკის, დიდი გონების შუქით და არა ბარბაროსობის მიბუთებული სინათლით.

ზემოთქმული გავისიგრძეგანე და მივხვდი, რომ შემეძლო შემეღწია ჩვილის დაბნულ სამყაროში, გასაღები უკვე ხელთ მქონდა.

ლამით გაიღება ქვემო სართულის კარი. ჩემი ცნობიერების გუშაგებს ძილი წაართმევთ თავს და მაშინ სიზმრებში გამოჩნდებიან წარსულის აჩრდილები, ახლა რომ იატაკქვეშეთში იტანჯებიან.

მომესურვა დაუყოვნებლივ შევხვედროდი ამ აჩრდილებს, შემძლებოდა მათი დანახვა, რომ ბოლოს და ბოლოს მიმეგნო იმ ტრაგედიისა თუ შეცდომისათვის, ჩემი ცხოვრების გარიჟრაჟზე, მზის ამოსვლის წინ რომ დამატყდა თავს.

მოვინდომე გამეხსენებინა ამ ბოლო ხანებში ნანახი რომელიმე სიზმარი, მაგრამ თავიდან ბოლომდე ვერც ერთი ვერ აღვადგინე.

მაშინ ჩავუფიქრდი, რა სიზმრებს ვხედავდი უმეტესწილად საერთოდ, ან რას შეეხებოდა ეს სიზმრები.

და უეცრად გამახსენდა, რომ ყველაზე ხშირად ძილში ვხედავდი ვეფხეებს, ჩემს ოთახში რომ შემოდისოდნენ, ვხედავდი ჩემს კართან ატუზულ მათხოვრებს და ზღვას, სადაც ვბანაობდი ხოლმე.

VI შავი წყალი

1

წყალი, ვით ტყვია საშინელი, შავია ისე,
და ამ წყალშია დავიწყება სამარადისო.

შემთხვევით მოვხვდი სოფელში, სადაც ჩემი ბავშვობა გავატარე.

დიდი ხანია ვაპირებდი იქითკენ გამგზავრებას. და აი, ერთხელ, სანაპიროზე რომ დავსეირნობდი, ნავსადგომთან გემი დავინახე, თითქმის ანგარიშმიუცემლად ჩავჯექი შიგ და სოფლისკენ გავემგზავრე.

ეს სოფელი, პესკი, შლისელბურგის ახლოს ნევაზე მდებარეობდა.

ოც წელზე მეტი გავიდა მას შემდეგ, უკანასკნელად აქ რომ ვიყავი.

გემი ჩემს სოფელთან არ გაჩერებულა, იქ ახლა ნავმისადგომი აღარ იყო. ნევაზე ნავით გადაცურვა მომიხდა.

ოპ, რა გულაჩქროლებული გადავედი ნაპირზე, მაშინვე ვიცანი პატარა მრგვალი სამლოცველო, იგი ჯერ კიდევ არ დაენგრია უამთა მსვლელობას. მყისვე გამახსენდა ამ სამლოცველოს პირდაპირ ჩამწყრივებული ქოხები, სოფლის შარაგზა და ფრიადო აღმართი იმ ნაპირზე, სადაც ოდესღაც ნავსადგომი იყო.

აქ ყველაფერი უბადრუკი და მინიატურული მეჩვენებოდა იმ გრანდიოზულ სურათებთან შედარებით, მეხსიერებას რომ შემოენახა.

მივაბიჯებდი შარაზე, სადაც ყველაფერი ნაცნობი იყო ჩემთვის, გარდა ადამიანებისა. შემხვედრთაგან ველარავის ვცნობდი.

მაშინ იმ სახლის ეზოსკენ გავუხვიე, სადაც ოდესღაც ეცხოვრობდით.

ქიშკართან ხანდაზმული ქალი დავინახე. ხელში ნიჩაბი ეჭირვა, იყო ეზოში შემოხეტებული ხბო გადაედენა და ახლა გულმოსული და გაცეცხლებული იდგა.

ლაპარაკის გუნებაზე არ იყო, მაგრამ მე დავუსახელე რამდენიმე გვარი, რომელთა გახსენება შეეძელი. ის ხალხი ხომ ამ სოფელში ცხოვრობდა.

აღმოჩნდა, რომ ყველა გარდაცვლილიყო.

მაშინ ჩემი გვარი ვუთხარი, ჩემი მშობლები ვახსენე.

ქალს სახეზე ღიმილი მოეფინა, მითხრა, მაშინ სულ ახალგაზრდა ვიყავი, თუმცა თქვენი განსვენებული მშობლები ძალიან კარგად მახსოვანო. მერე ჩემი ნათესავების და ნაცნობების გვარებიც ჩამომითვალა, მაგრამ ცოცხლებში არც მათგან ერია ვინმე.

გულსევდიანი გავბრუნდი ჩემი ნავისკენ.

გულსევდიანი გავუყევი სოფლის შადგავას. ქუჩები და სახლები იგივე იყო, მაგრამ ახლა აქ სულ სხვა ხალხი დამიხვდა. ძველებმა სტუმრებივით იცხოვრეს, დაასრულეს თავიანთი სიცოცხლე და წავიდნენ, გაქრნენ, უკან ველარასოდეს მობრუნდებოდნენ.

ასე მეგონა, იმ დღეს გავიგე, რა იყო სიცოცხლე, რას მოასწავებდა სიკვდილი და როგორ მართება ადამიანს ეცხოვრა ამქვეყნად.

2

წარმოუდგენლად გულდამძიმებული დავბრუნდი შინ, ჩემს ბავშვობაზე და ძიების საგანზე ფიქრიც კი შევწყვიტე. ჩემთვის ყველაფერი განურჩეველი გახდა.

ყველაფერი სისულელედ, არაარობად მეჩვენა სიცოცხლის იმ ხანმოკლე გაელვებასთან შედარებით, დღეს რომ ვნახე და განვიცადე.

ღირს კი ფიქრი, ბრძოლა, ძიება, თავის დაცვა, ღირს ბატონ-პატრონივით მოიკალათო ამ წუთისოფელში, ეპოტინებოდე სიცოცხლეს, ასე ერთბაშად, გულსატკენი და კომიკური სისწრაფით რომ გიქრება თვალსა და ხელს შუა?

ხომ არ სჯობია, უდრტვინველად გალიო სიცოცხლე, იცხოვრო ისე, როგორც გეცხოვრება და შენი უბადრუკი ადგილი ამქვეყნად სხვა ამომავალ ყლორტებს დაუთმო?

ღრმად დაფიქრებულს, გვერდით ოთახიდან ვიღაცის სიცილი შემომესმა. გამიკვირდა, რომ ადამიანებს შეეძლოთ სიცილი, ხუმრობა, ლაპარაკი, მაშინ, როდესაც ირგვლივ ყველაფერი ასე სულელური, ასე უაზრო და გულისმომწყველელი იყო.

მომეჩვენა, რომ სიკვდილი უფრო ადვილი და არაფრად მისაჩნევი იყო, ვიდრე მორჩილებით მოლოდინი იმ ხვედრისა, ყველა ჩვენგანს რომ ელის, და ეს გადაწყვეტილება მოულოდნელად სიმამაცის გამოვლინებად მივიჩნიე. რა-

როგ გავევოცდებოდე მაშინ, ჩემთვის რომ ეთქვათ ის, რაც ახლა შესანიშნავად ვიცი. ეს სიმამაცე კი არა, ინტანტილურობის უკიდურესი გამოვლინება იყო. იგი ნაკარნახევი იყო ჩვილის შიშით წინაშე იმისა, რის აღმოჩენასაც ვესწრათ, ეს უკვე წინააღმდეგობას, გაქცევას ნიშნავდა.

გადავწყვიტე ყველაფრისთვის თავი მიმენებებინა და მხოლოდ წყვეტილებით ძილს მივეც თავი.

ლამით რაღაც კოშმარულმა სიზმარმა გამომალვია. ისე ვიყავი შეშინებული, რომ გამოღვიძების შემდეგაც ცხროიანივით ვცახცახებდი.

ლამბა ავანთე და სიზმარი ჩავიწერე, რომ დილით თუნდაც უბრალო ცნობისმოყვარეობის გამო ჩავკვირდებოდი.

მაგრამ ძილი აღარ მეკარებოდა და ისევ სიზმარს მივუბრუნდი. კაცმა რომ თქვას, ეს სიზმარი ზედმიწევნით სულელური ჩანდა. აბოზოქრებული მდინარე და მღვრიე, თითქმის შავი წყალი მეზმანა. წყალში რაღაც თეთრი მოჩანდა, არ ვიცი, ქალაღი თუ ნაჭერი. მე ნაპირზე ვიყავი და ჩეხა-მტვრევით გავრბოდი იქიდან. მინდოდა მინდვრამდე მიმეღწია... მინდორი რატომღაც ლურჯი იყო. უკან ვიღაც მომდევდა. ის-ის იყო, მხარში უნდა მწვდენოდა, — უკვე წამებოტინა კიდევ — რომ დავუსხლტი და ისევ გავიქეცი. ჩავუფიქრდი ამ ჩემს სიზმარს, მაგრამ ვერაფერი გავუგე. მერე გავიფიქრე, ისევ წყალი მესიზმრამეთქი, მუქი, შავი წყალი... და უეცრად გამახსენდა ბლოკის ლექსი.

ძველისძველია ეს სიზმარი და წყვდიადიდან
საით გარბიან მაშუქები, იქ ვინ ატირდა?
იქ ხომ წყალია უშავესი და უნიათო,
სამარადისო დავიწყებას იქვე ბინადრობს...

ბლოკის სიზმარი ჩემსას წააგავდა.

მე გავუბოდე შავ წყალს... გავუბოდი „სამარადისო დავიწყებას“.

3

გავიხსენე წყალთან დაკავშირებული ჩემი სიზმრები. აი, აბოზოქრებულ ზღვაში ვბანაობ, ტალღებს ვებრძვი. აჰა, მუხლამდე წყალში სადღაც მივტოპავ, ან ნაპირზე ვზივარ და ტალღები ჩემს ფეხებთან ტყლაშუნობს, ანდა კიდევ-კიდევ მივუყვები სანაპიროს, წყალი კი სულ მაღლა და მაღლა მთიწევს. შიში ფეხებს მიხუთავს, მაგრამ მაინც გავრბივარ.

გამახსენდა კიდევ ერთი სიზმარი. ჩემს ოთახში ვზივარ, უეცრად ყველა ჭუჭრუტანიდან ამოხეტია წყალმა, კიდევ წუთიც და ოთახი წყლით აივსო.

ამგვარი სიზმრების შემდეგ ჩვეულებრივ გულდამძიმებული, თითქმის ავადმყოფი ვიღვიძებდი, მოჟამულ გუნებაზე ვიყავი და სევდაც მეძალებოდა.

იქნებ ლენინგრადის ხშირმა წყალდიდობებმა გავლენა იქონია ჩემს ფსიქიკაზე? იქნებ კიდევ სხვა რაღაც იყო წყალთან დაკავშირებული?

გავიხსენე ყველაფერი ის, რაც ჩემი უბედური შემთხვევის ძებნასთან დაკავშირებით მქონდა ჩაწერილი: მოთხრობა დამხრჩვალზე, წყალდიდობაზე, ძლივს რომ გადავურჩი ერთხელ დახრჩობას და ჩემი დაც კინაღამ წყალმა რომ წაიღო.

ცხადია, წყალი დაკავშირებული იყო რაღაც ძლიერ განცდასთან, მაგრამ რასთან?

იქნებ საერთოდ მეშინოდა წყლისა? არა, პირიქით, ზომაზე მეტად კი მიყვარს წყალი, შემოდის საათობით ვუცქირო ზღვას, ჩვეულებრივ მუდამ იქით მივემგზავრები, სადაც ზღვა ან მდინარე მეგულება, ყოველთვის ვცდილობდი ისეთ ოთახში დავბინავებულიყავი, ფანჯრები წყლისკენ მიქცეული რომ ჰქონდა. ყოველთვის ვოცნებობდი მეცხოვრა სადმე ნაპირზე, ზედ წყალთან, ისე რომ ტალღებს ჩემი სახლის პარმალზე ედგაფუნათ.

ზღვას და მდინარეს არაიშვიათად დაუბრუნებია ჩემთვის სიმშვიდე, ვუხსნივარ მელანქოლიისაგან, ასე ხშირად რომ მეწვეოდა ხოლმე.

მაგრამ იქნებ ეს წყლის სიყვარული კი არა, მისდამი შიშის გრძნობა იყო. იქნებ ამ გადაჭარბებული სიყვარულის მიღმა მოკრძალებული შიში იყო ჩასაფრებული.

იქნებ წყლის ცქერით კი არ ვტკბებოდი, ვაკვირდებოდი, ვუთვალთვალებდი მას? თუმცა შესაძლოა, ვტკბებოდი კიდევაც, როდესაც ჩანთქმას არ მიპირებდა?

ეგება ნაპირიდან, ჩემი ოთახის ფანჯრიდან თვალს ვადევნებდი წყალს. მის სიახლოვეს ყოფნა მიტომ მქონდა ამოჩემებული, რომ ფხიზლად ვყოფილიყავი, რათა მოულოდნელად არ ემუხთლა ჩემთვის. ეგება ეს ის შიშია, ჩემს ცნობიერებამდე რომ ვერ აღწევს, ლოგიკისა და გონების კონტროლით გაძევებული შიში, ჩემი ფსიქიკის ქვემო სართულზე რომ მოკალათებულია?

გამეცინა — ისე სასაცილო მეჩვენა ეს ყველაფერი, მაგრამ ამასთანავე, როგორც ეტყობოდა, ჩემს მსჯელობაში სიმართლის მარცვლებიც ერია.

საეჭვო აღარაფერი იყო. ჩემს ცნობიერებაში ბუდობდა წყლისადმი შიში, მაგრამ იგი დეფორმირებული, სხვაგვარი, სახეშეცვლილი ჩანდა.

4

ახლა თითქოს ეს სიზმარიც გასაგები შეიქნა ჩემთვის. ეჭვგარეშეა, იგი ჩემი თოთოობის ხანას განეკუთვნებოდა. მის არსს რომ ჩავწვდენოდი, უნდა გვერდი ამევლო ჩვეულებრივი წარმოდგენებისათვის, ჩვილის სახეებით უნდა მეაზროვნა და მისი თვალებით მემზირა.

რა თქმა უნდა, მთლად მისი სახეებით არა, — ეს სახეები უდავოდ ძალზე მარტივი იყო. წელთა მსგელელობასთან ერთად ისინიც იცვლებოდნენ, მაგრამ სიმბოლური მნიშვნელობები, როგორც ეტყობა, იგივე რჩებოდა.

მღვრიე, აბობოქრებული წყალი ეს აბაზანა ან წყლით სავსე როფი იყო. ლურჯი ნაპირი — საბანი, თეთრი ჩვარი — სახვევი, რომელსაც წყალში ტოვებდნენ. ბავშვი ბანაობის შემდეგ წყლიდან ამოიყვანეს. ჭერჭერობით „გადარჩენილია“, მაგრამ საფრთხე არ გამქრალა.

ისევ სიცილმა მომისწრო. ეს ყველაფერი თუმცაღა სასაცილო, მაგრამ მაინც უდავო და უეჭველი იყო.

კი, მაგრამ, შიშით დამუხტული რატომღა ვიყავი? ყველა ჩვილს აბანებენ, ყველა ჩვილს აჭყუმბლავებენ წყალში. ამის გამო ისინი შიშით როდი იზაფრებიან, რალა მაინცდამაინც მე ვიყავ გამონაკლისი?

მაშასადამე, წყალი არ ყოფილა პირველი მიზეზი, — გაეფიქრე, ალბათ იყო შიშისმომგვრელი სხვა ობიექტები, რომლებიც წყალთან იყვნენ დაკავშირებული.

აქ უცებ გამახსენდა პირობითი რეფლექსების პრინციპი.

ერთ გამლიზიანებელს შეუძლია წარმოქმნას გალიზიანების რეფლექსი, რადგან მათ შორის შეიძლება აღმოცენდეს პირობითი ნერვული კავშირები.

მარტოოდენ წყალს, მე რომ მაბანებდნენ, არ შეეძლო ესოდენი აღელვება გამოეწვია. მაშასადამე, წყალი პირობითად კიდევ რაღაცასთან იყო დაკავშირებული. ესე იგი, ეს არ იყო წყლისადმი შიში, მაგრამ წყალი მაინც აღმიძრავდა შიშის გრძნობას, რადგან ნერვული კავშირები მას კიდევ რაღაც საფრთხესთან აკავშირებდნენ. აი, რა თვალსაზრისით გადავჭერი ეს საკითხი, და რატომ ამეკვიატა წყლისადმი შიში.

კი მაგრამ, რასთან იყო წყალი დაკავშირებული? რა სახის „საწამლავს“ შეიცავდა იგი? რა უნდა ყოფილიყო ეს მეორე გამლიზიანებელი, ასეთ მძაფრ პასუხს რომ იწვევდა?

ჯერჯერობით თავი დავანებე მარჩიელობას, მეორე გამლიზიანებლის, ალგზნების მეორე კერის ძებნას, რომლისკენაც ასე აშკარად მიემართებოდა ნერვული კავშირები. თუმცა ეს გამლიზიანებელიც ნაწილობრივ უკვე ჩანდა იმავე სიზმარში. ბავშვის სამყარო მეტისმეტად შეზღუდულია, ობიექტების რიცხვი. ძალზე მცირეა, გამლიზიანებლებიც ცოტაა, მაგრამ ჩემი გამოუცდელობის წყალობით ვერ შევძელი იმთავითვე აღმომეჩინა ეს მეორე გამლიზიანებელი.

ამოცანა ამოხსნილი არ იყო, მაგრამ გასაღები ხომ ხელთ მქონდა!

მომავალმა ცხადჰყო, რომ ძირითადად არ შევმცდარვარ. შევცდი მხოლოდ ალგზნების კერათა რაოდენობის გამოთვლაში. აქ ორი კი არა, პირობითი კავშირების ურთულესი ქსელით გადახლართული რამდენიმე კერა აღმოჩნდა, ალგზნების წარმოქმნილი კერების კომბინაციის შედეგად ამა თუ იმ პასუხის მიღება შეიძლებოდა.

5

პირობითი რეფლექსების პრინციპის მიხედვით, ნერვულ კავშირებს დროებითი ხასიათი აქვთ. მათ წარმოსაქმნელად და განსამტკიცებლად საჭიროა ცდების განმეორება, გარეშე ამისა, ეს რეფლექსები შეიძლება ჩაქრეს ან სულაც მოიშალოს.

ჩვენს შემთხვევაში ბავშვისთვის წყალი ხშირად განმეორებული გამლიზიანებელი იყო, გამეორებებს უეჭველად ჰქონდა ადგილი. ჯერ კიდევ არ ვიცოდი, რას წარმოადგენდა მეორე გამლიზიანებელი, მაგრამ ვხვდებოდი, რომ შესაძლებელი იქნებოდა წყალთან მისი პირობითი კავშირით განმტკიცება.

კი მაგრამ, შემდგომ, ბავშვის ზრდასთან ერთად, ეს კავშირი ხომ უნდა გაწყვეტილიყო, ხომ არ შეიძლებოდა განმეორებებს მუდმივად ჰქონოდა ადგილი? ბავშვი და ჭაბუკი თუ არა, ბოლოს და ბოლოს მოწიფული მამაკაცი როგორ ვერ შეძლებდა გაეწყვიტა ეს არასწორი, მცდარი კავშირი? (ეს კავშირი არასწორი და მცდარი რომ იყო, ამაში ეჭვი არ მეძარებოდა).

გონებრივი განვითარება მართლაც ებრძვის არასწორ, მცდარ, არალოგი-

კურ წარმოდგენებს, მაგრამ ბავშვის ზრდა-განვითარებასთან ერთად შეიძლება აღმოცენებულიყო შიშის აღმძვრელი ობიექტის სხვა, უფრო ლოგიკური დამამტკიცებლები.

ერთხელ კიდევ გადავავლე თვალი ჩემს მოგონებებს წყალთან დაკავშირებით. წყლის საშიშროების დამამტკიცებლები ყოველ ფეხის ნაბიჯზე მხვდებოდა. წყალში იხრჩვებოდნენ ადამიანები, ხომ შეიძლებოდა, მეც დავხრჩვებოდი?

წყალი ტბორავდა ქალაქს, წყალში თავს იხრჩობოდნენ და ასე შემდეგ. რა საფუძვლიანად არის დადასტურებული წყლის საშიშროება.

რა თქმა უნდა, ყოველივე ამას შეიძლებოდა შეეშინებინა ბავშვი, დაემტკიცებინა მისთვის, რომ სწორი იყო ის წარმოდგენები, თოთოობისას რომ აღიქვამდა.

ეს თავისებური „მცდარი“ დამამტკიცებლები შეიძლებოდა მთელი სიცოცხლის მანძილზე არ ჩამომშორებოდა და ასეც იყო. წყალი ინარჩუნებდა შიშისმომგვრელ ელემენტებს, კვებავდა ადრინდელ შიშს. შეიძლებოდა წყალთან დაკავშირებით აღმოცენებული დროებითი კავშირები კი არ გამჭრალიყო, პირიქით, უფრო მეტად განმტკიცებულიყო, მაშასადამე, ადამიანის გონებრივი განვითარებისას დროებითი პირობითი კავშირები კი არ ქრება, უბრალოდ გარდაიქმნება. გონებას ისინი თავის დონემდე აჰყავს, იქნებ პირმოთნეობით გამოატყვრენს კიდევაც ამ დამამტკიცებლებს და მაინცდამაინც არცთუ გულდაგულ ამოწმებს, რადგან ისინი, არაჯანსაღ ნიადაგში მოხვედრის შედეგად შემოწმების გარეშეც ეგუებიან ლოგიკას.

ეს ცრუ დამამტკიცებლები არაიშვიათად ერწყმიან ჭეშმარიტ დამამტკიცებლებს. წყალი მართლაც საშიშია, მაგრამ ნევრასთენიკი ამ საშიშროებას სხვაგვარად აღიქვამს და მისი რეაქციაც ამ საშიშროებისადმი შედარებით განსხვავებულია.

6

მაგრამ, თუკი ასეა, თუ ჩემი ფსიქონევროზის კომბინაციაში წყალი მართლაც წარმოადგენდა ერთ-ერთ შიშისმომგვრელ ელემენტს, ერთ-ერთ გამლიზიანებელთაგანს, რა უბადრუკი და ნაღვლიანი სურათი უნდა გადაშლილიყო ჩემ წინაშე.

მე ხომ სწორედ წყლით მწამლობდნენ, სწორედ წყლის საშუალებით ცდილობდნენ მელანქოლიისაგან ჩემს განკურნებას.

წყალი იყო ჩემი წამალი — გარეგანიც და შინაგანიც: აბაზანებში მსვამდნენ, მიწერდნენ შხაპებს, მაგზავნიდნენ ზღვაზე — სამოგზაუროდ და საბანაოდ.

ღმერთო ჩემო! მართა ასეთი მკურნალობით შეიძლებოდა მელანქოლიკი გაემხდარიყავი.

ამგვარ მკურნალობას შეეძლო გაეძლიერებინა კონფლიქტი და გამოუვალი მდგომარეობა შეექმნა.

მაგრამ წყალი ხომ მხოლოდ ნაწილი იყო ჩემი უბედურებისა, მხოლოდ ერთი უმნიშვნელო ნაწილთაგანი.

თუმცა მკურნალობის გამო გამოუვალი მდგომარეობა არ შემქმნია, შედეგად თავიდან ამეცილებინა იგი და ასეც მოვიქეცი—მკურნალობა შევწყვიტე. წამლობა რომ აღარ გამეგრძელებინა, ერთი უაზრო თეორია შევთხოვე: ადამიანმა ჯანმრთელობა რომ შეინარჩუნოს, მუდმივად და განუწყვეტლივ უნდა იმუშაოს-მეთქი. კურორტებზე აღარ მივდიოდი, ეს ზედმეტ-ფუფუნებად მიმაჩნდა.

ასე იყო ისე, მკურნალობას თავი დავალწიე, მაგრამ არ შედეგად თავიდან ამეცილებინა ის. რაც შიშს აღმიძრავდა და მუდამ მაკრთობდა. ეს შიში გაუცნობიერებელი იყო, მის არსებობაზე წარმოდგენაც კი არ მქონდა. რადგან ჩემი ფსიქიკის ქვედა სართულზე იყო მიყუჟული, ჩემი ცნობიერების გუშაგები არ ათავისუფლებდნენ მას, და მხოლოდ ღამით შეეძლო მოქმედება, როდესაც ჩემი ცნობიერება კონტროლგარეშე რჩებოდა.

ეს შიში ღამეული ცხოვრებით ცხოვრობდა, დღისით კი შიშისმომგვრელობიექტთან ურთიერთობისას იგი მხოლოდ არაპირდაპირი გზით მქლავნდებოდა, მისი სიმპტომები ამოუხსნელი იყო და მართლაც შეეძლო ეჭიმებისათვის თავგზა აერია.

ჩვენ ვიცით, რა არის შიში, ვიცით, რა ზეგავლენას ახდენს ჩვენი ორგანიზმის მუშაობაზე. ვიცნობთ მის თავდაცვით რეფლექსებს, რომელთაც საფუძვლად უდევთ მისწრაფება საშიშროებათა თავიდან აცილებისა.

შიშის სიმპტომები სხვადასხვანაირია, ისინი დამოკიდებული არიან შიშის სიძლიერეზე. ეს სიმპტომები გამოიხატება სისხლძარღვთა შევიწროებაში, კუჭ-ნაწლავის სპაზმებში, კუნთების კრუნჩხვაში, გულისცემის აჩქარებაში და ასე შემდეგ. მომეტებული შიში კი იწვევს მთლიან ან ნაწილობრივ დამბლას.

სწორედ ამგვარ სიმპტომებს წარმოქმნიდა ჩემ მიერ განცდილი გაუცნობიერებელი შიში. გამიხშირდა გულის შეტევები. სულთქმა მეხუთებოდა, სპაზმები და კუნთების ნერვული კრუნჩხვები მაწამებდა.

უპირველეს ყოვლისა, ყველაფერი ეს შიშის სიმპტომები იყო. ქრონიკული შიში იწვევდა სხეულის ნორმალური ფუნქციების მოშლას, ქრონიკულ დაავადებებს, ხანგრძლივ შეკავებას.

ეს სიმპტომები ეფუძნებოდა „მიზანშეწონილობას“, ისინი მიღობავდა გზას „საშიშროებისკენ“ და მაიძულებდა გავქცეულიყავი.

ცხოველი თავს იმკვდარუნებს, როცა ხედავს, რომ საფრთხეს ვერსად წაუვია.

ზოგჯერ, როცა საფრთხეს თავს ვერ გავარიდებდი, მეც ვიმკვდარუნებდი, მოვიავადმყოფებდი ხოლმე თავს, სისუსტეს მოვიგონებდი. ყველაფერი ეს რთული პასუხი გახლდათ გარედან მიღებულ გაღიზიანებაზე, ვინაიდან პირობითი ნერვული კავშირები, როგორც შემდგომ დავინახავთ, მეტისმეტად რთული იყო.

შეიძლება დავუშვათ, რომ ამგვარად იქცევა ბავშვი, როდესაც „საფრთხის“ ავიდან აცილება სურს. მაგრამ როგორ იქცევა ზრდასრული ადამიანი?

როგორ ვიქცეოდი მე? ნუთუ არ ვებრძოდი ამ სისულელეს? ნუთუ მართლა

მხოლოდ გაქცევით ვშველოდი თავს? ნუთუ მართლა უბადრუკი მტერის ნაწილაკი ვიყავი და ქარის წამოჭროლისას აქეთ-იქით დავწიალებდი?

არა, მე ვიბრძოდი, თავს ვიცავდი ამ გაუცნობიერებელი უბედურობის-აგან და ეს თავდაცვა მუდამ შეესატყვისებოდა ჩემი განვითარების დონეს.

ბავშვობაში ეს თავდაცვა მუდამ მუდამ გაქცევაში და აგრეთვე სურვილში დამეპყრო, „ამეთვისებინა“ წყალი. ვცადე ცურვა მესწავლა, მაგრამ აზრად ვერ მომივიდა, შიშს მაგრად ვყავდი ჩაქერილი.

ცურვა მხოლოდ ჭაბუკობისას ვისწავლე, როდესაც შიშის დათრგუნვა შეეძლო. ეს ჩემი პირველი და ერთადერთი გამარჯვება იყო, მახსოვს, როგორ ვამაყობდი ამით.

ჩემს ცნობიერებას ბრძოლა შემდგომაც აუცილებლად მიაჩნდა, მუდამ საამისოდ მიბიძგებდა, მუდამ ვისწრაფოდი ჩქარა შეგხვედროდი ჩემს უძლეველ მოწინააღმდეგეს, რომ ერთხელ კიდევ გამეტოლებინა მისთვის ძალა.

სწორედ ეს გახლდათ ის წინააღმდეგობრიობა, შიშს რომ ნიბავდა.

მე არ გავუბრძოდი გემებს, ნავეებს, არ გავუბრძოდი ზღვას. ჩემი შიშის ჯიბრზე თითქოს განგებ ვიწვევდი ამ უძლეველ სტიქიონს ბრძოლაში. ჩემს ცნობიერებას არ სურდა ელიარებინა დამარცხება, არც ის უნდოდა, სულმოკლეობა რომ გამოემჟღავნებინა. მახსოვს ფრონტზე ასეთი შემთხვევა, — ბატალიონს პოზიციებისკენ მივუძღვებოდი, უეცრად გზა მდინარემ მოგვიჭრა. წუთიერად შევცბუნდი, ფონი თავთხელი იყო, მიუხედავად ამისა, მზვერავები ზევით-ქვევით დავგზავნე, რომ უფრო მარჯვე გადასასვლელი გვეპოვა, გულში ვიმედოვნებდი, სადმე წააწყდებოდნენ დამშრალ ადგილს მეორე ნაპირზე გადასასვლელად.

ზაფხული ის-ის იყო ძალას იკრებდა და არ შეიძლებოდა ამგვარი გადასასვლელი შეგხვედროდა.

მე მხოლოდ წუთით შევჩქვიფდი, შემდეგ ვუბრძანე მზვერავები უკანვე მოებრუნებინათ და ბატალიონი მდინარეზე გადავიყვანე.

მახსოვს, როგორ ვღელავდი, წყალში ფეხი რომ შევდგი, გულის ძგერა ვერა და ვერ დავიოკე.

შემდგომ აღმოჩნდა, რომ სწორად მოვიქეცი. გადასასვლელები ყველგან ერთნაირი იყო, ბედნიერი ვიყავი, ბატალიონი რომ არ დავაყოვნე და გაბედულება გამოვიჩინე.

მაშასადამე, ბრმა იარაღი არ ვყოფილვარ ამ ჩემი შიშის ხელში.

მე მუდამ ისე ვიქცეოდი, როგორც მკარნახობდა მოვალეობის გრძნობა, შეგნება, სინდისი, მაგრამ კონფლიქტს, რომელიც არაიშვიათად აღმოცენდებოდა ასეთ დროს, ავადმყოფობამდე მივყავდი.

შიში ჩემი ცნობიერების გარეშე მოქმედებდა. გაღიზიანებაზე მძაფრი პასუხიც უნებლიე იყო, მაგრამ ავადმყოფური სიმპტომები შეტისმეტად აშკარად იჩენდა თავს, მათ შესახებ არაფერი ვიცოდი, ეჭიმები კი ამ სიმპტომებს ნევროზებს, დაღლილობას მიაწერდნენ.

მე მაინც განვაგრძობდი გაუცნობიერებელ შიშთან ბრძოლას, მიუხედავად იმისა, რომ ძალთა უთანასწორობას ვგრძნობდი, მაგრამ რა უცნაურად წარმოებდა ეს ბრძოლა, რა უცნაური გზების გამონახვა დამჭირდა საექვო გამარჯვების მისაღწევად.

ოცდაათი წლის კაცს წყლის შესწავლით უნდოდა შიშისაგან ეხსნა თავი, ბრძოლა ცოდნაზე, მეცნიერებაზე იყო დაფუძნებული.

გასაოცარი იყო ეს ყველაფერი, რადგან ამ ბრძოლაში ცნობიერება მონაწილეობდა. ხეირიანად ვერც კი გავრკვეულვარ, როგორ გამოიკვეთა საბრძოლო გზები. ცნობიერებისათვის ცნობილი არ იყო უბედურების მექანიზმები და იქნებ სწორედ ამიტომ არჩეული იქნა საერთო გზა, თითქოს სწორიც, მაგრამ აღნიშნული შემთხვევისთვის მცდარი და კომიკურიც კი.

ჩემი რვეულები, უბის წიგნაკები თანდათანობით ივსებოდა ცნობებით და მონაცემებით წყალზე.

ეს რვეულები ახლა ჩემ წინაშე აწყვია. ღიმილით ვფურცლავ მათ. აი, ჩანაწერები მსოფლიოში ყველაზე ძლიერ ქარიშხალსა და წყალდიდობებზე, აი, ზუსტი მონაცემები ზღვებისა და ოკეანეების სიღრმეთა შესახებ, ცნობები ყველაზე მეტად ბოხოქარ მდინარეებზე, კლდოვან ნაპირებზე, სადაც გემებს მიახლოებაც კი არ შეუძლიათ, წყალვარდნილებზე.

აი, ცნობები წყალწაღებულებსა და მათთვის პირველი დახმარების აღმოჩენაზე. აგერ წითელი ფანქრით გახაზული ჩანაწერი:

„დედამიწის ზედაპირის 71 პროცენტი იმყოფება წყალქვეშ, ხმელეთს მხოლოდ 29 პროცენტი უჭირავს“.

წითელი ფანქრით კი მიმიწერია:

„დედამიწის 3/4 წყალია“.

აი, კიდევ ტრაგიკული ჩანაწერები, საიდანაც ჩანს, რამდენ პროცენტს შეადგენს წყალი ადამიანის, ცხოველების ორგანიზმში, მცენარეებში.

„თევზები — 70-80%, მეღუზეებში — 96%, კარტოფილში — 75%, ძვალში — 50%“.

რა უზარმაზარი და რარიგ უაზრო სამუშაო შემისრულებია!

აჰა, მთელი რვეული აჭრელებულია ჩანაწერებით ქარზე, გრიგალზე, ეს გასაგებიცაა, ქარი იწვევს წყალდიდობას, შტორმებს...

მომყავს ერთი ადგილი ამ ჩანაწერებიდან:

„წამში სამი მეტრი — ირხევა ფოთლები;

წამში ათი მეტრი — ირხევა დიდი ტოტები;

წამში ოცი მეტრი — ძლიერი ქარი;

წამში ოცდაათი მეტრი — გრიგალი;

წამში ოცდათხუთმეტი მეტრი — გრიგალი, რომელიც გადაიზრდება ქარიშხალში.

წამში ორმოცი მეტრი — გრიგალი, რომელიც ანგრევს სახლებს“.

ჩანაწერის ქვეშ მინაწერია: „ტაი — გამანადგურებელი, ფუნგ — ქარი. ტაიფუნი 1892 წელს (კუნძული მავრიკია) წამში ორმოცდახუთი მეტრი“.

აჰა, კიდევ ერთი რვეული, რომელიც ეხება წყალდიდობას ლენინგრადში.

ამ რვეულების ფურცლისას ჯერ ვიღიმებოდი, მერე და მერე ღიმილი მწუხარებამ შეცვალა. რა ტრაგიკული ბრძოლის გადატანა მომიხდა! რა „ინტელექტუალური“ და ამასთანავე ბარბაროსული გზა გამოიყენა ცნობიერებამ სა-

იმისოდ, რომ ცოდნის მეშვეობით „დაუფლებოდა“ მოწინააღმდეგეს, გაექარწყლებინა შიში და გამარჯვება მოეპოვებინა.

9



ეს გზა აისახა ჩემს ნაწერებში, ჩემს ნაწარმოებებში. მაგრამ სულაც არ მინდა იმის თქმა, რომ ამ გზამ, შიშმა და ამ შიშის აღმოფხვრის სურვილმა — წინასწარ განსაზღვრა ჩემი ცხოვრება, ჩემი ნაბიჯები, საქციელი, მელანქოლია, ჩემი ლიტერატურული მისწრაფებანი.

ჭეშმარიტად რომ არა, ყველაფერი ისევე იქნებოდა, ვითომ შიშს ჩემს გულში არც კი გავეღოს, მაგრამ ახლა შიში ზღუდავდა ჩემს ნაბიჯებს, აძლიერებდა ავადმყოფობას, მელანქოლიას, რასაც შეიძლებოდა შიშის გარეშეც, სხვათა და სხვათა მიზეზთა გამო (რაც თანაბრად ეხება ყველა ადამიანს) მაინც ჩაეჭიდა ჩემთვის ხელი.

შიშს წინასწარ არ განუსაზღვრავს ჩემი ცხოვრების გზები, მაგრამ ჩემზე უდიდესი გავლენა იქონია, ამიტომ მისი გაუთვალისწინებლობა უეჭველი შეცდომა იქნებოდა.

საკითხი უფრო რთული ვითარებაში უნდა გადაჭრილიყო.

ეს სირთულე ჩვენ დაგინახეთ ჩემს ქცევაში. ძირითადი მამოძრავებელი ძალა იყო არა შიში, არამედ სხვა ძალები — მოვალეობის გრძნობა, გონება, სინდისი. ეს ძალები მდაბალ ძალებზე უფრო ძლიერი აღმოჩნდა.

ჩემი ქცევა ძირითადად გააზრებული იყო. შიში ბრმასავით ხელჩაკიდებული როდი მიმაჩნდა ჩალებდა, მაგრამ იგი გულში მქონდა ჩაჭედილი, ხელს უშლიდა ჩემი სხეულის ნორმალურ მუშაობას, მაიძულებდა გვერდი ამევლო „საფრთხისთვის“, თუ უფრო მაღალი გრძნობები ან მოვალეობის შეგრძნება არ მბოჭავდა. ეს შიში მავიწროვებდა და, რაც მთავარია, ჩემს ჯანმრთელობაზე ახდენდა ზემოქმედებას.

ჩემი ცნობიერება ცდილობდა მის გაძევებას. გონებრივმა განვითარებამ ცოდნის გზა აიჩია. ლიტერატორის პროფესიული ჩვევებიც მონაწილეობდნენ ამ ბრძოლაში. იმ თემათა შორის, სხვებზე მეტად რომ მაინტერესებდა, — წყალთან დაკავშირებული თემაც იყო, ეს თემა განსაკუთრებით მიზიდავდა.

ნახევარი წელიწადი ებრონის მასალებზე ვმუშაობდი, „შავი პრინცის“ დაღუპვის ისტორიას ვსწავლობდი.

წიგნზე მუშაობისას გულდაგულ ვიკვლევდი ამ თემასთან დაკავშირებულ საკითხებს. მივემგზავრებოდი ადგილზე, ვეცნობოდი წყალქვეშა სამუშაოებს, ვაგროვებდი მასალებს ყველა სიახლესა თუ გამოგონებაზე ამ დარგში.

დავასრულე თუ არა „შავ პრინცზე“ მუშაობა, მაშინვე დავიწყე მასალების შეგროვება წყალქვეშა ნავის „55“-ის დაღუპვის თაობაზე. ეს წიგნი არ დამისრულებია, თემამ ჩემთვის ინტერესი დაკარგა, რადგან ამ დროისთვის ბრძოლის უფრო გონივრული გზა გამოვჩნა.

ამრიგად, წყლის ყველანაირ თვისებათა შესწავლით მინდოდა თავი დამეღწია გაუცნობიერებელი შიშისათვის. ამ შიშს მაინცდამაინც წყალს ვერ მივაჩენებდი, მაგრამ წყალი იწვევდა შიშის გრძნობას, ვინაიდან პირობითად დაკავშირებული იყო შიშის აღმძვრელ სხვა ობიექტებთან.

ამ შიშთან ბრძოლა (ამას განმეორებით ვამბობ) ჩემი გონებრივი განვითარების შესაბამისად წარმოებდა.

რა ტრაგიკული იყო ეს ბრძოლა, რაოდენ მწუხარებასა და დამარცხებას მიქადდა იგი, რამდენი უბედურების გადატანა მომიხდა...

რა უბედურება შეიძლებოდა დაეტება ჩემთვის დიდ გონებას?

ჯერჯერობით შეიძლება ლაპარაკი გონებაზე, რომელსაც აქვია ცოდნა, შეიძლება ლაპარაკი პატარა, უბადრუკ ველურზე, რომელიც დილის მზის სხივებით ოდნავ განათებულ მთის ვიწრო ბილიკზე დაეხეტება.

მაშასადამე, პირველი ნაბიჯები უბედური შემთხვევის დასადგენად გადადგმული იყო.

ეს უბედური შემთხვევა მოხდა მაშინ, როდესაც ჩვილი პირველად ეცნობოდა გარე სამყაროს, განთიადის ბინდბუნდში, მზის ამოსვლის წინ.

თუმცა ამას არც შეიძლება შემთხვევა ეწოდოს. ეს იყო შეცდომა, ავადმყოფური წარმოდგენები ზოგიერთი საგნის, მათ შორის წყლის მიმართაც.

ეს იყო დრამა, რომელიც ჯერ კიდევ საბოლოოდ ამოხსნილი არ არის.

ორად გაკვეთეთ გველი, თუმცა გერ მოვკალით,
გაღანაჰრები შეეზრდება და ძვლავ იცოცხლებს...

საჭირო იყო მეპოვნა პირობითი ნერვული კავშირები, რომელთაც წყლიდან რაღაც ამოუცნობის, შესაძლოა, რაღაც უფრო საშიშისკენაც კი მივყავდი. გარეშე ამისა, წყალი არ შეიძლებოდა ჩემთვის ესოდენ თავზარდამცემი ყოფილიყო.

და აი, დარწმუნებულმა საკუთარ ძალაში, უფრო შორს შევტოპე, რათა ბოლოს და ბოლოს მიმეკვლია უბედური შემთხვევისთვის, მთელი სიცოცხლე ტანჯვა-წვალებად რომ მიქცია.



გერმანიიდან

თარგმნა თენგიზ კატარაიამ

თავი I

ღამით, დედა რომ ვენტილატორს ჩართავდა, ბიჭს გამოეღვიძებოდა ხოლმე, თუმც ამ წისკვილას რეზინის ფრთები ძალზე ხმადაბლა და მოგუდულად ზუზუნებდა. დროდადრო რეზინის ფრთები ფარდას ჩაითრევდა და ვენტილატორის ბრუნვაც შეფერხდებოდა. მაშინ დედა საწოლიდან ადგებოდა, ბუზღუნ-ბუზღუნით გამოსწევდა ფარდას და კარსა და წიგნის კარდას შუა ჩაატრევდა.

ტორშერს მწვანე აბრეშუმის შუქფარი ედგა თავზე: ღია მწვანე შუქფარს სინათლისაგან მოყვითალო ფერი დაჰკრავდა და დედის საწოლთან პატარა მაგიდაზე შემოდგმულ წითელ ღვინიან ჭიქას ბიჭი მელანს ამგვანებდა ხოლმე. ამ მუქი ფერის შხამს, კაცს ნელ-ნელა რომ გამოუყვანდა წირვას, დედა წრუპვა-წრუპვით სვამდა; დედა კითხულობდა, სიგარეტს ეწეოდა და მხოლოდ იშვიათად თუ მოსვამდა ღვინოს.

თვალმოკუტული აკვირდებოდა დედას, განძრევასაც ვერ ბედავდა, ყურადღება არ მომაქციოსო. იწვა და, თვალს ადევნებდა სიგარეტის თეთრი და ნაცრისფერი კვამლის ბოლქვებს, ვენტილატორისკენ რომ მიიწევდა: ვენტილატორი შეიწოვდა კვამლს, დააქუცმაცებდა და რეზინის რბილი, მწვანე ფრთებით უკანვე გამოდენიდა.

ვენტილატორი დიდი იყო, — უნივერსალებში რომ იყიდება, ისეთი. ეს უწყინარი ზუზუნა სულ ორიოდ წუთში ანიავებდა ჰაერს. ოთახი რომ განიავდებოდა, დედა ღილაკს დააჭერდა თითს, იქვე, ლოგინთან, კედელზე რომ იყო მიმაგრებული მამის ფოტოსურათის გვერდით: მომლიმარსა და ჩიბუხიან ახალგაზრდა კაცს სურათზე გაცილებით ჰაბუკური იერი აქვს, ვიდრე ეს თერთმეტი წლის ბიჭის მამას შეჰფერის. სურათზე მამაც ისეთივე ახალგაზრდაა, აი, სანაყინეში რომ ლუიჯი მუშაობს; ისეთივე ახალგაზრდაა, როგორც ის მორიდებული, ტანმორჩილი ახალი მასწავლებელი. იგი დედაზე გაცილებით უმცროსი ჩანს, დედა კი, სხვა ბიჭების დედებივით, უკვე ხანშია შესული.

მამას, ამ მომლიმარ ყმაწვილს, ეს რამდენიმე კვირაა სიზმრებშიაც ხედავს, მაგრამ სიზმრებში იგი სულ სხვანაირია, ვიდრე ფოტოზე: ზის დამწუხრე-

ბული და წელში მოდრეკილი ფიგურა მელნის ლაქაზე, გეგონება, ღრუბლის ქულაზეაო შემომჯდარი და თუმცა სახე არა აქვს, მაინც ტირის, ტირის, რადგან აი, უკვე მილიონობით წელია ასე ელოდება. სიზმრებში შემოჭრილი ეს ფარაჯიანი და უჩინმედლო გადამთიელი სულაც არ იყო ისეთი მამა, ბიჭი რომ დაინატრებდა.

შეგრძნობა

მთავარია, გაიტრუნო და თვალდახუჭული იწვევს სუნამებში შეპარვით უნდა ისუნთქო, რომ სახლში უბრალო გაფაჩუნებაზეც მიხვდე, — რა დროა. თუკი გლუმისა ჩამიჩუმე არ ისმის, — თერთმეტის ნახევარია, ხოლო თუ არც ალბერტის ოთახიდან აღწევს ხმა, — თერთმეტი საათი ყოფილა. მეტწილად მის ხოლმე ზემო ოთახიდან გლუმის მძიმე, გამოზომილი გაბიჯ-გამობიჯება. მის ყურს მეზობელი ოთახიდანაც მოსწვდება ხოლმე მუშაობით გართული ალბერტის სტვენა. გვიანობით ზოგჯერ ბოლდაც ჩამოფლატუნდება კიბეზე და სამზარეულოსაკენ გაიძურწება, ფრთხილად გააწყაბუნებს ჩამრთველს, მაგრამ ბე-ბია მეტწილად მაინც წამოადგება ხოლმე თავზე და წინკართან მოსული და-ბუბუნებს:

— პაიტ, შე მუსუსო, მაინცდამაინც ამ შუალამისას უნდა ამოიყურო ეგ მუცელი, არა? რაო, ისევ რაღაც სალაფავს თითხნი?

პასუხად ბოლდა ყურისწამლებად კისკისებს:

— ასეა, ჩემო ბებერო სვავო, მოშიებული ვარ. ხომ არ დამეწვევი?

ბოლდა კვლავ მოჰყვებოდა კისკისს, ბებია კი, „ფუი“-ო, — ზიზლით გამოცრიდა კბილებში. მეტწილად ისინი ჩურჩულებდნენ და ბებიას ყრუ, ხოლო ბოლდას გულნებიერ სიცილს ბიჭი ხანდახან თუ გაიგონებდა.

გლუმი, ბოლდას რომ სცემს ხოლმე მალა, უცნაურ წიგნებს კითხულობს: „დოგმატიკას“, „ღვთისმეტყველება და ზნეობას“, ზუსტად ათ საათზე აბაზანაში შედის — აჩხრიალდება წყალი, მერე დაჰფეთქავს, — ეს მაშინ, როცა ბოილერის სანთურიდან ცეცხლის ენები ამოვარდება. შემდეგ გლუმი თავის ოთახში მიბრუნდება, ჩააქრობს შუქს და ლოგინთან მუხლმოყრილი ბნელაში ლოცულობს. მარტინი იმასაც გაგონებს, გლუმი რომ მძიმე მუხლებით იატაკს დაეყრდნობა და, თუკი სხვა ოთახებში სიჩუმეა, ზემოდან მისი ბუტბუტიც აღწევს. დიდხანს ჩურჩულებს გლუმი ლოცვებს, ხოლო როცა წამოადგება და მძიმე ტანი ზამბარიან საწოლს ააჭრიკინებს, თერთმეტის ნახევარია ხოლმე. გლუმისა და ალბერტის გარდა, ზნე-ჩვეულების ერთგული მთელ სახლში სხვა არავინაა. ბოლდა, მაგალითად, ზოგჯერ ნაშუაღამევსაც ჩამოდის სამზარეულოში, რომ სვიის ფოთლებისაგან, რომლებსაც ყავისფერი ქაღალდის პარკში ინახავს, ძილის მომგვრელი ნაყენი მოიდულოს. ბებია ნაშუაღამევის პირველი საათის მერეც მოადგება ხოლმე სამზარეულოს, თეფშს ხორციანი ბუტერბროდებით აივსებს და იდლიაში ამოჩრილი წითელი ღვინის ბოთლით თავის ოთახში დაბრუნდება. ხანდახან შუალამითაც გაახსენდება, რომ ფაიფურის ლამაზი ცისფერი საპაპიროსე, რომელშიაც ორი კოლოფი სიგარეტი ეტევა, სულ დაცარიელებულა და ბებიაც, ეს ტანსრული, ქერათმიანი და ლოყებლაყდაჟა ქალი ჩუქლუნს მოჰყვება ხოლმე, მთელ სახლს გადააქოთებს ერთი ღერი სიგარეტის გულისათვის: ჯერ ალბერტს მიაკითხავს — მის მოსაწონ სიგარეტს მხოლოდ ალბერტი ეწევა. გლუმი ჩიბუხს აბლაკუნებს, ხოლო დედის საყვარელ სიგარეტს ბებია დასანახად ვერ იტანს: ამ დედაკაცურ საფუტეებელს რომ მოვკრავ თვალს, მაშინვე გული მერევიაო, — ასე გაიძახის. კარადაში შენახული სანა-

ხევროდ დასრესილი და დალაქავებული სიგარეტების დანახვა კი, რომლითაც ბოლდა თამამად მასპინძლობს ფოსტალიონსა და მონტიორს, ბებიას სასაცილოდაც არ ჰყოფნის: — ფუი, ამ შენს სიგარეტს რომ ვხედავ, ასე მგონია, ნაკურთხ წყალში გაქვს ანკესით დაჭერილი და მერე გამოშრობილი. შე ტურტილიანო, ამისთანობას მონაზვნები თუ მოსწევნო. ზოგჯერ ისიც ხდება, რომ მთელ სახლში არავის აღმოაჩნდება მოსაწევი. მაშინ ძია ალბერტს შეუალამით უწევს ხოლმე სიგარეტის საყიდლად ქალაქში გამგზავრება. ხანდახან ალბერტი და ბებია ავტომატისათვის გამოსადეგ ხურდა ფულს ერთად აგროვებენ და, თუკი საკმარის ხურდას მოუყრიან თავს, ალბერტს ავტომატიდან ჩამოყრილი სიგარეტები მოაქვს. მაგრამ ათ, ან ოც ღერ სიგარეტს ბებია არაფრით არ დასჯერდებოდა; ასე, ორმოცდაათი ცალი მაინც უნდა ყოფილიყო თოვლივით თეთრი, მოგრძო და ძალზე მაგარი სიგარეტი, თვალისმომკრელ წითელ კოლოფებში რომ ეწყო და ზედ თომაჭავკი, — ნატურალური ვირჯინიული თუთუნის რომ ეწერა.

— ოღონდ ჩაწოლილი საქონელი არ შემოგასაღონ, — აფრთხილებდა ბებია და შინ დაბრუნებულ ალბერტს ბებია წინკარში შეეგებებოდა, ეხვეოდა, კოცნიდა, ეჩურჩულებოდა: „ჩემო კარგო, რა მეშველება, შენ რომ არ მყავდე, არა, არა, უკეთესს შვილსაც ვერ ინატრებ ადამიანი“. ბოლოს ბებია თავის ოთახში მოკალათდებოდა, მიირთმევდა ბარაქიანად კარაქწასმულ პურსა და ხორცს, წრუპავდა იმ თავის ღვინოს, თან აბოლებდა.

ალბერტიც თითქმის ისეთივე კაცი იყო, როგორც გლუმი, — არც იგი ღალატობდა თავის ზნე-ჩვეულებებს და თერთმეტი საათის შემდეგ ძია ალბერტის ოთახშიც სიჩუმე დაისადგურებდა. ხოლო თუ ვინმეს თერთმეტი საათის მერე შეუდგებოდა ფაცაფუცი, უსათუოდ ქალი იქნებოდა — ბებია, ბოლდა ან დედა.

დედა იშვიათად ადგებოდა ლოგინიდან, გვიანობამდე კითხულობდა და სუსტ, ლამის მთლად გაბრტყელებულ სიგარეტს ეწეოდა, რომელსაც ყვითელი კოლოფიდან იღებდა. მეჩეთი — ნატურალური აღმოსავლური თამბაქო — ეწერა კოლოფზე. იშვიათად თუ მოწრუპავდა ღვინოს და საათში ერთხელ, ოთახის გასანიაველად ვენტილატორს ჩართავდა ხოლმე. დედა ხშირად მიდიოდა სტუმრად, ან არადა, საღამოობით თავად მოჰყავდა სტუმრები და მარტინსაც, თავს რომ მოიმძინარებდა ამ დროს, ძია ალბერტის ოთახში დააწვენდნენ. მართალია, ძია ალბერტის ოთახში ძილს არაფერი ერჩია, მაგრამ ეს სტუმრობანა მაინც სძულდა. სტუმრები ორამდე, სამამდე, ოთხამდე, ხშირად დილის ხუთ საათამდეც კი რჩებოდნენ ხოლმე. ასეთ დღეებში ძია ალბერტი დილით დროულად ვეღარ იღვიძებდა, არადა, სახლში აღარავინ ეგულებოდა ისეთი, ვინც სკოლაში წასვლამდე მასთან ერთად ისაუზმებდა: გლუმი და ბოლდა უთენია მიდიოდნენ სახლიდან, დედას ათ საათამდე ეძინა ხოლმე, ბებია კი თერთმეტზე ადრე არასოდეს ამდგარა.

მართალია, სულ იმას ცდილობდა, არ ჩამეძინოსო, მაგრამ დედა რომ ვენტილატორს გამორთავდა, ძილი მაინც მოერეოდა. დედა თუ დიდხანს კითხულობდა, ბიჭს შეიძლება ორჯერ, ან სულაც სამჯერ გამოღვიძებოდა, მით უმეტეს, თუ გლუმს ვენტილატორის დაზეთვა დაავიწყდებოდა: ჩართვისას ვენტილატორი აჭრიალდებოდა, მერე კი, ფრთები რომ ბრუნვას მოუჩქარებდა, ვენტილატორი მშვიდად, თითქმის უხმაუროდ იწყებდა მუშაობას, მაგრამ ბიჭს პირველსავე გაჭრიალებასზე გამოეღვიძებოდა. დედა ისევ იდაყვს დაყრდნო-

ბილი კითხულობდა, ზუსტად ისე იწვა, წინა გამოღვიძების დროს რომ ნახა: მარცხენა ხელში სიგარეტი ეჭირა, არც ღვინო იყო ჭიქაში მოკლებული.

დროდადრო დედა ბიბლიასაც კითხულობდა ხოლმე, ან არადა, ტყავის-ყდიან ყავისფერ პატარა ლოცვანს. ამ წიგნებს რომ მოჰკრავდა თვალს, საოცრად ესირცხვილებოდა რაღაცის, თუმცა მიზეზი თავადვე ვერ უძებნო. ჯერ ჩაძინებას შეეცდებოდა, მერე ხველას აიტეხდა, — ასე უძებნო მისი მშვენიერება დედა, რომ არ მიძინავსო. ამ დროს მთელ სახლში უკვე სუყველას ეძინა. დედა ხელად ფეხზე წამოხტებოდა და მის საწოლთან მოიბრუნდა, ხელს შუბლზე დაადებდა, ლოყაზე აკოცებდა და ხმადაბლა ჰკითხავდა:

— ზომ არ გამიცვივდი, გენაცვალე?

— არა, არა, — თვალდახუჭული უბასუხებდა დედას.

— ახლავე ჩავაქრობ.

— არ მაწუხებს, იკითხე.

— მართლა არაფერი გტკივა? სიცხე თითქმის არ უნდა გქონდეს.

— რა უნდა გტკიოდეს, კარგად ვარ.

დედა საბანს შემოუკეცავდა, კისრამდე შეფუთავდა და ბიჭსაც უკვირდა, ისეთი მსუბუქი ხელები ჰქონდა დედას. მერე დედა თავის საწოლთან მიბრუნდებოდა, ჩააქრობდა შუქს, სიბნელეში ვენტილატორს ჩართავდა და ვიდრე ოთახი განიავდებოდა, ერთხანს ესაუბრებოდა.

— თუ გინდა, გლუმის გვერდით რომ ოთახია, იქ გადაგიყვან.

— არა, აქ მიჩვევია.

— მეზობელ ოთახზე რას იტყვი? დაგილაგებთ, მოგეწონება.

— არა, მართლა არ მინდა.

— ალბერტის ოთახი? თვითონ სხვა ოთახში გადავა.

— არა.

ანაზღად ვენტილატორის ფრთა ბრუნვას შეანელებდა და ბიჭმაც იცოდა, რომ სიბნელეში დედამ ღილაკს დააჭირა თითი. კიდევ ერთი-ორი გაჭრილგება, მერე კი ოთახში სრული სიჩუმე დაისადგურებდა და ბიჭიც ამ ბნელაში სადღაც შორიდან მოღწეული მითარებლების ხმას აყურადებდა. ესმოდა გრუხუნი და ღრჭიალი, როცა საბარგო ვაგონებს ერთმანეთს გადააბამდნენ და თვალწინ აბრე გაუელვებდა: აღმოსავლეთის საბარგო სადგური. ველცკამთან ერთად ერთხელ იყო კიდევ იმ სადგურზე. ბიჭამისი იქ ცეცხლფარეშად მუშაობს ლოკომოტივზე, რომელსაც ვაგონები მახარისხებელ ბექობზე გაჰყავს.

— გლუმს უნდა ვუთხრათ, ვენტილატორი დაზეთოს.

— ვეტყვი.

— ჰო, უთხარი, ახლა კი დაიძინე, ღამე ნებისა.

— ღამე ნებისა.

მაგრამ თვალს რული არ ეკარებოდა იცოდა, დედასაც ეღვიძა, თუმცა კი ჩუმად იწვა თავის საწოლში. დროდადრო, სიჩუმესა და სიბნელეში, აღმოსავლეთის სატვირთო სადგურიდან მონახმევი ძალზე შორეული, ყრუ გრუხუნი დაინთქმებოდა და მეხსიერებაში ამ სიჩუმიდან ამოტივტივებული ის სიტყვები ცოცხლდებოდა, მოსვენებას რომ არ აძლევდა ბიჭს: სიტყვა, ბრილახის დედამ რომ მიახალა ხაბაზს, სიტყვა, ბრილახის სახლის შესასვლელში კედელზეც რომ იყო დაფხაჭნილი და კიდევ ახალი სიტყვა — ამორალური, რომელიც სადღაც გაეგონა ბრილახს და ახლა პირზე ეკერა ხოლმე.

გეზელერზეც ფიქრობდა, მაგრამ იგი ისე შორს იყო, მასზე ფიქრის ქამს არც შიშსა გრძნობდა და არც სიძულვილს; რაღაც აწვა გულზე სიმძიმესავით, ეს იყო და ეს. უფრო ბებიასი ეშინოდა, ნიადაგ რომ ამ სახელს ჩასჩრჩინებდა, და, თუმცა გლუმი უკმაყოფილოდ გააქნევდა ხოლმე თავს, მაინც გაკვეთილივით ამეორებინებდა.

იმასაც ხვდებოდა, როდის ჩაეძინებოდა დედას, მაგრამ ^{უჩინებულად} ~~უჩინებულად~~ ^{უჩინებულად} ვერ იძინებდა. ცდილობდა სიბნელეში მამის სახე წარმოედგინა, ამის ნაცვლად კი ათასი სულელური სურათი აეფარებოდა თვალწინ — ფილმებიდან, ილუსტრირებული ჟურნალებიდან, ბროშურებიდან; ვინღა არ გამოეცხადებოდა: ბლონდი, ჰობელონგ კესიდი, დონალდ დაკი. თვალწინ დაუდგებოდა ბრილახის ძია ლეო, ხაბაზი, გრებჰაკე და ვოლტერსი და ამ ორის ურცხვობა ბუჩქებში: წამოჭარხლებული სიფათები, ჩახსნილი ხვანჯრები და ახალმოფიებული ბალახის მომწარო სუნსაც უმაღლ იკრავდა ხოლმე. „საინტერესოა, ნუთუ ერთი და იგივეა ურცხვი და ამორალური?“ ვინ არ დაუდგებოდა თვალწინ, მამის სახე კი მაინც ვერ წარმოედგინა; ვერ წარმოედგინა იმ კაცის სახე, სურათებზე რომ ძალზე უღარდელი, ძალზე მზიარული და ძალზე ახალგაზრდაა საიმისოდ, რომ მამად გამოდგეს. მამებს, მაგალითად, შუბლზე აწერიათ, — საუზმისათვის მზად ვართო, მის მამაზე კი ნამდვილად ვერ იტყვი საუზმისათვის მზად არისო. მამეზისათვის ჩვეულება რჩულზე უმტკიცესია ხოლმე. ეს ის თვისებაა, მეტნაკლებად რომ ძია ალბერტიც უერთგულებს; აი, მამამისს კი რაღაც არ ეტყობა, ჩვეულება რჩულზე უმტკიცესი იყოს მისთვის. რჩულზე უმტკიცესი ჩვეულებებია: დილით ადგომა, საუზმისათვის მზადყოფნა, სამსახურში სიარული, გაზეთების კითხვა, შინ დაბრუნება, ძილი. ეს ყოველივე სულაც არ შეეფერებოდა მამამისს, ახლა რომ სადღაც შორს, რომელიღაც რუსული სოფლის განაპირას მარხია. მას აქეთ ათი წელია გასული და მამა ალბათ ჯანმრთელობის დაცვის მუზეუმში გამოდგმულ ჩონჩხს ჩამოჰგავს. ძვლები, დაკრეჭილი თავის ქალა, სერჟანტი და პოეტი ერთმანეთს რაღაც არ ესადაგებოდა. ბრილახის მამა ფელდფებელი იყო, ფელდფებელი და ავტოზეინკალი. სხვა ბიჭების მამები — ვინ მაიორი და დირექტორი იყო, ვინ — უნტეროფიცერი და ბუღალტერი ან ეფრეიტორი და რედაქტორი, მაგრამ არც ერთი ბიჭის მამა არ ყოფილა სერჟანტი და არც ერთ ბიჭს არ ჰყოლია პოეტი მამა. ბრილახების მეზობლად რომ ძია ლეო ცხოვრობს, ვახმისტრი იყო, ვახმისტრი და ტრამვაის კონდუქტორი. — ფერადი ფოტო სამზარეულოს კარადაში, საგოსა და ბურღულის პარკებს შორის. — რა უნდა იყოს „საგო?“ ამ იდუმალებით მოცულ სიტყვას სამხრეთ ამერიკის სურნელი უდიოდა. შემდეგ კატეხიზმოს კითხვები ამოუტივტივდებოდა — ციფრების ორომტრიალი და ყოველ ციფრს გარკვეული კითხვა-პასუხი შეესაბამებოდა. აი, მეთერთმეტე კითხვა: მიუტევენ თუ არა უფალი ცოდვათა მონანიების მერე? პასუხი: დიახ, უფალი სიხარულით მიუტევენ ცოდვათა მონანიების შემდეგ. ამ კითხვას გაუგებარი ორი ტაეპი მოჰყვებოდა:

„და თუ შენ, ღმერთო, არ მოგვიტევე,
ვინღა დარჩება ქვეყნად უბიწო?“

არავინაც არ დარჩება. ბრილახს რომ დაუჯეროს კაცმა, ყოველი ზრდასრული ადამიანი ამორალური ყოფაქცევისაა, ყოველი ბავშვი კი — უსირცხვილო. ბრილახის დედა ამორალური ყოფაქცევისაა, ასეთივეა ძია ლეოც.

ალბათ ხაბაზიც, შესაძლოა დედაც. წინკარიდან ხომ ხშირად ესმის დედაზე გულმოსული ბებია ჩურჩული: „მაინც სად დაეხეტები აქამდე?“

რალა თქმა უნდა, არსებობდა გამონაკლისებიც, ამას ბრილაზიც აღიარებდა. მაგალითად, ძია ალბერტი, ქვემოთ რომ ღურგალი ცხოვრობდა, ფრაუ ბორუსიაკი, გლუმი, ბოლდა. ყველაზე უბიწო კი მათ შორის ფრაუ ბორუსიაკია, ბრილაზების თავზე რომ აქვს ბინა. მაინც რა საოცარ სიმღერებს მღერის ხოლმე თავისი დაბალი და მადლიანი ხმით, ეზოშიაც გაიგონებ.

სიამოვნებდა სიბნელეში ფრაუ ბორუსიაკზე ფიქრი, ამშვიდებდა, თან არც რამ საფრთხეს უქადდა.

„შორიდან მიხმობს, მეფლურტულება,
მწვანეში ჩაფლული ბავშვობა ჩემი...“

ამ სიმღერას ხშირად მღერის ხოლმე ფრაუ ბორუსიაკი და როცა კი წამოიწყებს, ბიჭს ყველაფერი მწვანეში ჩაფლული ეჩვენება, თითქოს მწვანე შუშა ააფარესო თვალებზე. ასე იყო ახლაც, სიბნელეში. გაახსენდა თუ არა ფრაუ ბორუსიაკი და მისი სიმღერა, — „მწვანეში ჩაფლული ბავშვობა ჩემი“, თვალდახუჭულს მაინც მწვანეში ჩაფლული წარმოუდგა ყველაფერი.

„მწუხრის ხეობაც“ ლამაზი სიმღერაა. „მოგესალმები, ბედის ვარსკვლავო“, და ისევ, როგორც კი გუნებაში „მოგესალმები“ აუხმიანდა, ყველაფერი კვლავ მწვანეში ჩაფლული დაუდგა თვალწინ. ბოლოს წუთით მაინც ჩათვლემდა ხოლმე, ფრაუ ბორუსიაკის სიმღერისა თუ იმ სიტყვის გახსენებისას, ბრილაზის დედამ რომ მიახალა ხაბაზს. ეს იყო ძია ლეოს საყვარელი სიტყვა, — სიტყვა, რომელიც ბრილაზის დედამ ნაზუქების სურნელით გაჟღენთილ ბნელ სახაბაზოში გამოსცრა კბილებში; სიტყვა, რომლის მნიშვნელობა ბრილაზმა განუმარტა: იგი ქალებისა და მამაკაცების თანაცხოვრებას აღნიშნავდა, შეეხებოდა მეშვიდე მცნებას, ეს იყო ამორალური სიტყვა და ბიჭს იმ ორტაეპიან ლექსს ახსენებდა, ნიადაგ რომ თავში უტრიალებდა:

„და თუ შენ, ღმერთო, არ მოგვიტევე,
ვინლა დარჩება ქვეყნად უბიწო“.

შესაძლოა ძილი ჰოპელონგ კესიდიზე ფიქრის ჟამს ერეოდა. — ამ მარჯვე, თავგადასავალთა მოყვარულ კოვბოიზე ფიქრის დროს, დედის ყველა სტუმარივით რომ ცოტას წაუსულელებდა კიდეც.

ასეა თუ ისე, სასიამოვნო იყო დედის სუნთქვის მოსმენა. მისი საწოლი ხშირადაა ცარიელი, ზოგჯერ რამდენიმე ღამე ზედიზედ და ასეთ დროს წინკარში ისევ გაისმის ბებია ჩურჩული: „მაინც სად დაეხეტები აქამდე?“ დედა არაფერს უპასუხებდა ხოლმე.

არც დილით გამოღვიძება იყო მთლად უშიშარი საქმე. ალბერტს თუ სუფთა პერანგი ეცვა და ზედ ჰალსტუხის გამოსკენაც მოესწრო, ყველაფერს მშვიდობიანი პირი უჩანდა: ალბერტის ოთახში ნამდვილი საუზმე მოეწყობოდა და საიმისო დროც რჩებოდა, ალბერტთან ერთად საშინაო დავალებებისათვის გადაეხედა, ხოლო თუ ალბერტი თმდაუვარცხნელი და სახეგალაბული, პიჯამოში წამოადგებოდა თავზე, საჩქაროდ უნდა შეეხვრიბა ცხელი ყავა, ალბერტი კი ამასობაში მასწავლებლის სახელზე ბარათს გააშანშალებდა: „ღრმად პატივცემული ბ-ნო ვიმერ, გთხოვთ მაპატიოთ ბიჭის დღევანდელი დავგიანება.“

დედამისი ქალაქიდან გაემგზავრა, მე კი ბავშვის დროზე გაღვიძება დამავიწყდა. კიდევ ერთხელ გთხოვთ პატიებას. ღრმა პატივისცემით“...

ჭირის დღესავით ეზარებოდა, დედა რომ სტუმრებს მოიყვანდა შინ: აუტყდებოდათ სულელური ხითხითი, ალბერტის ოთახშიაც რომ გარკვევით ესმოდა, — ძლივს თუ ჩაეძინებოდა და ალბერტის უზარმაზარ საწოლში მთელი ღამე შეფოთავდა ხოლმე. ასეთ დღეებში ალბერტი ხანდახან სულაც არ წვებოდა ლოგინში და აბაზანაში დილის ხუთ ან ექვს საათზე შევიდოდა. წყლის ჩხრიალ-ჩხრიალში ბიჭს კვლავ ჩაეძინებოდა, ხოლო დილით, როცა ალბერტი სკოლაში წასასვლელად გააღვიძებდა, ისე იყო დაღლილ-დაქანცული, არაფრის თავი არ ჰქონდა ხოლმე. მერე სკოლაში უნდა ეთვლიმა, გაკვეთილების დამთავრების შემდეგ კი ჯილდოდ კინოში, სანაყინეში ან ალბერტის დედასთან ბიტენჰანში წაიყვანდნენ, „ტყის კარიბჭედ“ რომ იწოდებოდა. იქ ტბორია, სადაც გლუმი ცარიელი ხელით იჭერს თევზებს და ამ თევზებს ისევ ტბორში აგდებს, იქვე ეგულება ოთახი ბოსლის თავზე, იქვეა მოთიბული მდელოები, სადაც ალბერტთან და ბრილახთან ერთად საათობით შეიძლება ფეხბურთის თამაში, ვიდრე ქანცი გაგიწყდება და ალბერტის დედის გამომცხვარი პური მოგენატრება. ძია ვილი კი თავს გააქნევს ხოლმე და იტყვის: „მეტი კარაქი წაუსვით, კიდევ უფრო მეტი“, — მერე ისევ გააქნევს თავს და ერთთავად კოპებშეკრულ ბრილახსაც გულიანად გაეცინება ხოლმე.

ბევრი რამ გაახსენდებოდა ასე: ბიტენჰანი, მამა, ბლონდი, სიტყვა „ამორალური“, და ამ მისაქცევართა შორის შეიძლება ნებისმიერ წამს ჩასძინებოდა.

ვენტილატორის ზუზუნნი კარგი ნიშანია: ესე იგი, დედა შინაა, — ესმის ფურცლების გაშრიალება, დედის სუნთქვა, ასანთის გაჩხაკუნება, ესმის, როგორ მოწრუტავს დედა ღვინოს და ბიჭიც თვალს ადევნებს ჰაერის უცნაურ ტორტმანს: — ვენტილატორი დიდი ხნის გამორთულია, კვამლი კი მაინც იქით მიიწევს და მისი მოგონებების ძაფიც სადღაც გეზელერსა და „და თუ შენ, ღმერთო, არ მოგვიტევე“-ს შორის წყდება.

თავი II

ბიტენჰანში ჩასვლა მართლაც რომ ყველაფერს ერჩივნა. ალბერტის დედას იქ კაფე აქვს გახსნილი, ხოლო რაკი სამზარეულოში ფუსფუსი უყვარს, ქალი პურსაც კი თვითონ აცხობს. მერედა, რას არ აკეთებენ ხოლმე ბრილახთან ერთად: თუ მოეპრიანათ, სათევზაოდ წავლენ, მოეხასიათებათ, — ბრერის ხეობაში იხეტიალებენ, ისეირნებენ ნავით, ან არადა, სახლის უკან საათობით ოთამაშებენ ფეხბურთს.

ტბორი ღრმადაა ტყეში შეჭრილი და ბიჭებს მეტწილად ალბერტის დედის ძმა, ძია ვილი უწევს ხოლმე მეგზურობას. ვილის პატარაობიდანვე რაღაც სენი სჭირს, რომელსაც სუყველა „ღამღამობით ოფლიანობას“ ეძახის. ამ უცნაურ დაავადებას რომ მოჰკრავენ ყურს, ბებია და გლუმი იცინიან, ბოლდა კი ხითხითს იწყებს. მალე ვილი სამოც წელს შეასრულებს, ხოლო როცა იგი ათი წლისა იყო, დედამისს თურმე ოფლში გაწურული უნახავს ბავშვი. მომდევნო ღამითაც იგივე განმეორებულა და შეშინებულ დედას შვილი ექიმისთვის

მიუბრუნებია, — ღამდამობით ოფლიანობა ხომ, ბუნდოვანი გადმოცემის თანახმად, ფილტვების ანთების უტყუარ ნიშნად ითვლებოდა. მაგრამ პატარა ვილის საესებით ჯანმრთელი ფილტვები აღმოაჩნდა, თუმცაღა ბავშვი — როგორც ექიმმა აღნიშნა — ოდნავად სუსტი, ოდნავად ნერვიული და ექიმს, რომელიც უკვე ორმოცი წელია ქალაქის სასაფლაოზე განისვენებს, ორმოცდაათი წლის წინათ უთქვამს, — ცოტათი მაინც შეიცოდებოდა პატარა,

და ვილისაც მთელი ცხოვრება იცოდებდნენ — „ოდნავად სუსტს“ „ოდნავად ნერვიულს“. ღამდამობით ოფლიანობა კი თითქოსდა რენტად გადაიქცა, ოჯახს რომ უნდა გადაეხადა მისთვის. დილდილობით ერთხანობას მარტინიცა და ბრილახიც ისინჯავდნენ შუბლებს, ხოლო თავიანთი დაკვირვების შედეგებს სკოლისაკენ მიმავალ გზაზე უზიარებდნენ ერთმანეთს. აღმოჩნდა, რომ ზოგჯერ ბიჭებიც ოფლიანდებოდნენ, განსაკუთრებით ბრილახი, მაგრამ ბრილახის თუნდაც ერთი წუთით შეცოდება, მისი დაბადების საათიდან მოყოლებული, აზრადაც არავის მოსვლია.

დედამისმა იგი მაშინ შობა, როცა ქალაქს ყუმბარები დააყარეს. ერთი-ორი ყუმბარა ჯერ ქუჩაში აფეთქდა, მოგვიანებით კი იმ სახლსაც დაეცა, რომლის სარდაფში ბრილახის დედა იკრუნჩხებოდა ტკივილისაგან. ქალი ბინძურ, ჩექმების ვაქსით ამოგანგლულ საველე სარეცელზე იწვა. ვილაც ჯარისკაცს ზედ მის სასთუმალთან თავისი ჩექმები ჩამოეწყო და ზიპის სუნისაგან ქალს უფრო ერეოდა გული, ვიდრე მშობიარობისაგან. როცა თავქვეშ გაზინებული ხელსახოცი ამოუდეს, ჯარისკაცური საპნის სუნმა, ხელსახოცს შერჩენილი არმატის ამ კვალმა, თითქო შვება მოუტანა და ქალსაც გული ამოუჯდა — წარმოუდგენლად ძვირფასი ეჩვენა ინანთეულის ეს შებილწული კეთილსურნელება.

მშობიარობა რომ დაეწყო, შეეშველნენ. ქალს პირდაპირ თვამდგმურთა ფეხსაცმელებზე წააღებინა. ყველაზე მცოდნე და გულდინჯი ბებიაქალი თოთხმეტი წლის გოგონა გამოდგა. გოგონამ სპირტქურაზე წყალი წამოადუღა, გამოხარშა მაკრატელი და ახალშობილს ჰიპლარი გადაუჭრა. ყველაფერს ზუსტად ისე აკეთებდა, როგორც ეს წიგნში ჰქონდა ამოკითხული, რომლის წაკითხვა სულაც არ ევალებოდა. აუღელვებლად, სიყვარულით, გასაოცარი სიმშვიდით გამოიყენა პატარა გოგონამ ის ცოდნა, ღამდამობით რომ მშობლებისაგან ბალულად ამოეკითხა მოწითალო, თეთრ და ყვითელსურათებიან წიგნში. ჰიპლარი გოგონამ დედამისის სახელსაქმო, გამოხარშული მაკრატლით გადაჭრა და შორიახლოდან მისი შემყურე დედა, მართალია, ეჭვის თვალით, მაგრამ მაინც აღტაცებული აკვირდებოდა შვილის საქმიანობას.

მოიმშობიარა თუ არა, შორიდან სირენების კივილი ისე მოესმათ, ულრან ტყეს შეფარებული ნადირი რომ გაიგონებს ხოლმე მონადირეთა ყიჟინას. მერე სახლი ჩამოინგრა. ნანგრევები ავისმომასწავებლად ახშობდა ხმა-ძახილს და თოთხმეტი წლის ბებიაქალთან პირისპირ დარჩენილ ბრილახის დედას ესმოდა იმათი ყვირილი, ვისაც ჩამონგრეული გასასვლელიდან გარეთ ვერ გაედწია.

— რა გქვია? — ჰკითხა გოგონას, აქამდე რომ არასოდეს ენახა.

— პენრიეტ შადელი, — და გოგონამ ჯიბიდან ხელუხლებელი, მწვანე საპნის ნაჭერი ამოაძვრინა.

— თუ შეიძლება, დამაყნოსინე, — და ფრაუ ბრილახიც ყნოსავდა სა-

პონს, ბედნიერებისაგან დაბალუბით სდიოდა ცრემლი, გოგონა კი ამ დროს ახალშობილს ახვევდა საბანში.

ფრაუ ბრილახს ბევრი არაფერი გააჩნდა: ხელჩანთა, სადაც ფული და სასურსათო ბარათები ედო, ბინძური ხელსახოცი, ვიღაც ღვთისმეტყველს რომ ამოედო თავქვეშ და ქმრის რამდენიმე ფოტოსურათი. ერთ-ერთ სურათზე მას კვტოზეინკლის ფარაჯა აცვია, ძალზე ახალგაზრდა იერი აქვს და პირმომცინარი იყურება. მეორე სურათზე სატანკო ნაწილის ეფრეიტორის ფორმაშია გამოწყობილი და ამ სურათიდანაც მომცინარი იცქირება. მესამე სურათზე იგი უკვე უნტეროფიცერია, მეორე ხარისხის რკინის ჯვრითა და სამკერდე ნიშნითაა დაჯილდოებული, — ამ სურათზეც იცინის. ბოლო ფოტოსურათზე კი — ეს ფოტო ფრაუ ბრილახს რვა დღის წინათ მიეღო — ქმარი სატანკო ნაწილის ფელდფებელია, დაჯილდოებულია რკინის ორი ჯვრითა და სახეზე კვლავ სიცილი აღბეჭდვია.

მშობიარობის მერე ათიოდე დღე თუ იქნებოდა გასული, რომ ფრაუ ბრილახი დაუკითხავად ჩასვეს აღმოსავლეთისაკენ მიმავალ მატარებელში, ორი თვის თავზე კი, საქსონიის ერთ-ერთ პატარა სოფელში მან ქმრის დაღუპვის ამბავი შეიტყო.

თვრამეტი წლისა გათხოვდა, ცოლად სატანკო ნაწილის კოხტა ეფრეიტორს გაჰყვა, ვისი გვამიც ახლა სადღაც ზაპოროჟიესა და დნებროპეტროვსკს შორის იხრწნება. ცხოვრების ოცდამეორე წელიწადზე კი ფრაუ ბრილახი კოხტა ფელდფებლის ქვრივია, ჰყავს სამი თვის ბავშვი, შემორჩა ორი ხელსახოცი, ორი ქვაბი, ცოტაოდენი ფული და საკმაოდ კარგი გარეგნობა.

პატარა ჰაინრიხს, მამის სახელით რომ მონათლეს, ყოველთვის ასე ეჭერა, აქაოდა, დედასთან ერთად აუცილებლად უნდა იყოს ვინმე ძია.

პირველი ძია, დედის გვერდით რომ ახსოვდა, ყავისფერუნიფორმიანი ძია ერიხი იყო, ძიების უცნაურ და არანაკლებად უცნაურ ნაციისტთა კატეგორიას რომ ეკუთვნოდა. ეს ორივე კატეგორია იდუმალებით იყო მოცული და ჰაინრიხი ამას მეტ-ნაკლებად ოთხი წლის ასაკში ჩახვდა, მაგრამ თავი და ბოლო ამ ამბავს ვერაფრით ვერ გაუგო.

ასთმიანი ძია ერიხი ბიჭს ღრმად ჩარჩა მესხიერებაში: ღამლამობით კვნესა ესმოდა ხოლმე, ესმოდა ოხვრა, საცოდავად ამონადერლი „ვიხრჩვები“. ახსოვდა ძმარში დასველებული ტილოები, უცნაური ნაყენისა და ქაფურის სუნნი. მოგვიანებით ისინი საქსონიიდან ძველ ადგილზე გადასახლდნენ და თან ძია ერიხის პირადი ნივთიც წაიძღვანიეს — სანთებელა. ძია ერიხი საქსონიაში დარჩა, სანთებელას კი მათთან ერთად მოუწია გადაბარება და ძია ერიხის სუნიც ჰაინრიხს სამუდამოდ დაამახსოვრდა.

მერე ახალი ძია გამოტყვრა, ჰაინრიხს რომ ორნაირი სუნით დაამახსოვრდა: ეს იყო ამერიკული სიგარეტებისა და სველი ალუბასტრის სუნნი. ამავე ძიასთან იყო დაკავშირებული ტაფაზე გაღლობილი მარგარინისა და კარტოფილის სუნნი და ძია, რომელსაც გერტი ერქვა, სულაც არ იყო ისეთი იდუმალი და შორეული, როგორც საქსონიაში დარჩენილი ერიხი. გერტი მომპირკეთებლად მუშაობდა და სიტყვა „მომპირკეთებლს“ ვერაფრით ვერ გააცლიდი სველი ალუბასტრისა და ცემენტის სუნს. გერტთან სიტყვაც იყო დაკავშირებული, ნიადაგ რომ პირზე ეკერა ხოლმე — „ჭაჭი“. ეს სიტყვა გერტის წასვლის მერე დედის ლექსიკონში დამკვიდრდა და მისი წარმოთქმა დედებს ყოველი ფეხის გა-

დადგმაზე შეეძლოთ, ბავშვებს კი ხსენებაც სასტიკად ეკრძალებოდათ. სუნისა და სიტყვის გარდა, გერტმა ნივთიც დატოვა სახსოვრად. მაჯის საათი, დედას რომ აჩუქა, მამაკაცის თვრამეტქვიანი მაჯის საათი; — ეჩოთირებოდა ხოლმე საათის ავკარგიანობის ეს მეტად უცნაური ნიშანთვისება.

ხუთწლიანხევრის თუ იქნებოდა იმხანად, მაგრამ ცხრა თვეში კი უწევდა გაძრომა, რომ დედის შეხილვებოდა: ჩან ერთ მეზობელს გაეგზავნებოდა შავ ბაზარზე, ხან — მეორეს. სახლის მრავალრიცხოვანი მობინადრენი ენდობოდნენ ჰაინრიხს და მამამისივით კობტა, ფულითა და მშვენიერი მეხსიერებით შეიარაღებული ბიჭი ყოველ ნაშუადღევს შავ ბაზარზე გამოჩნდებოდა ხოლმე. გამოჩნდებოდა და შოულობდა კიდეც ყველაფერს, რისი შოვნაც კი შეიძლებოდა: შოულობდა პურს, თამბაქოს, სიგარეტებს, ყავას, ტკბილეულობას. ხანდახან იშვიათობასაც წააწყდებოდა ხოლმე: მარგარინს, კარაქს ან კიდეც ელექტრონათურებს. თუკი ძვირფასი რამ იყო საყიდელი, ჰაინრიხს მეზობლების მეგზურობა ეკისრებოდა, რადგან იცოდა, ვის რა საქონელი გამოჰქონდა შავ ბაზარზე და საერთოდ, ყველა ძალსა და მამაძალს იცნობდა იქ. შავი ბაზრის სპეკულანტებში ჰაინრიხი ხელშეუხებლობით სარგებლობდა. ვინმე რომ ბავშვის მოტყუებაში ემხილათ, სასტიკ ბოიკოტს გამოუცხადებდნენ და ვაჭარიც იძულებული ხდებოდა თავისი საქონელი სხვაგან წაეღო.

თავისი საზრიანობისა და ალღოს წყალობით ბიჭი ყოველდღიურ სარჩოსაც შოულობდა და ზეპირი გამოთვლის ფენომენალური ნიჭიც გამოიმუშავა, რაც შემდგომ, სკოლაში გატარებული წლების განმავლობაში არაერთხელ გამოსდგომია: მხოლოდ მესამე კლასში დაიწყეს ისეთი მაგალითების ამოხსნა, ჰაინრიხს რომ ჯერ კიდევ სკოლაში შესვლამდე გამოჰყავდა.

რა ეღირება ორი მერვედი ფუნტი ყავა, თუ ერთი კილო ოცდათორმეტ მარკად ფასობს?

ასეთი მაგალითების ამოხსნას დაჩვეული იყო, მით უმეტეს, რომ დროდადრო ძნელი თვეებიც დაუდგებოდათ, როცა პურს ას-ისი, ან ორმოცდაათ-ორმოცდაათი გრამობით ყიდულობდა, თუთუნს კიდეც უფრო მცირე ოდენობით, ხოლო ყავას მწიკვობით იძენდა. ყველაფერს ნამცეც-ნამცეც იძენდა, წილადების ზედმიწევნით კარგი ცოდნა კი ამ დროს აუცილებელია, რომ თავის დახამხამებაში ცარიელ-ტარიელი არ დარჩე.

ერთ მშვენიერ დღეს გერტი გაქრა, მიწამ ჩაყლაპაო თითქოს, მასთან დაკავშირებული სუნი კი ჰაინრიხს მეხსიერებაში ჩარჩა: დაამახსოვრდა სველი თაბაშირის, ამერიკული სიგარეტების, ხახვსა და კარაქში შემწვარი კარტოფილის სუნი. მემკვიდრეობად სიტყვაც დატოვა გერტმა, დედის ლექსიკონში რომ სამუდამოდ გაიდგა ფესვი, ხოლო მისგან დარჩენილი ნივთი მამაკაცის მაჯის საათი იყო. გერტის ასეთი უეცარი გაქრობის შემდეგ დედა ტიროდა ხოლმე, რაც ერიხთან განშორების ქამს არ მოსვლია. გამოხდა ხანი და საიდან-ლაც ისევ ახალი ძია ამოტივტივდა — ძია კარლი. კარლმა მალე „მამობაზე“ დასდო თავი, თუმცაღა ამის არავითარი უფლება არ ჰქონდა. კარლი ქალაქის მაგისტრატურაში მსახურობდა და გერტივით ძველ ხალათში გამოწყობილი როდი დაიარებოდა, ნამდვილი კოსტუმი ეცვა და გამოჩენისთანავე კარლმა მუდერი ხმით გამოაცხადა „ახალი ცხოვრების“ დაწყება. „კარლი — ახალი ცხოვრება“, — ასე დაამახსოვრდა იგი ჰაინრიხს, ამ სიტყვებს ხომ კარლი წარამარა იმეორებდა.

კარლის სუნი კი იმ წვნიანების სუნი იყო, შეღავათიან ფასებში რომ გასცემდნენ მაგისტრატურის მოხელეებზე. რა სახელიც არ უნდა რქმეოდა, ჭონიანი იქნებოდა თუ ტკბილი, იმ წვნიანს მაინც თერმოსისა და ბარაქის სუნი უდიოდა. თავისი ულუფის ნახევარი კარლს ყოველდღიურად მოჰქონდა ხოლმე შინ ძველისძველი ჯარისკაცური კარდალით. ზოგჯერ ნახევარზე მეტსაც მოიტანდა — როცა კი დამატებითი ულუფის მისაღებად კარლს უფრო მოაღწევდა, მაგრამ ამ შეღავათების მიზეზი ჰაინრიხს ვერ გამოეცნა. წვნიანიც არ უნდა ყოფილიყო, ტკბილი საბისკვიტო ფქვილისა იყო თუ მოზვრის კუდის ნახარში, მაინც თერმოსის სუნი დაჰკრავდა და ყოველთვის ძალზე ეგემრიელებოდა. წვნიან კარდალას კარლი ერთთავად ხელით ატარებდა. ჭურჭლისათვის ბრეზენტის შალითა შეკერეს, ხელტარს ხამი ძაფი შემოახვიეს. კარდალის ჩანთით ტარება კარლს არ შეეძლო, რადგან ტრამვაიში დღენიადაგ ერთი მიხლა-მოხლა იყო, წვნიანი იღვრებოდა და ჩანთას უთხვრიდა ხოლმე. კარლი მოსიყვარულე და არც მაინცდამაინც მომთხოვნი ძია გამოდგა, თუმცადა მის გამოჩენას სავალალო შედეგებიც მოჰყვა: მართალია, სულაც არ ეთქმოდა მომთხოვნი ძია, მაგრამ, სამაგიეროდ, საკმაოდ თვითრჯული კაცი აღმოჩნდა და შავი ბაზრისაკენ გახედვაც კი სასტიკად აკრძალა. „მე სახელმწიფო მოხელე გახლავართ და უფლებას არავის მივცემ, რომ... ამასთანავე ასეთი რამ ზნეობასა და სახალხო მეურნეობას უთხრის ძირს“. კარლის ეს სიურჩე ძნელბედით 1947 წელს ტვირთად დააწვათ მხრებზე. ნახევარჯერ მშვირები იყვნენ, ხოლო კარლის მოტანილი წვნიანი ახლოც ვერ მოვიდოდა ჰაინრიხის უწინდელ მონაგართან. ჰაინრიხს დედასთან და კარლთან ერთად ეძინა ოთახში, ისევე როგორც დედასთან და ძია გერტთან ერთად, დედასთან და ძია ერიხთან ერთად იძინებდა ხოლმე.

დედა და კარლი რომ მჭრქალ სინათლეზე რადიომიმღებს მიუსხდებოდნენ, ჰაინრიხი ზურგს შეაქცევდა ორთავეს და მამის ფოტოსურათს აკვირდებოდა. სურათზე მამა სატანკო ნაწილის ფელდფებლის ფარაჯაში იყო გადაღებული, სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე. ვინ არ განმგებლობდა სახლში, მაგრამ მამის ფოტოსურათი არავის ჩამოუხსნია. სურათისაკენ სახემიბრუნებულ ჰაინრიხს ესმოდა კარლის ჩიფჩიფი, თუმცა კი ვერც ერთ სიტყვას ვერ არჩევდა; დროდადრო დედის ხითხითსაც გაიგონებდა ხოლმე და ამ ხითხითის გამო წამით შეიძულებდა კიდეც დედას.

მოგვიანებით კარლსა და დედას უსიამოვნება მოუვიდათ რაღაც გაურკვეველი საკითხის გამო, რომელსაც „იგი“ ერქვა. „მე იგი არ მჭირდება“, — იმეორებდა ხოლმე დედა. „შენ იგი უნდა დაიტოვო“, — კრიჭაში ედგა კარლი. გავიდა დრო და ჰაინრიხიც მიხვდა, რას ნიშნავდა იღუმალი „იგი“. მერე დედა საავადმყოფოში დააწვინეს. კარლი გამწყრალიც იყო, გულნატკენიც და ჰაინრიხს ყოველივე ასე განუმარტა: ეს ამბავი შენ სულაც არ გეხებაო.

ახსოვდა წვნიანის სუნით გაჟღენთილი საავადმყოფოს დერეფნები, დიდ პალატაში შეყრილი ქალები, დედის მოყვითალო-ფერმკრთალი, მაგრამ საშინელი ტკივილების მიუხედავად მაინც მომცინარი პირისახე. კარლი მოლუშული იდგა დედის საწოლთან: „ჩვენ შორის ყველაფერი გათავდა, შენ ხომ იგი...“

კვლავ იღუმალი „იგი“ და კარლიც გაქრა, ვიდრე დედა საავადმყოფოდან გამოეწერებოდა. ხუთიოდე დღით ჰაინრიხი მეზობელმა შეიფარა და ბი-

ჭიც ხელად შავი ბაზრისაჲენ აფრინა. ჰაინრიხს იქ ახალი სახეები დაუხვდა, ახალი ფასები და აღარავინ იწუხებდა თავს იმით, გააცურებდნენ ბიჭს თუ არა. ბილკაგერი, ვისგანაც ჰაინრიხი პურს ყიდულობდა ხოლმე, დააპატიმრეს, თუთუნითა და ტკბილეულობით მოვაჭრე თმაქალარა პაპასაც ციხეში ამოაყოფინეს თავი; დანაშაულზე წაუსწრიათ, ვილაცის ჯაგლაზე — თურმე საკუთარ ეზოში შემოუთრევია, ყელი უნდა გამოელადრა. სადღა იყო ძველი ბაზარი, გაძვირდა, წახდა ყველაფერი და ჰაინრიხიც ცას ეწია სიხარულით, დედა რომ საავადმყოფოდან გამოეწერა. ის მეზობელი ხომ ყოველ ცისმარე დღეს თავის დაკარგულ წონას მისტიროდა, თან ზღაპრულ ამბებს უყვებოდა შოკოლადსა და ხორცზე, პუდინგსა და ნაღებზე, თავგზას რომ უბნევდა ჰაინრიხს, რადგან ამის-თანობაზე მხოლოდ და მხოლოდ ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა.

დედა უთქმელი და დაფიქრებული ეჩვენა უწინდელთან შედარებით, მაგრამ ახლა იგი გაცილებით აღერსიანიც იყო. სამუშაოდ სამზარეულოში მოეწყო, სადაც მაგისტრატურის მოხელეებზე წვნიანს გასცემდნენ ხოლმე. დედას ახლა ყოველდღიურად მოჰქონდა წვნიანით სავსე სამლიტრიანი ქვაბი, ხოლო რასაც ვერ მოერეოდნენ და გადარჩებოდათ, პურზე ან თამბაქოზე გადაცვლიდნენ. სადამოშობით დედა რადიომიმღებთან იჯდა და აბოლებდა. კვლავინდებურად უთქმელი და დაფიქრებული ჩანდა და თუკი რაიმეს იტყოდა, — ყველა მამაკაცი მშიშარააო; ეს იყო და ეს.

მერე მეზობლის ქალი მოკვდა, ის მიღებული, გადამღრძვალ და ჭამა-სმის ტრფიალი, გაუთავებლად რომ თავის წონას მისტიროდა: „შემომხედე ჭრთი, კარგად შემომხედე! ხომ ვერ დაიჭერებ, რომ ომამდე ორ ცენტნერზე მეტს ვიწონიდი, ზუსტად ორას ოცდაათობზე ფუნტს! აბა, ახლა რას დავემსგავსე? ას ორმოცდაათზე ფუნტზე მეტი არც კი ვიქნები!“ — მაინც რამდენი იქნება ორი ცენტნერი? ორი ცენტნერის გახსენებაზე კარტოფილით, ფქვილით ან ქვანახშირით გავსებულ ტომრებს წარმოიდგენდა ხოლმე. ზუსტად ორი ცენტნერი ეტეოდა პატარა საზიდარზე, რომლითაც ჰაინრიხი მოპარულ ქვანახშირს მოათრევდა სატვირთო ვაგონებიდან. ღამლამობით სუსხი ძვალსა და რბილში ატანდა; დროდადრო სასიგნალო ბოძზე მეთვალყურედ აშვებული ბიჭის სტვენა ისმოდა, — პოლიციელის გამოჩენისთანავე ნიშანი უნდა მიეცა. გავსებული საზიდრის თრევა ჭირდა, მეზობელი კი თურმე საზიდარაზე გაცილებით მძიმე ყოფილა.

ახლა იგი მკვდარია: საფლავზე ასტრების თაიგული დაუდეს, ჩაიკითხეს *Dies irae, dies illa**. ხოლო როცა ნათესავებმა მისი ავეჯი წაიღ-წამოიღეს, კიბეებზე დიდი მოყავისფრო ფოტოსურათი დარჩათ. ამ სურათზე მეზობლის ქალია აღბეჭდილი რომელიღაცა სახლის წინ, რომელსაც „ელიზაბეტის ვილა“ ჰქვია. სახლის უკან ვენახი მოჩანს, მოჩანს ქვალორდიანი მღვიმე, — ქაშანურის ქონდრისკაცები აქ თუ დააგორებენ სათამაშო ურიკებს; და ყოველივე ამის ფონზე მეზობელი ქალი დგას — ქერა, ჩაგოდრებული. სახლის ზემო ფანჯრიდან ყალიონგაჩრილი კაცი იცქირება და ფრონტონის გასწვრივ წარწერაა: „ელიზაბეტის ვილა“. თუმცა, რა გასაკვირია, ასეც უნდა ყოფილიყო, ქალს ხომ ელიზაბეტი ერქვა.

დაცარიელებულ ოთახში კაცი შესახლდა, სახელად ლეო. ლეოს ტრამვაის

* დღესა მას, დღესა რისხვისასა (ლათ.).

კონდუქტორის ხალათი ეცვა ხოლმე, თავზე კი იგი წითელკანტიან ლურჯ ქუდს იხურავდა და მასთან ერთად ოთახში ის ნივთებიც გადმოხარგდა, რასაც ლეო „უთვნილ აღკაზმულობას“ უწოდებდა: ფულის შესანახი ჩანთა, ~~ხის~~ პატარა ყუთი, სადაც სამგზავრო ბილეთების კოჭები ლაგდებოდა, ალუმინის ბუდეში ჩადებული ღრუბელა და საკომპოსტერო მარწუხი. მხარზე ნაიჭ-ნაიჭი ტყავის ქამარსა და ღვედს გადაიჭიმავდა და სახეც მეტისმეტად უსმემათიურ ქაღალდს ლეოს, — აწითლებული, კრიალა. ლეო სიმღერებს დასტვენდა ხოლმე, რადიოც სულმუდამ ჩართული ჰქონდა, მისი ოთახიდან ხშირად ისმოდა კონდუქტორი ქალების კისკისი, ცეკვის ღროს ატეხილი ბრაგაბრუგი და შეძახილები: გაგვიმარჯოს! კარგად ვიყოთ!

მეზობლის ქალი, უწინ რომ ორ ცენტნერს იწონიდა და რომლის მოსაგონებლად სურათი დარჩა — „ელიზაბეტის ვილა“, წყნარი ქალი იყო, ლეო კი ხმაურიანი ვინმე გამოდგა. იგი ჩვენი წვნიანის მთავარი მუშტარი გახდა და მათ საფასურს ლეო სიგარეტებით ისტუმრებდა. წვნიანებს თვითონ ლეომ დაადო ნიხრი: უბირატესობას ტკბილ წვნიანს ანიჭებდა.

ერთ საღამოს ლეომ თამბაქო მოიტანა, მიიღო თავისი წილი წვნიანი და ის იყო წასვლა დააპირა, რომ უცებ ქვაბუ ძველ ადგილზე დადგა, დედას გახედა, გაუღიმა და უთხრა:

— ის თუ იცით, ახლა როგორ ცეკვავენ? ამ ბოლო წლებში თუ გიცეკვიათ? — და ლეოც ტაკიმასხარასავით მოჰყვა ტლინკების ყრას, ხელების აქეთ-იქით ქნევას, უცნაურ ღმუილს. დედას გაეცინა.

— არა, კარგა ხანია, არ მიცეკვია.

— რატომ? უნდა გეცეკვათ. აბა ერთი აქეთ მობრძანდით, — ლეომ რაღაც მელოდია წაიზმუილა, ხელი ჩაავლო დედას, სკამიდან აიტაცა და მასთან ერთად დაიწყო ცეკვა. დედას თვალდათვალ გადაუბრწყინდა სახე, გაუმხიარულდა და თითქოს გაუახალგაზრდავდა კიდეც.

— ეჰ, — აღმოხდა დედას, — უწინ ხშირად დავდიოდი ცეკვებზე.

— მაშინ მე წაგიყვანთ! — წამოიძახა ლეომ. — მშვენივრად ცეკვავთ, მე კი საცეკვაო კლუბში ხშირად დავდივარ.

დედა მართლაც წაჰყვა ლეოს საცეკვაო კლუბში და ლეოც ძია ლეო გახდა, მოგვიანებით კი დედამ და ლეომ ისევ და ისევ „იგიზე“ ჩამოაგდეს ლაპარაკი. პაინრიხი გულისყურით უსმენდა მათ და ხვდებოდა, რომ ამჯერად როლები შეიცვალა: დედას ახლა ის დაეყენა, რასაც უწინ კარლი ითხოვდა მისგან.

— მე იგი მინდა, — ამბობდა დედა.

ლეოს კი პასუხად ის სიტყვები ჰქონდა მზად, რასაც დედა ეუბნებოდა კარლს:

— შენ იგი უნდა მოიშორო.

პაინრიხი იმ ღროს მეორე კლასში სწავლობდა და დიდი ხანია იცოდა, რას ნიშნავდა „იგი“. ყოველივე მარტინმა აუხსნა, მარტინს კიდეც ძია ალბერტისაგან გაეგო, რომ ქალებისა და კაცების თანაცხოვრების შედეგად ბავშვები იბადებიან და ცხადზე ცხადი გახდა, რომ „იგი“ სხვა არაფერი იყო, თუ არა ბავშვი და „იგის“ ნაცვლად წინადადებაში მხოლოდ და მხოლოდ „ბავშვი“ უნდა ჩაესვა.

— მე ბავშვი მინდა, — ამბობდა დედა.

— ბავშვი უნდა მოიშორო, — ეპასუხებოდა ლეო.

— მე არ მინდა ბავშვი მყავდეს, — ეუბნებოდა დედა კარლს.

— შენ ბავშვს არ მოიშორებ! — ეჭიჭლინებოდა კარლი.

დედა რომ კარლთან თანაცხოვრებას ეწეოდა, ჰაინრიხი უწყინა ხვდებოდა, მაგრამ ამ სიტყვის ნაცვლად სულ სხვა სიტყვა აეკვიატებოდა ხოლმე, აი ის „უხამსად რომ ჟღერს. მაშასადამე, ბავშვის მოშორება შესაძლებელია... ის ბავშვი, ვისი გულისთვისაც კარლმა დედა მიატოვა, დედამ მოიშორა. ესე იგი, კარლი სულაც არ ყოფილა მთლად უგვანი ძია.

მერე „იგი“ დაიბადა — ბავშვი, და ლეოც იმუჭრებოდა, უპატრონოთა სახლს მივაბარებ, თუკი მაგის გულისათვის სამსახური მიატოვეო. მაგრამ დედას მაინც მოუწია სამუშაოს მიტოვება, რადგან მაგისტრატურის მოხელეებზე შეღავათიანი პირობებით წვნიანის გაცემა შეწყვიტეს. მოგვიანებით შავი ბაზარიც დაიხურა. წვნიანებს აღარავინ ეხარბებოდა, ფული გამოცვალებს, გააძვირეს, ხოლო მაღაზიებში ისეთი საქონელი გამოალაგეს, ადრე შავ ბაზარზეც კერსად ნახავდი.

დედა ტიროდა, „იგი“ ჯერ სულ პატარა იყო და დედის სახელი ერქვა — ვილმა, ლეო კი მანამდე იბღვირებოდა, ვიდრე დედა ხაბაზთან მოეწყობოდა.

ერთ დღეს ძია ალბერტი მოვიდა და დედას ფული შესთავაზა, დედა ფულს არ ართმევდა, ლეო დედას უყვიროდა, ალბერტი კი — მარტინის ძია — ლეოს.

ძია ლეოს საპარსი წყლის სუნი უდის ხოლმე. უთავბოლო პარსვისაგან სახე გადაწითლებული, ხოლო თმა კუპრივით შავი აქვს. საკუთარი ფრჩხილების მოვლა-მოწესრიგებასაც დიდ დროს ანდომებს ლეო და სამუშაო ხალათიდან ყვითელი კაშნე მოუჩანს ხოლმე. ამასთანავე ლეო დიდი წუწურაქი ვინმე გამოდგა: ბავშვებისათვის საერთოდ არ იმეტებდა ფულს და ამითაც განსხვავდებოდა მარტინის ძიებისაგან — ძია ალბერტისა და ძია ვილისაგან, არაფერი რომ არ ენანებოდათ ჰაინრიხისათვის. ვილი სულაც არ იყო ისეთი ძია, როგორიც ლეო, ლეო კი, თავის მხრივ, სულაც არ ჰგავდა ალბერტს. ჰაინრიხმა თანდათანობით ძიების კატეგორიებად დაყოფა ისწავლა: ვილი, მაგალითად, ნამდვილ ძიებს განეკუთვნებოდა, ლეო კი ისეთივე ძია იყო, როგორიც ერიხი, გერტი, ან კიდევ კარლი, — ძია, დედასთან რომ ეწევა თანაცხოვრებას. აი, ალბერტი კი სულ სხვანაირი ძიაა. იგი არც ვილის ჰგავს და არც ლეოს. მართალია, ალბერტი არ არის ვილისავით ნამდვილი ძია, რომელსაც ბაბუასაც კი დაუძახებ, მაგრამ იგი არც ლეოსავით თანაცხოვრობს ვინმესთან.

მამა პირმომცინარი ფელდფებელია. კედელზე ჩამოკიდებული მისი ფოტოსურათი ათი წლის წინათაა გადაღებული. უწინ მამა ხანში შესულ კაცს ჰგავდა, ახლა კი იგი სულ უფრო და უფრო ემსგავსება ჭაბუკს: ჰაინრიხი თანდათანობით უტოლდებოდა მამის წლოვანებას და მამა ახლა ორჯერ თუ იქნებოდა მასზე უფროსი. არადა, დრო იყო, მამა ოთხჯერ, ხუთჯერ უფროსიც იყო ჰაინრიხზე. მეორე ფოტოზე, იქვე რომ ეკიდა, დედა თვრამეტი წლისაა და ისე გამოიყურება, აი საკონფირმაციოდ მომზადებულ ქალიშვილს რომ ნახავ.

ძია ვილი ლამისაა და ექვსჯერ უფროსია ჰაინრიხზე, მაგრამ ვილისთან შედარებით ჰაინრიხი გაცილებით ხნიერ, გაცილებით გამოცდილ, გაცილებით ჰკვიან და დაღლლ ადამიანად თვლიდა თავს, ხოლო ვილისთან მეგობრობა ისე ახარებდა, პატარა ბავშვის გულითადი დამოკიდებულება რომ გაგახარებს,

თუნდაც პაწია ვილმას ალერსი, ასე ერთბაშად რომ მოჩიტდა. პაინრიხი ულო-ლიავებდა ბავშვს, აძლევდა ბოთლს, უთბობდა ფაფას, — ნაშუადღევს დედა სამსახურში მიდიოდა ხოლმე, ლეო კი ბავშვის მოვლაზე უარს ამბობდა: მე რა თქვენი გადია მნახეთო. პაინრიხი აბანავებდა კიდეც ბავშვს, მერე ისიც ისწავლა, რა უნდა ექნა, პაწიას რომ გარეთ გასვლა მონდომებოდა; ხოლო რო-ფა პაინრიხს საყიდლებზე უწევდა წასვლა, ანდა, დედას თუ მიჰქცევდა, ვილმა თან მიჰყავდა ხოლმე.

ალბერტი, მარტინის ძია, სულ არ ჰგავდა ვილის. ეს იყო კაცი, რომელ-მაც იცოდა ფულის ყადრო, კაცი, რომელსაც, მართალია, ჰქონდა ფული, მაგრამ ესმოდა, რა საშინელებაა, როცა ძვირდება პური, კარაქი კი მამასისხ-ლად ფასობს. ეს იყო ძია, თავისთვისაც რომ ინატრებდა პაინრიხი, ძია — არც ლეოსნაირი და არც ძია ვილი, რომელიც მარტო იმისათვის თუ გამოდგება, რომ ეთამაშო ან მასთან ერთად ისეირნო. არა, ვილი ცუდი ადამიანი როდია, მაგრამ ვილისთან ვერ ისაუბრებ, ალბერტი კი ყველაფერს გაგიგებს, მიუხე-დავად იმისა, რომ ფული აქვს.

პაინრიხი სიამოვნებით დადიოდა ხოლმე იქ; უმთავრესად ძია ალბერტის გულისთვის, ამასთანავე, მარტინიც იქ ცხოვრობდა, რომელიც ფულთან და-კავშირებულ საკითხებში არაფრით არ განსხვავდებოდა ძია ვილისაგან. პაინ-რიხს ბებიაც მოსწონდა; მართალია, ცოტა ახირებული ქალია, მაგრამ მაინც მოსწონდა. დადიოდა ფეხბურთის სათამაშოდ, მაცივარში შეწყობილი ნაირ-ნაირი საკმელების გულისთვის. იქ კიდეც იმ მხრივაც იყო კარგი, რომ ბაღში ვილმას დატოვება შეიძლებოდა, ხოლო თვითონ, ლეოსაგან მოშორებით, ამ დროს საათობით ითამაშებდა ფეხბურთს.

ეს კია, თავზარი დაეცემოდა ხოლმე იმის დანახვაზე, რას უშვებოდნენ იქ ფულს. მართალია, არაფერზე ეუბნებოდნენ უარს, ალერსიანადაც ექ-ცოდნენ, მაგრამ პაინრიხი ბუნდოვნად გრძნობდა, რომ ერთ მშვენიერ დღეს ყოველივე ძალზე ცუდად გათავდებოდა. არსებობდა ისეთი რაღაცები, რასაც ფულთან არაფერი ჰქონდა საერთო: თუნდაც ის ამბავი, რომ ძია ალბერტი სულ სხვა კაცი იყო, ვიდრე ძია ლეო; დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმასაც, რომ მარტინი შეაძრწუნა იმ სიტყვამ, დედამ რომ მიახალა ხაბაზს; თვითონ პაინრიხს მხოლოდ ეუხერხულა იმ სიტყვის გაგონება, აქამდე რომ ძია ლეოსა და ვილაც კონდუქტორი ქალისაგან გაეგონა, ეუხერხულა მხოლოდ, რადგან ეს სიტყვა ახლა დედასაც დასცდა. ეს სიტყვა პაინრიხს უშვერი მოეჩვენა, არც მისი გაგონება სიამოვნებდა, მაგრამ იმ სიტყვის გაგონებაზე მარტინივით რო-დი შეძრწუნებულა. ყველა ეს განსხვავება ნაწილობრივ თუ იყო ფულთან და-კავშირებული, ამ ამბებში მხოლოდ ძია ალბერტი ერკვეოდა და ალბათ იმა-საც ხვდებოდა, რომ არ უნდა მოპყრობოდა პაინრიხს მეტისმეტად კარგად.

თავი III

ორიოდე წუთია; ვილმას ჯიუტ, კეფაზე მობჯენილ მზერასა გრძნობს, გა-მარჯვებებს დაჩვეული კაცის მზერას, ეჭვიც რომ არ ეპარება წარმატებაში. თუმცა მზერასაც გააჩნია; ხშირად იმასაც გრძნობს ხოლმე, ვინმე მორიდე-ბული თავყვანისმცემელი რომ მუდარით სავსე თვალებს მიაპყრობს, მაგრამ ეს,

ასე დაჟინებით რომ უყურებს, საკუთარ თავში დარწმუნებულია, მზერა მტკიცე აქვს და არც მელანქოლიისა ეტყობა რაიმე. აგერ უკვე ნახევარი წუთია, ან კაცის თვალნათლივ წარმოსახვას ცდილობს: ალბათ ელვებანტური გარეგნობისაა, შავგვრემანი, რა იცო, იქნება ცოტა წამხედურაც იყოს და სულაც ნაძლევი აქვს დადებული, — კაცი არ ვიყო, სამ კვირაში წემო თუ გერ გა-ვიტანო.

დაღლილი იყო და ამ უცნობ თაყვანისმცემელზე ფიქრი იოლად გადაიყარა გულიდან. ის უხაროდა, შაბათ-კვირას ალბერტთან და მარტინთან ერთად გა-ვატარებო ბიტენჰანში. ზაფხული მიილია თითქმის და ალბერტის დედას-თან არ უნდა იყოს ხალხმრავლობა. თუნდაც ალბერტის მოსმენა რად ღირს, როცა გლუმთან და ვილისთან ერთად სატყუარებზე ლაპარაკს მოჰყვება; ამას-თანავე წიგნებსაც წაიძღვანიებს და იკითხავს, ვიდრე მარტინი და მისი თა-ნაკლასელი ფეხბურთის თამაშით იჯერებენ გულს. შეიძლება გლუმიც არ გა-აწბილოს, სათევზაოდ წაჰყვებს და მის საფუძვლიან განმარტებებსაც ათხო-ვოს ყური. გლუმი ნაირ-ნაირ სატყუარებს ჩამოუთვლის, აუხსნის ანკესზე მა-თი აგების წესებს და დიდი, ძალზე დიდი მოთმინების თაობაზეც ბევრს ილა-პარაკებს. ჯერ კიდევ გრძნობდა იმ დაჟინებულ მზერას, როცა შურბიგელის დამბანგველი ხმა ჩაესმა: თუკი სადმე რეფერატია წასაკითხი ხელოვნებაზე ან კულტურაზე, შურბიგელი იქაა და იქ. დასანახად სძულდა შურბიგელი და ახლო საკუთარ თავზე ბრაზობდა, რატომ მომერიდა და მოწვევაზე უარი რა-ტომ არ ვთქვიო. ათასწილად აჯობებდა შინ დარჩენილიყო ან მარტინთან ერ-თად წასულიყო კინოში. მერე ყავასაც დალევა სანაყინეში და ვიდრე მარტი-ნი ფირფიტებს ამოირჩევდა, ასე თავაზიანად რომ აწვდის ხოლმე მას მიმტანი გოგონა, საღამოს გაზეთებსაც გადაათვალიერებდა. ახლა კი უკვე დაგვიანებუ-ლია, რამდენიმე ნაცნობმა იგი უკვე შეამჩნია, მაშასადამე, კიდევ ერთი ჩამ-წარებული საღამო ელოდება: სახელდახელოდ გამზადებული ბუტერბროდები, თავახსნილი ბოთლები, ყავა (ჩაი ხომ არ გირჩევნიათ?), სიგარეტები და თვალ-წინ ალბერტის გამოთაყვანებული მზერა დაუდგა. ასეთი სახე აქვს ზოლმე ალ-ბერტს, როცა სტუმრებთან საუბარი, ანდა მის მეუღლეზე მოუწევს ლაპარაკი.

აწი ველარ დაიძვრენს თავს. ჯერჯერობით შურბიგელი გამოდის სიტყვით, შემდეგ პატერ ვილიბრორდი წარმოუდგენს მავანსა და მავანს, ის უცნობი თაყვანისმცემელიც გამოეცხადება, ვისი დაჟინებული მზერაც ახლა ნათურის შუქივით ეცემა ზურგზე. ყველაფერს ის აჯობებს, თვალი მილულს — წათვლემ მაინც.

ისერიგად მოიწყობდა ხოლმე საქმეს, თავადაც გული ეთანადრებოდა. იმიტომ კი არ ივალდებულებდა თავს, აქაოდა, პატივმოყვარე იყო, ან თუნდაც იმიტომ, რომ დაღუპულ მეუღლეს დიდება შემატებოდა; ვერც იმას იტყვი, ერ-თობ საინტერესო ადამიანების გაცნობა უნდოდაო. არა, უფრო იმის დარი გრძნობა აიძულებდა, ცურვისას რომ დაგეუფლება ზოლმე, თუკი დინე-ბას დაჰყვები. ეს გრძნობა აღიზიანებდა კიდევ, თუმცა დინებას მაინც მიათ-რევიანებდა თავს იქით, სადაც მეტ-ნაკლებად უაზრო იყო ყოველივე: კვლავაც და კვლავაც უყურებდა ნაწყვეტებს სულელური ფილმებიდან, უყურებდა უთავბოლო, უხეიროდ გადაღებულ ლიცლიცა კადრებს, უნიჭო მსახიობებს. ჯიუტად გაებრძოლა თავს, თვლელმა არ მომერიოსო, წელშიაც გასწორდა და შურბიგელის ლაპარაკსაც ყური მიუგდო, რასაც კარგა ხანია თავი მიანება.

დღიდა კეფაზე შეყინული მზერა, უჭირდა ასე გაძლება, მაგრამ უკან მიხედვა მაინც არ უნდოდა, — ისედაც მშვენივრად იცოდა, ვინაც ბრძანდებოდა: დახვეწილ-განათლებული მექალთანეები დასანახად სძულდა. რეფლექსებსა და არასრულფასოვან გრძნობებს დაქვემდებარებული მათი ცხოვრება ლიტერატურული ნიმუშების ზეგავლენით მიედინება, მათი გემოვნება კი სარტრსა და კლოდელს შუა მერყეობს. ყველა ეს ხალხი სასტუმროს მასწავლებლებზე ოცნებობს, საგანგებოდ შერჩეულ დარბაზში რომ უჩვენებნ ხოლმე უკანასკნელ სეანსზე გაშვებულ ფილმებში, რომელთაც ორგანის ეგზისტენციალური ჟღერა ახლავს თან, შუქმიმქრალი კადრებითა და დახვეწილი დიალოგებით მდიდარ — მართალია, ძუნწსიუჟეტთან, მაგრამ უდავოდ მშვენიერ — ფილმებში. ფერმკრთალი მამაკაცი ასეთივე ფერმკრთალი ქალის თავთანაა დახრილი, სიგარეტის კვამლი კი — „ღმერთო ჩემო, რა დიდებული კადრია!“ — ნისლივით ჩამოდგება პატარა მაგიდაზე. — „სიბილწეა, რასაც ჩავდივართ, მაგრამ სხვანაირად რომ ვერ მოვიქცევით“. აქრობენ სინათლეს და ჩაქუფრულ სიბნელეში მაგიდის კიდეზე მბოლავი სიგარეტი მოჩანს. შემდეგ ეკრანზე მთლიანად ქრება შუქი და გარდაუვალიც აღსრულდება.

რაც უფრო მატულობდა ასეთ თაყვანისმცემელთა რიცხვი, მით უფრო მეტად უყვარდა თავისი მეუღლე. მართალია, რას არ აბრალებდნენ, მაგრამ ეს ათი წელიწადი არც ერთ მამაკაცს არ გაჰყარებია. რაიმუნდი სრულებით არ ჰგავდა ამ ახლანდელ ნაცნობებს, გულუბრყვილო ადამიანი ეთქმოდა და კომპლექსებიც ასეთივე ბუნებრივი ჰქონდა.

შურბიგელის ხმა აბრუებდა და წამით გადაავიწყდა კიდეც კეფაზე მობჯენილი მზერა.

შურბიგელი ტანმაღალია, ზორბა; მწუხარება მის სახეს ყოველ მოხსენებაზე ერთი ათად დაეტყობა ხოლმე, მოხსენებები კი შურბიგელს უამრავი აქვს წაკითხული. ყოველი მოხსენების შემდეგ შურბიგელი კიდეც უფრო წარმოსადეგი, კიდეც უფრო ზორბაა ხოლმე და ნელასაც სულ მუდამ ასე ეჩვენება, თითქოსდა მის წინ საოცრად ერუდირებული, საოცრად დამწუხრებული ბუშტია, დღითი დღე რომ იბერება და ერთ მშვენიერ დღეს ალბათ გასკდება კიდეც, ხოლო ამ ბუშტისაგან არაფერი დარჩება, გარდა ერთი პეშვი კონცენტრირებული, აყროლებული მწუხარებისა.

თემაც სპეციფიკური ჰქონდა შურბიგელს — „მისეული: „შემოქმედებითი პიროვნების დამოკიდებულება ეკლესიისა და სახელმწიფოს მიმართ თანამედროვე ტექნიკურ ეპოქაში“. სასიამოვნო ხმა აქვს: ხავერდოვანი, შენიღბული გრძნობიერებისაგან ოდნავ ჩამწყდარი და სავსე უსაზღვრო მწუხარებით. შურბიგელი ორმოცდასამი წლისაა, ჰყავს მრავალი თანამოაზრე და თითო-ოროლა მტერი, მაგრამ ამ მისმა მტრებმა მაინც მოახერხეს და შუა გერმანიის რომელიღაც გაღლეტილ საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკაში მისი სადოქტორო დისერტაცია გამოჩხრიკეს, 1934 წელს რომ ჰქონდა დაწერილი, — დისერტაცია იქნა. „ფიურერის სახე თანამედროვე ლირიკაში“. სწორედ ამის გამოა, რომ შურბიგელი ყოველ თავის გამოსვლას შენიშვნებით იწყებს ზოგიერთი მჩხვანა ლლაპის პუბლიცისტური ნამუსგარეცხილობის თაობაზე, ახსენებს იმ სექტანტ პესიმისტებსა და თვითმგვემ ერეტიკოსებს, რომელთაც არ ესმით სულიერად მომწიფებული ადამიანის გარდასახვა. თუმცა მტრებსაც ესიამტკბილებოდა შურბიგელი და მათ წინააღმდეგ ისეთ იარაღს ხმარობდა, გულზე რომ

ხეტქავდა მის ყველა მოძულეს, რადგან ვერაფერს აწყობდნენ ამ კარალის წინა-
აღმდეგ: შურბიგელი პატიობდა მტრებს, პატიობდა ყველას და ყველაფერს.
სიტყვით გამოსვლისას ისე ეჭირა ხოლმე თავი, მის შემყურეს უმაღლესი დალაქი
გაგახსენდებოდა, კლიენტს რომ მზრუნველად დასტრიალებს ყველა დაპარა-
კის დროს წარმოსახულ მეგობრებსა და მტრებს ცხელ კომპრესებს ადებდა
თითქოს, ასხურებდა კეთილსურნელოვან, დამამშვიდებელ ესენციებს, არც პი-
რისაზის მასაჟი ავიწყდებოდა, თან უნიავებდა, სახეს უგრილებდა, შემდეგ კი
დიდხანს, გვარიანად უსაპნავდა თავს წარმოუდგენლად კეთილსურნელოვანი,
წარმოუდგენლად ძვირფასი საპნით; მისი ხავერდოვანი ხმა კი ამ დროს მეტის-
მეტად ჭკვიანურ აზრებს წარმოთქვამდა. შურბიგელი პესიმისტი გახლდათ,
თუმცა, არც მაინცდამაინც უიმედო. ისეთი სიტყვები, როგორიცაა „ელიტა“,
„კატაკომბები“, „სულიერი დებრესია“, შუქურებივით ტივტივებდნენ ამალე-
ბული სიტყვების წაკადში. თავისი სალონის წარმოსახულ კლიენტებს იღუმალ,
ზღვა სიამოვნებას ანიჭებდა შურბიგელი: ნაზად უთათუნებდა ხელს, ადებდა
ცივ და ხელთბილ კომპრესებს, უზელდა კანს. შურბიგელი თავის მსმენელებს
ყველა იმ მომსახურეობას სთავაზობდა, საუკეთესო საპარიკმახეროს პრეისკუ-
რანტში რომაა ხოლმე ჩამოთვლილი.

გაიზარდა კიდევ ერთ-ერთ საპარიკმახეროში, ქალაქის გარეუბანში. „სა-
ოცრად ნიჭიერი ბავშვი“ მალე შეამჩნიეს და ხელსაც ყოველნაირად უწყობდ-
ნენ, მაგრამ ჩასუქებულ ბიჭს მაინც სამუდამოდ დაამახსოვრდა მამის უსუფ-
თაო და პატარა საპარიკმახეროს გულისმომწყვლელი ეშხი: მაკრატლის ციმ-
ციმი, ნიკელის ლაპლაპი ნახევრად ბნელ ოთახში, ელექტროსაკრეჭის ნარ-
ნარი ზუზუნი, ხმადაბალი საუბრები, ნაირ-ნაირი საპნისა და ინანთეულის
სუნნი, სალონოში ჩაგდებული გროშების წკრიალი, ქაღალდის ნაგლეჯის მოკ-
რძალებული გადაწოდ-გადმოწოდება, რომელზეც ნელ-ნელა შრებოდა პირი-
სახიდან ჩამონაფხეკი საპნის ქაფი, ისე რომ, ქერა, შავი ან მწითური წვერი,
იფიქრებდი, შაქრის შეყინულ ფქვილშიაო არეული. შურბიგელს სამუდამოდ
დაამახსოვრდა ხის ორი თბილი და ბნელი ჯიხური, სადაც დედამისი ემსახურე-
ბოდა კლიენტებს. გაკვამლულ ჯიხურებში, სადაც ხელოვნური განათება ჰქონ-
დათ გამოყვანილი, ერთთავად ბუტბუტი ისმოდა ხოლმე და უცებ, ხანგამოშვე-
ბით, დედამისი მკვეთრად აუწყევდა ხმას. ასეთი რამ კი მაშინ ხდებოდა, როცა
შურბიგელის დედა სასიყვარულო მტლაშა-მტლუშზე ესაუბრებოდა თავის კლი-
ენტებს. თუკი საპარიკმახეროში არავინ იყო, ალერსიანი და მუდამდღე დანადგ-
ლიანებული შურბიგელის მამა უკანა ოთახში გადიოდა, აბოლებდა თან ცალკე-
ულ სიტყვებს აბრუნებინებდა შვილს. შურბიგელს სწორედ ამ უკანა ოთახში
გაუმახვილდა სმენადა სულიც აქ შეუმჭმუნვარდა. მამამისმა ვერ იქნა და ვერ
ისწავლა ლათინურ სიტყვებში მახვილის სწორად დასმა და *genus*¹-ის ნაცვლად
ჯიუტად გაიძახოდა — *genus ancilla*²-ს ნაცვლად კი *ancilla*-ს, ხოლო როცა მი-
სი პირმშო ყოველგვარი მომზადების გარეშე იწყებდა *titemi*³-ს უღლებას,
მამამისს სულელივით დაეკრიჭებოდა ხოლმე სახე, რადგან ასოციაციები ბილ-
წი ჰქონდა მუდამ.

¹ *genus* — სქესი (ლათ.).

² *ancilla* — მოახლე (ლათ.).

³ *titemi* — მე ვდებ (ლათ.).

თავის მსმენელებს შურბიგელი ახლა იდუმალ მალამოს უსვამდა: მოკრძალებით უზელდა ყურებს, შუბლს, ლოყებს. ბოლოს მკვირცხლი მოძრაობით შეახსნა წინსაფრები, თავი დაუკრა, შეაგროვა ფურცლები და მორცხვი ღიმილით ტრიბუნიდან ჩამოვიდა. ტაშს ყველა უკრავდა, დიდხანს, თუმცა კი ხმადაბლა, — ზუსტად ისე, მას რომ უყვარდა; ტაშის გრიფსი უწყვეტად გუზებოდა. მარჯვენა ხელი შურბიგელმა შარვლის ჯიბეში ჩაიყრდა და თუნუქებს პატარა კოლოფს დაუწყო თამაში, დავიტამინებული დრავითი რომ იყო სავსე. დრავეს ნაზი რაწყენი აწყნარებდა და შურბიგელმაც ღიმილით გაუწოდა ხელი პატერ ვილიბრორდს. „შესანიშნავი იყო, შესანიშნავი!“ — წასჩურჩულა პატერ ვილიბრორდმა. შურბიგელი ყველას გამოემშვიდობა. საჩქაროდ უნდა წასულიყო, რომ „სამხრეთ-ბავარიული სეცესიონის“ გახსნაზე არ დაეგვიანა, იგი ხომ თანამედროვე ფერწერის, თანამედროვე მუსიკის, თანამედროვე პოეზიის სპეციალისტად ითვლებოდა. განსაკუთრებით ურთულესი თემები მოსწონდა შურბიგელს, რადგან სწორედ ასეთი თემები იძლეოდნენ უაღრესად გაბედული აზრებისა და უკიდურესად მწვავე კონცეფციების ჩამოყალიბების შესაძლებლობას. შურბიგელის ეს შემართება მისსავე კეთილმოსურნეობას თუ შეედრებოდა: უფრო იმათ აქებდა, ვისაც თავის მტრად გულობდა, მოკეთებებში კი მუდამ ნაკლს დაეძებდა, იშვიათად თუ შეაქებდა ვინმეს და მოუსყიდავი კაცის სახელიც ასე გაითქვა. მოუსყიდავი კაცი იყო შურბიგელი, მართალია, ჰყავდა მტრები, მაგრამ თავად არავის მტრობდა.

იმის შემდგომ შურბიგელმა — ამ სიტყვების მერე არაერთგზის მოჰყავდათ პავლე მოციქულის მაგალითი — რელიგიის უსაზღვრო მიმზიდველობა აღმოაჩინა. თავისი მოკეთებებისა და მეგობრების გასაოცრად იგი ქრისტიანიც გახდა და ქრისტიან ხელოვანთა პირველადმომჩენელიც. მისდა საბედნიეროდ, შურბიგელს საყოველთაოდ ცნობილი, თუმცა აგერ უკვე ათ წელიწადზე მეტი ხნის წინანდელი დეაწლი მიუძღოდა, — რაიმუნდ ბახის საქვეყნოდ აღიარება, რომელსაც ჯერ კიდევ იმხანად უწოდა შურბიგელმა „ჩვენი თაობის უდიდესი ლირიკოსი“. ერთ-ერთი მთავარი ნაციისტური გაზეთის რედაქტორად მუშაობისას აღმოაჩინა მან ბახი, უბეჭდავდა ლექსებს და ეს ამბავი ახლა იმის უფლებას აძლევდა, — ამ ფაქტის გახსენებისას მის მტრებსაც მუცელში უვარდებოდათ ენა, — თანადროული ლირიკის შესახებ გამოქვეყნებული ყოველი რეფერატი შემდეგი სიტყვებით წარმემდვარა: „როდესაც 1935 წელს პირველად გამოვაქვეყნე შემდგომ რუსეთში დაღუპული პოეტ ბახის ლექსი, უკვე ვიცოდი, რომ ლირიკულ პოეზიაში ახალი ერა დადგა“.

ბახის ლექსების დაბეჭდვით შურბიგელმა უფლება მოიპოვა ნელასათვის „ქვირფასო ნელა“ ეწოდებინა, ნელა კი იძულებული იყო ესმინა ეს, თუმცა იცოდა, რომ რაიმუნდსაც ისევე სძულდა შურბიგელი, როგორც თავად სძულს ახლა. სამ თვეში ერთხელ შურბიგელი შინ მოადგებოდა ხოლმე ნელას, მოადგებოდა დაუდევრად ჩაცმულ ახალგაზრდებთან ერთად, სვამდა მათ სახლში ჩაის ან ღვინოს, ხოლო სურათს, რომელსაც წარწერა ახლდა — „პოეტის ქვრივი მისი მეუღლის პირველადმომჩენელთან ერთად“, — შურბიგელი სულ ცოტა ექვს თვეში ერთხელ მაინც გამოაქვეყნებდა სადმე.

შურბიგელის წასვლამ შვება მოუტანა თითქოს. ნელას სძულდა შურბიგელი, მაგრამ ამ კაცის აბუჩად ავდება იმავე დროს ართობდა კიდევ. ტაში მიწყდა თუ არა, ნელა გამოფხიზლდა. ანაზღად იგრძნო, ის დაეინებული მზე-

რა ახლა სახეზე მომეჩინაო. ნელამ თავი აიღო და თვალის შეხედვით იმ უცნობს, ასე ჯიუტად რომ ცდილობდა ქალის მოკადრებას. იგი პატერ ვილიბრორდთან ერთად მოეშურებოდა მისკენ.

უცნობი კაცი ახალგაზრდა აღმოჩნდა და მიუბრუნდა მოკადრის სადღეოდ ეცვა: ნაცრისფერი კოსტუმი, კოხტად შებნეული ყელსაბამი, მუცელზე იერიც სანდომიანი ჰქონდა, ოდნავ ირონიული. ასეთ ირონიას ვერც რედაქტორები აიფარებენ ხოლმე სახეზე, პოლიტიკურ სტატიებზე უარს რომ იტყვიან და ფელეტონების წერას მიჰყოფენ ხელს.

პატერ ვილიბრორდის გულუბრყვილობას თუ მიაწერდი იმ ამბავს, რომ უკლისად სწამდა შურბიგელისთანა ხალხისა ან თუნდაც ამ უცნობისთანა კაცის, ვისაც ახლა ნელასაკენ მოაცილებდა დინჯად.

უცნობი შავგვრემანი კაცი იყო, სწორედ ისეთი, ნელას რომ ჰყავდა წარმოსახული, სხვა მხრივ კი იგი სულაც არ ჰგავდა იმ ინტელიგენტს, ვისზეც ახლახან ფიქრობდა. ნელამ ერთხელაც გაუღიმა — უფრო მეტად შევაცბუნებო. ნუთუ არ აჰყვება სახის კუნთების თამაშს? აჰყვა, რა თქმა უნდა, აჰყვა. ხოლო როცა კაცმა თავი დაუკრა, ნელამ შუაზე საგულდაგულოდ გადაყოფილი ხშირი შავი თმა დაინახა.

— ბატონი გეზელერი, — ღიმილით წარმოთქვა პატერ ვილიბრორდმა. — ამჟამად იგი ლირიკული პოეზიის ანთოლოგიაზე მუშაობს და სიამოვნებით მოგელაპარაკებოდა იმის თაობაზე, რაის რომელი ლექსი შეიტანოს კრებულში.

— რა ბრძანეთ?.. რა გქვიათ?.. — ჩაეკითხა უცნობს ნელა და სახეზე მაშინვე შეატყო, რომ მისი შეკრთომა გეზელერმა ქალის აღელვებას მიაწერა.

ზაფხული რუსეთში, სანგარი. ტანმომცრო ლეიტენანტი რაიმუნდს უეჭველ სიკვდილზე აგზავნის. მაშასადამე, ამ შავგვრემან, საგულისგულოდ გაპარსულ სიფათს გააწნა ალბერტმა ათი წლის წინათ სილა? „ისე ვთხლიშე, ტუხა ლოყაზე ერთხანს საკუთარი ხუთი თითის ანაბეჭდს ვუყურებდი. ეს სილა ექვის თვის პატიმრობად დამიჯდა ოდესის სამხედრო ციხეში“. ფხიზელი, ოდნავ დამფრთხალი თვალები გამომცდელ მზერას არ აშორებს. სიცოცხლის ღირსი დაწყვეტილია, დანგრეულია ჩვენი ცხოვრება, — რაიმუნდის, ჩემი და ბავშვის ცხოვრება; დანგრეულია მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო, რომ ვილაც შავტუხა ლეიტენანტმა ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, „ჩემი ნაბრძანები, რაც გინდა იყოს, მაინც უნდა შესრულდესო“. ნელას თვალისწამში დაუწყვიტეს უკვე გადაღებული და ეკრანზე გასაშვებად გამზადებული მშვენიერი ფილმის სამი მეოთხედი, დაუწყვიტეს და სანაგვეში გადაუძახეს, თავად კი ამ ფილმიდან მონარჩენი, გადაგდებული ნაწილების შეკოწიწება მიესაჯა, შეკოწიწება იმ სიზმრებისა, თავდაპირველად რომ სულაც არ ეწერათ მხოლოდ სიზმრებად მოსვლა. მთავარი გმირი ფილმიდან ამოაგდეს. სხვა გმირები კი — თვითონ, ბიჭი და ალბერტი, აიძულეს რის ვაივაგლანით შეკოწიწებული ახალი ფილმი ენახათ. რეჟისორმა ერთი-ორი საათით ფილმში ვილაც ჩია განმკარგულებელი შემოიყვანა, ჰოდა, იმანაც აურ-დაურია ფილმის ფინალი. მთავარი

გმირი აღარ გვკირდება! ესე იგი, თვითონ ნელასი, ალბერტის, ბავშვისა და ბებიას გამწარებული ცხოვრება ამ თითისტოლა არარაობის სინდისზეა; არა-და, ისე იყურება ახლა, ნამდვილად დარწმუნებულია, — ქალი იმიტომ დაიბ-ნა, მე შევუყვარდიო. პაიტ, შე პაწია აწიკო, შე უტიფრად მოზიარალო ინტე-ლიგენტო, ანთოლოგიის შემდგენელო, ვაი შენს დღეს, თუკი ეს შენა ხარ, ჩალო-გაზრდა კი მეჩვენები, მაგრამ ვაი შენს დღეს, თუკი ეს შენა ხარ, შენ გახდები მთავარი გმირი ფილმის მესამე ნაწილში, რომელსაც მელოდრამული დასასრული ექნება; მაშ, შენა ხარ ის მითიური არსება ჩემი ბიჭის ფიქრებში, ხელი პიროვნება ბებიას მეხსიერებაში, ათი წლის მანძილზე უსაზღვრო, ძვალ-სა და რბილში გამჭდარი სიძულვილით რომ გახსენებს ხოლმე? პაიი, შენც ისე-ვე დაგესხმევა რეტი, როგორც მე მესხმის ახლა.

— გეზელერი, — წარმოთქვა ღიმილით.

— ბატონი გეზელერი ორი კვირაა ფელეტონის განყოფილების ხელმძღ-ვანელობს „ბოტენში“, — ჩაურთო პატერ ვილიბრორდმა. — რა მოგივიდა, ნე-ლა, ძვირფასო, შეუძლოდ ხომ არ ხარ?

— დიახ, რაღაც ვერა ვარ კარგად.

— თუ ნებას დამრთავთ, ფინჯან ყავაზე მიგიპატიუებთ, გახალისდებით.

— სიამოვნებით.

— თქვენც ხომ წამობრძანდებით, პატერ?

— კი ბატონო, წამოვალ.

მაგრამ ნელა ჯერ ტრიმბორნს უნდა გამომშვიდობებოდა, ხელი ჩამოერთ-მია, მერე ქალბატონ მეზევიტცს მისალმებოდა. ამასობაში ვიდაცის ჩურჩულს მოჰკრა ყური: „ბერდება ჩვენი მშვენიერი ნელა“ და უცებ გაიფიქრა, — ხომ არ აჯობებს, შინ დავრეკო და ალბერტს ვთხოვო, აქ მომაკითხოს; ხელად იცნობს და ამაზრზენ გამოკითხვა-დაკითხვებს თავიდან ამაცილებინებსო. ეჭ-ვიც არ ეპარებოდა, რომ გეზელერი ნამდვილად ის გეზელერი იყო, თუმცა კი ყველაფერი თითქოს პირიქით უნდა ყოფილიყო: ოცდახუთი წლის კაცს თუ მიაშგვანებდი, დიდი-დიდი, ოცდარვისა ყოფილიყო; ესე იგი, იმ დროს ეს ვაჟბატონი თვრამეტი წლისაც არ იქნებოდა.

— წერილი მინდოდა მომეწერა, — თქვა გეზელერმა, როცა კიბეზე ჩა-დიოდნენ.

— ტყუილად გაირჯებოდით, — უპასუხა ნელამ.

გეზელერმა ამოხედა ნელას და მისმა ყვეყჩურად განაწყენებულმა იერმა ქალი კიდევ უფრო შეაგულიანა.

— ათი წელია წერილებს აღარ ვკითხულობ, გაუხსნელად ვყრი ხოლმე სანაგვე ყუთში.

კართან მისული ნელა შეჩერდა, ხელი მხოლოდ პატერ ვილიბრორდს გა-უწოდა და თქვა:

— არა, გადავიფიქრე, შინ წავალ, შეუძლოდ ვგრძნობ თავს. თუ გნე-ბავთ, დამირეკეთ, მაგრამ თქვენი გვარი ტელეფონში არ ახსენოთ!

— რა მოხდა, ნელა ძვირფასო?

— არაფერი ისეთი, გადავიღალე.

— მომავალ კვირადღეს სიამოვნებით გინახულებდით ბრერნიხში, ბატონი გეზელერი მოხსენებას წაიკითხავს.

— დამირეკეთ, თუ გენებოთ, — გაიმეორა ნელამ და იქაურობას სწრაფად გაშორდა.

როგორც იქნა, დააღწია თავი გაჩახახებული სინათლეების ზოლს და ბნელი ქუჩისაკენ გაუხვია, სადაც ლუიჯის კაფე ეგულებოდა.

ვინ მოთვლის, რამდენჯერ ყოფილა ამ კაფეში რაიმესთან ერთად. ეს კაფე ყველაზე მოსახერხებელი ადგილია საიმისოდ, რომ სიზმარად ქცეული დაჩეხილი ნაწყვეტებიდან ფილმი შეაკოწიწო და ეკრანზე გაუშვა: ჩააქრობ შუქს, მერე დილაკს დააჭერ თითს და სიზმარი, ცხადად რომ უნდა ქცეულიყო, მყისვე აკიაფდება ტვინში.

ლუიჯიმ გაუღიმა და ხელად იმ ფირფიტას დაავლო ხელი, ქალის შემოსვლისთანავე რომ დაუკრავდა ხოლმე: პრიმიტიულ-სანტიმენტალური მუსიკა კიდევაც მოგქანცავდა, კიდევაც აგაღელვებდა. ნელა მოუთმენლად ელოდა იმ წამს, მელოდია რომ მიწყდებოდა და გრუხუნ-გრუხუნით გადაეშვებოდა თვალჩაუწვდენელ უფსკრულში, თავად კი ამასობაში ჩიუტად უყურებდა ფილმის პირველ ნაწილს, იმ ნაწილს, სიზმართან რომ არაფერი ჰქონდა საერთო.

ამ კაფეში დაიწყო ეს ფილმი და მას აქეთ თითქმის არაფერი შეცვლილა აქ. ვიტრინის ზემოთ, ქუჩის მხრიდან, კედელში ახლაც მამალია გამოკვეთილი და ჭრომაბ-ჭრომაბი შუშის ნატეხებითაა მოკილიტებული: ზოგი მდებარეობით მწვანეა, ან ბროწეულივით წითელი, ზოგს იმ ალმებივით ჭახჭახა სიყვითლედ დაჰკრავს, სამხედრო მატარებლებზე რომ დაამაგრებენ ხოლმე, ზოგიც შავია, — ნახშირივით შავი. თოვლივით თეთრ აბრაზე კი, ოთხიოდე აგურის ზომისა რომ იქნება და მამალს ნისკარტით რომ უჭირავს, წითელი წარწერაა: პენელი — 144-ნაირი ნაყინი. კვლავინდებურად დიდი ხანია, რაც მამალი კედელშია გამოკვეთილი და თავის ჭრელაჭრულა სინათლეს კაფეში შემოსულ სტუმრებსა და დახლს აფრქვევს. სინათლე იმ კუთხესაც სწვდება, სადაც ნელა ზის ახლა; გაცრეცილ-შენაყვითლები ხელის მტევანი მაგიდაზე ახლაც ისე აქვს ჩამოდებული, მაშინ რომ ჰქონდა, როცა ფილმის პირველი ნაწილი დაიწყო.

ვიდაც ახალგაზრდამ ნელას მაგიდასთან ჩაიარა. მიწისფერი ჩრდილი ქალიშვილის ხელს გადააცურდა და ვიდრე ახედვას მოასწრებდა, ახალგაზრდამ ასე ჩაულაპარაკა: „ეს ყავისფერი ქურთუკი სულ არ გიხდებათ“. იგი უკვე ნელას ზურგს უკან იდგა, დინჯად ააწევინა ხელები, ჰიტლერიუგენდის ქურთუკი გახადა, მერე იატაკზე დააგდო, ფეხით დარბაზის კუთხეში მიაჩოჩა და ნელას მაგიდას მიუჯდა.

— რა თქმა უნდა, ვიცი, რომ ჩემი საქციელი უნდა აგიხსნათ, — ნელამ მაინც ვერ მოახერხა მისი შეთვალისწინება, რადგან ახლა სხვა მიწისფერი ჩრდილი დაეცა მის ხელს, აქამდე რომ მუქ სიყვითლეში დამირულიყო მამლის მკერდიდან გადმოღვრილი სინათლისაგან.

— ამ ქურთუკს ნულარ წამოისხამთ, არ გიხდებათ.

მოგვიანებით ეცეკვა კიდევ, რაკი მის მაგიდასთან პირველი მოვიდა. დახლის შორიახლო ცეკვავდნენ, თავისუფალი ადგილი იქ დაიგულეს. ამჯერად კი რიგიანად შეათვალისწინა: მომლიმარ სახეზე საოცრად სერიოზული, ლურჯი თვალები ნელას მხარმიდმიდან სადღაც შორს იცქირებოდნენ. მარტო ცეკვავდაო თითქოს და ხელებს ოდნავად თუ შეახებდა, — მსუბუქზე მსუბუქ ხელებს, მოგვიანებით რომ სახეზე მიიხუტებდა ხოლმე, როცა მათ უკვე ერთად

ეძინათ. ნათელი ღამეების ჟამს მის შავ თმას ისეთივე ფერფლისფერი დაედებოდა, როგორც ქუჩიდან შემოსულ სინათლეს და ნელა მის სუნთქვას შეშინებული უგდებდა ყურს, თუმცა კი სუნთქვა მაინც არ ესმოდა ხოლმე; თითებით თუ იგრძნობდა, როცა ხელს მიუტანდა ტუჩებთან.

ცხოვრების ზედმეტი ტვირთი სწორედ იმ წამს მოიცოდა თავიდან, როცა მიწისფერი ჩრდილი სინათლისაგან შენაყვითლებ მის ხელს და მისი პიტლერიუგენდის ყავისფერი ქურთუკი სანაყინეს კუთხეში მიაგდეს.

ხელის მტევანზე მომჯდარი ლაქა ზუსტად ისეთივე ყვითელი ფერისაა, როგორც ამ ოცი წლის წინათ.

მოსწონდა მისი ლექსები, იმიტომ რომ ეს ლექსები რაიმუნდს ეკუთვნოდა. თუმცა ამ ლექსებზე გაცილებით უკეთესი თავად რაი იყო, ასე სხვათაშორის რომ კითხულობდა მათ. ყველაფერი იოლზე იოლად გამოსდიოდა ხელიდან, გეგონებოდა, ასეც უნდა იყოსო; ჯარში გაწვევა, გასაგონად რომ ეზარებოდა, ისიც კი გადაუვადეს, მაგრამ მეხსიერებას სამუდამოდ შემორჩა იმ გარდასული ორი დღის მოგონება, როცა რაის უღვთოდ სცემეს კაზემატებში.

1876 წლიდან მოღწეული პირქუში, ნესტიანი ფორტი, სადაც ვიღაც ჩიკრიკელა, ფხიან ფრანგს ახლა შამპინიონები გამოჰყავს: სისხლიანი ლაქები სველ, ცემენტის მრუშე იატაკზე; ლუდი და მოიერიშეთა ბოყინი, როგორც საფლავიდან ამოძახილი მოგუდული ბანი; ნარწყვეი კედლებზე, ტალანში, სადაც ნაკელზე ახლა მოთეთრო, ერთი შეხედვით ჭირიანი სოკოები იზრდება. კაზემატის სახურავზე უკვე მშვენიერი მწვანე გაზონებია გაშენებული, ხარობს გარდი, თამაშობენ ბავშვები, ისმის ხელსაქმით გართული დედების შეძახილები: „ფრთხილად“, „რა დამთხვეულივით დარბიხარ“, პენსიონერები კი მწყრალად ჩააფშვნიან ხოლმე ჩიბუხში თუთუნს და ეს ყოველივე მხოლოდ რანდენიმე მეტრითაა დაშორებული იმ ორმოს, სადაც რაი და ალბერტი ორი დღის განმავლობაში სიკვდილის პირას ეყარნენ. ახლა აქ სახეგაბრწყინებული მამები ოთხით დაჯირითობენ, ბაბუები ბავშვებს კამფეტებით უმასპინძლებიან; აქვეა შადრევანი, ისმის შეძახილები: „კიდესთან ახლოს არ მიხვიდე“, მოხუცებული დარაჯი კი, ვისაც დილაობით პარკის შემოვლა აკისრია, გარეუბნელი ახალგაზრდობის სასიყვარულო ნიშანკვალს სპობს: პომადით მოთხვრილ ქაღალდის ხელსახოცებს, სიტყვა „სიყვარულის“ სინონიმებს, დატეხილი ტოტებით რომ დააფხაჰნიან ხოლმე მიწას. უთენია ფეხზე მყოფი ზოგი მიჩუჩუნებული პენსიონერი კი ზაფხულობით ადრიაანად მოდის ხოლმე აქ, რომ მოქუჩებულო ნადავლი გაჩხრიკ-გამოჩხრიკოს, ვიდრე ამ ნადავლს სანაგვე ყუთში ჩაუძახებენ; მოდიან და ხითხითს მოჰყვებიან, როცა ქაღალდის დასვრილ ხელსახოცებსა და ზედ შენაწმენდ მუქი წითელი ფერის პომადის მოჰკრავენ თვალს: ეჰ, ოდესღაც ხომ ჩვენც ვიყავით ახალგაზრდები.

ეს ყოველივე იმ ჯურღმულის თავზე ხდება, სადაც ახლა შამპინიონები გამოჰყავთ, — უამრავი თეთრი ლაქა ქათქათებს ყავისფერ ნაკელსა და ყვითელ ნამჯაზე. სწორედ ამ ჯურღმულში მოუღეს ბოლო აბსალომ ბილიგს, ქალაქში მოკლულ პირველ ებრაელს, შავგვრემან, პირმომცინარ ჭაბუკს, რაიმუნდისგან მსუბუქი ხელების პატრონს. ხატვაც რიგიანი იცოდა აბსალომმა. სხვა ალბათ ვერც კი შეიძლებოდა ასე ხატვას. ხატავდა სამეთვალყურო კოშკებსა და მოიერიშეებს, ხატავდა „სისხლით ხორცამდე გერმანელებს“ და სწო-

რედ ამ მოიერიშეებმა, „სისხლით ხორცამდე გერმანელებმა“ გათელეს იგი დაბლა, ჯურღმულში.

ტანმორჩილმა შავგვრემანმა ბარმენმა ახალი ფირფიტა მიართვა, ნიშნად თაყვანისცემისა მისი ქერა სილამაზისადმი. ნელამ ოდნავ გადააჩოჩა ხელი, ისე რომ მტევანს მამლის წითლად შებუმბულ კისრიდან გადმოდებული შუკი დასცემოდა. მათი შეხვედრიდან ორი წლის თავზე ნელას ზუსტად ამ ადგილას ედო ხელი, ეს ის დღე იყო, როცა რაიმუნდი აბსალომ ბილიგის მოკვლის ამბავს უამბობდა: ხორცდაცვენილი პატარა ებრაელის ქალი, აბსალომის დედა, ალბერტის ბინიდან ტელეფონით რეკავდა ლისაბონში, ცდილობდა მეზიკო-სიტის დაკავშირებოდა, უკვეთავდა ყველა საოკეანო ტრასას, ზელში კი მთელი ამ ხნის განმავლობაში პაწია ვილჰელმ ბილიგი ჰყავდა, რომელსაც ეს სახელი კაიზერ ვილჰელმის საპატივცემულოდ დაარქვეს და ჰოი, საკვირველებავ! სადღაც შორს, არგენტინაში, ვილაცას ტელეფონის ყურმილი ეკავა და ფრაუ ბილიგს ელაპარაკებოდა: ვიზა... ბე...

არგენტინაში ბანდეროლით გადააგზავნეს „ფოლკიშერ ბეობახტერის“ ორი ნომერი და ჟურნალებთან ერთად ფურცლებს შუა ჩაწყობილი ოცი ათასი მარკა. რაი და ალბერტი ნელას მამის საკონდიტრო ფაბრიკაში მოეწყვნენ სამუშაოდ, სარეკლამო განყოფილების მხატვრებად.

ახლა იქ შამპინიონები მოჰყავთ, თამაშობენ ბავშვები, ისმის დედების შეძახილები: „ფრთხილად“, „რა დამთხვეულივით დარბიხარ“, „კიდესთან ახლოს არ მიხვიდე“, ჩქეფს შადრევანი და ვარდებიც წითლად დადლადება. ზუსტად ასეთი ფერი აქვს ნელას ხელს იმ სინათლეზე, მამლის წითლად შებუმბულ კისრიდან რომ ატანს, — პენელის საგერბო მამლის წითლად შებუმბულ კისრის სინათლეზე. ფილმი გრძელდება, რაიმუნდის ხელები აღარაა უწინდელივით მსუბუქი, მის სუნთქვასაც უფრო გაიგონებ ხოლმე. რაი თითქოსდა სიცილსაც გადაეჩვია, ფრაუ ბილიგისაგან კი ბარათი მოვიდა: „დიდი მადლობა ჩემი ძვირფასი სამშობლოდან შემონათვალ მოკითხვებისათვის“. მერე კვლავ გააგზავნეს ბანდეროლი, — „შტიურმერის“ ორი ნომერი, ჟურნალებთან ერთად კი ათი ათასი მარკა. ალბერტი ლონდონს გაემგზავრა და იქიდან სულ მალე ამბავი მოვიდა მისი დაქორწინების შესახებ; ხუშტურიანი და ფოტოგენური სახის ქალიშვილი შეირთო ცოლად, თავნება და ღვთისმოსოშიმსული, ხოლო რაი მამის ფაბრიკაში დარჩა მხატვარ-სტატისტიკოსად. — როგორი რეკლამა მოუხდება ჩვენს ახალ ნაწარმს? — ყველასათვის ხელმისაწვდომია პოლშტეგეს მარწყვის უელე.

მელნისფერია მამლის ჩიჩახვი, ფილმი ისევ გრძელდება: ნაცრისფერი და გშვიდი დღეები ერთმანეთს მისდევს, გაჭიანურდა პიესა. მოულოდნელად ლონდონში ხუშტურიანი და ფოტოგენური სახის ქალიშვილი კვდება, თვეების განმავლობაში ალბერტისაგან არაფერი ისმის, ნელა კი წერილს წერილზე აგზავნის: „დაბრუნდი, რაც შენ გაემგზავრე, რაიმუნდს აღარ გაუცინია“. ამ წერილების გამოა, რომ ალბერტი დროდადრო საყვედურობს ხოლმე ნელას.

ეკრანზე ყოპრალი კადრები ლიცლიცებს, ნატიფი სინათლე დაძაბულობას ზრდის. დაბრუნდა ალბერტი, მერე ომი დაიწყო: ყოველი ფეხის გადადგმაზე საველე სამზარეულოების სუნი დგას, სასტუმროები ხალხითაა გადა-

ქედილი, ეკლესიებში თავგამოდებით ლოცულობენ მამულისათვის. ყველგან იმდენი ხალხია, ღამესაც ვერსად გაათევ, რვასათიანი შვებულება კი მალე გარბის, იმაზე უფრო მალე, ვიდრე გადაჭდობილი მკლავები განელტყებიან ერთმანეთს: წყვილები პლუშით გადაკრულ დივანზე ეხვევიან ერთიმეორეს, ეხვევიან მუქ-ყავისფერ ტახტზე, იაფფასიანი სასტუმროებზე, ბუნტურ საწოლებზე, ახლა რომ დაუდგათ დრო; საითაც მიაბრუნებ თავს, წყურქებს ჩუქმის ვაქსითაა დათითხნილი.

ელრიკებს ზარი, უგემური საუზმე ყელში არ გადადის, გაღებული მატრონა კი ამასობაში ფანჯარაზე აბრას აკრავს: „ოთახი თავისუფალია“. ფანჯარასა და ფარდას შორის ქალაღლის აბრაა გამოკრული, მაქანკალ ქალს კი სახეზე ცინიკური სიბრძნე აღებეჭდა, როცა იგი ქირის ფასით გაკვირვებულ რაიმუნდს უბასუხებს: ახლა ომია, საწოლები ნაკლებად და ძვირადაც ამიტომ ფასობსო. ასეთ ოთახებში ქალები მორიდებით შეაბიჯებდნენ ხოლმე, ცოლქმრული მოვალეობა პირველად სრულდებოდა არაკანონიერ სარეცელზე, რცხვენოდან, რომ მეძავ ქალებს ჰგავდნენ, მაგრამ მაინც ტკებოდნენ გარდაუვალით. სწორედ ასეთ ოთახებში ჩაისახნენ 1946 წლის პირველკლასელები: გამოყვინცილებული, რაქიტნიანი, ომისდროინდელი ის ბავშვები, მასწავლებელს რომ შეეკითხებოდა: „ესე იგი, ზეცა ისეთი შავი ბაზარია, სადაც ყველაფერს იშოვი, არა?“ ზარის ელრიკი, რკინის საწოლები, ზღვის ბალახით გამოტენილი და დაკორძილი ლეიბები კიდევ დიდხანს, კიდევ ორი ათასი ღამის განმავლობაში დარჩება ნატვრის საგნად, ვიდრემდის 1951 წლის პირველკლასელები ჩაისახება.

ომი მუდამყამს კურთხეული თემაა დრამატურგისათვის, რადგან ისეთი მოვლენა მოჰყვება ხოლმე, როგორიცაა სიკვდილი, თავიდან ბოლომდე მთელ სიუჟეტს რომ დაძაბავს გვარიანად დაჭიმული დოლის პირივით. არადა, საკმარისია ოდნავ შეეხო ხელით, რომ აგუგუნდეს დოლი.

კიდევ ერთი ჭიქა ლიმონათი, ლუიჯი, ოლონდაც ძალზე ცივი იყოს და თან რაც შეიძლება მეტი სიმწარე ჩაყარე იმ მწვანე ბოთლიდან. ცივი უნდა იყოს და მწარე, იმ განშორებასავით მწარე, ტრამვაის გაჩერებებსა და ყაზარმის შესასვლელთან რომ იგრძნობ ხოლმე, იმ მტვერივით მწარე იყოს, იაფფასიანი სასტუმროების ლეიბებს რომ უდის, — მწარე, როგორც კედლის ღრიჭოებიდან ჩამოცვენილი ლოხორი და ათასნაირი ჩალაბულა, ისეთივე მწარე, მეათე, მერვე, მეხუთე მარშრუტის ტრამვაის ბორბლექვეშ რომ გააქვს ტკაცატკუცი, როცა იგი უიმედობის შმორით აყროლებული ყაზარმებისაკენ მიიზღაზნება; იმ ოთახივით ცივი უნდა იყოს, საიდანაც ჩემოდანი უნდა გამომეტანა, როცა იქ სხვა ქალი შესახლდა უკვე: ვილაც ქერა, უზაკველი და უმწიკვლო მეუღლე თადარიგის ფელდფებლისა. ქალი ვესტფალურ დილექტზე ლაპარაკობდა, მაგიდაზე ძეხვი დაედო, თან დამფრთხალი თვალებით შემომყურებდა. ჭრელი პიუჰამო მეცვა და ამის გამო ფელდფებლის მეუღლემ კახბად ჩამთვალა. თუმცა მეც კანონიერი მეუღლე ვიყავი, ჯვარი მეოცნებე ფრანცისკანელმა დაგვწერა გაზაფხულის ერთ მზიან დღეს. რაიმუნდს არ უნდოდა ჯვრისწერამდე ჩემთან სიახლოვე. ნუ გეშინია, ფელდფებლის კეთილო მეუღლე! პერგამენტის ქაღალდზე კარაქის ყვითელი კომტია დათხლავნილი, სირცხვილისაგან სახეაღწეილ ქალს ეს-ესაა ცრემლი წასკდება, მოზინზლულ მაგიდაზე კი კვერცხი მიგორავს. ეჰ, ფელდფებელო, კვირადღეობით, წირვის

დროს რომ ასე მშვენივრად ამბობდი ბანს, რას გადაჰყარე შენი მეუღლე? აკი იყავი შენთვის წვრილმეურნე და მეთუნე, შინ ღორიც გყავდა, ძროხაც, ქათამიც, დაკრძალვისას Dies irae-ს გალობდი და ვერდენის ამბები ბრძოლიდან ათი წლის თავზეც მშვენიერ სასაუბრო თემად მიგაჩნდა, როცა კათხა ლუდით ხელში ემუსაიფებოდი ვისმეს; შენ, ოთხი მთწაფის ალაღ-მართალო მამავ, მოქმელო მშვენიერო ბანისა, ორგანივით რუმე-უდურდა ხოლმე საეკლესიო გუნდში, რას გადაჰყარე მეუღლე? მას ხომ მთელი ღამე ლეიბის მწარე მტვრის ყლაპვა მოუწევს, შინ კი იმ შეგრძნებით დაბრუნდება, თითქოს მეძავი იყოს. დაბრუნდება და მუცლით 1946 წლის პირველკლასელი აპყვება, დღიდან დაბადებისა რომ ობოლი იქნება მამით; შენ, უდარდელო მგალობელო, ასე ენაწყლიანად რომ ჰყვებოდი ხოლმე ვერდენთან მომხდარ ამბებს, შენ ხომ ჭურვის ნატეხით მკერდში სამუდამოდ დარჩები საპარის ქვიშებში, დარჩები, რადგან მშვენიერი ბანი კი გაქვს, მაგრამ ჯანმრთელობაც ხელს გიწყობს და ტროპიკულ პირობებში სამსახურისათვის გამოდგები. შეფაკლულ სახეზე ცრემლი ეტყობა ქალს, კვერცხი კი მაგიდაზე მიგორავს და დაბლა ეცემა: იატაკზე ღორწოვანი ცილაა დანთხეული, თიმთიმებს მუჭი ყვითელი კვერცხის გული, დაფშხენილ-დატეხილია ნაჭუჭი. ოთახში ძალზე ცივა, ჩემი ჩემოდანი ცარიელია თითქმის, ჭრელი პიჟამოსი და ზოგი სხვა აუცილებელი ნივთის გარდა არაფერია შიგ; ასე რომ, ძალზე ძნელია დაარწმუნო ეს ღვთისნიერი ქალი ჩემს პატიოსნებაში. ამასთანავე წიგნსაც მოჰკრა თვალი, რომელსაც გარკვევით ეწერა რომანი და თითზე წამოცმული ჩემი საქორწინო ბეჭედი ქალს მისი მოტყუების ფუჭი მცდელობა ჰგონია. ეჰ, ფელდფებლის მეუღლე, შენი 1946 წლის პირველკლასელი მეთუნეებისაგან გყავს, ჩემი 1948 წლის პირველკლასელი კი პოეტისაგან გამიჩნდა, თუმცა ამას არა აქვს მაინც-დამაინც დიდი მნიშვნელობა.

გმადლობთ, ლუიჯი, კიდევ ერთხელ მომასმენინე ის ფირფიტა, ხომ იცი, რომელ ფირფიტაზე გეუბნები? — ზუის, ლუიჯიმ იცის. ველური, პრიმიტიული მელოდია დროულად მიუჩნდება, ყმუილ-ყმუილით გადაეშვება უფსკრულში, გალხვება, მერე კი ისევ თავიდან ახმიანდება. ცივია ლიმონათი, იმ გაყინული ოთახივით ცივი, ცივია და მტვერივით მწარე, ჩემს ხელს კი ამჯერად მამლის ლურჯად შეფერადებული ბოლო დაჰნათის.

ფილმი გუნება-განწყობილების შესაფერის მქრქალ სინათლეზე გრძელდება, — დრამატურგიამ იცის თავისი საქმე. „ასეთი განათება ატმოსფეროს შექმნის“. საწვრთნელი მოედნის განაპირას კვლავაც იგრძნობა წმახე სუნი, ბევრი ჯარისკაცია ღირსყოფილი, მოცურავს ფული და ოთახების შოვნაც სულ უფრო ძნელდება: ათი ათასი ჯარისკაცია ერთ ალაგას თავშეყრილი, აქედან ზუთი ათას კაცს მოაკითხავს ვინმე, მთელ სოფელში კი ორასიოდე ოთახი თუ მოიძებნება იმ სამზარეულოების ჩათვლით, სადაც ხის სკამლოგინებზე მიწოლილ დედებს დაჯილდოებული და ღირსყოფილი მამებისაგან 1948 წლის პირველკლასელები აპყვებათ. აპყვებათ იმ ადგილ-ალაგას, სადაც კი მოხერხდებოდა ეს: მზრალ ნაველარზე, ფიჭვნარში — წიწვით მოშაშრულ მიწაზე; და თუმც ციოდა, მაინც თვალისწამში წაუწვებოდნენ, რადგან იანვრის თვე იდგა, ოთახი კი გაცილებით ნაკლები იყო, ვიდრე ჯარისკაცი. ორი ათასი დედა და სამი ათასი ცოლია ჩამოსული, მაშასადამე, სამი ათასჯერ უნდა იღსრულებდეს გარდაუვალი, რადგან „ბუნება თავისას მოითხოვს“; ამასთანავე, არც მასწავლებლები

ისურვებენ 1948 წელს ცარიელი მერხების წინ დგომას, უიმედობა, სასოწარკვეთილება ახლავს ქალებისა და ჯარისკაცების მზერას, მერე კი გარნიზონის სარდლობას მხსნელი აზრი მოუვა თავში: ექვსი ბარაკი დაცარიელებულია, ესეც 240 საწოლი, დროებით მთელი მეშვიდე კორპუსიც დაცლილია — იქ საარტილერიო პოლკის ასეულია განლაგებული, მაგრამ ასეული ამჟამად საწვრთნელ პოლიგონზეა გაყვანილი; საამისო ადგილი სარდაფებშიც მოინახება, თავლებიც ცარიელია, „აქვეა ბუმბულივით თივა, ცხადია, ფულის გადახდაა საჭირო“. ჩამორთმეულია ბედლები, რეკვიზირებულია ავტობუსები, რომლებიც ოცი კილომეტრით დაშორებულ პატარა ქალაქში მიმოდინან. გარნიზონის სარდლობა ფეხქვეშ თელავს ყველა კანონსა და წესდებას, მით უმეტეს, რომ დივიზიას ცხრა მთას იქით უწევს წასვლა, ხოლო გარდაუვალი ერთხელაც უნდა აღსრულდეს, არადა, 1961 წელს ყაზარმებში კაციშვილის ჭაჭანება აღარ იქნება. ჰოდა, კიდევაც ჩაისახნენ 1948 წლის პირველკლასელები: გაკნაჭული, კოჭდაბალი ბავშვები, რომელთა პირველი სამოქალაქო ნაბიჯი ქვანახშირის ქურდობა იქნება. ჩია და მარჯვე ბავშვები თითქოსდა ხელმრუდობისათვის იყვნენ ზედგამოჭრილნი, სციოდათ, ითოშებოდნენ ხოლმე და ყველაფრის ფასი იმთავითვე ესმოდათ; თვალისწამში აახტებოდნენ ქვანახშირით დატვირთულ ვაგონს, და რასაც მოასწრებდნენ, დაბლა ჩამოყრიდნენ ხოლმე. ნეტავი თქვენ. მცირეწლოვანო მაქურდალებო, კვლავაც და კვლავაც რომ იყოჩალებო, თუმც კი მუდამ ყოჩალი ბიჭები გერქვათ. ნეტავი თქვენ, დივნებსა და ხის სკამ-ლოგინებზე, ყაზარმის საწოლებსა თუ № 56 შენობაში რომ იქმენით მუცლად, იმ შენობაში, სადაც საარტილერიო ასეული იყო განლაგებული. ნეტავი თქვენ, საჯინბოების ახალთახალ თივაზე, ტყეში, მზრალ მიწაზე ან დერეფნებსა და ლუდხანის უკანა ოთახში რომ ჩაისახეთ, რომლის გულისხმიერი პატრონი თავის საცხოვრებელს საათობით აქცევდა ხოლმე შეუღლებულთა ბორდელად: — „რა მოხდა მერე, ყველანი ადამიანები ვართ“. სიგარეტი, ლუიჯი, და კიდევ ერთი ჭიქა ლიმონათი, ოღონდ კიდევ უფრო ცივი იყოს, თუ შეიძლება, თან კიდევ უფრო მეტი სიმწარე ჩაყარე იმ მწვანე ბოთლიდან.

1948 წლის ჩემი პირველკლასელიც იმ სუსხიანი იანვრისაა, მაგრამ ლუდხანის უკანა ოთახში კი არ ჩასახულა ან სადმე იაფფასიან სასტუმროში, ერთ-ერთ კერძო, საუცხოო პატარა სახლში ჩაისახა, სადაც ვიღაც მრეწველი კვირადღეობით ჩამოდიოდა. ჩვენდა ბედად, იმ კვირის ბოლოს მრეწველმა ვერ მოიცალა მეგობარი გოგონების სანახავად ჩამოსვლა, უსიხარულო და მოუღბენელი წუთებისათვის გაიმეტა ორთავე, ვიდრე თავად ქვემეხებით ივაჭრებდა. კოვროჭინა პატარა სახლი მდებლობაზეა წამოდგმული, ირგვლივ ხშირწიწვა ნაძვები იწონებს თავს და სახლშიაც ორი საზრიანი გოგონა ფუსფუსებს. გოგონები ერთ ოთახში დაწვნენ დასაძინებლად, მეორე ოთახი კი ჩვენ დაგვიტოვეს. იატაკზე თაფლისფერი სნატია დაფენილი, კედლებზე თაფლისფერი შპალერია აკრული, თაფლისფერია ავეჯიც, კედელზე კურბეს ნახატი ჰკიდია: „ორიგინალია?“ „რა თქმა უნდა!“ თაფლისფერია ტელეფონის აპარატიც და ორთავე ტურფა ასულმა ჩინებული საუზმე გაგვიწყო: ლამაზად ჩამოალაგეს შებრაწული პურის ნაჭრები, კვერცხები, ჩამოგვიდგეს ჩაი, ხილის წვენი და ყველაფერი. ხელსახოცებიც კი ისეთი თაფლისფერი იყო, რომ სუნიც თაფლისა დაჰკრავდა.

უცებ სინათლე აციმციმდა, რაღაცამ გაიტკაცუნა და ფირიც გაწყდა. ჩა-

მუქდა, ჩანაცრისფერდა ეკრანი, ღია ყვითელი ფერის ლაქალა ბდღვინავს ზედ; ჯერჯერობით საბროექციო აპარატიც ზუზუნებს ხმადაბლა, დარბაზში კი უკვე შუქი ანთეს, ისმის მაყურებელთა სტვენა, მაგრამ სტვენითაც ვეღარაფერს უშველი. ფილმი პირველივე ნაწილის შემდეგ დამთავრდა, თუმცაღა იგი მთლიანად იყო გადაღებული.

უკრძნუნული

ნელამ მიმოიხედა, ამოიხვნეშა და გააბოლა, კინოდან გამოსვლისას რომ იცოდა ხოლმე, ისე. ლუიჯის მორთმეული ლიმონათი შეთბა, ალკოჰოლს სიმწარე გაუქრა და გემოც დაეკარგა, მეტისმეტად გაზავებული ვერმუტის მსგავსად. მაშასადამე, ის ძველი ფილმი ამ ფილმით შეცვალეს: ზემოთ კვლავინდებურად ჭრელი მამალია ამოკვეთილი. ნელას ხელს ახლა ამ მამლის მწვანედ მოზიმზიმე საზურგედან შემოდწეული სინათლე ეცემა; თითქმის ისეთივე მამალია, ოღონდ ცოტა უფრო მეტადაა შეჭრელებული. დახლთანაც სხვა კაცი დგას, თუმცა ნაყინი უწინდელივით 144-ნაირი აქვთ, აი, ფილმის გმირი კი სხვა გახდა, სწორედ ის, ვინც თაფლისფერ სახლში ჩაისახა და განა ნელამ სულ ახლახან არ გაიცნო კაცი, ვისი გამოისობითაც გაწყდა ფილმი?

მაგრამ იქნება ვცდები, მეტისმეტად ახალგაზრდა ხომ არა ხარ საიმისოდ, რომ დედაჩემის ლოცვებში შურისგებისათვის შერაცხულ კაცად მიგიჩნიო? ნელამ გვერდზე გააჩოჩა ჭიქა, წამოდგა, ჩაუარა ლუიჯის და უცებ გაახსენდა, რომ ფული უნდა გადაეხადა და ლუიჯიც ღიმილით დაეჯილდოებინა. ერთიცა და მეორეც ლუიჯიმ სევდანარევი მადლიერების გრძნობით მიიღო და ნელაც სანაყინედან გამოვიდა. დროდადრო წამოუვლიდა ხოლმე და დღეების განმავლობაში გადავიწყებული შვილი უცებ საშინლად მოენატრებოდა. ერთი სული ჰქონდა, ვიდრე მის ხმას გაიგონებდა, მიუთათუნებდა ლოყაზე და დარწმუნდებოდა, გვერდით მეგულებო; მერე მსუბუქ ხელებზე მიეფერებოდა, თან მის მშვიდ სუნთქვას მიაყურებდა, რომ ბიჭის ამქვეყნად არსებობა კიდევ ერთხელ დაედასტურებინა.

ტაქსი სწრაფად მიაქროლებდა ჩაბნელებულ ქუჩებში. ნელა მალულად ათვალიერებდა მძღოლის წყნარ, შუბლშეკრულ სახეს, ქუდის კაკარდის ჩრდილი რომ სანახევროდ უფარავდა.

— მეუღლე თუ გყავთ? — შეეკითხა უეცრად.

მძღოლმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია, მერე წამით გახედა და მის შუბლშეკრულ სახეზე ნელამ გაკვირვების ღიმი შეამჩნია.

— ბავშვები?

— ბავშვებიც მყავს, — უბასუხა მძღოლმა და ნელას შეშურდა მისი. ანაზღად ტირილი მოერია, შეუწყლიანდა თვალები და ფანჯრის მიღმა გაჩახჩახებული პანორამა მყის აციმციმდა.

— ღმერთო ჩემო, — აღმოხდა მძღოლს, — რა მოგივიდათ?

— ქმარი გამახსენდა, — თქვა ნელამ. — ათი წლის წინათ დაიღუპა.

დაბნეულმა მძღოლმა ნელას გახედა, მერე ისევ გზას მიაბყრო მზერა, წამით მარჯვენა ხელი საჭედან აიღო და მზარზე ნაზად მიუთათუნა. არაფერი უთქვამს. ნელა მადლიერების გრძნობით აივსო, თავად წამოიწყო ლაპარაკი:

— ახლა მარჯვნივ გაუხვიეთ და პირდაპირ წადით, პოდლერშტრასეს ბოლომდე.

ფანჯრის მიღმა კვლავაც ციმციმებს გაჩახჩახებული პანორამა, ტაქსომეტრი კი წიკწიკით პყრის ახალ-ახალ ციფრებს: გროშზე გროშს აწებებს დაუ-

ლაღვი მექანიზმი. ნელამ ცრემლი შეიშინდა და მანქანის შუქებზე ეკლესია დაინახა. ანაზღად იაზრა, ჩემი თაყვანისმცემლები სულ უფრო და უფრო ნაკლებად ჰგვანანო რაის; ეს სქელკანიანი და სახეჩამოქნილი პირუტყვები გულდაჯერებით გამომარცვლავენ ხოლმე: „ეკონომიკა“, თან ირონიის გარეშე ახსენებენ ისეთ სიტყვებს, როგორიცაა „ხალხი“, „აღორძინება“, „მომავალი“. თვალწინ დაუდგა შამპანურის ბოთლის ყელზე შემოჭდობილ ვიდეო-ვიდეოების ხელები, მომავლის მქონე ან განწირული, მტკიცე, უნიჭი ხელები. მალე დაუდგა ის ჭკუისკოლოფა, ხუმრობასთან მწყრალ-უმძრახველი თაყვანისმცემელი, რომელთა გვერდით ნებისმიერი გაიძვერაც კი პოეტსა ჰგავს, ვიდრე ციხეში ამოაყოფინებენ თავს.

მძლოლი ოღნავად შეეხო ნელას მხარს; უკანასკნელი წანაბიძგი და კიდევ ერთი გროშით გაიზარდა ტაქსომეტრზე გამოყრილი ციფრი. ნელამ მძლოლს ფული მიაწოდა, ბევრი ფული მისცა. მძლოლმა გაუღიმა, მანქანიდან გადმოხტა, რომ მისთვის კარი გამოედო, მაგრამ ნელა გადმოსულიყო უკვე. ჩაბნელებული სახლის დანახვამ გააკვირვა: გლუმის ოთახში სინათლე არ ენთო, არც ბაღში ჩანდა ის ყვითელი ანარეკლი, დედის ფანჯრიდან რომ გადმოწვება ხოლმე, კარზე მიმაგრებული წერილის წაკითხვა ნელამ მხოლოდ წინკარში შეძლო, როცა სახლში შევიდა და სინათლე აანთო: „ყველანი კინოში წავედით“, — ეწერა ბარათზე. სიტყვა „ყველანი“ ოთხჯერ იყო ხაზგასმული.

ნელამ ისევ გამორთო სინათლე და იქვე, რაიმუნდის სურათის ქვეშ ჩამოჯდა. პორტრეტი ოცი წლის წინათ იყო დახატული. პირმომცინარი ყმაწვილი ეს-ესაა ლექსს მიაწერს მაკარონის ყუთს, რომელზეც გარკვევით ჩანს აბსალომ ბილიგის მიერ ლამაზად გამოყვანილი ასოები: „ბამბერგერის საოჯახო მაკარონი“. ნახატზე რაი იცინის და ისეთივე ჰაეროვანია, სიცოცხლეში რომ იყო ხოლმე, ყუთზე მიწერილი ლექსი კი პატერ ვილიბრორდის არქივში ინახება; გახუნდა ნახატის ლურჯი ფერები, გაუფერულდა კვერცხისფერი ლათინური ასოები, თვითონ ბამბერგერი გაზის საკანში გაგუდეს. გერმანიიდან გაქცევა ვერ მოასწრო ბამბერგერმა. სურათზე კი რაის ისე ეღიმება, ამ ოციოდე წლის წინათ რომ ეღიმებოდა ხოლმე. სიბნელეში პორტრეტზე გამოსახული რაი თითქმის ცოცხალივით იცქირება და ნელამ მისი კუჭტი, ლამის პედანტური ნაკვთები იცნო, რაის რომ დღეში სამჯერ მაინც აიძულებდა ეთქვა: „წესრიგი დავიცვათ“, „წესრიგი დავიცვათ“. რაის ალბათ წესისა და რიგის დაცვა უნდოდა, როცა ჯვრისწერამდე ნელასთან სიახლოვეზე უარი თქვა. მამას ქორწინებისათვის თანხმობა დასტყუეს, შემდეგ კი ხელიხელჩაკიდებულმა ქალ-ვაჟმა ნახევრად ბნელ, უგემოვნოდ მორთულ ფრანცისკანულ ეკლესიაში მოისმინა კურთხეული ლულლული, ზურგს უკან კი მათი მოწმეები იდგნენ, ალბერტი და აბსალომი.

ტელეფონის წკრიალმა რეალურ სამყაროში დააბრუნა, იმ სამყაროში, ყველაზე მეტად რომ ეზარებოდა, ეგრეთ წოდებულ სინამდვილეში. ტელეფონმა მეორედ, მესამედ, მეოთხეჯერაც გაიწკრიალა, ვიდრე ნელა დინჯად წამოდგებოდა და ალბერტის ოთახში შევიდოდა, ყურმილში გეზელერის მორიდებით ნათქვამი გაიგონა:

— ვინ ლაპარაკობს?

ნელამ თავისი სახელი თქვა და ისევ გაიგონა გეზელერის ხმა:

— იმის გაგება მინდოდა, ახლა როგორა გრძნობთ თავს. შემაშინა თქვენმა უქეიფოდ ყოფნამ.

— უკეთესად ვარ, თქვენს მოხსენებას დავესწრები.

— დიდად დამავალდებო. თუ ნებას დამრთავთ, ჩემი მანქანით წაგიყვანთ.

— კეთილი.

— შინ მოგაკითხოთ?

— არა, არა, უმჯობესია, სადმე ქალაქში შევხვდეთ ერთმანეთს.

— მაშინ, პარასკევს, თორმეტი საათისათვის მოედანზე დაგელოდებით, საკრედიტო ბანკის ცენტრალურ საღაროებთან. ხომ მობრძანდებით?

— მოვალ, — უპასუხა ნელამ და გაიფიქრა: „მოგკლავ, დაგფშვნი, ასო-ასო აგკუწავ საშიშზე საშიში იარაღით, ჩემი ღიმილით, მე პირადად ჩირადაც რომ არ მიღირს; ოდნავ მოვჭიმავ ნიკაპს და მექანიზმიც ხელად ამოქმედდება. მე იმაზე უფრო მეტი ტყვია-წამალი მაქვს, ვიდრე იმ შენი ტყვიამფრქვევებისათვის გქონდა ოდესღაც და შენი არ იყოს, ამ ტყვია-წამალში არც მე გადამიხდია რაიმე.“

— უსათუოდ მოვალ, — გაუმეორა ნელამ, ყურმილი დაკიდა და წინ-კარში დაბრუნდა.

თავი IV

კბილის ექიმმა კარი შემოაღო, სასტუმრო ოთახში შემოვიდა და თქვა:

— დაბრძანდით, ქალბატონო.

პაინრიხის კბილა ბიჭი როილს უჯდა და უხალისოდ უტყაბუნებდა კლავიშებს. „ცოტა ხნით გარეთ გადი“, — უთხრა ექიმმა. ბიჭი თვალის დახამხამებაში გაქრა და ჩაყვითლებულ კლავიშებზე გადაშლილი სანოტე რვეული დატოვა. ფრაუ ბრილახმა სათაურზე გახედა და ძლივძლივობით ამოიკითხა: ეტიუდები. ოპუსი 54. ექიმი შავად გადაღებულ საწერ მაგიდას მიუჯდა, ამოიოხრა, მოგრძო თითებით კარტოთეკა გადაქექა, ამოაძრო ანკეტა, მოაშორა ზედ დაკრული ორიოდე ქათქათა ბარათი და ამოღერდა:

— ოღონდ არ შეშინდეთ, გადასახდელი თანხა გიანგარიშეთ. — ზვნეშა-ზვნეშით გამოხედა ქალს, ფრაუ ბრილახს კი ნახატისაკენ გაექცა თვალი, ექიმის ზურგს უკან რომ ეკიდა კედელზე; „მზიანი უნკელი“, მხატვარს არ დაეშურა ყვითელი საღებავი, აქაოდა, რაინს, ზვრებს, მშვენიერ პატარა ქალაქს მზიან ელფერს მივცემო, მაგრამ ამაოდ, უნკელი მაინც არ იყო მზიანი.

მაგიდის უჯრიდან ექიმმა თამბაქოს პატარა კოლოფი ამოიღო, შემოაცალა ვერცხლისფერი კანტი და ისევ ზვნეშა-ზვნეშით, დინჯად შეუდგა სქელი სიგარეტის გახვევას. თამბაქო და ქალაღდი ქალსაც გაუწოდა, მაგრამ ფრაუ ბრილახმა თავი გააქნია:

— გმადლობთ, არ მინდა.

სიამოვნებით მოწევდა, მაგრამ მთელი პირის ღრუ სტკიოდა. ექიმმა ჯერ იყო და რაღაც წმახე წამალი წაუსვა ღრძილებზე, მერე ნიკელის პატარა ჩაქუჩით კბილებზე მიურაწკუნა, ბოლოს თავი გააქნია და თავისი მოგრძო, ლამაზ-ლამაზი თითებით ღონივრად დაუზილა ღრძილები, თან ისევ და ისევ თავს გააქნევდა ხოლმე.

ექიმმა ანკეტა წინ დაიდო, გააბოლა და მოულოდნელად თქვა:

— არ შეშინდეთ, ათას ორასი მარკა დაგიჯდებათ.

ქალი თვალს ვედარ აშორებდა ნახატს, ამასთანავე, ძალზე დაღლილი იყო საიმისოდ, რომ შეშინებოდა. დაახლოებით ხუთას ან ექვსას მარკას ვარაუდობდა, მაგრამ ექიმს რომ ახლა „ორი ათასი მარკა“ ეთქვა, ეს თანხა ისევე ეძვირებოდა, როგორც „ათას ორასი მარკა“. ორმოცდაათი მარკა ფული ფულია, ძალზე დიდი ფულია, ხოლო ნებისმიერი თანხა, ას ორმოცდაათი მარკაზე ზემოთ, ერთნაირად ხელმიუწვდომელია მისთვის, განურჩევლად იმისა, ორასი იქნება თუ ორი ათასი მარკაზე მეტი. ექიმმა ღრმად ჩაისუნთქა კვამლი, — ახალ, მაგარ თამბაქოს ეწეოდა ექიმი.

— ცხადია, შემძლია რვაას, თუნდაც შვიდას მარკად გიმკურნალოთ, მაგრამ ასე თუ დარჩა, გარანტიას ვერ მოგცემთ. ახლა კი გპირდებით, რომ კბილებს ნამდვილისაგან ვერ გაარჩევთ. ალბათ გინახავთ კიდევ იაფი პლასტიკის კბილები, მოლურჯო ფერი რომ დაჰკრავთ.

რა თქმა უნდა, უნახავს და დანახვაც ეზარებოდა ხოლმე. ასეთი კბილები აქვს ლუდას, საკონდიტრო მაღაზიის გამყიდველს. როცა იცინის, მთელი პირი ლურჯად უკიაფებს, ხელად მიხვდები, ხელოვნური კბილები რომ აქვს.

— მიმართეთ სოც-უზრუნველყოფის განყოფილებას, საქველმოქმედო ორგანიზაციას, იქნება დაგეხმარონ. აი, ორი ნუსხა მოგიმზადეთ. პირველზე რვაას მარკაზე ცოტა მეტია დაანგარიშებული, ასე იმიტომ ჩავწერე, რომ მეორე ნუსხა თუ ნახეს, უფრო ძვირიანი, შესაძლოა საერთოდ არაფერი მოგცენ. ვინაშად გაგიმართლათ, ხუთასიოდე მარკას ჩავითვლიან. ახლა ხომ ყოველ მეორე კაცს კბილები აქვს ჩასადგმელი. მაინც რამდენის გადახდას შეძლებთ ყოველთვიურად?

ფრაუ ბრილახი ჯერაც იხდიდა ჰაინრიხის კონფირმაციის ფულს — კვირაში რვა მარკას, და ამ ფულის გულისთვის ლეო რა ხანია ცოფებს ჰყრის; არადა, ცოტა ხნით სამუშაოს მიტოვებაც მოუწევს, კბილებდაცვენილი ხომ არ ივლის სამუშაოზე? მთელი დღის განმავლობაში კარჩაკეტილი იყურებოდა შინ, ყბას აიხვევს და ექიმს საღამოობით თუ მიაკითხავს. საშინელი სანახავია კბილებდაცვენილი ქალი. არავის არ შემოუშვებს ოთახში, ჰაინრიხს თვალითაც არ დაენახვება, მით უმეტეს, ლეოს. ხუმრობა ამბავია? ცამეტი კბილი ლუდამ მხოლოდ ექვსი კბილი ამოიძრო და გადაყრუებულ ბებერსა ჰგავდა.

— ამასთანავე, — განაგრძო ექიმმა, — მკურნალობის დაწყებამდე ბე მინდა გთხოვოთ, სამასი მარკა მაინც, დანარჩენს მოგვიანებით გადაიხდით, როცა დახმარების ფულს მიიღებთ. ასე და ამრიგად, თანხის თითქმის ნახევარი გასტუმრებული გექნებათ. მაინც რამდენის გადახდას შეიძლებთ ყოველთვიურად?

— ალბათ ოც მარკას, — ამოღერდა ფრაუ ბრილახმა.

— ღმერთო ჩემო, ასე ხომ მთელი წლის განმავლობაში ვერ დაფარავთ ვალს.

— არაფერი გამომივა, ბესაც ვერ მოეუყრი თავს.

— კი მაგრამ, კბილები ხომ მაინც უნდა ჩაისვით. არადა, უნდა იჩქაროთ. ახალგაზრდა, ლამაზი ქალი ბრძანდებით და ეს საქმე თუ გადაივადეთ, მერე უფრო ძვირიც დაგიჯდებათ, თან კბილებიც ვერ იქნება რიგიანი.

ექიმი სულ რამდენიმე წლით თუ იქნებოდა მასზე უფროსი და იმ კა-

ცებს ჰგავდა, ახალგაზრდობისას რომ ლამაზი ბიჭები ეთქმით ხოლმე. თვალები წაბლისფერი ჰქონდა, თმა — ჩალისფერი, დაღლილი პირისაზე კი შეშუპებული, თან თმაც შეთხელებოდა თავზე. ეჭიმი ნუსხას უხალისოდ ათამაშებდა ხელში.

— არ შემოძლია, — უთხრა ხმადაბლა, — მართლა არ შემოძლია. მასალი-სათვის მეც წინდაწინ უნდა გადავიხადო ფული, ტექნიკოსსაც თავისი უნდა. ახ-ლავე დავიწყებდი მკურნალობას, მით უმეტეს რომ ვიცი, რა საშინელებაა ქალისათვის უკბილობა, მაგრამ მერწმუნეთ, არ შემოძლია.

ფრაუ ბრილახს სჯეროდა მისი. ეჭიმმა რამდენიმე ნემსი გაუკეთა ღრძილ-ში, „საცდელი ამბულები“ გაიმეტა, თან ფულიც არ მოუთხოვია. მსუბუქი, დინჯი ხელი ჰქონდა ეჭიმს და ფრაუ ბრილახმა მორყეულ-მოფამფალებულ ღრძილზე მხოლოდ ნემსის ჩხვლეტა იგრძნო. წამალი კოშტად შეიკრა ღრძილქვეშ და კოშტიც ნელ-ნელა იჩუტებოდა, მაგრამ ნახევარი სა-ათიც არ იქნებოდა გასული, ფრაუ ბრილახმა საუცხოოდ იგრძნო თავი, გამხიარულდა, გახალისდა, ტკივილიც კი გადაავიწყდა.

— ცხადია, ასეც უნდა მომხდარიყო, — განუმარტა ეჭიმმა, როცა ქალმა გაუმხილა, ახლა გაცილებით უკეთესად ვგრძნობო თავს, — ეს ის პორმონე-ბია, ის ნივთიერებანი, თქვენს ორგანიზმს რომ აკლია. შესანიშნავი საშუალე-ბაა, უმტკივნეულო, თუმცა, ძვირი კია.

ფრაუ ბრილახი წამოდგა, პალტოს ღილები შეიკრა და რაკი ყელში ყიყ-ვები მოებჯინა, ძალზე ხმადაბლა დაიწყო ლაპარაკი, — შეეშინდა, გული არ ამომიჯდესო. პირის ღრუ ჯერაც სტკიოდა, მკურნალობისათვის საჭირო განწი-რული თანხა კი სასიკვდილო განაჩენივით საბოლოოდაა დადგენილი: უახ-ლოეს ორ-სამ კვირაში ცამეტ კბილს შეელევა და ცხოვრებაც გასრულდება; ლეოს ხომ არაფერი ეჯავრება ისე, როგორც ცუდი კბილები. თვითონ ლეოს კრიალა, ქათქათა, საგულდაგულოდ მოვლილი და საღ-სალამათი კბილები აქვს. ფრაუ ბრილახი პალტოს იკრავდა, თან ნაჩუმათევად იმეორებდა იმ ავადმყო-ფობის სახელს, სასიკვდილო დიაგნოზივით რომ უწიოდა ყურში: პარადენ-ტოზი.

— პასუხს შეგატყობინებთ, — უთხრა ფრაუ ბრილახმა.

— ნუსხაც წაიძღვანიეთ. იი, ეს ნამდვილია, მეორე ნუსხა კი სამ ცალად მოგიმზადეთ. თვითეულ განცხადებას თითო-თითო პირი აახლეთ თან. ხოლო ეს ერთი ცალი თქვენთვის დაიტოვეთ, იქნება დაგჭირდეთ.

ეჭიმმა კიდევ ერთი სიგარეტი გაიხვია. ოთახში ასისტენტი შემოვიდა და ეჭიმი გოგონას მიუბრუნდა:

— ბერნარდს უთხარი, მეცადინეობა განაგრძოს.

ფრაუ ბრილახმა ქაღალდები პალტოს ჯიბეში ჩაიდო. „გულს ნუ გაი-ტეხთ“, — გაამხნევა ეჭიმმა, თან უმწეოდ გაუღიმა. სახეზე ისეთივე მიმჭრა-ლი ღიმილი გადაეფინა, როგორც უნკელზე გაწოლილი შვის სხივი.

ლეო ახლა შინაა, ქალს კი დანახვაც არ უნდოდა მისი. საღ-სალამათი და მოელვარე კბილები აქვს ლეოს, თან ეს ორი-სამი თვეა, გაუთავებლად ეჯუჯ-ლუნება: პირი გიყარს, კბილები არ გივარგაო. არადა, რითი უშველოს ამ ამ-ბავს?! თავის თეთრსა და უხეშ ხელებს ლეო ყოველდღე უფათურებს ტანზე. ხელების დარად მზერაც უაღერსო და ხიწვიანი აქვს ლეოს. ალბათ სიცილს დააყრის, ფული რომ სთხოვოს. ლეო იშვიათად თუ აჩუქებდა რაიმეს, იმ მცო-

რედსაც მაშინ გაიმეტებდა, თუკი შემთხვევით გულაჩვილებულს თან ფულიც აღმოაჩნდებოდა ჯიბეზე.

სადარბაზოში კაციშვილის ჭაჭანება არაა, სიჩუმეა, ბნელა. ფრაუ ბრილახი კიბეზე შეჩერდა, სცადა მეფუნთუშის კბილები გაეხსენებინა. იმასაც გაფუჭებული კბილები ექნება. მართალია, არასოდეს დაპკვირვებია, მაგრამ აკი ახსოვდა, დროდადრო რომ უნიათოდ გამოუკრთებოდა ხოლმე მონაცხისფრო კბილები.

ჩაბინძურებული ფანჯრიდან ეზოში გადაიხედა. კარდაკარ მთარული ვიღაც ვაჭარი ურიკაზე ფორთოხლებს ახარისხებდა. ფორთოხლებს ყუთიდან იღებდა, ზოგს ხელმარჯვნივ აწყობდა, ზოგს კიდევ, შედარებით მომცროებს — ხელმარცხნივ. მერე ნალევა ფორთოხლები ურიკის ფსკერზე ჩაარიგა, ზემოდან დიდრონ-დიდრონი ფორთოხლები დაალაგა და ბოლოს პირამიდებად დაახორხოლა ლამაზ-ლამაზი, ვუება ფორთოხლები. ჩაგოდრებულმა ბიჭუნამ დაცარიელებული ყუთები სანაგვესთან მიაჩოჩა. იქვე, გალავნის ჩრდილში, ლიმონების გორა ღებებოდა: ერთ დროს ჩაყვითლებულ ლიმონებს ახლა მწვანე ფერი შეპარვოდა, შენამწვანებზე კი თეთრი ლაქები აჩნდა და ამ ლიმონგორის მოლურჯო ჩრდილში ბიჭს თითქოსდა იისფრად უღუოდა ღაჟღაჟა ლოყები. ფრაუ ბრილახს სიგარეტის გაბოლება ან ყავის დალევა მოუწონდა და საფულე ამოიღო. ნაცრისფერი ნატი ჩაშავდა უკვე, გაიქუცა, საფულე მეუღლის ნაჩუქარი იყო, ვისი ძვლებიც კარგა ხანაა მიწაში ჩაღმა სადღაც ზაპოროჟიესა და დნებროპეტროვსკს შორის. ცამეტი წლის წინათ უსახსოვრა ეს პარიზული საფულე; შეფერადებულ სურათზე აღბეჭდილი პირმომცინარი ფელდფებლის, პირმომცინარი ზეინკლის, პირმომცინარი საქმროსაგან ჰქონდა ეს საჩუქარი, ვისგანაც თითქმის არაფერი შემორჩენია გარდა გადაქლეტილი საფულისა, თავისივე წმინდა კონფირმაციის სამახსოვროდ რომ უძღვნა, და ფურცლებშეყვითლებული, შეფლეთილ-შემოფლეთილი ბროშურისა: „რა უნდა იცოდეს ავტო-ზეინკალმა შეგიოდის ნორმაზე ჩაბარებისას“. ბევრი არაფერი დაუტოვებია, სამაგიეროდ, დატოვა შვილი, დატოვა დაქვრივებული მეუღლე და ოდესღაც ნაცრისფერი, ახლა კი ჩაშავებული და გადაქუცული ნატის საფულე, პარიზული საჩუქარი, ფრაუ ბრილახი რომ მუდამ თან დაატარებს ხოლმე.

უცნაური წერილი მიიღო მაშინ ასეულის მეთაურისაგან: „თქვენი მეუღლე თავისი ტანკით რთულ სადაზვერვო ოპერაციაზე იქნა გაგზავნილი. უკან აღარ დაბრუნებულა, მაგრამ სარწმუნო წყაროებიდან ვიცით, რომ თქვენი მეუღლე, ასეულის ერთი საიმედო ჯარისკაცთაგანი, რუსებს არ ჩავარდნია ტყვედ. იგი მამაცთა სიკვდილით დაეცა ბრძოლის ველზე“. არც მისი საათი გადმოუგზავნიათ, არც ჯარისკაცის მოწმობა, არც საქორწინო ბეჭედი, არადა, არც ტყვედ ყოფილა ჩავარდნილი. მაინც რა მოხდა? თავისივე ტანკში ამოიბუგა?

ნახევარი წლის შემდეგ მიიღო იმ წერილების პასუხი, ასეულის მეთაურს რომ გაუგზავნა: „დაიღუპა დიდი გერმანიისათვის“. მეორე ოფიცერი კი ასე წერდა: „იძულებული ვარ შეგატყობინოთ, რომ ნაწილში არც ერთი ჯარისკაცი არ დარჩა, ვინც თქვენი მეუღლის დაღუპვას შეესწრო“. გახრწნილი და დაფუტუროებული ფიტული სადღაც ზაპოროჟიესა და დნებროპეტროვსკს შორის აგდია მიწაში.

ქვემოთ, ეზოში, ჩაგოდრებულმა ბიჭმა ცარცით დააწერა დაფას: 6 საუ-

კეთესო ფორთოხალი ერთ მარკად. შეილივით ლოყებლაჟლაჟა მამამ კი ექვსი-ანი წაშალა და მის ადგილას 5-იანი შემოხაზა.

ფრაუ ბრილახმა საფულეში ფული გადათვალა. ჰაინრიხესათვის მისა-ცემ ორ ოცმარკიან ბანკნოტს, ათი დღის სამყოფ ფულს, გროშსაც ვერ მოაკ-ლებს. ამ ფულის გარდა, კიდევ ერთი მარკა და ოთხმოცი პფენიგი აქვს ხურ-დად. ყველაფერს კინოში წასვლა აჯობებს; ბნელა, თბილა, დროც მშვიდად მიედინება, უმტკივნეულოდ დნება, — დრო, ხანდახან რომ უმოწყალო და ულ-მობელია ხოლმე; საათის ისრები ზოგჯერ წისქვილის დოლაბივით მძიმე-მძი-მედ ბრუნავს, ნელ-ნელა და გულდაგულ ფქვავს დრო-ჟამს, საღამოობით კი თავს ისე გრძნობს, თითქო ტანში ზარავსო, ველარც ტყვიასავით დამძიმებუ-ლი თავის სიმძიმეს უძლებს და შემოწოლილი ვნებათაღელვაც ლოდოდ აწევს გულზე, ჟრუანტელი დაუვლის ხოლმე ამყრალებული პირისა და მოფამფა-ლებული კბილების გახსენებაზე; თმას თითქმის დაეკარგა ფაფუკი სინაზე, სახის კანიც უმოწყალოდ უუხეშდება. კინოში კი ზელად დამშვიდდები, გუ-ნებაც გამოგიკეთდება. ასეთი გრძნობა უწინ ეუფლებოდა ხოლმე, პატარაო-ბისას რომ ეკლესიაში შეაბიჯებდა: ამშვიდებდა ლოცვა-გალობის პარმონია, მოსწონდა მუხლის მოყრაც, წამოდგომაც, ეს ყოველივე გულზე მოეფინებო-და, შინ კიდევ ისევ და ისევ აშმორებული სიმკაცრე დაუხვდებოდა: ხორცი-ჭამია მამა შავ ღღეს აყრიდა ხოლმე ღვთისნიერ ღედას, მუდამღლე რომ იმას ცდილობდა, ნაკუნთალზე გამობერილი ვენები წინდებქვეშ დაემაღლა. ისიც ოც-დათერთმეტი წლისა იყო მაშინ, როგორც თავადაა ახლა. თითქმის ყველა-ფერს, რაც სახლთან არ იყო დაკავშირებული, შვება მოჰქონდა ხოლმე; შვება მოჰქონდა ბამბერგერის ფაბრიკაში გამეფებულ მონოტონურობას, სადაც ფრაუ ბრილახი მაკარონს აწონიდა და ყუთებში აწყობდა; აწონიდა და ყუთებში აწყობდა, აწონიდა, აწონიდა და შეფუთავდა. გაგაბრუებდა ერთფეროვნება, მოგაჯადოებდა სისუფთავე; ყუთებზე ისეთივე მუჭი სილურჯე ეხატა, ოკეა-ნის ყველაზე ღრმა ადგილები რომაა ხოლმე გეოგრაფიულ ატლასზე. ყვი-თელი ფერი დაჰკრავდა მაკარონს, ხოლო ეტიკეტები „ბამბერგერის ფერადი სურათების სერიიდან“ წითელზე წითელი იყო: თვალისმომჭრელი ფერადი სურათები, რომლებზეც სხვადასხვა ამბები იყო აღბეჭდილი „ძველი გერმა-ნული თქმულებებიდან“: ზიგფრიდს კარაქისფერი თმა აქვს, მისი ლოყები ისეთივე ფერისაა, როგორც ატმის ნაყინი, კრიმჰილდეს კანი კბილის მოვარ-დისფრო პასტას გაგახსენებს, მარგარინისფერი აქვს თმა, ალუბლისფერი აქვს ტუჩები. ყვითელი ფერი დაჰკრავდა მაკარონს, კოლოფებს მუჭი ლურჯი ფერი ეხატა, ხოლო ეტიკეტები „ბამბერგერის ფერადი სურათების სერიიდან“ წითელზე წითელი იყო. ირგვლივ სისუფთავე სუფევდა, ფაბრიკის სასადი-ლონი გულნებიერ კისკისს გაიგონებდი, საღამოობით კი ვარდისფრად განა-თებულ სანაყინეში შეიძლებოდა შესვლა.

ან არადა, ჰაინრიხთან ერთად საცეკვაოდ წავიდოდა. პირმომცინარ ეფრე-იტორს ორ კვირაში ერთხელ ეკუთვნოდა ერთდღიანი შვებულება, — აკი სულ მალე უნდა გასვლოდა სამხედრო სამსახურის ყავლი.

მარკასა და ოთხმოც პფენიგს თავისუფლად იმყოფინებდა კინოს კუ-ლად, მაგრამ დააგვიანდა. დილის თერთმეტი საათის სიანსი კარგა ხანია და-იწყო, პირველი საათისათვის კი უკვე სახაბაზოში უნდა იყოს. ქვემოთ, ეზოში, ბიჭმა მწვანე ალაყაფის კარი გააღო და მამამისმაც ურიკა იქით გააგორა.

ალაყაფის კარს მიღმა ქუჩა გამოჩნდა. ფრაუ ბრილახმა ჯერ მანქანის ბორბლები დაინახა, მერე ველოსიპედისტების წვივებს მოჰკრა თვალი, კიბეს ჩაუყვია და იმ თანხის გამოცნობა სცადა, ხაბაზი რომ გაიღებდა თავისი მელანქოლიური ჟინის დასაკმაყოფილებლად. ხმელ-ხმელი კაცი კი ეთქმის ხაბაზს, მაგრამ პირბუდალაა, სახეჩაბიჟვინებული, და როცა სახაბაზოში მარტონი რჩებიან, ხაბაზი ნაღვლიანი თვალებით მოაჩერდება ხოლმე, მოაჩერდება და ენის ბორძიკით შეასხამს ხოტბას სიყვარულით მონიჭებულ სიხარულს, მიყრუებულ ხმით ღაღადებს ხორციელი სიყვარულის მადიდებელ ჰიმნებს. ხაბაზს სძულს თავისი ცოლი, ცოლსაც დასაწახად სძულს ხაბაზი, დასაწახად სძულს უკლებლივ ყველა მამაკაცი, აი ხაბაზს კი უყვარს ქალები, უყვარს და რა სიტყვებით არ შეამკობს ხოლმე მათ: შეუქმებს ტანს, გულმკერდს, ტუჩებს, თუმცაღა მისი მელანქოლია დროდადრო ველურობის სამანსაც გასცილდება ხოლმე. ფრაუ ბრილახი უსმენს ხაბაზს, თან მარგარინს წონის, აღნობს შოკოლადს, თქვეფს ხაბაზის მიერ მომზადებულ კრემს და პატარა კოვზით ხან შოკოლადის გრეხილ ზეფულები გამოჰყავს ტორტზე, ასე რომ ხიბლავს ხაბაზს, ხან მარციპანის გოჭს დრუნჩზე შოკოლადის დინგს დაატყლაპებს, ხაბაზი მწყაზარ პირისახეს უქმებს, უქმებს ხელებს, კენარ ტანს.

სახაბაზოში მეტ-ნაკლებად ნაცრისფერი ან მეტ-ნაკლებად თეთრია ყველაფერი; ქვანახშირის სიშავე, ფქვილის სითეთრე და ტაფა-მათრათის მრუშეფერი ერთმანეთშია არეული; ასობით სხვადასხვა ელფერი ახლავს ნაცრისფერს და მხოლოდ იშვიათად თუ დაინახავ ყვითელ ან წითელ ფერებს; ალუბლისეულ სიწითლეს, ლიმონისეულ ველურ და ანანასისეულ მინაზებულ სიყვითლეს. საითაც გაიხედავ, ყველგან ნაცრისფერი და თეთრი ფერებია შერეულ-შეზავებული, დახვავებული გეგონება ნაცარა ფერი და ხაბაზის პირისახეც — ბავშვური, ფერნაქცევი და ბუდალა სახე — თითქოსდა ამ ფერშია ათქვეფილი. ხაბაზს თვალებიც ნაცრისფერი მოუჩანს, ხოლო როცა იგი ლაპარაკობს, ნაცრისფერ კბილებშუა ღია წითელი ენა გამოუჩნდება ხოლმე, ლაპარაკით კი ხაბაზი განუწყვეტლივ ლაპარაკობს, თუკი ქალთან პირისპირ მოუწევს დარჩენა.

პატიოსან ქალზე ოცნებობს ხაბაზი. მას მერე, რაც მისმა ცოლმა შეიძულა, შეიძულა თავისი ქმარი და ქმართან ერთად უკლებლივ ყველა მამაკაცი, ხაბაზი საროსკიპოში თუ ჰპოვებდა სიხარულს, თუმცა კი ეს სიხარული საკმაოდ ბიწიერ სიხარულად მიაჩნდა და სანუკვარ ოცნებასაც — ბავშვის გაზრდას, ვერა და ვერ ეღირსა.

იმ დღეს, როცა ფრაუ ბრილახმა ხელი აუკრა გრძნობაზე, თან უშვერი სიტყვით მოიხსენია სიყვარული — აი, იმ სიტყვით, ლეოს რომ აკერია ხოლმე პირზე, — ხაბაზი შეერთა და ფრაუ ბრილახიც სწორედ მაშინ მიხვდა, ეს კაცი თურმე ჩვილი სულის პატრონი ყოფილაო.

ის სიტყვები თითქო მისდა უნებურად წამოსცდა, თითქო განზრახაც მიახალა: გაორებული გრძნობა იყო ამის მიზეზი — აღიზიანებდა ხაბაზის თვინიჭრება; ლეოსეული სიტყვები წამოსცდა, აგერ წლების განმავლობაში რომ ჩაესმოდა ხან ჩურჩულ-ჩურჩულით, ხანაც ყვირილ-ყვირილით, — სიტყვები, შეჩვენებასავით რომ სდევნიდა ხოლმე. გულის გულში ჩაბუდებულმა ამ სიტყ-

ვებმა ერთ მშვენიერ დღეს უბრალოდ ამოხეთქა, მერე კი ფრაუ ბრილახმა ხაბაზის ნაღვლიან პირისახეს მიახალა ისინი და სულიც აუფორიაქა.

— გთხოვ, — უთხრა მაშინ ხაბაზმა, — ნუ იტყვი ასე.

ლევო უთუოდ პკითხავს: რა მოგივიდაო დრუნჩზე. აი, ამის გამო არ უნდოდა შინ წასვლა, არ უნდოდა ამ სიტყვების მოსმენა. ყველაფერიც ლევოს სალი და ქათქათა კბილების დანახვა ეხალისებოდა მინდობილად.

შინ იმ დროს მიბრუნდება, ლევო რომ სამუშაოზე წავა. ბავშვი ფრაუ ბორუსიაკთანა ჰყავს მიბარებული, — არასდროებით არ შეიძლება ბავშვის ლევოსთან დატოვება. ფრაუ ბორუსიაკი ლამაზ-ლამაზი ქალია, ოთხიოდე წლით თუ იქნება მასზე უფროსი. მშვენიერი, კრიალა კბილების პატრონია და ფრაუ ბორუსიაკი სწორედ ის ქალია, ერთდროულად რომ ღვთისმოსავიცაა და კეთილიც. ფრაუ ბრილახმა ქუჩა გადაჭრა, შევიდა ქაფეში, ფანჯარასთან თავისუფალ მაგიდას მიაგნო და პალტოს ჯიბიდან სიგარეტის კოლოფი ამოიღო. „თომაშავი“ — ეწერა კოლოფს; ძალზე გრძელი, ძალზე თეთრი, ძალზე მაგარი სიგარეტი. „ვირჯინიის მზემ მოიყვანა ეს თუთუნი“. ილუსტრირებული ჟურნალების გადათვალიერება არ უნდოდა და როცა კოვზით ყავას ურევდა, უცებ გაიფიქრა, — ხაბაზისათვის ზომ არ მეთხოვა ავანსი, იქნება სულაც ასი მარკა ჩამითვალოსო; და ფრაუ ბრილახი საკუთარ თავს შეჰპირდა, აღარასოდეს ეხსენებინა ლევოსული სიტყვები, გული აღარ მოეკლა ხაბაზისათვის. იქნება კიდევაც შეიცოდოს, შეისმინოს გულის მომწყვლელი ტრფიალი, ამიერიდან რომ ვეღარ შეაქცევს ზურგს; ეს იქნება ქალისაგან გაღებული საზღაური და ხაბაზიც იქვე, ტაფებისა და შოკოლადით მოთხვრილი გოჭუნების შორიახლო წასჩურჩულებს თავის პიმნებს, ქოქოსის ფქვილის გორაკებს, დაშაქრულ და რომით გაუღენთილ ტორტებს შუა ჩამდგარი შემოჰლიმ-შემოსციცინებს ბედნიერებისაგან თავდავიწყებული; ფრაუ ბრილახი კი ხაბაზის ნერწყვიან კოცნას იგრძნობს, იგრძნობს იმ კაცის კოცნას, ბილწ სიყვარულს რომ ვერ ეგუება და ცოლქმრული ალერსითაც მას აქეთ ვეღარ ტყბება, რაც მის მეუღლეს ყველა ჯურის მამაკაცი შესძულდა. გამხდარ-გამხდარი, მოკლეთმიანი მზეთუნახავია ხაბაზის ცოლი, მზერა სუსხიანი აქვს, მგზნებარე. ხელები საღაროს აპარატზე ისე აქვს ხოლმე ჩამოდებული, როგორც კაპიტანს გემის შტურვალზე; პატარა და მტკიცე ხელზე „სადა“ სამკაულს დაატარებს გრილი, ლამისდა გამჭვირვალე მწვანე ქვებით მოოჭვილ ძვირფას სამკაულს და მისი ხელებიც მეტისმეტად წააგავს ლევოს ხელებს. ტანწერწეტა და ბიჭურად აღნაგო ქალღმერთია ხაბაზის მეუღლე. ათი წელიწადიც არ იქნება მას მერე გასული, რაც ზვიადი ქალიშვილი ყავისფერქუჩიან გოგონათა რაზმს მიუძღვებოდა წინ და თან ძლიერი, ლამაზი ხმით ამაყად მღეროდა: „ბერეტზე ფრთაა მოფარფატე“ და „წინ გაგვიძენი, მედოლევი!“. მამამისი „წითელი ქუდის“ მეპატრონე იყო, სადაც ფრაუ ბრილახის მამა პარასკეობით ნახევარ ხელფასს ტოვებდა ხოლმე. ხაბაზის მეუღლე ახლა მოჯირითე ქალს ჰყავს, ტან-ფეხი თექვსმეტი წლის ქალიშვილისა აქვს, თუმცა სახე ორმოცი წლის ქალისას მიუგავს და ცოლქმრული მოვალეობის ქედუხრელად, თავაზიანად ამრიდებელი მეუღლე ყოველნაირად ცდილობს, ოცდათოთხმეტი წლის ქალს მიაგვანოს თავი; სწორედ ამ ქალმა აიძულა გულმკმუნვარე და შუბლშეკრული ხაბაზი განწირული პიმნები ეთქვა სარდაფში.

ფრაუ ბრილახმა ფინჯანი ტუჩებთან მიიტანა და ქუჩაში გაიხედა. მოპირ-

დაპირე სახლის ფანჯარაში ექიმი გამოჩნდა. მოყვითალო, დაკაწრულ, ბორმან-ქანასთან ჯახირობდა ექიმი და ფარდის მიღმა გარკვევით მოჩანდა ხელის ყოველი მოძრაობა. ფრაუ ბრილახი ექიმის ჩალისფერ თმასაც ხედავდა / კედლის ჩამუქებული ჩრდილის ფონზე, ხედავდა იმ ჰაპანგამწვევი კაცის კეფას, ვალები რომ უხუთავს სულს. ფრაუ ბრილახს ესიამოვნა ყავა, თან თმობავე-კაც მშვენიერი გამოდგა.

წყალი არ გაუვა, ხაბაზი ლეოზე გაცილებით უკეთესი ადამიანია: მშრომელი კაცია, გულკეთილი, ფულიც მეტი აქვს, მაგრამ განა საშინელება არაა, გაეყარო ლეოს და მაინც მის მეზობლად იცხოვრო? განსაკუთრებით ბავშვებს გაუჭირდებათ. მერე სასამართლოც დაინიშნება ვილმას სასარგებლოდ ალიმენტის დანიშვნის თაობაზე; ალიმენტს ახლა ბავშვთა დაცვის უწყებას უხდის ლეო. ფრაუ ბრილახს, მართალია, ეს ფული გამოაქვს, მაგრამ ისევ ლეოს უბრუნებს: — „მე ხომ ეს ფული არასოდეს მითხოვია, არა, გულზე ხელი დაიდუ და ისე აღიარე!“ ხაბაზს ზემო სართულში ოთახი აქვს თავისუფალი. უწინ იქ მისი შემწე იდგა ბინად, მაგრამ ერთ დღეს ბიჭი სადღაც გაქრა და აღარც ხაბაზს შეუწყუხებია თავი სხვა შემწის მეზნით, — შენ მეყოლებიო მის მაგიერ.

ფრაუ ბრილახს შვილის ამბავი აფრჩხილებდა: ეს ბოლო სამი კვირა ისე უჭირავს თავი, ვეღარ იცნობ, თითქო აღარ ენდობაო დედას, თან თვალსაც არიდებს. ხვდებოდა, ყოველივე იმის ბრალი იყო, რომ ლეომ ფულის ქურდობა დააბრალა ბიჭს. პატარა ლამაზ ყაჩაღანას დასანახად სძულს ლეო, ლეოს კიდევ ჰაინრიხი ეჯავრება. ყველაფერს ერჩია, ბავშვებთან ერთად ეცხოვრა სადმე, მით უმეტეს, რომ ლეოსთან სიახლოვე კარგა ხანია ლოდოდ აწევს და სულის სიღრმეში კიდევაც შურდა, ნეტავი ხაბაზის ცოლივით მეც შემეძლოსო კაცების სიძულვილი. ბიჭთან ერთად იოლად გაიტანენ თავს. განა ერთხელ და ორჯერ გაოგნებულია ჰაინრიხის ნათელი გონებით გაკვირვებული! არასოდეს შეეშლება ანგარიში, თვალისწამში დაგიზუსტებს ოჯახის შემოსავალ-გასავალს. ჰაინრიხი ოჯახსაც იმაზე უკეთ გაუძღვება, ვიდრე თავად შეიძლება; მართლაც ნათელი გონება აქვს ბიჭს, მოკრძალებულიცაა და ეს მოკრძალებული შვილი აგერ უკვე ერთი კვირაა, თვალს არიდებს. არადა, ხაბაზს თავისუფალი ოთახი აქვს...

ბამბერგერის მაკარონის ფაბრიკაში დაბრუნება ყველაფერს აჯობებდა: აქეთ ყვითელ-ყვითელი, ასე ქათქათა მაკარონი აწყვია, იქით — მუქი ლურჯი კოლოფები და თვალისმომჭრელი, წითელი ფერის ეტიკეტები; ზიგფრიდს კარაქისფერი, კრიმპილდეს კიდევ მარგარინისფერი თმა აქვს, ჰაგენის თვალები ისეთივე შავია, როგორც ეტცელის მონდოლური წვერ-ულვაში, — შავზე შავია, წამწამების შესაღები ტუშივით; ეტცელის ჩამრგვალებული, მომღიმარი პირისაზე ახალშემზადებული მდოგვივით მოყვითალოა, კიდევ ის რაინდი, ვარდისფერკანიანი — გიზელპერი და კაცი ქნარით ხელში, მოყავისფრო-ყანგისფერი სამოსი რომ აცვია, ძალზე ლამაზი კაცი, ზიგფრიდზე გაცილებით ლამაზი, — ფოლკერი; მის ზურგს უკან კი ხანძარწაკიდებულ ციხესიმაგრეზე ცეცხლის ენები ბრიალებს, წითელი და ყვითელი ფერები ერთმანეთში ისეა არეული, როგორც სისხლი და კარაქი.

კარგი იყო ხოლმე საღამოობით ჰენელის ვარდისფრად მოკაშკაშე სანა-კინეში შევლა; თხუთმეტ პფენიგად მოყვითალო ბანანის ნაყინს შეუკვეთავ-

და, ან არადა, სატანკო ჯარების ფორმაში გამოწყობილ ჰაინრიხთან ერთად „კრაზანამდე“ ჩაისეირნებდა, სადაც მოელვარე, წკრიალა საყვირს ეპყრა ას-პარეზი; გვერდით პირმომცინარი ეფრეიტორი მოაცილებდა, მოაცილებდა პირმომცინარი უნტეროფიცერი, პირმომცინარი ფელდფებელი, ტანკში რომ ამო-იბუგა სადღაც ზაპოროჟიესა და დნეპროპეტროვსკს შორის, ვისაც არც ჯარისკაცის მოწმობა გადარჩენია, არც მაჯის საათი და არც საქორწინო ბეჭედი. იგი დაზვერვიდან უკან აღარ დაბრუნებულა, თუმცა არც რუსებს ჩავარდნია ტყვედ.

გულიანად გერტი თუ გაიცინებდა; ტანმომცრო, ჩია მომპირკეთე-ბელს ლამაზობითაც გაეცინებოდა, როცა გარდუვალის აღსრულებაზე მიდ-გებოდა საქმე. ომიდან დაბრუნებულმა ჩვიდმეტი ცალი მაჯის საათი ჩამოი-ტანა ნადავლად და ყველაფერს, თაბაშირის აწონვა იქნებოდა თუ კედლის მო-პირკეთება, სიცილ-სიცილით მოითავებდა ხოლმე. გერტი რომ მოეხვეოდა და ქალიც ახლოდან დააკვირდებოდა, მის გაცინებულ პირისახეს ხედავდა ხოლმე. მართალია, ზოგჯერ ნაღვლიანიც ეჩვენებოდა მისი სიცილი, მაგრამ ხომ მაინც პირმომცინარი იყო ყოველთვის. მოგვიანებით იგი მიუნხენში გადაბარგდა, ერთ ადგილზე ვერ ვჩერდებოო დიდხანს. სწორედ გერტი იყო ჰაინრიხის საუ-კეთესო მეგობარი, თან ერთადერთი კაცი, ვისიც არ ერიდებოდა ქალს და დროდადრო თავის მეუღლეზე ჩამოუგდებდა სიტყვას.

მოპირდაპირე სახლში ექიმმა ფანჯარა გამოაღო, ორიოდე წამით რაფას ჩამოეყრდნო, მერე კი თავისივე შემზადებული სქელი სიგარეტი გააბოლა. მაშა-სადამე, ბედ სამას მარკას ითხოვს. ყოველთვის ურად რამდენი უწევსო? ბიჭს უნდა მოელაპარაკოს. ყველაფერს დაიანგარიშებს, გამოითვლის. აკი შეიძლო და საქმელზე დანაზოგი ას ორმოცდაათი მარკით, ფულით, რომლის ნაკლე-ბობა მაინცდამაინც არც კი უგრძნიათ, ზომ იყიდა ფეხსაცმელი და წინდები. ხელჩანთა და თავსაფარი; ეს ის ფული იყო, კარტოფილზე, მარგარინზე, ყავასა და რაციონიდან გამქრალ ხორცზე რომ დაზოგა ბიჭმა.

ჰაინრიხის გახსენებამ შვება მოუტანაო თითქოს, — უთუოდ მოიფიქრებს რაიმეს, თუმცა, ათას ორასი მარკის ხსენებაზე ბიჭსაც შემოეყრება გულზე. „თავის დროზე უნდა მიგეხედა მაგ შენი კბილებისათვის, — ეტყვის ლეო, — გაგეფცქვანა ყოველდღე თითო-თითო ლიმონი, დაგელია წვენი, მე რომ ვშვრე-ბი, ისე, კბილები კი, აი, ასე უნდა გაგეხეხა...“ და ლეოც იქვე უჩვენებს, ჯაგ-რისით როგორ უნდა გაეხეხა კბილები. „ჯანმრთელობაზე ძვირფასი რა გა-მაჩნია“. ზამბერგერის მაკარონის ფაბრიკა რა ხანია აღარ არსებობს, თოთხმეტი წელია მას აქეთ. ზამბერგერი გაზის საკანში გაგუდეს, ისიც მოკრუნჩხული და ამყრალებული მუშიაა ახლა, მუშია, რომელსაც აღარც საკუთარი ფაბრიკა აქვს და აღარც მიმდინარე ანგარიში ბანკში — მუქი ლურჯი კოლოფები, კამკამა მაკარონი და სისხლივით წითელი ეტიკეტები. მაინც რა ერქვა იმ ღირსეულ, მოზღდენილი წვერ-ულვაშის პატრონს, შაქარყინულს რომ მიუგავდა მოყავისფ-რო-წითელი პირისახე? ჰო, დიტრიხ ფონ ბერნელი.

პატარა ვილმას გამო, ათი საათიდან რომ ფრაუ ბორუსიაკთან ჰყავს დატოვებული, არაფერი აქვს საჯავრო.

ერიხი იშვიათად გაახსენდებოდა. რვა წლის წინათ იყო ის ამბავი — დიდი დროა; თვალწინ დაუდგებოდა შიშისაგან გახევებული სახე, ქალის იდაყვს ჩაფრენილი ხელები, ერიხის ჩასისხლიანებული თვალები, კარადაში

კი მოიერიშის უნიფორმა ეკიდა. მორიდებული, გაუბედავი ალერსი იცოდა ერიხმა, საზღაურად კი კაკაო მოჰქონდა, მოჰქონდა შოკოლადი, ფრაუ ბრილახს ის შიშიც ახსოვდა, მის ოთახში ერიხის შემოსვლისას რომ დაეუფლა; ღამის პერანგი შარვალში ჩაეჩლაჩა და დედამისს რომ არაფერი გაეგონა, ფეხშიშველი იდგა. ამღვრეული თვალები მოაპყრო და ქალიც მიხვდა, ახლა მოხდებაო ის, რასაც ყველაზე მეტად უფრთხოდა ხოლმე. ჰაინრიხის დაღუპვიდან წელიწადი თუ იქნებოდა გასული; მართალია, არ უნდოდა, მაგრამ არაფერი უთხრა და ერიხი, რომელიც უთუოდ უკან გაბრუნდებოდა, ქალს რომ თუნდაც ერთი სიტყვა წამოსცდენოდა, ოთახში დარჩა; შეაცბუნა კიდევ ქალის ამ უსიტყვო მორჩილებამ, ფრაუ ბრილახს კი დარდად აწვა იმაზე ფიქრი, ეს ამბავი მაინც მოსახდენიაო; ხოლო ერიხმა ეს ყოველივე სიყვარულს მიაწერა, ქალისაგან რომ ელოდებოდა რატომღაც. ახსოვდა მისი ქშინვა, როცა სინათლე ჩააქრო და თუმცა ბნელოდა, ღამისეული ცის კამკამა ლურჯ ფონზე ფრაუ ბრილახი ერიხის უმწეო სილუეტსაც ხედავდა, — საწოლის წინ იდგა და შარვალს იხდიდა. ჯერ კიდევ არ იყო ნაგვიანევი, ჯერ კიდევ შეეძლო ეთქვა, წადიო, და ისიც წავიდოდა, იმიტომ რომ ერიხი იყო და არა ლეო. მაგრამ ქალმა არაფერი უთხრა, ენა დაება, რადგან წინდაწინ იგრძნო, ერთ მშვენიერ დღეს მაინც მოხდებაო ეს, ხოლო რაკილა ასეა, რატომ უნდა გავაწბილო მაინცდამაინც ერიხი, რომელიც არაფერს იშურებსო ჩემთვის.

ერიხი გულკეთილი კაცი იყო, ხაბაზივით გულკეთილი და იმ ნათელ ღამეს, სუნთქვაშეკრულმა რომ სული მოითქვა, ერიხმა ასე უთხრა: „იცი, ძალიან ღამაში ხარ“.

ხაბაზის გარდა, სხვას არავის უთქვამს ასეთი სიტყვები, ხაბაზი კი ამისათვის ჯერაც არ დაუჯილდოებია.

ფრაუ ბრილახმა უკანასკნელი თომაშავკი გააბოლა. ყავა უკვე დრილია, ექიმს ისევ მიეხურა ფანჯარა და ახლა ბორმანქანის ოწინარს უჩივინებდა; სამასი მარკა წინდაწინაა გადასახდელი, სასწაულისფრთაა, მაგრამ ძალზე ძვირი ღირს ის ნემსები, ხელად რომ გაგახალისებს და ახალგაზრდობას დაგიბრუნებს. „ჰორმონები“ — ამ სიტყვის გაგონებაზე ლეოს ალბათ გულისამრევად დაედრიქება სიფათი.

კაფეში თითქმის არავინაა ჯერ, ვიღაც ბაბუა შვილიშვილს ნაღებს აჭმევს, თან გაზეთს კითხულობს. გაზეთს თვალსაც კი არ აშორებს, ისე გაუწოდებს ხოლმე ნაღებს და ბავშვიც ხელად გადატლიკავს კოვზს.

ფრაუ ბრილახმა ყავის ფული გადაიხადა, გარეთ გავიდა და ჰაინრიხის მიერ გაცემული სახარჯო ფულით სამი ფორთოხალი იყიდა; ბიჭი პურის საყიდლად გადადებული თანხის ნახევარს ჩააბარებდა ხოლმე, რადგან პურს ახლა ხაბაზი აძლევდა უფასოდ. მაინც რისი ბრალია, რომ ჰაინრიხი ერთ კვირაზე მეტია, სახაბაზოში აღარ გამოჩენილა და პურებიან მძიმე ჩანთასაც მარტოკას ათრევენებს?

ტრამვით მგზავრობა არ უნდოდა და გზას ფეხით გაუყვა. პირველის ნახევარი არ შესრულებულა ჯერ, ლეოც შინაა ალბათ. იქნება აჯობოს და პირდაპირ უთხრას კბილების ამბავი, გაგებით ხომ მაინც გაიგებს, ამასთანავე, შესაძლოა, ლეოსაც მისცენ დახმარების ფული. თუმცა, რატომ შეიწუხებს თავს, განა ცოტაა ქვეყნად ახალგაზრდა, თან ღამაში ქალი, ბუნებისაგან

უფასოდ რომა აქვს მომადლებული ქათქათა, თეთრი და უკვე მოვლილი საღი კბილები?

ფრანუ ბრილანტმა იმ სახლს ჩაუარა, სადაც ვილი ცხოვრობდა. უწინ, — წარბშეკრული, თვალადი ჭაბუკი, ის პირველი ბიჭი, ვისაც პირველად აკოცინა. ლურჯად კიაფობდა ცა და შორს, სადღაც ძალზე შორს, ბალ-რესტორანში ორკესტრი უკრავდა. ქალაქის თავზე ფეიერვერკი აფეთქდა, ეკლესიის ბალუსტრადიდან ოქროს წვიმა გადმოაფრქვამდა და ვილმამაც სწორედ მაშინ იგრძნო ვილის უგერგილო კოცნა.

— დანამდვილებით არ ვიცი, — უთხრა ვილიმ, — მაგრამ არ მგონია, კოცნა ცოდვაში ჩაგვეთვალოს. ნამდვილი ცოდვა ისაა, სხვა...

ის „სხვა“ მოგვიანებით ეწია, როცა ჰაინრიხი გაიცნო: დაცვარული იყო ბუჩქნარი, ტოტები სახეს უკაწრავდა ჰაინრიხს; ძალზე ფერმკრთალი ეჩვენა ფერნაქცევ სიმწვანეში ჩაფლული მისი შუბლშეკრული პირისაზე. შორს ქალაქის სილუეტი მოჩანდა, ეკლესიის გუმბათებთან წვიმის ღრუბლები მიცურავდა და ვილმასაც შიშის ზარს ჰგვრიდა უიმედო ლოდინი საქვეყნოდ აღიარებული სიამოვნებისა, რომელსაც ვერა და ვერ ჩაატანა გემო. ჰაინრიხის ტენიან, მწვანეში ჩაფლულ და კოპებშეკრულ სახეს სასოწარკვეთილების დალი დააჩნდა, მიწაზე ჰაიპარად მიგდებულ ტანკისტის ფარაჯაზე მოვარდისფრო კანტი ჩაჭუჭყიანდა.

ჰაინრიხი სადღაც ზაპოროჟიესა და დნებროპეტროვსკის შორის ამოიბუგა, ხოლო ვილი, ერთთავად შუბლშეკრული, გაუცინარი, პლაკატების ეს უცოდველი გამკვრელი, შავმა ზღვამ შთანთქა სევასტოპოლსა და ოდესას შორის. მისი შემოდრღნილი ჩონჩხი ახლა შავი ზღვის ფსკერზე წყალმცენარეებშია გახირული. ბამბერგერი გაზის საკანში გაგუდეს და ფერფლად აქციეს, გადააქციეს უოქროკბილებო ფერფლად, არადა, ბამბერგერს ისე დიდრონდიდრონი და ოქროს მოელვარე კბილები ჰქონდა.

ბერნა ჯერაც ცოცხალია, ბედმა გაუღიმა, — ყასაბს გაჰყვა ცოლად, ერიხივით ასთმიანს. ქალებს, ეტყობა, საგანგებოდ უნდა ურჩიო, მოავადე ადამიანს დაუკავშირონ ცხოვრება, ვისაც ჯარში გაწვევის საფრთხე არ ემუქრება. ძმრიანი ბოთლი, ქაფურის ფხვნილი და ასთმიანთა ნაყენი ბერნას მაგიდაზეც იდგა ხოლმე; მის ოთახში ტილოს საფენები იყო მიმოყრილი, ისმოდა ყასაბის მძიმე, ხმაურიანი სუნთქვა, — ერთმანეთში არეულიყო ვნება და ასთმა. ბერნამ იცოდა, როგორ ებრძოლა სიმსუქნესთან, დახლთან იდგა და ხბოს სუკს გულგრილად, თავდაჯერებით ჭრიდა ხოლმე ნაჭრებად. მისი ლაქლაქა ლოყები მოლურჯო ძარღვებს დაესერა და თხელი, მტკიცე ხელებით ბერნა მარჯვედ ხმარობდა პირალესილ დანას: ხან გულღვიძლის ნაზ, მოყავისფრო ძეხვს ჩამოთლიდა, ხანაც მოვარდისფრო ჩვილ შაშხს. უწინ, როცა ძალიან უჭირდათ, ბერნა საქონლის ქონს მიაჩეჩებდა ხოლმე ხანდახან, სიგარეტის კოლოფისხელა ქონის პატარა ნაჭერს. ეს იყო იმ დროს, როცა სახლში კარლი მბრძანებლობდა და შავი ბაზრისაკენ გახედვაც ეკრძალებოდათ. მაგრამ რა ხანია, ბერნა აღარ ესალმება, ვილის დედა კი ისე ჩაუვლის, საერთოდ ვერ ამჩნევსო თითქოს, ხოლო როცა დედამთილი ჩამოუვა, ქალი პირში ეუბნება ხოლმე იმას, რასაც სხვები ვერ უბედავენ: „რასა ჰგავს შენი საქციელი! ბოლოს და ბოლოს, ყველაფერს თავისი საზღვარი აქვს“.

ლეო წასულა უკვე. ფრაუ ბრილახმა შვეებით ამოისუნთქა, როცა საკიდარაზე ვერც ლეოს ქუდი დაინახა და ვერც მის აღკაზმულობას მოჰკრა თვალი. ფრაუ ბორუსიაკი კართან შემოეგება, სახეგალიმებულს ტუჩებზე მიეღო თითი. პაწიას ფრაუ ბორუსიაკის დივანზე ჩასძინებოდა. ძალზე ღამაში იყო ხოლმე მძინარე, წაბლისფერი თმა ოქროსფრად უბზინავდა, სხვა დროს ტირილისათვის გამზადებული პირისახე, ახლა უღიმოდა. მაგიდაზე ფრაუ ბორუსიაკს თაფლიანი ჭიქა ედგა, იქვე იდო კოვზი. ეს კია, ბავშვს შუბლი ჰქონდა საოცრად ოთხკუთხედი, ზუსტად ისეთი, ლეოს რომ აქვს. ფრაუ ბორუსიაკი გულკეთილი, სათნო ქალია და იშვიათად თუ ეტყოდა, თანაც მხოლოდ ჩურჩულით, — კარგი იქნებოდა, საკუთარი ცხოვრება მოგეწყოთ. „სულ ტყუილად მოიძულეთ, ასეთი კაცი ხელიდან არ უნდა გაგეშვათ“. ფრაუ ბორუსიაკი კარლს გულისხმობდა; არადა, ვილმას სწორედ კარლი მოსწონდა ყველაზე ნაკლებად, ვერა და ვერ იგუა მისი ხრინწიანი, პათეტიკური ხმა, გაუთავებლად რომ „ახალ ცხოვრებაზე“ ლაქლაქებდა; მუდამდღე იმისა ეშინოდა, უზნეობა არ დამწამონო, თან პედანტიც იყო, ღვთისმოსავიც და ყოველივე ეს, ფრაუ ბრილახის აზრით, სულაც არ შეეფერებოდა კარლის ხელების უშნო სიწყეს, არ შეშვენოდა იმ ალერსიან სიტყვებს, ხმადაბლა რომ წასჩურჩულებდა ხოლმე ყურში. ამ ჩურჩულს რაღაც შემზარავიც ახლდა თან და როცა კი გაიგონებდა, ტანში ყრუანტელი დაურბენდა თითქოს. მის ფარისევლურ ხმას ახლა ეკლესიაში გაიგონებ ხოლმე, გალობის ჟამს. „ახალი ცხოვრების“ მაუწყებელი ის ხმა თავდაპირველად ჰაინრიხის კონფირმაციის დღეს გაიგონა სამგალობელოდან. ფრაუ ბორუსიაკმა ფრთხილად მიაწოდა საბანში გახვეული ბავშვი, ამოიოხრა, თავი გაიმხნევა და მოულოდნელად თქვა: „დროა ამ ვიგინდარას დაშორდეთ“, მერე კიდევ უფრო გათამამდა, მოვარდისფრო ღამაში პირისახე მოედრუბლა, მოექუშა, თითქო გადაემრეშა კიდევ და უთხრა:

— მით უმეტეს, რომ არ გიყვართ, — მაგრამ ამის მეტი აღარაფერი უთქვამს. ფრაუ ბორუსიაკი ანაზღად ისევ დაფრთხა, დაიმორცხვა, ბოლოს კი ხმადაბლა წასჩურჩულა:

— ნუ გეწყინებათ, მაგრამ ბავშვების გულისათვის...

ვილმას არ სწყენია, მადლობა გადაუხადა, გაუღიმა და ბავშვი ქვემოთ ჩაიყვანა, თავის ოთახში.

პირმომცინარი ფელდფებელი, ვისი სურათიც კარსა და სარკეს შუაა ჩამოკიდებული, ახლა თორმეტი წლით უმცროსია ქალზე და როცა კი გაიფიქრებს, ოდესღაც ერთად ვწვებოდითო, ძალზე უცნაური, შემზარავი გრძნობა დაეუფლება ხოლმე, თითქოსდა მცირეწლოვანი ბავშვი შეეცდინოს. სურათზე აღბეჭდილი მეუღლის კბილა თუ იქნება ხაბაზის შეგირდი, თავქარიანი ყმაწვილი, ვისთანაც საქმის დაჭერაც შეგრცხვება. შორსაა ჰაინრიხი, მკვდარია, ამასთანავე შვებულებაც ძალზე ხანმოკლე ჰქონდა ხოლმე, ის დრო მხოლოდ საიმისოდ გამოდგა საკმარისი, ბავშვი აპყოლოდა მისგან. მაგრამ მეტიმეტად ხანმოკლე იყო იმისათვის, რომ ცოლ-ქმრის ოჯახურ ცხოვრებაზე ორიოდე ღირსსახსოვარი მოგონება დარჩენოდა. ჰაინრიხისაგან წერილებს იღებდა, იმახსოვრებდა იმ მატარებლის ნომერს, რომელსაც შვებულებაში გასული ჯარისკაცები უნდა ჩამოეყვანა, ახსოვდა სულმოუთქმელი ხვევნა-კოცნა საწვრთნელი მოედნების განაპირას; ირგვლივ ველები იყო გაშლილი, ფეხქვეშ ქვიშა ხრამუნობდა, მოჩანდა ფერშენილბული ყაზარმები, ცხვირში ფისის სუ-

ნი სცემდა, ფისის სუნი და ის აუხსნელი და საშინელი, „ჰაერში რომ იყო გაწოლილი“, ჰაერში და ჰაინრიხის სახეზე, ქალის თავთან დახრილ, ფერმკრთალსა და კოპებშეკრულ სახეზე. უცნაური ამბავია, ცხოვრებაში იშვიათად თუ გაეცინებოდა, არადა, ყველა ფოტოსურათიდან პირმომცინარი იცქირება და ქალსაც მომცინარი დაამახსოვრდა იგი. კაფეში იმოდენა ხელში იყრიდა თავს, ნემსს ვერსად ჩააგდებდი; ისმოდა საცეკვაო მეღერებები, სადღაც მოშორებით კი ჭარისკაცები მღეროდნენ: „მივყვებით რაინს მწყობრი ნაბიჯით“. და მოგვიანებით ჰაინრიხსაც დასცდა ის სიტყვები, ნიადაგ რომ პირზე ეკერა გერტს, — ქაქის ჰამაო ეს ყველაფერი.

სადამოობით კვლავ დადგებოდა ზევენა-კოცნის ქამი, ამჯერად იმ ოთახში, სადაც ლამაზი, დიდი და ფერადი ნახატი ეკიდა კედელზე. ღრუბლის ქულაზე გამოსახული მოსიყვარულე ღვითსმშობელი ზეცისაკენ მიილტვოდა; ხელში ჩვილი იესო ჰყავდა ატატებული, ხელმარჯვნივ დახატული წმინდა პეტრე კი ზუსტად ისეთი იყო, წმ. პეტრეს რომ შეჰფერის — წვერდაგდებული, სან-უხსნელი, აღუწერელი, ყოველ მნახველს არწმუნებდა, სწორედ ესააო წმინდა პეტრე. ქვემოთ სურათზე მშვენიერ ანგელოზებს იდაყვზე ჩამოედოთ თავი, ფრთები ღამურას ფრთებს მიუგავდათ, ხოლო მკლავები ჩამრგვალებული პქონდათ, თოთოშა, ფუნთულა.

გამოზდა ხანი და ფრაუ ბრილახმა შეიძინა კიდევ ასეთი სურათი, ოღონდ უფრო მომცრო ზომისა. სურათს წარწერაც ახლდა: „Raffael pinx“,¹ მაგრამ სურათი ფერფლად იქცა და ქარმა იგი სწორედ იმ ღამით გაფანტ-გამოფანტა. როცა ქვემოთ, სარდაფში, ვაქსით ამოთართლულ ჭარბეცელზე ქალმა ბავშვი შვა, ბიჭი, ასეთივე სურათის ქვეშ რომ ჩაისახა. ჰაინრიხის სახეს თუ გაარიდებდა მზერას, უმაღლეს სურათს მოჰკრავდა თვალს, ნახატს იმ უნტეროფიცრის კოპებშეკრული სახის შორიახლო დაინახავდა, რომელსაც კარგა ხანია, აღარ აწუხებს ვნებათაღელვა; სადღაც შორს, ველზე, უკვე სადამოს დაფიონს დაჰკრეს: შვებულება დილამდე გასტანს და დილამდე მოუწევთ იმის გაყნოსვა, რაც „ჰაერში იყო გაწოლილი“ და სახეზედაც აჩნდა ჰაინრიხს, მძულვარებით რომ აყურადებდა ხოლმე ღამდამოობით ტანკების ღრჭიალსა და გრუხუნს; მუშაობდა ქცეული ჰაინრიხი სადღაც ზაპოროჟიესა და დნებროპეტროვსკს შორის ლპება; ძლევამოსილია ის ტანკი, ძლევამოსილია ის გაზის ღუმელი, ბატონი ბამბერგერი რომ შთანთქა; არც ჭარისკაცის მოწმობა გადმოუგზავნიათ, არც საქორწინო ბეჭედი, სადაა ფული ან ის საათი, რომელზედაც ღვთისმოსავმა დედამ საგანგებოდ ამოატვიფრინა: წმინდა კონფირმაციის სამახსოვროდ“. ფოტოებზე პირმომცინარი ეფრეიტორია აღბეჭდილი, აღბეჭდილია პირმომცინარი ფელდფებელი, არადა, სინამდვილეში მუდამდღე წარბშეკრული იყო ხოლმე ჰაინრიხი. საქსონიის ერთ-ერთ პატარა სამლოცველოში დაასვენეს კატაფალკი, რომელსაც „ბერწა“ შეარქვეს, დაანთეს სანთლები და პირხმელმა, სახეჩაკაწამახებულმა დედამთილმაც ასე უთხრა: „იცოდე, ჩირქი არ მოსცხო ჩემი შვილის ხსოვნას“.

ოცდაერთი წლისა დაქვრივდა, ერთი წლის შემდეგ კი ერიხმა თავისი ასთმა, თავისი გული და კაკაო შემოსთავაზა. მოკრძალებულ, მოწლე და ჩია

¹ რაფაელის ნახატი (ლათ.).

ნაციისტ ბრონქების სატკივარი აწუხებდა: მაგიდაზე სულ მუდამ იდო ქაფურის ფხვნილი, იდგა ძმრიანი ბოთლი, პერანგები საფენებად იყო დახეული და ღამდამობით ყრუ, გაბმული კვნესა ესმოდა ხოლმე.

ასეა თუ ისე, მაინც უნდა ჩაიხედოს სარკეში, კედელზე რომაა ჩამოკიდებული, ჰაინრიხის სურათის გვერდით; კბილები ჯერ კიდევ თეთრი აქვს, ერთი შეხედვით საღი კბილებისაგან ვერც გამოარჩევ, მაგრამ თითქმის რომ მიაღებს, საშინლად ერყევა სუყველა. აი, ტუჩები კი ჯერჯერობით სავსე აქვს და სულაც არ მიუგავს ბერნას თხელ, გადამჟკნარ ტუჩებს; ჯერაც ლამაზი ეთქმის მომღიმარი ფელდფებლის ტურფა მეუღლეს, ყელმოღერებულ დედოფალას, მასზე გაცილებით ახალგაზრდა კონდუქტორ ქალებთან რომ გამარჯვებას გამარჯვებაზე ზეიმობს. ათას ორასი მარკა დასჭირდება ცამეტი კბილის სამკურნალოდ, ღრძილები კი დღითი დღე უხმება, სულ უფრო და უფრო ერყევა კბილები და ამ ამბავს აღარაფერი ეშველება.

ამასობაში კიდევაც გადაწყვიტა შეესმინა ხაბაზის მუდარა და ლეო ახალგაზრდა კონდუქტორი ქალებისათვის გადაელოცა; გადაწყვიტა დაეთმო ლეო იმ თავისი საგულდაგულოდ გაპარსული პირისახით, ოთხკუთხა შუბლით, ჯაგრისით ხეხვისაგან გადაწითლებული ხელებით, იმ თავისი გაპრიანებული ფრჩხილებითა და მიუსაფარი თვალებით, სუტენერის გულდაჯერებას რომ ამოიკითხავ ხელად. აი ხაბაზს კი უნდა დააცდევინოს ცოტა, ერთხანს ისევ გააწვალენს დაღვრემილსა და სახედაჯირჯვლებულს, იქნება ოთახი დაუთმოს, შეიძლება ფულიც მისცეს ვინძლო შეგირდადაც აიყვანოს ჰაინრიხი, როცა სამი წლის შემდეგ ბიჭი სკოლას დაამთავრებს.

ლოსიონით საგულისგულოდ გაიწმინდა პირისახე, საიდანღაც გაჩენილი ჭუჭყი ბამბას შერჩა. მერე ფერუმარილი წაიცხო კანზე, ტუჩებზე პომადა გადაისვა და ხელი შეხეშეშეშებულ თმაზე შეივლო. მის ლამაზ ხელებს აქამდე მხოლოდ ორმა მამაკაცმა მიაქცია ყურადღება: ჰაინრიხმა და ხაბაზმა. გერტი რომ გერტია, იმასაც არაფერი უთქვამს, თუმცა კი ბავშვივით ეხვეწებოდა, ხელები სახეზე დამაფარეო და ვილმაც საათობით ეფერებოდა ხოლმე ასე. აი ხაბაზი კი მარტო ამ ხელების დანახვისას ინთება ვნებით, თავდავიწყებით შეყვარებული ეს უგნური, სახაბაზოს ნაცრისფერ წიაღში რომ სისულელეს სისულელეზე რომავს.

უცებ შეკრთა, — ოთახში ბიჭი შემოვიდა. გაჭრილი ვაშლივით ჰგავდა მამამისს, პირმომცინარ ეფრეიტორს, პირმომცინარ უნტეროფიცერს, პირმომცინარ ფელდფებელს; ისიც მამამისივით ლამაზი იყო, მამამისივით კოპებშეკრული.

— ჯერ არ წასულხარ?

— ახლა მივდიოდი, ქვეყანა რომ არ დაინგრევა, ერთხელ რომ დავიგვიანო. გამომივლი დღეს?

ფრაუ ბრილახი თვალს არ აშორებდა შვილს, მაგრამ ყოყმანის ნასახიცი ვერ დაატყო სახეზე, როცა ჰაინრიხმა „მოვალ“, — უთხრა.

— წვნიანი შეათბე და ისადილე, ფორთოხალიც ვიყიდე. ერთი შენია, მეორე — ვილმას აჭამე.

— დიდი მადლობა. კბილის ექიმმა რა გითხრა?

— მერე მოგიყვები, ახლა წასასვლელი ვარ. რომ მოხვალ?

— მოვალ, — გაიმეორა ჰაინრიხმა.

ფრაუ ბრილახმა აკოცა შვილს, კარი გააღო და გარეთ გასულს პაინრიხ-
მა ერთხელაც მიაძახა:

— მოვალ, უსათუოდ მოვალ.



თავი V

მარტინი შეჩერდა, პერანგი შეიხსნა და უბიდან ზონარზე გამოხმული სახლის გასაღები ამოაძვრინა: დილაობით, ზონარს რომ ჩამოიკიდებს კისერზე, გასაღები გრილია და როცა კი ჭიბთან გაეჭლასუნება, კანს შეუბურძღლავს ხოლმე, მაგრამ მოგვიანებით გასაღები ნელ-ნელა შეთბება და ბოლოს აღარ აწუხებს. ბინდბუნდში ხელად შეამჩნია კარზე მიკრული თეთრი ბარათი, მაგრამ შუქის ჩართვასა და ბარათის წაკითხვას არ ჩქარობდა. წელში მოიხარა და ზონარზე გამოხმული გასაღები ისეთი ძალით გააქნია, რომ გასაღებმა ჯერ მარცხენა ყურთან აუარა, მერე თავზე გადაუქროლა და მარჯვენა ლოყაზე დაეცემა. გასაღები ერთ ხანს ლოყაზე გაიჩერა, შემდეგ ისევ დაუბიძგა და ჩამოიგდო. მარცხენა ხელით ჩამრთველის დილაკს მიაგნო, მარჯვენათი კი საკლდური მოსინჯა, ყური მიაღო და გაიტრუნა: ეტყობა, მართლაც არავინ იყო შინ. ბარათშიაც უეჭველად ის ეწერება, რომ საქმეზე წასვლა ალბერტსაც მოუწია. როცა კი გაიგებდა, „არავინააო შინ“, ბეზიას არასოდეს იგულისხმებდა, იმიტომ რომ ბეზია უთუოდ შინ იქნებოდა, იგი ყოველთვის შინაა და წინადადება — „სახლში არავინაა“ — იმას ნიშნავს, რომ „ბეზია შინაა, სხვა არავინ“. „სხვა“ აქ გადამწყვეტი სიტყვაა, ეს სიტყვა რატომღაც არ უყვარდა მასწავლებელს, ისევე როგორც სიტყვები: „კაცმა რომ თქვას“, „ხაერთოდ“, „რა თქმა უნდა“, — უფრო მწიშვნელოვანი სიტყვები, ვიდრე ეს უფროსებსა ჰგონიათ. გაიგონა კიდევ ბეზიას ხმა; ბურტყუნ-ბურტყუნით დააბოტებდა თავის ოთახში და ჭურჭლის კარადაში გამოდგმულ ჭიქებსაც ზრიალ-ზრიალი გაჰქონდა. მის ნაბიჯებს რომ ყური მოჰკრა, მაშინვე წარმოუდგა თვალწინ თვითონ ბეზია და უზარმაზარი, შავად შეღებილი ადამისდროინდელი კარადა, — ძველის ძველი, ანუ, უძვირფასესი: ყველაფერი ის, რაც ძველის ძველია, იმავე დროს ხომ უძვირფასესიცაა; მაგალითად, ძველი ეკლესიები, ძველი ვაზები. ფიცარფენილი, პარკეტის იატაკის ქვეშ რა ხანია მოირღვა და გამუდმებით ზანზარებს, ჭიქებსაც წკრიალ-წკრიალი გააქვს, როცა ბეზია ბოლთას სცემს ხოლმე ოთახში. არაფრით არ უნდა გაიგოს, მარტინი მოვიდაო, თორემ აიყვანს თავის ოთახში, რას აღარ დააძალებს, გამოჰიტყნის მსუყე-მსუყე საკმელებით — სანახევროდ უმი ხორცის ნაჭრებით, გულს რომ უმძიმებს ხოლმე; ბეზია კატეხიზმოსაც გამოჰკითხავს, დიდი ხნის წინათ შ-მო-ღებულ შეკითხვებსაც დაუსვამს: ეგრეთ წოდებულ „შეკითხვებს გეზელერთან დაკავშირებით“. მარტინმა ჩამრთველის დილაკს თითი დააჭირა და ძია ალბერტის დატოვებული ბარათი გადაიკითხა: „მე მაინც მომიწია წასვლა“, — სიტყვა „მაინც“ სამჯერ იყო ხაზგასმული — „შვიდისთვის მოვბრუნდები, უჩემოდ ნუ ისადილებ“. ის ამბავი, რომ ალბერტმა სამჯერ გაუსვა ხაზი სიტყვას, კიდევ ერთხელ მოწმობდა იმ სიტყვების დიდმნიშვნელობას, მასწავლებელს რომ არ უყვარდა და ბავშვებსაც უკრძალავდა მათ წარმოთქმას. როცა სინათლე ისევ ჩაქრა, გაუხარდა: სიფრთხილე მართებდა, იმიტომ რომ, ჩართულ

შუქზე შეიძლება ბებია გამოპარბაშდეს გარეთ, აათრიოს თავის ოთახში, გამოჰკითხოს კატეხიზმო, საჭმელი დააძალოს; მუცელს ამოუყორავს მრგვარდისფრო ხორცის ნაჭრებით, ტკბილეულობით, ალბათ არც ალერსს მიაკლავს, მერე კი კატეხიზმობანას მოინდომებს და შეკითხვებსაც დაუსვამს „გვზელერთან დაკავშირებით“. შეიძლება სულაც კიბეზე გამოდგეს, დაიფრიალოს, ისევ სისხლი მაქვს შარდში“ და ცრემლად დაღვრილმა ღამის ჭურჭელი იქნოს. გული ერევა ხოლმე შარდის დანახვაზე, ცოტა არ იყოს, ბებიასიც ეშინია და ამიტომაც გაუხარდა, როცა ჩამრთველმა გაიწყაბუნა და შუქი ისევ ჩაქრა.

ქუჩაში უკვე გაზის ლამპიონები აენთოთ, მარტინის ზურგს უკან მოყვითალო-მწვანე ბაკმი სადარბაზოს სქელ მინებში აღწევდა, კედელს ეცემოდა და მარტინის ჩავიწროებული, ნაცრისფერი ჩრდილიც მრუმე კართან აიტუზა. ხელი ჯერაც ჩამრთველზე ედო, მერე უნებლიეთ ღილაკს დააჭირა თითი და სწორედ იმწამს მოხდა ის, რასაც გულის ფანქვალთ ელოდებოდა ხოლმე: მისი ლანდი, შავი და ძალზე ფეხმარდი ცხოველივით, სინათლის ზოლიდან გამოხტა — შავზე შავი და მრისხანე, გადაევლო კიბის მოაჯირს და მარტინის თავის ანაჩრდილი სარდაფის კარის ღირსს დაეცა; მარტინმა ისევ მოიქნია ზონარზე გამობმული გასაღები და ზონრის ვიწრო, ნაცრისფერ ლანდს თვალი აადევნა; მერე კვლავ გაიწყაბუნა ჩამრთველმა და სინათლეც ჩაქრა. ზედიზედ რამდენიმეჯერ აიძულა თავისი ლანდი — ჩავიწროებული შავი და ასე ფეხმარდი ცხოველი ზურგს უკანიდან გამომხტარიყო, — ამის ნახვას ხომ მართლაც არაფერი ჯობდა, — გამომხტარიყო მოყვითალო-მწვანე სინათლის ზოლიდან ისე, რომ მისი თავის ანაჩრდილი სარდაფის კარს დაეცემოდა მუდამ ერთსა და იმავე ადგილას, კისერზე ჩამოკიდებული ზონრის ნაცრისფერ და მიცრეცილ ლანდს კი იატაკზე ესრიალა. ანაზღად ბოლდას ნაბიჯების ხმა მოესმა: ფრატუნ-ფრატუნით გაიარა წინკარი და აბაზანაში შევიდა. მერე წყალი მოუშვა და ბიჭსაც გაახსენდა, რომ ბულიონის მოსახარშად ბოლდა სწორედ ამ დროს ჩამოდის სამზარეულოში.

მთავარია, ფეხაკრეფით შეხვიდე და ბებიამ ვერაფერი გაიგონოს. მარტინმა გასაღები საკლიტურში შეაძვრინა, ფრთხილად გადააბრუნა, მერე მარცხენა ხელიც მოიშველია, რომ კარი ერთის ბიძგით გაღებულიყო, და ზღურბლს გადააღაჯა. იმ ადგილს უნდა მორიდებოდა, პარკეტი სადაც ჭრიალებდა და როგორც იქნა, სველ, ჟანგისფერ სნატს დაადგა ფეხი; მერე ადგილიდან ფეხმოუცვლელად მთელი ტანით წამოიხარა წინ, რომ კარი ისევ უხმაუროდ მიეხურა.

სუნთქვაშეკრულმა მიუგდო ყური ბებიას ოთახიდან ჩამოღწეულ ხმებს: ნამდვილად არ გაუგონია მისი შემოსვლა; კვლავინდებურად დააბოტებს თავის ოთახში, ჭიქებს წკრიალ-წკრიალი გააქვს კარადაში და ბებიას ბურტყუნიც პატიმრის სასოწარკვეთილ მონოლოგსა ჰგავს. ჯერ არ დამდგარა ჟამი შემადრწუნებელი, პერიოდულად განახლებული სცენისა: — „სისხლი მაქვს შარდში“, — ამ დროს ბებია დიდის ამბით ჩამოატარებს ხოლმე ყვითელ სითხეს, დაატარებს ოთახიდან ოთახში და ისევე ურიდად ღვრის მას იატაკზე, როგორც ცრემლებს, დაჰაღუპით რომ ჩამოსდის ლოყებზე. დედა კი ამ დროს ასე ეტყვის ხოლმე:

— ნუ გეშინია, დედა, ჰურვებერს დავურეკავ.

ძია ალბერტიც იგივეს ეუბნება: „ნუ გეშინიათ, ჰურვებერს დავურეკავთ“.

საქმეში ბოლდაც ჩაერევა ხოლმე: „ნუ გეშინია, ძვირფასო ბეტი, ექიმი გამოიძახე და მანჭვა-გრენას თავი დაანებე“.

გლუმი კი, როცა დილაობით ეკლესიიდან ან სამსახურიდან დაბრუნებულს ბებია შემოხვდება შარდიანი ჭურჭლის ქნევით, გლუმი ასე ამშვიდებს: „ნუ გეშინიათ, ძვირფასო დიდებო, ექიმი მალე მოვა“.

თავად მარტინიც ვალდებული იყო ეთქვა: „ნუ გეშინია, ბებო, ექიმს გამოვიძახებთ“. სამ თვეში ერთხელ გათამაშდებოდა ხოლმე ეს სცენა და ზოგჯერ მთელი კვირის განმავლობაშიაც გრძელდებოდა; არადა, უკანასკნელი წარმოდგენის შემდეგ დიდი დროა უკვე გასული; ასე რომ, შესაძლოა სპექტაკლი ამ საღამოს, ან სულაც წუთი-წუთზე განახლდეს.

ჯერაც სულგანაბული იდგა და მის სიხარულსაც საზღვარი არ ჰქონდა, რაკი ბებია ისევ ბურტყუნებდა თავისთვის, ოთახშიაც კვლავინდებურად დაბოტებდა და არც ჭიქების კონცერტი შეწყვეტილა კარადაში.

მერე სამზარეულოში შეძვრა, სიბნელეში დედის წერილს მიაგნო, რომელსაც დედა მაგიდის კიდზე უტოვებდა ხოლმე, ცისფრად მოჩითულ სუფრაზე, და კიდევ უფრო გახალისდა, ბოლდას ნაბიჯებს რომ მოჰკრა ყური. ბოლდა თუ შინაა, მაშასადამე, ბებია არ გამოდგება შარდიანი ჭურჭლით ხელში და არ დაიდრიალებს, სისხლი მაქვსო შარდში. ბოლდა და ბებია დიდი ხანია ერთმანეთს იცნობენ და ბოლდა, — ამჯერად ერთადერთი მაყურებელი — ბეbias სულაც არ ჩიბლავდა.

ფლოსტების ფლატუნ-ფლატუნით ჩამოვიდა ბოლდა კიბეზე და დერეფანში შუქი აანთო; მთელ სახლში იგი ერთადერთი ადამიანია, ვისაც ბეbiasი არ ეშინია, ხოლო როცა სამზარეულოში შემოსულმა აქაც აანთო შუქი და მარტინი დაინახა, ბიჭმა მის გასაფრთხილებლად უმაღლესი მიიტანა ტუჩებთან. ბოლდამ ჩაიკუთქუტა, მიუახლოვდა, კეფაზე ხელი მოუთათუნა და თავისი ხრუტუნა ხმით წაიდუღლუნა:

— რაო, ხომ არ მოგშივდა?

— მშია, — უპასუხა ხმადაბლა.

— ბულიონს შეჭამ?

— შევჭამ, — უთხრა მარტინმა, თან ბოლდას კუბრივით შავ, გადასლეჩილ და გრძელ თმაზე შერჩა თვალი, შესცქეროდა მის ქალღმერთ თეთრ, მთლად დანაოჭებულ სახეს, ცოტა ხნის შემდეგ კი დაჰფეთქა — ბოლდამ გაზი აანთო. ახლაც ბოლდას გვერდით იდგა, ბოლდა კი კოლოფიდან ბულიონის კუბებს იღებდა. ჯერ სამი ცალი ამოიღო, მერე მეოთხე მიაყოლა.

— კარაქიან პურზე რას იტყვი? ახალთახალია!

— კარგი იქნება, — უპასუხა მარტინმა.

ბოლდამ ზურგჩანთა შემოახსნა, ქუდი მოხადა და გასაღები ისევ უბეში ჩაუგდო: ცივი გასაღები უბეში ჩაუცურდა, მუცელზე გაეგლასუნა, კანი ოდნავ შეუბურძგლა და ჭიბთან მიეტყლაპა. ჯიბიდან დედის წერილი ამოაძვრინა და გადაიკითხა: „ისევ უნდა წავსულიყავი“ — სიტყვა „უნდა“ ოთხჯერ იყო ხაზგასმული. ბოლდამ წერილი ჩამოართვა, ერთხანს შუბლშეჭმუხნული ჩაჰკირკიტებდა, მერე კი წყლის ბაქნის ქვეშ შედგმულ სანაგვე ვედროში გადაუძახა.

თანდათანობით მთელ სამზარეულოს მოედო ბულიონის სუნი, სუნი, რომელსაც ძია ალბერტი „ორდინარულს“, დედა — „გულის ამრევს“, ბებია

კი „გლახაკურს“ უწოდებს; ხოლო გლუმი რომ ამ სუნს იკრავს, სიამოვნებისა-
გან ცხვირი დაემანჭება ხოლმე. თვითონ მარტინსაც ძალზე მოსწონდა ბული-
ონი იმ მიზეზის გამო, ვერავის რომ ვერ გამოეცნო ჯერ: ზუსტად ისეთივე ბუ-
ლიონი იხარშება ბრილახებთან, ამ ბულიონსაც ახლავს ხახვის, ქონის, ნივრის
და კიდევ რაღაც გაურკვეველი სუნი, რასაც ალბერტმა „ყაზარმა“ შეწერა.

გაზქურის უკან, იქ, სადაც გათბობის მილი გადის, ბოლდას ყურმოტე-
ხილი მწვანე ფინჯანი უდგას, რომელშიაც იგი საგანგებოდ შემზადებულ ნა-
ყენს იმდენ ხანს ადუღებს, ვიდრე სასმელი ერთიანად გადამწვანდება, შეს-
ქელდება და თითქმის ბლანტ სითხედ გადაიქცევა. ამ სითხეს აბზინდის ნაყენს
უძახის ბოლდა; ნელთბილი და მომწარო სითხე პირში ნერწყვს მოგიგროვებს,
ყელს ჩაგიმწარებს, ულევ სიმწარედ ჩაგიგუბდება ყელში, კუჭში კი სასია-
მოვნო სითხოდ ჩაგელვრება. საჭმელს როცა ჭამ, ეს სიმწარე წვეთ-წვეთობით
შეერევა ხოლმე ყველაფერს: აბზინდის გემო დაჰკრავს პურს, წვნიანიც თით-
ქმის აბზინდითაა შექმავული; ყელი მაშინაც ჩამწარებული გაქვს, როცა კარგა
ხნის ჩაწოლილი ხარ ლოგინში, — საამო სიმწარე ყველა კუნჭულიდან მოლ-
გენტავს სასისაყენ, მოჟონავს ფარული ჯიჯვლებიდან, მოგადგება ენაზე და
ნერწყვს შეერევა.

კვირაში ერთხელ თითო ყლუბი აბზინდის ჩაი მისწრებაო, იტყოდა ხოლმე
ბოლდა და ეს იყო მისი წამალი. თუ ვინმეს გულს აზიდებდა ან მუცელი ას-
ტკივდებოდა, თითო-თითო ყლუბი უნდა მოესვა ყურმოტეხილი მწვანე ფინ-
ჯნიდან. ბებია რომ ბებიაა, — ხომ ყველაფერი ეზარებოდა, რასაც ჭამდა ან
სვამდა ბოლდა, — ნამალევად ბებიაც კი მოწრუპავდა ხოლმე იმ ბლანტ, უსას-
რულო და კონცენტრირებულ სიმწარეს. მონაციისფრო-მწვანე გამხმარ ფოთ-
ლებს ბოლდა კვირაში ერთხელ ამოაწყობდა გაცრეცილი, ყავისფერი ქაღალ-
დის პარკიდან და ახალ ნაყენს იმზადებდა. „კონიაკზე უკეთესია, — დუდლუ-
ნებდა ბოლდა, — ყველანაირ წამალსა სჯობს, ვითომ მუცლის ღორჯულად
ამოყორვა, გაღეშვა ან დღედაღამ თუთუნის პლაკუნია უკეთესი? აბზინდის
ნაყენი და საამო საგალობელი ქვეყანაზე ყველაფერსა სჯობს“. თავადაც ხში-
რად მღერის ხოლმე, თუმცა კი შემაზრზენი ხმა აქვს: ამაოდ ცდილობს რიტმი-
სა და მელოდიის სწორად გამეორებას, არადა, ჰგონია, მშვენივრად გამომდისო;
სმენაც ისეთივე არამუსიკალური აქვს ბოლდას, როგორიც ხმა, და ალბათ ამი-
რომ თუ ესაღბუნება მის ყურს თავისივე აუტანელი ღიღინი, თან ყოველ ნამ-
ღერ სტროფს ბოლდა გამარჯვებული ადამიანის ღიმილს დააყოლებს ხოლმე.
აი, გლუმს ხომ იშვიათად თუ გაუწყდებოდა მოთმინების ძაფი, — გლუმს,
უსაზღვროდ მომთმენ, ყველაფრისა და ყველას მიმართ მომთმენ კაცს, ზოგ-
ჯერ მთელი კვირის განმავლობაშიაც რომ მორჩილად აუტანია ბებიას შეძა-
ხილები სახელწოდებით „სისხლი მაქვს შარდში“, — გლუმსაც კი მოერეოდა
ბრაზი და მოთმინების ფიალაც აევსებოდა, როცა ბოლდასეულ სიმღერას მოჰ-
კრავდა ყურს.

— ოჰ, ბოლდა, — ეტყოდა ხოლმე გლუმს, — ძალიან მახისიანებ.

ბოლდას ბულიონი უკვე გაცხელდა, პურის ნაჭრებზეც წასმულია კარაქი
და, დიდი ყვითელი ფინჯნით ხელში, მარტინი ფეხაკრეფით, წინდების ამარა
აუყვია ბოლდასთან ერთად კიბეს და, ვიდრე მის ოთახში შეიძურწებოდა, უზარ-
მაზარ, ზეთის საღებავებით დახატულ ბაბუას პორტრეტს ჩაუარა გვერდით. ნა-
ხატიდან დაღვრემილი, გამხდარი კაცი იცქირებოდა; საოცრად წითური სახე

ჰქონდა, ხელში კი, მწვანე ქსოვილგადაფარებულ მაგიდას რომ ეყრდნობოდა, სიგარა უბოლავდა. ქვემოთ პორტრეტზე, სპილენძის პატარა ფირფიტა იყო მიკრული: „პატივცემულ შეფს, ფაბრიკის 25 წლისთავის გამო — მაღლიერი თანამშრომლებისაგან, 1938 წელი“.

ყოველ შეხედვაზე ეგონა, ღია ნაცრისფერი, მშვენივრად დახატული ფერფლი სადაცაა სარკესავით პრიალა მაგიდაზე ჩამოიფერთხებაო; ზოგჯერ დაესიზმრებოდა კიდევ, რომ ფერფლი უკვე ჩამოიფერთხა და დილით, თითქოს მსუბუქი ბიძგისაგან გამოღვიძებული კიბეზე აირბენდა ხოლმე. მაგრამ ფერფლი კვლავინდებურად სიგარაზე იყო გადმოკიდებული. ასე იყო ყოველთვის: ძალზე გრძელი, ღია ნაცრისფერი, თითქმის ნამდვილი ფერფლი მაინც სიგარაზე ეკიდა და თვალს როცა მოჰკრავდა, მარტინი ერთდროულად შეეზავდა იგრძნობდა, თან რაღაც სევდაც შემოაწვებოდა გულზე: აი, ფერფლი რომ ჩამოფერთხილიყო ბოლოს და ბოლოს, ყველაფერი რიგზე იქნებოდა. სასაათე ძეწკვიც ისე იყო მოხატული, ხელის შევლება მოგინდებოდა, ასეთივე იყო ნახაზზე ნაზი, მონაცრისფრო-ვერცხლისფერი ყელსაბამიც, რომელსაც ცისფერი მარგალიტი ებნია. „აი, ვინ იყო ადამიანი“, — იტყოდა ხოლმე ბოლდა და ამ სიტყვებით ალბათ იმის თქმა სურდა, ბებია ასეთ ქებას ვერ იმსახურებსო.

ბოლდას ცისფერი ქვედაკაბა, მუდამ რომ თუთქის სუნი უდიოდა, ერთთავად საპნის ქაფით ჰქონდა დალაქავებული, რადგან ბოლდას ძირითადი საქმიანობა ეკლესიების კურთხეული დალაგება გახლდათ, — „ფული კი არა“, დღეთისმოსაობა აიძულებდა ელაგებინა სამი ეკლესია: სამრევლო, სადაც კვირაში ორჯერ უშველებელ გასაპნულ გუბეებში დატყაპუნობდა ძლევამოსილი იერით, შესასვლელიდან ზიარების სკამამდე მოწიწებით აგორგალებდა საკურთხევლის წინ დაფენილ ხალიჩებს და ღრუბელზე შემოსკუპებული შავი ანგელოზის დარად საკურთხევლის ირგვლივ დაფარფატებდა შედარებით მომცრო, საპნის ქაფისაგან მთლად გადათეთრებულ გუბეებზე. პარკში რომ ეკლესიაა, იმასაც ბოლდა ალაგებდა; მონაზონთა საყამნოც მას ებარა, სადაც ძია ალბერტი დაიარება ხოლმე. ჩაბნელებული სამგალობელოს ხელმარჯენივ, ზიარების სკამს უკან, შავი სანდალოზით გადაღებილი რკინის დიდი ცხაურია, გისოსებს უკან ლურჯი ფარდაა ჩამოფარებული, რომელიც სამგალობელოს და სამლოცველოს ერთმანეთისაგან ჰყოფს, ამ პირქუში, ორმაგი ტიხრის მიღმიდან კი ყოველთვის, ყოველთვის მოისმის ხოლმე მონაზონთა გალობა, რა თქმა უნდა, უფრო სასიამოვნო, ვიდრე ბოლდასეული; მონაზვნებიც იგივე საგალობლებს ამბობენ, რომელთაც, ბოლდას აზრით, თავადაც არ მღერის ურიგოდ. ბოლდა კვირაში ოთხ დღეს ანდომებს ეკლესიების დალაგებას. ოთხი დღის განმავლობაში დაფარფატებს გაღეული, პირნაოჭიანი და სახეჭათქათა შავი ანგელოზი ქაფიან გუბეებზე, ეკლესიის იატაკზე გაწოლილ ღრუბლებზე. მარტინი რომ ბოლდასთან შეივლიდა, იატაკის მოსარეცხ პალოს ნიჩაბს მიამგვანებდა ხოლმე, ქალის ცისფერ ქვედაკაბას კი — აფრას, რომელთა მეშვეობით ზეცას მომწყდარ ღრუბელს ბოლდა უკანვე უპირებდა აგდებას, მაგრამ ღრუბელი თითქოსდა იატაკზე იყო დაკრული და მხოლოდ ხოხვა-ხოხვით თუ მონაცვლებდა ადგილს შემოსასვლელიდან ზიარების სკამამდე, მერე კი ქაფისაგან მეტისმეტად გადათეთრებული, მორიდებული სიდინჯით შემოუვლიდა საკურთხეველს.

სასიამოვნო სიმყუდროვეა ბოლდას ოთახში, თუმცა კი საპნის, გადახარ-
შული თაღამისა და ყოვლად უვარგისი ბულიონის სუნი უდის ყველაფერს.
აი ბოლდას ტახტი კი — როგორც დედა იტყვის ხოლმე — მონაზონთა მოსაც-
დელი ოთახივით ყარს; მარტინს ესმოდა ამ სიტყვების გადაკრული აზრი,
ბოლდას წარსულსა და მისი მონაზვნობის ხანას რომ შეეხებოდა, მაგრამ ქა-
ლის საწოლი — ისევე დედის სიტყვები რომ მოვიტანოთ — ჯუნგლებში გაშლილ
ტარზანის სარეცელს მოგაგონებს. გაზის ლამპიონთა შუქი ქუჩიდან ახლა
ოთახშიაც აღწევდა და ამის გამო ყველაფერს მომწვანო-ყვითელი ფერი ახლ-
და, ხოლო როცა მარტინმა ბულიონიც შეხვრიბა, პურის ორივე ნაჭერიც შე-
სანსლა, ბოლდამ რომელიღაც უჯრა გამოსწია და ის თავისი უცვალებელი
სამასპინძლოც ამოამზეურა — ერთმანეთში აწელილი, კოშტად შეკრული შა-
ქარყინული, მომღიმარი მარტინი რომ ბოლდას ხათრით თუ აიღებდა მხოლოდ.

ნასადილევს ბოლდას ტახტზე წამოწვა, პირში შაქარყინულის ნატეხი ჩა-
იგდო, თვალები მოჭუტა და გაზის ნათურების მოყვითალო-მწვანე შუქს შეაც-
ქერდა. მარტინს როცა ისტუმრებდა, სინათლეს არ აანთებდა ბოლდა და ფან-
ჯარას მიუჯდებოდა წიგნების პატარა თაროს შორიახლო, რომელზეც ორგვა-
რი საკითხავი მასალა ჰქონდა შემოდებული: ნაირ-ნაირი ლოცვანები და კი-
ნოპროგრამები. კინოდან შინმობრუნებულს, ყოველთვის მოჰქონდა ხოლმე
გროშებად ნაყიდი კინოპროგრამები, ყურადღებით ათვალიერებდა სურათებს,
თავისებურად ახარისხებდა მათ, შინაარსს კი დაწვრილებით უამბობდა მარ-
ტინს. დროდადრო თვალს მოჭუტავდა, აზრს უკეთ მოვიკრებო, და თვალს
მხოლოდ მაშინ გაახელდა, თუკი ამა თუ იმ ეპიზოდის გასახსენებლად სურათზე
დახედვა დასჭირდებოდა. ბოლდა თავიდან ბოლომდე უყვებოდა ხოლმე ფილ-
მებს, წვრილმანიც კი არ გამორჩებოდა და მხოლოდ ოდნავ თუ გადაასხვამე-
რებდა შინაარსს. ფილმის მთავარ გმირებს, თხრობის დროს რომ ამოტივტივდე-
ბოდნენ, თითოთი მიანიშნებდა სურათზე და რაც არ უნდა მოეთხორო, ყველა-
ფერი რატომღაც ბნელით მოცული, გამძაფრებული და შემზარავი იყო: უყ-
ვებოდა ადამიანთა სიმდაბლეზე, სიბილწეზე, გახრწნილობაზე, თუმცა დრო-
დადრო მათ კეთილშობილებასა და უმანკოებასაც ახსენებდა ხოლმე, აღწერ-
და, როგორ „შეაცდენდნენ“ ულამაზესი ქალები ულამაზეს მამაკაცებს, ხოლო
უმშვენიერესი მამაკაცები უმშვენიერეს ქალწულებს; წმინდა პავლე კი დამას-
კოსაქენ მიმავალ გზაზე მესხთამტყორცნელის ისარმა განგმირა; აი, წმინდა პავ-
ლეც; კინოპროგრამის ფურცლებზე გამოსახულს წვერი აქვს მოშვებული, თან
ცეცხლის ენებშია გახვეული. აქვეა წმინდა მარიამ გორეტიც, უღვთოდ რომ გა-
იმეტა ავხორცმა ქოსმენმა. — მაინც რას ნიშნავს „ავხორცი ქოსმენი“? ერთი
რამ ცხადია, ამორალობასა და ურცხვობასთან ეს ამბავი უთუოდ უნდა იყოს
დაკავშირებული. მეტწილად ბოლდა იმ ფილმებს უყვებოდა, სადაც ულამა-
ზესი ქალები ბოლოს მონაზვნებად აღიკვეცებოდნენ, ეტყობა, საკმაოდ იყო
მონაზვნებზე გადაღებული ფილმი, თუმცა მარტინს არც ერთი არ ენახა, რად-
გან თუ აფიშაზე მონაზონი ქალი ეხატა, აფიშის გასწვრივ არასოდეს არ გააქ-
რავდნენ თეთრ აბრას წარწერით: „ს ა ბ ა ვ შ ვ ო ს ე ა ნ ს ი“.

ამჯერად ბოლდა, ეტყობა, სულაც არ აპირებდა მოეთხორო რომელიმე ფილ-
მი. გაზის ფარების მოყვითალო მწვანე შუქზე ქალი ფანჯარასთან მიცუტქუ-
ლიყო და ლოცვანების დასტაში მანამდე იქექებოდა, ვიდრე სასურველ წიგნაკს
მიიგნებდა. ლოცვანს საბედნიეროდ არ ახლდა ნოტები, თორემ ერთი საათი

იმღერებდა გადაბმულად, აი, იმის მოსმენა კი, თუ როგორ ჩურჩულებს იგი ლოცვებს, მართლაც რომ სასიამოვნოა: გაღებული და კუბრივით შავთმიანი ბოლდა ზურგშექცევით იდგა და ძალზე წააგავდა ბრილახის დედას.

ამასობაში ჩამოხვეწილდა, ქუჩიდან შემოდგომული მოყვითალო-მწვანე სინათლე კიდევ უფრო ჩამწვანდა და ბოლდას მუქი ფერის ~~ავჯმა~~ ^{ხატის} ჯავშანივით იწყო ბზინვა. ცოტა ხნის შემდეგ კი, გაცილებით ადრე, ვიდრე მარტინი ელოდა ამას, ქვემოდან დედის ლაპარაკი მოესმა, გაიგონა ქუჩაში გაჩერებული მანქანების ხმა და მოგვიანებით, ვიღაც უცხო ხალხის სიცილ-ხითხითში, დედის სიცილიც გამოარჩია. ეს იყო და, მყისვე შეიძულა ეს მოხითხითე უცხო ხალხი, შეიძულა მათი სიტყვები იმაზე უფრო ადრე, ვიდრე თვალს მოჰკრავდა მათ; შეიძულა შოკოლადები, საჩუქრად რომ მოართმევინ, შეიძულა მათი ძღვენი, სიტყვები, რომლებსაც ისინი ეტყვიან, შეიძულა მათი შეკითხვები და მარტინმა ხმადაბლა უთხრა ბოლდას:

— უთხარი, ჯერ არ მოსულა-თქო, სინათლესაც ნუ აანთებ.

ბოლდამ ლოცვა შეწყვიტა:

— რას ამბობ, დედაშენს ვული გადაუქანდება, შინ რომ ვერ გნახავს.

— ხომ შეიძლება, ვერ გაგვეგონა დედაჩემის შემოსვლა?

— ტყუილებს თავი დაანებე, ჩემო ბიჭუნი.

— თხუთმეტ წუთს მაინც დავრჩები.

— კარგი, დარჩი, ოღონდ იცოდე, ამაზე მეტხანს წუთითაც აღარ დაგტოვებ.


დედა რომ მარტო მობრუნებულიყო, უმაღლესი ჩაიბრუნდა ქვემოთ, იმ ამბავსაც კი არ გაუწევდა ანგარიშს, რომ წარმოდგენა „სისხლი მაქვს შარდში“ შეიძლება ნებისმიერ წამს დაწყებულიყო, მაგრამ მარტინს დასანახად სძულდა ყველა, ვინც დედასთან მოდიოდა სტუმრად, განსაკუთრებით ის ჩასორსლებული კაცი არ უყვარდა, თონთლოხელებიანი, მუდამდღე რომ მამაზე ლაპარაკობს და, შენთვის ნუგბარი სასუსნავი წამოვიძღვანიეო, ამბობს.

შუქი უფრო მეტად ჩამწვანდა, ბოლდაც გაიჭუფრა თითქოს, ხოლო თმა იმაზე უფრო მეტად ჩაუშავდა, ვიდრე თვითონ იყო; სქელ, მელნისფერ უკუნს ჩამოუგავდა თმა და ზედ მწვანე შუქის სულივით მსუბუქი ანარეკლი უციმციმებდა. ხედავდა ბოლდას ხეშხეშა, გრძელ და ერთიანად გადაგლესილ თმას, ესმოდა მისი ბუტბუტი და სიბნელეში კვლავ ის სიტყვები გაახსენდა, ბნელში რომ ამოტივტივდებოდნენ ხოლმე: გეზდერი, ამორალური, ურცხვი, კიდევ ის სიტყვა, ბრილახის დედამ რომ მიახალა ხაბაზს, მერე კათეხიზმოში ჩამოთვლილი შეკითხვებიც არახუნდნენ: „რისთვის გავჩნდით ამ ქვეყანაზე?“

ქვეყანაზე ყველაფერი ამორალურია, ურცხოვრაც საკმარისადაა, ბრილახს ფული არ აქვს და ისიც საათობით ანგარიშობს, როგორ დაზოგოს გროშები.

ფანჯარასთან კვლავინდებურად ბუტბუტებს ბოლდა, მუქკანიანი ინდიელი, და ოთახიც მოყვითალო-მწვანე შუქის ციმციმით ივსება; საწოლის თავთან, თაროზე, ხმადაბლა და დინჯად წიკწიკებს მალვიძარა, ქვემოთ კი ამასობაში სულ უფრო და უფრო მატულობს ხმაური, ამ სიმყუდროვის უზოგველად დამაქცევარი ხმაური; ისმის ქალების კისკისი, მამაკაცების სიცილი, ისმის დედის ნაბიჯების ხმა, ყავის დაუზეთავი საფქვავის ხრაშუნ-ხრაჭუნი, — „იქნებ

ჩაი გირჩევნიათ?“ — და უცებ მთელ სახლში ბებიას ველური ღრიალი დაი-
იზა: „სისხლი მაქვს შარდში, სისხლი...“

ქვედა სართულში სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა და მარტინს,  ცოტა არ
იყოს, გულზეც კი მოეფონა ბებიას ეს შემოძახილი. ბოლდამ ფეხებზე დადგა,
მერე მოუბრუნდა, მხრები აიჩეჩა, თან უბოროტო ხალისით, გულზე მერყეულ აგა-
დაიკისკისა.

— მართალი გითხრა, მარჯვედ მოაწყო! ეჰ, შენ უწინ უნდა გენახა ბე-
ბიაშენი. რომ იცოდე, არაა მთლად ურიგო ქალი. „სისხლი მაქვს შარდში!“

დედის სტუმრებისათვის, ეტყობა, უცხო ხილი იყო ეს წარმოდგენა, ენა
დაება სუყველას. მერე ისევ მოისმა მოგუდული ბუტბუტი. ალბერტის ოთა-
ხიდან დედის ხმამ ამოაღწია, ექიმს ელაპარაკებოდა ტელეფონით, ბებია კი
მიყუჩდა; ახლა, როცა ექიმი უკვე გამოძახებულია, ბებიამ იცის, რომ უთუოდ
მიიღებს სასურველს: შპრიცს — უცნაურ, ნიკელისა და შუშისაგან დამზადებულ
იღუმალ ხელსაწყოს; პატარა, სუფთა, შეიძლება მეტისმეტად სუფთა ხელსაწ-
ყოს, ნემსიყლაპიას მსგავსი ცხოველივით რომაა და კოლიბრივით წვეტიანი
ნისკარტი რომ აქვს. ეს გამჭვირვალე კოლიბრი შუშის ამბულიდან გამო-
წოვს სითხეს, აივსებს მუცელს და წვეტიან ნისკარტით ბებიას ჩაესობა ხოლმე
მკლავში. ბებიას ხმა, დაბალი და ორგანოსავით ქლერადი, ახლა დედის ოთახიდან
აღწევდა. ბებია სტუმრებს ესაუბრებოდა.

ბოლდამ სინათლე აანთო და მწვანე ჯაღოც უმაღვე გაქრა; გაქრა შავი
ჯაღოც, გაქრა ბედნიერება და აწი ველარ ინეზიერებდა ბოლდას სამონაზვნო
ტახტზე წამოწოლილი, ველარ გაიგონებდა მის ბუტბუტს.

— რას იზამ, ჩემო ბიჭუნი, ახლა დაბლა უნდა ჩახვიდე და ლოგინში
ჩაწვე. დარდი ნუ გაქვს, უთუოდ ალბერტის ოთახში დაგაწვენენ.

ბოლდას გაელიმა, რაკი ჯაღოსნურ სიტყვას მიაგნო: „უთუოდ ძია ალბერ-
ტის ოთახში დაგაწვენენ“.

მარტინმა ბოლდას გაუღიმა, პასუხად ბოლდამ კვლავ ღიმილი შეაგება და
მარტინიც ფეხათრევით ჩაუყვია კიბეს. უზარმაზარი, გარეული ცხოველის ჩრდი-
ლივით იდგა ბებია დედის ოთახის ზღურბლზე და მარტინმა ისიც გაიგონა,
როგორ მიანაზა ბებიამ თავისი დაბალი, ორგანოსავით ქლერადი ხმა:

— წარმოგიდგენიათ, ბატონებო, სისხლი მაქვს შარდში.

ვიღაც ყეყეჩმა არამკითხემ კი ასე უპასუხა:

— ქალბატონო, ექიმს უკვე შეატყობინეს.

ეს იყო და, ბებიამ მარტინის ფეხის ხმას მოჰკრა ყური, მკვირცხლად
შემოტრიალდა, შევარდა თავის ოთახში და ძვირფასი ძღვენი — შარდიანი ჭურ-
ჭელი გამოასვენა. მარტინი მესამე საფეხურზე იდგა და ჭურჭელიც ბებიამ ზედ
ცხვირწინ გაუქნია.

— წარმოგიდგენია, ჩემო ოქროვ, ისევ დამეწყო.

მარტინმა ის სიტყვები წარმოთქვა, ამ საზეიმო წამს რომ უნდა წარმო-
ეთქვა:

— ნუ გეშინია, ბებიკო, მალე ექიმი მოვა.

ბებიამ კი პასუხად ის თქვა, რის თქმასაც დაჩვეული იყო ასეთ საზეიმო
წამს: „გეცოდება შენი ბებია, არა?“ თან შარდიანი ჭურჭელი მოაშორა, რად-
გან დარწმუნდა, მარტინმა მუქ-ყვითელ სითხეს ჯეროვანი ყურადღება მიიქ-
ციაო.

— კარგი ბიჭი ხარ, ჩემო ოქროვ, ბეზიკო რომ გეცოდება! — და მარტინსაც შერცხვა, იმიტომ, რომ სულაც არ ეცოდებოდა ბეზიკა.

დედოფალივით განერიდა იგი იჭაურობას და თავის ოთახში დაბრუნდა. სამზარეულოდან დედა გამოვარდა, შვილი გადაკოცნა, მარტინმა კი თვალებში ჩახედა და მაშინვე მიხვდა, რომ დედას ამ საღამოსაც მოუწევდა ტირილი. უყვარდა დედა, მის თმასაც ასე სასიამოვნო სუნის აქვს, უყვარდა, თუმცა კი ზოგჯერ ისიც იმ სტუმრებივით წაისულელებდა, შინ რომ მოჰყავდა ხოლმე.

— საწყენია ალბერტიც რომ წავიდა, ერთად ისადილებდით.

— მე ბოლდამ მასადილა.

დედამ თავი გააქნია და გაეღიმა. მუდამ ასე გააქნევდა ხოლმე თავს, როცა მარტინი ეტყოდა, ბოლდამ მასადილაო. ვიღაც ქერათმიან ქალს ბოლდას გატურტლული წინსაფარი აეფარებინა და მოხარშულ კვერცხებს ნაჭრებად თლიდა სამზარეულოს მაგიდაზე. იმ უცხო ქალმა სულელურად გაუღიმა მარტინს, დედამ კი სწორედ ის სიტყვები ამოაბულბულა, ასეთ დროს რომ წამოროშავდა ხოლმე და რისი გულისთვისაც წამით შესძულდებოდა კიდევ დედა:

— წარმოგიდგენიათ, ჩემი შვილი ყოველად ორდინარულ რაღაცებსაც არ იწუნებს, მარგარინსა და ამისთანობას.

ხოლო ქალმა პასუხად ის სიტყვები წამოიძახა, სტუმარს რომ შვენოდა:

— გადასარევი ბავშვია!

— გადასარევია! — მხარი აუბეს სხვა მოსულელო ქალებმაც, დედის ოთახიდან რომ გამოლაგდნენ.

— გადასარევია! — უსირცხვილოდ აიტაცა ეს სულელური ნათქვამი კიდევ ორმა მამაკაცმა. ყველა, ვინც დედასთან იკრიბებოდა საღამოობით, მარტინის აზრით, ცოტათი მაინც წაისულელებდა და იმ მოსულელო ვაჟბატონებმაც „გადასარევია“-ს მამაკაცური ვარიანტი აღმოაჩინეს: — „საოცარიო“ — აღაღალეს პირი და მარტინიც იძულებული გახდა გაჰყოლოდა უკან, ჩამოერთმია შოკოლადები, მოსამართი სათამაშო მანქანები, ხოლო როცა ბოლოს და ბოლოს სტუმრებს ხელიდან დაუძვრა, ზურგს უკანიდან ჩურჩული დაედევნა:

— ფანტასტიკური ბავშვია!

ეპ, რა კარგი იქნებოდა ბოლდას ოთახში, იმ ჩამწვანებულ სიბნელეში ყოფნა, ბოლდას სამონაზვნო ტახტზე წამოგორება, ან კიდევ გლუმის ოთახში ასვლა და კედელზე გაკრული უზარმაზარი რუკის დათვალიერება.

მარტინი სამზარეულოში დაბრუნდა, ის ქერქეტა ქალი ახლა პამიდორს თლიდა და მარტინმაც შესვლისთანავე გაიგონა:

— ქეთას ვკარგავ იმპროვიზირებულ ვახშამზე!

დედა ბოთლებს ხსნიდა, ჩაიდანში წყალი თუხთუხებდა, მაგიდაზე შაშხის ვარდისფერი ნაჭრები ეწყო, იქვე იდო მოხარშული ქათამი. მოთეთრო ხორცს ღია მწვანე ფერი დაჰკრავდა თითქოს და ქერათმიანი უცხო ქალიც ისევ ატიკტიკდა:

— ქათმის ზორცის საღათა გადასარევი რაღაცაა, ზომ ასეა, ძვირფასო ნელა?!

მარტინი შეკრთა: ის ხალხი, ვინც დედას — „ძვირფას ნელას“ უწოდებდა, უფრო ხშირად მოდიოდა სტუმრად, ვიდრე ისინი, უბრალოდ „ფრაუ ბახს“ რომ ეძახდნენ ხოლმე.

— თუ შეიძლება, ძია ალბერტის ოთახში წავალ?

— კი ბატონო, წადი, — უპასუხა დედამ, — საჭმელს იქ შემოგიტან.

— არაფერი არ მინდა.

— მართლა არაფერი გინდა?

— მართლა! — მოუჭრა მარტინმა და უცებ შეეცოდა დედა — სულაც არ ჰგავდა ბედის ნებიერ ქალს და მარტინმა ხმადაბლა დააყარა:

— გმადლობთ, მართლა არაფერი მინდა.

— ჰო, — იტიკტიკდა ის უცხო ქალი, ამჯერად იგი ქათმის ძვლებს დანით აცლიდა ხორცს, — მითხრეს, ალბერტ მუხოვიც თქვენთან ცხოვრობსო. სიგამდე მაინტერესებს დავუახლოვდე ყველას, ვინც პირადად იცნობდა თქვენს მეუღლეს. სულიერ ცხოვრებასთან შერწყმა, — ეს ხომ ციური ნეტარებაა.

ალბერტის ოთახში მარტინს გულზე მოეშვებოდა ხოლმე: შევიდოდა თუ არა, მაშინვე თამბაქოსა და ქათქათა თეთრეულის სუნი ეცემოდა. თეთრეული ალბერტს დასტად უწყვია კარადაში. საამო სუნი უდის თოვლივით თეთრ, მწვანეზოლებიან, მოჟანგისფრო-ყავისფერზოლებიან ახალგაზრდებში პერანგებს, ისეთივე საამო სუნი უდის, როგორც იმ გოგონას, სამრეცხაოდან რომ მოაქვს თეთრეული. ქალიშვილს ძალზე ქერა თქმა აქვს, მისი თმის ფერი თითქმის არც კი განსხვავდება კანის ფერისაგან. დღისით, მზისით, გოგონა კალმით ნახატსა ჰგავს, მარტინს მოსწონდა კიდევ იგი, იმიტომ რომ ქალიშვილი ყოველთვის თავაზიანად ექცეოდა და ამასთანავე არასოდეს წაისუფლებდა. გოგონას სარეკლამო გასაბერი ბუშტებიც ხშირად მოჰქონდა ხოლმე. მარტინი გაბერავდა ბუშტს და ბრილიანთან ერთად საათობით შეედლო ფრენბურთის თამაში, თან არც იმის შიში აწუხებდა, შეიძლება რაიმე დაიმსხვრესო; უზარმაზარ, გაჭიფხულ და ნაზზე ნაზ ბუშტებს ცარცის ხსნარით ეწერა: „ბუფო ყოველგვარ ლაქას ამორებს“. ალბერტის მაგიდაზე მუდამ დასტად ეწყო სახატავი ფურცლები, საღებავების ყუთი კი კუთხეში ედგა, სათუთუნესთან.

გულზე კი მოეშვებოდა ხოლმე, მაგრამ კედლის მიღმა, დედის ოთახში, ხმამაღლა ხარხარებდნენ და მარტინს ბრაზი ახრჩობდა. ისიც კი ინატრა, ნეტავი მეც შემაძლებინა შარდიანი ჭურჭლის აქეთ-იქით ქნევას და მთელი სახლის გასაგონად ღრიალი: „სისხლი მაქვს შარდში“.

კიდევ ერთმა სალამომ ჩაიარა ფუჭად და ეს იმიტომ, რომ ალბერტსაც მოუწია წასვლა. დედა როცა სახლშია და არც სტუმრები მოჰყავს შინ, დედის ოთახში სხედან ხოლმე, ზოგჯერ გლუმიც შემოეკედლებათ ნახევარი საათით, რაიმეს მოჰყვება, ან არადა, ალბერტი მიუჯდება პიანინოს და უკრავს, დედა კი ამ დროს თავისთვის კითხულობს რაღაცას. თუმცა, ის უფრო უკეთესია, როცა ალბერტი სადამო ხანს ქალაქში გაასეირნებს მანქანით, ან კიდევ სანაყინეში წაიყვანს. თვალში მოსდიოდა ჭრელი, ჭახჭახა სინათლე, მამალი რომ აფრქვევდა ღარბაზში, მოსწონდა რადიოლას გამკივანი ხმა, ცივი ნაყინი, მწვანედ მოზიმზიმე ლიმონათი, რომელშიც ყინულის ნატეხები დაცურავდა, არადა, დასანახად სძულდა ყველა ის მოსუფელო მამაკაცი თუ მოსუფელო ქალი, მისი დანახვისას რომ „გადასარევიას“, „საოცარიას“ გაიძახიან და თითქმის ყოველ სალამოს გუნებას უფუჭებენ.

მარტინმა ტუჩები გამობზიკა, საღებავებიან ყუთს თავი ახადა, ამოიღო გრძელი, სქელტარიანი ფუნჯი, ჩააწო წყალში და დიდხანს, გულდაგულ ახვავებდა ზედ შავ ფერს. ქუჩაში მანქანა გაჩერდა და მარტინმაც ხმაზე შეატყო,

რომ ექიმის მანქანა იყო და არა ალბერტის. ფუნჯი გვერდზე გადასდო, დაიცადა, ვიდრე ზარი აწვრილდებოდა, და წინკარში გაეარდა, რადგან სწორედ ახლა უნდა მომხდარიყო ის, რაც სამ თვეში ერთხელ ხდებოდა და ასე აღელვებდა ხოლმე ყოველთვის. ბებია ბლავილ-ბლავილით გამოვარდა ოთახიდან: „ექიმო, ძვირფასო ექიმო, ისევ სისხლი მაქვს შარდში“. მოკრძალებულ, ტანმორჩილ და შავგვრემან ექიმს კი გაეღიმა, მერე ფრთხილად წაუყიდა ბებიას, ოთახში შეაბრუნა და კოსტუმის ჯიბიდან ტყავის ბუდე ამოიღო, დაახლოებით ისეთივე ბუდე, დურგალთან რომ ენახა მარტინს, ბრილახების მეზობელთან. ექიმმა ბებია სავარძელში ჩასვა, ფრთხილად შეუხსნა სამაჯე, დაუკარწახა ბლუზის სახელო და ამჯერადაც თავი გააქნია ბებიას თოვლივით თეთრი, ჩაფუნთულებული მკლავის შემყურემ; ბებიას მკლავი მართლაც ისეთივე თეთრი იყო, როგორც ძია ალბერტის გადაქათქათებული თეთრეული და ექიმმა ახლაც ჩაინიღნია:

— ღმერთმანი, ქალიშვილსაც არ ექნება ასე ქორფა კანი. — ბებია კი პირგაბადრული იჯდა სავარძელში, თან სიამაყით გაჰყურებდა შარდიან ჭურჭელს, რომელსაც ხან შუა მაგიდაზე დგამდნენ, ხან გადასაგორებელ ტაბლაზე.

მარტინს ამბულა ეკავა ხოლმე ხელში, რადგან ამ დავალებას დედა თავს ვერ ართმევდა, შეხედვაზეც კი ცუდად ვხდებო, გაიძახოდა, და როცა ექიმმა ამბულას თავი მოუხერხა, მარტინს წარბიც არ შეუხრია, რათა ექიმს ამჯერადაც ეთქვა ის, რასაც სხვა დროს ეუბნებოდა ხოლმე: ყოჩალი ბიჭი ხარო. ყურადღებით აკვირდებოდა, როგორ დაიძირა კოლიბრის წვეტიანი ნისკარტი უფერულ სითხეში, როგორ ამოქაჩა ექიმმა დგუში. შპრიცი აივსო, შეიწოვა მოთეთრო და სასწაულმოქმედი „არაფერი“, ბებიას სახეს რომ უსაზღვრო ბედნიერებით, სიკეთითა და სილამაზით ალავსებდა.

მარტინს არც მაშინ შეუხრია წარბი, ერთხელაც არ შემკრთალა, როცა ექიმმა კოლიბრის ნისკარტი უცებ ჩაასო მკლავში, გეგონებოდა, ჩაუნისკარტაო, და ბებიას თეთრი, ფუმფულა კანიც დაკორტნილ ჩენჩოსავით ამოიბურცა. ბებია თვალს არ აშორებდა გადასაგორებელ ტაბლას, სადაც ქვედა თართზე ჭურჭელი იდგა სახელწოდებით „სისხლი შარდში“, ექიმმა კი ამასობაში ფრთხილად მიაჭირა დგუშს თითი და უსაზღვრო ბედნიერება შეუსხურა ბებიას. მერე მკვეთრად გაიქნია ხელი, ნისკარტი მკლავიდან ამოაძრო და ბებიასაც საოცარი, იდუმალზე იდუმალი, გულის შემძვრელი, თან ნეტარი კვნესა აღმოხდა. მართალია, შეძრწუნებული იყო, მაგრამ ექიმის წასვლის შემდეგაც ბებიასთან რჩებოდა ხოლმე; ცნობისწადილი ყოველთვის სძლევდა შიშის შეგრძნებას, რადგან ოთახში რაღაც საშინელი ამბავი ტრიალებდა, ისეთივე საშინელი ამბავი, აი გრებჰაჟე და ვოლტერსი რომ სჩადიოდნენ ბუჩქებში, ან თუნდაც იმ სიტყვასავით საშინელი რამ, ბრილახის დედამ რომ მიახალა ხაბაზს; მართალია, საშინელი რამ ხდებოდა, მაგრამ მაინც იდუმალებით მოცული და მაცდური ამბავი ეთქმოდა. ისე, თავისი ნებით, არაფრის გულისათვის არ დარჩებოდა ბებიასთან, მაგრამ ნემსს როცა უკეთებდნენ, ერთხანს გვერდიდან არ მოშორდებოდა. ბებიას საწოლში ჩააწვენდნენ და პირისახეზე უმაღლესი გადამფრინებოდა, იფიქრებდი, ახალგაზრდობა დაუბრუნდაო. ეგ კი იყო, მაგრამ სახეზე ტანჯვაც ეტყობოდა, სიზარტულიც; ბებია სულს მოითქვამდა თითქოს, თვალზე ცრემლი მოადგებოდა, კიდევ უფრო გადაეფურ-

ჩქნებოდა სახე და ისეთივე ლამაზი გახდებოდა, დედა რომაა ხოლმე; გაუქრებოდა ნაოჭები, თვალებში ბედნიერება და სიმშვიდე ჩაებულებოდა, ლოყებზე კი კვლავ ღაბაღუბით ჩამოსდიოდა ცრემლი. ასეთ დროს მარტინს უყვარდა კიდეც ბებია; უყვარდა მისი დიდი, გაბადრული სახე, სხვა დროს რომ შიშის ზარს გვრიდა; უყურებდა ბებიას და ამთავითვე იცოდა, რომ ოდესმე, თუკი უბედურ ადამიანად ჩათვლიდა თავს, მკლავში უსათუოდ კოჭლებს, ნიჟარტს იჩხვლეტდა, იმ ნემსს, ბებიას ტანში რომ ბედნიერება ჩაღვარა, — უფერული „არაფრის“ რამდენიმე წვეთს. მარტინს აღარაფერი გვრიდა ზიზღს, იმ ბოთლის დანახვაზეც კი აღარ აზიდებდა, გადასაგორებელი ტაბლას ქვედა თაროზე რომ იყო შემოდგმული.

მერე სახეზედაც დაადებდა ზელს, ჯერ მარცხენა ლოყაზე, მერე მარჯვენა ლოყაზე, შუბლზეც შეავლებდა თითებს და ხელისგული დიდხანს, დიდხანს ეკავა ხოლმე ბებიას ტუჩებთან, რათა მისი მშვიდი და თბილი სუნთქვა ეგრძნო; ბოლოს ისევ ლოყაზე დაადებდა ზელს და მარტინს სრულებით აღარ სძულდა ბებია, აღარ სძულდა საოცრად ლამაზი სახე, ასე რომ გადაუბრწყინა იოტისოდენა და უფერულმა „არაფერმა“. ზოგჯერ ბებიას სულაც არ ეძინა, თვალმოხუჭული იწვა და მინაზებუი ხმით ეტყოდა ხოლმე: „კარგი ბიჭი ხარ, კარგი ბიჭი“. მარტინს კი შერცხვებოდა ამ სიტყვების გაგონებაზე, რადგან სხვა დროს სძულდა ხოლმე ბებია. ქალს რომ ჩაეძინებოდა, დამშვიდებით შეეძლო ოთახის დათვალიერება, რასაც შიშისა და ზიზღის გამო სხვა დროს ვერ ახერხებდა. თვალხმიერი ათვალიერებდა იმ დიდსა და შავად შეღებილ კარადას, ძვირფასსა და თან ძველისძველს, რომელშიაც ნაირ-ნაირი სიგრძისა და სისქის ჭიქები იყო გამოდგმული. უყურებდა ბროლის გაზებს, არყის საყლურწავ ჭიქებს, პაწია სამშვენიესებს; რძისფერსა და ცისფერთვალეზა შეფელს, ლუდის კათხებს, მოგვიანებით კი — ზელი ჯერაც ბებიას ლოყაზე ედო — მამის ფოტოსურათს გახედავდა; ეს სურათი იმ ფოტოზე დიდი იყო, დედის საწოლთან რომ ეკიდა. სურათზე მამას ძალზე ახალგაზრდული იერი ჰქონდა, მეტისმეტად ახალგაზრდა იყო მამა, ელიმებოდა, თან ყალიონს აბოლებდა, ხოლო შავზე შავი, სქელი და ხშირი თმა მკაფიოდ მოუჩანდა ნათელი ცის ფონზე; ღრუბლის თეთრი ქულები ბამბის პაწია ფთილებს წააგავდა და სურათზე ისე გამოკვეთილი იყო ყველაფერი, რომ ნაქსოვ ქილეტზე ლითონის ღილები და ზედ ამოტვიფრული ყვავილებიც კი გარკვევით მოჩანდა; ხოლო მამის ოდნავ გაწვრილებული და მუჭი თვალები ისე დასცქეროდნენ, ეგონა, მართლაც აქ დგასო მამა, ამ ბნელ კუთხეში, კარადასა და გადასაგორებელ ტაბლას შუა, სადაც ფოტოსურათი ეკიდა; ეს კი იყო, ვერაფრით ვერ გაეგო, მართლა ელიმებოდა ამ სურათზე მამას თუ დაღვრემილი იცქირებოდა. მეტისმეტად ახალგაზრდა ჩანდა, დაახლოებით ისეთივე ახალგაზრდა, უფროსკლასელები რომ უნახავს სკოლაში. ასეა თუ ისე, კაცს რომ მამა ჰქვია, ისეთი სულაც არ იყო. მამებს ასაკი ეტყობათ, არც დარბაისლობა აკლიათ, არც სიდიდე. ნამდვილ მამას იმითაც იცნობ, რომ ერთი შეხედვითაც დაატყობ — საუზმეზე უარს არ იტყვისო, ამასთანავე გაზეთსაც დინჯად-გადაშლის ხოლმე, პიჯაკსაც დინჯად გაიხდის; აი, ძია ალბერტი ხომ სრულებით არ ჰგავს სხვა ძიებს, ასევეა მამაც, სულ არა ჰგავს სხვა ბიჭების მამებს. ეამაყებოდა, ასე ახალგაზრდა რომ იყო მამა, თუმცა, ცოტა არ იყოს, ეუზერხულებოდა კიდეც; ავი სულაც არ ჰგავდა ნამდვილ მამას, ისევე როგორც დედა არ ჰგავდა ნამდ-

ვილ დედას; დედას სუნიც კი არ ჰქონდა ისეთი, სხვა ბიჭების დედებს რომა აქვთ, თან მიხვრა-მოხვრაც მსუბუქი იცოდა, უფრო ახალგაზრდაც ჩანდა და არასოდეს ლაპარაკობდა იმაზე, სხვა დედებს რომ ნიადაგ პირზე აქვთ და რასაც ყველაზე მეტ მნიშვნელობას ანიჭებენ: დედა არასოდეს მსჯელობდა ფულს. არა, მამაზე ნამდვილად ვერ იტყოდი, ბედნიერ ვარსკვლავზეა დაბადებული — ასე დაასკვნიდა ხოლმე ბოლოს, მაგრამ ვერც იმას იტყოდი, დიდი ჯაფა ადგასო. არადა, ამ სიტყვებს ხშირად ამბობენ ხოლმე მამებზე. ნამდვილად ვერ იტყოდი, დიდი ჯაფა ადგასო, სხვა ბიჭების მამებს კი მართლაც დიდი ჯაფა ადგათ, ასაკიც უფრო ეტყობოდათ და სახეზე თუ უბედობა ეწერათ, ის უბედობაც რაღაც სხვანაირი იყო.

გლუმის მსოფლიო რუკაზე, მთელი კედლის გასწვრივ რომ ეკიდა, სამი მსუყვე შავი წერტილი იყო დასმული; ერთ-ერთი წერტილი გლუმის დაბადების ადგილს ნიშნავდა, მეორე წერტილი გლუმს იმ ადგილას დაესვა, სადაც ახლა ცხოვრობდნენ. მესამე წერტილი კი ის ადგილი იყო, სადაც მამა დაიღუპა — კალინოვკა.

მარტინს სრულებით გადაავიწყდა ბებია, თუმცა ხელი ჯერაც მის დაწყნარებულ სახეზე ედო; გადაავიწყდა დედა, მისი ჰკუამხიარული სტუმრებიც, გადაავიწყდა გლუმიც, ბოლდაც, აღარც ძია ალბერტი ახსოვდა და ახლა გულდამშვიდებული აცქერდებოდა მამის ფოტოსურათს, ბნელ კუთხეში რომ ეკიდა, ჭურჭლის კარდასა და გადასაგორებელ ტაბლას შუა.

დედამ როცა დაუძახა, მაშინაც ბებრის ოთახში იჯდა. ძია ალბერტი დიდი ხნის მოსული იყო. სიტყვის უთქმელად გაჰყვა დედას, ტანთ გაიხადა, ჩაწვა ალბერტის საწოლში, ჩაიბუტბუტა სალამოს ლოცვაც: „და თუ შენ, დედა, არ მოგვითვებ“ — და როცა ძია ალბერტი შეეკითხა, ხომ არ დაიღალეო, თავი დაუქნია, მარტოდ უნდა დარჩენა. სინათლე რომ ჩაუქრეს, ის სულელური ხითხითიც კი აღარ აწუხებდა, მეზობელი ოთახიდან რომ აღწევდა. მარტინმა თვალები მილულა, თვალწინ მამის სურათი წარმოუდგა და უმაღლეს ინატრად, ნეტავი სიზმარშიაც ისეთი გამომეცხადოს, სურათზე რომ არისო — ახალგაზრდა, უზრუნველი, თუ გინდ პირმომცინარი, ძია ალბერტთან შედარებით გაცილებით ახალგაზრდა. აი, ამ მამას მიჰყვება ზოოპარკში, მასთან ერთად დიდხანს სეირნობს მანქანით, მამას რომ მოწევა მოუნდება, ასანთს გაუკრავს, ჩიბუხს თუთუნით გაუვსებს, ეხმარება მანქანის გარეცხვაში, მასთან ერთად ჯახირობს ძრავაში თავჩარგული, აგერ კიდევ თვალუწვდენელ ტრამალებზე მამის გვერდიგვერდ მიაჭენებს ცხენს და მარტინს სიამოვნებას გვრიდა ხმადაბლა ბუტბუტი: ჰორიზონტს გასწვრივ მივაცხირითებთ, სიტყვა „ჰორიზონტს“ დამარცვლით, ნეტარებით წარმოთქვამდა და იმას ნატრობდა, ნეტავი მამა ცხენზე მოჯირითე ან მანქანის საჭესთან მიმჯდარი დამასიზმრაო.

მართალია, ვიდრე ჩაეძინებოდა, ეს ხილვა თვალზე ჰქონდა აკრული, — ის კი არადა, მამისეულ ნივთებსაც გამოიფენდა თვალწინ: მაჯის საათს, ნაქსოვ ფილეტს, უბის წიგნაკს, სადაც დაუმთავრებელი ლექსები ჰქონდა მამას, მაგრამ ეს ხილვა მაინც ვერ მოიწია სიზმრად, ვერა და ვერ დაისიზმრა მამა. ოთახში ბნელოდა მარტინი მარტო იწვა და, როცა კი ძია ალბერტი შემოვიდოდა, თავს მოიმძინარებდა ხოლმე, არ უნდოდა ვინმეს ხელი შეეშალა მისთვის, ხოლო ვიდრე ალბერტი ოთახში იყო, გატრუნული იწვა, თან იმის შიში

ჰქონდა, ვაითუ უკვალოდ გაქრესო ხილვა — ის ყალიონგაჩრილი, პირმოძვი-
ნარი ჭაბუკი, სულაც რომ არ ჰგავდა ნამდვილ მამას.

რა არ დაუდგებოდა თვალწინ, ხან სად მოგზაურობდა, ხან სად, სხვა-
დასხვა ქვეყნების სახელებსაც ჩაიბუტბუტებდა: საფრანგეთი, გერმანია, პო-
ლონეთი, რუსეთი, უკრაინა, კალინოვკა, მერე კი გული ამოუჟღერებოდა და
ბნელაში იმ სიზმრის მოსვლას ივედრებოდა, ერთხელაც რომ გერმანიაში
მამა რომ დაიღუპა, ძია ალბერტი იქვე იყო, დროდადრო უყვებოდა კიდეც ყო-
ველივეს: უყვებოდა გეზელერზე, კალინოვკაზე, უყვებოდა ომზე, რომელსაც
ძია ალბერტი „ბინძურ ომს“ უწოდებდა, მაგრამ რაც არ უნდა მოესმინა, მამა მა-
შინაც არ დაესიზმრებოდა ისეთი, თვითონ რომ ინატრებდა ხოლმე.

მიწა, სადაც მამა განისვენებდა, ბოლდას თმასავით შავზე შავი წარმოედ-
გინა, მელნისფერი იყო ის უკუნი, რომელმაც შთანთქა მამა, შთანთქა და ახალ-
დაგებული ასფალტით დაეკრო გულზე, დაეკრო და ისერიგად შებოჭა, რომ
მამა სიზმრებშიაც ვეღარ ეცხადებოდა; ცრემლად დაღვრილი მამის სახეს თუ
წარმოიდგენდა მხოლოდ, მაგრამ მამა, თუნდ ცრემლად დაღვრილი, სიზმრად
მაინც არ მოეგლინებოდა.

მამის სახე, ისიც სიბნელეში, მხოლოდ მაშინ დაუდგებოდა თვალწინ, რო-
ცა გულდამშვიდებით, წინდაწინ დააცქერდებოდა ბებრის ოთახში ჩამოკიდე-
ბულ ფოტოსურათს. სურათის მშვიდად თვალიერება კი იმ დროს შეეძლო, რო-
ცა წარმოდგენა დაიწყებოდა სათაურით: „სისხლი მაქვს შარდში“, როცა გამო-
იძახებდნენ ექიმს და ისიც ბედნიერებას შეუშხაპუნებდა ბებრის.

მარტინმა აქამდე დასწავლილი ყველა ლოცვა ჩაიკითხა და თითოეულ
ლოცვას თხოვნით დაასრულებდა ხოლმე: გემუდარები, მამა დამასიზმრეო...

ბოლოს მართლა დაესიზმრა მამა, მაგრამ იგი სულაც არ იყო ისეთი, მარ-
ტინი რომ ნატრობდა: მამა უზარმაზარ ხის ძირში იჯდა, სახეზე ხელები აეფა-
რებინა და, თუმცა სახე არ მოუჩანდა, მარტინი მიხვდა, ეს კაცი უნდა იყოსო
მამა. მამა თითქოსდა ელოდებოდა რაღაცას, ელოდებოდა უსასრულოდ დიდ-
ხანს, იმასაც კი იფიქრებდი, მ ი ლ ი ო ნ ო ბ ი თ წელია აქა ზის, ხოლო პირი-
სახეს იმიტომ მალავს, რომ მეტისმეტად დანადვლიანებულიაო. მამა რომ ხე-
ლებს ჩამოიღებდა, მარტინი უნებლიეთ შეკრთებოდა ხოლმე, თუმცა კი წინ-
დაწინ იცოდა ყველაფერი: მამას თურმე სულაც არ ჰქონია სახე და თითქოს
იმის თქმას ეპირებოდა, ახლა ყველაფერი იციო. იქნება სწორედ იმიტომ იჯდა
ამ ხის ძირში, რაკი ელოდებოდა, სახე დამიბრუნდებო.

შავი იყო ის მიწა, ბოლდას თმასავით შავი, მამა კი მარტოდმარტო იჯდა
და მართალია, სახე არ ჰქონდა, მაინც უსაზღვროდ დანადვლიანებული და დაღ-
ლილი ჩანდა, ხოლო როცა ლაპარაკს იწყებდა, მარტინი სულ იმას ელოდებო-
და, აი, ახლა დასცდებაო გეზელერის სახელი, მაგრამ მამას ერთხელაც არ უბ-
სენებია გეზელერი, სიტყვაც არ დაუძრავს მასზე.

ანაზღად ვიღაც სულელი დიაცის ისტერიულმა ხითხითმა გამოაღვიძა და
ბიჰმაც მთელი თავისი ბოლმა, სიძულვილი თუ სასოწარკვეთილება ბალიშს
ჩაატირა, აკი გაწყდა სიზმარი და მამაც გაქრა; ვინ იცის, იქნებ ამასობაში
სახე დაიბრუნა და გამოლაპარაკებოდა კიდეც?

დიდხანს, დიდხანს ტიროდა გულამომჯდარი. კედლის მიღმა თანდათანო-
ბით ჩაცხრა სიცილი, სულ უფრო და უფრო შორიდან ჩაესმოდა და ახალ სიზ-
მარში მარტინს ვიღაც ქერა ქალი ესიზმრა; ქალი სამზარეულოში იდგა მაგი-

დასთან, ოღონდ პამიდორსა და მოხარშულ კვერცხებს კი არ ჭრიდა, ჯერ იყო და უზარმაზარ ამბულებს მოუხერხა თავი, მერე შუშის ბალონებს მიადგა, მომლიმარი ექიმი კი იმ უფერული სითხით ვეებერთელა შპრიცს ავსებდა.

აგერ, აქაფებული ღრუბლის ქულაზე შემოსკუპებული, პირქათქათა და კუბრივით შავთმიანი ბოლდა გამოცურდა მისკენ.

ბოლდას ისეთივე ქათქათა სახე ჰქონდა, ბებიას ზომისაა, მაგრამ ნების გაკეთების შემდეგ. მოცურავდა ბოლდა, თან მღეროდა, მშვენიერად მღეროდა, გაცილებით უკეთესად, ვიდრე ფრაუ ბორუსიაკი მღერის; ასე მიილტვოდა ბოლდა ზეცისაკენ, კბილებში კი, სამოთხის საშვივით, კინობროგრამა ეკავა, რომელზედაც წმიდა მარიამ გორეთი იყო გამოსახული. მაგრამ მამა, ვისაც სიზმარშიაც ელოდებოდა მარტინი, აღარ დაბრუნებულა, — სამუდამოდ თუ დააფრთხო იმ ყუყუჩურმა ხითხითმა; ამასობაში გახედა და ბოლდას ადგილას ის ქალი დალანდა, კვერცხებს რომ თლიდა ნაჭრებად; ქალი ისე მიაპობდა ჰაერს, გეგონებოდა, მიცურავსო. მიცურავდა ის ქალი, თან გაიძახოდა: „შესანიშნავია, შესანიშნავია“, მერე კი სადღაც შორიდან ბებიის დაბალი, ორგანოსავით ქლერადი ხმა მოესმა, — ველური ბლავილი: „სისხლა მაქვს შარდში!“

თავი VI

კარგა ხნის მერე მიხვდა, რაშიც იყო საქმე: ასეთი გრძნობა მაშინ დაგეუფლება, ყინულზე როცა მიაბიჯებ, ყინულის თხელ ფენაზე, არადა, ისიც არ იცი, რა სიღრმისაა წყალი. ყინული ჯერ არ ჩატყდომია ფეხქვეშ, დახრჩობასაც არავინ გაცლის; გაღმაც, გამოღმაც მომლიმარი ადამიანები დგანან და ოდნავადაც რომ წაიფორხილო, უმაღლეს შენს საშველად გამოქანდებიან, თუმცა არც ეს ამბავი შეცვლის რაიმეს: ყინული ნებისმიერ წამს შეიძლება ჩატყდეს, წყლის სიღრმე კი გაურკვეველია. პირველი ბზარი უკვე დაიწდა კიდეც ყინულს, — არცთუ საშიში მაინცდამაინც. ეს მაშინ მოხდა, როცა მარტინი იმ ბინტური სიტყვის გაგონებამ შეაძრწვნა, დედამ რომ მიახალა ხაბაზს. უშვერი სიტყვა იყო, რომელიც ქალებისა და მამაკაცების თანაცხოვრებას აღნიშნავს, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ სიტყვა „თანაცხოვრება“ საერთოდ მეტიმეტად ლამაზი სიტყვაა იმ არცთუ ლამაზი მოქმედების აღსანიშნავად: აკი ენახავს აჭარხლებული სახეები, გაუგონია კვნესა. ლეო ჯერ კიდევ არ იყო მისი ძია, ჰაინრიხმა რომ ვილაც კონდუქტორ ქალთან შეუსწრო: წვნიანით საგსე ჰურჭელი უნდა მიეტანა და კარზე არ დაუკაკუნებია, ისე შეაბრტა ლეოს ოთახში. ახლაც ახსოვდა კონდუქტორი ქალის ველური, გულშემზარავი კივილი და ლეოც თვალწინ დაუდგებოდა იმ თავისი მაიმუნური სიფათით. „კარი მიჭურე, შე ლაწირაკო!“ — გასძახა მაშინ ლეომ, ერთი-ორი დღის მერე კი ლეომ გვარიანად წამოუთქა თავში საკომპოსტერო მარწუხით და ასე დამოძღვრა: რაო, ბიჭუნი, დაკაკუნება არ უსწავლებიათ შენტვის? დამაცადე, მე გასწავლი ზრდილობას. ის დღე იყო და ის დღე, მას აქეთ ლეოს კარი მუდამდღე ჩარაზულია, მაგრამ დედა რაც ლეოს გადაეყარა, იმ ოთახში ალბათ იგივე ამბავი ტრიალებდა. „თანაცხოვრება“ მეტიმეტად ლამაზი სიტყვაა იმ სისაძაგლის აღსანიშნავად. შესაძლოა ფულიან ხალხში ასეთი რამ მართლაც სხვანაირად ხდება, ამაზე არავინ დავობს, მაგრამ ის სიტყვა,

ძია ლეოს რომ აკერია ხოლმე პირზე, მართალია ბინძური სიტყვაა, მაგრამ ამ სისაძაგლის აღსანიშნავად ნამდვილად უფრო გამოდგება.

მარტინი როცა შეძრწუნდა, სწორედ მაშინ მიხვდა, რა სიღრმისაღი იქნებოდა წყალი; უსასრულოდ ღრმა და ალბათ ძალიან ცივი. გულმა ისიც უთხრა, გადარჩენითაც ვერაფერს გადაგარჩენს, ყინული რომ ჩატყდესო უცებ. საქმე მართო ფულში როდი იყო, მაინცდამაინც დიდი მნიშვნელობა არც იმასა ჰქონდა, რომ მარტინის სახლში მაცივარი მუდამ ნაირ-ნაირი საჭმელებითაა გამოტენილი, ხოლო ჰაინრიხს ყოველი პფენიგის გამოზოგვა უწევს, რომ იყიდოს პური, მარგარინი, კარტოფილი ან იმ მურდალა ლეოს საგანგებოდ მიართვას კვერცხი, რომელსაც ათასში ერთხელ თუ იყიდდა ვილმასათვის, თავისთვის ან დედისათვის. გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი ისაა, რომ ძია ალბერტი სრულებით არა ჰგავს ძია ლეოს, ის ამბავიც ანგარიშგასაწევია, რომ იმ სიტყვის გაგონებამ მარტინი შეაძრწუნა, თვითონ კი მხოლოდ და მხოლოდ შეკრთა, მხოლოდ შეკრთა და ისიც იმიტომ, რაკი ის ბინძური სიტყვა ახლა დედისაც წამოსცდა. მათ დედებს შორის, კაცმა რომ თქვას, არც ისე დიდია განსხვავება; დარწმუნებულიც იყო, ფული რომ არა, ერთნაირები იქნებოდნენო და შესაძლოა არც კი ჩატყდეს ყინული.

სკოლაშიაც ამ ყინულზე დადიოდა თითქოს. მოძღვარი, მაგალითად, ლამის იყო და სკამიდან გადმოვარდა, როცა აღსარებაზე მარტინმა ის სიტყვა გაიმეორა, დედამ რომ მიახალა ხაბაზს. მარტინს ხუთ-ხუთჯერ ჩააკითხეს „მამაო ჩვენო“ და „წმიდაო მარიამ“, ჩააკითხეს მხოლოდ იმიტომ, რომ სადღაც ყური მოჰკრა ამ სიტყვას; მოძღვრის ნაზი, ძია ვილისეული ალერსიანი ხმა უბიწო ქალწულზე უყვებოდა, ეჩურჩულებოდა მირონცხებულ მადლზე, გულის უმწიკვლობასა და სულის უმანკოებაზე; ჰაინრიხი მოძღვრის ალერსიან ხმას ისმენდა, უყურებდა მის ლამაზ სახეს, იმ კაცის სახეს, რომელმაც თავი არ დაზოგა, რათა ჰაინრიხის დედისათვის შვილის კონფირმაციისათვის საჭირო თანხა ჩაეთვალათ, თუმცა კი ქალი ამ ორალური ყოფაქცევისაა. ეს ყველაფერი გასაგებია, მაგრამ ლეოს სუფთად გაბარსული, აწითლებული და საპარსი წყლის სუნით აყროლებული მაიმუნური სიფათი თუ უნახავს ოდესმე მოძღვარს? განა შეიძლება, ასეთი სიფათის პატრონი უმანკო სულისა იყოს?

კვლავაც ყინულზე მიაბიჯებს ჰაინრიხი, ფეხქვეშ წყალი ეგულება და მისი სიღრმე მხოლოდ მაშინ გაირკვევა როცა ყინული ჩატყდება. არადა, დედაც გამოცვლილი ეჩვენება: მართალია, ის სიტყვა ახლახან წამოიძახა, მაგრამ გამოცვლით ხომ აღრევე გამოიცვალა, გაუხეშდა თითქოს; სათნო და უწყინარი ახსოვდა დედა, როცა ძია ერიხს ძმარში დასველებულ ტილოებს მოჭირვებით უცვლიდა ხოლმე ღამეობით. სათნო ახსოვდა მაშინაც, როცა გერტს უღიმოდა, ესაუბრებოდა კარლს, სათნო ახსოვდა მანამდე, ვიდრე „იმას“ მოიშორებდა; სწორედ საავადმყოფოში გაუპირქუშდა სახე.

ალაგ-ალაგ ყინული დაიბზარა კიდევ, დაიბზარა იმ წყალმარჩხ და უსაფრთხო კიდე-ნაპირთან, სადაც ადვილად შეიძლება ისევ გაიყინოს. აი, ძია ვილის „ღამდამობით ოფლიანობის“ ამბავი აკი სასაცილოდ არ ჰყოფნის, აკი ელიმება ვილის მსჯელობაზე, როცა იგი წიგნებზე ან კინოზე წამოუგდებს სიტყვას; ეს ზღაპრისეული ბუტბუტი, მოჯადოებულ სულს რომ ბუშტულებად ამოსდის პირიდან, წყლის სიღრმიდან მოიწევს, თითქო ყინულის ფენასაც ებჩინება და ისევე ციმციმებს, როგორც შადრევნის ჭავლი ჰენელის სანაყინეში.

საესებით გასაგები იყო ის ამბავი, რომ მარგარინის ფასმა ახლან კვლავ აიწია, გასაგები იყო ისიც, რომ დედისათვის ნუსხა უნდა შეედგინა. დედას ხომ ძალიან უჭირს ანგარიში, ამასთანავე არც ფულის დაზოგვა იცის და ოჯახის მთელი შემოსავალ-გასავლის გამოთვლა ჰაინრიხის კისერზეა; არც ლეოს პირტიტველა სახეა უცხო ხილი და ლეოსეულ მყარ სიტყვებთან შედარებით ძია გერტის მემკვიდრეობა — სიტყვა „ქაქი“ *„Kacki“* აღბრუნება ხოლმე ყურს. გასაგებია და ახლობელი მამის ფოტოსურათი და მამა, ველიარ იტყვი, ბევრად უფროსი იყო ჰაინრიხზე. ახლობელია დედის სახეც: დედას დღითიდღე ექურუხება იერი, უთხელდება ტუჩები, თან სულ უფრო ხშირად იმეორებს ძია ლეოს სიტყვებს; ცეკვებზეც მოუხშირა სიარულს, სიმღერებიც ლეოსი აიკვიატა, არადა, ზუსტად ასე იქცევიან ხოლმე გარკვეული პროფესიის ქალები იმ ფილმებში, რომელთა აფიშებზე ირიბად გააკრავენ ხოლმე წითელ წარწერას: *ბავშვები არ დაიშვებიან*.

მართლაც რომ მისწრებაა კინოში შესვლა: ჯერ ერთი — თბილა, მეორეც ის, რომ კაციშვილი ვერ გხედავს, გამოლაპარაკებითაც ვერავის გამოელაპარაკები და სწორედ კინოში თუ მოახერხებ იმას, რასაც ვერასგზით ვერ შეიძლებ ხოლმე სხვა დროს: კინოში თუ დაივიწყებ ყველაფერს.

აკი მასწავლებელმაც დაახლოებით იგივე თქვა, რაც მოძღვარმა: ლაღად, თითქოსდა უცხო სილამაზით კიაფობდნენ სიტყვები იმ ყინულფენის ქვეშ, რომელზეც ჰაინრიხი შედგა. მართალია, გარკვევით ხედავდა ამობრწყინებულ ციმციმს, მაგრამ ეს ყოველივე მაინც შორს იყო. კვერცხი გაძვირდა, კილო პურის ფასი ხუთი პფენიგით აიწია, ლეო კი, ეგ ღორი ეგა, სულ იმას წუწუნებს, ცუდად ვსაუზნობო, ეს რა ნალევა კვერცხები მოგაქვთო და ჰაინრიხს, ფული მომპარეო — აბრალებს. აგიდუღდება გული, აბა რა მოგივა! — დასანახად მძულს ეს მაიმუნი, ეს ბრიყვი, არადა, იძულებული ხარ ნუსხა თვალზე ააფარო; აკი თავადაც დარწმუნდა, მართალიაო, მაგრამ ხომ დასწამა ცილი: ფული მომპარეო. იმ დღეს დედაც შინ იყო, ჰაინრიხი თვალს არ აწორებდა მას და დედამ წამით დაუჯერა კიდეც ლეოს, მართალია, მხოლოდ წამით, მაგრამ წამიც რომ ბევრს ნიშნავს. ფულს ვილმას კაბისათვის აგროვებდა; ხშირად უწევდათ გარეთ ყოფნა, ბავშვის კაბა კი არავის გახსენებია: „მომპარეო“ — თქმითაც ხომ ვერავის ეტყვი! მარტინი, მაგალითად, საერთოდ ვერაფერს გაიგებს, ძია ალბერტთან კი ჯერჯერობით ეუხერხულებოდა ამაზე საუბარი. ოდესმე უთუოდ ეტყვის, რადგან ძია ალბერტი ერთადერთი კაცია, ვინც მიხვდება, რასაც ნიშნავს ასეთი ბრალდება. იცოცხლე, სანანებლად გაუხადა ის ნათქვამი, ორი კვირის განმავლობაში ყველაფერზე ზელი აიღო: დედამ იყიდოს, ლეომ შეიწუხოს თავი და, აი, ერთი კვირის თავზე მთელ სახლში ლუკმა პურს ვერ გამოქეჩავდი, ყველაფერი თავდაყირა დადგა. დედა მოთქვამდა, ლეო კბილებს აკრატუნებდა, ვიდრე ორთავე არ შეეხვეწა, ისევ შენ გაუძეხიო ოჯახს. გაუძღვა კიდეც, მაგრამ ის წამი, დედას რომ ექვი შეეპარა, ჰაინრიხმა მაინც ვერ დაივიწყა.

მარტინის სახლში ასეთ რამეებზე ძია ალბერტთან თუ ისაუბრებ მხოლოდ. მოგვიანებით, არდადეგები რომ დადგება, როცა ბიტენჰანში ჩავლენ ალბერტის დედასთან და ვილიც ბავშვის მოვლას იკისრებს, მაშინ თუ მოახერხებს იმ სიტყვაზე საუბარს, ლეომ რომ უთხრა. ბოლდა უცნაური ქალია. კეთილიც ეთქმის, მაგრამ ვერც იმასთან ილაპარაკებ ფულზე. მარტინის დედა კი დედა-

მისიგან მხოლოდ იმით განსხვავდება, რომ ფული აქვს, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ლამაზი ქალია, თავისებურად დედამისზე ლამაზიც და იმ ქალებსა ჰგავს, ფილმებში რომ იღებენ, მაგრამ ფულისა არც იმას გაუგება არაფერი. ბეზიასთანაც უხერხულია ფულზე ლაპარაკი: უმაღლესი თავის საბანკო წიგნაკს ამოამზეურებს. ყველანი ჩუქნიდნენ ხოლმე ფულს, ალბერტს, ბენიამინს, ვილიც, მარტინის დედაც, მაგრამ ფული მაინც ვერ გაამაგრებდა ყინულის ფენას და წყლის სიღრმეც გაურკვეველი იყო. ცხადია, ამ ფულით დედისაც უყიდდა რაიმე საჩუქარს, მაგალითად, წითელი ტყავის ხელჩანთას და ასეთივე ხელთათმანებს, ზუსტად ისეთს, ვიღაც ქალს რომ ჰქონდა კინოფილმში; ვილმასაც გაახარებდა, კინოშიაც შევიდოდა, სანაყინეშიც; რომ მოესურვებინა, სულაც საჭმლის ფულს წაამატებდა ცოტას, ოღონდ ისე, რომ ლეოს ამ ფულიდან გროშიც არ რგებოდა და არავითარი შეღავათი არ ეგრძნო, მაგრამ საიმისო ფული მაინც არ ჰქონდა, რომ ეყიდა სახლი და ის ყოველივე, რაც სახლთანაა დაკავშირებული, ეყიდა და დაენამდვილებინა, აღარ მივაბიჯებო ყინულის ფენაზე. თუმცა, თავი და თავი მიზეზი მაინც ის იყო, რომ ვერავითარი ფულით ვერ იყიდი და ვერ წაშლი იმას, რაც ძია ალბერტს ძია ლეოსაგან განასხვავებს.

მასწავლებლისა და მოძღვრის ნათქვამი ძალზე წააგავდა კარლის „ახალ ცხოვრებაზე“ ქადაგებას: ლამაზ-ლამაზი წიგნები თითქოსდა თვალსაც აუხელდა ხოლმე, გზაზეც დააყენებდა, მაგრამ აკი წინდაწინ იცოდა, ამ საქმიდან არაფერი გამოდნებაო. დედას გაეთქვირა და გაუუხეშდა პირისახე. იმასაც იფიქრებდი, სად დედა და სად მამაო. დედა მამაზე უფროსიც ჩანდა, გაცილებით უფროსი გეგონებოდა, ჰაინრიხი კი თანდათანობით უტოლდებოდა მამის წლოვანებას. დედა უკვე ხანში შესული ქალია, დროდადრო იმასაც გაიფიქრებ. ბებერიაო უკვე, თუმცა სულ ახლახან, დედამ რომ „ის“ მოიშორა და მოგვიანებით ცეკვებზე წაჰყვა ლეოს, ჯერ კიდევ ახალგაზრდულად გამოიყურებოდა; ამასთანავე ხელიც დაუმძიმდა თითქოს, ჰაიპარად რომ მიაღებდა ხოლმე შუბლზე, ვიდრე ლეოს ოთახში შევიდოდა.

ჰაინრიხს კიდევ ის ბავშვი ჰყავდა მოსავლელი, დედამ რომ არ მოიშორა. მალე ორი წლის გახდება ვილმა და ღმერთის მეტმა არავინ იცის, რატომაც მუდამდღე მოთხვრილი და ტურტლიანი. ლეო ვერ იტანს ჭუჭყს; თავად ყოველთვის გამოკოპწიაგებულია, კილომეტრზე იცნობ საპარსი წყლისა და მისეული კრემების სუნით. ხელები სიწითლემდე აქვს ხოლმე გახეხილ-გადაფხეკილი. ლეო ფრჩხილებსაც გულდაგულ უვლის და ფრჩხილების მოსაქნელად საკომპოსტერო მარწუხის გარდა ფრჩხილის ქლიბსაც ხმარობს — საოცრად გრძელ, დაღარულ-დახორკლილ ფოლადის შიმშას, რომლითაც პატარა ვილმას დაჰკრავს ხოლმე თითებზე. ჰაინრიხი ყოველდღილა ათბობს ვილმას დასაბან წყალს, ტანსაცმელსაც ხშირ-ხშირად უცვლის, მაგრამ ვილმა მაინც მუდამდღე დატუტყნილია, ერთხელაც ვერ ნახავ, წუწები არ გადმოსდიოდეს, — გულზე შემოგეყრება, მაგრამ მაინც ჭკვიანი და ლამაზი ბავშვი ეთქმის.

ლეო როცა მეორე ცვლაში მუშაობს, დღისით შინაა ხოლმე და ბავშვიც ერთი ორჯერ მასთან დატოვებს თითო საათით, იმიტომ რომ დედას ახლა პირველის ნახევარზე უწევს სახაბაზოში წასვლა, მაგრამ მას მერე, რაც ვილმა პირველად დარჩა ლეოსთან, დაინახავს თუ არა, ტირილით იკლებს იქაურობას, ხოლო როცა ლეო თავის მძიმე, მონიკელებულ საკომპოსტერო მარწუხებს შემართავს — შევაშინებო, ვილმა გულისწამლებ ღრიალს მორთავს, მიუხეზღე-

ბა ჰაინრიხს, ჩაებლაუჭება და მაშინ თუ დამშვიდდება, როცა სახლიდან წავა
ლეო. ჰაინრიხი ასეთ დროს ერთი ორჯერ ყურში წასჩურჩულებს: ფაფუ ლეო,
ფაფუ... მაგრამ ვილმა კიდევ დიდხანს იღვრება ცრემლად და ჰაინრიხს ხელებს
უნამავს. ჰაინრიხს ნასადილევს ხშირად უწევს ვილმასთან ერთად ყოფნა და
ბავშვიც დაწყნარებულია, ტირილითაც არ ტირის; გალაფტებიც მაშინ გა-
ილალეებს, დედა რომ საცეკვაოდ გაჰყვება ლეოს. ჰაინრიხი მარტინსაც გაატანს
ხოლმე სიტყვას და ისიც მოდის; ხოლო ლეო თუ სახლშია, მარტინს ქუდიც
რომ შემოუგდო, მაინც არ შემოვა: ვილმასი არ იყოს, მარტინსაც ეშინია ლე-
ოსი და ბიჭებიც აბანავენდნენ ბავშვს, აჭმევდნენ, ეთამაშებოდნენ, სულაც
მარტინის ეზოში დატოვებდნენ, თვითონ კი ფეხბურთს თამაშობდნენ. ასეთ
დღეებში, ვილმას რომ ლოგინში ჩააწვენს, ლოცვებს ჩურჩულებს ხოლმე,
თან ყველანაირი ჭურის ძიებს იხსენებს. ცერა თითის ლოღნა-ლოღნაში პირდა-
ბანილ ვილმას ჰაინრიხის გვერდით ჩაეძინებოდა და ჰაინრიხიც ბავშვს მხო-
ლოდ მაშინ გადააწვენდა თავის საწოლში, როცა თვითონაც მოერეოდა თვლელმა.
მეზობელ ოთახში კი დედა ლეოსთან ეწეოდა თანაცხოვრებას. მართალია, იქი-
დან არაფერი ისმოდა, მაგრამ ჰაინრიხმა კარგად იცოდა, რაც ხდებოდა ოთახში.
როცა იმაზე ფიქრობს, რომელი ძია იყო უკეთესი, ხან გერტს ამჯობი-
ნებს ხოლმე და ხანაც კარლს. კარლი გულკეთილი ძია იყო, წესრიგი უყვარდა.
კარლი — „ახალი ცხოვრება“, კარლი — „დამატებითი ულუფები“, ასე და-
ამახსოვრდა კარლი, კარლისეული სუნი კი მაგისტრატურის მოხელეებზე გა-
ცემული წვნიანის სუნი იყო და კარლის მოსაგონებლად ჭურჭლისათვის შე-
კერილი შალითა დარჩა, ახლა რომ სათამაშოების ჩასაწყობ თოფრად ხმარობს
ვილმა. კარლმა საჩუქრების მორთმევაც იცოდა ხოლმე. ასეთივე ხელგაშლილი
იყო გერტი, იმასაც უყვარდა საჩუქრების ჩამორიგება და საღამოობით, შინ
რომ დაბრუნდებოდა, სიცილ-სიცილით გადმოაპირქვავებდა ხოლმე თავის ვედ-
როს და ერთიანად დაახვავებდა თავის ხელსაწყობებს: ქაფჩას, ფითხს, შალა-
შინს, თარაზოსა და დღიურ გასამრჯელოს, ნატურით რომ უხდიდნენ: მარგა-
რინს, პურს, ხორცს, ფქვილს. გერტს ხანდახან კვერცხიც მოჰქონდა ხოლმე —
პატარა, თეთრი, საოცრად გემრიელი საკვები, იმხანად რომ ძალზე ძვირიც
ღირდა და შოვნითაც არ იშოვებოდა. ყველაზე მეტს დედა გერტის დროს იცი-
ნოდა ხოლმე. გერტი ახალგაზრდა იყო, შავგვრემანი. ყველა სიკეთესთან ერ-
თად არც ლოტოს თამაშს დაიზარებდა. ხოლო როცა შუქს ჩააქრობდნენ, ჰაინ-
რიხს ხშირად ესმოდა ხოლმე მათი სიცილი, მაგრამ ეს სიცილი ისე როდი
ადიზიანებდა, როგორც დედისა და კარლის სულელური ხითხითი. გერტის-
გან იმდენი კარგი ახსოვდა, რომ ფიქრსაც კი ურიგდებოდა, დედასთან თა-
ნაცხოვრობდაო. უნიფორმის სახელოზე, იმ ადგილას, სადაც ეფრეიტორ-
ის განმასხვავებელი ნიშანი ეკერა უწინ, გერტს მუქი მწვანე ლაქა აჩნდა.
საღამოობით გერტი ფუნტობით ყიდდა ხოლმე თაბაშირსა და ცემენტს; ქაფ-
ჩით იღებდა ქაღალდიან პარკიდან ზუსტად ისე, ტომრიდან ფქვილს რომ ამოი-
ღებენ ახლა.

მართალია, კარლი სულ სხვანაირი კაცი იყო, მაგრამ არც ის იყო ურიგო
ძია. ამასთანავე კარლი ერთადერთი ძია იყო, ვინც ეკლესიაში დადიოდა. ზოგ-
ჯერ ჰაინრიხსაც წაიყვანდა ხოლმე თან, უხსნიდა ღვთისმსახურების წესებს,
უხსნიდა ლოცვებს, ნავახშმევს კიდევ სათვალეს მოირგებდა და „ახალი ცხოვ-
რების“ ქადაგად დაეცემოდა. მართალია, არც ცოდვებს ინანიებდა, არც ზია-

რებით იწუხებდა თავს, მაგრამ ეკლესიაში მაინც ხშირად დადიოდა და, რაიმე რომ გეკითხა, პასუხს ყველაფერზე გაგცემდა. კარლი ჭკუადამჯდარი კაცი იყო, პედანტი, მაგრამ, ასე იყო თუ ისე, მაინც მოსიყვარულე და კეთილი ძია ეთქმოდა; ხან კანფეტებს მოუტანდა ხან სათამაშოებს, ხოლო როცა იტყოდა: ახალი ცხოვრება უნდა დავიწყოთო, იქვე დააყოლებდა ხოლმე: ვილმა, ეს ჩვენი ცხოვრება უსათუოდ უნდა მოვაწესრიგოთო. ცხოვრების მოწესრიგება კი იმას ერქვა, რომ ჰაინრიხს მისთვის მამა უნდა დაეძახა და არა — ძია. ერიხიც კარგად ახსოვდა, ახსოვდა ჩაის ნაყენის უჩვეულო სუნის, ძმარში დასველებული თბილ-თბილი ტილოები, ხოლო ის სანთებელა, ერიხისაგან რომ შემორჩათ, ჭერაც არ გაფუჭებულა. ერიხი საქსონიაში დარჩა; ერთ მშვენიერ დღეს გერტიც გადაიკარგა სადღაც და, ვიდრე რამდენიმე თვის თავზე მიუნხენიდან ბარათს მიიღებდნენ, მისი ასავალ-დასავალიც არ იცოდნენ. „უნდა წავსულიყავი. უკან აღარ დავბრუნდები. კარგი იყო თქვენთან სახსოვრად მაჯის საათი გქონდეს“. გერტი აღარ დაბრუნებულა, სველი თაბაშირის სუნი კი მეხსიერებას შერჩა და დედის ლექსიკონშიც გერტისეული სიტყვა დამკვიდრდა, სიტყვა — „ქაქი“. მერე კარლიც წავიდა, რაკი დედამ „ის“ მოიშორა, აღარც „ახალი ცხოვრება“ დადგა და ჰაინრიხი ახლა ეკლესიაში თუ დაინახავდა კარლს; ცოლი შეერთო, ბავშვიც ჰყავდა; კვირაობით ხელიხელჩაკიდებული დაასეირნებდა ვილმას კბილა ბიჭს და თავი ისე ეჭირა, იფიქრებდი, არც ჰაინრიხი უნახავსო ოდესმე და არც დედამისი; არც ერთს აღარ ესალმებოდა. ახლა იგი ზიარებაზეც დადიოდა, ერთი ხანობა გალობასაც პირველი იწყებდა და, როცა კი სამგალობელოდან მის ხმას მოჰკრავდა ყურს, იმ ხმას, „ახალ ცხოვრებაზე“, „დამატებით ულუფებზე“ და „ცხოვრების მოწესრიგებაზე“ რომ ლაპარაკობდა უწინ, ჰაინრიხს უკვირდა ხოლმე; დედამ რატომ მოიშორაო „ის“, კარლი ხომ ახლა მამად მომეკიდებოდაო.

სადარბაზოს კედელზე ვილმაც ყოველდღე წერდა ფანქრით იმ სიტყვას, დედამ რომ მიახალა ხაბაზს; ვერავის დაადებდი ზელს, ზოგჯერ ეს სიტყვა მთელი დღის განმავლობაში ეწერა კედელზე, მაგრამ საღამო ხანს იგი გაქრებოდა, რადგან ამ დროს, ქვემოთ რომ სახელოსნო იქვს, ის დურგალი ამოდიოდა და სიტყვას ლურსმნით გადაჩხაპნიდა ხოლმე. ქვისფილებიან იატაკს ახალჩამოფხეკილი ბათქაშის კვალი დააჩნდებოდა, — მოთეთრო მტვერი, კედელს კი ლურსმნით ამონაკაწრი. ის ვილმაც მაინც არ იშლიდა თავისას, ისევ და ისევ წერდა იმ სიტყვას, ხოლო დურგალი ისევ და ისევ შლიდა და შლიდა. სადარბაზოს კედელი ახლა ბარე ოც ალაგას მაინც იყო მიფხაჭნილ-მოფხაჭნილი. სწორედ ამას ერქვა უტყვი ორთაბრძოლა, ორთავე მხარე რომ შეუპოვრად აგრძელებდა; დაინახავდა თუ არა, სიტყვა ისევ დაუწერიათო, „დურგალი, რომელსაც ძია ერიხივით ქაფურის სუნი უდიოდა, სახელოსნოდან ორმოცდუიმიან ლურსმანს ამოიტანდა და სიტყვას კვლავ ამოშლიდა. მართლაც კარგი კაცია დურგალი, ვილმასაც ძალიან კარგად ეპყრობა; შაბათობით, როცა შეგირდი სახელოსნოს დაალაგებდა, დურგლის დავალებით ჩილიკა ჯოხებს გამოჩხრეკდა ნაგვიდან, გარეცხავდა და ვილმას ამოუტანდა. შეგირდს საგანგებოდ შერჩეული, ხვეულ-გრებილი და გრძელ-გრძელი ბურბუშელაც ამოჰქონდა, თავად დურგალი კი, ბინის ქირას როცა აკრეფდა, ბავშვს სასუსნავს მოუკითხავდა ხოლმე.

ლეო თუ დაუხვდებოდა შინ, დურგალი მიუბრუნდებოდა და, დამაცადეო,

ეტყოდა, მე გიჩვენებო სეირს. მეც გიჩვენებო, უბასუხებდა ლეო, მაგრამ ამის მეტს არაფერს ამბობდნენ.

პაინრიხი მოგვიანებით მიხვდა და კიდევაც გაუკვირდა, აქამდე რატომ ვერ მოვიფიქრე, ზომ შეიძლება, სულაც ლეო წერდესო იმ სიტყვას; ლეოს მეტი სხვა აბა ვინ იკადრებდა ამას? თან სიტყვაც მისცემოდა. პაინრიხმა თვალთვალი დაუწესა; ლეო სამსახურშიაც მიდიოდა, შინაც მატუნდებოდა, მაგრამ კედელზე არაფერი წაუჩხაპნია. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ იმ დღეებში, როცა უთვალთვალებდა, არც სიტყვა დაუწერია ვინმეს. ის სიტყვა მხოლოდ მაშინ გაჩნდებოდა კედელზე, თუკი ვერ დაუდარაჯდებოდა ლეოს. კარგა ხანს გრძელდებოდა ეს ამბავი და ამასობაში ნახევარი კედელი ლამის სულმთლიანად დაიკაწრა. ერთხელაც, როცა სკოლიდან დაბრუნდა, სადარბაზოს კედელზე ისევ შეამჩნია სიტყვა, სადილობისას კი ლეოს ფანქარს მოჰკრა თვალი. ფანქარი ყურზე ჩამოედო ლეოს; გრიფელი ჩაღეული ჰქონდა, ირგვლივ კი თეთრად ეტყობოდა პატარა რგოლი; არადა, ასეთი რგოლი ფანქარს მაშინ დააჩნდება ხოლმე, როცა იმ ფანქრით კედელზე დაწერ რამეს; მაშასადამე, სწორედ ლეო იყო ის უჩინმაჩინი, კედელზე რომ ჩხაპნიდა.

იმ „ვილაცას“ დედაც ლანძღავდა; ასე ამბობდა, ბავშვებმა ასეთი რაღაცები არ უნდა წაიკითხოვნო, მერე კი ხმადაბლა დააყოლებდა, ისედაც აღრე იგებენო ყოველგვარ სიბინძურეს.

მაგრამ დედამ ხომ თავად ახსენა ეს სიტყვა ჩაბნელებულ, თბილსა და ცომის მოტკბო სუნით გაჟღენთილ სახაბაზოში.

ლეო მაინც არ იშლიდა თავისას; ისევ წერდა სიტყვას სადარბაზოს კედელზე, დურგალი ისევ ფხეკდა ლურსმნით და პაინრიხს გამბედაობა არ ყოფნიდა, თავისი ეჭვი დურგლისათვის გაეზიარებინა.

მოგვიანებით, თუკი ძია ალბერტთან ისაუბრებს, ამ ამბავსაც უთუოდ მოუყვება.

საღამოობით, როცა ლოგინში იწვა და ბნელაში მამის ფოტოსურათს აკვირდებოდა, სურათს ქუჩის ფარნების მკრთალი ანარეკლი ეფინა ხოლმე. დროდადრო, როცა კი ქუჩაში ავტომობილი ჩაიქროლებდა, სურათი თრთოდა თითქოს, ხოლო თუ სატვირთო მატარებელი ან № 34 ავტობუსი ჩაიხრიგინებდა, ქანაობდა კიდევ.

მამისაგან ბევრი არაფერი დარჩენილა; დარჩა ფოტოსურათი და ბროშურა, დედა რომ საგულდაგულოდ ინახავდა კრიმინალურ რომანებსა და ილუსტრირებულ ჟურნალებს შორის. შელანძღული, თხელი და შეყვითლებული ბროშურა იყო: „რა უნდა იცოდეს ავტოზეინკალმა შეგირდის ნორმაზე ჩაბარებისას“. ბროშურის ფურცლებს შუა კი დაკეცილი, შეფლეთილ-შეცრეცილი, მაგრამ მაინც ფერშენახული რეპროდუქცია იყო, რომელზეც ქრისტესა და მისი თორმეტი მოციქულის სერობა იყო გამოსახული. ზუსტად ასეთი რეპროდუქცია პაინრიხსაც მისცეს და მისი რეპროდუქციის უკანა მხარეზეც დაახლოებით იგივე ეწერა: „პაინრიხ ბრილახს წმინდა კონფირმაციის ნათელმძირონი მიღებული აქვს წმ. ანას სამრევლოში 1930 წლის აღდგომა დღეს“, ხოლო თავის რეპროდუქციაზე „წმ. პავლეს სამრევლო“ და „1952 წლის აღდგომა დღე“ ეწერა.

ბაბუა საქსონიაში დარჩა. წერილებში სულ მუდამ ხელმოკლეობას უჩივის

და ყოველ ბარათს ასე ამთავრებს ხოლმე: ჩემთვისაც ხომ არ გეგულებათ პატარა კუთხე, სამშობლოში დაბრუნება მინდაო. დედა ხან თამბაქოს გაუგზავნის, ხან მარგარინს და წერილში ასეთ პასუხს სწერს, ოთახის მოვნა აქ ძალიან გაჭირდა, ცეცხლის ფასს ითხოვენო. ბებია საქსონიაში გარდაიცვალა, მამის მამა კი აქვეა დასაფლავებული, ქალაქის სასაფლაოზე; საფლავზე გამომპალი ხის ჯვარი უდგას და სულთაობაზე ყვავილები მიაქვთ ხოლმე, აქ, სანთელსაც უნთებენ. მეორე ბებია დედასთან ნაჩხუბარი იყო და აღდგომის მეორე დღეს თუ მოინახულებდა ჰაინრიხს, ჩამოუტანდა საჩუქრებს, ვილმას კი განგებ არაფერს აძლევდა, თან ისიც იმას გაიძახოდა, რასაც კარლი ამბობდა ხოლმე: წესრიგი უნდა იცოდეთ, ახალი ცხოვრება უნდა დაიწყოთ, ამ ამბავს კარგი პირი არ უჩანსო; ბებიასეული ერთ-ერთი ფრაზა კი ასე უღერდა: „კიდევ კარგი, უბედური ჩემი შვილი რომ არ მოესწრო ამას“.

ბებია იშვიათად თუ მოინახულებდა და ჰაინრიხსაც გულზე არ ეხატებოდა ბებია, რადგან საჩუქრებს რომ თავი დავანებოთ, ვილმას ზედაც არ უყურებდა. როცა იგი მოინახულებდა, ყოველთვის იმას ეხვეწებოდა, ჩემთანაც შემოიარეო, მაგრამ ჰაინრიხი სულ ერთხელ იყო ბებიასთან; იქაც ისევე კრიპობდა ყველაფერი, როგორც ლეოსთან. ოთახში მასტიკის სუნი იდგა, ჰაინრიხს ნამცხვრებითა და კაკაოთი გაუმასპინძლდნენ, ტრამვაის ფულიც შეაძლიეს. მერე ბებია სახლის ამბების გამოკვლევას მოჰყვა; ჰაინრიხმა არაფერი უბასუხა და მას მერე აღარც წასულა ბებიასთან, რადგან ბებიაც იმ ხალხივით ლაპარაკობდა, ყინულფენის ქვეშ რომ იმყოფებიან: უმწიკვლო სულიო, ალალი გულიო, — გაიძახოდა, თან ლეოს ამბავიც გამოჰკითხა, კარლი რას შერებო, გერტზეც ჩამოუგდო სიტყვა, მერე კი თავი გააქნია და ხმადაბლა უთხრა: „აირ-დაირია ყველაფერი, კიდევ კარგი, უბედური ჩემი შვილი, მამაშენი რომ არ მოესწრო ამას“. ბებიამ მაშინ ფოტოსურათები უჩვენა. ერთ-ერთ სურათზე მამა ჰაინრიხის კბილა თუ იქნებოდა, მეორე სურათი კი მირონის მიღებისას გადაუღიათ. ბებიამ ის ფოტოც უჩვენა, სადაც მამა ავტოზეინკლის ხალათშია გადაღებული, მაგრამ ბებიასთან მაინც აღარ წასულა, იმიტომ რომ ვილმას იქ წაყვანა არ შეიძლებოდა.

თავი VII

სტუმრებს რომ მოიყვანდა, ნელა ალბერტს გასძახებდა ხოლმე, მარტინი შენს ოთახში გადამაყვანიწო. მძინარე ბავშვი თითქოსდა დამძიმებული იყო, ძილში თავისთვის ბუტბუტებდა რაღაცას და სულ იმისა ეშინოდათ, არ გავაღვიძოთო, მაგრამ რომც შეღვიძებოდა, ჩააწვენიდნენ თუ არა ალბერტის ლოგინში, გემრიელად მოკალათდებოდა და ძილს შეიბრუნებდა. ნელას ხშირად მოჰყავდა სტუმრები და ალბერტსაც ზოგჯერ კვირაში ორჯერ უწევდა მარტინის გადმოწვენა. ასეთ დროს ხელსაც აღარ გაანძრევდა, რადგან, ბიჭს რომ ოთახში დააწვენდა, არც თამბაქოს გაბოლება უნდოდა და მუშაობასაც გულს ვერ უდებდა. რაკი მეტი გზა არ ჰქონდა, ადგებოდა და ნელას სტუმრებს მოიკითხავდა. ერთი-ორჯერ გლუმის გვერდით რომ თავისუფალი ოთახია, იქ დააპირა მუშაობა, მაგრამ ოთახი ეუცხოვა, ამასთანავე ის ათასი წვრილმანი იკლდა თვალში, თავის ოთახში რომ ხელის ერთი მოსმით გააჩენდა; საკმარისი

სი იყო მაგიდის უკრა გამოეწია და ყოველივე ხელთ ექნებოდა: მაკრატელი, ნაირ-ნაირი წებო, ფანჯრები, ფუნჯი და ალბერტსაც ასე ეგონა, მაინც არაფერი გამოვა, ეს ცარიელი ოთახი სახელოსნოდაც რომ გადაკეთდეს. ქვემოთ რომ თავისუფალი ოთახი იყო, არც ის გამოდგებოდა მუშაობისათვის: ოთახში ნარინჯისფერი ტახტი და ნარინჯისფერი სავარძლები იდგა, იატაკზე ასეთივე ფერის ნოხი დაეფინათ, კედლებზე კი იმ მხატვრის ნახატები ექიდა, ნელას მამა რომ უმართავდა ხოლმე ხელს; მთელი ოთახი ულანათო და პრეციზიული ნახატებით იყო სავსე და შეხვიდოდი თუ არა, მაშინვე ის გულისმომწყვლევი სევდა მოგეძალებოდა, მიტოვებულ ბინებში რომ ტრიალებს, თუმცა კი ოთახს ხშირად ალაგებდნენ. ბიჭმა ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, არაფრის დიდებით არ მოინდომა რომელიმე სხვა ოთახში გადაბარგება და ალბერტსაც რა უნდა ექნა, აღგებოდა და სტუმრებში გაერეოდა. არადა, როცა კი შევიდოდა ნელას ოთახში, მუდამ ცუდ გუნებაზე დადგებოდა და თავის თავზე ბრაზიც მოსდიოდა ხოლმე. რამდენჯერმე სახლიდანაც გაპარულა, გამოვთვრებო სადმე, ხოლო შინ როცა დაბრუნებულა, ნელა შესცოდებია კიდევ: მარტოდმარტო დაუხვდებოდა ხოლმე ნამწვავებით აპირთავებულ საფერფლეების, გამოცლილილი ბოთლებისა და თეფშებზე მირჩენილ ბუტერბროდების გარემოცვაში.

ნელას სტუმრები მეტწილად ნაირ-ნაირი ჯურის სნობები იყვნენ, ქალს რომ ექსკურსიაზე ყოფნის დროს, ამა თუ იმ თავყრილობაზე ან სულაც მოხსენების მერე წარუდგინეს და ალბერტსაც გულს ურევდა ხელოვნებაზე მათი გაუთავებელი ლაყბობა. თავად არასოდეს მონაწილეობდა საუბარში, წრუპავდა ღვინოს, ჩაის და ცოტა არ იყოს, უმეურიც კი დააწვებოდა, როცა რაიმუნდის ლექსების კითხვას დაიწყებდნენ, მაგრამ ნელას ღიმილს დამორჩილებული, მერე და მერე მაინც ამოღერღავდა ორიოდ სიტყვას, თუკი რაიმუნდზე ჰკითხავდნენ რამეს.

დაკარგულ დროზე რომ აღარ ეფიქრა, ღვინოს მიეძალებოდა; ხანდახან სტუმრების მარაქაში თითო-ორი ლამაზმანიც გამოერეოდა ხოლმე, ლამაზმანებს კი ალბერტი მაშინაც არ მიაკლებდა ყურადღებას, სნობებიც რომ ყოფილიყვნენ. ალბერტი ყველაფერს აკვირდებოდა, დროდადრო წამოდგებოდა, გახსნიდა ღვინის ბოთლს, ხოლო თუკი სტუმრებს რაიმე შემთავლებოდათ, მანქანით მიდიოდა ხოლმე ღვინის, ნამცხვრისა თუ სიგარეტის მოსატანად. ამ სახლში ცხოვრებას მხოლოდ იმიტომ ეგუებოდა, რაკი მარტინი ჰყავდა აქ; ბაჟს ხშირად სძინებია მის საწოლში და ხანდახან შუა ძილშიაც გამოღვიძებია, შემკრთალა ხოლმე მის თავთან დახრილი უცხო სახეების დანახვაზე. ხოლო ბებია, სტუმრებს რომ შინ დაიგულებდა, ზოგჯერ გვიან ღამითაც გამართავდა რაიმე წარმოდგენას. თუკი „სისხლი მაქვს შარდში“ ჯერ კიდევ არ იყო დღის წესრიგში, ბებია სხვა რამეს აიხირებდა ხოლმე. მთელი კვირის განმავლობაში შეეძლო ჩუმად ეყურყუტა იმ თავის ოთახში, ეწრუპა წითელი ღვინო, ეჭამა ხორციანი ბუტერბროდები და სისხლივით წითელ კოლოფებში ჩაწყობილი „თომაპავკი“ ებოლებინა; ზოგჯერ ძველ წერილებს გადაქექავდა, ხან საკუთარი ქონების დაზუსტება მოეპრიანებოდა, ხანაც თავის სახელმძღვანელოებს ათვალიერებდა, 1896-1900 წლებში რომ იყო გამოცემული. ბებია ძველ სასკოლო ზიბლიასაც გადახედავდა, რომელსაც ჯერაც აჩნდა ფერადი ფანქრების ნიშანკვალი, აჩნდა იმ ფურცლებზე, სადაც გლეხის ათი წლის გოგონას ორმოცდაათზე მეტი წლის წინათ აეჭრელებინა სისხლში მოთხვრილი ეგვიპტელი იოსე-

ბის სამოსი და ის მდოგვისფერი ლომები, დანიელი რომ არ გაიმეტეს დასაჯიგ-
გნად და თვითონაც მის ფერხთით ეძინათ.

ზოგჯერ რამდენიმე კვირის განმავლობაში არ გაიღებდა ხმას, მაგრამ ერთ
მშვენიერ დღეს უსათუოდ აუშვებდა იალქნებს. ნაშუალამევის პირველ საათზე
აიხირებდა, საღათა უნდა მოვიმზადოო, და თავის შავ, ლურჯი, ყვითელი
მოჩითულ ხალათში გამოწყობილი ნელას ოთახში შეაბოტებდა. ციციქულა ძმარის
ბოთლით ხელში გაეხირობოდა კარის სიოში, თან მთელი სახლის გასაგონად
დასჭექდა: „რა ღორობაა ბოლოს და ბოლოს, წამლად რომ გინდოდეს, წვეთ
ძმარს ვერსად ნახავ, რა მეშველება ახლა, უსალათოდ ხომ ნამდვილად დავი-
ღუპები“. არც ისე იოლი საქმე იყო, კაცს ნაშუალამევის პირველ საათზე გე-
შოვა ძმარი, მაგრამ ალბერტი, რა იცი, რა მოხდებაო, სადგურის რესტო-
რანში მებუფეტე ქალთან იყო მორიგებული და უკიდურესი გაჭირვების უამს
იქ შოულობდა ხოლმე ნაირ-ნაირ სანოვავებს. თუკი ღამით ბოლდაც ჩამოფლა-
ტუნდებოდა სამზარეულოში, ხოლო ბებიას არ ეძინა, თან ახირებულ
გუნებაზეც იყო, უმაღლ შეხლა-შემოხლა გაიმართებოდა და ბებიაც შეუტევდა
ხოლმე ბოლდას: ჰაიტ, შე ყიამყრალო მონაზონო შენა, შე ქვეყნის ნათრევოო—
ეტყოდა; მერე მამამისის ცოდვებსაც სახელდახელოდ ჩამოუკაკლავდა, ერთ
დროს რომ ეტყოდა, კონტრაბანდისტიც იყო, ბრაკონიერიც, მაგრამ აი უკვე ორ-
მოცდათხუთმეტი წელია, რაც აიფელდორფის ციციქნა სასაფლაოზე განისვენ-
ებდა. ბებია თუ ხუსტურების ხასიათზე არ იყო, ბოლდას არაფერს ერჩოდა
და სულაც მეგობრულ საუბარს გაუბამდა; ხანდახან ნელას ოთახშიაც გა-
მოჩნდებოდა ხოლმე და იღრიალებდა: „რაო, ბოზობაზე ხელი ვერ აიღე, არა?
უბედური შენი ქმარი!“ ბებიას დაშოშმინება ასეთ დროს გლუმს ან ალბერტს
თუ შეეძლო და ნელასაც ის ერჩივნა, ალბერტი შინ დარჩენილიყო, — დედასი
ეშინოდა.

და აი, კვირაში ორ დღეს ალბერტი ნელას სტუმრებთან ერთად ატარებ-
და, ღარაჯობდა ბიჭის ძილს და, თუ საჭირო გახდებოდა, ცეცხლსაქრობის და-
რად მზად იყო ნელას დედაც დაეშოშმინებინა.

სულაც არ ეთაკილებოდა, რომ მოგვიანებით, სტუმრები როცა აიშლე-
ბოდნენ, მძლოლის მოვალეობა დაეკისრებოდა. ნელას სტუმრები ტრამვაის
გაჩერებამდე მიჰყავდა მანქანით, ხოლო თუ ძალზე გვიანი იყო, ტრამვაის
პარკამდეც გაიყვანდა, საიდანაც საათში ერთხელ, ღამდამობითაც გამორჩინ-
დებოდა ხოლმე ტრამვაი. როცა კი კარგ გუნებაზე იყო, ყველას სათითაოდ ჩა-
მოარიგებდა სახლებში. ცდილობდა მეტხანს დარჩენილიყო ქალაქში იმ იმე-
დით, შინ დაბრუნებულს ნელა დაძინებული დამხვდებოდა.

გულზე მოეფონებოდა ხოლმე, როცა ღამეულ ქალაქში მარტოკა დასეირ-
ნობდა მანქანით; ათვალთვრებდა უკაცრიელ ქუჩებს, ღრმა წყვდიადში ჩაძი-
რულ პარკებს და თვალს არ აშორებდა იმ ჯადოშეკრულ ხილვას, მისი მანქა-
ნის შუქს რომ აჰყვებოდა გზადაგზა; უყურებდა ატორტმანებულ, გამეხე-
ბულ, ჩაშავებულ-ჩაყუნთულ ჩრდილებსა და გაზის ფარნების მოყვითალო-
მწვანე ციალს. უყვარდა ამ ყინულივით ცივი ნაშუქის თვალთვალი, ზაფხულ-
შიაც რომ იმას გაფიქრებინებდა, ყინავსო გარეთ. ამ მოყვითალო-
მწვანე შუქით მოფრქვეულ ბალებსა და პარკებს რომ გახედავდი, შეფურჩქნუ-
ლი ხეებიც კი გაყინულ-გაქცავებული, უსიცოცხლო გეგონებოდა. ხშირად
ყოფილა, კარგა დიდზე გასცილდებოდა ქალაქს, ჩამოიტოვებდა ჩაძინებულ

სოფლებს და ავტოსტრადაზე ერთხანს ძალზე დიდი სისწრაფით გააქროლებდა მანქანას, მომდევნო გზაჯვარედინთან მისული კი მთავარი გზიდან გადაუხვევდა და ისევ ქალაქში დაბრუნდებოდა. როცა კი ფარების შუქზე ვინმე სულიერი ამოტივტივდებოდა, გული დაემჯილებოდა ხოლმე; მეტწილად ქუჩის ქალებს თუ დალანდავდა, რადგან ისეთ ალაგას აიტუზებოდნენ, ეჭუთიანად რომ გადაჩახჩახდებოდა, როცა მძღოლი შორეულ შუქს ჩაერჭვდებოდა მისი ხვევებში. ეულ, უსიცოცხლო და ჭრელკაბიან თოჯინებს ჰგავდნენ, ღიმილითაც არ გაელიმებოდათ, თუკი ვინმე ჩაუვლიდა ახლოს. ჩამუქებულ ფონზე რომ მიძალეზული სინათლისაგან აქათქათებულ ფეხებს მოჰკრავდა თვალს, მუდამ ხომალდის კიჩოზე წამომართული ფიგურები ახსენდებოდა, ასე ეგონა, ჩაძირული ხომალდის კიჩოზე დგანანო. ასე იყო თუ ისე, მანქანის შუქი რომ დაეცემოდა და ქალებს სიბნელიდან ამოღარავდა, ყოველთვის ის უკვირდა, რა სწორად ირჩევდნო ადგილს, თუმცა ერთხელაც არ უნახავს, რომ მანქანა გაჩერებულიყოს და ქალი მანქანაში ჩაესვას.

ხიდის ბოლოში, ზედ ბურჯზე, პატარა სამიკიტნო იყო მიკედლებული, ღამდამობითაც რომ არ იკეტებოდა. ამ სამიკიტნოში ალბერტი ჯერ კათხა ლუდს გამოცლიდა, მერე არაყსაც გადაჰკრავდა, ოღონდ კი სახლში დაბრუნებამა გაეჭიანურებინა. სამიკიტნოს მეპატრონე ქალი ალბერტს უკვე იცნობდა: ნელას აკი ხშირ-ხშირად მოჰყავდა ხოლმე სტუმრები და ალბერტიც მანქანით აცილებდა მათ, ოღონდაც ნელასთან არ დარჩენილიყო მარტო.

კარგა ხანს დარჩებოდა ხოლმე სამიკიტნოში და მისდა უნებურად ისეთ ამბებზე მოეძალებოდა ფიქრი, ნელას სტუმრები რომ აუშლიდნენ. მაგიდებს მეტწილად რაინელი მეზღვაურები უსხდნენ და ზარს აგორებდნენ. რადიოდან ხმადაბალი, შორეული ხმები აღწევდა, ტანმორჩილი, შავგვრემანი დიასახლისი კი ლუქელთან მიცუცქული ქსოვდა. ალბერტს რომ სამიკიტნოში დაინახავდა, დიასახლისს ენა აეცრებოდა, იმასაც გაუმხელდა, ამას და ამას ეს უნდა მივუქსოვოო. ღია მწვანე ფერის პულოვერს სიძისათვის ქსოვდა, ჟანგისფერ ხელთათმანებს — ქალიშვილისათვის. მეტწილად კი ქალი პატარა, ღამაზ შარვლებს ექსოვდა შვილიშვილებს. თარგსაც თვითონ იგონებდა, ხშირად ალბერტისთვისაც უკითხავს რჩევა და ალბერტსაც არ დაზარებია ნიმუშების დახატვა. ერთხელ ისიც ურჩია, ღია ყვითელი ფერის ქვედაკაბაზე, თოთხმეტი წლის შვილიშვილისათვის რომ ქსოვდა, ჭრელ-ჭრელ ეტიკეტიანი მუქი მწვანე ფერის ბოთლე ზი ამოექარგა. თავისი ფერადი ფანქრებით, მუდამ რომ თან დაატარებდა, ალბერტი ახალ-ახალ ნიმუშებს ქათქათა ქაღალდზე დაუხატავდა, მეზღვაურებისათვის კატლეტებისა და გუფთების შესახვევად რომ ხმარობდა ქალი, და იმ ფიქრებში გართულს, ნელას სტუმრები რომ აუშლიდნენ, ზოგჯერ თავზეც დაათენდებოდა ხოლმე.

ომის დაწყებამდე ალბერტი ერთ-ერთი მცირეტირაჟიანი გერმანული გაზეთის ლონდონელ კორესპონდენტად მუშაობდა, მაგრამ მოგვიანებით სამსახურიდან დაითხოვეს, ლინის გარდაცვალების შემდეგ კი ალბერტი ნელას დაჟინებულ თხოვნას დაჰყვა და გერმანიაში დაბრუნდა. ნელას მამამ იგი თავის ხილფაფის ფაბრიკაში მოაწყო, თვალში არავის შეეჩხიროსო. ომის დაწყებამდე რაიმუნდთან ერთად სწორედ ამ ფაბრიკის სტატისტიკური განყოფილების თანამშრომლად ითვლებოდა. რას არ იგონებდნენ ხოლმე, მთელ თავიანთ ხელ-

ფასს ისეთ სისულელეებს ახარებდნენ, არაფერში რომ არ სჭირდებოდა ფაბრიკას, სამაგიეროდ საიმედოდ ინილბავდნენ თავს: ნებისმიერ კაცს დაარწმუნებდნენ, საჭირო საქმიანობას ვეწევით, პოლიტიკაში არ ვერეგით, ~~ვერეთ წოდებულ~~ შრომით პროცესში ჩავეებით. სამუშაო ოთახშიაც არეულ-დარეული ჰქონდათ ყველაფერი, აქაოდა, გაცხარებული საქმიანობის შთანთქმდნენ და ურჩესო მომსვლელს, სახაზავ დაფებზე ესკიზები ჰიკარტებოთ დაამატეს, პირველივე ნაირ-ნაირი ტუბები და ფუნჯები მიმოფანტეს, თაროებზე ტუშის თავახსნილი ბოთლები შემოდგეს; კვირაში ერთხელ „საქონლის გამსაღებელი განყოფილებიდან“ ციფრებით გადაწიკწიკებული ნუსხა ეგზავნებოდათ, რომელიც მერე თავიანთ ცხრილებში გადაჰქონდათ; ციფრების ეს გრძელი სვეტები, პროვინციებისა და მიხედვით რომ იყო განლაგებული, გერმანიის ჭრელ გეოგრაფიულ რუკებზე ბოლოს ზილფაფის ციცქნა ქილებად იქცეოდნენ ხოლმე.

მოგვიანებით ზილფაფის ახალ-ახალი ნაწარმისათვის სახელების მოგონებას მიჰყვეს ხელი და მონაცემების დამუშავებაშიც ისე გაიწაფნენ, რომ თვალდახუჭული ჩამოთვლიდნენ, სად რა ოდენობით და როგორ ზილფაფას შეეჭეოდა მოსახლეობა. თავიანთი ცინიზმი კი 1938 წელს გამოშვებული ბროშურით დააგვირგვინეს, რომელსაც „ჰოლშტეტეს არომატული კონფიტიურების დამზადება და მისი გასაღების გზები“ დაარქვეს და ფირმის დაარსების 25 წლისთავს მიუძღვნეს. ხეშხეშა ქაღალდზე დაბეჭდილი და დასურათებული ეს ბროშურა უფასოდ მიართვეს ყველა მუშტარს. ალბერტი სულ ახალ და ახალ სარეკლამო პლაკატებს ხატავდა, რაიმუნდი მათთვის გართიმულ წარწერებს თხზავდა, სადამო ხანს კი ნელასა და იმ რამდენიმე მეგობართან ერთად იტარებდნენ, ჯერ კიდევ რომ შემორჩენოდათ 1938 წელს. იმ დროს არცთუ ლაღად გრძნობდნენ თავს და ყელში მობჯენილი ბოღმა სწორედ სალამოობით ამოხეთქავდა ხოლმე, განსაკუთრებით მაშინ, როცა პატერ ვილიბრორდი მოინახულებდა მათ. რაიმუნდს სძულდა ვილიბრორდი, კაცი, ახლა რომ თავგამოდებით მოსავდა რაიმუნდის სახელს შარავანდედით. ასეთი სალამოები ჩვეულებრივ იმით თავდებოდა, რომ დაცინვისაგან გულგასიებული ვილიბრორდი თავის გზას გაუყვებოდა, მისი წასვლის შემდეგ კი სმას იწყებდნენ და იმაზე მსჯელობდნენ, როგორ მოხერხდებოდა ქვეყნის დატოვება. დილით, დაგვიანებით ცხადდებოდნენ სამსახურში, ორთავეს გასკდომაზე ჰქონდა თავი და გააფთრებულებს ხშირად ნაკუწ-ნაკუწადაც დაუხევიათ ყველა ნახაზი და დიაგრამა.

მაგრამ მომდევნო დღეს ისევ შეუდგებოდნენ საქმიანობას, ზილფაფის თაყვანისმცემლებისათვის კვლავ თხზავდნენ ახალ-ახალ წარწერებს, ირჩევდნენ ახალ ფერებს, რომელთაც გრაფიკულად უნდა გამოესახათ ზილფაფის ყოველი ცალკეული ნაწარმი, ხოლო მათი ბლლო ნამუშევარი, ვიდრე ჯარში გაიწვევდნენ, ისტორიული ხასიათის წარწერა იყო; რაიმ მიზნად დაისახა დაეპტიცებინა, რომ ქვის ხანის ადამიანები, რომაელები, ბერძნები, ფინიკიელები, იუდეველნი, ინკები და გერმანიკელები ჯერ კიდევ ძველად ეზიარნენ ზილფაფის სურნელოვან არომატს. ამ წარწერაში რაიმ მთელი თავისი ფანტაზია ჩააქსოვა, ალბერტმა არ დაიშურა მხატვრის ნიჭი და უნარი და ნამუშევარი მართლაც რომ მშვენიერი გამოდგა. ფაბრიკას უამრავი მუშტარი შეემატა, თუმ-

ცალა ეს ამბავი უკვე აღარავის სჭირდებოდა, რადგან ამასობაში ქვეყანას ახალი მუშტარი დაეპატრონა — ომი, რეკლამის გარეშეც რომ ყიდულობდა ხილფაფას.

ომის დროს სად არ წააწყდებოდნენ ხოლმე თავიანთ გაფორმებულ ხილფაფის პატარა ქილებს; სპილენძის ქილებზე დაკრული ეტიკეტები ალბერტის დახატული იყო, იქვე მიწერილი გარიტმული წარწერაც ზოგჯერ შეთხზული; ფრანგი ბავშვები ამ ქილებით ფეხბურთს თამაშობდნენ, რუსი ქალებისათვის კი ისინი უძვირფასესი შენაძენი იყო. მაშინაც კი, როცა ერთიანად დაუანგულ, შეჭყლეტილ-შემოჭყლეტილ, თან უეტიკეტო ქილებს წააწყდებოდნენ სადმე, მაინც იცნობდნენ ხოლმე ზედ ამოტვიფრული „ე. ჰ.“ ასოებით (ედმუნდ ჰოლშტეტგე), რაიმუნდის სიმამრის მონოგრამით; სიბნელეშიც ბევრჯერ უცვნიათ, როცა ღამის სათევად რომელიმე აშშორებულ სადგომში გაჩერებულან და სპილენძის აგრუხუნებულ ქილებზე ფეხი დაუდგამთ; უცვნიათ ხელის შეხებითაც; იმ ადგილას, სადაც სახელურია ქილაში გაყრილი, თითებით მიაგნებდნენ ხოლმე ამოტვიფრულ ასოებსა და სტილიზებულ ალუბალს — ალბერტის ქმნილებას.

ასე რომ, გერმანიის არმია თავის ძლევამოსილ გზაზე მარტოდენ ჭურვებს, ნანგრევებსა და ლეშს როდი გადაყრია, — ხილფაფის ქილებიც უნახავს. საფრანგეთსა თუ დანიაში, ნორვეგიასა თუ ბალკანეთში, სად არ ამოიკითხავდით რაის შეთხზულ წარწერას: „ჭკუათხელია, ვინც ჭერაც თვითონ იდუღებს ხილფაფას, ჰოლშტეტგე შენ მაგივრადაც აკეთებს ამას“. სიტყვები — „ჭკუათხელია, ვინც ჭერაც თვითონ იდუღებს ხილფაფას“, დიდრონ-დიდრონი, წითელი ასოებით ეწერა ეტიკეტზე, სხვა დანარჩენი კი ოდნავ მომცრო შრიფტით იყო აწყობილი. რაიმუნდის ეს გარიტმული წარწერა ფაბრიკის ხელმძღვანელობასთან ხანგრძლივი ბჭობის შედეგად გაჩნდა, მოგვიანებით კი გაფთვრებული კამპანია წამოიწყეს ყველას წინააღმდეგ, ვინც ჭერაც თვითონ იდუღებდა ხილფაფას; მაგრამ ამ კამპანიას სულ მოკლე ხანში მოედო ბოლო, რადგან საქმეში პარტიული ორგანოებიც ჩაერივნენ და ქვეყანას ამცნეს, ჩვენი ღრმა რწმენით ხილფაფის მოდუღება ოდითგანვე ითვლებოდა გერმანელი დიასახლისის საპატიო საქმედ. მაგრამ ეტიკეტები და პლაკატები უკვე დაბეჭდილი იყო, ამასობაში ომიც დაიწყო და ეს საკითხი უკვე აღარავის აწუხებდა; ქილებს მაინც მიაკრეს ეტიკეტები, ასე რომ, ეტიკეტაკრული ეს ქილები მოგვიანებით შუა რუსეთშიაც გაჩნდა.

ომის პირველი წელი ალბერტმა და რაიმუნდმა სხვადასხვა ნაწილში გაატარეს, სხვადასხვა ფრონტზე იყვნენ, მაგრამ ყველგან, ვარშავის გარეუბანში ჩაივლიდნენ თუ ამიენის ტაძართან, მაინც ერთსა და იგივეს წააწყდებოდნენ ხოლმე: გერმანული ხილფაფის ქილებს.

ამასთანავე ნელას დედაც უგზავნიდათ მოქრომვილი თუნუქის ხილფაფიან პაწია ქილებს, — სარეკლამო სიურპრიზს, რომელიც იმ მუშტარს ეძლეოდა საჩუქრად, ვინც სამ დიდ ქილას შეიძენდა, და ნელას დედას სულაც არ ესირცხვილებოდა იმის შემოთვლა, საქმეები გადასარევად აგვეწყოო...

სამიკიტნოში აღარავინ იყო, ალბერტმა ლუდი მოსვა და კათხა გვერდზე გადადგა: გაწყალელებულიყო მთლად. მერე დახლზე შემოდგმული ბოთლები შეათვალიერა და თავიც არ აუწევია. ისე თქვა: „თუ არ შეწუხდებით, შეარც-

ვალდური კირში¹ დამისხით“. დიასახლისს ფეხზე არ მოუცვლია ადგილიდან, ქალის თითები აღარ ფუხფუხებდნენ, ძაფის გორგალი და ჩხირები იატაკზე ეგდო და როცა ალბერტმა თავი აიღო, ჩაძინებულ დიასახლისს შეაფეთა მზერა. რადიოში ვიღაც ქალი სამხრეთამერიკულ სიმღერებს მღეროდა. ალბერტი წამოდგა, შემოუარა დახლს, ჩამოისხა კირში, შემდეგ ძაფის გორგალი და ჩხირები იატაკიდან წამოკრიფა, თან საათზე დაიხედა: დილის სამი საათი სრულდებოდა. წრუბვა-წრუბვით, ლამისდა წვეთ-წვეთობით გამოწრუტა შნაპსი და ჩიბუხი გააბოლა. ნელა ჯერაც არ დაწოლილა ალბათ. შინ მიბრუნებულ ალბერტს არასოდეს დახვედრია ლოგინში და ნელა ახლაც მორჩილებით მოისმენს ყველაფერს, რასაც ალბერტი მიახლის პირში: კიდევ ერთხელ გაახსენებს, რაიმუნდს დასაწყხად სძულდაო ვილიბრორდი, თავად რაიმუნდი კი ცინიკოსი და სნობი იყო, იმასაც ეტყვის, ბოლო ხუთი წელი ერთი ლექსიც არ დაუწერია იმ გარითმული წარწერების გარდა და რომ ნელაც თანამონაწილეა ამ ცრუ ლეგენდის შექმნაში.

ალბერტმა კირში დალია და დიასახლისს მხარზე დაადო ხელი. ქალი თვალისწამში გამოფხიზლდა, გაუღიმა და უთხრა: „კიდევ კარგი, თქვენი აქ ყოფნის დროს ჩამეძინა, თორემ გამქურდავდა ვინმე“, მერე ადგა და რადიო გამორთო. ალბერტმა დახლზე დადო ფული, გარეთ გავიდა და ერთხანს შეიცადა, ვიდრე ქალი რკინის ცხაურს ჩამოაფარებდა კარს და ბოქლომს დაადებდა.

— დაბრძანდით, — მიიპატიჟა ალბერტმა, — შინ მიგიყვანთ.

— სიამოვნებით, — უბასუხა ქალმა.

ორშაბათი თენდებოდა, ქუჩაში თითო-ოროლა კაცისა და ბაზრისაკენ მამავალი, ბოსტნეულით დატვირთული მანქანების გარდა არავინ შემოხვედრიათ.

დიასახლისის შინ მისაყვანად კარგა დიღზე გაიმრუდა გზა; მერე მანქანიდან ჩამოსვა ქალი და ისევ ნელი სვლით გაემგზავრა სახლისაკენ.

ნელა ჯერ კიდევ ფეხზე იყო, არც ოთახი მიელაგებინა; საითაც არ უნდა გაგებოდა, ყველგან ჭიქები შეგეჩხირებოდა თვალში, ფინჯნებსა და თეფშებზე ბუტერბროდების ნარჩენები იყო, ლამბაქებზე ნამცხვრის ნამცეცები ეყარა, ირგვლივ სიგარეტის ცარიელი კოლოფები იყო მიყრილ-მოყრილი; საფერფლეებიც კი არ დაესუფთავებინა, მაგიდაზე ბოთლები იდგა და საცობებიც იქვე ეგდო. ნელა სავარძელში იჯდა, აბოლებდა, თან უაზროდ მიშტერებოდა რალაცას. დროდადრო ალბერტს ისიც ეჩვენებოდა, ნელა მუდამ ასე იჯდაო აქ და აწიც ასე იქნებაო. ერთი გაფიქრება ისიც სცადა, „მუდამ“-ის არსსა და მნიშვნელობას ჩასძიებოდა: უმაღლესი გაჭვარტლული ოთახი დაუდგა თვალწინ, მწვანე სავარძელში ჩაფლული ნელა კი სიგარეტს აბოლებდა და რალაცას უაზროდ მიშტერებოდა. ნელას ყავა მოედუღებინა და ყავადანიც ძველისძველი ქუდის ქვეშ შეედგა, არ გაცივდესო, ხოლო როცა ნელამ ქუდი ახადა ყავადანს, ალბერტმა გაიფიქრა, ყავადანის ეს ხასხასა სიმწვანე თუ გაახალისებსო კაცს, რადგან სტუმრების მოტანილი ყვავილებიც კი სიგარეტის კვამლში დაძირულიყო, ან არადა, ჯერაც ქაღალდში გახვეული იდო წინკარში დადგმულ მაგიდაზე.

¹ კირში — ალუბლის ნაყენი.

ნელას ეს დაუდევრობა უწინ თვალშია მოსდიოდა, მაგრამ მას აქეთ, რაც ერთ ჭერქვეშ ცხოვრობდნენ, აიბუა და ჭირივით შეიჯავრა. რაჟი ყავადა-ნიც მაგიდაზე იდგა, მიხვდა, ღამის თეთრად გათენება მომიწევსო. დასანახად სძულდა ყავა, სძულდა ნელაც, მისი სტუმრებიცა და უაზრო ლაქლაქში გატარებული ღამეებიც, მაგრამ საკმარისი იყო თუნდაც ერთხელ გაქცემებოდა ნელას, რომ მაშინვე გადავიწყებოდა ის თავისი სიძულვილი; საოცრად დიდი ძალა იმალებოდა კუნთის ამ ერთადერთ, განუმეორებელ მოძრაობაში და თუმცა იცოდა, ნელას უნებლიეთ ეღიმებოდა, ამ ღიმილის შემსწრეს მაინც აერეოდა თავგზა. ყოველთვის ასე ეგონა, ამჯერად მართლაც მე მილიმისო. ალბერტი ჩამოჯდა და გაზეპირებულივით მოჰყვა იმ სიტყვების გამეორებას, ასეთ დროს და ასეთ სიტუაციაში ათასჯერ რომ ჰქონდა უკვე ნათქვამი. ნელას უყვარდა გრძელ-გრძელი მონოლოგების წარმოთქმა და თავის ბედუკუდმართ ცხოვრებაზე დაჩვილება, უყვარდა გულის გადაშლა და იმაზე საუბარი, აი, ასე და ასე ამეწყობოდა ცხოვრება, რაიმუნდი რომ არ დაღუბულიყო. რა ხერხებით არ შეეცდებოდა დაებრუნებინა წარსული, რას არ აკეთებდა, რომ დაევიწყებინა ყველაფერი, რაც ამ ათი წლის განმავლობაში გადახდა თავს და თავის ხილვებში ალბერტიც ჩაეთრია.

დაახლოებით ოთხის ნახევარზე ნელა წამოდგებოდა და ხელმეორედ მოადუღებდა ყავას. ოთახში რომ მარტო-არ დარჩენილიყო, ოთახში, რომელსაც აგერ ოცი წელიწადია იცნობდა, სიგარეტის კვამლითა და რაიმუნდზე მოგონებებით სავსე ოთახში, ალბერტი ჭურჭლის ალაგებას დაიწყებდა: ჭერ თეფშებსა და ჭიქებს მოუყრიდა თავს, გამოაცარიელებდა საფერფლეებს, მერე მწვანე ფარდას გადასწევდა და ფანჯარას გამოადებდა. ბოლოს ნელასთან გავიდოდა სამზარეულოში, განჯინიდან საყვავილე ვაზებს გამოიტანდა, აავსებდა წყლით და ყვავილებით მორთავდა. მოგვიანებით ნელას ამოუდგებოდა გვერდში და ვიდრე გაზქურაზე წყალი წამოდუღებოდა, ალბერტი ხორცის გალიგვებულ ნაჭერს გაუსინჯავდა გემოს, ჩაკბენდა ბუტერბროდს ან ნელას მომზადებულ გემრიელ სალათას შეექცეოდა, მაცივარში რომ ეგულებოდა მუდამ.

სწორედ ამ წუთებს შენატროდა ნელა. შესაძლოა ეს გაუთავებელი სტუმრობა სულაც იმიტომ გაიწესა, რომ ოცი წლის წინათაც ასე იყო: ალბერტი მაშინაც გვერდით ედგა ხოლმე და თვალს ადევნებდა, როგორ ადუღებდა იგი ყავას. ნაშუალამევის სამ ან ოთხ საათზე მაშინაც მისეულ სალათებს უსინჯავდა გემოს და თან კედლის თეთრ ფილებზე შავი შორენკეცებით ამოყვანილ წარწერას ათვალიერებდა: გ უ ლ ი ს ა კ ე ნ მ ი მ ა ვ ა ლ ი გ ზ ა კ უ ჭ ზ ე გ ა დ ი ს. რაი ასეთ დროს მუდამ ნელას ოთახში რჩებოდა ხოლმე, თვლებში და სტუმრები მაშინაც გათენებამდე რჩებოდნენ; პოლიტიკაზე ლაქლაქში გამოითენებდნენ ღამეებს, ეკამათებოდნენ შურბიგელს, სუყველას ერთად და ყველას სათითაოდ რომ მოუწოდებდა მოიერიშეთა ორგანიზაციაში შესვლას და მის გაქრისტიანებას. ისეთი სიტყვები, როგორიც იყო: „საფუარი“, „დედო“, ან წინადადებები: „ნაციონალ-სოციალიზმი ქრისტიანული აზრით უნდა გავაჯეროთ“, მაშინაც აღმფოთებდა ხოლმე. სტუმრებში იმხანადაც გამოერეოდნენ ლამაზ-ლამაზი ქალიშვილები, მაგრამ ომის დროს ბევრი მათგანი დაიღუპა, ზოგიც სხვა ქალაქსა თუ სხვა მხარეში გადასახლდა, ორი ქალიშვილი კი ნაციისტებს მისთხოვდა და ნიშნობაც მუხებქვეშ გადაიხადეს.

მოგვიანებით თითქმის ყველასთან მოუვიდათ დავა, ყველა ჩამოიშორეს. სადამოობით იმ რუკებსა და დიაგრამებს უკირკიტებდნენ, ბიუროდინ რომ მოჰქონდათ, და თავზეც ბევრჯერ დასთენებიათ. პირველ ფინჯან ყავას მაშინაც ნაშუალამევის ორ საათზე მოიდუღებდნენ და სამი საათისათვის მაშინაც მზად ჰქონდათ სავსე ყავადანი.

საბედნიეროდ, ეს ყავადანი მაინცაა სხვა, რაშიც ნელა ყავას ადუღებს ახლა, თუმცა სხვაც ბევრი რამ მოგხვდებოდა თვალში ისეთი, უღმობლად რომ შეგახსენებდა, სხვა დროაო ახლა.

გული აუჩქროლდებოდა ხოლმე, როცა თავის ოთახში შევიდოდა, მარტინს დავხედავო. ასე ეჩვენებოდა, ბიჭმა თვალის დახამხამებაში აიყარაო ტანი. ზოგჯერ შიშიც დაეუფლებოდა, თერთმეტი წლის მოზარდს რომ თავის ლოგინში დააცქერდებოდა; ქერათმიანი და კალმით ნახატი ბიჭი, ნელას ასლი და კვალი, მოთენთილივით იწვა ხოლმე საწოლში. ღია ფანჯრიდან უკვე აღწევდა დილისეული ჩქამი: ისმოდა ტრამვაის შორეული გრუხუნი, ჩიტების ჟღერტული და ალვების თავზე, ბაღის ირგვლივ რომ შრიალებდნენ, მუქა მელნისფერი ცაც თითქოსდა აწყლიანებული გეჩვენებოდა. ზედა სართულის იმ ოთახში, სადაც ახლა გლუმი ცხოვრობს, რა ხანია ველარ გაიგონებ ნელას მამის მძიმე და გამოზომილი ნაბიჯის ხმას, იმ გლეხკაცის ნაბიჯებს, თავისი დღე და მოსწრება გუთანში რომ იყო შემხული და აკი ველარც გადაეჩვია იმ აჯაბაჯა სიარულს.

აწმყო და წარსული ერთმანეთს ენაცვლებოდა, დისკოებივით ტრიალებდა და იმ წერტილს ეძებდა, სადაც ორთავე ტოლდინი იქნებოდა: ერთი გამოზომილად ბრუნავდა, ბრუნვის ცენტრიც შუაში ჰქონდა—ეს იყო წარსული, ალბერტი რომ ნათლად ხედავდა თითქოს, მაგრამ აწმყო წარსულზე სწრაფად ბრუნავდა, არც ბრუნვის ცენტრი ჰქონდა შუაში და აქ უკვე ველარაფერს გააწყობდი, მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაზე არსებობდა მარტინი, — მის სუნთქვას ხომ ხელისგულზეც იგრძნობდა ხოლმე ალბერტი, არსებობდა გლუმის პირმრგვალი, კეთილი სახე; ველარაფერს გააწყობდი, თუნდაც ყოველდღე ჩალირდიტებოდი გარდასულ წელთა ნიშანკვალს ნელას პირისახეზე, თუნდაც ყოველდღე გენახა უბეებთან მიმჯდარი მისი ნაოჭები, ქონმოკიდებული კისერი, სიგარეტის უთავბოლო წვეისაგან დახეთქილი ტუჩები და მკაცრი ნაკეცები სახეზე; ალბერტი ქალის ღიმის დაჰყვა, დაჰყვა იმ უნებურად ზოქმედ ცდუნებას, დრო-ჟამსაც რომ აღღვობდა ხოლმე ოთახში და მძინარე მარტინსაც ზმანებად აქცევდა. აწმყოსა და ერთი შეხედვით ასე გამოზომილად მბრუნავ წარსულს შორის უცებ მესამე ბრიალა ყვითელი დისკო შემოეჩხირებოდა — დრო, არასოდეს არსებული, ცხოვრება — ულაზათო და უმაქნისი — ნელას ოცნება. ქალი თავის ხილვებში ითრევდა ალბერტს, თუნდაც იმ რამდენიმე წუთით, სანამ აქ, სამზარეულოში, ყავას მოადუღებდა და იმ ბუტერბროდებს მოამზადებდა, ხელდაუქარებლად რომ დაახმებოდა თეფშებს. ის ყავადანიც, ბუტერბროდებიც, ღიმლიცა და მონაცრისფრო-რძისფერი გარიჟრაჟიც მხოლოდ და მხოლოდ რეკვიზიტი ან კულისები თუ იყო ნელას მტანჯველ ხილვებში, მის ოცნებებში, სადაც რაიმუნდთან ერთად ეპირებოდა ცხოვრებას, ეპირებოდა იმ ცხოვრებას, ნელას რომ არ ეღირსა და არც არასოდეს ეღირსებოდა.

— ეჰ, — წაიდუდუნა ალბერტმა, — ნამდვილად ჰკუიდან შემშლი, — მერე თვალი დახუჭა, რომ ის გამაბრუებელი ბზრიან-ტრიალი აღარ ეხილა, აღარ ეხილა იმ დისკოების ელვარება, ვერასოდეს რომ ვერ გატოლდებოდნენ შეურიგებელი შეუთავსებლობის გამო და საერთო საყრდენ წერტილსაც ვერასოდეს გამოძებნიდნენ.

ყავა, რომელსაც არავინ დაღევს, ბუტერბროდები, რომელთაც არავინ მიეკარება — სისხლიანი დრამის რეკვიზიტებია, სადაც ალბერტიც იყო ჩათრეული, როგორც ერთადერთი და უცვალელებელი სტატისტი, მაგრამ ასე იყო თუ ისე, ალბერტს მაინც ანუგეშებდა ის ამბავი, რომ ყავას ბოლდა გაიცხელებდა, ბუტერბროდებს კი გლუმი წაიძღვარიებდა სამსახურში.

— რაღას უდგახარ, წადი, — მისაგათებული ხმით უთხრა ნელამ, თან მწვანე ხუფი დაახურა ყავადანს.

ალბერტმა თავი გააქნია, არ წავალო.

— რატომ არ ეცდილობთ, ცხოვრება გავიადვილოთ?

— რაო, ხომ არ დავქორწინდეთ? — იკითხა ნელამ. — ვითომ ასე აჯობებს?

— რატომაც არ აჯობებს?

— წადი, დაიძინე.

ალბერტს სიტყვაც აღარ დაუძრავს, ოთახიდან გამოვიდა, ფეხაკრეფით გაიარა წინკარი და აბაზანის კარი შეაღო. მერე გაზი აანთო, ონკანი მოუშვა და საშხაპე ისე დადო, წყალს არ ეჩხრიალა და ღუნე-ღუნედ ედინა აბაზანაში.

კარგა ხანს იდგა ფეხზე, უაზროდ აცქერდებოდა წყალს, ღია ცისფერ ჰავლებად რომ იფრქვეოდა აბაზანის ფსკერზე დადებული საშხაპედან, თან სმენად-ქცეული აყურადებდა გარედან შემოდწეულ ხმებს; გაიგონა კიდევ, როგორ შევიდა ნელა თავის ოთახში, ცოტა ხნის შემდეგ კი ნელას ტირილიც მოესმა; თავისი ოთახის კარი, ეტყობა, განგებ დატოვა ღია, ჩემი ტირილი ალბერტმაც გაიგონოსო. სახლში სიწყნარე იყო, გრილოდა. ამასობაში ირიჟრაჟა და ფიქრებში წასულმა ალბერტმა სიგარეტის ნამწვი წყალში ჩააგდო. ისე იყო დაღლილი, გამოთავყვანებულივით იდგა, ერთიანად მოსავეებული თვალს ვერ აშორებდა, როგორ გაჟიჟინდა და დაიშალა ნამწვი. გამყარებული ფერფლი აბაზანის ფსკერზე დაილექა, ღია-ყვითელი ფერის თამბაქო კი, თავდაპირველად კომტად რომ შეიკრა, ზედაპირს მოედო და თითოეულ მწიკვს ყვითელი ლაქები შემოუდგა. სიგარეტის ქაღალდი ჩამუქდა და მუქ ნაცრისფერ ფონზე წარწერაც გარკვევით ამოიკითხა: თ ო მ ა ჰ ა ვ კ ი. ალბერტი საგანგებოდ ეწეოდა ბებიას მოსაწონ სიგარეტს, თუ გაჭირდა, მის იერიშს ადვილად მოვიგერიებო. ყვითელი ლაქა ამასობაში ღრუბელას ოდენა გახდა, წყლის ჰავლები კი, აბაზანის ფსკერზე დადებული საშხაპედან რომ იფრქვეოდა, ფერდაკარგულ ლაქას წყლის ზედაპირზე აკავებდა; აბაზანის სუფთა და ცისფერ ფსკერზე გამკვრივებული ფერფლის შავი ნაწილაკები თამთამებდა და რაღაც უხილავი ძალაც ამ ნაწილაკებს ნელ-ნელა იწოვდა ჩასადენისაკენ.

ნელა ისევ ტიროდა, კარი ისევ ღიად ჰქონდა დატოვებული და ალბერტმაც მეყსეულად გამორთო გაზი, დაკეტა ონკანი, მონიკელებულ ჯაჭვზე გამობმული ცობილა ამოსწია და თამბაქოს მოყვითალო ლაქებს გააყოლა თვალი, ჩასადენთან რომ ქრებოდნენ. მერე სინათლე გამორთო და ნელას ოთახისკენ გაემართა. ნელა სიგარეტს აბოლებდა, თან მოთქვამდა, ალბერტი კა-

რის ზღუბლზე გაჩერდა და, როცა დაუღრიალა, რა გინდა ბოლოს და ბოლოსო, საკუთარი ხმის სიმკაცრემ თავადაც გააკვირვა.

— შემოდი, — უთხრა ნელამ, — დაჯექი. — ქალის უხვირო ღიმილმა ალბერტს გული მოუღბო; იშვიათად თუ შეესწრებოდა ასეთ ამბავს. ალბერტი დაჯდა და ნელას გამოწოდებული კოლოფიდან სიგარეტი ამოიღო. ნელას ისევ გაეღიმა წამით, ამჯერად მშვენიერი ღიმილი შეაგება ალბერტს. ნელას შემოუტრე იფიქრებდი, ვიღაცა თითს აჭერსო ღილაკს; აი, ფოტოგრაფი რომ აანთებს ხოლმე თავის ბლიცნათურას, ნელაც სწორედ ამის დარად გამოაბრწყინებდა ხოლმე მისეულ ღიმილს. ამ ღიმილის წყალობით ნელამ სახელიც კი გაითქვა, მაგრამ ეს ღიმილი ამჯერად ღლიდა ალბერტს, ღლიდა ისევე, როგორც არანაკლებად განთქმული მისი ნაზი ხელების დანახვა, და ნელა იაფფასიან ხრიკსაც არ მოერიდა: ფეხი ფეხზე გადაიდო და ტანით ოდნავ უკან გადაიხარა, ლამაზი გულ-მკერდი უფრო გამომიჩნდესო.

აბაზანიდან წყლის ბუხბუხი მოისმა, მერე დაიხრთიტინა თითქოს და ჩამდინარე წყლის დამამშვიდებელი ხმაც მიწყდა.

— მართალი გითხრა, — ენა აიხსნა ხმადაბლა, — გათხოვებას აღარ ვაპირებ, აღარ მინდა; მშვენივრად იცი, რომ თუ მოინდომებ, დღესვე გავხდები შენი საყვარელი, ცოლზე ერთგულიც ვიქნები, მაგრამ ქორწინებით აღარასოდეს ვიქორწინებ. მას მერე, რაც რაიმუნდის სიკვდილი გადავიტანე, სულ იმას ვფიქრობ, ნეტა საერთოდ არ გავთხოვილიყავი-მეთქი: ვის რად სჭირდება ეს მასკარადი, ეს მანჭვა-გრეხა, ოჯახობანას თამაში და ბოლოს თავბედის წყევლა?! — ჯერ სამოქალაქო რეგისტრაციაში გაგატარებენ, ეკლესიაში დაგწერენ ჯვარს, მერე კი გამოტყვრება ვიღაცა და ქმარს ნაღდ სიკვდილზე გაგიგზავნის. განა არ დაარღვია ომმა სამი თუ ოთხი მილიონი ასეთი საზეიმო ხელშეკრულება, განა ქვეყანა არ დააქვრივა? მე პირადად აღარ მინდა დაქვრივება, აღარც იმის სურვილი მაქვს, რაიმუნდის გარდა, სხვა მამაკაცის ცოლი ვიყო, მე არც ბავშვების გაჩენა მინდა: აი, ჩემი პირობა.

— ჩემი აზრიც ხომ იცი?

— რა თქმა უნდა, ვიცი, — მშვიდად მიუგო ნელამ, — ჯერ მითხოვ, ბიჭსაც იშვილებ, მერე კი ალბათ საკუთარ ბავშვებსაც მოინდომებ.

— ლამე ნებისა, — თქვა ალბერტმა და წამოდგომა დააპირა.

— ნუ წახვალ, დარჩი, — ისევ მშვიდად სთხოვა ნელამ, — როგორც იქნა გავმხიარულდით და ახლა აპირებ წასვლას? ერთი მაცოდინა, რა საჭიროა ასე გულდაგულ, ასე პედანტურად, ასე ერთგულად მისდიო საყოველთაოდ მიღებულ მორალს? ღმერთმანი, არ მესმის.

— რა საჭიროა და, ბიჭისათვის არის საჭირო. უნდა იცოდეს, რომ ყველა შენი ოცნება ჩირადაც არ ღირს, როცა საქმე ბიჭს შეეხება. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ხომ არ დაგავიწყდა, რომ მალე ორმოცისა გახდები?

— რაის რომ ეცოცხლა, სულ სხვანაირად აეწყობოდა ყველაფერი; მისი ერთგული დავრჩებოდი, ალბათ ბავშვებიც გვეყოლებოდა, მაგრამ მისმა სიკვდილმა მომტეხა, ასე დაარქვი, თუ გინდა და ამიერიდან აღარავის ცოლობას არ ვაპირებ. მარტინს ხომ ისედაც შენ უწევს მამობას. მეტი რა გინდა?

— მეშინია, სხვას არ მისთხოვდე, მაშინ ხომ ბავშვიც იმასთან დარჩება.

— შენ იმის თქმა გინდა, რომ ჩემზე მეტად ბიჭი გიყვარს?

— მე იმის თქმა მინდა, — ხმადაბლა უპასუხა ალბერტმა, — რომ ბავშვი

მიყვარს, შენ კი არ მიყვარხარ. აქ არ არსებობს „მეტად“ და „ნაკლებად“, ძალზე კარგად გიცნობ და არ შემოიყვარდები, თუმცა საკმაოდ ლამაზი ხარ და ზოგჯერ მინდა კიდევ შენთან ყოფნა, მაგრამ ეს ჩვენი ურთიერთობა ვეღარ გაგრძელებს ასე: ჯერ ერთი, რაიზე ფიქრი სულ თავში მიტრიალებს, ბავშვის მუდამდღე ჩემთანაა, ამაშია საქმე.

— აჰა, — აღმოხდა ნელას, — ახლა კი ვიცი, რატომ უარყოფდები ცოლად: იმიტომ რომ არ გიყვარვარ.

— სამაგიეროდ, შენ შთამიგონე ეს რამდენიმე ხანია, მიყვარსო; პოდა, მოვერგებოდი კიდევ იმ შენს ოცნებებს.

— ცდები, — უთხრა ნელამ, — სულაც არ შთამიგონებია არაფერი და ისიც ვიცი, რომ ასე არ არის. მაგრამ უნდა გითხრა, რომ მეც იმასვე განვიცდი შენთან საუბრისას, რასაც შენ განიცდი. უწინ ამას გულახდილად ლაპარაკი ერქვა, ახლა კი სწორედ ეს გულახდილობა გვაკლია. სათქმელი თუ გაქვს, გულწრფელად მითხარი.

ალბერტმა წამოდგომა დააპირა, იფიქრა, ოთახში გავივლ-გამოვივლი ან ფანჯარასთან დავდგებო, მაგრამ გადაიფიქრა, რადგან ფილმებშიაც ბევრჯერ უნახავს, რომ ქალთან გულახდილი საუბრის დროს მამაკაცი წამოდგებოდა ხოლმე, ბოლთას სცემდა ოთახში, და ალბერტიც მოუხერხებელი სავარძლიდან აღარ წამოდგარა, ისე ამოაძვრინა სიგარეტი ნელას მოწოდებული კოლოფიდან.

— ღმერთო ჩემო, — თქვა ალბერტმა, — რა დროს სიყვარულზე ლაპარაკია, სიცილით არ გავიგულებოდით ორთავე, ერთ მშვენიერ დღეს რომ გითხრა: „იცი, მიყვარხარ“?

— ალბათ მართალი ხარ.

— ამასთანავე, სულაც არაა ერთი და იგივე, ღამეს გაატარებ, თუ ცოლად მოიყვან მეგობრის ქვრივს, არადა, მხოლოდ და მხოლოდ მარტინის გულისათვის თუ შევირთავდი ქალს, თავს რომ შეგნებულად იბრუებს ოცნებით, გეგონება, მორფს ეტანებაო. თუმცა, ახლავ ვხვდები, რომ არც ერთი ქალი არ უნდა ითხოვო ბავშვის გულისათვის, ამაში დღეს დავრწმუნდი.

ნელა ატირდა, ალბერტი კი, თავგზააზნეული და აღელვებული, სავარძლიდან წამოდგა და თუმცა კინოფილმებშიაც ხშირად ენახა, ოთახში მაინც გაიარ-გამოიარა.

— შენთან ერთადერთი სათხოვარი გვაქვს ყველას, — განაგრძო ალბერტმა, — ბავშვის ხატრით მაინც იყავი უფრო მეტად წინდახედული.

— გეშლებათ, ყველას გეშლებათ, ლამის ქუჩის ქალად ჩამთვალათ; მაგრამ იცოდეთ, რაის სიკვდილის შემდეგ არც ერთ მამაკაცთან არ ვყოფილვარ.

— მით უარესი, — სიტყვა მოუჭრა ალბერტმა. — შენ მათ ღიმილით ქოქავ, იი, სათამაშო მამლებს რომ ქოქავენ, ისე, და მაინც გსურს თუ არა, უნდა დავქორწინდეთ. ვიცხოვრებთ ჩვენთვის, ბავშვთან ერთად და აღარც ის გამოთავგანებული ვიდეოები შეგვაწუხებენ, დროს რომ გვპარავენ ხოლმე; იქნება სულაც სხვა ქვეყნისკენ გვექნა პირი და ამ წყეული ჯოჯოხეთისაგან თავი დავუღწია. ერთ მშვენიერ დღეს კი, ვინ იცის, შეიძლება ზაფხულის წვიმასავით ან ქარიშხალივით დაგვატყდეს ის, რასაც აქამდე სიყვარული ერქვა, მით უმე-

ტეს, რომ რაი მკვდარია, — და ცოტა ხნის შემდეგ უფრო ხმამაღლა და მკვახედ დააყოლა: — მკვდარია.

— მკვდარიო, ისე გაიძახი, კაცი იფიქრებს, უხარიაო, — თქვა ნელამ.

— მოიცა, თუ ღმერთი გწამს. კარგად იცი, შენზე ნაკლებად არ ვანმიცდია მისი დაკარგვა, თუმცა ეს კია, ჩემებურად განვიცადე. ეჭვი არ მეპარება, ქვეყანაზე გაცილებით მეტი საპატარძლო დაიარება, ვიდრე აქაი სამეფოებრო კაცი. იმნაირი ქალები კი, დროის გასატარებლად რომ გამოგადგება — უამრავია. ასეა თუ ისე, რაი მკვდარია და გზებიც მოჭრილი გაქვს. ორში ერთია, ან ქვრივად უნდა დარჩე, ან არადა, ხელმეორედ გათხოვდე, შენ კიდევ არც აქეთა ხარ და არც იქით, ცდილობ დროის ისეთ კატეგორიას შეაფარო თავი, საერთოდ რომ არ არსებობს.

— არ არსებობს, მაგრამ სწორედ ახლა ეყრება საფუძველი, — უკმეხად უბასუხა ნელამ. — უსათუოდ შეიქმნება ის კატეგორია, რომელსაც, მართალია, ჯერჯერობით არა აქვს სახელი, მაგრამ აუცილებლად ექნება. ოპ, ყველანი მძულხართ, იმიტომ რომ გგონიათ, ძველებურადააო ყველაფერი, და დავიწყების ფერფლი ისე მოაყარეთ სიკვდილს, ნაცარს რომ წააყრიან ხოლმე ყინულს. ბავშვის გულისთვისო, ბავშვის ხატრითო, გაიძახით.. დიახაც, კარგი მოსასმენი სიტყვებია, თან თავის გასამართლებლადაც გამოდგება; მაშასადამე, ქვეყნიერებას ისევ ბავშვების ხატრით უნდა მოვუვლინოთ ახალი ქვრივები, ახალი ქმრები, იმთავითვე რომ დასილუბად და ცოლების დასაქვრივებლად არიან განწირულნი. მეტი შევაუღლოთო, ქადაგებო. პაი, თქვე გლახებო, უკეთესი ვერაფერი მოიფიქრეთ, არა? ვიცი, ვიცი, რასაც მეტყვით და მიბასუხებო. — ნელა წამოდგა, სხვა სავარძელში გადაჯდა და საწოლის თავთან ჩამოკიდებულ რაის ფოტოსურათს ახედა. — ვიცი, — გაიმეორა მკვახედ, თან პატერ ვილიბრორდის ხმას წაბაძა: — „ბავშვი და თქვენი მეუღლის სსოვნა სათუთად უნდა შეინახოთ; წმიდა კავშირი ზეცაში იკურთხება“. ნიადაგ ეს აკერიათ პირზე, თან ავგურთა ღიმილი გადაეფინებათ ხოლმე სახეზე, ხატებსაც იმას ევედრებიან, ღვთის მადლითა და შემწეობით მზნე და ლომგული ძეები გვიმრავლოსო ღმერთმა, — კვლავაც ხომ უნდა იმუშაოს ქვრივ-ობოლთა ფაბრიკამ?! ფოსტალიონები აკი ყველგან საკმარისადაა, რომ უწყებები ჩამოარიგონ, მღვდლებიც ბევრია, რომ დაგამშვიდონ და დაგაიმედონ. პო, თუ ვინმე ქვეყანაზე გრძნობს, რაიმუნდი აღარ არისო, — მე გახლავართ, მე! ვიცი, რომ აღარაა ჩემთან, ვიცი, აღარაა და არც არასოდეს დამიბრუნდება. მშვენივრად მესმის ეს ყოველივე და ზოგჯერ მძულხარ კიდევ, რადგან მართლა აპირებ ხელმეორედ მაქციო პოტენციურ ქვრივად. ქალი თუ ოჯახს დროზე მოეკიდები, ჩემი არ იყოს, ასე თექვსმეტოდე წლისა, იმ ნეტარ სიკვდილამდე ბარე ხუთი-ექვსჯერ თავისუფლად მოასწრებ დაქვრივებას და მაინც იმ ხნის დარჩები, მე რომ ვარ ახლა. ჩაგიკითხავენ საზეიმო ფიცს, შეგკრავენ საზეიმო კავშირით და ღიმილ-ღიმილით შემოგაბეჭებენ იდუმალ სიტყვებს: ქორწინება ზეცაში იკურთხებაო. კი ბატონო, ასე იყოს, და მეც სწორედ ზეცას შევნატრი, სადაც ნამდვილად აკურთხებენ ჩემს ქორწინებას. იქნებ იმის თქმა გინდა, სიკვდილს ვერ დაამარცხებო?

— სწორედ ამის თქმას ვაპირებდი.

— პოდა, სხვა რამეს არც მოველოდი შენგან. მართლაც რომ ბრძნული აზ-

რია, ჩემო კარგო, გემაყებოდეს. იქნებ იმის თქმაცა გსურს, რატომ არ გინდა ახალი ცხოვრება დაიწყო?

— შესაძლოა ესეც მეთქვა.

— მოიცა, თუ ღმერთი გწამს, ჩემი წარსული ცხოვრება მეტისმეტად ლაზი იყო... ახალი ცხოვრება კი შენი გაგებით ისაა, ხელმეორედ ვიქორწინო, თან შენ გამოგყვე ცოლად...

— ეშმაკსაც წაუღია ყველაფერი! — წამოიძახა ალბერტმა, — ხომ არ გგონია, დღე და ღამე იმას ვფიქრობ, ცოლობაზე როგორ დაგიყოლიო? საქმე ისაა, რომ ამაზე გონივრულ ნაბიჯს ჩვენ ვერ გადავდგამთ.

— დიდი მადლობელი ვარ შენი, თურმე ქათინაურებიც კარგი გცოდნია.

— მაპატიე, ცუდად გამომივიდა ნათქვამი. — მერე გაელიმა და დააყოლა: — სულაც არა ვარ წინააღმდეგი შეგირთო.

— ეს კიდევ უკეთესი. იმის თქმა გინდა, რომ ეს ამბავი არ მოგკლავს, არა?

— მოვრჩეთ ამ სისულელეებზე ლაპარაკს, — გაცხარდა ალბერტი. — კარგად იცი, რომ მომწონხარ, ღამაზე ქალად მიმაჩნიხარ.

— მოგწონვარ, მაგრამ შენი შესაფერისი ვერა ვარ, არა?

— სისულელეებს თავი დაანებე. მე მაინც მჯერა, რომ შეიძლება ახალი ცხოვრების დაწყება.

— წადი ახლა, — უთხრა ნელამ, — წადი.

ამასობაში გათენებულიყო. ალბერტი წამოდგა და მწვანე ფარდა ისევ ჩამოაფარა ფანჯარას.

— კეთილი, მივდივარ.

— გულში თუ ფიქრობ, მოვათვინიერებ და ცოლად მაინც გამომყვებაო, იცოდე, გეშლება.

— აბაზანა დაგჭირდება?

— არა, — უპასუხა ნელამ, — სამზარეულოში გადავივლებ წყალს, წადი, წადი.

ალბერტი აბაზანაში შევიდა, წყალი მოუშვა და გაზი ანთო. საშხაპეს კვლავ ისე ჩამოადებინა თავი, რომ წყალს უხმოდ ედინა აბაზანაში. მაჯის საათი ლურსმანზე ჩამოჰკიდა, სხვა დროს საშხაპე რომ კიდიო ხოლმე, და ნელასთან გაბრუნდა; ქალი კბილებს იხეზავდა სამზარეულოში.

— შენ გავიწყდება, რომ ერთხელ უკვე შევეცადეთ შენებურად გვეცხოვრა, და საერთოდაც, ძალზე ბევრი რამ გავიწყდება.

ნელამ წყალი გამოივლო პირში, ჭიქა დადგა და შორენკეცებს უნებურად თითები გადაუსვა.

— ჰო, მაშინ ბავშვის გამო არ მინდოდა, ძალზე პატარა იყო, უბრალოდ არ შემეძლო. მაპატიე, ეს ამბავი სულ არ გამხსენებია.

იმხანად, ომი რომ გათავდა, ნელაზე ფიქრი მოსვენებას არ აძლევდა. ნელა იყო პირველი ქალი, ვისთანაც ერთ კერძვეშ მოუწია ცხოვრება მამაკაცებს შორის გატარებული ხუთი წლის შემდეგ, თანაც ღამაში ქალი. ერთ ღამეს, რამდენიმე დღის ჩამოსული თუ იქნებოდა, ალბერტმა შარვალი ჩაიცვა, ღამის პერანგზე ხალათი მოისხა და ფეხშიშველა გაემართა ნელას ოთახისაკენ. ქალს ჯერ სინათლე ენთო, საწოლზე იჯდა და კითხულობდა, მხრებზე დიდი შავი შალი მოეხვია, მოშლილი ელექტროლუმელი კი, საწოლთან რომ ედგა,

ხმადაბლა ზუზუნებდა. ალბერტი რომ შემოვიდა, ნელამ გაუღიმა, შემდეგ მის შიშველ ფეხებს მოჰკრა თვალი და წამოიძახა: „ღმერთო ჩემო, გაცვივდები, აი აქ ჩამოაქექი“. გარეთ ციოდა და ოთახში კარტოფილის სუნი ტრიალებდა; კარტოფილით სავსე ტომრები ტანსაცმლის კარადებში ეწყო ერთიმეორეზე, რადგან სარდაფში ვერაფერს შეინახავდი, ყველაფერს იპარავდნენ. ნელამ წიგნი დაკეცა, საწოლთან დაფენილ ცხვრის ტყავზე მიუთითა და სქელნაქსოვი წითელი ჯემპრი გადაუგდო, ფეხებზე მოიხვიეო. ალბერტს არაფერი უთქვამს, დაჯდა, ფეხებზე ჯემპრი მოიხვია და ღამის მაგიდაზე დადებული კოლოფიდან სიგარეტი ამოიღო. შემდეგ უფრო მოხერხებულად მოკალათდა და გავარვარებული ღუმლის საამო სითბოც იგრძნო. ნელა არაფერს ამბობდა, ღიმილითაც აღარ ეღიმებოდა. ბავშვი თავის საწოლში იწვა, წიგნის კარადასთან და გაცივებულს წარამარა ცხვირში აქშუტუნებდა. ნელას თვალ-წარბი დაუხატავი ჰქონდა და უფრო ხნიერი ჩანდა, ვიდრე დღისით; თითქოს ფერმკრთალიც იყო. დაღლილიც და მის სუნთქვას, ალბერტსაც რომ ესმოდა, ყოვლად უვარგისი არყის სუნი ახლდა. ალბერტმა თავი უხერხულად იგრძნო, ნელას მაგიდიდან წიგნი აიღო და ფურცელას მოჰყვა: „ტერეზ დეკერუ“ — ეწერა წიგნს. მაგიდის ქვედა თაროზე ნელას საცვლები ეყარა. ეუხერხულებოდა, ამ შუალადით კარზე დაუკაკუნებლად რომ შევიდა მის ოთახში, და ნელას თვალს არიდებდა. წამით ჩიუტად მიაშტერდებოდა კედელს, რომელზეც რაიმუნდის ფოტოსურათი ეკადა, ხან საწოლის გასწვრივ გააყოლებდა მზერას, მაგრამ საითაც არ უნდა გაქცეოდა თვალი, მაინც ნათლად დაუდგებოდა ზოლმე რაიმუნდის სახე: მიუკარებელი მამაკაცის გაბრაზებული სახე, თავისივე უაზრო და შემთხვევითი სიკვდილის გამო რომ იყო განრისხებული.

— ხომ არ დაღევდი? — ჰკითხა ნელამ და ალბერტი მადლიერი დარჩა, რაკი ნელამ გაუღიმა ბოლოს.

— სიამოვნებით.

საწოლსა და კედელს შორის დარჩენილი ღრეჩოდან ნელამ ჭიქა და ამღვრეული, მოყავისფრო არაყის ბოთლი ამოაძვრინა, მერე სასმელი ჭიქაში ჩამოუსხა. არაფერი უთქვამს, აღარც აუგულიანებია, აღარც ალბერტის დაშოშმინებას ცდილა, ეგ იყო, დადარილებული იცდიდა.

და ალბერტმაც ხმა ამოიღო:

— შენც ხომ არ დაღევდი?

ნელამ კვერი დაუკრა, იმავე ღრეჩოდან ახლა ყავის ფინჯანი ამოამზეურა, შიგ ჩარჩენილი ნალექი იქვე იატაკზე გადმოაქცია და ფინჯანი ალბერტს გაუწოდა. ალბერტმა დაუსხა, მერე გააბოლეს, ღუმელი კი დიდ და ალერსიან კატასავით კრუტუნებდა ალბერტის ზურგს უკან. სანამ სასმელს გამოცლიდნენ, შუქი გამორთო და ელექტროღუმელის მოწითალო ნაშუქთან მოკალათებულმა უთხრა:

— თუ არ გინდა, მითხარი, ახლავე წავალ.

— არა, — უბასუხა ნელამ, მერე უხერხულად გაეღიმა და ალბერტი ვერ ნიხვდა, „ჰოს“ ნიშნავდა ქალის ის პასუხი თუ „არა“-ს. ალბერტმა ელექტროღუმელიც გამორთო, დაიცადა, ვიდრე სპირალები ჩამუქდებოდა და ნელას საწოლთან დაიხარა. თითქოს მარყუჟში მოიქციაო, ქალმა ბნელაში ორივე ხელით მიიზიდა ალბერტის თავი, ლოყაზე აკოცა და წასჩურჩულა: „წასულიყავი, აჯობებდა“. ალბერტს უცებ ცივი წყალი გადაასხეს თითქოს: გული აეყა-

რა ნელს ტუჩებზე, მოლოხლოხებული თან ნამეტნავად ლოშია მოეჩვენა. ალბერტს არც კოცნა ესიამოვნა, რადგან ნელას კოცნა სხვაგვარად ჰქონდა წარმოდგენილი. ალბერტმა ისევ ჩართო სინათლე, ჩართო ელექტროდუმელიც და გულს მოეფონა, რაკი არაფერი შეიხვედრა სასირცხვილო, მით უმეტეს, რომ ნელაც კარგად მოექცა, თან არც გული დასწყვეტია მაინცდამაინც, წადილი ვერ ავისრულყო. ანთო თუ არა შუქი, ნელას გაეცინა, თითქმის მარყუქში მოიქცია, ისევე მკლავებში მოიმწყვდია, თავისკენ მიიზიდა და ახლა მეორე ლოყაზე აკოცა, ალბერტს არც ამჯერად ესიამოვნა ნელას კოცნა.

— თავს არ უნდა მივცეთ ამის უფლება, — უთხრა ნელამ. ალბერტი თავის ოთახში გაბრუნდა და მას აქეთ ამ თემაზე სიტყვაც აღარ დაუძრავთ. ეს ამბავი ალბერტს რა ხანია გადაავიწყდა და მხოლოდ ახლა გაახსენდა აბაზანაში.

ნელამ თაროზე შემოდგა ჭიქა და ჩაფიქრებულმა ალბერტს შეხედა.

— მართალია, მაშინ ბავშვის გამო არ მინდოდა.

— ახლა კი, — თქვა ალბერტმა, — ახლა მე არ შემიძლია ბიჭის გამო.

— საკვირველია, — ღიმილით თქვა ნელამ, — როგორ დამავიწყდა?!

— ზოგი რამ გვაავიწყდება ხოლმე, — ღიმილითვე უპასუხა ალბერტმა, —

ასე გვგონია, არაფერი მომხდარაო. იმეღია, ჩემზე აღარ ბრაზობ.

— არადა, მას აქეთ ცხრა წლით დავბერდით, — უთხრა ნელამ, — დამე ნებისა.

ალბერტი აბაზანაში დაბრუნდა, ცოტა ხნის შემდეგ კი ნელას ფეხის ხმაც მოესმა, ისიც გაიგონა, კარი რომ ჩაკეტა ნელამ. ალბერტმა ტანთ გაიხადა და აბაზანაში ჩაჯდა; ისე იყო დაღლილ-დაქანცული, ჯავრზეც მოვიდა, ცხრა საათისთვის ფეხზე ვეღარ დავდგებო. უყვარდა ადრე დაწოლა, ღრმა და დიდხანს ძილი, უყვარდა დილდილობით ადრე აღგომა, მარტინთან ერთად საუზმობა და ბიჭის სასკოლოდ მომზადება. კარგად იცოდა, როგორ უჭირდა ბიჭს უთენია ფეხზე წამოხტომა, საუზმის გახაზირება, სკოლაში წალასლასება და იმაზე ფიქრი, სხვებს ახლა მშვიდად სძინავთ შინ ალბერტის მშობლებს პატარა რესტორანი ჰქონდათ და ნაშუალამევის სამ-ოთხ საათზე ადრე არასოდეს დაწოლილან. იქ ვიდრე ცხოვრობდა, დილაობით თამბაქოს კვამლით გაჰყარტლულ დარბაზში უნდა გაეცლო, რომ დიდსა და ცარიელ სამზარეულოში შესულიყო. ახლაც ახსოვდა გალიგვებული ქონისა და შეძველებული სალათების სუნნი. ერთ-ერთ ლანგარზე მისთვის გაწყობილი ბუტერბროდები იდო, ყავას ეიდევ გაზქურაზე უტოვებდნენ, ალუმინის ჭურჭელში. ახსოვდა ანთებული გაზქურის სისინი გაყინულ და აქოთებულ სამზარეულოში, სახელდახელოდ უწევდა ხოლმე ცხელი ყავის შეხვრება, შენათბობზე რომ უსიამოვნო გემოს აიყოლიებდა; დასანახად სძულდა ბუტერბროდები, ხელდახელ დაჩეხილი ხორცის დიდრონი ნაჭრებით რომ იყო გამოვსებული. მას აქეთ, რაც მამისეულ სახლში აღარ ცხოვრობს, სულ იმას ოცნებობს, ნეტა ადრე დამაწვინა ლოგინში და ფეხზეც ადრე ამაყენაო, მაგრამ მუდამ ისეთ ხალხთან უწევდა ცხოვრება, რომ იმათ გადამკიდემ ცხოვრების ასეთი წესი ვერა და ვერ გაიმაგალითა. ალბერტმა ცივი წყალი გადაისხა, ტანი შეიმშრალა და ფეხაკრეფით შევიდა სამზარეულოში. სანამ იბანდა, გლუმს, ეტყობა, მოესწრო აქ ჩამოსვლა; მისი ყავადანი ცარიელი იდგა, იქვე ხუფი იდო. აღარც ბოლდა უნდა ყოფილიყო შინ: მაგიდაზე იმ მომჟავო შავი ჭურის ნაფშვენები ეყარა.

ალბერტი თავის ოთახში შევიდა და მარტინის გაღვიძება დააპირა, მაგრამ ბიჭი გაღვიძებული დაუხვდა და ღიმილით შეეგება; აშკარად გაუჩნდა, რომ ალბერტი შინ იყო და მასთან ერთად ისაუზმებდა.

— მაპატიე, გუშინ სალამოს რომ ვერ დაგხვდი, — უთხრა ალბერტმა, — საქმე მქონდა, დამირეკეს. აბა, ადგომის დროა.

როცა მარტინი ლოგინიდან წამოხტა და წელში გაიმართა, ალბერტი შეკრთა: გაზრდილიყო ბიჭი, ნელა კიდევ ჯიუტად არ ამჩნევდა ამას და მუდამდღე თავს იტყუებდა. მარტინი ოთახში დატოვა, ხოლო თვითონ სამზარეულოში გაბრუნდა, კვერცხებს მოვხარშავ და ბუტერბროდებს მოვამზადებო. ნელას ოთახიდან არაფერი ისმოდა და რაღაც წამით ნელასიც გაიგო: აქი თავადაც ეშინოდა, ლამისდა თვალისწამში რომ გაიზარდა ბიჭი და თან უდავოდ სხვა სამყაროში ცხოვრობდა.

(დასასრული იქნება)

მისილ ბუღბაკოვი

ბატონ დე მოლიერის ცხოვრება



თარგმნა გივი კიკილაშვილმა

თავი 12

„მცირე ბურბონი“

ანაგრამა: ელომირი — მოლიერი.
„მთელი ქვეყნის გასაკვირად
ბურბონშია ელომირი“.

პასკვილი „ელომირი-იპოქონდრიკი“,
1670 წ.

ბატონი მოლიერი მეფის განკარგულების თანახმად „მცირე ბურბონის“ სასახლისკენ გაემართა, რათა იტალიელთა დასთან ერთად ბინა ერთ პერქვეშ დაედო. „გამიჯნურებული ექიმი“ მეფეს ისე მოეწონა, რომ მოლიერის დასს ათას ხუთასი ლივრი წლიური გასამრჯელო დაუნიშნა იმ პირობით, რომ ბატონი მოლიერი იტალიელებს „ბურბონის“ თეატრში შეჭრის საზღაურს გადაუხდიდა. მოლიერი მოურიგდა იტალიელებს, რომელთაც სათავეში მისი ძველი მასწავლებელი სკარამუჩია ედგა, რომ სწორედ ამ თანხას, ესე იგი წელიწადში ათას ხუთას ლივრს მისცემდა.

მოლიერის დასს „მეფის ერთადერთი ძმის დასის“ სახელი დაუმტკიცდა და ფილიპ ორლენელმა მოლიერის მსახიობებს უმაღლეს წელიწადში თვითეულს სამასი ლივრი დაუნიშნა. მაგრამ დიდი მწუხარებით უნდა აღვნიშნოთ, რომ, თანამედროვეთა დამოწმებით, ამ სამასი ლივრიდან ერთიც არასოდეს არავისთვის გადაუხდიათ. ამის მიზეზად ის შეიძლება მივიჩნიოთ, რომ მეფის ძმის ხაზინა სავალალო მდგომარეობაში გახლდათ.

— ასეა თუ ისე, მეფის ძმის თვით განზრახვაც კეთილშობილურია, — ნაღვლიანად ამბობდნენ მსახიობები.

გადაწყვიტეს, რომ მთელ შემოსავალს მსახიობები გაინაწილებდნენ თავიანთი წილის მიხედვით, მოლიერი კი, ამას გარდა, თავისი პიესების საავტოროსაც მიიღებდა.

წარმოდგენების დღეები იტალიელებთან იოლად გაინაწილეს. მოლიერს თრშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით უნდა ეთა-

დასაწყისი იხ. „საუნჯე“ № 4.

მაშა. შემდეგ კი, როცა იტალიელები პარიზიდან წავიდნენ, ოთხშაბათი, პარასკევი და კვირაც მას დარჩა.

„მცირე ბურბონის“ სასახლე სენ-ჟერმენ დ'ოქსერუას ტაძრისა და ძველი ლუვრის შორის მდებარეობდა. „მცირე ბურბონის“ მთავარ შესასვლელზე მსხვილი ასოებით ეწერა: „იმედი“, თვით სასახლე კი ფრანგულად „მელახული იყო, ყველა გერბი და შემკულობა დაზიანებული ანდა მთლად დამსხვრეული გახლდათ, რადგან უკანასკნელი წლების შინაომს კვალი მისთვისაც დაემჩნია. „ბურბონის“ შიგნით საკმაოდ დიდი თეატრალური დარბაზი იყო, რომელსაც გვერდებზე გალერეები ჩაჰყვებოდა, ხოლო დორიულ სვეტთა შორის ლოქები მოეთავსებინათ. დარბაზის ჰერზე შროშანები ეხატა, სცენის თავზე ჯვრისებური ჭალები ეკიდა, დარბაზის კედლებზე კი ლითონის ბრები ენთო.

დარბაზს დიდი წარსული ჰქონდა. 1614 წელს აქ გაიმართა გენერალური შტატების უკანასკნელი სხდომები (თუ არ ჩავთვლით 175 წლის შემდეგ ლუი XV-ის მიერ მოწვეულ გენერალურ შტატებს). პარიზის ვაჭართა მამასახლისი, მესამე წოდების თავმჯდომარე, მეფეს ამ დარბაზში სთხოვდა შეეღწას „საწყალი ხალხისა, ვისაც ძვალი და ტყავიღა ჰქონდა შერჩენილი“. 1615 წლიდან კი, მას შემდეგ, რაც იქ სამეფო ბალეტის დადგმა განხორციელდა, დარბაზი თეატრალურ წარმოდგენებს დაეთმო და ყველაზე ხშირად პიესებს იტალიელები დგამდნენ. ზოგჯერ ფრანგებიც თამაშობდნენ. „ბურბონში“ თეატრალური ცხოვრება მაშინ შეწყდა, როცა ფრონდა დაიწყო, რადგან „ბურბონის დარბაზში“ დაპატიმრებულ სახელმწიფო დამნაშავეებს სვამდნენ, ვისაც ბრალად ედებოდა მისი უდიდებულესობის შეურაცხყოფა. დარბაზის შემკულობა სწორედ მათ წაახდინეს.

ფრონდის დამთავრების შემდეგ „ბურბონში“ პიერ კორნელის პიესა „ანდრომედა“ დადგეს რთული მოწყობილობითა და მუსიკის თანხლებით, თანაც „ანდრომედასთვის“ მუსიკა ჩვენმა ძველმა ნაცნობმა დ'ასუსიმ დაწერა, რომელიც შემდგომში ამტკიცებდა, კორნელის ლექსებს სული მე შთავებოდა.

ბოლოს დარბაზში იტალიელები დამკვიდრდნენ. პარიზში ისინი ძალიან უყვარდათ. გარდა იმისა, რომ იტალიელები კარგად თამაშობდნენ, პირველხარისხოვანმა მემანქანემ და დეკორატორმა ტორელიმ სცენა საუცხოოდ მოაწყო და ფეერიების დადგმისას სასწაულებს ახდენდა.

იტალიელთა მოწყობილობის გამო აღტაცება იმდროინდელმა თეატრალურმა ფელეტონისტმა ლორემ უხეირო ლექსით გამოხატა:

სცენის თავზე დაფრინავდა
შემზარავი ურჩხული,
ამქვეყნად ჯერ არ - ნახულა
ასეთი სასწაული!

ამას გარდა, იტალიელებს მშვენიერი ბალეტიც ჰქონდათ, რაც იმავე ლორემ აღნიშნა:

ვფიცავ, არ განმიცდია
ნეტარება ასეთი,
ვნახე იტალიური
დიდებული ბალეტი!

აი, ასეთ ძლიერ დასთან მიუჩინეს ადგილი მოლიერსა და მის კომედიანტებს.

ოქტომბერში პარიზს ჩასული ჟან ბატისტი მამის სახლში შევიდა და მოსუცს გულმხურვალედ გადაეხვია. მამას კარგად მაინც ვერ გაეგო, რანაირად მიაღწია ცხოვრებაში განსაცვიფრებელ წარმატებას მისმა უფროსმა შვილმა, ვინც უარი თქვა სამეფო კარის კამერდინერის წოდებაზე და სამსახურს მიატოვა, რათა თავი კომედიური ხელოვნებისთვის მიეძღვნა. მაგრამ საუცხოო დაშინამ, ძვირფასმა ტანსაცმელმა და იმ ამბავმა, რომ ჟან ბატისტი მეფის ძმის დასის დირექტორი შეიქნა, მოხუცი განაცვიფრა და იგი შვილს შეურიგდა.

მოლიერმა ბულიონი დალია, 24 ოქტომბერს განცდილი მღელვარების შემდეგ მამის სახლში დაისვენა და პარიზში დაბინავებას და „მცირე ბურბონში“ რეპეტიციებს შეუდგა.

1638 წლის ორ ნოემბერს მოლიერმა „მცირე ბურბონში“ წარმოდგენები მაინც კომედიით კი არა, კორნელის ტრაგედიის „პერკულესით“ დაიწყო. პიესა არცთუ ისე უხეროდ ითამაშეს, ხალხიც ბლომად დაესწრო, მაგრამ პარიზელებმა მაინც საგონებელში ჩავარდნენ. ერთნი ამტკიცებდნენ, „იმის... რა ჰქვია... მოლიერის“ დასი საუცხოოდ ითამაშობსო, თანაც დაუმატებდნენ, მეფე გულიანად იცინოდაო. ისინი გვარდიელთა დარბაზში „გამიჯნურებული ექიმის“ მნახველნი იყვნენ. სხვები ამბობდნენ, მოლიერის დასი ძალზე საშუალოდ ითამაშობს, და ვერ გაეგოთ, მოლიერს „მცირე ბურბონი“ ასეთი ზარ-ზეიმით რატომ მისცეს. ისინი „პერკულესზე“ ნამყოფნი გახლდნენ.

დაიწყო დიდი მითქმა-მოთქმა, რამაც ის გამოიწვია, რომ „ბურბონს“ ხალხის დიდი ტალღა მიაწყდა. ყველას სურდა, თავად ეხილა, რას წარმოადგენდა ახლად მოვლენილი მოლიერი. ეს ტალღა „ნიკომედზე“ და „გამიჯნურებულ ექიმზე“ მოხვდა და პარიზს აღფრთოვანებულ მაყურებელთა ახალი ჯგუფი შეემატა. თუმცა „ნიკომედზე“ ძალზე ცოტას ლაპარაკობდნენ, მხოლოდ იმას გაჰყვიროდნენ, ქალბატონი დიუპარკი ლამაზია, „ის მოლიერი“ ისეთი სასაცილოა, ენით არ აიწერება, ფარსი კი დიდებულიაო.

მაყურებელთა შემდგომ რიგს არ გაუმართლა. მოლიერმა ერთმანეთის მიყოლებით დადგა კორნელის სამი პიესა — „როდოგიუნი“, „პომპეუსი“ და „სიდი“. ახლა კი მაყურებელი აჯანყდა, ვიღაც ფიცხმა პარიზელმა, „პომპეუსის“ მოსაწყენი წარმოდგენის დროს პარტერში ფეხზე რომ იდგა, კეისრის როლის შემსრულებელ ბატონ მოლიერს ვაშლი ესროლა და, საბედნიეროდ, თავში მოახვედრა. ამ თავხედურმა საქციელმა დასის დირექტორს გონება გაუუნათა და მორიგ წარმოდგენად „ქარაფშუტა“ გამოაცხადებინა. ვითარება მკვეთრად შეიცვალა: წარმატება სრული გახლდათ.

აქ კვლავ და კვლავ დაისმის მნიშვნელოვანი საკითხი, თუ რა იყო მიზეზი იმ ტრაგედიების ჩაფლავებისა, რომლებსაც მოლიერი ასრულებდა. ანუ: ბურგონელები ითამაშობდნენ ტრაგედიებს კარგად, თუ მოლიერი ითამაშობდა უხეროდ? არც ერთი და არც მეორე. უწინარეს ყოვლისა, საქმე ის გახლავთ, რომ მოლიერი ტრაგედიას სულ სხვა ყაიდაზე ითამაშობდა, ვიდრე მაშინ იყო მიღებული. ბურგონელთა შორის, როგორც ყოველ თეატრში, იყვნენ დიდებული მსახიობები, როგორც, მაგალითად, ქალბატონი დეზეიე და ბატონი ფლორიდორი, იყვნენ საშუალონიც და უხეირონიც. ყველანი სწორედ იმ ბელროზის სკოლას ეკუთვნოდნენ, ვინც ჯერ კიდევ პაპა კრესეს აღფრთოვანებდა,

მაგრამ ვისზედაც ერთმა დიდი გემოვნების მქონე პარიზელმა ასეთი რამ თქვა: — ეშმაკმა დალაზვროს! როცა იგი თამაშობს, გეჩვენება, რომ არც ერთი სიტყვა არ ესმის, რასაც წარმოთქვამს.

რა თქმა უნდა, ეს შეფასება რამდენადმე გაზვიადებულია. მაგრამ ის მაინც შეიძლება ვალიაოთ, რომ ბელროში ყალბი მსახიობი იყო და სცენაზე შინაგანი ცხოვრებით არ ცხოვრობდა.

ჩასუქებულ და ავადმყოფურად შურიან მონფლიორის პარიზში დიდად ჰქონდა სახელი განთქმული, მაგრამ ეპიკურელი სირანო დე ბერჟერაკი მასზე ამას ამბობდა:

— მონფლიორის თავი დიდი ვინმე მხოლოდ იმიტომ ჰგონია, რომ ერთ მშვენიერ დღეს ვერ გაჯობავ.

მახვილგონიერსა და სცენის დიდებულად მცოდნე ბერჟერაკს მონფლიორი საერთოდ ისეთ სიძულვილს აღუძრავდა, რომ ერთხელ მთვრალმა თავს ნება მისცა, თეატრში აურზაური აეტეხა, მსახიობი გამოელანძღა და სცენიდან გაეგდო. ეს რას გვაუწყებს? პირველ რიგში იმას, რომ ბატონი ბერჟერაკის, გასენდის მოწაფისა და დრამატურგის ამგვარი საქციელი სამარცხვინოა: იმდროინდელი კომედიანტის შეურაცხყოფა ძნელი არ იყო და დიდ სიმამაცედ არ ჩაეთვლებოდა. მაგრამ ეს იმასაც გვაუწყებს, რომ დახვეწილი ნოვატორები დეკლამირების ძველებურ, ზუზუნნარევ, მოსაწყენ ყაიდას ვერ იტანდნენ. ყველა ბურგონელი კი სწორედ ამ ყაიდაზე თამაშობდა — ზოგი კარგად, ზოგი ცუდად.

მოლიერს კი სცენაზე პირველი ნაბიჯებიდანვე, ჯერ კიდევ „ბრწყინვალე თეატრში“ სურდა, სცენიდან დრამატურგიული ტექსტის ბუნებრივი და შინაგანად სავსებით გამართლებული გადმოცემის სკოლა შეექმნა. მოლიერი დასაწყისიდანვე ამ ყაიდაზე შეუდგა მუშაობას და თავის კომედიანტებსაც ამასვე ასწავლიდა.

მაშ რა მოხდა? თითქოს მოლიერს უნდა გაემარჯვა და მის სისტემას მაყურებელთა გული მიეზიდა. სამწუხაროდ, არა. მოლიერმა თავისი სისტემა, უპირველეს ყოვლისა, ტრაგედიაში გამოიყენა, მას კი ტრაგიკული როლების შემსრულებლის თვისებები არ გააჩნდა: არც შესაფერი ტემპერამენტი ჰქონდა, არც ხმა. მაშასადამე, ცოდნით კი კარგად იცოდა, ტრაგედიის თამაში როგორ უნდოდა, მაგრამ ცუდად თამაშობდა. რაც შეეხება მის მეგობრებს, კარგი ტრაგიკული მონაცემები ბევრ მათგანს გააჩნდა, მაგრამ თვით სისტემა მოლიერისა ისე ახალგაზრდა გახლდათ, რომ მაყურებლის უცაბედად დაპყრობას ვერ შეძლებდა.

ჰოდა, რა თქმა უნდა, როცა კარგად დაყენებული ხმის მქონე ბურგონელები ფარდის დაშვებისას ყალბკლასიკური მონოლოგების ბოლო სიტყვებს გაჰყვიროდნენ (ამაში განსაკუთრებულ ოსტატობას მონფლიორი ავლენდა), პარიზში სრულ წარმატებას აღწევდნენ. მაშინდელ პარიზელებს აბჯროსანი მძლეთა მძლე გმირების, ჭაფი ხმის მქონე გმირების ხილვა სურდათ და არა ისეთი უბრალო ადამიანებისა, როგორნიც ცხოვრებაში თავად იყვნენ. მოლიერის თეატრში ტრაგედიების ჩაფლავების მიზეზიც ეს გახლდათ.

„მცირე ბურბონში“ „ქარაფშუტას“ „ტანჯვა სიყვარულისა“ მოჰყვა და ამ პიესასაც დიდი წარმატება ხვდა. წარმატებას დიდად შეუწყო ხელი ფილი-

ბერ დიუკრუაზიმ, რომელიც დასს შეემატა და სასაცილო მეცნიერის, მეტაფრასტის როლი მშვენივრად შეასრულა.

„ტანჯვა სიყვარულისა“ ისე გახმაურდა, რომ იტალიელთა დასმა იგრძნო, რა სახიფათო იყო ფრანგი მოლიერის მეზობლობა. დედაქალაქელი მაყურებელნი, რომელნიც „ბურბონში“ მხოლოდ იტალიელთა დღეებში სიყვარულს იყვნენ მიჩვეულნი, ახლა თეატრს მოლიერის დღეებშიც მიაწყდნენ. ყოფილი მოხეტიალე, ამჟამად კი ერთ ადგილას ფეხმოკიდებული მსახიობების — ორლეანის პრინცის კომედიანტების სალაროში ოქროს პისტოლებმა იწყო დენა. მსახიობთა წილი გაიზარდა, ხოლო მოლიერზე პარიზში დიდი მითქმა-მოთქმა ატყდა.

პირველ რიგში მაინც რას ლაპარაკობდნენ? პირველ რიგში ლაპარაკობდნენ, დრამატურგი მოლიერი უსირცხვილოდ იყენებს იტალიელ ავტორთა ნაწარმოებებს და მათგან ბევრი რამ გადმოაქვსო. დროთა განმავლობაში მოლიერის მძარცველობაზე ლაპარაკი ისეთ მოღაღად იქცა, რომ, თუ დარწმუნებით თქმა შეუძლებელი იყო, სახელდობრ რა და საიდან გადმოიღო, ამბობდნენ, „ალბათ“ გადმოიღო. თუ ამის თქმისთვისაც არ ჰქონდათ პირდაპირი საფუძველი, ამბობდნენ, მას შეეძლო, აქედან ანდა იქიდან გადმოეღო... ბოლოს და ბოლოს, მოლიერს რიზიანი და უტიფარი გამონათქვამი მიაწერეს: „სიმდიდრეს იქ ვიხვეჭ, სადაც ვბოულობ!“ — თუმცა ასეთი რამ მას არასოდეს უთქვამს, სულ სხვა რამეს კი ამბობდა: „მე ვიბრუნებ ჩემს სიმდიდრეს...“ — რითაც მიაწინებდა, რომ მისი ნაწარმოებებიდან სხვები სესხულობდნენ.

მოლიერი მართლაც მშვენივრად იცნობდა არა მარტო ძველ, არამედ იტალიურ და ესპანურ დრამატურგიას და წინამორბედთაგან არცთუ ისე იშვიათად იღებდა სიუჟეტებს, თავის ნაწარმოებებში ზოგიერთი პერსონაჟი გადმოჰყავდა, ზოგჯერ კი მთელი სცენებიც გადმოჰქონდა. განა ეს დასაძრახისია? არ ვიცი. მაგრამ ის კი შემოიძლია ვთქვა, რომ, საერთო აღიარებით, ყოველივე ნასესხები, რაც მოლიერს გადაუმუშავებია, ორიგინალებზე გაცილებით უკეთესია. კერძოდ, მას შემდეგ, რაც „ტანჯვა სიყვარულისა“ ნახეს, კრიტიკოსები წერდნენ, რომ ამ პიესის ძირითადი შინაარსი მოლიერმა იტალიელი ნიკოლო სეკის კომედია „ინტერესიდან“ აიღო, რომელიც მის პიესაზე სამოცდათხუთმეტი წლით ადრე იყო დაწერილი. ამას გარდა, მას დასესხება შეეძლო სხვა იტალიური პიესიდანაც — „მარცხი სიყვარულისა“. აგრეთვე შეეძლო გამოყენება აზრისა, რომელიც ძველი ავტორის, პორაციუსის ერთ-ერთ ნაწარმოებშია გამოთქმული. დასასრულ, მას შეეძლო, ზოგიერთი რამ ესესხა დიდად სახელგანთქმული ესპანელი დრამატურგის ლოპე ფელიქს დე ვეგა კარპიოს „მებაღის ძაღლიდან“. რაც შეეხება დე ვეგას, რომელიც მაშინ მოკვდა, როცა მოლიერი პატარა ბიჭი იყო და მამის ღუქანში იჯდა, არც არის გასაკვირი, ვინმე რაიმეს რომ დაესესხოს, რადგან მას დაახლოებით ათას რვაასი პიესა აქვს დაწერილი. ტყუილად კი არ ეძახდნენ ესპანეთის ფენიქსს ანდა ბუნების საოცრებას.

ერთი სიტყვით, როგორც ხედავთ, ჩემი გმირი ძალზე ბევრს კითხულობდა, მათ შორის ესპანურ წიგნებსაც.

მაშ ასე, ნასესხებ ქარგაზე დაწერილი „ტანჯვა სიყვარულისა“ პარიზე-

ლებს ძალზე მოეწონათ და წარმოდგენები ტაშის გრილში ტარდებოდა, რასაც „ბურგონული თეატრი“ თვალს მტრულად ადევნებდა.

1659 წელს ბევრი რამ მოხდა, რაც უმთავრესად დასის შემადგენლობის ცვლილებასთან იყო დაკავშირებული. სააღდგომოდ მოლიერთან ერთი ყმაწვილი კაცი მივიდა, თავი მოკრძალებით გააცნო და სთხოვა, დასწრეშიმდებოდა. მას შარლ ვარლე სიორ დე ლაგრანჟი ერქვა. ყმაწვილი კაცი — ვაჟკაცური და ფიქრიან სახეს მალა აპრეხილი პატარა ულვაშები რომ უმშვენებდა, თავისი ამპლუათი პირველი აშიკი გახლდათ. მოლიერს იგი ძალიან მოეწონა და დასში უმაღვე ჩარიცხა. იმათი თვალსაზრისით, ვინც შემდგომ რამდენიმე საუკუნის მანძილზე ჩემი გმირის ცხოვრებას სწავლობდა, დიახაც სწორად მოიქცა.

სიორ დე ლაგრანჟმა დასში მისვლის პირველი დღეებიდანვე სქელი რვეული მოიმარჯვა. ამ რვეულში, რომელსაც „რეგისტრი“ დაარქვა, ყოვედღიურად იწერდა ყველაფერს, რაც კი მოლიერის დასში ხდებოდა. სიორ დე ლაგრანჟი აღნიშნავდა მსახიობთა სიკვდილსა და დაქორწინებას, დასიდან წასვლასა და ახალი მსახიობების მიწვევას, წარმოდგენების რაოდენობასა და სახელწოდებას, შემოსული ფულის ოდენობას და ასე შემდეგ. ეს ძვირფასი წიგნი — ლაგრანჟის ნაწერებით გავსებული და მისივე სიმბოლური ნახატებით შემკული „რეგისტრი“ რომ არ არსებობდეს, ჩვენს გმირზე გაცილებით ნაკლები გვეცოდინებოდა, ვიდრე ახლა ვიცით, უფრო სწორად რომ ვთქვათ, თითქმის არაფერი გვეცოდინებოდა.

მაშ ასე, დასს ლაგრანჟი შეემატა, საშჩგიეროდ, დიუფრენმა დედაქალაქი მიატოვა და მშობლიურ ნორმანდიაში გაემგზავრა. „ჭაობის თეატრმა“ ცოლქმარი დიუპარკი მიიწვია და ისინი მოლიერთან რალაც უთანხმოების გამო დასიდან წავიდნენ. ეს დიდი დანაკარგი გახლდათ. თავი იმით შეეძლოთ ენუგეშებინათ, რომ დასი დაამშვენა ახლად შემომატებულმა მსახიობმა, „ჭაობის თეატრისა“ და „ბურგონული სასტუმროს“ სახელგანთქმულმა კომიკოსმა ჟიულიენ ბედომ, რომელსაც მეტსახელად ჟოდლეს, სკარონის პიესების კომიკური პერსონაჟის სახელს ეძახდნენ. სამწუხაროა მხოლოდ, რომ მან მოლიერის თეატრში დიდხანს ვერ ითამაშა — ერთი წლის შემდეგ გარდაიცვალა. ჟოდლესთან ერთად „ჭაობის თეატრიდან“ გადმოვიდა მისი ძმა სიორ დე ლეპი. იგი სასაცილო მოხუცთა როლებს ასრულებდა, რომელთაც ფარსებში სახელად, ჩვეულებრივ, გორჟიბიუსი ერქვათ.

დაბოლოს, უნდა აღვნიშნოთ 1659 წლის მაისის მიწურულს მომხდარი სამწუხარო ამბავი: დასს განეშორა მოლიერის პირველი თანამებრძოლი, ერთ-ერთი „ოჯახის შვილი“, აშიკთა როლის შემსრულებელი ჟოზეფ ბეჟარი, რომელიც სიკვდილამდე ენაბრგვნილი დარჩა. მისი ცხედარი სასაფლაომდე მთელმა დასმა მიაცილა. თეატრმა რამდენიმე დღეს გლოვა გამოაცხადა.

მაშ ასე, 1659 წელმა გაცხარებულ მუშაობაში, ფუსფუსსა და მღელვარებაში გაიარა, მარცხს წარმატება მოსდევდა, წლის მიწურულს კი ერთი შესანიშნავი ამბავი მოხდა.

გალანძლული ცისფერი სასტუმრო ოთახი

— ქალბატონო, ვიდაც ლაქია გეიოხულობთ. ამბობს, რომ მის ბატონს თქვენი ნახვა უნდა.
— ბრძანდები როდის ისწავლი რიგთან ლაპარაკს? ასე უნდა თქვა: შეიკრიკე ვინმე გეიოხ-ლათ, რათა შეიტყოს, სასტუმროდ მიგაჩნიათ თუ არა, რომ მისი ბატონი მიღების ღირს ჰყოთ?

„სასაცილო პრანჭიება“

XVII საუკუნის პირველი ნახევრის მაღალი საზოგადოების პარიზელთაგან ვისთვისაც არ უნდა გეკითხათ, პარიზის ყველაზე სასიამოვნო კუთხე რომელიაო, დაუყოვნებლივ გიპასუხებდით, ქალბატონ რამბუიეს ცისფერი სალონიო.

რომში საფრანგეთის დესპანის დე ვიგონის ასული მარკიზა დე რამბუიე ძალზე დახვეწილი ქალი გახლდათ, თანაც ასეთი იყო ბავშვობიდანვე (ხომ არიან ამგვარი ადამიანები!). გათხოვებისა და პარიზში დამკვიდრების შემდეგ მარკიზამ არცთუ უსაფუძვლოდ მიიჩნია, რომ პარიზელი საზოგადოება ცოტა უხეში იყო. ამიტომ გადაწყვიტა, გარს შემოეკრიბა, დედაქალაქში ვინც კი საუკეთესო ეგულებოდა, თავის ბინაში საზოგადოების რჩეული ნაწილის თავმოყრა დაიწყო და სტუმართა მისაღებად რამდენიმე ოთახი გამოყო, რომელთაგან ყველაზე დიდად გაითქვა სახელი ცისფერი ზაფერდით კედლებმოფარდაგულმა სასტუმრო ოთახმა.

ქალბატონ დე რამბუიეს ამქვეყნად ყველაზე უფრო ლიტერატურა უყვარდა, ამიტომაც მის სალონში უპირატესად ლიტერატურული მიმართულება დამკვიდრდა. საერთოდ კი სალონს მრავალნაირი ჯურის ხალხი მიაწყდა. სავარძელში მოკალათდა მაღალი საზოგადოების მწერალი ჟან ლუი ბალზაკი, მოვიდა გულგატეხილი მოაზროვნე ჰერცოგი ლაროშფუკო და ქალბატონ რამბუიეს მწუხარედ დაუწყო მტკიცება, ჩვენი სათნოება ფარული მანკია და სხვა არაფერიო. პირქუში ჰერცოგის აზრებისგან სევდამორეულ სალონელებს ამხიარულებდა ლალი და ენამახვილი ვუატიური. დიდად საინტერესო დისპუტები გამართეს ბატონმა კოტენმა, ბატონმა შაპლენმა, ბატონმა ჟილ მენაჟმა და სხვებმა.

შეიტყვეს თუ არა, რომ საუკეთესო პარიზელი მოაზროვნენი თავს იყრიდნენ რამბუიესთან, სალონს დაუყოვნებლივ მიაშურეს მუხლებზე მაქმანშემოვლებულმა სანდომიანმა მარკიზებმა, თეატრის პრემიერათა მუდმივმა დამსწრეებმა, საღამოებზე მახვილსიტყვაობაში გაწაფულებმა, დილეტანტმა მთხზველებმა და მუზათა მფარველებმა, სატრფიალო მადრიგალებისა და ნაზი სონეტების ავტორებმა. მათ მიჰყვნენ მაღალი წრის აბატები და, რაღა თქმა უნდა, მიაწყდა ქალთა გუნდი.

მოვიდა ბოსიუე, რომელმაც შემდგომში სახელი გაითქვა იმით, რომ საფრანგეთში ერთი სახელგანთქმული მიცვალებულიც კი არ ყოფილა, ვის კუბოსთანაც გრძნობიერი ქადაგება არ წარმოეთქვა. ხოლო პირველი თავისი

ქადაგება (თუმცა მიცვალებულის კუბოსთან არა) ბოსიუემ რამბუიეს სალონში წარმოთქვა, როცა თექვსმეტი წლის ბიჭი იყო.

ბოსიუე დიდხანს ლაპარაკობდა, ყველაფერი ბრძანა, რაც კი თავში დაგროვებოდა, და სიტყვა ნაშუაღამევს დაასრულა. ამან ვუთხურს საბაბი მისცა, რომ ეთქვა:

— ბატონო ჩემო, აქამდე არასოდეს მსმენია, ვინმეს ^{ქადაგონი} ასეთად რეულ ასაკში და ასე გვიან ეამს.

რამბუიეს სტუმარმა ქალებმა ძალზე მალე მოდად შემოიღეს, როცა ერთმანეთს შეხვდებოდნენ და გადაკოცნიდნენ, თან „ჩემო უძვირფასესო“ დაატანდნენ. სიტყვა „უძვირფასესი“ პარიზში ძალიან მოეწონათ და რამბუიეს სასტუმრო ოთახის დამამშვენებელ ბანოვანთა მეტსახელად სამუდამოდ დარჩა.

ატყდა უძვირფასესი მარკიზასადმი მიძღვნილ ლექსთა გრიალი, თანაც პოეტები მას მომხიბლავ არტენისს უწოდებდნენ სახელ კატერინაში ასოთა გადანაცვლებით. მისი ნორჩი ქალიშვილის, დედის სალონის გამაბრწყინებელი ყიული რამბუიეს პატივსაცემად პოეტებმა მადრიგალების მთელი თაიგული შეთხზეს. მადრიგალებს ნაკვესები მოჰყვა, რომელთა შემოქმედნი უმთავრესად მარკიზები იყვნენ. ნაკვესები იმდენად რთული გახლდათ, რომ მათ გასაგებად გრძელ-გრძელი განმარტებანი იყო საჭირო. თუმცა აღმოჩნდნენ სალონის კედლებს გარეთ დარჩენილი პიროვნებანი, რომელნიც ამტკიცებდნენ, ეს ნაკვესები სულელურია, მათი ავტორები კი ყოვლად უნიჭონი არიანო.

ეს კიდევ დიდი უბედურება არ იქნებოდა, მადრიგალებისა და ნაკვესების შემდგომ კატერინა რამბუიეს და მის თანამოღვაწეებს ხელი უშუალოდ დიდი ლიტერატურისთვის რომ არ მოეკიდათ. ცისფერ სასტუმრო ოთახში ახალ ნაწარმოებებს ხმამაღლა კითხულობდნენ და მიმოიხილავდნენ, რის შედეგად შეხედულებაც ყალიბდებოდა ამ ნაწარმოებებზე და ეს შეხედულება პარიზში სავალდებულო ხდებოდა.

დახვეწილობა მაღლა და მაღლა მიიწევდა და სალონში გამოთქმული აზრები სულ უფრო ბუნდოვანი, აზრთა გამოხატვის ფორმები სულ უფრო ღვლარჭნილი ხდებოდა.

უბრალო სარკე, რაშიაც უძვირფასესნი იცქირებოდნენ, მათ ენაზე „გრაციოზა მრჩეულად“ იქცა. როცა მარკიზი ბანოვანს რაიმე ქათინაურს ეტყოდა, ბანოვანი უპასუხებდა:

— მარკიზო, თქვენ მეგობრობის ბუხარში თავაზიანობის შეშას უკეთებთ.

რამბუიეს სალონს და მისი წაბაძვით სხვა ქალების მიერ მოწყობილ სალონებს ჭეშმარიტ წინასწარმეტყველად მოევლინა ერთი ქალბატონი, დრამატურგ ჟორჟ სკიუდერის და. ჟორჟ სკიუდერიმ სახელი გაითქვა იმით, რომ თავი არათუ მარტო დრამატურგად, არამედ საფრანგეთის პირველ დრამატურგად მიაჩნდა, თუმცა დრამატურგიული ნიჭის ნატამალიც არ გააჩნდა; თავი იმითაც გამოიჩინა, რომ დიდი აურზაური ატეხა, როცა კორნელის ყველაზე სახელგანთქმული პიესა „სიდი“ გამოქვეყნდა. იგი მთელი მონდომებით ცდილობდა დაემტკიცებინა, პიესა უხამსია, ამას გარდა, საერთოდ, პიესაც არ არის, ვინაიდან არისტოტელეს დრამატურგიის კანონებით არ არის დაწერილი, ანუ ადგილის, დროის და მოქმედების ერთიანობას მოკლებულიაო. თუმცა

ამის დამტკიცება ვერ შეძლო, რადგან ვერაგინ ვერასოდეს შეძლებს იმის დამტკიცებას, თუნდაც შემწედ არისტოტელეს მოუხმოს, რომ ნაწარმოები, რომელსაც წარმატება აქვს, კარგადაა გალექსილი, საინტერესოდ ვითარდება და მომგებიან, მშვენივრად გამოძერწილ როლებს შეიცავს, პიესა არ არის. ჩემი მეტიჩარა გმირი, მეფის კამერდინერი და მეშხალერე, შემდგომში ტყუილად კი არ ამბობდა ჩუმ-ჩუმად, არისტოტელეს მთელი ეს წესები წმინდა წყლის უაზრობაა და მხოლოდ ერთი წესი არსებობს — პიესები ნიჭიერად უნდა წერო.

ჰოდა, მოშურნე ჟორჟ სკიუდერის ჰყავდა და, სახელად მადლენა. თავდაპირველად იგი რამბუიეს სალონის სტუმარი გახლდათ, შემდეგ კი საკუთარი სალონი დააარსა და, როცა ასაკოვანი შეიქნა, რომანი დაწერა, რომელსაც „კლელია (რომის ისტორია)“ უწოდა, თუმცა რომის ისტორიისა ამ რომანს არაფერი ეცხო. რომაელთა სახით ცნობილი პარიზელები იყვნენ აღწერილნი. რომანი გალანტური, ყალბი და უაღრესად მაღალფარდოვანი იყო. პარიზელები „კლელიას“ გატაცებით კითხულობდნენ, ქალებისთვის ხომ იგი ნამდვილ სამაგიდო წიგნად იქცა, მით უმეტეს, რომ პირველ ტომს დართული ჰქონდა მშვენიერი რამ — სინაზის ალევგორიული რუკა, სადაც გამოსახული იყო ნიჭიერების მდინარე, გულგრილობის ტბა, სასიყვარულო წერილთა სოფლები და სხვა ამგვარი.

ფრანგულ ლიტერატურაში სისულელით დატვირთული უზარმაზარი ფორანი შერახრახდა და უძვირფასესთა თავები აბდაუბდამ გაავსო. ამას გარდა, მადლენა სკიუდერის მიმდევარმა ქალბატონებმა ენა საბოლოოდ დაანაგვიანეს და თვით მართლწერაც კი საფრთხის წინაშე დააყენეს. ერთი ბანოვანის თავში შესანიშნავი პროექტი მომწიფდა: იმისათვის, რათა მართლწერა მისაწვდომი გამხდარიყო ქალებისთვის, რომელნიც, როგორც ყოველთვის, მამაკაცებს მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდნენ, ბანოვანი თავაზობდა, სიტყვები ისე ვწეროთ, როგორც წარმოითქმისო. მაგრამ ამ პროექტით გაოცებული ხალხი ჯერ ისევ პირდაღებული იყო, როცა უძვირფასესებს თავს უბედურება დაატყდით.

1659 წლის ნოემბერში ხმა დაირხა, ბატონმა მოლიერმა „ბურბონში“ ახალი ერთმოქმედებიანი კომედია უნდა წარმოადგინოსო. მისმა სათაურმა ხალხი არაჩვეულებრივად დააინტერესა — პიესას ერქვა „სასაცილო პრანჭიები“. 18 ნოემბერს, ერთ საღამოს, კორნელის პიესა „ცინასთან“ ერთად, მოლიერმა თავისი ახალი პიესა უჩვენა.

კომედიის პირველი სიტყვებიდანვე პარტერმა სიხარულით ცქვიტა ყური. მეხუთე გამოსვლა დაიწყო თუ არა, ლოყებში მჯდარმა ბანოვანებმა თვალები დაკვიტეს (გამოსვლას ვითვლით „პრანჭიების“ იმ ტექსტის მიხედვით, რამაც ჩვენამდე მოაღწია). მერვე გამოსვლაში გაოცდნენ მარკიზები, რომლებიც იმდროინდელი ჩვეულების მიხედვით სცენის აქეთ-იქით ისხდნენ, პარტერში კი ხარხარი ატყდა და ეს ხარხარი პიესის დამთავრებამდე აღარ შეწყვეტილა.

პიესის შინაარსი კი ასეთი იყო: დიდგვაროვანმა სულელმა ქალიშვილებმა კატომ და მადლონმა, რომელნიც ერთთავად სკიუდერის რომანს კითხულობდნენ, იფიქრეს, ჩვენს საქმროებს დახვეწილობა აკლიათო, და თავიდან მოიშორეს. საქმროებმა შური იძიეს. მათ თავიანთი ორი ლაქია მარკიზების ტანსაცმელში გამოაწყვეს და ეს გაიძვერები სულელ ქალიშვილებს სტუმრად ეწვივნენ. მათ ყალბაბანდ მსახურებს სული და გული გადაუშალეს. თავხედი მასკარირი მთელი საათის განმავლობაში ათასგვარ აბდაუბდას როშავდა და

სულელ ქალიშვილებს თავბრუს ახვევდა, ხოლო მეორე თაღლითი, ლაქია ჟოდლე, ტყუილებს ჩმახავდა, ბრძოლებში ასეთი და ასეთი სიმამაცე გამოვიჩინეო.

მასკარილი თავხედური გამომეტყველებით არა მარტო კითხულობდა, არამედ მღეროდა კიდევ თავის შეთხზულ ლექსებს, დაახლოებული ამგვარს:

სანამ ვტკბებოდი მე თქვენი მზერით,
თქვენმა თვალებმა გული მომპარა.
რალა ვქნა ახლა? ხალხო, მიშველეთ!
ქურდს გაეკიდეთ! ოჰ, ჩქარა, ჩქარა!

— ჩქარა! ჩქარა!! — გაჰკიოდა ლაქია პარტერის გუგუნში.

გაილანძლა სინაზის რუკებიც და ის სალონებიც, სადაც ამგვარი ლექსები იქმნებოდა, მაგრამ, ამას გარდა, გაილანძლნენ ლექსთა ავტორებიც და იმ სალონთა სტუმრებიც, თუმცა სტუმართა თაობაზე გამოდავება ძნელი იყო, რადგან მსახიობები მარკიზებს კი არა, მხოლოდ მარკიზებად გადაცმულ ლაქიებს განასახიერებდნენ.

სცენაზე უწყინარს კი არა, თამამ ფარსს თამაშობდნენ. ეს გაზღდათ იმდროინდელი პარიზის ზნე-ჩვეულებათა ფარსი, ხოლო ამ ზნე-ჩვეულებათა შემქმნელ-მიმღევარნი იქვე, ლოჟებში და სცენაზე ისხდნენ. მოგუგუნე პარტერში მყოფთ მათი თითით ჩვენება შეეძლოთ. პარტერმა იცნო სალონის ბატონკაცები, რომელთაც ყოფილმა მეშპალერემ საჯაროდ თავლაფი დაასხა. ლოჟებში შეშფოთებით აჩუროვდნენ: მაყურებელთა შორის ხმა დაირხა, კატო უეჭველად კატერინა რამბუიეა, ხოლო მადლონი — მადლენა სკიუდერიო.

მარკიზები სცენაზე სახეწამოჭარხლებულნი ისხდნენ. მოლიერი-მასკარილი ტახტრევანით შემოიყვანეს. მოლიერს იმხელა სულელური პარიკი ეხურა, როცა მისასალმებლად თავს ხრიდა, პარიკის ბოლოებით იატაკსა გვიდა, კეფაზე მუშტისოდენა ქუდი დაეკოსებინა, შარვალზე კი, მუხლებთან, უზარმაზარი მაქმანები ჰქონდა შემოვლებული. ცრუმარკიზ ჟოდლეს მოხუცი ჟოდლე თამაშობდა. ორივე კომიკოსი, მოლიერი და ჟოდლე, მაყურებელთა გასამხიარულებლად ლამის ყირამალა გადადიოდნენ, ორაზროვნად იმანჭებდნენ. სხვა მსახიობებიც მხარს უბამდნენ, მათ შორის მადმუაზელ დებრი, რომელიც გორჟიბიუსის ქალიშვილის, მადლონის როლს თამაშობდა.

უცქირეთ და დატკბით, რა დიდებული მარკიზები და უძვირფასესი ქალბატონები გვყვანან! უკაცრავად, მაგრამ ისინი ხომ ლაქიები არიან?! რა თქმა უნდა, ლაქიები არიან, მაგრამ ვის მიხრა-მოხრას ბაძვენ?.. სასაცილოდ აიგდო, სასაცილოდ! გაამასხარავა კოსტიუმებიც უკანასკნელ ლენტამდე, ეს ლექსებიც, მაღალფარდოვნებაც, სიყალბეც და ხელქვეითების მიმართ უხეში მოპყრობაც! როცა მოლიერმა ნიღბის თვალთა ჭრილიდან მაყურებელს წამით გახედა, ლოჟაში თავისი ამაღლის წინ მჯდარი პატივცემული ქალბატონი რამბუიე დაინახა. დარბაისელი დედაბერი, როგორც ყველამ შეამჩნია, ბრაზისგან გაფითრებულიყო. იგი კარგად მიხვდა, პიესის მახვილი საითაც იყო მიმართული. განა მარტო ის მიხვდა! ვილაც ბერიკაცმა პიესის მსვლელობისას პარტერიდან დაიყვირა:

— ყოჩაღ, მოლიერო! ეს ნამდვილი კომედიია!

ყუმბარა უძვირფასესთა რიგებთან ისე ახლოს გასკდა, რომ არეულობა

მალევე დაიწყო, თანაც რამბუიეს ლაშქარი პირველმა დატოვა მისმა ერთ-ერთმა უერთგულესმა თაყვანისმცემელმა და მედროშემ, ცისფერ სალონის დროშა პირდაპირ ტალახში რომ ჩააგდო. ეს დეზერტირი პოეტი ბატონი მენაქი გახლდათ.

წარმოდგენის შემდეგ თეატრიდან გასვლისას მენაქმა ბატონმა მაღლენს მკლავში ხელი გაუყარა და ჩასჩურჩულა:

— ჩემო ძვირფასო, უნდა დავწვათ ის, რასაც თაყვანს ვცემდით... უნდა ვაღიაროთ, რომ სალონებში გვარიან სისულელეს ვჩმახავდით! — თანაც დაუმატა, პიესა, ჩემი აზრით, ძალიან გესლიანი და ძლიერია და, საერთოდ, ყოველივე ამას მოველოდიო...

სახელდობრ რას მოელოდა მენაქი, არ ვიცით, რადგან მისი შემდგომი სიტყვები კარეტების ხმაურმა შთანთქმა.

თეატრში სანთლები ჩაქრა. ქუჩებში მთლად ჩამოხნელდა. მოლიერმა მოსასხამი მოიხურა, ხელში ფარანი აიღო და მაღლენას სახლისკენ გაეშურა, თან ნოემბრის სინესტისგან შეციებული ახველებდა. გული მიუწევდა ბუხარში დანთებული ცეცხლისკენ, მაგრამ უფრო მეტად სხვა რამ იზიდავდა. მიისწრაფოდა, რომ ენახა მაღლენას და, მაღლენას აღზრდილი არმანდა ბეჟარი, აი, ის მენუ, ექვსი წლის წინ ლიონში ეთერს რომ თამაშობდა. ახლა იგი თექვსმეტი წლის ქალიშვილი გახლდათ. მოლიერი არმანდას სანახავად მიიჩქაროდა, მაგრამ შუბლს მწუხარედ იჭმუხნიდა, როცა მაღლენას თვალები გაახსენდებოდა. ეს თვალები უსიამოდ იმზირებოდნენ, როცა კი მოლიერი კეკლუც და თავქარიან არმანდას გაცხოველებულ საუბარს გაუბამდა.

მაღლენამ მოლიერს ყველაფერი შეუთხო: ლიონში დიუბარკთან მომხდარი ამბავიც აპატიო, ქალბატონ დებრისთან მის ურთიერთობასაც შეურიგდა, ახლა კი თითქოს გადაირია!

ნოემბრის ღამის სიბნელეში, სუსხიან ნისლში სანაპიროს ფარანი მიუყვება. ბატონო მოლიერო! ჩაგჩურჩულეთ, ჩვენ ხომ არავინ გვისმენს, რამდენი წლისა ხართ? ოცდათვრამეტისა? არმანდა კი თექვსმეტისა! ამას გარდა, ვინ არის მისი დედ-მამა? დარწმუნებული ხართ, რომ იგი მაღლენას დაა?...

მოლიერს არ სურს, გვიპასუხოს. ანდა იქნებ არც იცის, რას ვეკითხებით? მაშ არც ღირს ამ თემაზე სიტყვის ჩამოგდება. შეიძლება, სხვა რამეზე ვისაუბროთ. მაგალითად, იმ შეცდომაზე, რაც მოლიერს მოუვიდა, როცა „პრანჭიების“ სტრიქონებით ბურგონელი მსახიობები გაკენწლა.

— თქვენს პიესას ვის მიუტანთ?

— რა თქმა უნდა, იმათ, სამეფო თეატრის მსახიობებს, — გესლიანად ამბობდა თადლითი მასკარილი, — ლექსების კითხვა ხომ მხოლოდ მათ შეუძლიათ.

ბატონმა მოლიერმა ბურგონელები ტყუილუბრალოდ გაკენწლა. საქმეში ჩახედულმა ხალხმა იცის, რომ იგი სხვა სკოლის კაცია და ამ სკოლას თავად ქმნის, ხოლო მონფლიორი არც ისე ცუდი მსახიობია, როგორც ბერჟერაკი ამტკიცებდა. ბურგონელებს და მოლიერს სხვადასხვა გზა აქვთ. არც ბურგონელების გაკენწვლაა საჭირო, მით უმეტეს, რომ ასეთი ქირდვით, რაც „პრანჭიების“ რეპლიკებშია, არაფრის დამტკიცება არ შეიძლება, ყველასთან ჩხუბი კი ძალზე სახიფათოა.

ბატონის მოქმედება

ბატონმა მოლიერმა პარიზის ხელისუფალთაგან მეორე დღესვე მიიღო ოფიციალური შეტყობინება, რომ მისი პიესის, „სასაცილო პრანჭიები“ შემდგომი წარმოდგენა იკრძალებოდა.

— ჯალათები! — ჩაიბუტბუტა ბატონმა დე მოლიერმა და სავარძელზე დაეშვა. — ეს ვის უნდა გაეკეთებინა?..

მართლაც, ვის უნდა გაეკეთებინა? არავინ იცის. ამბობდნენ, პიესა ქალბატონ რამბუიეს სალონის მსგავსი სალონების ვილაც გავლენიანმა და ძლიერმა სტუმარმა ააქრძალვინაო. ასეა თუ ისე, უძვირფასესნი ვალში არ დარჩენილან, მოლიერის დარტყმას უძლიერესი დარტყმით უპასუხეს.

როცა გონს მოეგო, მოლიერმა იმაზე დაიწყა ფიქრი, რა ექნა, საით გაქცეულიყო, რომ პიესა გადაერჩინა. მდგომარეობის გამოსწორება მთელ საფრანგეთში მხოლოდ ერთ ვინმეს შეეძლო. ამ ჩახლართულ საქმეში მხოლოდ მისი მფარველობა თუ უშველიდა, მაგრამ, ვაი, რომ ამ დროს იგი, თითქოს ჯიბრზე, პარიზში არ იყო.

მაშინ ჩემმა გმირმა, უპირველეს ყოვლისა, გადაწყვიტა, პიესა განსახილველად მისთვის გაეგზავნა და გონებაში თავის დასაცავი სიტყვაც მოხაზა:

„თქვენო უდიდებულესობავ! აქ აშკარა გაუგებრობაა! „პრანჭიები“, უბრალოდ, მხიარული კომედიაა... თქვენს უდიდებულესობას განსაკუთრებული გემოვნება და საგანთა ფაქიზი წვდომის უნარი გააჩნია და, უეჭველია, ამ უმნიშვნელო, თავშესაქცევი პიესის წარმოდგენის უფლებას დაგვრთავს!...“

პიესა მეფეს გაეგზავნა განსახილველად. მაგრამ, ამას გარდა, მცირე ბურონის ენერგიულმა დირექტორმა მთელ რიგ სხვა ღონისძიებებსაც მიმართა. მადლენასთან თათბირი გაიმართა, აფორიაქებული დასი დაფაცურდა, მოლიერი სადღაც წავიდა ზოგი რამის დასადგენად და სალამ-ქალმის სათქმელად და, როცა დაბრუნდა, გადაწყვიტა, კიდევ ერთი ხერხისთვის მიემართა, რათა პიესისთვის სიცოცხლე დაებრუნებინა.

ეს ხერხი დრამატურგებისთვის ოდითგანვეა ცნობილი: ავტორი იძულებულია, თავისი ნაწარმოები განზრახ დაასახიჩროს. უკიდურესი ხერხია! ასე იქცევა ხვლიკი, რომელსაც კუდში სწვდებიან. იგი კუდს მოიწყვეტს და გარბის, რადგან ყოველმა ხვლიკმა იცის, უმჯობესია, უკუდოდ დარჩე, ვიდრე სიცოცხლეს საერთოდ გამოესაღმო.

მოლიერმა საფუძვლიანად განსაჯა, მეფის ცენზორებმა არ იციან, ნაწარმოების გერავითარი გადაკეთება იოტის ოდენადაც რომ ვერ შეცვლის მის ძირითად აზრს და მაყურებელზე არასასურველ ზემოქმედებას ოდნავადაც ვერ შეანელებსო.

მოლიერმა პიესას კუდი კი არა, დასწყისი მოაწყვიტა, რომელიღაც შესავალი სცენა მოაცილა, ამას გარდა, კალამი პიესის სხვა ადგილებსაც გაჭრა და შეძლებისდაგვარად გააფუჭა. პირველი სცენა აუცილებელი იყო და მისმა ამოღებამ პიესის ხარისხი გააუარესა, მაგრამ ძირითად ღერძში არაფერი შეუცვლია. ეტყობა, ამ სცენაში ჩანდა, რომ კატო და მადლონი პარიზელები

იყვნენ, ახლა კი ავტორმა ცენზორების დასამშვიდებლად ისინი პარიზში ახლახან ჩამოსულ პროვინციელებად წარმოსახა.

სანამ ცბიერი კომედიანტი ეშმაკობდა და თავის პიესას ჩააპნობდა, პარიზში გაუგონარი ამბავი დატრიალდა. მარტო ქალაქში კი არა, მის ირგვლივ მრავალი ლიეს მანძილზე ყველას პირზე „სასაცილო პრანჭიები“ ეტყობოდა. დიდებამ ბატონ მოლიერს კარზე მიუკაკუნა და, უპირველეს ყოვლისა, ლიტერატორ სომეზის სახე მიიღო. იგი სალონებში ბობოქრობდა, ამტკიცებდა, მოლიერი პლაგიატორია, თანაც ფუჟე, ზერელე ფარსიორიაო. მას ეთანხმებოდნენ.

— ყველაფერი აბაღ დეპიურს მოჰპარა! — ყვიროდნენ ლიტერატორები სასტუმრო ოთახებში.

— ოჰ, არა! — ედავებოდნენ სხვები. — ამ ფარსის მასალა იტალიელებისგან არის მოპარული!

პიესის აკრძალვამ ცეცხლზე ნავთი დაასხა. ყველას უნდოდა, ენახა პიესა, სადაც მაღალი წრის ხალხს — სალონების სტუმრებს დასცინოდნენ. იმ დროს, როცა პარიზელები ახალ პიესაზე მსჯელობდნენ და ერთი ფორიაქი შესდგომოდით, წიგნებით მოვაჭრე დე ლიუინი თეატრში მივიდა და უმორჩილესად ითხოვა, ხელნაწერის ასლი მომეცითო, მაგრამ არ მისცეს. ერთი სიტყვით, ყველა თავისას ცდილობდა, ისე რომ, მოლიერის ეშმაკურმა მოქმედებამ კარგი შედეგი გამოიღო.

მან ამა ქვეყნის ძლიერთა შორის ვიღაც მფარველები გამოიწვია, თანაც, როცა დასჭირდებოდა, მარჯვედ ჩაურთავდა ხოლმე, მეფეს მივმართავ, რომ დამიცვასო, და ორი კვირის შემდეგ კომედიის შესწორებული ვარიანტის წარმოდგენის ნება დართეს.

დასი ზეიმობდა, ხოლო მადლენამ მოლიერს მხოლოდ ეს ჩასჩურჩულა: — ბილეთების ფასი გააორმაგეთ!

პრაქტიკული მადლენა მართალი გამოდგა. თეატრის ჯეშმარიტი ბარომეტრი — სალარო — ქარიშხალს აჩვენებდა. 2 დეკემბერს მეორე წარმოდგენა გაიმართა და, თუ თეატრის ჩვეულებრივი შემოსავალი ერთ საღამოს დაახლოებით ოთხასი ლივრი იყო, იმ საღამოს შემოსავალმა ათას ოთხას ლივრს მიადწია. შემდეგაც ასევე გაგრძელდა, „პრანჭიები“ ხან კორნელის, ხან სკარონის პიესებთან ერთად მიდიოდა და ანშლაგი არ წყდებოდა.

ისევ ის ფელეტონისტი ჟან ლორე თავის გალექსილ „გაზეთში“ წერდა, პიესა ქარაფშუტული და ბალაგანური კი არის, მაგრამ, უნდა ვაღიაროთ, რომ ძალზე სასაცილოაო:

მეგონა, სევდის მომკლავდა მჭვალი,
მაგრამ, იცოდეთ, ბევრი ვიცინე,
ოცდაათი სუ დავხარჯე მხოლოდ,
ათი პისტოლის მერგო სიცილი.

წიგნებით მოვაჭრემ და გამომცემელმა გილიომ დე ლიუინმა მიზანს მიადწია. რაღაც საიდუმლო გზით „პრანჭიების“ ხელნაწერის ასლი ხელთ იგდო და მოლიერს აუწყა, პიესის დაბეჭდვას ვიწყებო. მასაც სხვა რა გზა ჰქონდა, უნდა დათანხმებოდა, ოღონდ პიესას წინასიტყვაობა დაურთო, რომელიც შემდეგნაირად იწყებოდა: „უცნაური კია, როცა შენს ნაწარმოებს შენი სურვილის გარეშე ბეჭდავენ!“ მაგრამ ნამდვილად უსიამოვნო არაფერი იყო იმაში, პიესა რომ იბეჭდებოდა, მით უმეტეს, რომ ავტორს შესაძლებლობა მიეცა,

პიესის წინასიტყვაობაში „პრანჭიების“ შესახებ ზოგიერთი მოსაზრება გამოეთქვა.

მოლიერის აზრით, უძვირფასესი ამ პიესაზე არ უნდა განაწყენებულიყვნენ, რადგან იქ მხოლოდ მათი სასაცილო მიმბაძველები იყვნენ განსაზიერებულნი. ამბობდა, ამქვეყნად ყოველივე კარგის გვერდით ხომ უბედურები მაიმუნებიც არიანო... და ასე შემდეგ. ამას გარდა, მოლიერი მოკრძალებით იტყობინებოდა, პიესის წერისას პატიოსანი, ნებადართული სატირის ფარგლები არ გადამილახავსო.

ვშიშობ, რომ მოლიერმა თავისი წინასიტყვაობით ცოტა ვინმე თუ დააწმუნა. პარიზში აღმოჩნდნენ ადამიანები, რომელთაც აღნიშნეს, ყველა წიგნიერმა კაცმა იცის, რომ სატირა მუდამ პატიოსანია, მაგრამ ამქვეყნად ძნელად თუ მოიძებნება თუნდაც ერთი კაცი, ხელისუფალთ ნებადართული სატირის ნიმუში რომ წარუდგინოსო. თუმცა მოლიერს ნება უნდა მიეცეთ, თავი ისე დაიცვას, როგორც შეუძლია. მას ეს აუცილებლად სჭირდებოდა, რადგან სრულიად აშკარა შეიქნა, რომ „პრანჭიების“ პრემიერის შემდეგ ძალზე დიდი ყურადღება მიიპყრო და ბატონ მოლიერს, სურდა თუ არ სურდა, შემდგომში თავი ისე უნდა სჭეროდა, ეს ყურადღება ოდნავადაც არ შენელებულიყო.

თავი 15

იდეალურად მოცული რატაგონი

ძალიან მალე გამოირკვა, რომ მოლიერი, როგორც იტყვიან, ღვთით კურთხეული დრამატურგი იყო. იგი ძალზე სწრაფად მუშაობდა და ლექსს იოლად ჩარხავდა. იმ დროს, როცა პარიზის სალონებში ლიტერატორები, ხოლო „ბურჟუაზულ სასტუმროში“ მსახიობები მოლიერს თათხავდნენ, იგი ახალ კომედიას წერდა ლექსად და გაზაფხულზე დაასრულა კიდეც. 1660 წლის 28 მაისს კომედია გაითამაშეს. კომედიას ერქვა „სგანარელი ანუ ვითომდა რქოსანი“. როლებს ასრულებდნენ ცოლ-ქმარი დიუპარკები, რომელნიც „ჭაობის თეატრს“ ვერ შეეგუენ და მოლიერთან დაბრუნდნენ, ცოლ-ქმარი დებრები, ლ' ეპი, მადლენა და მოლიერი, რომელიც სგანარელის როლს თამაშობდა.

იმხანად პარიზი ჩაყრუებული იყო, რადგან მეფე დედაქალაქში არ იმყოფებოდა და ამიტომ ბევრი წარჩინებული გავიდა ქალაქიდან. ამის მიუხედავად, პიესამ მაყურებლის დიდი ყურადღება მიიპყრო, მით უმეტეს, რომ პირველსავე წარმოდგენაზე სკანდალი მოხდა.

ვილაც ბურჟუამ პარტერში საშინელი აურზაური ატეხა, საჯაროდ განაცხადა, ბატონმა დე მოლიერმა კომედიაში სგანარელის სახით მე გამომიყვანა და თავი მომჭრაო. ცხადია, აყალმაყალმა პარტერს უდიდესი სიამოვნება მიაწია. დარბაზში მსხდომი მოქილიკენი მხიარულობდნენ. გამძვინვარებული ბურჟუა ამბობდა, მოლიერი პატიოსანი ხალხის ოჯახურ ცხოვრებაში ცხვირსა ყოფსო, და იმუქრებოდა, პოლიციაში ვუჩივლებო. აქ, რა თქმა უნდა, გაუგებრობაა: „სგანარელის“ წერისას მოლიერს რომელიმე ცალკეული ბურჟუა არ ჰყოლია მხედველობაში, სცენაზე ეჭვიანი და ხარბი მესაკუთრის ზოგადი ტიპი

გამოიყვანა. უნდა ვიგულისხმოთ, რომ სგანარელში ბევრმა იცნო თავი, მაგრამ იმ ბურჟუაზე ჭკვიანები იყვნენ, რომელიც პარტერში აყვირდა.

ამგვარად, „პრანჭიების“ წყალობით მოლიერმა ქალაქ პარიზის ლიტერატორთა შორის რამდენიმე ათეული მტერი შეიძინა, „სგანარელის“ შემდეგ კი სავაჭრო კვარტალების კეთილი ბურჟუებიც მოიმდურა.

პარიზელთა სასტუმრო ოთახებში „სგანარელზე“ ცხარედ მსჯულობდნენ, თანაც ლიტერატორთა გამოთქმული აზრები უმეტესად ერთნაირი იყო:

— დიდი ვერაფერი პიესაა! უხამსი ხუმრობებით სავსე უხეში კომედიაა! იძიებდნენ, მოლიერმა ეს კომედია სად აწაპნაო, მაგრამ ძიებანი დიდი წარმატებით არ დაგვირგვინებულა.

რამდენიმე წარმოდგენის შემდეგ მოლიერს შინ წერილი დახვდა. ვინმე ნეფ-ვილნენი ატყობინებდა, როცა თქვენი კომედია „ვითომდა რქოსანი“ ვნახე, ისე მომეწონა, ერთხელ ნახვა არ ვიკმარე და ექვსჯერ დავესწარიო. წერილის ასეთი დასაწყისით ნასიამოვნებ მოლიერს ლოყები აეფაკლა, რადგან ბოლო ხანს გაოცებით ამჩნევდა, დიდება ისეთი კი არ იყო, როგორც ზოგიერთს წარმოუდგენია, არამედ, უპირატესად, ყოველ ფეხის ნაბიჯზე თავშეუკავებელი ლანძღვით გამოიხატებოდა.

იგი ნასიამოვნო წერილის კითხვას განაგრძობდა. გამოირკვა, რომ ნეფ-ვილნენს ჭეშმარიტად ფენომენალური მეხსიერება ჰქონდა: ექვს ჯერზე მთელი კომედია თავიდან ბოლომდე ისე ჩაეწვრა, ერთი სიტყვაც არ გამორჩენოდა. ამ ადგილას ბატონმა მოლიერმა ყურადღება გაამახვილა, თანაც არცთუ ამაოდ, რადგან ბატონი ნეფ-ვილნენი ატყობინებდა, „რქოსნის“ ყოველ სცენას საკუთარი კომენტარები დავურთე და პიესას ამ კომენტარებიანად დასაბეჭდად ვგზავნი, რადგან ეს თქვენი და ჩემი დიდებისთვის აუცილებელიაო!

„არაკეთილსინილისიერ ადამიანებს, — წერდა შემდეგ ბატონი ნეფ-ვილნენი, — შეეძლოთ, პიესის ცუდად შემოწმებული ჩანაწერები გამოეშვათ და ამით ბატონი მოლიერი დაეზარელებინათ“.

მოკლედ, ბატონი ნეფ-ვილნენი პიესას აძლევდა გამომცემელ ჟან რიბუს, ავგუსტინელთა სააპიროზე რომ იყო.

— ღმერთმანი, — შესძახა მოლიერმა, როცა ენადგაკრეფილი ბატონი ნეფ-ვილნენის ეპისტოლე ჩაიკითხა, — ამაზე კადნიერი კაცი ამქვეყნად არ იქნება.

ამაში კი ბატონი მოლიერი ცდებოდა!

1660 წლის ზაფხულში მოლიერს ბოლოს და ბოლოს შესაძლებლობა მიეცა, „მცირე ბურბონის“ მიმდინარე რეპერტუარს მოსწყვეტოდა და „პრანჭიები“ მეფისთვის განსახილველად წარედგინა. 29 ივლისს პიესა პარიზის მაზლობლად ვენსენის ტყეში ითამაშეს, სადაც ახალგაზრდა მეფე ბუნების წიაღში დასასვენებლად იმყოფებოდა. პიესას დიდი წარმატება ხვდა წილად. საბოლოოდ გამოირკვა, რომ ლუი XIV-ს ძალიან უყვარდა თეატრი, განსაკუთრებით კომედია, რაც „მცირე ბურბონის“ გამოცდილმა დირექტორმა უმაღვე გაითვალისწინა.

მერე დასი პარიზში დაბრუნდა და კვლავ თავისი რეპერტუარი განაგრძო. თანდათან ცხადი შეიქნა, რომ მოლიერის პიესები წარმოდგენებისა და შემოსავლის რაოდენობით ყველა სხვა კომიკურ თუ ტრაგიკულ პიესებს ჯაბნიდა.

ოცდაათ აგვისტოს მოლიერმა მეფის ერთადერთი ძმისა და მისი ამალი-
თვის ლუვრში „პრანჭიები“ წარმოადგინა და კვლავ უდიდესი წარმატება მოი-
პოვა. მოხეტიალე კომედიანტის მზე აშკარად ამოდიოდა. წინ ლანდრეტ კრთე-
ბოდა დიდი მომავალი. 1660 წლის შემოდგომას დასი წარმატების სამარ შეგ-
რძნებით შეეგება. ოქტომბერში დამბლისგან საშინლად გატყუვდნის სურათი
გარდაიცვალა და მოსვენება სამარეში ჰპოვა. საბრალო სატყუარსის სიკვ-
დილიდან ოთხი დღის შემდეგ კი დასს უეცრად თავს გაუთვალისწინებელი რამ
დაატყდა. დიახაც: მეფის ძმის დასის დირექტორი, რომელმაც მეფის კარზე
სრული წარმატება მოიპოვა, ყველა მსახიობთან ერთად „მცირე ბურბონიდან“
გამოაგდეს.

11 ოქტომბერს, წვიმიან ორშაბათ დღეს, „ბურბონის დარბაზს“ მეფის
ყველა შენობის მთავარი ზედამხედველი ბატონი რატაბონი ეწვია. მას უც-
ნაურად დაძაბული იერი ჰქონდა. უკან არქიტექტორი მოსდევდა, რომელსაც
ხელში რაღაც ნახაზები და გეგმები ეჭირა. არქიტექტორს კი წერაქვებით,
ნიჩბებით, ძელაყინებითა და ნაჯახებით შეიარაღებული მუშების ჯგუფი მოჰ-
ყვებოდა. შეშფოთებულმა მსახიობებმა ბატონ რატაბონს ჰკითხეს, თქვენი აქ
გამოჩენა რას მივაწეროთ, რაზედაც ბატონმა რატაბონმა თავაზიანად, მაგ-
რამ გულგრილად განაცხადა, „მცირე ბურბონი“ უნდა დავანგრეთო.

— რაო? — შესძახეს მსახიობებმა. — ჩვენ სადღა ვითამაშოთ?

ამაზე ბატონმა რატაბონმა თავაზიანად უპასუხა, ეგ მე არ ვიციო.

მოლიერის გამოჩენისთანავე ყველაფერი გაირკვა: რატაბონი ლუვრის
გადაკეთების დიდებული და მთლიანად დამუშავებული გეგმით მოსულიყო,
თანაც ამ სამუშაოს წარმატებით ჩასატარებლად მიწის პირიდან უნდა აღე-
გავათ არამარტო „მცირე ბურბონი“, არამედ მისი მომიჯნავე სენ-ჟერმენ
დ'ოქსერუას ეკლესიაც.

მოლიერს მუხლები მოეკვეთა.

— მაშ ჩვენ გაუფრთხილებლად ვრჩებით ქუჩაში? — ჰკითხა მან რა-
ტაბონს.

პასუხის ნაცვლად რატაბონმა მხრები თანაგრძნობით აიჩეჩა და ხელები
გაშალა. ფორმალურად სავსებით მართალი იყო: მას არ ევალებოდა, კომედი-
ანტთა დირექტორისთვის ეცნობებინა, მეფის შენობების რანაირი გადაკეთე-
ბა ჰქონდა განზრახული მეფის არქიტექტორს.

„ბურბონში“ უმაღლეს ნაჯახები აბრაგუნდა და თაბაშირის მტვერი დადგა.

როცა პირველი ელდისგან გამოერკვა, დე მოლიერმა დასის მფარველს —
მეფის ძმას მიაშურა დახმარების სათხოვნელად. მეფის ძმამ...

მაგრამ, მოდი, კვლავ ბატონ რატაბონს დავუბრუნდეთ. მართლაც, თეატ-
რის დანგრევას რა მიზეზით უნდა შესდგომოდა ისე, რომ სამეფო კარის დასი
ერთი სიტყვითაც არ გაეფრთხილებინა? რადგან ვერანაირად ვერ ვიფიქრებთ,
თითქოს ბატონმა რატაბონმა უგულისყურობით ვერ შეამჩნია, მეზობლად მსა-
ხიობები რომ თამაშობდნენ, ერთხანს კი ერთბაშად ორი დასი თამაშობდა (რა-
ტაბონის ამბავი როცა მოხდა, იტალიელთა დასი პარიზში არ იმყოფებოდა,
საფრანგეთიდან წასული გახლდათ), ისლა დაგვრჩენია ვალიაროთ, რომ სიურ-
ინტენდანტმა რატაბონმა დასი განზრახ არ გააფრთხილა, თეატრის დანგრევას
თუ აპირებდნენ.

უფრო მეტიც, საამისო სამზადისი ფარულად იმიტომაც ჩაატარა, რომ

დასს ვერ მოესწრო თავისი წარმოდგენების გადასარჩენად რაიმე ელონა. თუ ეს ასეა (ეს კი ნამდვილად ასეა), მაშინ საკითხავია, სიურ-ინტენდანტი რატაბონს რამ უბიძგა, ასე რომ მოქცეულიყო?

ვაი, რომ ახსნა მხოლოდ ერთი: რატაბონს ეს გააკეთებინა მოლიერის მტრების ძალზე ძლიერმა წრემ. იმათ, ვინც მოლიერიცა და მინის წარმოებებიც პარიზში კომედიანტის გამოჩენის პირველი დღეებიდანვე შეიძულეს. ეჭვიც კი გამოითქვა, სიურ-ინტენდანიტი მოისყიდესო. რატაბონი სახელდობრ ვისი წაქეზებით მოქმედებდა, ეს კი არავინ იცის.

მეფის ძმამ დასს დიდად თანაუგრძნო და „მცირე ბურბონის“ ამბავი მეფეს უმაღვე აცნობა. სიურ-ინტენდანიტი მის უდიდებულესობასთან გამოიძახეს და ჰკითხეს, „ბურბონში“ რა ხდებაო. მან მოკლე, ამომწურავი პასუხი გასცა და მეფეს მომავალი კამარედებისა და შენობების გეგმა წარუდგინა.

წამოიჭრა საკითხი, რა ექნათ ორლენის ჰერცოგის დასისტვის, რომელიც ქუჩაში რჩებოდა. ახალგაზრდა მეფემ ეს საკითხი მყისვე გადაწყვიტა: საფრანგეთის მეფეს განა მხოლოდ ერთი თეატრის შენობა აქვს პარიზში? ბატონ დე მოლიერის დასს მიეცეს „პალე-როიალის თეატრი“, ადრე კარდინალის სასახლე რომ ეწოდებოდა.

მეფეს შემკრთალებმა მოახსენეს, „პალე-როიალის“ დარბაზში თამაში კი არა, შესვლაც კი საშიშია, რადგან ყოველ წუთს შესაძლოა, დამპალი ძელი კაცს თავში დაეცესო. თუმცა ესეც უმაღვე მოგვარდა. ბატონ რატაბონს უბრძანეს, „მცირე ბურბონის“ დანგრევა განეგრძო, მაგრამ იმავე დროს „პალე-როიალის“ საფუძვლიან შეკეთებასაც შესდგომოდა, რათა მოლიერის დასს იქ წარმოდგენები, რაც შეიძლება, მალე დაეწყო.

ბატონ რატაბონს სხვა რა გზა ჰქონდა, შენობის შეკეთებისთვის ხელი დაუყოვნებლივ უნდა მოეკიდა.

„პალე-როიალის თეატრის“ დარბაზი სწორედ ის დარბაზი გახლდათ, სადაც დიდმა თეატრალმა კარდინალმა რიშელიემ 1641 წელს საუცხოოდ მანქანიზებულ სცენაზე არაჩვეულებრივად მდიდრული დეკორაციებით დადგა პიესა „მირამი“, რომლის შეთხზვაში თავადაც მონაწილეობდა. ტექნიკური სასწაულების მიუხედავად პიესა ისე ჩაფლავდა, როგორც იშვიათად ხდება. შემდგომში მიტოვებული დარბაზი ერთიანად დაძველდა, ძელები დაღბა, ჰერი ბევრგან ჩამოინგრა, ხოლო იატაკი ისეთ დღეში იყო, კაცს შეეშინდებოდა, აქ რომ გავიარო, ვაითუ ფეხი მოვიტეხოო. მაგრამ მეფესთან საუბარმა რატაბონს ენერგია უჩვეულოდ მოუზღვავა და, სანამ იგი „პალე-როიალის“ შეკეთებას მხნედ უძღვებოდა, მოლიერის დასი დიდკაცთა სასახლეებში თამაშობდა. „რქოსანი“ წარმატებით უჩვენეს მარშალ დე ლა მეიერისთან, ჰერცოგ დე როკლიორთან, ჰერცოგ დე მერკერთან და გრაფ დე ვაიაკთან.

მაგრამ იმ ზანებში მოლიერს უფრო მაღალ საზოგადოებაშიც მოუწია თამაში. მეფის მეურვემ და საფრანგეთის პირველმა მინისტრმა კარდინალმა იულიუს მაზარენმა მოლიერის ახალი, გახმაურებული პიესების ნახვა მოისურვა, თუმცა ავადმყოფობის გამო სავარძელს იყო მიჯაჭვული. დასმაც 1660 წლის 26 ოქტომბერს მის სასახლეში „პრანკიები“ და „ქარაფშუტა“ ითამაშა. კარდინალი კმაყოფილი დარჩა, მაგრამ კარდინალზე მეტად მხიარულობდა ერთი ახალგაზრდა კაცი, კარდინალის სავარძლის ზურგს მოკრძალებით რომ ამოკ-

ფარებოდა. თანაც იქ მყოფ დიდებულებს თავი ისე ეჭირათ, თითქოს ახალ-გაზრდა კაცს ვერც ამჩნევდნენ, თუმცა თვალი სულ მისკენ გაუბოდათ.

ლორე თავის გაზეთში, რომელსაც „ისტორიული მუზა“ ერქვა, ცოტა არ იყოს, უცნაურად წერდა: „ორივე პიესა დიდად მოიწონეს, და არა მარტო იულიუსმა, არამედ სხვა უმაღლესმა პირებმაც“, — თანაც ბოლო ორი სიტყვა ასომთავრულით იწყებოდა. შემდეგ ლორე იტყობინებოდა, რომ მისმა მაღალ-უსამღვდელოებოსამ, კარდინალმა დასის წასახალისებლად ბრძანა დაესაჩუქრებინათ.

მოლიერი და მისი კომპანიონები
ორი ათასი ეკიუს მინიონებით.

ლორეს ნაწარმოებში ასომთავრულის ხმარება გასაგებია: კარდინალის სავარძლის ზურგს მეფე ამოჭფარებოდა, რატომღაც საჭიროდ რომ მიეჩნია, ამ წარმოდგენას ინკოგნიტოდ დასწრებოდა.

მეფის კარზე მოპოვებული წარმატებით მოლიერმა დაუყოვნებლივ ისარგებლა და ნებართვა მიიღო, „ბურბონიდან“ „პალე-როიალში“ მარტო მსახიობთა საპირფარეშოების მოწყობილობა კი არა, ლოქების მთელი ორი იარუსიც გადაეტანა. ნათქვამია, მაღა კამაში მოდისო, და დირექტორმა „ბურბონიდან“ „პალე-როიალში“ დეკორაციებისა და მანქანების გადატანაც მოისურვა, მაგრამ ეს კი ვეღარ შეძლო. სახელგანთქმულმა იტალიელმა თეატრის მემანქანემ ვიგარანიმ, რომელიც პარიზში ჩავიდა, რათა არანაკლებ სახელგანთქმული მემანქანე ტორელი შეეცვალა, განაცხადა, მანქანები ტიუილრიში სამეფო ბაღეტების დასადგმელად მჭირდებაო. ომი გაჩაღდა და ამ ომში ვიგარანიმ გაიმარჯვა. მანქანები მას დარჩა, თანაც დიდმა მემანქანემ პირველი სასწაული მოახდინა, მაგრამ ისეთი კი არა, მისგან სამეფო კარი რომ მოელოდა, სახელდობრ: ბრძოლით მოპოვებული მანქანები დეკორაციებთან ერთად დაწვა, რითაც ყველა განაცვიფრა ერთი კაცის, შარლ ლაგრანჟის გარდა. თეატრის ერთგული მდივანი და ჩაზინადარი მოლიერს გაღიზიანებული ეუბნებოდა:

— იცით რა, ოსტატო, ეს ვიგარანი ნამდვილი არამზადაა! დეკორაციები და მანქანები იმიტომ დაწვა, რომ ტორელის ნახელავი ყველას დავიწყებოდა.

— ვხედავ, რომ ეს ვიგარანი ჭეშმარიტად თეატრის კაცია, — უპასუხა მოლიერმა.

ვიგარანი მართლაც ჭეშმარიტად თეატრის კაცი იყო, ესე იგი, კონკურენტებს ვერ იტანდა, თუმცა ეს ხელს არ უშლიდა, პირველხარისხოვანი მემანქანე ყოფილიყო.

დიდებულთა სასახლეებში უნებური გასტროლების დროს მოლიერს ერთი განსაცდელის გადატანა მოუხდა. ბურგონელებმა და „ქაობის თეატრმა“ ისარგებლეს იმით, რომ მოლიერი დროებით უთეატროდ დარჩა და მსახიობთა გადაბირება დაიწყეს. ისინი მოლიერის კომედიანტებს ოქროს მთებს ჰპირდებოდნენ და უმტკიცებდნენ, მოლიერის საქმე ხელიდან წასულია, „პალე-როიალში“ მკვდრეთით ვეღარ აღდგებაო.

მოლიერზე ამან ძალიან იმოქმედა. ფერი დაკარგა, აზვლებდა, გახდა, თავის მსახიობებს აღმაცერად უყურებდა, თვალებს ისე შესაბრალისად, მღელვარედ მიაპყრობდა, თითქოს ეკითხებოდა, მიღალატებთ თუ არაო. დას-

მა მოლიერის განცდები შეამჩნია. ერთხელ მსახიობები შარლ ლაგრანჟის წინამძღოლობით მასთან მივიდნენ და უთხრეს, რადგან თქვენს არაჩვეულებრივ ნიჭიერებას პატიოსნება და სასიამოვნო მოპყრობის უნარიც ერწყმის, დასი გთხოვთ, ნუ იღარდებთ, ბედნიერების სხვაგან ძებნას არ ღირს. რაც უნდა სარფიანი წინადადება შემოგვთავაზონო.

ბატონ დე მოლიერს სურდა, პასუხად რაიმე მჭევრმეტყველოთ, ეთქვა, როგორც სჩვეოდა, მაგრამ აღელდა და სიტყვა ვეღარ დაძრა, მხოლოდ ხელი ჩამოართვა ყველას და განმარტოვდა, რათა ფიქრს მისცემოდა.

თავი 16

მედიანი პრინციის საფუძვარო თავგადასავალი

საკუთარ ნიჭს ძალის ნუ დაატანთ!
ლაფონტენა

დიდი შეცდომა, რაც მოლიერს იმხანად მოუვიდა, შემდეგი იყო: იგი ყურს უგდებდა, რასაც მასზე ცუდს ლაპარაკობდნენ და შეურაცხყოფა, აინუნშიაც რომ არ უნდა ჩაეგდო, გულსა სტკენდა. სცენაზე მისი კომედიებისა და დიდი რეპერტუარის პიესებთან ერთად დადგმული პატარა სახუმარო ფარსების გამოჩენის პირველი დღეებიდანვე პარიზელი ლიტერატორები ერთხმად ალაპარაკდნენ, მოლიერი ქარაფშუტა ჯამბაზია და თემების სერიოზულად გადაწყვეტის უნარი არ შესწევსო. ასეთი ლიტერატორები ათეულობით იყვნენ. ამ აზრს თითო-ოროლა თუ ეწინააღმდეგებოდა, მათ შორის სახელგანთქმული და დიდად ნიჭიერი მეიგავე ლაფონტენი, რომელიც შემდგომში მოლიერის საუკეთესო მეგობარი შეიქნა. მოლიერის პირველივე წარმოდგენების შემდეგ ლაფონტენმა შესძახა:

— ეს კაცი ჩემი გემოვნებისაა!

იგი ამბობდა, მოლიერი თავის ნაწარმოებებში ბუნებრიობისა და სიმართლის კვალს დიდებულად მიჰყვებაო.

ჰოდა, იმის ნაცვლად, რომ ყური ლაფონტენის ნათქვამისთვის ეგდო, მოლიერი იმას ისმენდა, რასაც მასზე სხვა ყაიდის ხალხი ლაპარაკობდა. ამის შედეგად აზრი დაებადა, მთელი ქვეყნიერებისთვის დაემტკიცებინა, რომ შეეძლო, „სგანარელში“ კომიკურად წარმოდგენილი მარადიული თემა ექვიანობისა სერიოზულად დაემუშავებინა და ამ მიზნისთვის უმაღლესი საზოგადოების გმირი გამოეყენებინა. „სგანარელზე“ მუშაობისას მან როგორღაც მოახერხა, გმირული კომედია დაეწერა, რომელსაც ერქვა: „ღონ გარსია ნავარელი, ანუ ექვიანი პრინცი“.

სიურ-ინტენდანტმა ამასობაში „პალე-როიალის“ შეკეთება დაამთავრა. ყველაფერი მოაწესრიგეს, ჰერქვემოთ კი უზარმაზარი ცისფერი ტილო გადაჭიმეს, რომელიც ორ მიზანს ემსახურებოდა: მაყურებელთა მზერა ხელოვნური ცის მშვენიერებით დაეტკბო და თანაც ამ მაყურებელთა თავზე წყალს არ ეწვეთა, რადგან ჰერში წვიმა მაინც ატანდა.

1661 წლის იანვარში მოლიერის დასი „პალე-როიალში“ შევიდა და პარიზს დაბრუნებული იტალიელთა დასიც კვალდაკვალ მიჰყვა. დღეები ისევ

გაიყვეს, მაგრამ ამჯერად საფასური მოლიერს იტალიელებმა გადაუხადეს იმ ხარჯების ასანაზღაურებლად, რაც მან შენობის შეკეთებისას გასწია. ეს ხარჯები კი იმიტომ გასწია, რომ ხაზინის მიერ შენობის შესაკეთებლად გაღებული თანხა საკმარისი არ აღმოჩნდა.

„პალე-როიალი“ გაჩირადნდა და მრუმე ფიქრები, სწამებდა მკვდრებით ველარ აღდგებაო, უმაღლესი განქარდა. მაყურებელი აღფრთოვანებით უყურებდა მოლიერის პიესებს, თანაც საბოლოოდ აშკარა შეიქნა, რომ მოლიერის პიესები სხვა ავტორთა პიესებს ჯაბნიდა.

თითქოს ყველაფერი რიგზე მიდიოდა, მაგრამ, აი, 4 თებერვალს სცენაზე სწორედ ის „ექვიანი პრინცი“ გათამაშდა. მაღალი საზოგადოებისთვის განკუთვნილი პიესის მდიდრულად დასადგმელად ძალზე ბევრი ფული დაიხარჯა, თვით დირექტორი კი, რომელსაც, ეტყობა, მიაფიწყდა, ვაშლებს როგორ ესროდნენ, სცენას ბრწყინვალე პრინცის სახით მოევლინა.

მაყურებელმა გულისყური გაიმახვილა, ბატონი მოლიერის ახალი ნაწარმოების საყურებლად მოემზადა და ელვირას პირველი მონოლოგი გულმოწყალებდ მოისმინა. ელვირას როლს ტერეზა-მარკიზა დიუპარკი ასრულებდა. გამოჩნდა დონ გარსია და დაიწყო ბრტყელ-ბრტყელი მონოლოგები სასახელო თავგადასავლებსა, დონა ელვირას თვალთა ელვარებასა და სხვა ამოღებულ საგნებზე. ეს მონოლოგები ისეთი გრძელი იყო, რომ მაყურებელი მათი კითხვისას აუჩქარებლად ათვალთვლებდა მტრედისფერ ცასაც და „პალე-როიალის“ მოოქრულ ლოფებსაც. მოლიერი თამაშობდა, მაგრამ გული საგულეს არ ჰქონდა: სალაროში ექვსასი ლივრი მოგროვდა, არც თეატრი იყო სავსე. მოწყურებული მაყურებელი ელოდა, საინტერესო მერე იქნებოდა, მაგრამ შეძრწუნებულებმა უნდა ვაღიაროთ, რომ საინტერესო ვერც მერე იზილა და ექვიანი პრინცის თავგადასავალი როცა დასრულდა, ტაში კანტიკუნტად გაისმა.

გამოცდილმა დრამატურგებმა იცოდნ, იმის გასაგებად, მაყურებელს პიესა მოეწონა თუ არა, არ არის საჭირო, ნაცნობები გამოკითხვით შეაწუხო, კარგია პიესა თუ არაო, ანდა რეცენზიები იკითხო. უფრო იოლია, სალაროს მიაკითხო და შეიტყო, ფული რამდენი მოგროვდა. მოლიერიც ასე მოიქცა. ჰოდა, გაიგო, რომ სალაროში მეორე წარმოდგენაზე ხუთასი ლივრი მოგროვდა, მესამეზე — ას სამოცდარვა, მეოთხეზე — ოთხას ოცდაექვსი. მაშინ მოლიერმა „დონ გარსიას“ ძლევა მოსილი „რქოსანი“ წაუმატა და შემოსავალიც შეიღას ოცი ლივრი გახდა. მაგრამ მერე ვეღარც „რქოსანმა“ უშველა, მხოლოდ ოთხასი ლივრის ბილეთები გაიყიდა. ბოლოს საბედისწერო 17 თებერვალიც დადგა.

ხუთშაბათს, 17 თებერვალს „დონ გარსიას“ მეშვიდე წარმოდგენაზე სამოცდაათი ლივრი მოგროვდა. დირექტორს იმედის ნატამალიც აღარ დარჩა. აშკარა იყო, პიესაც და თვით მოლიერიც დონ გარსიას როლში საბოლოოდ ჩაფლავდნენ. იგი პრინცის როლს ისე ცუდად ასრულებდა, რომ მეშვიდე სპექტაკლამდეც ფიქრობდა, როლი სხვა მსახიობს უნდა გადაეცეო.

ჩაფლავებას თან მოჰყვა ის, რაც დრამატურგის ყოველ ჩაფლავებას მოჰყვება ხოლმე — მტრების უსაზღვრო სიხარული, მეგობრების ცრემლნარევი თანაგრძნობა, რაც მტრების სიხარულზე ბევრად უარესია, ზურგს უკან ხარხარი, დამცინავე ფუნაგორიები და მწუხარე საუბარი იმაზე, ავტორი ამოიწურაო.

მოლიერმა ბოლომდე შესვა თასი, რაც მაღალ საზოგადოებაში აფრენისა და გაჭიანურებული, ცივი პიესის დაწერის გამო ხვდა წილად.

— ამ ბურჟუებს ხელოვნებისა არაფერი გაეგებათ! — სრულად უსამართლოდ ბუზღუნებდა დირექტორი, როცა პრინცის მდიდრულ სამოსელს გაიხდიდა და კვლავ ჟან ბატისტ პოკლენად გადაიქცეოდა. მერე ხეცვლებითა და მუქარით დაასრულებდა, „დონ გარსიას“ „პალე-როიალიდან“ მოგვსწავნის და სამეფო კარზე დავდგამო. ალბათ ფიქრობდა, პრინცის განცდებს თავად პრინცი გაიგებენო.

ეს მუქარა მან ერთი წლის შემდეგ შეასრულა, „დონ გარსია“ სამეფო კარის წინაშე წარმოადგინა, მაგრამ იქაც ისევე ჩაფლავდა, როგორც „პალე-როიალში“. მაშინ „პალე-როიალის“ დირექტორმა ხმის ამოუღებლად გადაწყვიტა, „დონ გარსიიდან“ ზოგიერთი რიგიანი ლექსი სხვა პიესებში გადაეტანა, რათა ნაშრომ-ნაამაგარი უქმად არ დაჰკარგოდა, და მას შემდეგ ველარ იტანდა, როცა ვინმე „დონ გარსიაზე“ ლაპარაკს ჩამოუგდებდა.

თავი 17

მეფიანი პრინცის მიტვალების შემდგომ

1661 წლის გაზაფხულის დამდეგს დიდი ამბავი მოხდა. 9 მარტს კარდინალი მაზარენი გარდაიცვალა, ხოლო მეორე დღესვე ოცდასამი წლის მეფე ლუი XIV-ის ნათქვამმა მინისტრებს რეტი დაასხა.

— ბატონებო, აქ იმიტომ მოგიწვიეთ, — ბრძანა ახალგაზრდა მეფემ, თანაც მინისტრებს თვალის დაუხამხამებლად უყურებდა, — რათა გითხრათ, რომ დადგა დრო, სახელმწიფო დამოუკიდებლად ვმართო. თქვენ რჩევით დამეხმარებით, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როცა შეგეკითხებით. ამიერიდან გიკრძალავთ ჩემი ბრძანების გარეშე ხელის მოწერას ყოველგვარ ქაღალდზე, თუნდაც ყველაზე უმნიშვნელო პასპორტზე. ყოველდღიურად ანგარიში უნდა წარმოგიდგინოთ თქვენს მუშაობაზე.

მინისტრები, მათ კვალად კი მთელი საფრანგეთი, უმაღლესი მიხვდნენ, ტახტზე რა ნებისყოფიანი კაცი იჯდა. მოლიერიც მშვენივრად მიხვდა ამას და მყისვე დაიგულა ის ადგილი, სადაც უნდა ეძია დახმარება უკიდურეს შემთხვევაში. ასეთი უკიდურესი შემთხვევები კი შესაძლოა ყოფილიყო — ეს აშკარად ცხადყო „პრანჭიების“ გამო მომხდარმა ამბებმა.

იმ წლის გაზაფხულზე მოლიერმა ახალი კომედია დაამთავრა, რომელსაც „ქმრების სკოლა“ ერქვა. პიესის თემა იყო ორი ნორჩი არსების მძლეობა მძლე სიყვარული, რომელიც გადალახავდა ყოველგვარ დაბრკოლებას, რასაც წინ აღუმართავდა მტარვალ სიბერე.

ფარნებით გაჩირაღდებულ სცენაზე კომედია, რომლის დასასრულს ნოტარიუსი საქორწინო ხელშეკრულებას ადგენს, პირველად ივნისში გაითამაშეს. სგანარელის როლს მოლიერი ასრულებდა, საყვარლის — ვალერიას კი — ლაგრანჟი. წარმატება უეჭველი გახლდათ, მაყურებელმა მოლიერს „დონ გარსია“ აპატია და დავიწყებას მისცა, „სკოლა“ მორიგ სეზონში ორმოცდათერთმეტჯერ გათამაშდა და რაოდენობით იმ სეზონის ყველა პიესას წარმოდგენას გადააჭარბა.

ერთ საღამოს დასის დირექტორი თავის კაბინეტში იჯდა, წინ „სკოლის“ დასაბეჭდად გამზადებული ცალი ედო. მოლიერი თავისი მფარველს — მეფის ძმისადმი მიძღვნას წერდა:

„მონსენიორ! რასაც საფრანგეთს წარვუდგენ, სრულიად არატოლფასოვანია. არ არსებობს უფრო დიადი და მშვენიერი რამ, ვიდრე თქვენი სახელია, რომელსაც ამ წიგნის თავში ვათავსებ, და იმაზე უფრო მდაბალი, ვიდრე მისი შინაარსია...“

მოლიერმა კალამი დადო, სანთლებს პატრუქები გაუსწორა, ჩაახველა და გაიფიქრა: „კაცმა რომ თქვას, ჩემს კომედიაზე ასე რატომ ვლაპარაკობ?“ ამოიოხრა, კალმის ბოლო წარბზე გადაისვა, შუბლი შეიჭმუხნა და წერა განაგრძო. მსხვილი, მსუყე ასოები სიტყვებად ლაგდებოდა:

„ალბათ მეტყვიან, ეს იგივეა, თიხის ქანდაკებას თავზე მარგალიტებითა და ბრილიანტებით შემკული გვირგვინი რომ დაადგა, ანდა საცოდავი ქოხის შესასვლელში დიდებული კარიბჭეები და ტალანები ააგო...“

— ქათინაურები კიდევ დავუმატო? — ჩაიბუტბუტა დრამატურგმა... — თუმცა ამაზე მეტი რაღა შეიძლება.

„მონსენიორ, ვბედავ და ამ ნაცოდვილარს თქვენს უმაღლესობას ვუძღვნი“.

და ხელი მოაწერა: „თქვენი მეფური უმაღლესობის უერთგულესი, უმორჩილესი, უგულთადესი მსახური ჟან ბატისტ პოკლენ — მოლიერი“.

— კარგი იქნება, — წარმოთქვა კმაყოფილმა უერთგულესმა; ქათინაურებით გატაცებულმა ვერც კი შეამჩნია, რომ სიტყვები თიხის ქანდაკებაზე, რომელსაც თავზე მარგალიტებით შემკული გვირგვინი ადგას, ძალზე ორაზროვნად ჟღერდა. მართლაც, რატომ მაინცდამაინც კომედიაა თიხის ქანდაკება, ხოლო გვირგვინი — ორლენელის სახელი?

ასეა თუ ისე, მიძღვნა ორლენელს გაეგზავნა და მოწყალედაც იქნა მიღებული, შემდეგ კი დასი შემოდგომის მნიშვნელოვანი ამბებისთვის მზადებას შეუდგა.

კაცობრიობის ისტორიას ხაზინის არაერთი მძარცველი ახსოვს, მაგრამ მათ შორის ერთ-ერთი უბრწყინვალესი უთუოდ ნიკოლა ფუკე, იგივე ვიკონტ დე მელიონ ე დე ვო, იგივე მარკიზ დე ბელ-ილი გახლდათ, ჩვენ მიერ აღწერილ დროში საფრანგეთის ფინანსთა მთავარი განმგებელის თანამდებობა რომ ეჭირა. სახელმწიფო ხაზინის ისეთი ძარცვა, ფუკემ რომ შეძლო, ძნელად თუ ვინმეს მოუხერხებია. ბოროტ ენებს თუ დავუჯერებთ, არადა, სხვა გზა არ გვაქვს, უნდა დავუჯეროთ, ფუკე ბოლოს და ბოლოს იქამდე მივიდა, აღარ დაგიდევდა, საკუთარ ფულს ხარჯავდა თუ სახაზინოს. შეუძლებელია იმის აღწერა, რაც ფუკეს დროს ფინანსთა სამინისტროში ხდებოდა. არ ერიდებოდნენ უკვე დახარჯული ფონდებიდან გადასახდელ ასიგნებათა გამოწერას, ანგარიშებში ყალბ ციფრებს წერდნენ, ქრთამს იღებდნენ...

ფუკე უგვანო ძუნწი არ ყოფილა; იგი ხაზინის ხელგაშლილი, დახვეწილი მძარცველი გახლდათ. საყვარლებს საყვარლებზე იცვლიდა, ნადიმებს მართავდა, გარს შემოკრებილი ჰყავდა საუკეთესო მხატვრები, მოაზროვნეები და მწერლები, მათ შორის ლაფონტენი და მოლიერი. არქიტექტორმა ლევომ ვოს მამულში ნიჟიერ მინისტრის ისეთი სასახლე აუგო, იმ საუკუნეში სიმდიდრესა და ბრწყინვალეობას ნაჩვევი ფრანგებიც კი გააკვირვა. ვოს სასახლის დარბაზები

სახელგანთქმულმა მხატვრებმა ლებრენმა და მინიარმა მოხატეს, მეზალებმა სასახლის ირგვლივ ისეთი შადრევნებიანი პარკები და ბაღები გააშენეს, ვინც შიგ ფეხს შედგამდა, თავი სამოთხეში ეგონა. ფუჟემ ესეც არ იკმარა და, თითქოს მომავალ ამბავთა ბუნდოვან მოლოდინში, ბრეტანის სანაპიროსთან ბელილის მთელი კუნძული იყიდა, ციხე-სიმაგრე ააშენა და შიგ გააშენა ზონი ჩააყენა.

ასეა თუ ისე, იმ დროს, როცა „ქმრების სკოლა“ დაიდგა, მინისტრ ფუჟეს უკვე ადამიანთა ბედის განმგებელს უწოდებდნენ.

ბედის განმგებელმა გადაწყვიტა, ვოს მამულში მეფის პატივსაცემად ზეიმი გაემართა. ფუჟე რასაც აკეთებდა, საფუძვლიანად აკეთებდა. დიდებულ სტუმართა დასახვედრად სოქნარში თეატრი ააშენებინა, უზომო სურსათ-სანოვავე მოამარაგებინა და საუკეთესო თეატრის მემანქანეები და პიროტექნიკოსები მიიწვია.

ბედის განმგებლებს ყველას ბედი შეუძლიათ განაგონ, საკუთარი ბედის განგება კი, სამწუხაროდ, არ ძალუძთ და არც ფუჟემ იცოდა, რომ ამ დროს ვინმე ფინანსისტ კოლბერთან განმარტოებული მეფე ფინანსთა სამინისტროს უწყისებს ამოწმებდა: ეს შემოწმება სასწრაფო და საიდუმლო გახლდათ, რადგან კარდინალმა მაზარენმა სიკვდილის წინ ჰაბუკ მეფეს ურჩია, ფუჟე დიდად განსწავლული ფინანსისტის — კოლბერის დანმარებით გაება მახეში. თუმცა მეფე ახალგაზრდა იყო, მაგრამ თავდაპირველი და ჰკვირავი გახლდათ და მშვიდად უცქეროდა, როცა სამინისტროს საქმეებში ძირიძირობამდე გარკვეული კოლბერი ყალბ და ნამდვილ უწყისებს უჩვენებდა.

ბედისწერის ცდუნებას აყოლილმა ფუჟემ საკუთარი თავის დამღუპველი ქმედებანი იმით დაამთავრა, რომ ახალი სასახლის ფრონტონზე ლათინური დევიზი წააწერინა: „რადას ვერ მივალწევ?“ („Quo non ascendam?“).

და, აი, 15 აგვისტოს, შუადღისას, მეფე ლუი XIV თავისი ძმის, მისი მეუღლის — პრინცესა ჰენრიეტასა და ინგლისის დედოფლის თანხლებით ვოში ჩავიდა. დამსწრენი ჰყვებოდნენ, როცა მეფემ მალლა აიხედა და ფრონტონზე ფუჟეს დევიზი დაინახა, მუდამ უცვლელი სახე თითქოს შეუკრთა, მაგრამ უმაღვე ჩვეული გამომეტყველება დაუბრუნდაო. ზეიმი ხუთასი კაცისთვის გაწყობილი საუზმით დაიწყო, რასაც მოჰყვა თეატრალური წარმოდგენები, ბაღეტი, მასკარადები და ფეიერვერკები. თუმცა საუზმეები და ფეიერვერკები ისე არ მაინტერესებს, როგორც ის, თუ მოლიერმა თხუთმეტ დღეში როგორ შეძლო, ფუჟეს დაკვეთით დაეწერა, მსახიობთათვის დაესწავლებინა და დაედგა მთელი გაღმქსილი პიესა, რომელსაც „აბეზარები“ ერქვა. რომ შეძლო, ეს კი ცხადია: 17 აგვისტოს პიესა გაითამაშეს.

როგორც ჩანს, მოლიერმა ამ დროისთვის კარგად შეისწავლა საფრანგეთის მეფე და მისი გემოვნებაც დაადგინა. მეფეს ძალიან უყვარდა კომედია, მაგრამ უფრო მეტად ბაღეტი უყვარდა. ამიტომაც „აბეზარები“ ბაღეტ-კომედია გახლდათ. სინამდვილეში „აბეზარები“ პიესა არც ყოფილა, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, არამედ წარმოდგენდა მაღალი საზოგადოების სატირულად წარმოსახულ, ერთმანეთთან დაუკავშირებელ ტიპთა რიგს, სცენაზე ერთმანეთის მიყოლებით რომ გამოდიოდნენ.

იბადება კითხვა: როგორ გაბედა მოლიერმა მეფის წინაშე მისი კარისკაცების სასაცილოდ აგდება? მოლიერს ყოველივე ზუსტად ჰქონდა გამიზნული.

მეფე საფრანგეთის უმაღლეს თავადაზნაურობას კარგი თვალთ არ უყურებდა და საკუთარი თავი ამ თავად-აზნაურთა შორის უპირველესად არ მიაჩნდა. ლუის აზრით, მას ღვთით მინიჭებული ხელისუფლება ჰქონდა და იგი ამქვეყნად სრულიად განცალკევებით და ყველაზე განუზომლად მაღლა იდგა, სადაც ცაში, ღმერთთან უშუალო სიახლოვეს იმყოფებოდა და, თუ რომელიმე დიდგვაროვანი სენიორი ოდნავ მაინც შეეცდებოდა უფრო ზემოთ აღსვლას, ვიდრე ეკუთვნოდა, ამას უმაღლეს სანანებლად გაუხდიდა. ერთი სიტყვით, გერჩია, საკუთარი ხელით ყელი გამოგეჭრა, ვიდრე ისეთი დევიზი წაგეწერა, როგორიც ფუკემ თავისი სასახლის პორტალს წააწერა. ვიმეორებ, ლუის ახსოვდა, ფრონდის დროს რაც ხდებოდა, და უმაღლესი თავადაზნაურობა რკინის მუშტში მოიქცია. მის წინაშე კარისკაცების დაცინვა შეიძლებოდა.

მაშ ასე, ვოს ბაღებში ფარდა დაეშვა. მინისტრის სტუმრებს პირველად უგრძნობ, ჩვეულებრივ ტანსაცმელში გამოწყობილი, ადელვებული მოლიერი წარუდგა. იგი თავს დაბნეული ხრიდა და მიტევებას ითხოვდა, დრო არ მეყო და დიდი ხელმწიფის შესაფერი გასართობის მომზადება ვერ შევძელით. მაგრამ პარიზის საუკეთესო თეატრალურმა ორატორმა ბოდიშის მოხდა ვერ მოასწრო, რომ სცენაზე კლდე გაირღვა და გადმოფრქვეულ წყლის ნაკადთა შორის (აი, როგორი მემანქანე გახლდათ ვიგარანი!) ნაიდა გამოჩნდა. ვერავინ იტყოდა, ეს თვალწარმტაცი ქალღმერთი უკვე ორმოცდასამი წლისაა! მადლენა ამ როლში საყოველთაო აღიარებით მშვენიერი იყო. მან პროლოგის წარმოთქმა დაიწყო:

მწაღდა ამქვეყნად უდიდესი ხელმწიფის ხილვა,
აი, მღვამიდან რად გამოველ, მოკვდავნო, თქვენთან...

პროლოგის უკანასკნელი სიტყვა წარმოთქვა თუ არა, ორკესტრში ჰობის მჭახე ხმა გაისმა და ბალეტ-კომედია დაიწყო.

წარმოდგენის დამთავრების შემდეგ მეფემ მოლიერი მიიხმო, ეგერმაისტერ სუაიეკურაზე მიუთითა, ჩაიცინა და ჩასჩურჩულა:

— აი, კიდევ ორიგინალი, ვისი ასლიც არ გადაგიღიათ...

მოლიერმა თავზე ხელი იტაცა, გაიცინა და აჩურჩულდა:

— თქვენო უდიდებულესობავ, რა მახვილი თვალი გაქვთ... ეს ტიპი რა-ნაირად გამომჩნია?

დრამატურგმა ერთ ღამეში კომედიას ახალი სცენა დაუმატა, სადაც გამოხატა ირმებზე თავგამოდებული მონადირე დორანტი, რომელიც ჰკუპას კარგავდა იმ დროს სახელგანთქმულ ცხენებით მოვაჭრე გავოს ცხენებზე და ცნობილი ეგერის დრეკარის სიმკვირცხლესა და გულადობაზე. ყველა იქ მყოფი ნიშნის მოგებით იცინოდა, რადგან დორანტში საბრალო ეგერმაისტერი ამოიცნეს.

ამ ამბავმა მოლიერს საბაბი მისცა, მეფისათვის ეპისტოლე გაეგზავნა, სადაც უამრავი კარგი რამის თქმა შეძლო. უპირველეს ყოვლისა, წერდა, საკუთარ თავს აბეზართა რიცხვს ვაკუთვნებო; მეორე, ჩემი კომედიის წარმატებაში თქვენი უდიდებულესობისგან ვარ დავალებული, რადგან თქვენ მოიწონეთ თუ არა, უმაღლეს ყველამ მოიწონაო; მესამე, მონადირის სცენა, რომელიც კომედიაში თქვენმა უდიდებულესობამ შემატანინა, ექვს გარეშე საუ-

კეთესო სცენაა და, საერთოდ, არც ერთი პიესის არც ერთ სცენაზე ისეთი სიამოვნებით არ მიმუშავია, როგორც ამ სცენაზე.

კიდრე დრამატურგი პიესას აუშვებდა, ვის პარკებში სხვა პიესა იწყებოდა, მაგრამ კომედია კი არა, დრამა.

ერთხელ, როცა მეფე პარკის ბილიკზე მიდიოდა, მისმა თანამგზავმა ქვიშაზე დაგდებული წერილი აიღო. მეფე წერილით დაინტერესდა და რა ნახეს: ფუკეს მიერ ვინმე მადმუაზელ ლავარიერისთვის გაგზავნილი ნაზი უსტარი! დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ, ფუკეს იმ წუთას ლუისთვის თვალეში რომ შეეხედა, თავის სტუმრებს დაუყოვნებლივ მიატოვებდა და საფრანგეთიდან გაიქცეოდა, თან მხოლოდ ოქროს ფულით სავსე ქისას და დამბაჩებს წაიღებდა. საქმე ის არის, რომ აზნაურის მოკრძალებული ასული ლავალიერი, როგორც ცნობილია, მეფის ხასა გახლდათ.

ლუი ახალგაზრდობაშივე გამოირჩეოდა შესაშური თავდაპერილობით, ამიტომ ნიკოლა ფუკემ მთელი აგვისტო სვეკეთილად გაატარა. მეფე ფონტენებლოში გადავიდა, იქიდან კი სექტემბრის დამდეგს ნანტში გაემგზავრა, სადაც სამეფო საბჭო შედგა. როცა საბჭო დამთავრდა და დაქანცული ფუკე გარეთ გადიოდა, მას იდაყვზე შეეხნენ. მინისტრი შეკრთა და უკან მიიხედა. მის წინაშე მუშკეტერთა კაპიტანი იდგა.

— თქვენ დაპატიმრებული ხართ, — წყნარად უთხრა კაპიტანმა.

ჰოდა, ფუკეს ცხოვრებაც ამ სიტყვებით დასრულდა. იგი ჯერ ვენსენის ციხეში იჯდა, შემდეგ ბასტილიაში. გამომძიებლები სამ წელიწადს იკვლევდნენ დატაცებათა საქმეს და სასამართლოს წინაშე უკვე ბრწყინვალე მინისტრი კი არა, თმა-წვერწამოზრდილი, აცახცახებული პატიმარი წარსდგა. მოსამართლეთა შორის მან ყველა თავისი დაუძინებელი მტერი დაინახა, რომელნიც სასამართლოს შემადგენლობაში თვით მეფემ დანიშნა. ცხრა მოსამართლემ ნიკოლა ფუკეს სიკვდილით დასჯა მოითხოვა, დანარჩენი ცამეტი მოსამართლე უფრო კაცთმოყვარე აღმოჩნდა და ფუკეს სამშობლოდან სამუდამო გაძევება მიუსაჯა, მაგრამ მეფემ ეს განაჩენი არასწორად მიიჩნია და გაძევება სამუდამო პატიმრობით შეუცვალა.

ფუკემ საპატიმროში თხუთმეტი წელი გაატარა. იგი ერთხელაც არ გაუყვანიათ სასეირნოდ, არ აძლევდნენ არც კითხვის, არც წერის ნებას, ცოლ-შვილთან ერთხელაც არ შეუხვედრებიათ. მხოლოდ 1680 წელს... მეფეს გული მოუღბა, მოკრძალებული ლავალიერის სახება სხვა ქალებმა მიაღწიეს, თუ ფრონტონზე წარწერილი დევიზი აღარ ახსოვდა, არ ვიცით, მაგრამ ხელი კი მოაწერა ფუკეს საპატიმროდან განთავისუფლების ბრძანებას. თუმცა ეს ბრძანება აღუსრულებელი დარჩა. ფუკე მეფის შეწყალების ვერ მოესწრო და საპატიმროდან იქ წავიდა, სადაც, უეჭველია, იმედოვნებდა, სხვა მოსამართლე განსჯიდა მასაც, უპატიოსნო მინისტრს, შურისმაძიებელ მეფესაც და განსაკუთრებით იმ უცნობს, ვინც ქვიშაზე წერილი დააგდო.

მინდა აღვნიშნო კიდევ ერთი გარემოება. ფუკეს დაღუპვისა და დაპატიმრების შემდეგ დაბეჭდილი „აბეზარების“ წინასიტყვაობაში მოლიერმა უშიშრად მოიხსენია, რომ პროლოგის ლექსი ბატონ პელისონს ეკუთვნოდა. პელისონი კი ფუკეს მდივანი და უახლოესი მეგობარი გახლდათ.

ჰოლ პელისონი არანაკლებ მამაცურად მოიქცა, ფუკეს გასამართლებლად მთელი ნაწარმოები დაწერა, რომელსაც „სიტყვები“ დაარქვა. ამგვარად,

მან დაამტკიცა, რომ არ დალატობდა თავის მეგობრებს, როგორც არ უნდა ყოფილიყვნენ ისინი. მეფემ პელისონის ნაწარმოები დიდი გულსყუროთ წაიკითხა და მას უფრო ღმობიერად მოექცა: მხოლოდ ხუთი წლით ჩამწყვდია ბასტილიაში.

თავი 18

ქართული
საბჭოთაო

ვინ არის ეს ქალი?

ქ ე რ ო ნ ი მ ო. არაფერი, არაფერი გეუბნებით, მშვენიერი წყვილი ხართ-მეთქი. სასწრაფოდ შეუღლდით.

„უნებური ქორწინება“

1662 წლის ოც თებერვალს სენ-ჟერმენ დე ლ'ოქსერუას ეკლესიაში, სწორედ იმ ეკლესიაში, რომლის დანგრევა ბატონმა რატაბონმა ვერ მოასწრო, ჯვარს იწერდა „პალე-როიალის“ დასის დირექტორი ჟან ბატისტ მოლიერი.

ოდნავ წელში მოხრილი მოლიერი დროდადრო ახველებდა. გვერდით ოციოდე წლის ულამაზო, დიდპირა, წვრილთვალება, მაგრამ ძალზე მიმზიდველი და კეკლუცი ქალიშვილი ედგა. ორჯერ თავზე გვირგვინი ედგა. ქალიშვილს უკანასკნელი მოდის მიხედვით ეცვა, თავი ამაყად აღეშარა.

ორგანი გუგუნებდა, მაგრამ საცოლის გვერდით მდგარ, ვნებამორეულ საქმროს ცნობიერებამდე ვერც ორგანის ხმათა ტალღა აღწევდა და ვერც კარგად ცნობილი ლათინური სიტყვები. მოლიერისა და მისი საცოლის უკან „პალე-როიალის“ მსახიობები და ნათესავები მოჩანდნენ. მათ შორის შეამჩნევდით თმაგათეთრებულ ბერიკაცს, სამეფო კარის მეშპალერეს ჟან ბატისტ პოკლენს, ბეჟარების დედას ქალბატონ ერვე ბეჟარს, უცნაურად სახეშეცვლილ, თითქოს გაქვავებულ მადლენას და ახალგაზრდა ლუი ბეჟარს.

ტრფობის ალით გაწამებულმა მოლიერმა თავისას მიაღწია: გვირგვინით დამშვენებული მადმუაზელ მენუ, იგივე არამანდა ბეჟარი, მის გვერდით იდგა.

საქორწინო ხელშეკრულება ზუსტად ამბობს, რომ საცოლე მადმუაზელ არმანდა გრეზენდა კლარა ელიზაბეტა ბეჟარია, ქალბატონ მარი ერვესა და მისი განსვენებული ქმრის სიორ დე ბელვილის ასული. საცოლე ოცი წლის ან დაახლოებით ოცი წლისაა.

ჩვენ კარგად გავეცანით განსვენებული ბეჟარ-ბელვილისა და მისი მეუღლის მარი ერვე-ბეჟარის მთელ ოჯახს, ესე იგი, უფროს ვაჟს — ჟოზეფს, ქალიშვილებს — მადლენას და ქენევიევას, და უმცროს ვაჟს — ლუის, ამიტომ გვსურს, ახლოს გავიცნოთ უმცროსი ქალიშვილი არმანდაც, ახლა მოლიერს ცოლად რომ მიჰყვება.

რაკილა 1662 წლის იანვარში შედგენილი საქორწინო „ხელშეკრულება“ გვაუწყებს, საცოლე ოცი წლისა თუ დაახლოებით ოცი წლისააო, მაშ მისი დაბადების კვალი 1642 ან 1643 წელს უნდა ვეძიოთ. ასეთი კვალი ჩანს კიდეც. 1643 წლის 10 მარტით დათარიღებულ აქტში წერია, რომ ქალბატონი მარი ერვე ხელს იღებს განსვენებული ქმრის, ბეჟარ-ბელვილის მემკვიდრეობაზე, ჟინაიდან ამ მემკვიდრეობას უამრავი ვალი მოჰყვება. აქტში ჩამოთვლილია მარი ერვეს ყველა შვილი, ესე იგი, ჟოზეფი, მადლენა, ქენევიევა და ლუი, აგ-

რეთვე პატარა გოგონა, „ჭერ მოუნათლავი“ — მაშასადამე, ახალშობილი. რა თქმა უნდა, ეს სწორედ ის არმანდაა, ვისზედაც ახლა მოლიერი ჯვარს იწერს. ყველაფერი ემთხვევა. იგი ოციოდე წლისაა და მარი ერვეს ქალიშვილია. ამგვარად, ყოველივე კარგად იქნებოდა, ერთი გარემოება რომ არ გვაბრკოლებდეს. მემკვიდრეობაზე უარის თქმის აქტში მარი ერვეს შვილები დაბეჭითებით, თანაც რამდენჯერმე „არასრულწლოვანებად“ არიან მონსენიებული. უდიდეს განცვიფრებას იწვევს ამ აქტის შემდგენელი სამოქალაქო მოხელისა და დარბაისელი მოწმეების მოქმედება. მოწმეთა შორის კი დასახელებულია ორი პროკურორი, ერთი ეტლების ოსტატი და ერთიც თერძი. საქმე ის არის, რომ უფროსი ვაჟი ჟოზეფ ბეჟარი 1642 წელს ოცდაექვსი წლისა იყო, ხოლო მადლენა ოცდახუთისა! არც ერთი კანონმდებლობით, არსად, არასდროს არც ჟოზეფს და არც მადლენას არასრულწლოვანი არ დაერქმეოდა.

რა ითქმის ამის თაობაზე? ის, რომ 1643 წლის აქტში ყალბი ცნობებია და. მაშასადამე, ამ აქტს არავითარი ფასი არა აქვს. რაკი ასეა, მაშ იდუმალებით მოცულ, ჭერ მოუნათლავ გოგონასაც ექვის ჩრდილი ეფინება.

ქალბატონი მარი ერვე 1590 წელს დაიბადა. მაშ, თუ ვიანგარიშებთ, ეს გოგონა დაახლოებით ორმოცდაცამეტი წლისას გაუჩენია, ცამეტი წლის შუალედის შემდეგ, რადგან ლუი 1630 წელს დაიბადა და მას შემდეგ მარი ერვეს შვილი რომ გაეჩინოს, ამის თაობაზე არავითარი ცნობა არ გაგვაჩნია. შესაძლოა ეს თუ არა? შესაძლოა, მაგრამ ნაშლებ სარწმუნოა. ის კი სრულიად შეუძლებელია, ბეჟარების ახლო მეგობართა და უამრავ ნაცნობთაგან ვინმეს სადმე, როდისმე, ერთხელ მაინც არ ეხსენებინა, რომ ხანში შესულმა ოჯახის დედამ მომაკვდავ ქმარს ბავშვი აჩუქა. მარი ერვემ იმ ხანებში ბავშვი რომ გააჩინა, 1643 წლის აქტის გარდა არსად ჩანს.

ანდა რანაირად უნდა გაეჩინა? სად დაიბადა ბავშვი? ეს არავინ უწყის. 1643 წლის დამდეგს, ზამთარში, ბეჟარები დროებით ქალაქიდან გაემგზავრნენ. ეს გამგზავრება ზუსტად დაემთხვა გოგონას დაბადებას, მაგრამ საკითხავია, მარი ერვეს რად დასჭირდა პარიზიდან წასვლა, რათა ბავშვი ისეთ პირობებში გაეჩინა, ქეშმარიტად იდუმალებით მოცული რომ შეიძლება ვუწოდოთ?

ბავშვი სად მონათლეს? არ ვიცით. პარიზში მისი მონათვლის აქტის მოძებნა არ მოხერხდა, მაშასადამე, სადღაც პარიზს გარეთ მონათლეს, შესაძლოა, პარიზის მახლობლად, შესაძლოა, სადმე პროვინციაში. შემდეგ: ახალშობილი გოგონა უმაღვე სადღაც რატომ წაიყვანეს, უცხოებს რატომ მიაბარეს და სხვა შვილებისნაირად შინ რატომ არ აღზარდეს?

რა დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ ამ დახლართული ვითარებიდან? უბრალო და სამწუხარო დასკვნა: 1643 წელს მარი ერვეს არავითარი გოგონა არ უშობია და 1643 წლის აქტში იცრუა, როცა სხვისი ბავშვი მიიკუთვნა. რამ აიძულა, ეს რომ მოემოქმედა?

ვინაიდან ძნელად წარმოსადგენია, სრულიად უცხო ბავშვი ვინმემ საკუთარ თავს მიუგდოს, ბუნებრივად იბადება ეჭვი, რომ ეს იდუმალებით მოცული გოგონა მარი ერვეს ერთ-ერთ გასათხოვარ ქალიშვილს ეყოლა.

აი, ქალაქიდან საიდუმლოდ რატომ წავიდნენ, აი, ბავშვს რატომ მალავდნენ, აი, შინ რატომ არ ზრდიდნენ! ორი ქალიშვილიდან გოგონას დედა რომელი უნდა ყოფილიყო? შენევიევა თუ მადლენა? რაც შეეხება შენევიევას, უნდა ვთქვათ შემდეგი: ერთი ცნობაც კი არსად გვხვდება, რომ ეს გოგონა

მას გაეჩინოს. პირიქით, ყველას ერთპირად სჯეროდა, რომ არმანდა მადლენას შვილი იყო და მარი ერვეს ქალიშვილად იგი არავის არასოდეს მიუჩნევია. ის საქორწინო ხელშეკრულება რომ არ აღმოჩენილიყო, სადაც არმანდა გრეზენ-და კლარა ელიზაბეტა ბეჟარი მარი ერვეს ქალიშვილად არის მოხსენიებული — საქორწინო ხელშეკრულება, რომელმაც ყველაფერი აურდაურგა, მარი ერვეს სახელს არც ახსენებდა ვინმე.

ცნობილი ლიტერატორი ბროსეტი მემუარებში წერდა: დებრეო მეუბნებოდა, მოლიერს თავდაპირველად კომედიანტი ქალი ბეჟარი უყვარდა, ვისი შვილიც ცოლად შეირთო.

პასკვილური წიგნის „სახელგანთქმული კომედიანტი ქალის“ (ლაპარაკია არმანდა ბეჟარ-მოლიერზე) ანონიმი ავტორი წერდა: „იგი იყო შვილი განსვენებული ბეჟარისა, კომედიანტი ქალისა, რომელსაც უდიდესი წარმატება ჰქონდა ყმაწვილკაცთა შორის ლანგედოკში თავისი ქალიშვილის დაბადების ჟამს“.

მოკლედ, მოლიერის სიკვდილის შემდეგ ბევრნი წერდნენ, ხოლო სანამ ცოცხალი იყო, მაშინ კი ლაპარაკობდნენ, არმანდა მადლენას შვილიაო. მაგრამ, ამ ზეპირი და წერილობითი ცნობების გარდა, არსებობს არაპირდაპირი საბუთებიც, რომ მადლენა არმანდას დედაა.

როცა მოლიერმა არმანდა ცოლად შეირთო, როგორც საქორწინო ხელშეკრულებიდან ჩანს, მარი ერვესგან მისი ქალიშვილის, არმანდას მზითვად ათი ათასი ლივრი მიიღო. მაგრამ მას შემდეგ, რაც მარი ერვემ 1643 წლის აქტში იცრუა, უფლება გვაქვს, აღარ ვერწმუნოთ. ათი ათასი ტურული ლივრი მარი ერვეს არ ექნებოდა და არც ჰქონდა. ეს ფული, როგორც შემდეგ გამოირკვა, არმანდას მზითვად მადლენა ბეჟარმა, ოჯახის ერთადერთმა შეძლებულმა წევრმა მისცა. მერე რა მოხდა, განა არ შეიძლებოდა, მადლენა საკუთარი დის მიმართ გულუხვი ყოფილიყო? მაგრამ საქმე ის არის, რომ მადლენამ ყველას მიმართ ერთნაირი სიუხვე არ გამოიჩინა. როცა არმანდას ქორწინებიდან ორი წლის შემდეგ ენევიევა გათხოვდა, მზითვად ხუთასი ლივრი ნაღდ ფულად და სამი ათას ხუთასი ლივრის თეთრეული და ავეჯი მიიღო.

როცა მადლენა კვდებოდა, ენევიევას და კოჟლ ლუის მცირე პენსია დაუნიშნა, არმანდას კი ოცდაათი ათასი ლივრი დაუტოვა.

როცა სამხრეთში დასს თითქოს ციდან მოველინა მადმუაზელ მენუ, მადლენამ მის მიმართ ისეთი მზრუნველობა გამოიჩინა, ირგვლივმოფთვან არავის სჯეროდა, რომ ეს დის მზრუნველობა იყო. ბავშვზე ასეთი ზრუნვა მხოლოდ დედას შეეძლო. აქ ისიც უნდა დავუმატოთ, რომ ექვი სრულიადაც არ გვეპარება, მენუ და არმანდა ერთი და იგივე პიროვნება რომ არის. ასე რომ არ იყოს, მაშინ მენუს გარდაცვალების ამბავი გვეცოდინებოდა, ამას გარდა, ვერანაირად ვერ ავხსნიდით, პარიზში არმანდა რანაირად გაჩნდა.

მაშ რა უნდა დავასკვნათ?

აი დასკვნაც: 1662 წელს მოლიერმა ცოლად შეირთო თავისი პირველი უკანონო ცოლის, მადლენა ბეჟარის ქალიშვილი, სწორედ ის არმანდა, აქტებში ყალბად რომ არის ჩაწერილი მარი ერვეს ქალიშვილად.

არმანდას მამა ვინლა არის? უპირველეს ყოვლისა, შეიძლება, ვიეკვოთ ესპრი დე რემონ დე მორმუარონ სიორ დე მოდენზე, როგორც ვიცით, მადლენას პირველი საყვარელი და მისი პირველი შვილის — ფრანსუაზას მამა რომ

იყო. მაგრამ უმაღლეს ირკვევა, რომ ეს ეჭვი უსაფუძვლოა. არის უამრავი საბუთი, რომ ერთხანს მადლენას ძალიან უნდოდა, მოდენთან ურთიერთობა კანონიერი ქორწინებით დაესრულებინა, რის გამოც არათუ არ ცდილობდა, ხალხისთვის დაემალა, ფრანსუაზა დე მოდენისგან რომ ჰყავდა ბერძენი, ეს ამბავი ოფიციალური აქტითაც აღნიშნა. მოდენისგან მეორე ბავშვს შეძენა მადლენას მოდენთან უფრო მეტად დააკავშირებდა და მის საქორწინო გეგმებს ხელს შეუწყობდა. სრულებითაც არ იყო საჭირო, ეს ბავშვი დაემალა და თავისი დედისთვის მიეკუთვნებინა. აქ როგორც ჩანს, სრულიად საპირისპირო ვითარებაა: მადლენა მოდენს უმაღლესად ბავშვს.

საქმე ის გახლდათ, რომ კავალერი დე მოდენი ლუი დე ბურბონთან, გრაფ დე სუასონთან და ჰერცოგ გიზთან ერთად 1641 წელს რიშელიეს საწინააღმდეგო შეთქმულებაში გაერია და 1641 წლის 6 ივლისს მარტთან ბრძოლაში დაიჭრა. იმავე წლის სექტემბერში პარიზის პარლამენტმა მოდენს სიკვდილი მიუთსაჯა, რის გამოც მოდენი ჯერ ბელგიაში, შემდეგ კი საფრანგეთში იმალება, მაგრამ პარიზს ყოველნაირად ერიდებოდა. ასეთმა ვითარებამ 1643 წლამდე გასტანა, როცა რიშელიესა და ლუი XIII სიკვდილის შემდეგ ამნისტირებულ მოდენს დედაქალაქში დაბრუნების შესაძლებლობა მიეცა.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ბეჭდებიც წავიდნენ პარიზიდან, რადგან ეშინოდათ, დევნა არ დაგვიწყონ იმის გამო, მოდენთან დაახლოებულნი რომ ვართო. მაგრამ მათ იმ მხარეში არ უვლიათ, სადაც მოდენი იყო. მაშასადამე, ცხადია, ორი წლით მადლენას განშორებული მოდენი, როცა პარიზში დაბრუნდებოდა, ნახავდა, რომ მადლენას სხვისგან შეძენილი ბავშვი ჰყავდა, ეს კი მათი ურთიერთობის განმტკიცებას ხელს არ შეუწყობდა.

მოდენი არმანდას მამა არ ყოფილა. მაშ მამამისი იყო რომელიღაც კავალერი, ვინც მადლენას 1642 წლის ზაფხულში დაუახლოვდა, როცა მადლენა სამხრეთ საფრანგეთში იმყოფებოდა. იმ დროს მადლენა ბევრ ვინმეს შეიძლებოდა შეხვედროდა და დაახლოებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, სხვებს შორის იგი შეხვდა — ეს კი ზუსტად ვიცით — ჟან ბატისტ პოკლენსაც, მეფის კამერდინერსა და მეშპალერეს, მეფე ლუი XIII-ს რომ ახლდა მონფრენში, სადაც მეფე სამკურნალო წყლებს სვამდა. ეს იყო 1642 წლის ივლისის მეორე ნახევარში.

აი, ეს შეხვედრა მონფრენში, იმხანად პოკლენისა და მადლენას უეჭველი სიახლოვე იქცა მიზეზად იმ საშინელი ხმებისა, მოლიერზე შემდგომში რომ გავრცელდა.

„სახელგანთქმული კომედიანტი ქალის“ ავტორი წერდა: „იგი (არმანდა) მოლიერის ქალიშვილად მიაჩნდათ, თუმცა შემდგომში მოლიერი მისი ქმარი შეიქნა...“

მოლიერის სიკვდილიდან რამდენიმე წლის შემდეგ, როცა არმანდა სასამართლოში სხვის საქმეზე მოწმედ გამოიძახეს, ერთ-ერთი მხარის ვეჭილი ცხარედ ცდილობდა მოწმის აცილებას, საჯაროდ ამტკიცებდა, იგი საკუთარი მამის ცოლი და ქვრივიაო.

დიდი მნიშვნელობა მიანიჭეს შაპელის მიერ 1659 წელს მოლიერთან გაგზავნილ წერილს, სადაც იდუმალებით მოცული სტრიქონებია: „...ეს მშვენიერი ლექსი აჩვენეთ მხოლოდ მადმუაზელ მენუს, მით უმეტეს, რომ იქ თქვენ და მენუ ხართ ასახული...“

ზოგიერთი მონაცემი გვაძულებს ვიფიქროთ, რომ არმანდას ქორწინება შედგა მოლიერსა და მადლენას და არმანდასა და მადლენას შორის საშინელი და მძიმე სცენების შემდეგ, რამაც ამ სამი ადამიანის ცხოვრება აუტანელი გახადა და არმანდა იძულებული შეიქნა, თითქმის გაქცეულიყო მამავალი ქმრის სახლში.

ოფიციალური აქტები გვაუწყებს, რომ ენევიევა ბეჭარი არც საქორწინო ხელშეკრულების შედგენას დასწრებია და არც მოლიერის ჯვარისწერას, თანაც ბევრი ეჭვობს, ამით საშინელი ქორწინების მიმართ აღშფოთება გამოხატაო.

ერთი სიტყვით, მოლიერს ყოველი მხრიდან სისხლს უწამლავდა ზმები, რომ უმძიმესი სისხლის აღრევა ჩაიდინა, საკუთარ შვილზე დაქორწინდა.

რა შეიძლება ითქვას ამ დახლართული საქმის თაობაზე, რომელიც სავსეა არასარწმუნო აქტებით და სამხილებით, ვარაუდებით, საეჭვო მონაცემებით?.. აი, ჩემი დასკვნა. მჯერა, რომ არმანდა მადლენას ქალიშვილია, საიდუმლოდ დაიბადა უცნობ ადგილას და მამამისიც უცნობია. არ არსებობს უტყუარი საბუთები, რომ ზმები სისხლის აღრევაზე სწორია, ესე იგი, სწორია აზრი, თითქოს მოლიერმა საკუთარი შვილი შეირთო. მაგრამ არც ისეთი საბუთი არსებობს, ეს საშინელი ეჭვი სრულიად უარვეყოთ.²

და, აი, ჩემი გმირი ჯვარს იწერს ქალიშვილზე, ვისზედაც ორჯერ უფროსია და ვისზედაც ამბობენ, მისი ღვიძლი შვილიაო. ორგანი მკაცრად გუგუნიებს, ჯვარდაწერილებს მრავალგვარ უბედურებას უწინასწარმეტყველებს და ყველა ეს წინასწარმეტყველება ახდება!

ქორწინების შემდეგ „პალე-როიალის“ დირექტორმა წმინდა თომა ლუგრელის ქუჩაზე ბინა დატოვა და ახალგაზრდა ცოლთან ერთად რიშელიეს ქუჩაზე გადაბარგდა, თან წაიყვანა მოახლე ლუიზა ლეფებრი და ლაქია პროვანსალი, რომელიც სიცოცხლეს უმწარებდა.

იქ, რიშელიეს ქუჩაზე, უბედურება სულ მალე დაიწყო. ცოლ-ქმარი ერთმანეთისთვის სრულიად შეუფერებელი აღმოჩნდა. ხანში შესულსა და სწეულ ქმარს ცოლი კვლავ გატაცებით უყვარდა, ცოლს კი იგი არ უყვარდა. და მათი ცხოვრება ძალიან მალე ჯოჯოხეთად იქცა.

თავი 19

დრამატურგის სკოლა

რიშელიეს ქუჩაზე მოლიერის ბინაში რაც უნდა მომხდარიყო, „პალე-როიალში“ ყველაფერი თავის რიგზე მიდიოდა. დასში იმ წელს ახალი მსახიობები მოვიდნენ. პირველი — კავალერიის ყოფილი კაპიტანი ფრანსუა ლენუარ სიორ დე ლა ტორილერი. მას არა მარტო კარგი მსახიობური მონაცემები ჰქონდა, არამედ დიდი გამოცდილების მქონე საქმიანი კაციც გახლდათ, რის გამოც მოლიერმა ზოგიერთი ადმინისტრაციული ფუნქციაც დააკისრა; მეორე — ბრწყინვალე კომიკოსი გილიომ მარკურო სიორ დე ლა ბრეკური. ეს მსახიობი დრამატული მწერალიც იყო, ამას გარდა, სახელი გაითქვა, როგორც სახიფათო ბრეტორმა და დუელების გამო ხათაბალაში არაერთხელ გაეხვია.

1662 წლის აღდგომის შემდეგ სეზონი წყნარად მიმდინარეობდა, რადგანაც მაყურებელმა მოლიერის პირველი პიესები უკვე ნახა და თეატრის შემოსავალმა იკლო. ერთგვარი გამოცოცხლება გამოიწვია „ქმრების სკოლა“ და ბუაიეს პიესამ „ტონაქსარმა“.

ასე გასტანა დეკემბრამდე, როცა დაიდგა მოლიერის ახალი პიესა, ხუთმოქმედებიანი კომედია „ცოლების სკოლა“.

„ცოლების სკოლა“, ისევე როგორც „ქმრების სკოლა“, დაწერილია ქალების დასაცავად და მოითხოვს, რომ მათ სიყვარულში არჩევის უფლება ჰქონდეთ. პიესაში მოთხრობილია ამბავი ექვნიანი და დესპოტი არნოლფისა, რომელსაც ნორჩი აგნესას ცოლად შერთვა უნდოდა. ამ პიესაში, სადაც ჭარბადაა სასაცილო, კომედიური აღგილები, არნოლფის როლში პირველად გაისმა გაბზარული, მწუხარე მოტივები.

როცა ახალგაზრდა აგნესამ პიესის ბოლოს გაიმარჯვა, არნოლფს გაექცა და შეყვარებულს გაჰყვა, საძაგელი და სასაცილო თვისებებით აღსავსე არნოლფი უცებ შესაბრალისი და ადამიანური შეიქნა.

— რა საზომით განიზომება ჩემი შენდამი სიყვარული? — უცებ მხურვალედ შესძახებს არნოლფი, თითქოს ექვნიანი კაცის ბილწი გარსი მოიცილაო, — უმადურო, როგორ დაგიმტკიცო, რარიგ მიყვარხარ? ცხარე ცრემლით ავტირდე? თმა დავიგლიჯო? იქნებ გინდა, თავი მოვიკლა? მითხარ, მითხარ, ულმოებელო, რა გსურს, და მზად ვარ დაგიმტკიცო, რა ჭეცხლი მაქვს შემოგზნებული!

მაყურებელმა ყურადღება მიაქცია არნოლფის ამ მონოლოგს და ზოგი თანაგრძნობით, ზოგიც გულბოროტად ამბობდა, მასში ბატონი მოლიერას პირადი განცდებია ასახულიო. თუ ეს ასეა, ეს კი, ვაი, რომ ასეა, შეიძლება წარმოვიდგინოთ, რა ბედუქუდმართად მიმდინარეობდა ცხოვრება რიშელიეს ქუჩაზე.³

„ცოლების სკოლა“ დიდებულად გაითამაშეს, თანაც მოლიერის გარდა, რომელიც არნოლფის როლს თამაშობდა, განსაკუთრებული წარმატება წილად ხედა მსახურ ალენის როლის შემსრულებელ ბრეკურს.

უნდა ითქვას, რომ ყველა ამბავი, რაც თან ახლდა მოლიერის წინა პიესების დადგმას, გაფერმკრთალდა იმასთან შედარებით, რაც „ცოლების სკოლის“ პრემიერის შემდეგ უმაღლესე მოხდა. ჯერ ერთი, პრემიერა სკანდალით დაიწყო. ვინმე პლაპისონი, პარიზის სალონთა გამუდმებული სტუმარი, პიესის შინაარსმა გულის სიღრმემდე აღაშფოთა. იგი სცენაზე იჯდა და ყოველ ხუმრობაზე ან ტრიუკზე ბრაზისგან წამოქარხლებულ სახეს პარტერისკენ მიაბრუნებდა და ყვიროდა:

— იცინე, პარტერო! იცინე!

თანაც პარტერს მუშტს უღერებდა. ბუნებრივია, ამის გამო პარტერში ხარხარი კიდევ უფრო მატულობდა.

მაყურებელს პიესა უსაზღვროდ მოეწონა, მეორე და მომდევნო წარმოდგენებზე თეატრს ხალხი მიაწყდა და შემოსავალი რეკორდულ ციფრამდე — ერთ საღამოს ათას ხუთას ლივრამდე გაიზარდა.

ლიტერატორები და პარიზელი თეატრის მცოდნეები რალას ამბობდნენ ახალ პიესაზე? ამის გაგება არც ისე იოლი გახლდათ, რადგან სალონებში მოლიერის მისამართით ისეთი ლანძღვა-გინება ატყდა, წარმოუდგენელია,

ერთბაშად რამე გაგერჩიათ. მოლიერის მაგინებელთ ათეულობით ახალი მაგინებელი მიემატა. დიდი მწუხარებით უნდა აღვნიშნოთ, რომ დიდებული ადამიანი და მწერალი პიერ კორნელიც კი უსაზღვრო შურით აღივსო.

ხოლო „ბურგონული თეატრის“ მსახიობებს „ცოლების სკოლის“ პირველი წარმოდგენების შემდეგ სახეზე ფერი აღარ ედოთ! იმათ, ვინც მარტულად რომ გაუჩნდათ საწყხარი. არნახული ამბავი მოხდა: ამ პიესის დადგმის შემდეგ „ბურგონული თეატრის“ შემოსავალმა მკვეთრად იკლო.

შემდეგ პარიზში აღმოჩნდნენ გულუბრყვილონი, რომელნიც შეურაცხყოფილნი ამბობდნენ, მოლიერმა თავისი კომედიის გმირის არნოლფის სახით ჩვენ გამოგვიყვანაო. აი, მათთვის კი „პალე-როიალს“ გასამრჯელო უნდა მიეცა, თქვენი შემწეობით შემოსავალი გვეზრდებაო!

მაშასადამე, პიესამ დიდი აყალმაყალი გამოიწვია და ამ აყალმაყალში მოლიერის თითზე ჩამოსათვლელი მეგობრების ხმები აქა-იქ ძლივ გასაგონად გაისმოდა. ხმა აღიმადლა ერთადერთმა კაცმა, უნიჭიერესმა მოაზროვნემ და ლიტერატორმა ბუალო-დებრეომ. იგი წერდა:

ბილწ მოშურნეთა ლანძღვა-გინება
მღვრიე მდინარეს ემსგავსოს თუნდაც,
ამ კომედიის მშვენიერება
საუკუნეთა გაათბობს სუნთქვას.

შემდეგ საქმე კიდევ უფრო გაუარესდა. პირველი სტატია „ცოლების სკოლის“ შესახებ ახალგაზრდა ლიტერატორმა ჟან დონო დე ვიზემ დაბეჭდა. სტატიას ეტყობა, რომ მის ავტორს გრძნობა გაორებული ჰქონდა, ვინაიდან უპირველეს ყოვლისა, სურდა ეთქვა, შეუძლებელია, ამ კომედიას წარმატება ჰქონდესო, მაგრამ ამის თქმა არ შეეძლო, კომედიას ისეთი თავბრუდამხვევი წარმატება ხვდა წილად.

ამიტომ დე ვიზე წერდა, კომედია წარმატებას მსახიობთა დიდებულ თამაშს უნდა უმადლოდესო. აქედან ჩანს, რომ დე ვიზე უტკუო კაცი არ იყო. შემდეგ იგი ამბობს, გულსა მტკენს უხამსობანი, რაც კომედიაში ძალზე ჭარბადააო, და იქვე აღნიშნავს, ინტრიგა რიგიანად ვერ არის გამოკვეთილიო. მაგრამ რადგან დე ვიზე, ვიმეორებ, უტკუო არ იყო, იძულებული შეიქნა, ელიორებინა, პიესის ზოგი ადგილი მარჯვედ არის დაწერილი, ზოგიერთი ტიპი კი მოლიერს ისე გამოუძერწია, კაცს ნამდვილი ეგონებაო.

მაგრამ, როგორც ჩანს, დე ვიზემ მთავარი სათქმელი სტატიის ბოლოსთვის შემოინახა, სადაც იტყობინებოდა, უახლოეს ხანებში „ბურგონულ სასტუმროში“ ახალი პიესა გამოჩნდება, მოლიერის „სკოლას“ რომ ეხებაო. თუმცა ავტორს არ ასახელებდა, ამას ისე ეშმაკურად ამბობდა, ყველა უმალვე მიხვდებოდა, ეს ახალი პიესა თვით ბატონ დე ვიზეს კალამს უნდა ეკუთვნოდესო.

თავად მოლიერი ამ დროს რას შვრებოდა? უპირველეს ყოვლისა, „სკოლა“ თავისი მფარველის, მეფის ძმის მეუღლეს — პრინცესა ჰენრიეტა ინგლისელს მიუძღვნა და მიძღვნაში, როგორც სჩვეოდა, ქათინაურები დაახვავა. მაგრამ შემდეგ მოლიერი საბედისწეროდ შეცდა. დაავიწყდა, რომ მწერალი საკუთარ ნაწარმოებთა გამო არანაირ საჯარო დავაში არაფრის დიდებით არ უნდა ჩაებას და გააფთრებამდე მისულმა გადაწყვიტა, მტრებისთვის შეეტია.

რადგან სცენა მის ხელთ იყო, ამიტომაც საბრძოლველად სცენა გამოიყენა, პატარა პიესა „ცოლების სკოლის“ კრიტიკა“ დაწერა და 1663 წლის ივნისში დადგა.

პიესაში მოლიერის კრიტიკოსები იყვნენ გამასხარავებულნი. ამ დადგმაში არმანდა მოლიერს დიდი როლი პირველად ერგო. იგი ელოზის თანამოებდა.

მოლიერს წესად ჰქონდა, სასახლეში ზურგი მოემაგრებინა, ამიტომ პიესა მეფის დედას, დედოფალ ანა ავსტრიელს დიდად მაამებელი გამოთქმებით მიუძღვნა.

მაგრამ მეფის დედა მოლიერს შემდგომში მაინცდამაინც არ დახმარებია.

აღფრთოვანებულმა მაყურებელმა, უპირველეს ყოვლისა, ლიზიდასში ბატონი დე ვიზე ამოიცნო, მაყურებელთა მეორე ნაწილი კი გაჰყვიროდა, ეს დე ვიზე კი არა, ნაღდად ბატონი ედმ ბურსოაო. ლიტერატორი ედმ ბურსოც მოლიერის დაუძინებელი მტერი და მლანძღველი იყო.

როცა „კრიტიკა“ დაიდგა, ლიზიდას — დე ვიზეს ლამის თვალთ დაუბნელდა და მოლიერს შეპირებული პიესით უპასუხა. პიესას რთული სათაური ჰქონდა — „ზელინდა ანუ „ცოლების სკოლის“ ჭეშმარიტი კრიტიკა, ანუ კრიტიკის კრიტიკა“. მასში გამოყვანილი იყო ვინმე ელომირი (ასოების გადანაცვლებით მოლიერი გამოდის), მაქმანების დუქანში რომ ზის, სადაც პიესის მოქმედება ხდება, და სხვების ლაპარაკს მალულად ყურს უგდებს.

„ბურგონულ სასტუმროს“ ელომირზე დაწერილი პიესის დადგმა ძალიან უნდოდა, მაგრამ ვერ დადგა, რადგან საშინელი უაზრობა გამოდგა. პოდა, დე ვიზემ პიესის დაბეჭდვა და პარიზში გავრცელება იკმარა, თანაც აღმოჩნდა, რომ „ზელინდაში“ დასმენა უფრო მეტი იყო, ვიდრე კრიტიკა.

დე ვიზე იტყობინებოდა, ათი გალექსილი ძველებური დარიგება, არნოლფი აგნესას რომ უკითხავს, როცა მასზე დაქორწინებას აპირებს, სხვა არა არის რა, თუ არა აშკარა პაროდია ღვთის ათი მცნებისაო. როგორც ხედავთ, ბატონმა დე ვიზემ ბატონ დე მოლიერს ძალზე მწვავედ უპასუხა.

— ოჰ, ეს არამზადა! — ჩაისისინა დე მოლიერმა და თავზე ხელი იტაცა, — ჯერ ერთი, იქ ათი დარიგება არ არის! არნოლფი მეთერთმეტეს იწყებს!..

გონებაში არნოლფის დარიგებათა პირველმა სტრიქონებმა გაურბინა:

როს საპატარძლო განემზადება

პატიოსანი ქორწინებისთვის,

ჯერ არს, ახსოვდეს შემდეგი მცნება...

— არნოლფი მეთერთმეტეს იწყებს! — ეუბნებოდა მსახიობებს მოლიერი.

— იწყებს, — წყნარად ეტყოდნენ მოლიერს, — მაგრამ ერთ სიტყვასაც არ წარმოთქვამს ამ სიტყვების გარდა: წესი მეთერთმეტე. ისე რომ, ძვირფასო ოსტატო, სწორედ ათი გვამახსოვრდება.

მე კი ამას დავუმატებდი: დიდ ბედნიერებად უნდა მივიჩნიოთ, რომ დე ვიზემ, როგორც ჩანს, არ იცოდა, ცოლ-ქმრობის ამ ათ წესს მოლიერი ვის დაესესხა. დრამატურგმა ისინი ეკლესიის წმინდა მამათა თხზულებებიდან გადმოიღო!

დღე დღეს მისდევდა და მოლიერის მიმართ ლიტერატორთა სიძულვილი სულ უფრო ღვივდებოდა. ამის ერთ-ერთი მიზეზი ის გახლდათ, რომ „ცოლების სკოლის“ დადგმის შემდეგ მეფემ მოლიერს, როგორც დიდ კომიკოს

მწერალს, ათასი ლივრი ყოველწლიური პენსია დაუნიშნა. პენსია დიდი არ ყოფილა, რადგან მეცნიერებს და მწერლებს, ჩვეულებრივ, გაცილებით მეტს აძლევდნენ, მაგრამ თავისი როლი მაინც ითამაშა. პიერ კორნელსა და მოლიერს შორის ურთიერთობა საბოლოოდ გაფუჭდა. თუმცა იმდენად პენსიას არ მიუძღოდა ბრალი, რამდენადაც „სკოლის“ განუზომელ წარმატებას. ამიტომ ერთ პატარა გარემოებას: მოლიერმა ყოველგვარი ბოროტი განზრახვების გარეშე, მხოლოდ გასახუმრებლად, კორნელის ტრაგედია „სერტორიუსიდან“ ლექსის ერთი სტრიქონი „სკოლის“ მეორე მოქმედების ფინალში შეიტანა და ეს სტრიქონი არნოლფს ათქმევინა, რის გამოც კორნელის სიტყვებს კომიკური ელერადობა მიეცა.

ამ უბრალო რაღაცას (არნოლფი აგნესას პომპეუსის სიტყვებით მიმართავს: „გეყოფათ! მე ვარ მბრძანებელი! დამემორჩილეთ, ახლავე წადით!“), კორნელისთვის, აბა, რა უნდა ევნო, მაგრამ კორნელი ძალიან გაბრაზდა, მის ტრაგიკულ ლექსს ასე რომ მოეპყრნენ.

შემდეგ მოლიერს უფრო მძიმე განსაცდელის გადატანა მოუხდა. უმაღლეს საზოგადოებაში ალაპარაკდნენ, „ცოლების სკოლის“ კრიტიკაში“ მოლიერმა ორი ვინმე: მალტის ორდენის რაინდი ჟაკ დე სუვრე და საფრანგეთის მარშალი, ფრანგული გვარდიის ლეგიონის მეთაური ჰერცოგი დე ლა ფეიადი გაამასხრაო. ჟაკ დე სუვრესთან საქმე მოგვარდა, დე ლა ფეიადთან კი ცუდად დამთავრდა. მას ყოველი მხრიდან ასე აგულისებდნენ, ბოლოს დაიჯერა, „კრიტიკაში“ მარკიზის სახით, რომელიც აღშფოთებული სულელურად იმეორებდა — ტორტი ნაღებიანიაო! — დრამატურგმა მე გამომიყვანაო, და ბრაზმორეულმა მოლიერს საშინელი შეურაცხყოფა მიაყენა. ლა ფეიადი და მოლიერი ერთმანეთს ვერსალის გალერეაში შეხვდნენ. ლა ფეიადმა თავი ისე მოაჩვენა, ვითომ სურდა, მოლიერს გადახვეოდა, გულზე მიიკრა და თავისი ხიფთანის ძვირფასი ღილებით სახე დაუღადრა და დაუსისხლიანა.

სამწუხაროა იმაზე ფიქრი, რომ მოლიერმა ჰერცოგს შეურაცხყოფისთვის სამაგიერო არ მიუზღა. არ ვიცით, სიმხდალის ბრალი იყო, კომედიანტისა და ჰერცოგის საზოგადოებრივ მდგომარეობას შორის განსხვავებისა ანდა, შესაძლოა, შიშისა, მეფე არ გამირისხდესო (მეფე დუელს მკაცრად დევნიდა და თვით მოლიერიც თავის კომედიებში დუელანტებს მუდამ დასცინოდა), ეს კია. მოლიერს ჰერცოგი ორთაბრძოლაში არ გამოუწვევია.

თუმცა, უნდა ვიფიქროთ, ეს თუ მოხდებოდა, „ცოლების სკოლის“ კრიტიკის“ შემდეგ მოლიერის მოღვაწეობა სამუდამოდ შეწყდებოდა, რადგან ლა ფეიადი მას უეჭველად მოკლავდა.

დე ვიზეს პიესამ „სასტუმროს“ სცენა ვერ იხილა, სამაგიეროდ, მოლიერის მიერ „კრიტიკაში“ გამასხრებული მეორე ლიტერატორი ედმ ბურსო უფრო იღბლიანი აღმოჩნდა. მისი პიესა „მხატვრის პორტრეტი, ანუ „ცოლების სკოლის“ „კონტრკრიტიკა“ ბურგონელებმა გაითამაშეს, „პორტრეტში“ ბურსომ მოლიერი ძალზე საეჭვო პიროვნებად გამოიყვანა და დე ვიზეს მსგავსად ათი მცნება მანაც გაიხსენა. მაგრამ მეფე მცნებათა მითითებას გულგრილად მოეკიდა და პარიზში ალაპარაკდნენ, მოლიერსა და მისი მტრების მთელ ლაშქარს შორის გაჩაღებულ ომს მეფე თვალს დიდი ინტერესით ადევნებო. იმასიც კი ამბობდნენ, თითქოს მეფემ მოლიერს ურჩია, თავის მტრებს სცენი-

დან თავს ერთხელ კიდევ დასხმოდა. ვაი, რომ მეფემ კომედიანტს ცუდი რჩევა მისცა!

ბატონმა დე მოლიერმა პიესა „ვერსალის ექსპრომტი“ დაწერა და ეს პიესა 1663 წლის 14 ოქტომბერს გაითამაშეს. სცენაზე მეფისთვის დადგმული პიესის რეპეტიცია წარმოადგინეს, ისე რომ, „პალე-როიალის“ მსახურები საკუთარ თავს განასახიერებდნენ. მაგრამ რეპეტიცია მოლიერისთვის მხოლოდ საბაბი გახლდათ, რათა თავის მტრებს — ბურგონელებს თავს დასხმოდა.

საქმე ის არის, რომ სახედასახიერებულ, შეურაცხყოფილ კომედიანტზე სულ უფრო და უფრო უარეს ხმებს ავრცელებდნენ. პარიზში, რა თქმა უნდა, უკვე იცოდნენ, რომ მოლიერსა და არმანდას ბედნიერი ცოლ-ქმრობა არ ჰქონდათ. უხამსმა ჭორიკანებმა მითქმა-მოთქმა დაიწყეს, არმანდა მეუღლეს, დიდი ხანია, დალატობსო. მოლიერი თუმცა სგანარელებს და არნოლფებს დასცინოდა, სამწუხაროდ, თავადაც ავადმყოფურად ეჭვიანი იყო. იოლი წარმოსადგენია, მასზე რა შთაბეჭდილებას მოახდენდა ეს ჭორი და საქვეყნოდ გაპამბულება. მოლიერმა დაასკვნა, ამგვარი თავლაფდასხმის მიზეზნი ბურგონელები არიანო, და ბრავმოჩეულმა „ვერსალის ექსპრომტში“ ისინი გააქილია.

— თქვენ შორის მეფეებს ვინ განასახიერებს? — ამბობდა მოლიერი, საკუთარ თავს, მოლიერს რომ თამაშობდა. — რაო? ეს ტანწვრილი ყმაწვილი კაცი? ხომ არ დაგვცინით? მეფე დიდი და მსუქანი, ოთხი კაცის სისქე უნდა იყოს! მეფე, ეშმაკმა დალახვროს, ღიპიანი უნდა იყოს! მეფეს სისქე-სიგანე არ უნდა აკლდეს, რომ ტახტი კარგად ამოავსოს!

არა, არ იყო საჭირო ზაქარია მონფლიორის ფიზიკური ნაკლის გამასხრება!

შემდეგ მოჰყვნენ მსახიობი ქალის ბოშატოს, მსახიობების ოტროშისა და ვილიეს დეკლამაციის დაცინვას.

იქვე მოლიერმა მარკიზებიც გაკენწლა:

— როგორც ძველი დროის კომედიებში ტაკიმასხარა მსახურები ჰყავდათ მაყურებელთა გასაცილებლად, თანამედროვე პიესებში ასევე აუცილებელია მაყურებლის შემაქცევარი მარკიზი!

მერე ედმ ბურსო გაკილა, „ვერსალის ექსპრომტში“ სცენაზე მისი მისამართით თქვა, მწერლუკა არისო... დიახ, მეფემ მოლიერს ნამდვილად უხეირო რჩევა მისცა! მაგრამ ჩვენი გმირი, როგორც ჩანს, თავს მონადირე ძაღლებისგან დევნილი, მარტოხელა მგელავით გრძნობდა.

ჰოდა, მგელს ყველა ერთად მიესია: დე ვილიემ და დე ვიზემ ერთად დაწერეს პიესა „მარკიზთა შურისძიება“, ხოლო მოხუცებული მამის გამასხრების გამო გაგულისებულმა უმცროსმა მონფლიორმა, ანტუან ჟაკობმა, პიესა „კონდეს სასახლის ექსპრომტი“ დაწერა.

„მარკიზთა შურისძიებაში“ მოლიერს უკვე ხელაღებით უწოდებდნენ უხამსს, სხვა ავტორთა გამქურდველს, მაიმუნს და რქოსანს, ხოლო „კონდეს სასახლის ექსპრომტში“ ანტუან მონფლიორიმ მოლიერს მთლიანად გადაუხადა სამაგიერო „ვერსალის ექსპრომტში“ მოხუცი მონფლიორის დაცინვის გამო: ანტუან ჟაკობ მონფლიორი მოლიერს კეისრის როლის გამო დასცინოდა, თანაც არცთუ უსაფუძვლოდ, რადგან ცნობილია, რომ ამ როლს მოლიერი ძალზე უხეიროდ თამაშობდა.

შემდეგ დევნაში „ჭაობის თეატრიც“ ჩაერია და მოლიერი პიესაში გამო-
ლანძლა.

ბოლოს, ვინმე ფილიპ დე ლა კრუამ შეთხზა ნაწარმოები, რომელსაც
„კომიკური ომი, ანუ „ცოლების სკოლის“ დაცვა“ უწოდა. ამ ნაწარმოებში
სამართლიანად აღნიშნავდა: იმ დროს, როცა აბოლონი ზეცაში განცხრომას
მისცემია, მწერლებმა და მსახიობებმა ერთმანეთი, ლამისაა, ძაღლებივით დად-
რონანო. თუმცა დე ლა კრუამ აღიარა და აბოლონის სიტყვებით გამოთქვა,
პიესა, რომლის გამოც ომი ატყდა, ანუ „ცოლების სკოლა“, კარგი პიესა
არისო.

აგბედითი 1663 წლის დამლევს გამძვინვარებულმა მოხუცმა მონფლიო-
რიმ უკეთური საქციელი ჩაიდინა: მეფეს მოლიერზე აშკარა დასმენის წე-
რილი გაუგზავნა, სადაც საკუთარ ქალიშვილთან შეუღლებას სდებდა ბრალად.

ამ დასმენამ მოლიერი მთლად გააოგნა. ცნობილი არ არის, მეფეს რა სა-
ბუთი წარუდგინა სისხლის აღრევის ბრალდების თავიდან ასაცილებლად, მაგ-
რამ თავის მართლება და რაღაცის წარდგენა რომ დასჭირდებოდა, ეს კი უეჭ-
ველია. უნდა ვიგულისხმოთ, რომ იმ აქტს წარუდგენდა, სადაც არმანდა ბეჟარი
მარი ერვე-ბეჟარის ქალიშვილად არის მოხსენიებული. მეფემ მოლიერის სა-
ბუთები სავსებით დამაჯერებლად მიიჩნია და საქმე არ აღძრულა. ამის შემდეგ
მოლიერსა და მის მტრებს შორის დიდი ომი თანდათან მიჩეხდა.

ჩემი გმირი ამ ომმა დაასნეულა; საეჭვოდ ახველებდა, მოქანცულობა
და უცნაური სულიერი მდგომარეობა დაეუფლა. მხოლოდ შემდეგღა მიხვდნენ,
რომ ეს ის მდგომარეობა იყო, რასაც მედიცინაში ძალზე შთამბეჭდავი სახელი
— იპოქონდრია ჰქვია. ომის შედეგად კი მოლიერმა მარადიულობას აზიარა
ორი წვრილფეხა მწერალი — დე ვიზე და ედმ ბურსო. ისინი სახელის განთქ-
მაზე ოცნებობდნენ და მოლიერს უნდა უმაღლოდნენ, ამას რომ მიაღწიეს.
მოლიერი მათთან პაექრობაში რომ არ ჩაბმულიყო, დე ვიზესა და ბურსოს
სახელებს, აგრეთვე მრავალ სხვათა სახელებს ძნელად თუ გავიხსენებდით.

თ ა ვ ი 20

ნათლია-ვაჟიპყელი

დარდისგან გულგამოხრული, დე ფეიადის ღილებისგან სახენაიარევი მო-
ლიერი 1664 წელს დიდებამოსილი შეხვდა, მისი სახელი საფრანგეთს გასცდა,
ალბებს გადაეგლო და სხვა ქვეყნებს მოედო.

ცოლ-ქმარ მოლიერებს უსიამო ცხოვრება კი ჰქონდათ, მაგრამ 1664 წლის
19 იანვარს ვაჟი მაინც შეეძინათ. ბავშვის დაბადებასა და მონათვლას შორის
მოლიერმა ახალი კომედია — „უნებური ქორწინება“ მოამზადა და დადგა. სი-
ნამდვილეში ეს ერთმოქმედებიანი პიესა იყო, მაგრამ რაკილა მოლიერმა
იცოდა, მეფეს ბალეტი რარიგ უყვარდა, პიესაში ცეკვები ბლომად ჩაურთო
და სამ მოქმედებამდე გაზარდა.

მოლიერის სეხნიამ, უნიჭიერესმა სამეფო კარის კომპოზიტორმა, ფლო-
რენციელმა ჯოვანი ბატისტ ლიულიმ „ქორწინებისთვის“ მუსიკა დაწერა, მე-

ფის ბალეტმაისტერმა ბოშანმა კი ცეკვები დადგა. პიესას რთული მოწყობილობა და ბევრი ფული დასჭირდა, მაგრამ ეს ფული ტყუილად არ გადაყრილა.

მეფის საამებლად მოლიერმა კომედიაში საბალეტო ნაწილი შეიტანა, საკუთარი სიამოვნებისთვის კი ორი სასაცილო ფილოსოფოსი შეიყვანა. ყოფილ კლერმონელს განსვენებული გასენდის გაკვეთილები არ დაეწყებია და სცენაზე ორი ყვეზე მუცნიერი გამოიყვანა: ერთი პანკრასი — არისტოტელეს სკოლისა, მეორე მარფურიუსი — ძველი დროის სკეპტიკოსის პირონის სკოლისა.

პირველი მაყურებელთა თავშესაქცევად წარმოუდგენელ აბდაუბდას ჩმახავდა. მეორე კი, პირიქით, სიტყვაძვირი და იმ ზომამდე სკეპტიკოსი გახლდათ, რომ სგანარელს ურჩევდა, იმაშიც კი დაეჭვებულიყო, რაშიც შეუძლებელია, ადამიანი დაეჭვდეს, თუკი თვალეზი აქვს. მაგალითად, სგანარელი სადმე როცა მივიდოდა, ის კი არ უნდა ეთქვა, მოვედიო, არამედ, მგონი, მოვედიო, რაც, რა თქმა უნდა, საღად მოაზროვნე სგანარელის სამართლიან გაცეხას იწვევდა.

ორმა მშვენიერმა სცენამ, რომელშიაც ეს ორი პედანტი მონაწილეობდა, პარიზის ფილოსოფიური ფაკულტეტი გააღიზიანა, გასაკვირია, ამ ამბავს დიდი სკანდალი რომ არ მოჰყვა, რადგან, როგორც ადრევე მოგახსენეთ, არისტოტელეს სკოლის ფილოსოფოსთა დაცინვა უკიდურესად საზიფათო გახლდათ.

„უნებური ქორწინების“ დაწერის საბაზი შესაძლოა, გრაფ ფილიბერ დე გრამონის თავგადასავალი ყოფილიყო, იმხანად პარიზში რომ გახმაურდა. ამ გრაფს ქალთა შორის ისეთი განსაკუთრებული წარმატება ჰქონდა, რომ მის თავგადასავლებზე ლაპარაკმა მეფეს, ბოლოს და ბოლოს, თავი მოაბეზრა. და დე გრამონს უბრძანა, მცირე ხნით ინგლისში წასულიყო. მაგრამ გრაფმა ინგლისში გამოჩენა ვერც კი მოასწრო, რომ უმაღლესილინა ჰამილტონის გული მოინადირა.

ლონდონის საზოგადოება დე გრამონს კარგად არ იცნობდა და ალაპარაკდა, გრაფი დაქორწინდებაო. მაგრამ დადგა დრო და იგი მშობლიურ საფრანგეთში დასაბრუნებლად გაემზადა, თანაც ფრეილინასთან გამომშვიდობებისას, ერთი სიტყვაც არ უთქვამს, იმის მანიშნებლად, რომ მისი ცოლად შერთვა სურდა.

გრაფი დუვრის ნავსადგურში მივიდა და უკვე ხომალდში ჩაჯდომის აპირებდა, როცა ნავმისადგომზე შეცრაფ ფრეილინა ჰამილტონის ორი ძმა გამოჩნდა. გრაფმა ძმებს თვალი მოჰკრა თუ არა, მაშინვე მიხვდა, რომ ისინი სახუმროდ არ იყვნენ მოსულნი. მოსასხამთა ქვემოდან ძმებს, როგორც წესი და რიგია, დაშნის წვერები მოუჩანდათ, მაგრამ დაშნებთან ერთად დამბაჩებიც გამოეყოლებინათ. ძმები გრამონს რევერანსით მიესალმნენ, მაგრამ მათი თავაზიანობა გრაფს გადაჭარბებულად ეჩვენა.

— გრაფო, — უთხრა უფროსმა, — ლონდონში ხომ არაფერი დაგვიწყებიათ?

გრაფს სამშობლოსკენ საამოდ მქროლი ნიაფი მოელამუნა; მან ჯერ ხომალდს გახედა, მერე დამბაჩებს, და გაიფიქრა: ეჭვი ოდნავადაც არ უნდა შემეპაროს, თუნდაც სროლა მოვასწრო და უფროსი მოვკლა, მაშინვე მეორესთანაც მომიწევს შებრძოლება, ნავსადგურში მოსაწყენი ალიაქოთი ატყდება, ყველაფერზე უარესი კი ის არის, რომ მისი უდიდებულესობა უაღრესად განაწყენდება, თანაც ჰამილტონების ასული მშვენიერიაო.

ჰოდა, გრაფმა ჰამილტონებს თავაზიანად უპასუხა:

— დიახ, ბატონებო, მე თქვენს დაზე დაქორწინება დამავიწყდა, მაგრამ ახლავე ლონდონში დავბრუნდები, რომ ეს საქმე გამოვასწორო.

და გრამონი სულ მალე დაქორწინდა.

მაგრამ შესაძლებელია ისიც, რომ მოლიერს კომედიისთვის მასალა ფილიბერ დე გრამონის თავგადასავლიდან კი არა, სახელგანთქმულ სატრიკოს რაბლეს ნაწარმოებიდან აეღო, სადაც ვინმე პანურგის თავგადასავალი იყო აღწერილი.

მდიდრული კომედია-ბალეტი ლუერში, მეფის დარბაზში 29 იანვარს დიდი ბრწყინვალეობით წარმოადგინეს, თანაც მეორე მოქმედების ერთ-ერთ საბალეტო გამოსვლაში მარკიზ ვილრუასთან წყვილში პირველ ეგვიპტელს საფრანგეთის მეფე ცეკვავდა. აი, რარიგად უყვარდა მას ბალეტი! მეფის გარდა წარმოდგენაში მისი ძმაც მონაწილეობდა. იგი სგანარელის ცოლის ერთ-ერთ თაყვანისმცემელს თამაშობდა. წარმოდგენის მონაწილეთა შორის იყო აგრეთვე ბევრი კარისკაცი, მათგან სამი ბოშას ასახიერებდა, ოთხი კი ეშმაკს. წარმოდგენის შემდეგ ყველა ერთპირად იმას ამბობდა, ყველაზე უკეთესი პირველი ეგვიპტელი იყო. ჩვენ ვდუმვართ, მაგრამ გულში კი ვფიქრობთ, რომ წარმოდგენაში ყველაზე უკეთესნი მოლიერის სგანარელი, ბრეკურის პანკრასი და დიუკრუაზის მარფურიუსი იქნებოდნენ.

ლუერიდან პიესა „ბალე-როიალის“ მშობლიურ სცენაზე გადაიტანეს, იქ ერთ მოქმედებად, ძვირად ღირებული ბალეტის გარეშე მიდიოდა, მაგრამ განსაკუთრებული წარმატება არ ჰქონია.

მეფემ იწება, საყვარელი ხელოვნებით ერთხელ კიდევ დამტკბარიყო. მოლიერის მიმართ შურიტ განმსჭვალულმა ბურგონელებმა მეფის პატივსაცემად ბალეტი დადგეს და 13 თებერვალს მეფემ ამ ბალეტშიც იცეკვა. ბალეტის პროლოგში სახელგანთქმული დეზეიე და ფლორიდორიც მონაწილეობდნენ. მოლიერს კი შესაძლებლობა მიეცა, მიმდინარე რეპერტუარსა და თავისი ოჯახის საქმეებს დაბრუნებოდა.

ეს საქმეები ბინდით მოცული საიდუმლოებებითა და სადარდელით იყო აღსავსე და მხოლოდ 28 თებერვალს იმავე სენ-ჟერმენ დე ლ'ოქსერუას ეკლესიაში გაჩახჩახებულ სასანთლეთა ელვარებამ ოდნავ განაბნია წყვილიდი მელანქოლიით შეპყრობილი მოლიერის ცხოვრებისა. იმ დღეს მოლიერის პირმშოს ნათლავდნენ. ყოველივე ძალზე მდიდრულად და საზეიმოდ მოეწყოთ. ემბაზთან გრძელჩუგლუგიანი გვარდიელი იდგა, ხოლო მღვდელს სახეზე უჩვეულო აღფრთოვანება ეწერა. საქმე ის გახლდათ, რომ ბავშვის ნათლიაობაზე საფრანგეთის მეფემ განაცხადა თანხმობა. დიდი ნათლიის ნაცვლად მონათელას პერცოგი დე კრეკი ესწრებოდა, ხოლო უწარჩინებულესი ნათლიის, ორლენის პერცოგის მეუღლის — პენრიეტას ნაცვლად მარშალ დიუ პლესის მეუღლე, ბავშვს, სრულიად გასაგებია, ლუი დაარქვეს.

ნათლობამ პარიზში დიდი შთაბეჭდილება მოახდინა და მოლიერის ლანძღვა-გინება საკმაოდ შეანელა. დასის დირექტორის ზურგს უკან ყველას მეფის აჩრდილი ელანდებოდა და ბევრი იმათგანი, ვისაც გამარჯვებულის მხარეზე გადასვლა უყვარს, გატაცებით ჰყვებოდა, მონფლიორის ბეზლს სასახლეში ყურიც არ ათხოვს და დამსმენი ლამის კინწისკვრით გამოაგდესო.

ამასობაში მოლიერმა სამყოფელი ისევ შეიცვალა, რაც ბევრს ძალზე

უცნაურად ეჩვენა. მან რიშელიეს ქუჩაზე თავისი ბინა მიატოვა და ცოლთან ერთად ძველ ადგილას, მეფის მოედანსა და თომა ლუვრელის ქუჩის კუთხეში გადაბარგდა, იმ სახლში, სადაც მადლენა ბეჟარი და ქალბატონი დებრი ცხოვრობდნენ. გადაბარგების შემდეგ მოლიერი მდგომარეობის მიუხედავად, გამალებით მუშაობდა ერთ დიდ ნაწარმოებზე. მუშაობდა ~~საიდუმლოდ~~ და ეს ამბავი ძალზე ცოტა ვინმემ იცოდა. მათ შორის იყვნენ: სახელგანთქმული კრიტიკოსი და პოეტი ბუალო-დებრეო, ასაკში დიდი განსხვავების მიუხედავად (იგი მოლიერზე თოთხმეტი წლით უმცროსი გახლდათ), როგორც უკვე მოგახსენეთ, ჩემი გმირის საუკეთესო მეგობარი რომ შეიქნა, და მთელ საფრანგეთში ერთ-ერთი უჭკვიანესი და დიდად საინტერესო ქალი, ფრანგ ასპაზიად წოდებული, ნინონ დე ლანკლო, ვის სალონშიც მოლიერი მსმენელთა ვიწრო წრეს ახალი კომედიის ნაწყვეტებს უკითხავდა.

მოლიერის ბალეტებით ნაამები მეფე ახლა კეთილგანწყობილებით ადევნებდა თვალს თავისი ნათლიმამის მუშაობას და დრამატურგმა უმოჩილესად აცნობა, პირმოთნესა და თვალთმაქცზე დიდ კომედიას ვწერო.

ამ დროს, ანუ 1664 წლის გაზაფხულზე, ვერსალის სასახლის მოკაზმვა დამთავრდა და ვერსალის გრანდიოზული დღესასწაულები დაიწყო.

თვალუწვდენელ ხეივანში, შეკრებილ ბუჩქთა მწვანე კედლებს შორის კორტეჟი მიემართებოდა, რომელსაც ცხენზე ამხედრებული ლუი მეფე მიუძღოდა. მემუსიკეთა რიგი რიგს მისდევდა და საყვირები ისე გამაყრუებლად გუგუნებდა, იფიქრებდით, მათი ხმა ოც კილომეტრზე, პარიზშიც ისმისო. მუსიკოსთა გუნდებს შორის ორთვლიანი ეტლები მოჩანდა. ერთ-ერთ ეტლზე აბოლონ ღმერთის განმასახიერებელი შარლ ვარლე დე ლაგრანჟი აღმართულიყო. სხვა ეტლებით ზოდიაქოს თანავარსკვლავედთა ნიშნების კოსტიუმებში გამოწყობილი მსახიობები მიდიოდნენ. მათ მიჰყვებოდნენ ქვეითი და ცხენოსანი კოსტიუმირებული რაინდები, ზანგები და ნიმფები. მათ შორის ეტლზე მოჩანდა თხისფეხა ტყის ღმერთი პანი, რომელსაც ბატონი დე მოლიერი განასახიერებდა.

რას მოასწავებდა ყოველივე ეს? ჰეროლდთა საყვირები ყველას ამცნობდა, რომ დაიწყო „მოჯადოებული კუნძულის გართობანი“ — ვერსალის დიადი დღესასწაულები, რომელიც ჰერცოგმა დე სენტ-ენიანმა მეფის ბრძანებით მოამზადა.

მეფის მებაღეებმა ხე-ბუჩქები შეკრივეს, ვერსალის ზღვა სიმწვანეში თეატრები მოაწყვეს და ყვავილწუნულებითა და ჩუქურთმებით შეამკეს, პიროტექნიკოსებმა არნახულად კაშკაშა და მგრგვინავი ფეიერვერკები მოამზადეს, ვიგარანიმ კი თეატრალური წარმოდგენებისთვის მანქანები გამართა.

როცა დღესასწაულები დაიწყო, ყოველ საღამოს ვერსალის ბაღები ნაირფერ ალში ეხვეოდა და ციდან ვარსკვლავები ჭექით ცვიოდა. შორიდან მაყურებელს ეგონებოდა, ვერსალის ტყე იწვისო.

მოლიერი ამ დღესასწაულისთვის გაცხოველებით ემზადებოდა, რომელიც ესპანელ დრამატურგს სიუჟეტს დაესესხა და ძალიან მოკლე ვადაში დაწერა პიესა, რომელსაც „ელიდელი პრინცესა“ უწოდა. ამ გალანტურსა და ზერელე წარმოდგენაში ელიდელი პრინცესის როლს არმანდა მოლიერი ასრულებდა. მთელმა სამეფო კარმა ნახა, სახელოვანი კომედიანტის ცოლი რა ნიჭის პატრონი იყო და მის სკოლაში როგორ გაიწაფა. არმანდას თამაშმა

ყველა განაცვიფრა და სამეფო კარის კავალერები ოქრომკედლით მოქარგული ლიმონისფერი აბრეშუმით შემოსილ გონებამახვილ, ენამწარე ქალს გუნდ-გუნდად შემოერტყნენ.

„ელიდელმა პრინცესამ“ მეფეს უდიდესი სიამოვნება მიანიჭა, მის ავტორს კი ახალი მწუხარება მოუტანა. ჭაბუკმა, ლამაზმა, მდიდარმა და ამიტომაც სახიფათო კავალერებმა მოლიერს დღესასწაულები მთლად ჩაუქრეს. მის ცოლზე ჭორობა პირველსავე დღეს დაიწყეს. ვითომ სიბრაღულის გამომხატველი გესლიანი სიტყვები ანდა ულამაზო ქარაგმები მის ყურამდე უმალ აღწევდა, მაგრამ იგი მტრებს უკვე აღარ უღრენდა, ჩაყვითლებულ კბილებს მხოლოდ მგლურად კრეჭდა. გასულ წელს ბურგონელებთან გადატანილი ომის შემდეგ, ეტყობა, ბევრ რამეს მიეჩვია და აღარ უკვირდა, რომ ხალხში სრულიად გაშიშვლებული დადიოდა. ამას გარდა, თავს უბედურებაც დაატყდა: მეფის ნათლული ლუი „ელიდელი პრინცესის“ პრემიერის შემდეგ სულ მალე გარდაიცვალა.

დღესასწაულები ამასობაში თავის წესსა და რიგზე მიდიოდა, ყვავილთა თეატრებში ლიულის მელოდიები გაისმოდა, ციდან ცეცხლის კონები იფრქვეოდა. ამ დღეს, 12 მაისს, მოლიერმა მეფეს წინასწარ მოახსენა, პიესა ჯერ არ დამიმთავრებიაო, და სამეფო კარს სამი მოქმედება უჩვენა სწორედ ამ იდუმალებით მოცული პიესისა, რომელსაც „ტარტიუფი ანუ თვალთმაქცი“ ეწოდებოდა.

მოკლედ მოგახსენებთ. ამ პიესაში განსახიერებული იყო ნამდვილი, ჩამოყალიბებული თაღლითი, ცრუ, არამზადა, დამსმენი და ჯაშუში, თვალთმაქცი, მრუში და სხვათა ცოლების შემაცდენელი. მაგრამ საქმე ის არის, რომ საზოგადოებისთვის აშკარად საშიში პერსონაჟი ღვთის მსახური გახლდათ. მისი ყოველი საუბარი აღსავსე იყო ტკბილი, ღვთისმოსავური გამოთქმებით. უფრო მეტიც, თავის ბინძურ მოქმედებას გმირი ყოველ ნაბიჯზე საღვთო წერილის ციტატებს ურთავდა!

საჭიროდ არ მიმაჩნია, ნათქვამს რაიმე კიდევ დავუმატო. ეს წარმოდგენა გაითამაშეს მეფის, ღვთისმორწმუნე დედა-დედოფლის და უამრავი კარისკაცის თანდასწრებით, რომელთა შორის ბევრი თავგამოდებული წევრი იყო ცოტა ხნის წინ გახმაურებული სასულიერო საზოგადოების — ზიარების კომპანიისა, რომელმაც სახელმწიფოში რელიგიისა და ზნეობის სიწმინდის დასაცავად ისეთი გაძლიერებული მოღვაწეობა გააჩაღა, რომ მთავრობაც კი ერთხანს მის დახურვას ცდილობდა.

კომედიის დასაწყისს ყველა ყურადღებით, აღფრთოვანებითა და კეთილგანწყობით შეხვდა, რასაც უმალვე უდიდესი განცვიფრება შეენაცვლა, ხოლო მესამე მოქმედების დასასრულს მაყურებელმა აღარ იცოდა, რა ეფიქრა, ზოგს კი გულში გაუელვა, ბატონი დე მოლიერი იქნებ სრულ ჭკუაზე არც არისო.

ღვთისმსახურთა შორის, რა თქმა უნდა, ყველანაირი კაცი შეიძლება გამოერიოს, თუნდაც აბატი როკეტი, რომელიც შემდეგ ოტენის ეპისკოპოსი გახდა. მოლიერი მას ლანგედოკში გატარებულ დაუვიწყარ ჟამს იცნობდა, როცა როკეტმა მთელი მრევლის წინაშე საოცრად ბინძური საქციელით გაითქვა სახელი; ან ყოფილი ვეჭილი შარპი, შემდგომში მქადაგებლად რომ იქცა და სწორედ იმხანად მეფის კარის მეაფთიაქის ცოლი შეაცდინა; ანდა ცნობილი ბორდო-

ელი ფრანკისკელი მამა იტიე, რომელმაც ფრონდის დროს არნახული გამცემლობა ჩაიდინა, და ზოგიერთი სხვაც. მაგრამ სცენაზე იმის განსახიერება, რაც მოლიერმა განასახიერა... არა, დამეთანხმეთ, ეს ყველას წარმოუდგენლად მოეჩვენა!

მაღალი წრის მრავალტანჯული მარკიზები უკვე მიჩვეულნი იყვნენ, რომ მეფემ ისინი მოლიერს თითქოს დასაფლეთად მიაქირავა. სწავარსებობდაც, მედუქნეებმაც ის მიიღეს, რაც ერგებოდათ... მაგრამ „ტარტიუფის“ მოლიერი იქ შეიჭრა, სადაც შეჭრა არ შეიძლებოდა.

აღშფოთება საოცარი სისწრაფით მომწიფდა და სამარისებური სიჩუმით გამოიხატა. გაუგონარი რამ მოხდა. პალე-როიალელმა კომედიანტმა ვერსალის დღესასწაულები კალმის ერთი მოსმით ჩაფუშა. დედა-დედოფალმა აღშფოთების ნიშნად ვერსალი დატოვა.

შემდეგ კი ამბავთა განვითარებამ ძალზე სერიოზული ხასიათი მიიღო. მეფის წინაშე უცებ აღისფერი მოსასხამის ელვარებით წარსდგა ქალაქ პარიზის არქიეპისკოპოსი, კარდინალი არდუენ დე ბომონ დე პერეფიქსი და ძალზე დაჯერებით და დამარწმუნებლად დაუწყა ვედრება, „ტარტიუფის“ წარმოდგენები ახლაც აკრძალეო. ზიარების კომპანია მხოლოდ იმას გაიძახოდა, მოლიერი დიდად საშიშიაო. ეს პირველი, და იქნებ ერთადერთი შემთხვევა იყო, როცა მეფემ თეატრალური წარმოდგენის შემდეგ განცვიფრება იგრძნო.

და, აი, დადგა ქამი, როცა ნათლია და ნათლიმამა ერთმანეთის პირისპირ მარტონი დარჩნენ. ისინი ერთმანეთს ერთხანს მდუმარედ აკვირდებოდნენ. ლუი ბავშვობიდან სათქმელის მოკლედ და ცხადად თქმას იყო ნაჩვევი, ახლა კი იგრძნო, რომ სიტყვის დაძვრა რატომღაც უძნელდებოდა. ქვედა ტუჩი წინ წამოეწია და გაფითრებულ კომედიანტს აღმაცერად უყურებდა, ხოლო თავში დაახლოებით ეს აზრი უტრიალებდა: „ისე კი ეს ბატონი მოლიერი საკმაოდ საინტერესო მოვლენაა!“

ამ დროს ნათლიმამა კომედიანტმა თავს ნება მისცა და თქვა:

— თქვენო უდიდებულესობავ, უმორჩილესად გთხოვთ, „ტარტიუფის“ წარმოდგენის ნება დამრთოთ.

მეფე-ნათლია განცვიფრდა.

— კი მაგრამ, ბატონო დე მოლიერო, — უთხრა მეფემ თანამოსაუბრეს და თვალეში უდიდესი ცნობისმოყვარეობით ჩააცქერდა, — ყველა ერთხმად ამტკიცებს, რომ თქვენს პიესაში რელიგიისა და ღვთისმოსაობის დაცინვაა!..

— გავბედავ და თქვენს უდიდებულესობას მოვახსენებ, — გულითადად უპასუხა მეფესთან ნათელ-მრონის მოზიარე მსახიობმა, — ღვთისმოსაობა ქეშმარიტიც შეიძლება იყოს და ყალბიც...

— ეს ასეა, — უპასუხა მოლიერს ნათლიამ, თან მზერას არ აცილებდა, — მაგრამ მაინც, მომიტევეთ, გულახდილად რომ გეუბნებით, ყველა ამბობს, რომ თქვენს პიესაში შეუძლებელია გარჩევა, როგორ ღვთისმოსაობას დასცინით, ქეშმარიტს თუ ყალბს! ღვთის გულისათვის, მომიტევეთ, ასეთი საკითხების მცოდნე არა ვარ, — დაუმატა მუდამ თავაზიანმა მეფემ.

ერთხანს დუმდნენ. მერე კი მეფემ თქვა:

— ასე რომ, გთხოვთ, ეს პიესა არ ითამაშოთ.

დღესასწაულები ასე უიღბლოდ დასრულდა და მეფე 16 მაისს ფონტენ-

ბლოში გაემგზავრა. მოლიერიც უკან გაჰყვა. მოლიერის კვალდაკვალ კი დაიძრა ამბავი „ტარტიუფისა“, სულ უფრო და უფრო ფრთებს რომ ისხამდა.

ფონტენბლოში „ელიდის პრინცესა“ საფრანგეთში მოსალაპარაკებლად ჩასულმა რომის პაპის დესპანმა და მისმა ნათესავმა კარდინალმა კიჭიმაც ნახა. კარდინალს „პრინცესა“ მოეწონა და მოლიერმა საქმე ისე მოაგვარა, რომ კარდინალმა იგი „ტარტიუფის“ წასაკითხად მიიწვია. როცა მოლიერმა პიესა წაიკითხა, პაპის ლეგატმა ყველას გასაკვირად თავაზიანად თქვა, რომელიაში მიუღებელს ვერაფერს ვხედავ და არც რელიგიის შეურაცხყოფა შემინიშნავსო. კარდინალის ნათქვამმა მოლიერს ფრთები შეასხა და იმის იმედიც კი მიეცა, იქნებ შევძლო, პიესა უწმინდესმა ტახტმა დაიცვასო. მაგრამ ეს არ მოხდა. მეფემ ფონტენბლოში სულის მოთქმაც ვერ მოასწრო, რომ წმინდა ბართლომეს ეკლესიის კიურეს, მამა პიერ რულეს ნაწარმოები წარუდგინეს, პარიზში ძალზე სწრაფად რომ დაებეჭდათ. ნაწარმოებს წამძღვარებული ჰქონდა: „მთელი მსოფლიოს მეფეთა შორის უსახელოვანეს მეფეს, ლუი XIV-ს“ და შიგ მხოლოდ „ტარტიუფზე“ იყო ლაპარაკი.

პატივცემული კიურე გულფიცხი კაცი გახლდათ და სათქმელს სრულიად ცხადად გამოთქვამდა. ამბობდა, მოლიერი ადამიანი კი არა, ადამიანის ტანსაცმლით შემოსილი ავსულია და, რადგანაც ჯოჯოხეთის ცეცხლი მაინც უეჭველად მოელის, რაღა საჭიროა, ზემოხსენებულმა მოლიერმა ჯოჯოხეთის ცეცხლს უცადოს, უმჯობესია, თავის „ტარტიუფთან“ ერთად ხალხის თვალწინ დაეწვათო.

მოლიერმა მამა პიერის ეპისტოლე წაიკითხა თუ არა, მეფეს უმაღლ თხოვნა მიართვა, სადაც, სასოწარკვეთილი, მფარველობას ითხოვდა.

ლუი XIV ვერ იტანდა, როცა მიუთითებდნენ, ვის როგორ უნდა მოჰქცეოდა. ამიტომ რულეს განზრახვა ჩაეფუშა — აუტოდაფე ვერ მოაწყო. ის კი არა, ამ უგუნური მოთხოვნის წარმდგენი ძალზე ცუდად მიიღეს.

ამ დროს „ტარტიუფს“ რომელი კარდინალის გარდა კიდევ ერთი დამცველი გამოუჩნდა. ეს გახლდათ უხეში და უსიამოვნო, მაგრამ ჭკვიანი და ცოდნის მოყვარული პრინცი კონდე. იმ ხანებში, როცა „ტარტიუფი“ შეიქმნა, იტალიელებმა ფარსი „სკარამუშ-განდეგილი“ გაითამაშეს, სადაც ბერი ძალზე უარყოფითად იყო წარმოდგენილი. „ტარტიუფის“ ირგვლივ ატეხილი აურზაურის გამო ჯერ კიდევ გაოგნებულმა მეფემ იტალიელთა „სკარამუშის“ ნახვის შემდეგ კონდეს უთხრა:

— ვერ გამიგია, „ტარტიუფს“ ასე რატომ დააცხრნენ. „სკარამუშში“ ხომ ბევრი რამ უფრო მწვავედ არის ნათქვამი.

— იმიტომ, თქვენო უდიდებულესობავ, — უპასუხა კონდემ, — რომ „სკარამუშის“ ავტორი ზეცასა და რელიგიას დასცინის, რის ჯავრიც ამ ბატონებს სრულებითაც არა აქვთ, „ტარტიუფში“ კი მოლიერმა თავად ისინი გაამასხრა. აი, რატომ არიან გამძვინვარებულნი, სირ!

მაგრამ მოლიერს კონდეს მხარდაჭერამაც ვერ უშველა.

მაშინ რა ქნა ბედუკუდმართი პიესის ავტორმა? დაწვა ეს პიესა? გადაშალა? არა. როცა ვერსალიდან გამოყოლილმა ელემენტლებმა გაუარა და გონს მოეგო, მონანიების ნაცვლად „ტარტიუფის“ მეოთხე და მეხუთე მოქმედების წერას შეუდგა.

მოლიერის მფარველმა ფილიპ ორლეანელმა, რა თქმა უნდა, მოისურვა,

რომ „ტარტიუფი“ მის კარზე ეთამაშათ. ზაფხულში ვილიე-კოტრეს ციხე-კოშკში პიესის სამი მოქმედება წარმოადგინეს. ხოლო როცა მოლიერი პიესა დაასრულა, რენსიში, კონდეს კარზე „ტარტიუფი“ მთლიანად გაითამაშეს.

დიახ, პიესა აიკრძალა, მაგრამ მის გავრცელებას წინ ვერაფერი აღუდგა და ხელით გადაწერილი „ტარტიუფი“ მთელ საფრანგეთს მოედო. უფრო მეტიც, პიესის ამბავი ევროპის სხვა ქვეყნებშიც შეიტყვეს და ამხანაღ რომში მყოფმა შვეციის დედოფალმა, ახლად გაკათოლიკებულმა ქრისტიანმა, საფრანგეთს ოფიციალურად სთხოვა, მისთვის პატივი დაედოთ და პიესა გაეგზავნათ. დედოფალს მისი საზღვარგარეთ დადგმა სურდა. საფრანგეთის ხელისუფალნი საჩოთირო ვითარებაში აღმოჩნდნენ, მაგრამ მაინც მოახერხეს რაღაც მოემიზებებინათ და დედოფლისთვის უარი ეთქვათ.

მოლიერი ფონტენბლოდან პარიზში სნებამორეული დაბრუნდა, ხველები-საგან სული ეხუთებოდა, ხალხის დანახვა აღიზიანებდა. როცა „პალე-როიალის“ საქმეებს გადახედა, აღმოჩნდა, რომ თეატრის შემოსავალი კლებულობდა.

„ელიდის პრინცესა“ თუმცა წარმატებით მიდიოდა, მაგრამ ხარჯიც ძალზე დიდი ჰქონდა. თეატრმა მოდაში შემოსული პირველხარისხოვანი დრამატურგის ჟან რასინის პიესა „ფივაიდა“ დადგა, მაგრამ ამ პიესას დიდი შემოსავალი არ ჰქონია. „ტარტიუფის“ დასამარების შედეგად ღირეკტორს ხელი ყველაფერში მოეცარა.

ამას დაერთო კიდევ ერთი სამწუხარო ამბავი — გარდაიცვალა მსუქანი გრო-რენე დიუბარკი. მის შემცვლელად ახალი კომიკოსი, დედაბრების როლთა შემსრულებელი იუბერი მიიღეს და მოლიერი ახლა იმას ფიქრობდა, „ტარტიუფი“ რითღა შეეცვალა.

თ ა ვ ი 21

დაე, თავს მახი დაატყდეს მოლიერს!

მოლიერი ესპანური ლეგენდების შესწავლას შეუდგა. ერთთავად კაბინეტში იჯდა, ცოლს ეჩხუბებოდა, ბუზღუნებდა და ახველებდა, თან ფოლიანტებს ჩაპკირკიტებდა და ქაღალდს თხაპნიდა. თეთრად ნათევ ღამეებში მის თვალწინ ხორცი შეისხა მომხიბლავი მაცდუნებლის დონ ჟუან ტენორიოს სახემ და ძალუმად გაიტაცა. ჯერ ტირსო დე მოლინის სახელით ცნობილ ბერ გაბრიელ ტელიესის პიესა წაიკითხა, იტალიელთა მიერ იმავე დონ ჟუანზე დაწერილ პიესასაც გაეცნო. დონ ჟუანის ამბავმა მრავალი ქვეყანა მოიარა. ეს თემა ყველას იზიდავდა. მათ შორის ფრანგებსაც. სულ ცოტა ხნის წინ ფრანგებმა ლიონსა და პარიზში გაითამაშეს პიესები დონ ჟუანზე, ანუ ქვის სტუმარზე, ესპანური პიესის პირველი მთარგმნელის ხელში „ქვის ნადიმად“ რომ იქცა, რადგან მთარგმნელმა ესპანური სიტყვა „სტუმარი“ „ნადიმად“ მიიჩნია.

მოლიერი ამ თემამ გაიტაცა, საკუთარი დონ ჟუანის წერა დაიწყო და ძალიან კარგი პიესა დაწერა, რომელსაც უცნაური, ფანტასტიკური დასასრული ჰქონდა: მის დონ ჟუანს ჯოჯოხეთის ცეცხლი ნთქავდა.

პრემიერა 1665 წლის 15 თებერვალს გაითამაშეს. დონ ჟუანს ლაგრანჟი თამაშობდა. მის მსახურ სგანარელს — მოლიერი, პიეროს — ახალი კომიკოსი

იუბერი, დონ ლუის — კოჭლი ბეყარი, დიძანშს — დიუკრუაზი, ლა რამიეს — ბატონი დებრი, დონ ჟუანის მიერ შეცდენილ ორ გლეხის ქალს, შარლოტასა და მათიურიას, თამაშობდნენ ქალბატონი დებრი და არმანდა, რომელიც მეორე შვილზე ოთხი თვის ფეხმძიმე იყო.

„დონ ჟუანმა ანუ ქვის სტუმარმა“ თეატრს პრემიერაზე წაიყვანა ლივრი შემოსავალი მისცა. შემდეგ შემოსავალმა იმატა და მთელი თხზვას ლივრს მიაღწია.

„დონ ჟუანმა“ პარიზელები შეძრა. „ტარტიუფის“ გამო მისმა ავტორმა ისეთი მარცხი იწვნია, მოსალოდნელი იყო, შეცოდებანი დაუყოვნებლივ მოენანიებინა და მაყურებლისთვის ისეთი ნაწარმოები შეეთავაზებინა, საზოგადოებრივი ყოფის საფუძვლებს რომ არ შეეხებოდა და სრულიად მისაღები იქნებოდა. მაგრამ ეს არ მომხდარა. ის კი არა, „დონ ჟუანმა“ „ტარტიუფზე“ არათუ ნაკლები, უფრო მეტი აუზრზაური გამოიწვია, მეტადრე იმიტომ, რომ „დონ ჟუანი“ სცენიდან აუღერდა, ხოლო „ტარტიუფი“ მხოლოდ ვიწრო წრისათვის იყო ცნობილი.

მოლიერის გმირი დონ ჟუანი ნამდვილი, დასრულებული ათეისტი გახლდათ, თანაც ეს ათეისტი მანკიერებათა მიუხედავად უაღრესად გონებაბაზვილი, უშიშარი და უსაზღვროდ მიმზიდველი იყო. მისი დასკვნები ბასრ დაშნასავით კვეთდა. ამ ბრწყინვალე, თავისუფლად მოაზროვნე გმირს მოლიერმა მისი ლაქია, მხდალი, სულმდაბალი სგანარელი დაუპირისპირა.

ღვთისმოსაობის ქომაგნი ჯერ გაოგნდნენ, შემდეგ კი გააფთრდნენ. გამოჩნდა პირველი სტატიები „დონ ჟუანზე“. ვინმე ბარბიე დ'ოკურმა, სტატია რომონის ფსევდონიმით რომ გამოაქვეყნა, ბატონი მოლიერის სამაგალითოდ დასაჯა მოითხოვა, თანაც მკითხველს გაახსენა, იმპერატორმა ავგუსტუსმა სიკვდილით დასაჯა მასხარა, იუპიტერს რომ დასცინოდაო. ავგუსტუსის გარდა მან გაიხსენა თეოდოსიცი, რომელიც მხეცებს დასაფლეთად მიუგდებდა ხოლმე მოლიერისნაირ ავტორებს.

რომონს მხარი აუბა სხვა მწერალმაც. იგი წერდა, კარგი იქნებოდა, თუ ავტორსაც და მის გმირსაც თავს მეხი დაატყდებათო. ამ ავტორის შემდეგ კვლავ, ახლა კი უკანასკნელად გამოჩნდა ჩვენი ძველი ნაცნობი, ღვთისმოსავი პრინცი კონტი. საგანგებოდ დაწერილ თხზულებაში, რომელიც კომედიასა და მსახიობებს ეძღვნებოდა, მან განაცხადა, „დონ ჟუანი“ ურწმუნოების სრულიად აშკარა სკოლააო, თანაც უნდა აღვნიშნოთ, რომ პრინცი ძალზე გონებაბაზვილურად მსჯელობდა.

— მართლაცდა, შეუძლებელია, — ამბობდა იგი, — დონ ჟუანი მოურიდებლად ალაპარაკო, რელიგიისა და ღვთიური საწყისის დაცვა კი ბრიყვ ლაქიას დააკისრო. განა მას ძალუძს, ბრწყინვალე მოწინააღმდეგეს დაუპირისპირდეს?

ნეტავი „პალე-როილის“ ღირექტორს ზეცამ თავს მეხი დაატეხოსო, ეს ნატვრა სულ უფრო და უფრო ხშირად გაისმოდა. მთელ პიესაში ყველაზე ძლიერი შთაბეჭდილება დონ ჟუანისა და მათხოვრის კეშმარიტად უცნაურმა სცენამ მოახდინა. ამ სცენაში დონ ჟუანი მათხოვარს ეკითხება, რას საქმიანობო? მათხოვარი უპასუხებს, მთელ დღეს ვლოცულობ, ღმერთს ვევედრები, რომ კეთილდღეობა არ მოაკლოს იმ ხალხს, ვინც ჩემთვის რამეს გაიმეტებსო. დონ ჟუანი ამაზე ეუბნება, ვინც მთელი დღე ლოცულობს, კარგად უნდა ცხოვრობდესო. მათხოვარი ამბობს, არა, ძალიან მიჭირსო. მაშინ დონ ჟუანი ეტყვის,

მაშასადამე, შენი გარჯა ზეცაში ცუდად ფასდებაო, და ლუიდორს შესთავაზებს, ოღონდ ერთი პირობით, ღვთისმგმობი რამე თქვიაო. მათხოვარი უარს ეტყვის, დონ ჟუანი კი ლუიდორს მაინც მისცემს, თანაც ამბობს, ამას კაცთმოყვარეობის გამო ვჩადივარო.

ამ სცენამ ისინიც კი მოლიერის მოწინააღმდეგეებად აქცია, ვინც მისდამი შედარებით კეთილად იყო განწყობილი და დონ ჟუანის განსაგებრად ფინალში გავარდნილ მებს, აღარავინ დაუკმაყოფილებია. მოკლედ, „დონ ჟუანმა“ სცენაზე დიდხანს ვერ იბოგინა და მეთხუთმეტე წარმოდგენის შემდეგ აიკრძალა.

ურიგო არ იქნება, თუ დავუმატებთ, რომ მოლიერი „დონ ჟუანის“ წყალობით პარიზში სწავლულთა კიდევ მთელ კორპორაციას წაეკიდა, სახელდობრ, ექიმებს, რადგან კომედიაში მათ მწარედ დასცინა.

ამგვარად, მოლიერმა სეზონის დამლევს ახალი მტრები შეიძინა. დამქანცველი ზაფხული დიდხანს უხალისოდ მიზოზინებდა. შინ მოლიერი ფეხმძიმობის შედეგად გაუჩინებულ ცოლს ეჩხუბებოდა, ხოლო თეატრში, გააფთრებული, სრულიად ამაოდ ილანძლებოდა იმის გამო, რომ სალაროს შემოსავალი კლებულობდა. „ტარტიუფისა“ და „დონ ჟუანის“ აკრძალვის შემდეგ კი შემოსავლის კლებას ძნელად თუ რამე ეშველებოდა.

როცა გაუსაძლისი სულიერი განწყობილება დაეუფლებოდა, შვებას სმაში ეძებდა და მცირე კრებული, რომელსაც შეადგენდნენ მოლიერის ძველი თანაკლასელები და კლოდ შაპელი, აგრეთვე — ლაფონტენი, ბუალო და ამომავალი ვარსკვლავი ჟან რასინი, დროგამოშვებით თავს იყრიდა ხან სამიკიტნო „თეთრ ვერძში“, ხანაც „ნაძვის გირჩაში“. კრებულს თამაშობდა მოუსვენარი შაპელი, ამქვეყნად სმა ყველაფერს რომ ერჩია. ამ კრებულს, თანაც მოლიერის წინამძღოლობით მისულს, ჩვენს დროში საფრანგეთის ყოველი რესტორანი უთუოდ მუქთად გაუმასპინძლებოდა.

თეატრის საქმეები ამასობაში თავის წესსა და რიგზე მიედინებოდა. ივნისში მეფის ბრძანებით ვერსალში დრამატურგი ქალის, მადმუაზელ დე ჟარდენის პიესა „კეკლუცი“ წარმოადგინეს. თამაშობდნენ ბალის ღია, საზაფხულო თეატრში. მსახიობები გააოცა ფორთოხლის ხეების უჩვეულო სიმრავლემ, რითაც თეატრი შეემკოთ.

ოთხ აგვისტოს არმანდამ იმშობიარა და მეუღლეს ქალიშვილი აჩუქა. ბავშვი მადლენამ და ჩვენმა ძველმა ნაცნობმა ესპრი რემონ დე მოდენმა მონათლეს. ძველი საყვარლების რომანი, დიდი ხანია, დასრულდა, დე მოდენსა და მადლენას ახლა წყნარი, სევდიანი მეგობრობა აკავშირებდა. ყოფილი საყვარლების, ამჟამად კი ნათლიების პატივსაცემად მათი სახელები შეაერთეს და გოგონას ესპრი-მადლენა დაარქვეს.

მოლიერის ქალიშვილის დაბადებიდან რამდენიმე დღის შემდეგ ერთმა ამბავმა დასი ძალზე გამოაცოცხლა და კარგ გუნებაზე დააყენა. 1665 წლის 14 აგვისტოს, პარასკევს, კომედიანტთათვის ღირსსახსოვარ დღეს, როცა დასი სენ-ჟერმენ-ან-ლეში იმყოფებოდა, მეფემ სიორ დე მოლიერს თავისი უზენაესა ბრძანება გამოუცხადა: ამიერიდან დასი მეფის პირად გამგებლობაში გადადის და „პალე-როიალის“ სამეფო დასი უნდა ეწოდოსო. ამასთან დაკავშირებით დასს წელიწადში ექვსი ათასი ლივრი გასამრჯელო ენიშნებოდა.

მსახიობთა სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ახლა მეფის მოწყალებას ღირსეული პასუხი სჭირდებოდა. მოლიერი პასუხს არ დააყოვნებდა, ერთ გარემო-

ებას ხელი რომ არ შეეშალა: სნება ძალიან მოეძალა. მთელი ორგანიზმი მოეშალა. მუცელში დამაძაბუნებელი, ალბათ ნერვულ ნიადაგზე წარმოქმნილი ტკივილები დაეწყო და აღარ უყუჩდებოდა. ამას გარდა, ხველებამაც უმატა, ერთხელ კი ნახველს სისხლიც ამოაყოლა. მოლიერთან ექიმების კონსილიუმი მიიწვიეს.

ცოტათი მომჯობინდა თუ არა, მოლიერმა დრამატურგიის სფეროში ისეთი რამ მოიმოქმედა, რასაც, თავდები ვარ, მთელ ქვეყანაზე ვერც ერთი დრამატურგი ვერ შეძლებს. მაგრამ ეს რანაირად შეძლო, ვერ გამიგია: სამმოქმედებიანი კომედია-ბალეტი პროლოგითურთ ხუთ დღეში დაწერა, რეპეტიციებიც ჩაატარა და გაითამაშა კიდევ. პიესას „მკურნალი სიყვარული, ანუ ექიმები“ ეწოდებოდა, 15 სექტემბერს ვერსალში წარმოადგინეს და მეფემ მისი ნახვით დიდად ისიამოვნა. შემდეგ პიესა „პალე-როიალში“ გადაიტანეს. „მკურნალი სიყვარული“ თეატრს გვარიან შემოსავალს აძლევდა, თუმცა აურზაური, მოლიერის ნაწარმოებებს ნიადაგ რომ ახლდა, მის გამოც ატყდა.

ამჯერად საფრანგეთის მთელი სამედიცინო ფაკულტეტი აღმოჩნდა უალრესად შეურაცხყოფილი, რადგან პიესაში ოთხი ექიმი იყო გამოყვანილი და ოთხივე წმინდა წყლის თაღლითი გახლდათ.

მოლიერი ექიმებს რატომღა წაეკიდა? უკვე ვიცით, რომ იგი გამუდმებით, უსაშველოდ ავადმყოფობდა, დამაძაბუნებელი იპოქონდრია სულ უფრო და უფრო ეუფლებოდა. ექიმებთან ხსნას დაეძებდა, მაგრამ ისინი ვერაფერს შევლოდნენ. დრამატურგი, დიახაც, მართალია იყო, ექიმებს თავს რომ ესხმოდა, რადგან მოლიერის ხანაში ეს დიადი ხელოვნება, ესე იგი მედიცინა, უალრესად სავალალო დღეში გახლდათ. მოლიერის დროს ექიმები მეტწილად უხეიროდ მკურნალობდნენ. მათ მიერ ჩადენილ საგმირო საქმეთა ჩამოთვლა შეუძლებელიც კია. გასენდის, როგორც უკვე ვთქვით, სისხლის გამოღებით სული ამოხადეს. სულ ცოტა ხნის, ერთი წლის წინ ერთ-ერთმა ექიმმა მოლიერის ერთ კარგ მეგობარს, ლევაიერს, სამჯერ დააღუპა პირსასაქმებელი ნაყენი, რაც მისი ავადმყოფობისას ძალზე მავნებელი იყო, და საიქიოს გაისტუმრა. უფრო ადრე, როცა კარდინალი მაზარენი კვდებოდა, მასთან კონსილიუმზე მიწვეულმა ოთხმა ექიმმა თავი პარიზელთა სამასხროდ გაიხადა, რადგან სნეულს ოთხივემ სხვადასხვა დიაგნოზი დაუსვა! ერთი სიტყვით, მოლიერის ხანა შავბნელი ხანა იყო მედიცინისა.

თუ საუბარს ექიმთა დამახასიათებელ გარეგნულ ნიშნებზე ჩამოვადგებთ, შეიძლება ვთქვათ, რომ გრძელი, თაღის ტანსაცმლით მოსილი, წვერმოშვებული მკურნალები, პარიზის ქუჩებში ჯორებზე ამხედრებულნი რომ დადიოდნენ და გაუგებარ ენაზე ლაპარაკობდნენ, რაღა თქმა უნდა, პირდაპირ სცენაზე, კომედიებში იყვნენ მისაპატიჟებელნი. ჰოდა, მოლიერმა „მკურნალ სიყვარულში“ ოთხი ექიმი გამოიყვანა. მათი სახელები მზიარულად გატარებული ვახშმისას ბუალომ მოიგონა ბერძნული ენის გამოყენებით. პირველ ექიმს დეფონანდრესი ერქვა, რაც კაცისმკვლელს ნიშნავს. მეორის სახელი ბაისი — მყეფარი გახლდათ, მესამისა მაკროტონი — ნელა მოლაპარაკე, და, ბოლოს, მეოთხისა — ტომესი — სისხლის გამომშვეები.

აყალმაყალი მართლაც რომ დიდი ატყდა, რადგან მაყურებელმა უმაღვე იცნო სამეფო კარის ოთხი ექიმი: ელი ბედ სიორ დე ფუჟერე, ჟან ესპრი, გენო და ვალო, თანაც ვალო მხოლოდ კარისა კი არა, მეფის პირველი მკურნალი

გახლდათ. პიესის დადგმიდან ოთხი წლის შემდეგ ამ ვალომ მეფის ძმის ცოლი პენრიეტა მოაკვდინა, ოღონდ სისხლის გამოშვებით კი არა, ხაშხაშის ნაყენის სმით, რით მკურნალობაც არ შეიძლებოდა.

სცენაზე ოთხი თაღლითის კონსილიუმის დროს მაყურებელთა თავაწყვეტილი სიცილ-ხარხარი არ წყდებოდა და რა გასაკვირია, რომ „მკურნალი სიყვარულის“ შემდეგ ექიმებმა მოლიერი უსაზღვროდ შეიძულეს.

მაგრამ ამ პიესის შემოსავალმა „პალე-როიალის“ სალარო მნიშვნელოვნად შეავსო. თუმცადა სალაროს შევსებას ხელი არანაკლებ შეუწყო სხვა ავტორთა ზოგიერთმა პიესამაც. ამ ავტორთა შორის უნდა აღვნიშნოთ მოლიერის ყოფილი მტერი დონო დე ვიზე. ბოლოს და ბოლოს, მან შეძლო კარგი პიესის დაწერა. ეს გახლდათ „კეკლუცი დედა“. მოლიერი დე ვიზეს შეურიდგა, მისი პიესა დასადგმელად მიიღო და ამ პიესას წარმატებაც ხვდა წილად.

ყველაზე დიდ იმედს თეატრი ჟან რასინის პიესა „ალექსანდრე დიდზე“ ამყარებდა. რეპეტიციები ჩატარდა და პრემიერა „პალე-როიალში“ 1665 წლის 4 დეკემბერს შედგა.

მაგრამ ამ დროს მოლიერის ახალგაზრდა მეგობარმა ისეთი რამ მოიმოქმედა, რომ მოლიერი დიდად განცვიფრდა. „პალე-როიალის“ დასი შეშფოთდა, რადგან დეკემბერშივე შეიტყვეს, რომ „ბურგონულმა სასტუმრომ“ „ალექსანდრე დიდის“ რეპეტიციები დაიწყო. მანაც ეს თურმე რასინის თანხმობით ხდებოდა. ალექსანდრეს როლის მოთამაშე ლაგრანჟმა შეიტყო, რომ სახელგანთქმულ ფლორიდორთან მოუწევდა შეჯიბრება, „პალე-როიალის“ დირექტორმა კი თავზე ხელი იტაცა, რადგან სრულიად ცხადი იყო, „ალექსანდრეს“ შემოსავალი მოიკლებდა, თუ მას ბურგონელებიც დადგამდნენ.

როცა რასინს სთხოვეს, განგვიმარტე, ჩვენს მეტოქე თეატრს რატომ მიეცის პიესა, რომელსაც ჩვენ უკვე ვთამაშობდითო, მან უპასუხა, „პალე-როიალში“ „ალექსანდრეს“ შესრულება არ მომწონს და, მგონია, „ბურგონულ სასტუმროში“ ეს პიესა უკეთესად დაიდგმებაო.

ორი დრამატურგის მეგობრობას ბოლო მოეღო. მოლიერმა რასინი შეიძულა.

თავი 22

დგარძლიანი შეხვედრები

მოვნახავ სადმე ქვეყნიერების შორეულ კუთხეს...

„მეზანთროპი“

რასინის ღალატის შემდეგ მოლიერი ისევ ავად გახდა და მასთან სიარულს მოუხშირა მისმა მუდმივმა ექიმმა მოვილენმა, რომელმაც, როგორც ჩანს, თავისი საქმე არცთუ ისე ცუდად იცოდა. მაგრამ მოვილენსაც გაუჭირდა იმის განსაზღვრა, „პალე-როიალის“ დირექტორს რა სენი სჭირდა. უფრო სწორი იქნებოდა, თუ ვიტყვით, რომ მოლიერს სნეულებამ ხელი ერთიანად დარია. უეჭველია, ფიზიკური სატანჯველის გარდა მას სულიერი ავადმყოფობაც აწამებდა, ნიადაგ უგუნებობით რომ გამოიხატებოდა. დირექტორის თვალში მთელი პარიზი უსიამო რუხ ბადეში გაეხვია. სნეული იჭმუხნებოდა, კაბინეტში ხში-

რად ავადმყოფი ჩიტივით მობუზული იჯდა, დროდადრო შეაკანკალებდა, ზოგჯერაც გაღიზიანებულს სიშმაგე ეუფლებოდა. ასეთ დროს თავს ველარ ეკავებდა და ახლობლებისათვის აუტანელი ზღებოდა. ერთხელ უბრალო რადიკის გამო გააფთრდა და მსახურს გაართყა.

მოლიერის მკურნალობა ძალიან ძნელი იყო. იგი წამლებს, კრეფულობდა და მოვილენი ყოველგვარ წამალს უხვად უწერდა, სამკურნალო ბაქტერიებს უნიშნავდა, მაგრამ სწეული ექიმის მითითებებს წესიერად არ ასრულებდა. იგი ძალიან ეჭვიანი იყო და ცდილობდა შეეტყო, რა სჭირდა, მაჯას თვითონ ისინჯავდა და გულს მრუმე ფიქრები უღრღნიდა.

1666 წლის იანვარში რასინმა მოლიერს უკანასკნელი დარტყმა აგემა. დიუპარკის ქვრივმა განაცხადა, „ბურგონულ სასტუმროში“ გადავდივარო. მოლიერმა ეს რომ შეიტყო, ღვარძლიანად თქვა, რა გასაკვირია, ტერეზა-მარკიზა თავისმა საყვარელმა, რასინმა გადაიბირაო.

მოვილენის წამალმა უშველა, თუ სენს თვით ორგანიზმი მოერია, არ ვიცით, მაგრამ თებერვლის ბოლოს მოლიერი თეატრში გულმოდგინე მუშაობას დაუბრუნდა. გაზაფხულზე მან ახალი პიესა დაწერა, რომელსაც „მიზანთროპი ანუ ღვარძლიანი შეყვარებული“ დაარქვა. პიესის მთავარი გმირი პატიოსანი, სიცრუესთან მეზრძოლი და, რა თქმა უნდა, ამის გამო ყველასგან გარიყული კაცი იყო. ურიგო არ იქნებოდა, მოლიერის ექიმს კარგად შეესწავლა ეს ნაწარმოები, სადაც მისი პაციენტის სულიერი განწყობილება უთუოდ აღიბეჭდა. თუმცაღა ექიმი მოვილენი პიესას ალბათ იცნობდა.

მიუხედავად იმისა, რომ „მიზანთროპი“ მცოდნე ხალხმა მოლიერის ერთ-ერთ უძლიერეს ნაწარმოებად აღიარა, მაყურებელში ამ პიესას დიდი წარმატება არ ჰქონია. პრემიერამ დუნედ ჩაიარა. ერთ-ერთმა მაყურებელმა, რასინის ნაცნობმა, იფიქრა, რასინს ვაამებო, და უამბო, „მიზანთროპის“ პრემიერაზე ვიყავი და პიესა ჩაფლავდაო. უთუოდ ყურადსაღებია, ამ გულხენეშ კაცს რა უპასუხა მოლიერისგან შეძულებულმა რასინმა.

— ჰო, იყავით? — უთხრა მან. — მე კი არ ვყოფილვარ. მაგრამ მაინც არ გიჯერებთ. შეუძლებელია, მოლიერს ცუდი პიესა დაეწერა. წადით და ხელმეორედ ნახეთ.

„მიზანთროპის“ სცენაზე გამოჩენას ერთი ამბავი მოჰყვა, რამაც მოლიერი ძალზე შეაშფოთა. თუმცა, რა გასაკვირია, მოლიერის პიესა ზომ ასეთი რამის გარეშე წარმოუდგენელი იყო. პარიზელებმა ჩვეულებისამებრ იწყეს ძიება, ამ პიესაში ვინ არიან გამოყვანილნიო, და ხმა გაავრცელეს, პიესის გმირი ტახტის მემკვიდრის აღმზრდელი ჰერცოგი დე მონტოზიეაო. ხმამ ჰერცოგამდეც უმაღლესი მიღწია. მას მოლიერის პიესაზე არავითარი წარმოდგენა არ ჰქონდა, მაგრამ იფიქრა, რაკიღა მოლიერმა პიესაში გამომიყვანა, რაღა თქმა უნდა, გამამასხრებდაო. ჰერცოგი განრისხდა და თქვა, მოლიერი როგორც კი შემხვდება, ისე გავჯოხავ, სიკვდილის პირას მივიყვანო. ბეჯითმა მეგობრებმა მოლიერს ამბავი მიუტანეს, ჰერცოგი გემუქრებოდა, და სწეული კაცი, სულიერი წონასწორობა ისედაც შერყეული რომ ჰქონდა, უსაზღვრო შიშმა აიტანა.

მოლიერი ყოველნაირად ცდილობდა, მონტოზიეს არ შეხვედროდა, მაგრამ ეს თავიდან მაინც ვერ აიცილა. როცა მეფე „მიზანთროპს“ უყურებდა, წარმოდგენაზე მონტოზიეც მივიდა. მოლიერმა გადაწყვიტა, კულისებს მიღმა მჯდარიყო, მაგრამ წარმოდგენის დამთავრების შემდეგ მასთან მივიდნენ და უთხ-

რეს, ჰერცოგ მონტოზიეს თქვენთან ლაპარაკი სურს და გთხოვთ, ეახლოთო. მოლიერს ისეთი შიში დაეუფლა, გაოცებული შიკრიკები იძულებულნი შეიქნენ, დაერწმუნებინათ, მონტოზიე ცუდს არაფერს გიპირებთო. მაშინ გაფითრებული და ხელებაკანკალებული მოლიერი ჰერცოგის წინაშე წარსდგა, მაგრამ შიშს ახლა განცვიფრება შეენაცვლა, რადგან მონტოზიე მოეხვია და უტკბილესი სიტყვებით მადლობა გადაუხადა, განაცხადა, დიდ პატივად მიმაჩნია, ალცესტისთანა კეთილშობილი კაცის დასახატად რომ გამომიყენოთო, თანაც დრამატურგი დიდად შეაქო და მას შემდეგ ძალზე კარგად ეპყრობოდა. ყველაფერზე უფრო საინტერესო კი ის არის, რომ მოლიერი ალცესტს როცა ქმნიდა, ფიქრადაც არ გაუვლია, თავისი გმირი მონტოზიესთვის დაემგვანებინა.

თუმცა პიესა მაღალხარისხოვანი იყო და მეფის კარზე წარმატება მოიპოვა, „პალე-როიალში“ კარგ შემოსავალს მაინც არ იძლეოდა, ამიტომ მსახიობები თავის დირექტორს გარს ეხვეოდნენ და ეხვეწებოდნენ, ახალი რამე დაწერო, რადგან გრძნობდნენ, რომ საქმეს ვერც პიერ კორნელის პიესა „ატილა“ უშველიდა, რომელიც მოხუცმა დრამატურგმა „პალე-როიალს“ მისცა.

თავი 23

ჯადოსნური კლავესინი

მსახიობებმა მიიღეს, რასაც მოითხოვდნენ და 1666 წლის 6 აგვისტოს მოლიერის ახალი ფარსი „უნებლიეთ ექიმი“ გაითამაშეს. ფარსი საუცხოო იყო, პარიზელებს დიდად მოეწონათ და თეატრმაც მშვენიერი შემოსავალი მიიღო, სეზონზე დაახლოებით ჩვიდმეტი ათასი ლივრი. თვით მოლიერი მხრებს იჩეჩდა და ამბობდა, ეს ფარსი უაზრობა და სისულელეა, ფარსზე კი არ უნდა ვფიქრობდეთ, იმაზე უნდა ვიზრუნოთ, რა მოვამზადოთ დღესასწაულებისთვის, დეკემბერში სენ-ჟერმენ-ლეში რომ გაიმართებაო. აქ უნდა აღვნიშნოთ ერთი დიდმნიშვნელოვანი ამბავი, ამ დღესასწაულზე და „უნებლიეთ ექიმის“ დადგმაზე გაცილებით ადრე, ოღონდ იმავე წელს რომ მოხდა.

საფრანგეთში იმხანად ბავშვთა ერთი დასი არსებობდა, რომელსაც ტახტის მემკვიდრის კომედიანტთა დასი ეწოდებოდა. დასს ორგანიზატ რეზენის მეუღლე ქალბატონი რეზენი განაგებდა. ერთხანს დასი პროვინციაში თამაშობდა, მერე კი პარიზში გამოჩნდა. ქალბატონ რეზენის მეუღლეს, როგორც ჩანს, გამომგონებლობის საუცხოო უნარი ჰქონდა და, დიდი ჯაფის შედეგად, ბოლოს და ბოლოს, ისეთი კლავესინი შექმნა, რომელსაც რეზენის სურვილისამებრ შეეძლო, სხვადასხვა პიესა ისე დაეკრა, ადამიანის ხელი არ შეხებოდა. რეზენმა, ასე ვთქვათ, ჯადოსნური კლავესინი გამოიგონა. თავისთავად ცხადია, ჯადოსნურმა საკრავმა მაყურებელი გააოგნა. ამ ამბავმა მეფის ყურამდეც მიაღწია და მან ბრძანა, კლავესინი სასახლეში მოიტანეთო. ამას სავალალო შედეგი მოჰყვა: საკრავმა ხმა თავისით ამოიღო თუ არა, დედოფალს გული წაუვიდა. საექვო სასწაულებით მეფის გაოცება, როგორც ჩანს, ძნელი იყო და მან საკრავის გახსნა ბრძანა. მეფის ბრძანება შეასრულეს და გაოცებულ მაყურებელთა წინაშე კლავესინიდან მოკრუნჩხული, გაწამებული და უჩვეულოდ ქუჩყიანი ბიჭი ამოიყვანეს, რომელიც შიგნითა კლავიატურაზე უკრავდა.

ბიჭს მიშელ ბარონი ერქვა. იგი „ბურგონული სასტუმროს“ განსვენებული

კომედიანტის ანდრე ბარონის შვილი იყო და ქალბატონი რეზენის ბავშვთა დასში გამოდიოდა. ბავშვებმა „პალე-როიალში“ რამდენიმე წარმოდგენა გამართეს და აღმოჩნდა, რომ ცამეტი წლის ობოლი ბარონი იშვიათი სილამაზისა და, ამას გარდა, არნახული მსახიობური მონაცემების მქონე უმაწვლილი იყო.

მოლიერმა ყველას განუცხადა, ეს ბიჭი ფრანგული სცენის მომავალი ვარსკვლავიაო. მან ბარონი ქალბატონ რეზენს ხელიდან გამოჰგლეჯა და მისაზრდელად შინ წაიყვანა. მოლიერს ცოლთან საერთო ბინისა და თეატრალური საქმეების გარდა აღარაფერი აკავშირებდა. მარტოდ დარჩენილი და სწეული დირექტორი ნიჭიერ ბიჭს საოცრად მიეჩვია, როგორც საკუთარ შვილს, ისე უვლიდა, ცდილობდა, სიშმაგე და თავხედობა მოეშლევიინებინა, თეატრალურ ხელოვნებას ასწავლიდა და მოკლე ხანში ძალზე დიდ შედეგსაც მიაღწია.

მოლიერის სახლში ბარონის ყოფნას ის აძნელებდა, რომ არმანდამ ბიჭი აითვალწუნა. ძნელი მისახვედრია, ეს რატომ მოხდა. შესაძლოა, დიდი როლი ითამაშა იმ ამბავმა, რომ მოლიერი ბარონისთვის საგანგებო როლის წერას შეუდგა. ბიჭს მირტილის როლი უნდა ეთამაშა გამირულ პასტორალ „მელისერტაში“, რომელსაც მოლიერი სადეკემბროდ მეფის დღესასწაულისთვის ამზადებდა.

ამ დღესასწაულს „მუზების ბალეტი“ ერქვა და სენ-ჟერმენში დაიწყო დეკემბერში. დიდი ბალეტი, რომლის ლიბრეტო სპეციალისტ-ლიბრეტისტმა ისაკ დე ბერსერადმა დაწერა, დიდი წარმატებით დაიდგა, მით უმეტეს, რომ მასში კვლავ თვით მეფე ცეკვავდა მადმუაზელ ლავალიერთან ერთად. მაგრამ როცა საქმე „მელისერტამდე“ მივიდა, მისი თამაში მხოლოდ ერთხელ შეძლეს, შემდგომი წარმოდგენები კი არმანდასა და ბარონის მიზეზით ჩაიშალა. ის-ის იყო, „მელისერტას“ წარმოდგენა უნდა დაწყებულიყო, რომ უკიდურესად გამძვინვარებულმა არმანდამ ბარონს სილა გააწნა. ძნელი სათქმელია, რამ გააცეცხლა, ბარონის თავხედურმა საქციელმა, თუ იმ ამბავმა, რომ „მელისერტაში“ მწყემსი ქალის ეროქსენას მცირე როლი მიიღო და უკანა პლანზე გადაინაცვლა.

უსაზღვროდ ამაყი ბიჭი მოლიერისაკენ გაქანდა და მტკიცედ განუცხადა, დასიდან მივდივარო. მოლიერი ლამის ატირდა, ემუდარებოდა, დარჩიო, მაგრამ ბარონი თავისას არ იშლიდა და დირექტორმა ძლავს დაიყოლია, პრემიერა მაინც არ ჩაეშალა და მირტილის როლი ეთამაშა. ბარონი ამაზე დათანხმდა, ერთხელ ითამაშა, მერე კი იმდენი გამბედაობა გამოიჩინა, რომ მეფესთან მივიდა, შესჩივლა, არმანდა უდიერად მომექცაო, და სთხოვა, ნება დამრთეთ, მოლიერის დასიდან წავიდეო.

მეფემ ნება დართო და ბარონი პირველყოფილ მდგომარეობას დაუბრუნდა, ანუ კვლავ ქალბატონ რეზენს შეეკედლა.

მოლიერის მწუხარებას საზღვარი არ ჰქონდა. მირტილის როლში ბარონს ვერაგინ შეცვლიდა. იძულებული შეიქნენ, „მელისერტა“ მოეხსნათ. მოლიერმა სახელდახელოდ გაჯლაბნა ფუჭი და არაფრის მთქმელი პასტორალი „კორიდონის“ სახელწოდებით, რაშიაც თავი მოუყარა მოცეკვავე ბოშებს, ჯადოქრებს, დემონებს და სხვა ამგვარ პერსონაჟებს. „კორიდონი“ „მუზების ბალეტში“ შევიდა, მაგრამ ეს ნაწარმოები მხოლოდ იმ გარემოებამ იხსნა, რომ ლიუღიმ მისთვის მშვენიერი მუსიკა დაწერა.

„კორიდონის“ გარდა მოლიერმა დღესასწაულში ერთმოქმედებიანი კომედია-ბალეტი „სიცილიელი, ანუ მხატვარი-სიყვარულიც“ ჩართო და იგი 1667 წლის 5 იანვარს გაითამაშეს.

სენ-ჟერმენის დღესასწაულის შემდეგ მოლიერი ლოგინად ჩავარდა. ამჟერად ძალზე სერიოზულად გახდა ავად: ფილტვებიდან სისხლის დენა დაეწყო. მოლიერის ახლობლები უზომოდ აფორიაქდნენ. ექიმებმა ურჩიეს, სწეული პარიზიდან დაუყოვნებლივ გაიყვანეთო. ეს კარგი რჩევა იყო. მოლიერი სოფელში წაიყვანეს და მკურნალობა სწორად დაუწყეს — უკვეს ამჟამად. ამან ავადმყოფს უშველა და ივნისში ფეხზე წამოდგომა შეაძლებინა. მას შემდეგ, იგი თეატრში დაბრუნდა და ზაფხულის სეზონში ითამაშა.

၈၂၈၇ ၂၄

იზი მკვლევართი ალექსა და კვლავ მოკვდა

საბუღალტრო, ჩვენს კომიტეტებს მთავრობის
გარეშე რომ ვერაფერი გაუწყვიტათ. უბრალოდ
ჩვენში არც ერთი დრამის კვანძი არ გაიხსნება.

გოგონი, „თეატრალური მიმღიწევა“

1667 წელი მნიშვნელოვანი წელი იყო და წინა უკმ წელს სრულიადაც არ ჰგავდა. საფრანგეთის მეფე და „პალე-როიალის“ დასის დირექტორი, რომელთა ცხოვრებასაც თვალს ვადევნებ, ამ წელს ორი აზრის განხორციელებას შეუდგნენ.

მეფის აზრი შემდეგი იყო: მას მიაჩნდა, რომ მის მეუღლეს, ორი წლის წინ გარდაცვლილი ესპანეთის მეფის, ფილიპე მეოთხის ქალიშვილს, მარი ტერეზიას მემკვიდრეობის უფლება ჰქონდა ნიდერლანდებში მდებარე ესპანეთის სამფლობელოებზე. მეფე ამ აზრის საფუძვლიან დამუშავებას შეუდგა.

მეფის კომედიატის აზრი ნაკლებმნიშვნელოვანი იყო, მაგრამ მას არა-
ნაკლებ იზიდავდა, ვიდრე მეფეს საფრანგეთისთვის ახალი მიწების შემოერთე-
ბის განზრახვა. როცა მკურნალობის შედეგად ლოყებზე საეჭვო ვარდისფერი
ლაქები გაუქრა, თვალეშიც სნების უკეთური ელვარება დაუცხრა, მოლიერმა
კარაიდიდან „ტარტიუფის“ ხელნაწერი გამოიღო და შესწორებას შეუდგა. უპი-
რველეს ყოვლისა, ტარტიუფს სახელი შეუცვალა და პანიულფი დაარქვა, შემ-
დეგ პანიულფს სულიერი მოძღვრის სამოსელი გააძრო და ერისკაცად აქცია.
მერე საღვთო წერილის მრავალი ციტატა ამოიღო, მძაფრი ადგილები ყოველ-
ნაირად შეარბილა და ფინალზეც გვარიანად წაიმუშავა.

ეს ფინალი შესანიშნავია. როცა გაპარპაშეზულმა თაღლითმა ტარტიუფმა, იგივე პანიულფმა, პატიოსანი ხალხი გააკოტრა, როცა მისგან საშველი თითქოს აღარ იყო, დაჩაგრულებს ხსნა მეფის მხრიდან მოვევლინა, პოლიციის სათნო ოფიცერი, იქაურობას თითქოს ციდან რომ ევლინება, ბოროტმოქმედს არა მარტო აუცილებელ, უკანასკნელ წამს სტაცებს ხელს, არამედ შთამბეჭდავ მონოლოგსაც წარმოთქვამს, საიდანაც ჩანს, რომ, სანამ მეფე არსებობს, პატიოსან ხალხს არაფრის დარდი არ უნდა ჰქონდეს და მეფის არწივისებურ მზერას გერც ერთი არამზადა ვერ გაუსხლტება. დიდება პოლიციის ოფიცერს, დიდება მეფეს! არ ვიცი, ბატონი დე მოლიერი თავისი „ტარტიუფის“ კვანძს უიმათოდ რანაირად გახსნიდა. ისევე, როგორც არ ვიცი, დაახლოებით ას სამოცდაათო წლის შემდეგ ჩემს შორეულ სამშობლოში მეორე სწეული სატირიკოსი როგორ

გახსნიდა თავისი საკმაოდ ცნობილი პიესის „რევიზორის“ კვანძს, სანკტ-პეტერბურგიდან თავის დროზე რომ არ გამოჩენილიყო ჟანდარმი, ქუდზე ცხენის ძუა რომ ჰქონდა დამაგრებული.

როცა პიესის სწორება დაამთავრა და თავისი ნამუშევარი სიამოვნებით ჩათვალიერა, ავტორმა მეფის ირგვლივ ეშმაკურად იწყო ტრიალი. ის კეთილ-უწყდენელ სიმბოლზე აჭრილი, ცაში კამარას ჰკრავდა დეკლამაციით გაშლილ ნიდერლანდებს თვალს არ აცილებდა. სანამ ესპანელი იურისტები ღრმად და საფუძვლიანად ასაბუთებდნენ, შეუძლებელია, მარი ტერეზიას და, მაშასადამე, მეფე ლუი XIV-საც, ესპანეთის სამფლობელოებზე რაიმე პრეტენზია ჰქონდეთო, მეფემ იფიქრა, დავა ძალიან გაჭიანურდაო, და გადაწყვიტა, საქმე იურისპრუდენციის სფეროდან განეშორებინა. მას ყველაფერი უკვე მზად ჰქონდა. მისმა მინისტრებმა პორტუგალიის, ინგლისის და სხვა ქვეყნების თანხმობა უზრუნველყვეს და პაერი უცებ ავბედითად ჩაწყნარდა, როგორც ჩვეულებრივ დიდი ხმაურის წინ იცის ხოლმე. პარიზი გამოცოცხლდა. მდიდრულად ჩაცმული კავალერები დადინჯდნენ, დროსტარებას მოეშვნენ და საომარი ლაბადებით შეიმოსნენ.

„პალე-როიალის“ დასის დირექტორმა დრო შესაფერად მიიჩნია. იგი მეფის წინაშე მომხიბლავი ღიმილით წარსდგა, ხელნაწერი აჩვენა და უთხრა, პიესა რანაირად შეასწორა. მეფემ კომედიანტს მოწყალედ შეხედა, ეტყობა, სხვა რამეზე ფიქრობდა და გაურკვეველი რაღაც წარმოთქვა, ამის მსგავსი: ამ პიესის საწინააღმდეგო არსებითად არაფერი მაქვსო... მოლიერს თვალები გაუბრწყინდა და მეფის მისაღები ოთახიდან უმაღლ გაქრა.

კავალერი დე მოლიერი მყისვე მეფის გამოძახებულმა მარშალმა ტიურენმა შეცვალა. ესპანეთსა და ნიდერლანდებში გონს მოსვლა ვერც კი მოასწრეს, რომ ფრანგთა მხედრობა ნიდერლანდებს თავს დაესხა. ომი დაიწყო.

ქვემეხთა გრიალს მოცილებული ბატონი მოლიერი და მისი კომედიანტები დიდად აღელვებულნი ატარებდნენ „ტარტიუფის“ რეპეტიციებს, რომელსაც ახალი სახელი „მატყუარა“ ერქვა. 5 იანვარს, პრემიერის დაუფიწყარ დღეს, ხალხი „პალე-როიალს“ მიაწყდა. შემოსავალმა ათას ცხრაას ლივრს მიაღწია. ახალ დადგმას დიდი წარმატება ხვდა წილად. მაგრამ მეორე დღესვე „პალე-როიალს“ პარიზის პარლამენტის ბოქაული ეწვია და ბატონ მოლიერს პარლამენტის პირველი პრეზიდენტის გილიომ დე ლამუანიონის ოფიციალური მითითება გადასცა, „მატყუარას“ წარმოდგენა დაუყოვნებლივ შეწყვიტეთო.

მოლიერმა ორლენანის ჰერცოგის მეუღლეს მიაშურა. ჰერცოგის მეუღლემ პრეზიდენტთან ერთ-ერთი თავისი დაახლოებული კაცი გაგზავნა. პრეზიდენტმა უპასუხა. დიდად ვწუხვარ, მაგრამ არაფრის გაკეთება არ შემძლია, რადგან „მატყუარის“ წარმოდგენების ჩატარებაზე მეფის ნებართვა არ არისო. მაშინ მოლიერი პრეზიდენტთან თვითონ წავიდა და თან ერთგული მეგობარი ბუალო გაიყოლა. რომელსაც ლამუანიონთან კარგი დამოკიდებულება ჰქონდა. ლამუანიონმა ბატონი მოლიერი გულლიად მიიღო, არც ღვთის მგმობელობაზე საყვედურებით გაუტანჯავს, არც ის უთქვამს, პიესა საშიშიაო, პირიქით, მისი ნიჭის შესამკობად ქათინაურები არ დაუშურებია, უაღრესი თავაზიანობა გამოიჩინა, მაგრამ საუბრის დასასრულს კატეგორიულად განაცხადა, „მატყუარას“ წარმოდგენების ჩატარებაზე ნებართვას ვერ მოგცემთ, სანამ ამ საქმეს მეფე არ გადაწყვეტსო.

მოლიერს არც ერთ თავის პიესაზე არ უბრძოლია ისე თავგამოდებით, როგორც „ტარტიუფის“ გამო იბრძოლა. მან მოუხმო საიმედო ამხანაგს. მოწაფესა და მეგობარს ლაგრანჟს, მასთან ერთად სიორ ლა ტორილიორს, და სთხოვა, ახლავე საფოსტო კარეტა იშოვეთ და ფლანდრიაში, მეფის ბანაკისკენ გაეშურეთ.

ლაგრანჟმა და ტორილიორმა ათასი ლივრი წაიღეს და წაიყვანეს მოლიერის გრძელი თხოვნის წერილი ჩაიდეს, რომლის ბოლოს იგი მის უდიდებულესობას სთხოვდა, დამიცავი იმ მძვინვარე ტარტიუფების ღვარძლისაგან, რომელთა გარემოცვაში თუნდაც ყველაზე უწყინარი კომედიის დაწერა კაცმა ფიქრადაც არ უნდა გაივლსო. იმავე წერილში მოლიერი მეფეს არწმუნებდა, მხოლოდ ის მეწადა, სახელოვანი ლაშქრობიდან როცა დაბრუნდებოდა, ჩემი პიესით გამერთეთ, მხოლოდ ერთი რამ მსურდა — გამეღიმებინა ის, ვისი სახელის ხსენებაზეც კი მთელი ევროპა თრთისო. მოლიერი ლაგრანჟს და ლა ტორილიორს გადაეხვია და 8 აგვისტოს კარეტა, რომლითაც ისინი ფლანდრიისკენ მიდიოდნენ, მტვრის კორიანტელში გაეხვია.

„ტარტიუფი“ და „მატყუარა“ პარიზში ყველას პირზე ეკერა. 11 აგვისტოს კი მეხივით გავარდა ახალი ამბავი. მთელი პარიზი არქიეპისკოპოსის ეპისტოლეს კითხულობდა. ეპისტოლე ძალზე შთამბეჭდავად იყო შედგენილი და ასე იწყებოდა:

„რამეთუ ჩვენმა მსტოვარმა გვაუწყა, რომ პარასკევს, ამა თვის ხუთს, ქალაქის ერთ-ერთ თეატრში „მატყუარას“ ახალი სახელწოდებით წარმოადგინეს უაღრესად საშიში კომედია, რომელიც რელიგიისთვის მით უფრო საზიანოა, რომ თვალთმაქცობისა და ყალბი ღვთისმოსაობის გაკიცხვით საბაზბ იძლევა იმათ გასაკიცხადაც, ვინც ჭეშმარიტად ღვთისმოსავია...“

პარიზში ერთი აურზაური ატყდა, ეპისტოლეს კითხულობდნენ, მოლიერის მტრები ხარობდნენ, თეატრალები, რომლებიც 5 აგვისტოს თეატრში ვერ მოხვდნენ და პიესის ნახვა ვერ მოასწრეს, ბედს ემდუროდნენ, არქიეპისკოპოსი კი თავის ეპისტოლეში განაგრძობდა: ვინაიდან ვუწყი, ღვთისმოსაობის შეურაცხყოფა რაოდენ სახიფათოა, განსაკუთრებით მაშინ, როცა დიდი მეფე სახელმწიფოს გულისთვის საკუთარ სიცოცხლეს საფრთხეში აგდებს, როცა ჯერ არს, მხურვალე ლოცვა აღვაგლინოთ, რათა ღმერთმა ხიფათი აშოროს მის წმინდა არსებას და გამარჯვება არგუნოს, მე, არქიეპისკოპოსი, ეკლესიიდან განკვეთის მუქარით ვკრძალავ ამ კომედიის არა მარტო თეატრში წარმოდგენას, არამედ კითხვასა და მოსმენასაც, როგორც საჯაროდ, ისე კერძო შეკრებულობაზეო. არქიეპისკოპოსი წმინდა მარიამ მაგდალინელისა და წმინდა სევერიანის ეკლესიათა წინამძღვრებს ავალებდა, ამ ბრძანების შესრულებისთვის თვალყური ედევნებინათ.

„დაგვიმტკიცებია ბეჭდითა ჩვენიტა პარიზსა შინა წელსა ათას ექვსას სამოცდაშვიდსა აგვისტოს თერთმეტსა“.

ამ ეპისტოლეს ხვედრითი წონა ძალზე დიდი რომ იყო, ამას გულუბრყვილონიც კი მიხვდნენ და პარიზელებმა დაასკვნეს, „მატყუარას“ აღარაფერი ეშველებაო. მაგრამ მოლიერი თავისი ძვირფასი ქმნილების ხსნას ერთხელაც შეეცადა. მისმა რომელიღაც მეგობარმა, შესაძლოა, მეგობართა ჯგუფმა, „მატყუარას“ დასაცავად წერილი დაწერა, მაგრამ ამ წერილმაც საქმეს ვერაფერი უშველა.

მოლიერს პარიზი შესძულდა. მან ლაგრანჟსა და ტორილიორის დაბრუნებამდე „პალე-როიალში“ წარმოდგენები შეწყვიტა, პარიზის მახლობლად სოფელ ოტეილში სიორ დე ბოფორისგან წელიწადში ოთხას ლივრად ბრუნა დაიქირავა და იქ გადაბარგდა. დე ბოფორმა მოლიერს სამზარეულო, სასადილო, საძინებელი და მანსარდის ორი ოთახი დაუთმო და ნება მისცა, მარჯვნივ ესეირნა. ამას გარდა, მოლიერმა ოც ეკიუდ კიდევ დაიქირავა ერთი ოთახი იმ შემთხვევისათვის, თუ რომელიმე მეგობარი ოტეილში მის სანახავად ჩამოვიდოდა, ხოლო არმანდას შეუთანხმდა, რომ ესპრი-მადლენასაც ოტეილში წაიყვანდა და კერძო პანსიონში მიაბარებდა. ასევე დათქვეს, რომ მზარეული ქალი ლაფორე (პარიზში ლაყბობდნენ, მოლიერი თავის ახალ კომედიებს პირველად მას უკითხავს, რათა გაიგოს, სასაცილოა თუ არაო) ოტეილში კერძების მოსამზადებლად ჩამოვიდოდა, როცა მოლიერს სტუმრები ეყოლებოდა, ყოველდღიური მომსახურებისთვის კი მან მოახლე მარტინა დაიქირავა. ოტეილის მანსარდაში მოლიერმა ჩაიტანა პლუტარქე, ოვიდიუსი, პორაციუსი, იულიუს კეისარი და პეროდოტე, აგრეთვე, თავისი მეგობრის როოს ტრაქტატი ფიზიკაზე. ტრაქტატს წარწერილი ჰქონდა — მოლიერს ავტორისაგან.

ასე გაქრა პარიზიდან „ტარტიუფის“ ავტორი.

თუმცა სტუმრად ჩამოსულ მეგობართათვის განკუთვნილი ოთახი ცარიელი დიდხანს არ დარჩენილა. იქ პირველი დაბინავდა მოლიერის ერთგული და ჭეშმარიტი მეგობარი კლოდ შაპელი. დაბინავდა, კარგად მოკალათდა და ღვინის ბოთლებიც ბლომად მოიმარაგა. შაპელი სიორ ბოფორის პარკში ფოთლებშეყვითლებულ ხეთა შორის თანაკლასელთან ერთად დასეირნობდა და სასოწარკვეთილ მეგობარს ანუგეშებდა. სექტემბერში, როცა პარკი ერთიანად გადაყვითლდა, ოტეილს შორი გზიდან მომავალი, ტანსაცმელდამტვერილი ლაგრანჟი და ტორილიორი ეწვივნენ. შიკრიკებად წარგზავნილი კომედიანტები დირექტორს გადაეხვივნენ და აცნობეს, მეფე ჯანმრთელადაა და ლაშქრობა გამარჯვებით დაასრულა, ხოლო რაც შეეხება „ტარტიუფს“, თქვენი თხოვნის წერილი გულმოდგინედ მიიღო, მაგრამ ბრძანა, პიესის დადგმის საკითხი მანამდე გადაიდოს, სანამ ლაშქრობიდან დავბრუნდებით.

მეფემ ომი მოიგო, ბატონი დე მოლიერი კი დამარცხდა, თუმცა „ტარტიუფის“ გადასარჩენად არანაკლები გულმოდგინებით იბრძოდა. თავისი ლაზარე მკვდრეთით აღადგინა, მაგრამ მან მხოლოდ 5 აგვისტოს, ერთ საღამოს იცოცხლა.

თავი 25

„ამფიბრიონი“

მოლიერს სოფელი და ბუნება არ უყვარდა. ჩვენი კომედიანტი ნამდვილი ქალაქელი, პარიზის შვილი იყო. მაგრამ ოჯახში გამწარებულმა ცხოვრებამ, მრავალი წლის განუწყვეტელმა შრომამ გამოფიტა და ოტეილში გადახვეწა მისთვის აუცილებელი შეიქნა. მან პარიზთან კავშირი შეზღუდა, მხოლოდ თეატრში და მეფის კარზე დადიოდა, ხოლო წარმოდგენებიდან თავისუფალ დღეებს ოტეილის მანსარდაში ატარებდა და ბოფორის პარკს გაჰყურებდა, თვალს იტკობდა იმის ცქერით, წლის სხვადასხვა დროს პარკი როგორ იცვლებოდა. შა-

პელი საერთოდ დამკვიდრდა ოტეილში, დროგამოშვებით ჩამოდიოდნენ სხვა მეგობრებიც: ბუალო და ლაფონტენი, მათ კი ხანდახან შეუერთდებოდნენ დიპლომატი და მოლიერის ნაწარმოებების დიდი მოყვარული გრაფი გიეიერაკი და შაპელის მეგობარი გრაფი დე ჟონზაკი.

მეგობრები ოტეილში ჩადიოდნენ, რათა მოლიერი სემუელსონთან მოეწყვიტათ, ლიტერატურულ თემებზე ელაყბათ, სხვათა ცუდი დეკლამაციებით და ეპიგრამები შეეტანათ, მათ შორის, პარიზის არქიეპისკოპოს პერეფიქსზე. საღამოები, ჩვეულებრივ, შაპელის ოთახში ვახშმით მთავრდებოდა და ეს ვახშმები ყველას ძალზე გაუტკბა, განსაკუთრებით — ჟონზაკს.

ერთ-ერთი ვახშმისთვის შაპელმა რატომღაც ორჯერ მეტი ღვინო შეიძინა. მოლიერი უქეიფოდ იყო, მხიარულ კრებულს წუთით შეუერთდა, სმაზე უარი თქვა და თავის ოთახში გავიდა. თანამეინახეთა ვახშამმა ღამის სამ საათამდე გასტანა, ღამის სამ საათზე კი მათთვის ცხადი შეიქნა, რომ ამქვეყნიური ცხოვრება საძულველია. უმეტესად შაპელი ლაპარაკობდა, ოტეილს, რა ხანია, ეძინა, მამლებმაც, რა ხანია, იყივლეს.

— ამაოება ამაოთა და ყოველი ამაო! — ავის მომასწავებლად ყვიროდა შაპელი და საითკენღაც მრისხანედ უთითებდა.

— სრულიად გეთანხმებით, — უბასუხეს თანამეინახეებმა, — შაპელო, განაგრძე!

შაპელმა ჭიქა წააქცია და წითელი ღვინო ტანსაცმელზე გადაისხა, რამაც გული უფრო აუჩუყა.

— დიახ, ჩემო საბრალო მეგობრებო, ყოველივე ამაოა! ირგვლივ მიმოიხედეთ და მიპასუხეთ, რას ხედავთ?

— კარგს ვერაფერს ვხედავთ, — დაეთანხმა ბუალო და ირგვლივ მწუხარედ მიმოიხედა.

— მეცნიერება, ლიტერატურა, ხელოვნება — ყოველივე ამაოება და არაობაა! — ყვიროდა შაპელი. — სიყვარული? რა არის სიყვარული, ჩემო საბრალო მეგობრებო?

— ცდუნებაა, — თქვა ჟონზაკმა.

— სრული სიმართლეა! — კვერი დაუკრა შაპელმა და განაგრძო: — ამქვეყნად ყოფნა მწუხარებაა, უსამართლობა და უბედურებაა, ყოველი მხრიდან გარს რომ შემოგვრტყმია, — თქვა ეს და ატირდა.

გულაჩვილებულმა მეგობრებმა შაპელი ცოტათი დააწყენარეს და მან მხურვალე მოწოდებით დაასრულა:

— როგორ მოვიქცეთ, მეგობრებო? თუ ცხოვრება ასეთი ჯურღმულია, მაშ დაუყოვნებლივ უნდა განვეშოროთ! მეგობარნო ჩემო, გავწიოთ თავის დასახრჩობად! გაიხედეთ, იქ, ფანჯრის მიღმა, მდინარე თავისკენ გვიხმობს!

— წავიდეთ, ჩვენც გამოგყვებით, — უთხრეს მეგობრებმა და მთელი კრებული მდინარეზე წასასვლელად მზადებას, დაშნების წელზე მიმაგრებას და ლაბადების ჩაცმას შეუდგა.

ხმაურმა იმატა. მაშინ კარი გაიღო და ზღუბლზე მოსასხამში გახვეული მოლიერი გამოჩნდა. თავზე ღამის ჩაჩი ეხურა, ხელში სანთლის ნამწვი ეჭირა. მან წითელი ღვინით შეღებილი სუფრა და ჩამოღვენთილი სანთლები დაინახა.

— რა ამბავში ხართ? — ჰკითხა მეინახეებს.

— ცხოვრება აუტანელია, — ტირილით უბასუხა შაპელმა, — მოლიერო, სამუდამოდ გემშვიდობებით. თავის დასახრჩობად მივდივართ.

— კარგი აზრია, — მწუხარედ უბასუხა მოლიერმა, — მაგრამ არ გრცხვენიათ, მე რომ დამივიწყეთ? განა თქვენი მეგობარი არა ვარ?

— მართალს ამბობს! რა ღორულად მოვიქცეით! — შეპყვიტყვიტუნდა ბუღალმა ჟონზაკმა. — შენც გამოგვყვე, მოლიერო!

მეგობრებმა მოლიერი გადაკოცნეს და შესძახეს:

— წავიდეთ!

— კარგი, წავიდეთ, — თქვა მოლიერმა, — მაგრამ იცით რა, მეგობრებო? ღამით, ნავახშმევს თავის დახრჩობა არ ივარგებს, რადგან ხალხი იტყვის, ეს სიმთვრალით მოუვიდათო. მოდი, ასე მოვიქცეთ: ახლა დავწვეთ, დილაშდევ გამოვიძინოთ, ათ საათზე კი პირი დავიბანოთ, მოვწესრიგდეთ და ამაყად თავაწეულებმა გავწიოთ მდინარისკენ, რათა ყველამ ნახოს, რომ ჩვენ თავი ისე დავიხრჩეთ, როგორც კეშმარიტმა მოაზროვნეებმა.

— გენიალური აზრია! — შესძახა შაპელმა და მოლიერს კვლავ გადაეხვია.

— მეც გეთანხმებით, — თქვა ჟონზაკმა, უცაბედად თავი ჭიქებს შუა ჩარგო და ჩაიძინა.

მოლიერი ერთ საათს მაინც მოუნდა დასახრჩობად განმზადებულთა პატრონობას. მარტინას და ორი მსახურის დახმარებით დაშნები მოხსნა, პარიკები მოხადა, ხიფთანები გააძრო და ყველა ლოგინში ჩააწვინა. როცა ყველაფერი მოაწესრიგა, თავის ოთახში გავიდა, მაგრამ რადგან ძილი გაუკრთა, მზის ამოსვლაშდევ იჯდა და კითხულობდა.

დილით კი ერთობლივი თვითმკვლელობა რატომღაც აღარ შედგა.

ამბობენ, რომ ინდურ ლიტერატურაში არის საინტერესო, მაგრამ ძალზე უხამსი მოთხრობა: ერთ-ერთმა ღმერთმა კაცის სახე მიიღო და როცა ის კაცი შინ არ იყო, მისი ცოლი შეაცდინა. როცა ქმარი დაბრუნდა, სასამართლომ ორ პრეტენდენტს შორის სასიყვარულო შეჯიბრი გამართა, რათა გამოერკვია, ნამდვილი ქმარი ვინ იყო. ამ შეჯიბრში, რა თქმა უნდა, ღმერთმა გაიმარჯვა.

მოართული სიუჟეტი ღმერთზე, რომელიც ქმრის სახეს იღებს, ბერძენმა ავტორმა ევრიპიდემ და რომაელმა პლავტმა დაამუშავეს. ამ სიუჟეტს ფრანგებმაც მოჰკიდეს ხელი და დრამატურგმა როტრუმ დაწერა პიესა „სოზიუსი“, რომელიც 1636 წელს გაითამაშეს. მოლიერი ჩამოთვლილ ავტორებს ზოგ რამეს დაესესხა და ორიგინალური რითმებით კარგად გალექსილი კომედია პირველად 1668 წლის 13 იანვარს ითამაშეს. პიესამ მიმდინარე სეზონის ოცდაცხრა წარმოდგენიდან თეატრს ყველაზე მეტი შემოსავალი მისცა. შემდგომი ადგილები, წარმოდგენების მიხედვით, თეატრში უკვე გაშინაურებული დე ვიზეს „მოდურმა ქვრივმა“, მოლიერის „სიცილიელმა“ და მოხუცი კორნელის „ატილამ“ დაიკავეს. შემოსავლის ოდენობით კი ეს პიესები „ამფიტრიონს“ ბევრად ჩამორჩებოდა.

რაკილა ჩვევად ჰქონდა, პიესები მაღალი წოდების ადამიანთათვის მიეძღვნა, მოლიერმა „ამფიტრიონი“ უბრწყინვალეს პრინც კონდეს მიუძღვნა და ამ მიძღვნაში გონებასახვილურად ჩაურთო, დიდი კონდეს სახელი, რაღა თქმა უნდა, უმჯობესი იქნებოდა წინ წიგნს კი არა, ჯარს უძღოდესო.

დაზავებისა და საფრანგეთისთვის ფლანდრიის ნაწილის შემოერთების აღსანიშნავად ვერსალის ხელახლა გაშენებულ ბაღებში დღესასწაული გაიმართა,

სამეფო კარის დრამატურგმა მოლიერმა ამ დღესასწაულისთვის პროზად დაწერა სამმოქმედებიანი კომედია „ჟორჟ დანდენი ანუ გაპაპებული ქმარი“. პიესის გმირი იყო ბურჟუა, რომელიც არისტოკრატებთან დინათესავეებაზე ოცნებობდა, არისტოკრატ ქალზე დაქორწინდა და გაუბედურდა, რადგან ცოლი უსინდისოდ ღალატობდა.

როცა პიესა დასრულდა და მისი შინაარსი ცნობილი გახდა, მეგობრებმა მოლიერი გააფრთხილეს, პარიზში ერთი კაცი ცხოვრობს, რომელიც, უეჭველია, ჟორჟ დანდენში თავის თავს იცნობს, დიდ ავრზაურს ატეხს და რამეს გიმტრობსო. მოლიერმა მეგობრებს გაფრთხილებისთვის მადლობა უთხრა და დაუმატა, იმ კაცის დასაშოშმინებლად რამეს ვიღონებო. იმავე საღამოს მრავალნაცდმა დირექტორმა წარმოდგენაზე მოძებნა ის ბურჟუა, დანდენში თავისი თავი რომ უნდა ეცნო, გამოელაპარაკა და თავაზიანად ჰკითხა, როდის გეცლებათ, მინდა, ჩემი ახალი პიესა წაგიკითხოთო. განცვიფრებულმა ბურჟუამ უპასუხა, როცა გნებავთ, მაშინ მოვიცლი, თუნდაც ხვალ საღამოსო, და წარმოდგენა დამთავრდა თუ არა, სტუმრების მიწვევას შეუდგა. მთელი პარიზი მოიარა. ნაცნობებს ეუბნებოდა:

— ხვალ ხომ არ მეწვევით? საღამო ჩემთან გავატაროთ. ჰო, მართლა, — დაუმატებდა შემდეგ მკაცრად, — მოლიერმა მთხოვა, ნება მომეცით, ახალი პიესა წაგიკითხოთო.

მეორე დღეს ბურჟუას სასტუმრო ოთახში იმდენმა ხალხმა მოიყარა თავი, მოლიერმა მაგიდამდე ძლივს მიაღწია, რათა პიესა წაეკითხა. იმ საღამოს შემდეგ მასპინძელი მოლიერის გულითადი თაყვანისმცემელი შეიქნა.

„დანდენს“ სულ მალე მეორე, დიდმნიშვნელოვანი კომედია „ძუნწი“ მოჰყვა, ისე რომ, შეგვიძლია, ვთქვათ, სწორედ მოლიერს ოტეილის პიერი მოუხდაო: 1668 წელი ნაყოფიერი გამოდგა.

ამ წლის მიწურულს, სახელდობრ 11 დეკემბერს, წუთისოფელს განეშორა ტერეზა-მარკიზმა დიუპარკი, რომელმაც სიკვდილის წინ „ბურგონულ სასტუმროში“ რასინის ანდრომაქე ითამაშა და ამ როლით სახელი დიდად გაითქვა. ამქვეყნიდან წავიდა მომხილბავი მოცეკვავე, მოწიფულობისას დიდი ტრაგიკული მსახიობი რომ გახდა. დე. მოლიერმა მზაკვარ კომედიანტ ქალს ყველა ღალატი შეუნდო და მის ნეშტს განსვენება უსურვა.

თავი 26

დიადი აღდგომა

შუქს ვინ მოჰყვნს კომედიანტის ცხოვრების კლავნილ გზას? ვინ განმამარტავს, თუკი პიესის თამაში 1664 და 1667 წლებში არ შეიძლებოდა, 1669 წელს შესაძლო რატომ გახდა?

იმ წლის დამდეგს მეფემ მოლიერი მიიხმო და უთხრა, „ტარტიუფის“ თამაშის ნებას გრთავთო.

მოლიერმა გულზე ხელი იტაცა, მაგრამ თავს მოერია, მეფეს მოწიწებით გამოეთხოვა და დარბაზიდან გავიდა. რეპეტიციები უმალ დაიწყო. ტარტიუფის როლი დიუკრუაზის მიანდეს, თავად მოლიერი ორგონს თამაშობდა, იუბერი

— ქალბატონ პერნელს, ტორილერი — კლენტს, ლანგრანჟი — ვალერს, ქალბატონი დებრი — მარიანას, ხოლო არმანდა — ელმირას. პრემიერა მკვდრეთით აღმდგარი პიესისა, რომელსაც ახლა „ტარტიუფი, ანუ მატყუარა“ ერქვა, 5 თებერვალს შედგა. პიესას წარმატება ჰქონდაო, თუ ვიტყვით, ცოტა იქნება. „ტარტიუფის“ პრემიერა პარიზში თეატრალურ მოვლენად იქცა, შემოსავალმა არნახულ ციფრს — ორი ათას რვაას სამოც ლივრს მიაღწია.

სწორედ პრემიერის დღეს მოლიერიმა მეფეს წერილი მისწერა:

„სირ! ერთი დიდად პატიოსანი ექიმი, ვისთან მკურნალობის პატივიც მაქვს, მპირდება, რომ სიცოცხლეს ოცდაათი წლით გამიხანგრძლივებს, თუ თქვენს უდიდებულესობას მისთვის ერთ წყალობას გამოვთხოვ. პასუხად ვუთხარ, ამდენს არა გთხოვთ, იმასაც ვიკმარებ, თუ აღმითქვამთ, რომ არ მომკლავთ-მეთქი.

ეს წყალობა, ხელმწიფეო, თქვენი უდიდებულესობის ვენსენის კაპელის კანონიკის თანამდებობაა, რომელიც ამჟამად ვაკანტურია. შემძლია თუ არა, თქვენს უდიდებულესობას ესეც ვთხოვო „ტარტიუფის“ დიადი აღდგომის დღეს, რასაც თქვენს გულკეთილობას უნდა ვუმაღლოდე? თქვენმა გულკეთილობამ შემარიგა ფარისევლებთან, თქვენი გულკეთილობა შემარიგებს ექიმებთანაც.

უეჭველია, ეს ჩემთვის ერთბაშად ძალიან ბევრია, მაგრამ თქვენი უდიდებულესობისთვის იქნებ არც ისე ბევრი იყოს!

მოკრძალებითა და იმედით მოველი პასუხს ჩემს თხოვნაზე.“

მოლიერი კანონიკის ადგილს ექიმ მოვილენის ვაჟისთვის ითხოვდა.

მეფემ მოლიერი მიიხმო და ისევ, როგორც რამდენიმე წლის წინ „ტარტიუფის“ სამი მოქმედების წარმოდგენის შემდეგ, ისინი მარტონი დარჩნენ. მეფემ მოლიერს შეხედა და გაიფიქრა, როგორ დაბერდაო, მერე კი ჰკითხა:

— ის ექიმი რას გიკეთებთ?

— სირ! — უპასუხა მოლიერმა. — მე და ექიმი ათას რამეზე ვლაცობთ. დროდადრო წამლებს კეთილსინდისიერად მიწერს. მეც ასევე კეთილსინდისიერად არ ვსვამ და ყოველთვის გამოვჯანმრთელდები ხოლმე, თქვენო უდიდებულესობავ!

მეფემ გაიცინა და ექიმ მოვილენის ვაჟმა კანონიკის სასურველი ადგილი უმაღვე მიიღო.

„ტარტიუფი“ სეზონში ოცდაჩვიდმეტჯერ წარმოადგინეს და როცა სეზონის დამთავრებისას დაიანგარიშეს, აღმოჩნდა, რომ თეატრს „ძუნწმა“ ათი ათას ხუთასი ლივრი შემოსავალი მისცა, „ჟორჟ დანდენმა“ — ექვსი ათასი, „ამფიტრიონმა“ — ორი ათას ას ოცდაათი ლივრი, „მიზანთროპმა“ — ორი ათასი, კორნელის პიესა „როდოგიუნმა“ — უცნაური ციფრი, ოთხმოცდარვა ლივრი, ხოლო „ტარტიუფმა“ ოთხმოცდახუთი ათასი.

ჩემს გმირთან ერთად მცხოვრებნი წუთისოფელს თანდათან ეთხოვებოდნენ. „ტარტიუფის“ პრემიერიდან ოცი დღის შემდეგ მოლიერის დაჩაჩანაკებული მამა ჟან ბატისტ პოკლენი გარდაიცვალა. რა ხანია, წავიდა ის დრო, როცა

დამწყები კომედიანტი მამასთან მიირბენდა და ფულის თხოვნით ლამის ჰკუიდან შეშლიდა ხოლმე. მამის სიცოცხლის მიწურულს ყველაფერი შეიცვალა და სახელგანთქმულმა შვილმა მოხუც პოკლენს გასაჭირში ხელი არაერთხელ გაუმართა.

მაშ ასე, მამა-ამქვეყნიდან წავიდა, შვილი კი მუშაობას განაგრძობდა. 1669 წელს ლუიზ ბრძანა, შამპორში დღესასწაული გაემართათ — და ამ დღესასწაულისთვის მოლიერმა ფარს-ბალეტი „ბატონი პურსონიაკი“ დაწერა.

ფარსში გამოყვანილი იყო პარიზში ჩასული ლიმოჟელი აზნაური პურსონიაკი, პარიზელებმა რომ გაამასხრეს და გააპაპულეს. პარიზელები ამბობდნენ, თანაც ალბათ სრულიად საფუძვლიანად, რომ ის კაცი, რომელმაც მოლიერს საბაბი მისცა, პურსონიაკი სცენაზე გამოეყვანა, იმჟამად პარიზში იმყოფებოდა. დედაქალაქში ჩასული ვიღაც ლიმოჟელი „პალე-როიალის“ წარმოდგენაზე მოხვდა და სცენაზე მჯდარი უკადრისად იქცეოდა, მსახიობებს რატომღაც აუხირდა და უდიერად გამოლანძღა, რის გამოც მოლიერმა იგი საქვეყნოდ გაამასხრა. ამბობდნენ, პროვინციელმა სტუმარმა „პურსონიაკი“ როცა ნახა, საკუთარი თავი იცნო და ისე გაგულისდა, სასამართლოში მოლიერზე საჩივრის შეტანას აპირებდაო. მაგრამ რატომღაც გადაიფიქრა.

სხვები ამბობდნენ, მოლიერმა ლიმოჟელის სცენაზე გაპაპულებით შური იძია იმის გამო, ოდესღაც ლიმოჟეში რომ უსტვინეს და ვაშლები დაუშინესო. ეს ნაკლებად სარწმუნოა. ნუთუ მოლიერი ოცი წლის წინანდელ ამბავზე შურს იძიებდა? თანაც მისთვის ვაშლები მაგტო ლიმოჟეში კი არ დაუშენიათ!

აი, ლიმოჟელთათვის არაერთგზის რომ დაუცინიათ არა მარტო მოლიერს, არამედ სხვა ავტორებსაც, ეს კი მართალია. ამის მიზეზი ის გახლდათ, რომ ლიმოჟელები მართლა გამოირჩეოდნენ უსიამო და სასაცილო თვისებებით, უხეშობით, რაც, რა თქმა უნდა, დაკვირვებულ და გამჭრიახ პარიზელთა თვალს არ გამოეპარებოდა. ამიტომ იყო, რომ ლიმოჟელები ლიტერატურაში მოლიერამდეც გაუჭილიკებიან, მათთვის სასაცილო და უხეში გვარები მოუგონიათ.

მას შემდეგ, რაც მოლიერმა კომედიებში ექიმები პირველად გაამასხრა, ამ თემას გამუდმებით უბრუნდებოდა, რადგან სამედიცინო ფაკულტეტზე დაცინვისთვის დაუშრეტელ წყაროს მიაგნო. სცენები, სადაც სასაცილო ექიმები და მეაფთიაქეები არიან გამოყვანილი, „პურსონიაკშიც“ გვხვდება, მაგრამ ექიმებთან ერთად კომედიაში იურისტებიც არიან გამასხრებულნი. ამგვარად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მოლიერი ოდესღაც სამართალს ტყუილად არ სწავლობდა და ცოდნა იმისთვის გამოიყენა, ხრიკების ოსტატები გაეპაპულეებინა.

ფარსი, საერთო აზრით, მოლიერს ცოტა ზედაპირული და უხეში, მაგრამ სასაცილო გამოუვიდა. პურსონიაკის როლს თვით მოლიერი თამაშობდა, ხოლო იუბერი — გასკონელი ქალის, ლიუსეტას სასაცილო როლს. ფარსი პირველად მეფისთვის გაითამაშეს შამპორში 1669 წლის 6 ოქტომბერს, მერე კი „პალე-როიალის“ სცენაზე გადაიტანეს, სადაც საუცხოო წარმატება ჰქონდა და თეატრს სეზონში ყველაზე მეტი შემოსავალი მისცა, „ტარტიუფსაც“ გადააქარბა. „ტარტიუფს“ კვალში მიჰყვებოდნენ „ჟორჟ დანდენი“ და „ძუნწი“, თუმცა საკმაოდ ჩამორჩებოდნენ. ის სეზონი, როცა „პურსონიაკი“ გადიოდა, იმით არის აღსანიშნავი, რომ ცამეტი ნათამაშევი ჭიესიდან თორმეტი მოლიერისა იყო.

გავიგებელი გადაწყვეტა ნებაუნად, ნებაუნი — აპოლონად, აპოლონი ღ ლუიდ

1670 წლის დამდეგს მეფემ ბრძანა, სენ-ჟერმენ-ან-ლეში ზიემი გაემართათ და ამ ზიემისთვის „მეფის დივერტისმენტი“ დაერქმიათ. *ნაჩვენებელი*

ამის გამო სამეფო დასი მოლიერის წინამძღოლობით 30-იან წლებში სენ-ჟერმენში ჩავიდა, რათა იქ ხუმრობებდებიანი კომედია-ბალეტი „ბრწყინვალე შეყვარებულნი“ ეთამაშა, რომლის სიუჟეტი მოლიერს მეფემ შესთავაზა. მდიდრულ კომედიასა და ინტერმედიებში მოქმედებდნენ არა მარტო პრინცესები, მხედართმთავრები და ქურუმები, არამედ ნიმფები, ტრიტონები, ხის ცხენებზე ამხედრებული მოჭირითეები და მოცეკვავე ქანდაკებებიც კი.

თვით მოლიერი კომედიაში მეფის მასხარის კლიტიდასის როლს თამაშობდა, საბალეტო ნომრებში კი სამეფო კარის მრავალი კავალერი მონაწილეობდა. ისინი კლდეებზე ისხდნენ და ზღვის ღმერთებსა და ტრიტონებს გამოსახავდნენ. აქ დიდი ნიჭიერება გამოავლინეს გრაფმა დ'არმანიაკმა, მარკიზმა დე ვილრუამ, უფროსმა და უმცროსმა ჟენგანებმა და სხვებმა. საყვირთა გრილსა და მარგალიტის ნიჟარების კახანში ზღვის წიაღიდან ღმერთი ნებტუნი ამოიშართა და ყველამ ნებტუნის სამოსელში გამოწყობილი მეფე იცნო. შემდეგ, დივერტისმენტის მიმდინარეობისას, მეფემ სამოსელი შეიცვალა და ბოლო ინტერმედიაში, ბენგალური ცეცხლის ბრიალში, მზის ღმერთის — აპოლონის სახით წარმოსდგა. ღმერთი აპოლონი ცეკვავდა და მის ცეკვას თან სდევდა აღფრთოვანებულ კარისკაცთა ჩურჩული.

ყოველივე თითქოს ძალზე კარგად მიდიოდა და შემდგომ საზეიმო დღეებსაც ასე უნდა ჩაევლო, არ შემწყდარიყო გუნდთა გალობა მეფისათვის ხოტბის შესასხმელად, მერე დაწყებულიყო ნატიფ ლექსთა წარმოთქმა და ბანოვანთა სჯა-ბაასი, მოსაუბრენი ოხვრით იტყოდნენ, ბერძნული ტანსაცმლით შემოსილი მეფე რა თვალწარმტაცი იყო, მაგრამ მოხდა სრულიად გაუთვალისწინებელი ამბავი, რამაც სიორ დე მოლიერი დიდად გაანაწყენა. პირველი წარმოდგენის მომდევნო დღეს უცებ შენელდა მეფის ცეკვაზე გრძნობიერი საუბარი, მერე კი მთლად შეწყდა. სამეფო კარის ჟურნალში ერთი სიტყვაც არ იყო ნათქვამი, რომ მეფე წარმოდგენაში მონაწილეობდა. რამდენიმე დღის შემდეგ კი, როცა გულუბრყვილონი იკითხავდნენ, თეატრში გამოსვლის შემდეგ მეფე თავს როგორ გრძნობსო, დიდგვაროვანი კარისკაცები ცივად უპასუხებდნენ, მისი უდიდებულესობა წარმოდგენაში არ მონაწილეობდაო.

მიზეზი ძალიან მალე გამოიჩინა. თურმე წარმოდგენის დამთავრებისთანავე მეფეს ხელში მოხვდა რასინის ახალი ტრაგედია „ბრიტანიკი“, სადაც რომის იმპერატორ ნერონზე ნათქვამია:

ის სპექტაკლებში რომაელთა წინაშე ზვაობს,
ხმას არა ზოგავს და ყვირილით თეატრს აყრუებს,
წარმოთქვამს ლექსებს და სწადია, რომ აღმერთებდნენ,
ტაშის ცემით კი ჯარისკაცი იმტვრევინ ხელებს!..

სულ ეგ იყო. მაგრამ ლუი XIV-მ ეს ადგილი წაიკითხა თუ არა, თეატრში გამოსვლა უმაღლეს შეწყვიტა.

— ჰირსაც წაუღია ჟან რასინი! — ხიხინით ამბობდა „პალე-როილის“ დირექტორი, თან ახველებდა და იფურთხებოდა.

სენ-ჟერმენის ზეიმის დამთავრების შემდეგ მოლიერი მორიგი საზაფხულო სეზონისთვის ზრუნვას შეუდგა. კოჭლმა ლუი ბეჟარმა, მეტსახელად ფზიანს რომ ეძახდნენ, აპრილში მსახიობობას თავი მიანება და თეატრიდან წავიდა. კოჭლი მსახიობი მოლიერთან ერთად ოცთახუთ წელს მუშაობდა, ჯერ კიდევ პატარა ბიჭი იყო, მოლიერს სამხრეთ საფრანგეთის გზებზე რომ დაჰყვებოდა, სიცხე-პაპანაქებაში ურმებს უკან მიაბიჯებდა და ახალგაზრდა, სასაცილო მსახურთა როლებს თამაშობდა. თავისი მოღვაწეობის დასასრულს მან სახელი გაითქვა „ძუნწში“ გაიძვერა მსახურ ლაფლეშის ანუ „კოჭლი ძაღლის“ თამაშით, როგორც პარბაგონი ეძახდა. ფზიანი ლუი დაიქანცა და დასმა საზეიმო კრებაზე, რომელსაც მოლიერი თავმჯდომარეობდა, აქტი შეადგინა, რის თანახმადც ვალდებულებას კისრულობდა, ლუი ბეჟარისთვის მთელი სიცოცხლის მანძილზე პენსია ეძლია წელიწადში ათასი ლივრის ოდენობით მანამდე, სანამ დასი იარსებებდა. ფზიანი ლუი განსვენებას მიეცა.

მოლიერმა დასის შესავსებად ორი პროვინციელი მსახიობი, ცოლი და ქმარი მიიწვია. ჟან პიტელმა, იგივე ბოვალმა, კარიერა სანთლების მქრობელობით დაიწყო, შემდეგ კი მსახიობად გადაიყვანეს. მისი ცოლი, ჟანა დე ბოვალი, ტრაგედიებში დედოფალთა, ხოლო კომედიებში სუბრეტთა როლებს ასრულებდა. მოლიერმა დიდი შრომა გასწია, ცოლ-ქმრისთვის თავისი სისტემა რომ შეესწავლებინა და სცენაზე პროვინციული ქცევები მოეშლევინებინა.

1670 წელს მეფის სხვადასხვა სამყოფელში განუწყვეტელ გართობებსა და ზეიმ-დღესასწაულებში უნდა ჩაეწყო. ეს გართობაში მცირე ხნით შეწყვიტა სამწუხარო ამბავმა: უიღბლო ექიმ ვალოს ხელში სიცოცხლეს გამოესალმა ორლეანელის ცოლი ჰენრიეტა. სამეფო კარი დაითალხა, კარის მოძღვარმა ბოსიუმე მიცვალებულის კუბოსთან მღელვარე ქადაგება წარმოთქვა და კარისკაცებს ცრემლი აღვრევინა. გლოვა ზუსტად იმ დღეს დასრულდა, როგორც ეტიკეტი მოითხოვდა, და ზეიმ-დღესასწაულები კვლავ გაგრძელდა. შამბორის ტყეებში ბუკის ხმა დაირხა და სამეფო კარი სანადიროდ გავიდა. მოლიერსა და კომპოზიტორ ლიულის, რომელიც სამეფო კარზე სულ უფრო მეტ სახელსა და ძლიერებას იხვეჭდა, უბრძანეს, შამბორის ზეიმისთვის სასაცილო მუსიკალური კომედია დაეწერათ, მაგრამ იმ პირობით, პიესაში თურქები ყოფილიყვნენ.

საქმე ის გახლდათ, რომ გასული წლის შემოდგომაზე მეფემ ვერსალში თურქთა ელჩობა მიიღო, რომელსაც ვინმე სოლიმან-აღა მეთაურობდა. მიღება შემდეგნაირად მოეწყო: ჯერ ერთი, თურქებს ძალზე დიდხანს აცდევინეს, მერე ახალი სასახლის გაღერებაში მიიღეს, რომელიც სასწაულებრივად მოეკაზმათ. მეფე ტახტზე იჯდა და თოთხმეტი მილიონი ლივრის ბრილიანტებით მოკაზმული ტანსაცმელი ეცვა.

მაგრამ გამოცდილმა დიპლომატმა სოლიმან-აღამ საფრანგეთის სამეფო კარი უფრო მეტად განაცვიფრა, ვიდრე მის განცვიფრებას აპირებდნენ. სოლიმანს სახეზე ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს თურქეთში ყველას თოთხმეტი მილიონი ლივრის ბრილიანტებით მოკაზმული სამოსი სცმოდა. საერთოდ, ეშმაკი თურქები ოდნავადაც არ დაბნეულან.

თურქთა დელეგაციის საქციელი მეფეს არ მოეწონა და კარისკაცები, რო-

მელნიც მის სახეზე მცირე ცვლილების შემჩნევასაც ნაჩვენები იყვნენ, თურქებს მთელ წელიწადს, რაც კი შეეძლოთ, დასცინოდნენ. ამიტომ კომპოზიტორსა და დრამატურგსაც უბრძანეს, პიესაში სამასხრო თურქული სცენა უსათუოდ შეეტანათ. ავტორებს კონსულტანტად აღმოსავლეთში ნამყოფი კავალერი ლორან დ'არვიე მიუჩინეს, რომელსაც მათთვის თურქული ჰმეუღლები უნდა გაეცნო. მოლიერი, ლიული და დ'არვიე ოტეიდში განმარტდნენ და პიესის გეგმა შეიმუშავეს. უნდა ითქვას, რომ მოლიერი არცთუ ისეთი ხალისით, უფრო სწორად, გულდამძიმებული მუშაობდა. იგი გრძნობდა, რომ მომავალ წარმოდგენაში მუსიკალური საბალეტო ნაწილი უმთავრესი იქნებოდა, მისი დრამატურგია კი დაიჩრდილებოდა. ლიულის ძალა და გავლენა მას უკვე აშინებდა, რადგან იცოდა, ჭიოვანი ბატისტის მუსიკა მეფეზე რა ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენდა.

ამგვარად შეიქმნა „გააზნაურებული მდაბიო“. ამ პიესაში გამოყვანილი ბურჟუა ჟურდენი ისე იყო მოწადინებული, გაარისტოკრატიებულიყო და მაღალ საზოგადოებაში ფეხი შეედგა, ლამის კკუიდან შეშლილიყო. მოლიერის ჩანაფიქრი მნიშვნელოვანი და მახვილგონივრული იყო. ჟურდენთან ერთად მან პიესაში გამოიყვანა მარკიზი დორანტი, რის გამოც წინასწარვე შეიძლებოდა გეტქვათ, რომ მოლიერის მიმართ არისტოკრატთა მტრობა უკიდურესად გაძლიერდებოდა, რადგან დორანტი უკვე მთლად სინდისგარეცხილ ვიგინდარად იყო წარმოდგენილი, ხოლო მისი სატრფო, მარკიზა დორიმენა, ლმობიერად რომ ვთქვათ, საეჭვო პიროვნება გახლდათ.

შეკვეთილი თურქები რაღა იქნენ? თურქებიც იყვნენ. გაპამპულებულ ჟურდენს მამამუშის არარსებულ წოდებას ანიჭებდნენ, კურთხევისას თავგადაპარსული გამოჰყავდათ, მუსიკის ხმაზე თურქები გამოდიოდნენ, მათ შორის მუფთიც, რომელსაც თავსაბურავზე სანთლები ჰქონდა დამაგრებული. ცერემონიისას თურქების მანკვა-გრეხას ბოლო არ უჩანდა, ხან იჩოქებდნენ, ხან წამოდგებოდნენ და რატომღაც „გუ-გუ-გუს“ შესძახებდნენ ხოლმე. ჟურდენსაც აჩოქებდნენ, ზურგზე ყურანს ადებდნენ და სხვა ამგვარ ოინებს სჩადიდებდნენ. საერთოდ, უნდა მოგახსენოთ, რომ პირადად მე პიესის თურქული ნაწილით აღფრთოვანებული ოდნავადაც არ გახლავართ. დაე, სხვებმა განსაჯონ, რაიმე გონებამახვილური თუ არის თუნდაც ამ რვასტრიქონიან ლექსში, რომლითაც მუფთი ჟურდენს მიმართავს. ლექსში პორტუგალიური, ესპანური და იტალიური სიტყვები ერთმანეთშია არეული, თანაც ყველა ზმნა რატომღაც (ალბათ მაყურებლის გასაცინებლად) მესამე პირშია:

თუკი შენ იცის,
მაშ უპასუხოს,
თუ შენ არ იცის,
მაშ ჩუმად იყოს.
მე მუფთი არის,
შენ ვილა არის?
შენ ვერ გაიგოს?
მაშ ჩუმად იყოს.

ერთი სიტყვით, მაღლობას არ ვეტყვოდი არც კავალერ ლორან დ'არვიეს მისი რჩევებისთვის, არც სამეფო კარს დაკვეთისთვის და არც უკიდურესად და-

ქანცულ და შეშფოთებულ მოლიერს ინტერმედიის შეთხზვისათვის, ამ კარგ პიესას რომ აფუჭებს!

„მდაბიო“ შამბორში პირველად 1670 წლის 14 ოქტომბერს გაითამაშეს და წარმოდგენის შემდეგ მოლიერს საშინელი ძრწოლა დაეუფლა: მეფეს პიესის შესახებ სიტყვაც არ დაუძრავს. წარმოდგენის შემდეგ, საზეიმო სუფრაზე მოლიერი კამერდინერის მოვალეობას ასრულებდა და მეფეს ცოცხალ მკვდარი ემსახურებოდა. მეფის ღუმელმა უმაღლეს ხეაგრიელი შედეგი გამოიღო. კაციშვილი არ დარჩენილა, მოლიერის პიესა რომ არ ეძაგებინა (რა თქმა უნდა, მეფის გასაგონად არა).

— ბატონებო, თუ ღმერთი გწამთ, განმიმარტეთ, — ამბობდა ერთი კარისკაცი, — რას ნიშნავს ეს გალიმატია, ეს „გალაბა, ბაბალალუ და ბალაბა“, თურქები რომ გაჰკივიან? ეს რა არის?

— რა არის და აბდაუბდა, — ეუბნებოდნენ პასუხად, — თქვენი მოლიერი მთლად გამოიფიტა, დროა, თეატრი ჩამოართვან.

უნდა გალიაროთ, რომ ეს „ბალაბა“, მართლაც, არაფერს ნიშნავს და სამხიარულოც არაფერია.

თექვსმეტ ოქტომბერს მეორე წარმოდგენა ჩატარდა და მეფე ამ წარმოდგენასაც დაესწრო. წარმოდგენის დამთავრების შემდეგ მან მოლიერი თავისთან მიიხმო.

— მოლიერო, თქვენს პიესაზე მსურს გელაპარაკოთ, — წამოიწყო მეფემ.

„ჰა, მომკალ!“ — ამოიკითხა ყველამ მოლიერის თვალეში.

— პრემიერის შემდეგ იმიტომ არ გითხარით არაფერი, რომ შეხედულება ჩამოყალიბებული ჯერ არ მქონდა. თქვენი მსახიობები ძალზე კარგად თამაშობენ. ახლა კი ვხედავ, რომ ჩინებული პიესა დაგიწერიათ, თქვენს არც ერთ პიესას ასეთი სიამოვნება არ მოუნიჭებია.

მეფემ მოლიერს წასვლის ნება დართო. მოლიერი წავიდა თუ არა, კარისკაცები მეფეს გარს შემოერთყვნენ და პიესის ქებას მოჰყვნენ. საყურადღებოა, რომ პიესას ყველაზე მეტად ის კარისკაცი აქებდა, ვინც წინა დღეს ამბობდა, მოლიერი გამოიფიტაო.

— მოლიერი შეუდარებელია! — თქვა მან. — ღმერთმანი, რასაც არ უნდა წერდეს, ყველაფერს არაჩვეულებრივი კომიკური ძალა აქვს! იგი, ბატონებო, ძველი დროის ავტორებზე გაცილებით ძლიერია!

კომედია ჯერ შამბორში, შემდეგ სენ-ჟერმენში რამდენჯერმე გაიმეორეს, ხოლო ნოემბრის მიწურულს მოლიერმა პიესა „ბალე-როიალში“ დადგა, სადაც დიდი წარმატება ხვდა წილად, 1670 წლის სეზონში თეატრს ოცდაოთხი ათასი ლივრი შემოსავალი მისცა და იმ წელს პირველ ადგილზე აღმოჩნდა შემოსავლის ოდენობით. ამ მხრივ ბოლო ადგილი „უნებლიეთ ექიმმა“ დაიკავა, რომელმაც სალაროს სასაცილო თანხა — ას ოთხმოცდაათი ლივრი მისცა.

ათას ექვსას სამოცდაათ წელს მომხდარ ამბავთა შორის ერთი ამბავიც უნდა აღინიშნოს: ოთხმოცი წლის ასაკში გარდაიცვალა ჟოზეფ ბეჟარის ქვრივი მარი ერვე, მადლენას დედა, ესოდენ უცნაური აქტი რომ ჰქონდა შედგენილი. ის იყო ერთ-ერთი მცირედთავანი, ვინც არმანდას დაბადების საიდუმლო იცოდა და ეს საიდუმლო სამარეში ჩაიტანა.

იმ წელს სიკვდილმა მსახიობთა რიგებს „ბურგონული სასტუმროს“ დი-

დი მსახიობი დეზეიეც გამოსტაცა.

იმავე წელს დაიბეჭდა მოლიერზე დაწერილი სახელგანთქმული პასკვილი „ელომირ-იპოქონდრიკა“. ამ ნაწარმოების ავტორი გახლდათ ლე ბულანჟე დე შალიუსე. „ელომირში“ მოლიერის მთელი ცხოვრება და მოღვაწეობა იყო განქიქებული. თვით სათაურად წამძღვარებული სიტყვა „იპოქონდრიკი“ გვიჩვენებს, ავტორს მოლიერი როგორ სძულდა, ხოლო შინაარსი მოწმობს, რომ მან მოლიერის ცხოვრების ბევრი ამბავი კარგად იცოდა.

ამ წელს მომხდარი სასიხარულო ამბავი განზრახ ბოლოსთვის მოვიტოვე: საადღგომოდ მოლიერის წინაშე წარსდგა პროვინციებში ოთხ წელს ნახეტილები, დავაჟკაცებული და საოცრად დამშვენებული ჩვიდმეტი წლის ბარონი. მოლიერმა იგი დასში დაუყოვნებლივ მიიღო, მსახიობის სრული წილი დაუნიშნა და დომიციაუსის როლი მისცა პიერ კორნელის პიესაში „ტიტუსი და ბერენიკა“. ამ პიესამ წარმოდგენების რაოდენობითა და შემოსავლით „მდაბიოს“ შემდეგ მეორე ადგილი დაიკავა.

თ ა ვ ი 29

ერთობლივი შემოსავალი

მეფემ მოლიერს უბრძანა, ბრწყინვალე პიესა დაეწერა ბალეტითურთ 1671 წლის კარნავალისათვის, რომელიც ტიუილრიში უნდა გამართულიყო. მოლიერი ბრძანების შესრულებას დაუყოვნებლივ შეუდგა და პიესა „ფსიქეს“ წერა დაიწყო, მაგრამ სენი თანდათან მოეძალა, იპოქონდრიის შეტევებიც გაუზშირდა და მიხვდა, რომ პიესას დათქმული დროისთვის ვერ დაამთავრებდა. მაშინ გადაწყვიტა, სხვები დაეხმარებინა. „ცოლების სკოლის“ დროს განაწყენებული პიერ კორნელი მოლიერს, რა ხანია, შეურიდგა. ახლა მათ რასინის ერთობლივი სიძულვილი აკავშირებდა. მოხუცი კორნელის ვარსკვლავი მქრქალდებოდა, რასინი კი სულ უფრო მალლა მიიწევდა. რასინის პიესებს „ბურგონულ სასტუმროში“ თამაშობდნენ, ხოლო მოლიერმა კორნელის პიესების დადგმა თავისთან, „პალე-როიალში“ დაიწყო.

მოლიერმა კორნელი მიიწვია, რათა „ფსიქეზე“ ერთად ემუშავათ. მოხუცს ფული სჭირდებოდა და დათანხმდა. სამუშაო ამგვარად გაინაწილეს: მოლიერმა ხუთმოქმედებიანი პიესა-ბალეტის გეგმა შეიმუშავა, პროლოგი, პირველი მოქმედება და მეორე და მესამე მოქმედების პირველი სცენები დაწერა. პიესის დანარჩენი ნაწილი კორნელმა დაწერა და ამას თხუთმეტი დღე მოაწოდო. სამოცდახუთი წლის მოხუცმა საქმეს თავი მშვენივრად გაართვა. მაგრამ სამუშაოს დროზე ვერც ორივენი დაამთავრებდნენ. ამიტომ მესამეც მიიწვიეს — გამოცდილი პოეტი და დრამატურგი ფილიპ კინო, რომელმაც ამ პიესისთვის ყველა სასიმღერო ლექსი დაწერა.

საინტერესოა ამ ტრაგედია-ბალეტის წინასიტყვაობა, სადაც ძალზე ფრთხილად არის ნაფქვამი, რომ ბატონი მოლიერი პიესის წერისას დრამატურგიულად გამართვაზე უფრო იმას ცდილობდა, წარმოდგენა მდიდრული და ლამაზი ყოფილიყო. ამბობენ, ეს წინასიტყვაობა თვით მოლიერს ეკუთვნისო.

„ფსიქე“ ტიუილრის სასახლეში დიდებულად დადგეს. მოლიერს საუკე-

თესო თეატრალური მანქანები და საფრენი მოწყობილობები მისცეს. მთავარ როლებს თამაშობდნენ: ფსიქეს — არმანდა და ამურს — ბარონი. ორივემ თამაშის ისეთი ოსტატობა აჩვენა, მაყურებელი განცვიფრდა. მაგრამ 17 იანვარს სამეფო კარზე „ფსიქეს“ პირველივე წარმოდგენამ მოლიერს ახალი მძიმე კრილობა მიაყენა. პარიზში დაბეჭითებით დაიწყო მითქმა-მოთქმა — ოდესღაც თავნები ბიჭის — ბარონის მიმართ არმანდას მტრობის ნატყალობა. სწრაფად და რაღა, ლამაზი და დიდი მსახიობი შეუყვარდა და მისი საყვარელი შეიქნაო. მობერებულმა და სნეულმა მოლიერმა ესეც მდუმარედ გადაიტანა.

15 მარტს მან „პალე-როიალის“ შესაკეთებლად დიდი სამუშაო წამოიწყო. ყველა ლოჯა და აივანი ხელახლა მოაპირკეთეს, ჰერი შეაკეთეს და მოხატეს, სცენა ისე გამართეს, რომ მასზე ახალი, რთული თეატრალური მანქანების დადგმა შესაძლებელი ყოფილიყო.

როცა თეატრის შეკეთება დამთავრდა, დასმა დირექტორს სთხოვა, „ფსიქე“ „პალე-როიალის“ სცენაზე გადავიტანოთ. დიდი ხნის ყოყმანის შემდეგ გადაწყდა, ასეც მოქცეულიყვნენ, თუმცა ახალი მანქანებისა და მდიდრული დეკორაციების დადგმასთან დაკავშირებით დიდი სიძნელეები ელოდათ. მაგრამ ამას თავი გაართვეს, ისევე, როგორც კიდევ ერთ სიძნელეს: „ფსიქემდე“ მუსკოსები და მომღერლები მაყურებლის წინაშე არასოდეს გამოსულან. ისინი ლოჯებში, გისოსებსა და ფარდებს ამოფარებულნი უკრავდნენ და მღეროდნენ. მომღერლებსა და მუსიკოსებს გასამრჯელოს მომატებას შეჰპირდნენ და დაიყოლიეს, რომ სცენაზე, მაყურებელთა წინაშე გამოსულიყვნენ. „ფსიქეს“ რეპეტიციებმა დაახლოებით თვე-ნახევარს გასტანა. პრემიერა 24 ივლისს ჩაატარეს. შრომასა და ხარჯს ამაოდ არ ჩაუვლია. საოცრად მდიდრულმა წარმოდგენამ „პალე-როიალში“ მაყურებელთა ბოხოქარი ტალღები მიიზიდა, პიესა სეზონის მანძილზე ორმოცდაათჯერ წარმოადგინეს და თეატრმა ორმოცდაშვიდი ათასი ლივრი შემოსავალი მიიღო.

„ფსიქეს“ სამეფო კარზე წარმოდგენასა და „პალე-როიალში“ გამართულ პრემიერას შორის მოლიერის დასი საშუალო წარმატებით თამაშობდა მის ფარსს „სკაპენის ოინებს“. ეს ფარსი უხეშად და მოლიერის კალმისთვის უღირსად მიიჩნიეს. გაუგებარია, ასეთი შეხედულება რას ემყარება. სწორედ ამ პიესაში გამოჩნდა დიდებულად მოლიერის კომიკოსობა. ბუალო მეგობარს სრულიად უსამართლოდ უსაყვედურებდა, მაყურებლის გემოვნებას ეგუებოდა და მის დონემდე ეშვებო. მას არ მოსწონდა ის სცენა, სადაც კაცს ტომარაში სვამდნენ და ჯოხებით სცემდნენ, ამბობდა, გემოვნებას მოკლებული შაბლონიაო. ბუალო ცდებოდა. „სკაპენის ოინები“ სასაცილო, დიდებულად ჩაქსელილი ფარსია და ნაკლებად დამაჯერებელი კვანძის გახსნაც კი ვერ აფუჭებს. „პალე-როიალის“ კომიკოსმა მსახიობებმა მოლიერის წინამძღოლობით ფარსი საუცხოოდ წარმოადგინეს, სკაპენს მოლიერი თამაშობდა, საყვარლებს — ოქტავსა და ლეანდრს — ბარონი და ლაგრანჟი.

იმ წელს მოლიერს არ დაუსვენია. მეფემ ერთი დაკვეთა კიდევ მისცა. მეფის ერთადერთი ძმის ჯვარისწერასთან დაკავშირებით წლის ბოლოს სენ-ჟერმენში ზეიმი უნდა გამართულიყო. მოლიერმა გამალებით დაიწყო მუშაობა კომედიასზე, რომელსაც „გრაფინია დ'ესკარბანია“ ერქვა და საფუძვლად პროვინციელებზე მისი დაკვირვება ედო. მეფის კარზე კომედია მოეწონათ, განსაკუთრებით იმიტომ, რომ შიგ ინტერმედია და ბალეტი იყო ჩართული.



ოტეილის პარკი, შემოდგომაა. ფეხქვეშ ფოთლებს შარიშვრატ გაჟღერებს, ხეივანში ორნი მიდიან. უფროსი ჯოხს ეყრდნობა, მოკუზულა, ნუჩაყულა, კოკავს და ახველებს. მეორეს, ცოტა უმცროსს, მოვარდისფრო სახე აქვს, ეტყობა, ღვინოზე მწყრალად არ უნდა იყოს. იგი უსტვენს და რაღაცას ღიღინებს:

— მირდონდენ... მირდონდენ...

სკამზე ჩამოსხდებიან და თავდაპირველად რაღაც წვრილმანებზე საუბრობენ. უმცროსი, ორმოცდაექვსი წლის კაცი, ამბობს, გუშინ ჩემს მსახურს მუშტები დავცხე, რადგან არამზადააო.

— გუშინ ხომ თქვენი მსახური ფხიზელი იყო, — ხველებით ამბობს უფროსი.

— სისულელეა! — შესძახებს უმცროსი. — ვიმეორებ, რომ იგი არამზადაა!

— გეთანხმებით, გეთანხმებით, — ყრუ ხმით ეუბნება უფროსი, — მე მხოლოდ იმას ვამბობ, რომ თქვენი მსახური ფხიზელი არამზადაა.

ოტეილის პარკს შემოდგომის კრიალა ცა დაჰყურებს.

ცოტა ხნის შემდეგ საუბარი გაცხოველდება. სახლის ფანჯრიდან მოჩანს, რომ უფროსი უმცროსს რაღაცას დაბეჯითებით ეუბნება, ის კი ხანდახან თუ ჩაუერთავს ორიოდ სიტყვას.

უფროსი ამბობს, მისი დავიწყება არ შემოძლია, უმისოდ სიცოცხლე არ ძალმიძსო. მერე კი გაჩენის დღეს იწყებულის და ამბობს, უბედური ვარო.

ოჰ, რა ხათაბალაა სხვისი მესაიდუმლეობა, განსაკუთრებით ცოლქმრულ ამბებში! უმცროსი მოუსვენრად წრიალებს... დიახ, უფროსი ებრალება! თანაც... ძალიან უნდა დაღევა. ბოლოს ფრთხილად იწყებს იმ ქალის გაკიცხვას, უვისოდაც სიცოცხლე უფროსს არ შეუძლია. პირდაპირ არაფერს ამბობს, ზოგიერთ მტკივნეულ საკითხს ოდნავ ეხება... გაკვრით ახსენებს „ფსიქეს“ ამბავს... ღმერთმა დაიფაროს, ის ვერ გაბედავს, რაიმე თქვას არმანდაზე და... ბარონზე. მაგრამ საერთოდ კი...

— ნება მომეცი, გულახდილი ვიყო! — ბოლოს შესძახებს იგი. — ბოლოს და ბოლოს, ეს ხომ სისულელეა! მართლაცდა, განა შეიძლება, შენი ხნის კაცა ისეთ ცოლს დაუბრუნდეს, რომელსაც... ისევ გთხოვ, რომ მომიტევო, მას ხომ შენ არ უყვარხარ.

— არ ვუყვარვარ, — ყრუ ხმით იმეორებს უფროსი.

— ის ახალგაზრდა, კეკლუცი და... მაპატიე... ქარაფშუტაა.

— თქვი, — გაისმის უფროსის ჩახლეჩილი ხმა, — ყველაფერი თქვი, რაც გინდა, ის თქვი, მე იგი მძულს.

უმცროსი ხელებს შლის.

„დალახვროს ეშმაკმა, — ფიქრობს იგი, — რას მიედ-მოედება! ხან უყვარს, ხან სძულს!“

— იცი რა, მე მალე მოგკვდები, — ამბობს უფროსი და საიდუმლოდ დაუმატებს: — ხომ იცი, რა მძიმე სენიცა მჭირს!

„ღმერთო ჩემო, პარკში რამ წამომიყვანა?“ — ფიქრობს უმცროსი, ხმა-
მალლა კი ამბობს:

— რა სისულელეა! მეც თავს ცუდად ვგრძნობ...

— ნუ გავიწყდება, რომ ორმოცდაათი წლისა ვარ! — გადილით ამბობს უფროსი.

— ღმერთო ჩემო, გუშინ ორმოცდარვისა იყავი, — გამოცოცხლდება უმ-
ცროსი, — ბოლოს და ბოლოს, ხომ შეუძლებელია, კაცს ერთბაშად ორი წე-
ლი მოემატოს, როგორც კი უქეიფოდ შეიქნება!

— მე მასთან ყოფნა მინდა, — მომაბეზრებლად იმეორებს უფროსი, —
ისევ თომას ქუჩაზე ყოფნა მინდა!

— ღვთის გულისთვის, გთხოვ, პარკიდან წადი! სიგრილეა. ბოლოს და
ბოლოს, ჩემთვის სულ ერთია, თუ გინდა, ცადე მასთან შეერიგება. თუმცა ვი-
ცი, რომ ამას სახეირო არაფერი მოჰყვება.

ორნი სახლისკენ მიდიან. უფროსი კარს მიეფარება.

— მოლიერო, ლოგინში ჩაწეკი! — გასძახის უმცროსი, ერთხანს იგი კარ-
თან დგას და ფიქრობს. უფროსი ფანჯარას აღებს და იქიდან თავს გამოჰყოფს.
პარიკი მოუხდია, ახლა ჩაჩი ახურავს.

— შაპელო, სადა ხარ? — გაისმის მისი ხმა.

— რა გინდა? — უპასუხებს უმცროსი.

— მაინც რას მირჩევ? — ეკითხება ფანჯარასთან მდგარი კაცი, — დავუ-
ბრუნდე ცოლს თუ არა?

— ფანჯარა დახურე! — ეუბნება უმცროსი და მუშტებს კუმშავს.

ფანჯარა იხურება. უმცროსი გადააფურთხებს და სახლის კუთხეს მიეფა-
რება. ცოტა ხნის შემდეგ მისი ხმა მოისმის.

— ჰეი, ფხიზელო! მოდი აქ! — მოუხმობს იგი მსახურს.

მეორე დღეს მზე უფრო მძლავრად, შემოდგომისთვის უჩვეულოდ აცხუ-
ნებს. უფროსი ხეივანში მიაბიჯებს, ფეხებს აღარ მიათრევს, ნეშოს ჯოხით
აღარ ჩიჩქნის. გვერდით ბევრად უმცროსი კაცი მიჰყვება. მას გრძელი, წვე-
ტიანი ცხვირი, კვადრატული ნიკაბი და დამცინავი გამოხედვა აქვს.

— მოლიერო, — ეუბნება უმცროსი უფროსს, — თქვენ სცენა უნდა და-
ტოვოთ. დამიჯერეთ, არ ვარგა, როცა „მიზანთროპის“ ავტორი... თავად მი-
ზანთროპია! ჰო, ამას დიდი მნიშვნელობა აქვს! დიახ, არ მინდა ვიფიქრო, რომ
იგი პარტერის გასართობად სცენაზე სახემოთხუპნილი გამოდის და ვილაცას
ტომარაში სვამს! თქვენ მსახიობობა არ შეგეფერებათ. სასიამოვნო არ არის,
რომ თქვენ თამაშობთ, დამიჯერეთ.

— ძვირფასო ბუალო, — უპასუხებს უფროსი, — მე სცენას არ დავ-
ტოვებ!

— თქვენ ისიც უნდა იკმაროთ, რასაც თქვენი ნაწარმოებები გაძლევთ!

— ჩემი ნაწარმოებები მე არაფერს მაძლევს, — უპასუხებს უფროსი, —
ჩემს სიცოცხლეში არ დამიწერია ისეთი რამ, რაც უმცირესს სიამოვნებას მა-
ინც მომანიჭებდა.

— რა ბავშვობაა! — ყვირის უმცროსი. — ბატონო ჩემო, უნდა მოგახ-
სენოთ, რომ მეფემ როცა მკითხა, ჩემი მეფობის დროს საფრანგეთის პირველ
მწერლად ვინ მიგაჩნიაო, ვუპასუხე, მოლიერი-მეთქი!

უფროსი იცინის, მერე კი ეუბნება:

— მთელი სულითა და გულით გმადლობთ. დებრეო, თქვენ ნამდვილი მეგობარი ხართ. პირობას გაძლევთ, თუ მეფემ მკითხა, ვინ არის პირველი პოეტიო, ვეტყვი, რომ თქვენა ხართ.

— მე არ გეხუმრებით! — შესძახებს უმცროსი და მისი ხმა სიორ ბოფორის უკაცრიელსა და მშვენიერ პარკს ეფინება.

უკაცრიელი
მშვენიერი

თ ა ვ ი 31

მადლენა მიდის

როცა 1671 წლის ზამთარი დადგა, მოლიერი ცოლს შეურიგდა, ოტეილი მიატოვა და პარიზში დაბრუნდა. ამ დროს იგი მუშაობას ამთავრებდა პიესაზე „სწავლული ქალები“, რომელსაც დაკვეთით კი არა, თავისთვის წერდა. ამ პიესაზე იგი დროგამოშვებით მუშაობდა, ხან მიატოვებდა, ხან დაუბრუნდებოდა.

იმ დროს, როცა „სწავლულ ქალებს“ წერდა, იმავე სახლში, სადაც არმანდასთან ერთად ცხოვრობდა, ზედა სართულის პატარა ოთახში მძიმედ სწეული მადლენა ბეჟარი იწვა. თეატრი მან უკვე მიატოვა მას შემდეგ, რაც ნერიინას უკანასკნელი როლი ითამაშა „ბატონ პურსონიაკში“ და სცენაზე უკანასკნელად ეს წარმოთქვა:

— რაო, ეს საბრალო ბავშვი დაგავიწყდა? ჩვენი პატარა მადლენა, რომელიც ერთგულების საწინდრად დამიტოვე? მოდი აქ, მადლენა, შეილო ჩემო! შეარცხვინე უსინდისო მამაშენი! არა, ხელიდან ვერ წამიხვალ! ყველას ვაუწყებ, რომ შენი ცოლი ვარ და იმას მივალწევ, რომ ჩამოგახრჩონ!

მადლენამ მარტო თეატრი კი არ მიატოვა, საერთოდ უარი თქვა ყოველივე ამქვეყნიურზე, არაჩვეულებრივად ღვთისმოსავი გახდა, ნიადაგ ლოცულობდა, ცოდვებს ინანიებდა და მხოლოდ მღვდლებს ანდა თავის ნოტარიუსს ელაპარაკებოდა. 1672 წლის იანვარში სენი ძალზე მოეძალა და გაუნძრევლად იწვა საწოლზე, რომლის თავთან ჯვარცმა ეკიდა.

ცხრა იანვარს მან ნოტარიუსს ანდერძი უკარნახა, რომლის ძალითაც მთელ სიცოცხლეში შეძენილ ქონებას არმანდას უტოვებდა, ხოლო შენევივასა და ლუის მცირე პენსიას უნიშნავდა. ამას გარდა, ყველაფერი გაითვალისწინა, თავისთვის სამგლოვიარო მესა წინასწარ დაუკვეთა და ანდერძი დატოვა, რომ ყოველდღიურად ხუთი ლატაკისთვის ხუთ-ხუთი სუ დაერიგებინათ უფლის ხუთი წყლულის პატივსაცემად. ამგვარად, სიკვდილისთვის მოემზადა, მერე არმანდა და მოლიერი მოიხმო და ასევე უფლის სახელით დააფიცა, თანხმობით იცხოვრეთო.

1672 წლის ცხრა თებერვალს დასმა მეფისგან სენ-ჟერმენში სასწრაფოდ გამგზავრების ბრძანება მიიღო. თებერვლის შუა რიცხვებში სენ-ჟერმენში ჩასულმა შიკრიკმა მოლიერს აცნობა, მადლენა ძალიან ცუდად არისო. მოლიერი პარიზისკენ გაეშურა, თავის პირველ მეგობარს ცოცხალს მძუღსწრო, თვალები თავად დაუხუჭა და მიწას მიაბარა. პარიზის არქივებისკოპოსმა ნება დართო, მადლენა ქრისტიანული წესით დაემარხათ, რადგანაც მან კომედიანტის ხელობა მიატოვა და ღვთისმოსავი ქალის სახელი მოიხვეჭა. მადლენას სენ-ჟე-

რმენ დე ლ'ოქსერუას ეკლესიაში მესა დიდი პატივით გადაუხადეს და წმინდა პავლეს ეკლესიის სასაფლაოზე თავისი ძმის, ჟოზეფის და დედის, მარი ერგეს გვერდით დაკრძალეს.

მადლენა 1672 წლის 17 თებერვალს გარდაიცვალა, დაახლოებით ერთი თვის შემდეგ კი პალე-როიალში „სწავლული ქალების“ ბრემიერა ჩატარდა. ყველაზე დახვეწილი გემოვნების მქონე პარიზელნი პიესას ძალზე დიდ შეფასებას აძლევდნენ, მოლიერის უძლიერეს ნაწარმოებებს უტოლებდნენ. სხვანი მოლიერს მძაფრად აკრიტიკებდნენ, ამბობდნენ, თავის ნაწარმოებში ქალს ამცირებს და ამტკიცებს, მისი განათლება სამზარეულოს კედლებს არ უნდა გასცდესო.

პიესაში მოლიერმა ორი, იმჟამად ცოცხალი კაცი გაამასხრა: ბუალოს მტერი, „სატირათა სატირის“ ავტორი, თეოლოგიის დოქტორი ფრანსუა კოტენი და მეორე, ჩვენი ძველი ნაცნობი, ჟილ მენაჟი. პირველი მათგანი ტრისტენის სახელით იყო გამოყვანილი, ხოლო მეორე ვადიუსის სახელით.

იმ დროს, როცა კომედიანტები „პალე-როიალში“ „სწავლულ ქალებს“ საშუალო წარმატებით თამაშობდნენ, ქვეყანას ქუფრი ღრუბელი ჩამოაწვა. 7 აპრილს ნიდერლანდებთან ომი დაიწყო. ისევე, როგორც ხუთი წლის წინ, ფრანგთა არმია ჩრდილოეთისკენ ძლევამოსილად დაიძრა და ქალაქს ქალაქზე იმორჩილებდა. ომის ქარცეცხლიდან შორს მყოფი ჩვენი ჟან ბატისტ დე მოლიერი პირადი საქმეების მოგვარებით იყო გართული. ახლა იგი შეძლებული კაცი იყო, სცენაზე მუშაობისას გვარიანი ქონება დააგროვა, ამას გარდა, მადლენა ბეჟარის მემკვიდრეობამაც სიმდიდრე შემატა. მან რიშელიეს ქუჩაზე დიდი ბინა დაიქირავა და ფული არ დაიშურა, რათა ეს ბინა მდიდრულად მოეწყო. ორსართულიანი ბინის ქვედა სართულში არმანდა დაბინავდა, თვითონ კი ზედა სართული აიკრია. როცა ყველაფერი გაამზადეს და ავეჯი და ნივთები თავის ადგილას დააწყვეს, მოლიერი დარწმუნდა, რომ ოტეილის სევდა პარიზში კვალდაკვალ გამოჰყვა. შიში და შემაშფოთებელი წინათაგრძნობა ზედა სართულის ოთახებში მასთან ერთად დასახლდა.

ათას ეჭვას სამოცდათორმეტი წელი ცუდად წარიმართა. ლიულიმ მეფის კარზე დიდი ძალა მოიხვეჭა და პრივილეგიები მიიღო ყველა ნაწარმოებზე, რომელთათვისაც მუსიკა ჰქონდა დაწერილი. ეს იმას ნიშნავს, რომ ლიულიმ მოლიერის ძალზე ბევრ პიესაზე საავტორო უფლებები ხელთ იგდო, რადგან მუსიკას სწორედ მისი პიესებისთვის წერდა.

მოლიერმა ზურგიდან სიცივის წამოხვევა იგრძნო. თავს ვერ მოიტყუებდა, მეფემ მასზე გული აიცრუა. ლუის კეთილგანწყობილება ახლა საშუალო ნიჭის მუსიკოსმა, საკუთარი ღრმა იდეების უქონელმა, მთლად მეფის ნების მორჩილმა ლიულიმ მოიპოვა.

ზაფხულმა უდიდამოდ განვლო. ცოლ-ქმარი კვლავ ერთად ცხოვრობდა, არმანდა ბავშვის შეძენას მოელოდა, მაგრამ მათი დამოკიდებულება ოდნავადაც ვერ მოგვარდა და ახლა ეჭვიც აღარ იყო, რომ ვერასოდეს მოგვარდებოდა. 15 სექტემბერს არმანდას ბიჭი ეყოლა, იგი სასწრაფოდ მონათლეს და პიერ ჟან ბატისტ არმანი დაარქვეს, მაგრამ ბავშვს ერთ თვესაც არ უცოცხლია. ზამთარში მოლიერი ზედა სართულზე ჩაიკეტა და სასაცილო კომედიის წერას შეუდგა, რომელსაც „ვითომდა ავადმყოფი“ ერქვა. ლიულიზე დამოკიდებული

რომ არ ყოფილიყო, ამ პიესისთვის მუსიკა სხვა კომპოზიტორს — შარპანტიეს დააწერინა.

„ვითომდა ავადმყოფში“ მოლიერი კაცთა მოდგმის ყველაზე უგუნურ ვნებას — სიკვდილის შიშსა და საბრალობელ ეჭვიანობას დასცინოდა. ექიმების მიმართ მისმა სიძულვილმა ახლა უმაღლეს წერტილს მიაღწია. კომედი-აში ისინი ნამდვილ მაიმახებად — უვიც, დამყაყებულ, ანგარებიან, ჩამორჩენილ ადამიანებად არიან გამოყვანილნი.

მოლიერის მიერ ამ პიესისთვის დაწერილი პროლოგი გვაუწყებს, რომ იგი შეეცადა, მეფის კეთილგანწყობილება დაებრუნებინა:

„ჩვენი უავგუსტოესი ხელმწიფის დიდებულ, დამქანცველ და ძლევამოსილ ქმედებათა შემდგომ სამართლიანი იქნება, რომ ყველამ, ვინც კალამს ფლობს, იმისთვის იღვაწოს, რათა მისი სახელი განადიდოს, ანდა იგი გაართოს. სწორედ ამის ქმნა მსურს და ეს პროლოგი ცდაა დიადი მძლეთა მძლის განდიდება, ხოლო კომედიაში ხელმწიფე კეთილშობილ საქმეთა აღსრულების შემდეგ უნდა გაართოს“.

პროლოგში გამოყვანილი უნდა ყოფილიყვნენ მითოლოგიური ღმერთები: ფლორა, პანი და ფავნები. დასასრულს გუნდი იმღერებდა:

დაე, ათასგზის ექიმ მძლავრად გაიმეოროს:
მეფეთა შორის ლუი მეფე უდიდესია!
ბედნიერია, ვინაც მისთვის თავი გაწირა!

მაგრამ უცნაური რაღაც მოხდა და ეს პროლოგი აღარ წარმოუდგენიათ. იქნებ მეფეს ომში ბედმა სწორედ ამ დროს უმტყუნა და პროლოგი იმიტომ ამოიღეს, რომ დაცინვას არ დამსგავსებოდა, ანდა მეფეს თავისი კომედიანტის შემოქმედება აღარ აინტერესებდა... ასეა თუ ისე, პიესა მეფის კარზე კი არა, „პალე-როიალში“ დაიდგა, ხოლო მითოლოგიური ღმერთების ნაცვლად სცენაზე მწყემსი ქალი გამოდიოდა და ახალ პროლოგს მღეროდა, სადაც ასეთი სიტყვები იყო:

ოქვენს წყეულ ხელში არ ჩამაგდოს ნეტავი ღმერთმა,
პოი, უვიცო ექიმებო, ჩამომეხსენით!
ნუთუ გგონიათ, ლათინური სიტყვებით მხოლოდ
განიკურნება საშინელი, მტანჯველი სენი?

1673 წლის 10 თებერვალს „ვითომდა ავადმყოფის“ პრემიერა შედგა, თანაც დიდი წარმატებით. ასევე ჩატარდა მეორე და მესამე წარმოდგენა. მეხუთე წარმოდგენა 17 თებერვალს იყო დანიშნული.

ავადმთი პარასკევი

არგანი: — თავის მომკვლარეებს საშიშა
ხომ არ არის?

ტუანეტა: არა, არა, საშიში რა უნდა
იყოს? ახლავე იქ გამშლარეთ!

„ვიოლმდა ავადმყოფი“

თებერვლის ცრიატი დღე იდგა. რიშელიეს ქუჩაზე მდებარე სახლის მეორე სართულზე, კაბინეტში, გაცრეცილ ხალიჩაზე, ხველებითა და ხენეშით მიდი-მოდიოდა წელში მოხრილი კაცი. ზურმუხტისფერი ხალათი საცვლების ზემოდან ეცვა, აბრეშუმის თავშალი თავზე ქალურად წაეკრა. ბუხარი მხიარულად გუზგუზებდა. კაცი ფანჯრის მიღმა ჩამოხურულ თებერვლის ცას თვალს მოაცილებდა და აბრიალებული ცეცხლის ყურებით ტკებოდა.

იგი კაბინეტში ბოლთას სცემდა, ღროდადრო შეჩერდებოდა და ფანჯარასთან ჩამოკიდებულ ესტამპს ათვალიერებდა. ესტამპზე გამოხატულ კაცს სახე სანადიროდ შემართულ შევარდენს მიუგავდა, ხისტმიანი პარიკის მსხვილი კულულები ვაჟკაცურ მხარბეჭზე ჩამოშლოდა, წამოხურცული, მკაცრი, ჭკვიანი თვალები ჰქონდა. კაცის გამოსახულების ქვეშ გერბი იყო მოთავსებული — ფარი და ზედ სამი ყვავილი.

ხალათიანი კაცი საკუთარ თავს ხმადაბლა ელაპარაკებოდა და თავისავე ნათქვამზე ხანდახან გესლიანად ჩაიცილებდა. როცა სურათთან მივიდოდა, მოლბებოდა, ხელს მოიჩრდილავდა, თვალებს მოჭუტავდა და სურათის ყურებით ტკებოდა.

— კარგი ესტამპია, — ჩაფიქრებით ჩაილაპარაკა ხალათიანმა კაცმა, — მე ვიტყვოდი, რომ ძალიან კარგი ესტამპია... დიდი კონდე! — წარმოთქვა დიდმნიშვნელოვნად, მერე კი რამდენჯერმე ანგარიშმიუცემლად გაიმეორა: — დიდი კონდე... დიდი კონდე... — და კვლავ ჩაიბუტბუტა: — ესტამპია... ესტამპია... ესტამპია... კმაყოფილი ვარ, ეს ესტამპი რომ შევიძინე...

მერე ოთახი გადატრა, ბუხართან სავარძელში ჩაჯდა, ფლოსტები წაიძრო, შიშველი ფეხები ცხოველმყოფელ ცეცხლს მიუშვირა და ერთხანს ასე იჯდა.

— წვერი უნდა გავიპარსო, — თქვა ჩაფიქრებით და ხაოიან ლოყაზე ხელი ჩამოისვა. — არა, არ გავიპარსავ, — უბასუხა საკუთარ თავს, — ყოველდღე წვერის პარსვა ძალზე დამქანცველია.

კაცმა ფეხები გაითბო, ფეხსაცმელი ჩაიცვა, წიგნების კარადებისკენ გაემართა და იმ კარადასთან შეჩერდა, რომლის თაროებზე ხელნაწერების დასტები ეწყო. ერთი ფურცლის კიდე თაროდან ჩამოკიდებულიყო. კაცმა ხელნაწერი დასტიდან გამოაძრო და ზედ სათაური წაიკითხა — „კორიდონი“. ბრაზიანად ჩაიცინა, ხელნაწერის დახევა უნდოდა, მაგრამ ფრჩხილი ჩაუტყდა და ხელნაწერი ბუხარში შეშის ღერებს შორის წყევლა-კრულვით შეტენა! რამდენიმე წამის შემდეგ ოთახი გაჩირალდნდა, შემდეგ კი „კორიდონი“ მსხვილ-მსხვილ შავ ნაგლეჯებად დაიშალა.

იმ დროს, როცა ხალათიანი კაცი ზემო სართულზე „კორიდონს“ წვავდა, ქვემო სართულზე არმანდა და მოლიერის სანახავად მოსული ბარონი საუბრობდნენ.

— ეკლესიაში არ წამოვიდა, ამბობს, უქეიფოდ ვარო, — ეუბნებოდა არმანდა ბარონს.

— ეკლესიაში რა უნდოდა? — ჰკითხა ბარონმა.

— დღეს ხომ ჩვიდმეტია, მადლენას გარდაცვალების წლისთავი, — განუ-
მარტა არმანდამ, — მესა მოვისმინე.

— ოჰ, დიახ, დიახ, — თავაზიანად უთხრა ბარონმა. — ახველებს?

არმანდა თანამოსაუბრეს უყურებდა. ღია ფერის პარიკის ორიად გაყოფი-
ლი თმა ბარონს მხრებზე ეფინა, აბრეშუმის ახალი ხიფთანი ეცვა, შარვალზე
მუხლებთან ძვირფასი მაქმანები ეკერა, დაშნა ფართო სამხრეზე ეკიდა, ხოლო
მკერდზე ფუმფულა მუფთა დაემაგრებინა. ბარონი ხანდახან მუფთაზე დაიხე-
დავდა, რადგან ძალიან მოსწონდა.

— დღეს როგორ გამოწყობილხართ!... — უთხრა არმანდამ და მერე და-
უმატა: — ახველებს.. მთელი დილა მსახურებს დაჰყვიროდა. პარასკევი ცუ-
დად მაქვს დაცდილი. ამ თერთმეტ წელიწადში რამდენმა პარასკევმა გამაწა-
მა. იცით რა, მალლა ადით მასთან, ჩემთან ნუ ზიხართ, თორემ მსახურები პა-
რიზში კიდევ რა ხმებს არ დაჰყრიან.

არმანდა და ბარონი შიდა კიბისკენ გაემართნენ, მაგრამ ზემოთ ასვლა
ვერ მოასწრეს, რომ მალლა, კარს იქით, ზარი მოუთმენლად აწკარუნდა.

— აი, ისევ ღრელენ, ღრელენ, — თქვა არმანდამ.

ზემოთა კარი გაიღო და კიბის ზედა მაქანზე ხალათიანი კაცი გამოჩნდა.

— ჰეი, მანდ ვინა ხართ? — ბუზღუნით იკითხა მან. — სად ეშმაკებში
დაიკარგებით ხოლმე... ოჰ, ეს თქვენა ხართ? გამარჯობათ, ბარონო.

— გამარჯობათ, ოსტატო, — უპასუხა ბარონმა და ზემოთ აიხედა.

— ჰო, ჰო, გაგიმარჯოთ, — უთხრა მას ხალათიანმა კაცმა, — მინდა გე-
საუბროთ...

მან იდაყვები მოაჯირზე ჩამოდო, ლოყები ხელისგულებს დააყრდნო და
ფანჯრიდან თავგამოყოფილ სასაცილო მაიმუნს დაემგვანა. გაოცებული არმა-
ნდა და ბარონი მიხედნენ, რომ მას საუბარი აქვე, კიბეზე სურდა და ქვემოთ
დარჩნენ. კაცი ერთხანს დუმდა, მერე კი წამოიწყა:

— აი, რა მინდოდა მეტქვა: თუ ჩემი ცხოვრება... თუ ჩემს ცხოვრებაში
უბედურება და სიამოვნება ერთმანეთს თანაბრად შეენაცვლებოდა, მართალი
გოთხრათ, ბატონებო, თავს ბედნიერად მივიჩნევდი!

შუბლშეკმუხნული, დაძაბული არმანდა ზემოთ იცქირებოდა, მალლა ას-
კლის ყოველგვარი სურვილი დაეკარგა. „პარასკევი, პარასკევი... — ფიქრო-
ბდა იგი, — იპოქონდრია ისევ ეწყება...“

— თავად დაფიქრდით! — პათეტიკურად განაგრძობდა კაცი. — თუ ადა-
შიანი სიამოვნებას, სიხარულს ერთ წუთსაც არ განიცდის, რა უნდა ქნას? მშვე-
ნიერად ვხედავ, რომ თამაშიდან უნდა გავიდეს! ჩემო ძვირფასო, — გულითა-
დად დაუმატა მან, — გარწმუნებთ, განსაცდელთან ბრძოლა აღარ ძალმიძს. მე
ხომ მოსვენება არა მაქვს. რას იტყვით? — შეეკითხა იგი ქვემოთ მდგომთ. —
საერთოდაც მგონია, რომ მალე ბოლო მომეღება. თქვენ რას მეტყვით ამაზე,
ბარონო? — თქვა კაცმა და მოაჯირიდან თავი მთლად ჩამოჰკიდა.

კიბეზე სიჩუმე ჩამოვარდა, ბარონმა იგრძნო, რომ ეს ლაპარაკი უკიდუ-
რესად არ ესიამოვნებოდა. მოიღუშა, არმანდას სწრაფად გახედა და მერე თქვა:

— ოსტატო, მე მგონი, დღეს თქვენ არ უნდა ითამაშოთ.

— დიახ, — კვერი დაუკრა არმანდამ, — დღეს ნუ ითამაშებ, თავს ცუდად გრძნობ.

ზემოთ ბუზლუნი გაისმა.

— აბა, რას ამბობთ? წარმოდგენის გაუქმება როგორ შეიძლება? სრულიად არ მიწდა, შერე მუშებმა მლანძღონ იმის გამო, რომ ჩემი მღვდელი ერთი საღამოს გასამრჯელო დააკლდებათ.

— შენ ხომ თავს ცუდად გრძნობ? — უთხრა არმანდამ უსიამო ხმით.

— მე თავს მშვენივრად ვგრძნობ, — ჯიუტად თქვა კაცმა, — მაგრამ სხვა რამ მაინტერესებს: ჩვენს ბინაში ვიღაც მონაზვნები რას დაბორიანებენ?

— ყურადღებას ნუ მიაქცევ, წმინდა კლარას მონასტრიდან არიან, პარიზში მოწყალების სათხოვნელად ჩამოვიდნენ. არაფერი უშავს, ხვალამდე აქ თუ დარჩებიან. თავს არ მოგაბეზრებენ, ქვემოთ ისხდებიან.

— წმინდა კლარას მონასტრიდან? — რატომღაც გაუკვირდა ხალათიან კაცს და გაიმეორა: — წმინდა კლარას მონასტრიდან? თუ წმინდა კლარას მონასტრიდან არიან, სამზარეულოში ისხდნენ. თორემ მგონია, რომ შინ ასი მონაზონია... ხუთი ლივრი მიეცი. — თქვა ეს კაცმა, უცაბედად თავის ოთახში შევიდა და კარი მიიხურა.

— ხომ გეუბნებით, დღეს პარასკევია, — უთხრა ბარონს არმანდამ, — საშველი არ არის.

— ავალ მასთან, — გაუბედავად თქვა ბარონმა.

— არ გირჩევთ, — უთხრა არმანდამ, — წავიდეთ, ვისადილოთ.

საღამოთი „პალე-როიალის“ სცენაზე შავჩაჩიანი სასაცილო ექიმები და ოყნამომარჯვებული მეაფთიაქეები ბაკალავრ არგანს ექიმის წოდებას ანიჭებდნენ:

თუ სწეული ძლივსა სუნთქავს
და ხმას ვერ ამოიღებს?..

ბაკალავრმა-მოლიერმა მხიარულად შეჰყვირა:

ჰგვიანი ექიმი იმას
უშალ სისხლს გამოუღებს!

ბაკალავრმა სამედიცინო ფაკულტეტს ერთგულება ორჯერ შეჰფიცა, ხოლო როცა პრეზიდენტმა ფიცი მესამედ მოითხოვა, არაფერი უპასუხა, მოულოდნელად დაიკვნესა და სავარძელზე მიესვენა. სცენაზე მყოფი მსახიობები შეკრთნენ, დაიბნენ: ასეთ ოინს არ ელოდნენ, კვნესაც თითქოს ნამდვილს ჰგავდა. მაგრამ ბაკალავრი წამოდგა, გაიცინა და ლათინურად შესძახა:

— ვფიცავ!

პარტერში არაფერი შეუმჩნევიათ, მხოლოდ ზოგიერთმა მსახიობმა დაინახა, რომ ბაკალავრს ფერი ეცვალა, შუბლი კი ოფლით დაეცვარა. ქირურგები და მეაფთიაქეებმა საბალეტო გამოსვლები ჩაათავეს და წარმოდგენაც დამთავრდა.

— ოსტატო, რა დაგემართათ? — ჰკითხა მოლიერს შემფოთებულმა ლაგრანჟმა, რომელიც კლევანტის როლს თამაშობდა.

— არაფერი, — უპასუხა მოლიერმა. — მკერდში ჩხვლეტა ვიგრძენ და ძაშინვე გამიარა.

ლაგრანჟი სალაროს დასათვლელად და თეატრში ზოგიერთი საქმის მოსაგვარებლად გაემართა, ხოლო ბარონი, რომელიც იმ დღეს წარმოდგენაში არ მონაწილეობდა, მოლიერთან შევიდა. მოლიერი უკვე ტანსაცმელს იცვლიდა.

— თავი ცუდად იგრძენით? — ჰკითხა ბარონმა.

— მაყურებელს წარმოდგენა მოეწონა? — პასუხის მაგიერ ჰკითხა მოლიერმა.

— ძალიან მოეწონა. მაგრამ თქვენ ცუდ ფერზე მეჩვენებით, ოსტატო.

— მშვენიერ ფერზე ვარ, — უპასუხა მოლიერმა, — მაგრამ უცებ რატომღაც შემაცია. — მას კბილები აუკაწკაწდა.

ბარონმა მოლიერი დაკვირვებით შეათვალიერა, გაფითრდა და დაფაცურდა, საპირფარეშოს კარი გააღო და გარეთ გასძახა:

— ჰეი, მანდ ვინა ხართ? უთხარი, რომ ჩემი ტახტრევანი მოიტანონ.

მან მუფთა მოიხსნა და მოლიერს ხელები შიგ შეაყოფინა. იგი რატომღაც დაშოშმინდა, მღუმარედ დამორჩილდა და კბილები კვლავ აუკაწკაწდა. ერთი წუთის შემდეგ მოლიერი შეფუთნეს, მტვირთავეებმა ტახტრევანში ჩასვეს და მისი სახლისკენ წაიყვანეს.

სახლი ჯერ ისევ ჩაბნელებული ჩანდა, რადგან არმანდა წარმოდგენიდან ახალი დაბრუნებული იყო. ის ანჟელიკას როლს თამაშობდა. ბარონმა არმანდას ჩასჩურჩულა, მოლიერი ცუდად არისო. მსახურები აფორიაქდნენ, სანთლები აანთეს, მტვირთავეები ფიცრის კიბეს აუყვნენ და მოლიერი ზემო სართულზე აიყვანეს. არმანდა ქვედა სართულზე მსახურებს რაღაცას ავალეზდა, ერთ-ერთი მსახური ექიმის მოსაყვანად გაგზავნა.

ბარონმა ამასობაში მოახლის დახმარებით მოლიერს ტანთ გახადა და ლოგინში ჩააწვინა. ბარონს შეშფოთება ყოველ წუთს ემატებოდა.

— ოსტატო, რამე ხომ არ გინდათ? ბულიონი ხომ არ მოგიტანოთ?

მოლიერმა რატომღაც ბრაზიანად გაიღიმა და უთხრა:

— ბულიონი? ოჰ! არა! ვიცი, ჩემი ცოლი ბულიონს რისგანაც ხარშავს, თუნდა ის დამილევიცა, თუნდა მჟავა.

— თქვენი წამალი დაგისხათ?

— არა, არა, — უპასუხა მოლიერმა, — დასალევი წამლებისა მეშინია. იქნებ ისეთი რამ მომიტანოთ, რომ დამაძინოს.

ბარონი მოახლეს მიუბრუნდა და ჩურჩულით უბრძანა:

— სვიის ბალიში, ჩქარა!

მოახლე ერთი წუთის შემდეგ დაბრუნდა, სვიით გატენილი ბალიში მოიტანა და მოლიერს თავით დაუდო. მოლიერს ხველა აუტყდა და ხელსახოცი სისხლით დაილაქა. ბარონი მოლიერს დააკვირდა, სანთელი სახესთან მიუახლოვა და დაინახა, რომ ცხვირი გათხელებოდა, უბეები ჩაშავებოდა, ხოლო შუბლი წვრილი ოფლით დასცვაროდა.

— აჰ მოიცადე, — ჩასჩურჩულა მოახლეს ბარონმა, ქვემოთ გაექანა და ჟან ობრის შეეჩეხა, აი, იმ ლეონარ ობრის შვილს, ბრწყინვალე კარეტებისთვის ქვაფენილს რომ აგებდა. ჟან ობრი ქენევიევა ბეჭარის ქმარი გახლდათ.

— ბატონო ობრი, — ჩურჩულით უთხრა ბარონმა, — მოლიერი ძალზე ცუდადაა, მღვდელი მოიყვანეთ!

ობრიმ ამოიგმინა, ქუდი თვალებზე ჩამოიფხატა და გარეთ გაიქრა. კიბესთან არმანდა გამოჩნდა, ხელში სანთელი ეჭირა.

— ქალბატონო მოლიერო, — უთხრა მას ბარონმა, — მღვდელთან კიდევ გაგზავნეთ ვინმე, ოღონდ საჩქაროდ!

არმანდას სანთელი ხელიდან გაუვარდა და სიბნელეში გაქრა, ბარონი კი კიბისკენ გაეშურა, გაოგნებულმა ჩაილაპარაკა, ეშმაკმა დასასწროს, ეჭიმი რატომ არ მოდისო, და ზემოთ აირბინა.

— ოსტატო, ხომ არაფერი მოგიტანოთ? — ჰკითხა ბარონმა მოლიერს და შუბლი ხელსახოცით შეუმშრალა.

— შუქი! — უპასუხა მოლიერმა. — და პარმეზანული ყველი.

— ყველი! — უთხრა ბარონმა მოახლეს.

მოახლე ერთ ადგილას აწრიალდა, მერე სანთელი სავარძელზე დადგა და ოთახიდან გავარდა.

— ჩემს ცოლს უთხარი, აქ ამოვიდეს, — ბრძანა მოლიერმა.

ბარონმა კიბეზე ჩაირბინა და დაიძახა:

— მანდ ვინა ხართ? სანთლები ამოიტანეთ! ქალბატონო მოლიერო!

ქვემოთ ვიღაცების აკანკალებულ ხელებში სანთლები ერთიმეორეზე ანთო. ამ დროს მოლიერს მთელი სხეული დაეძახა; იგი შეთრთოლდა და ყელიდან სისხლი წასკდა. თეთრეული ერთიანად დასველდა. თავდაპირველად იგი შეშინდა, მაგრამ უმაღლე უსაზღვრო შფება იგრძნო და ისიც კი გაიფიქრა, ძალიან კარგიაო... მერე განცვიფრდა: მისი საწოლი ოთახი ტყის პირს დაემგვანა, ვიღაც შავით მოსილი მხედარი თავიდან სისხლს იწმენდდა, სადავის გაწყვეტას და ფეხში დაჭრილი ცხენის ქვემოდან გამოძრომას ლამობდა. ცხენიც წამოდგომას ცდილობდა და მხედარს თელავდა. გაისმა საწოლი ოთახისთვის სრულიად უცხო ხმები:

— კავალერებო! აქეთ! სუასონი მოკლეს!

„ეს მარფესთან ბრძოლაა... — გაიფიქრა მოლიერმა, — მხედარი კი, ცხენი რომ თელავს, სიორ დე მოდენია, მადლენას პირველი საყვარელი... მე ყელიდან სისხლი მდინარესავით მდის, მაშ რაღაც ძარღვი გამისკდა...“ სისხლი გუდავდა და ქვედა ყბა უცახცახებდა. დე მოდენი თვალთავან გაქრა და მოლიერმა იმავე წამს მდინარე რონა დაინახა, მაგრამ მეორედ მოსვლის ჟამს — იმპერატორ დ'ასუსის ბარბითთა ხმა გაისმოდა და მზე წყალში მეწამული ბურთივით ეშვებოდა. „სისულელეა, — გაიფიქრა მოლიერმა, — რა დროს რონა და ბარბითთა... გვედები და ეგაა...“ ისიც მოასწრო, რომ ცნობისმოყვარეობით გაეფიქრებინა: „ნეტავი სიკვდილი როგორი სანახავია?“ — და უმაღლე დაინახა. მან, მონაზვნის თავსაბურავით მოსილმა, ოთახში შემოირბინა და მოლიერს ჯვარი სწრაფად გადასახა. მოლიერს უდიდესი ცნობისწადილით სურდა, იგი დაკვირვებით შეეთვალიერებინა, მაგრამ ვერაფრის დანახვა ვერაფერ შეძლო.

ამ დროს ბარონი ზემოთ ამოდიოდა, ხელში ორი შანდალი ეჭირა და კიბეს შუქი ეფრქვეოდა. მის უკან არმანდა მოეშურებოდა, კაბის კალთები აეკეცა და შლეიფი იატაკზე მოსთრევდა, მრგვალოფეხი გოგონასათვის მკლავში ხელი ჩაეკლო, ზემოთ მიარბენინებდა და თან ჩასჩურჩულებდა:

— არაფერია, არაფერია, ესპრი, ნუ გეშინია, მამასთან ავიდეთ!

ზემოდან მონაზვნის სევდიანი გალობა მოისმა. არმანდამ და ბარონმა ოთახში შეირბინეს და სალოცავად ხელებაპყრობილი მონაზონი დაინახეს.

„წმინდა კლარა...“ — გაიფიქრა არმანდამ და დაინახა, რომ მთელი საწოლი სისხლს გადაეწითლებინა. თვით მოლიერიც სისხლში იყო მოსერილი. გონა შეშინდა და ატირდა.

— მოლიერო! — აკანკალებული ხმით ჩასძახა მოლიერს არმანდამ, ასეთი ხმით არასოდეს დალაპარაკებია.

მაგრამ მოლიერი დუმდა.

ბარონმა შანდლები მაგიდაზე სწრაფად დადგა, კიბეზე ხტომა-ხტომით ჩაირბინა, მსახურს მკერდზე ხელები ჩასჭიდა და დაუყვირა:

— სად დაეთრევი?! ეჭიმი სად არის, ბრიყვო!!!

მსახურმა სასოწარკვეთით უპასუხა:

— ბატონო დე ბარონო, მე რა ვქნა, ბატონ მოლიერთან წამოსვლა არც ერთ ეჭიმს არ უნდა! არც ერთს!

თ ა ვ ი 33

მეშა ხარ

მთელი სახლი საშინლად გაოგნებული იყო. ეს გაოგნება მოწყალების სათხოვნელად ჩამოსულ მონაზვნებსაც გადაედოთ. განბანილი, შესუდრული და ტახტზე დასვენებული მოლიერის თავთან ლოცვებს ერთხანს კითხულობდნენ და მერე რა ექნათ, აღარ იცოდნენ. საქმე ის იყო, რომ ბატონი მოლიერის ნეშტის მიღება მიწას არ სურდა.

წმინდა ევსტათეს ეკლესიის მღვდლებს ლანფანს და ლეშას ჟან ობრაწინა დღით ამაოდ ემუდარებოდა, მომაკვდავთან წამოდითო. ორივემ ცივი უარი თქვა. მესამემ, რომლის გვარი პეიზანი იყო, სასოწარკვეთილი ობრი შეიბრალა, კომედიანტის სახლში გაჰყვა, მაგრამ დაიგვიანა, მოლიერი გარდაცვლილი დახვდა. პეიზანი უმაღლესე წავიდა. საეკლესიო წესით მოლიერის დამარხვაზე ლაპარაკიც არ შეიძლებოდა. ცოდვილი კომედიანტი აღსარების უთქმელად მოკვდა, ეკლესიისგან დაგმობილი ხელობა არ უარუყვია, წერილობითი აღთქმა არ მიუცია, უსაზღვროდ ღმობიერი ღმერთი მოწყალებას თუ მოიღებს და გამომაჯანმრთელებს, კომედიაში აღარასოდეს ვითამაშებო.

ეს ფორმულა ხელმოწერილი არ ყოფილა და არც ერთი პარიზელი მღვდელი ბატონ დე მოლიერს სასაფლაოზე არ მიაცილებდა, თუმცაღა არც ერთი სასაფლაო მას მაინც არ მიიღებდა.

არმანდას უკვე სასოწარკვეთილება ეუფლებოდა, როცა მასთან ოტეილიდან იქაური მღვდელი ფრანსუა ლუაზო ჩამოვიდა. იგი მოლიერს მაშინ დამეგობრებოდა, როცა კომედიანტი ოტეილში ცხოვრობდა. მან არმანდა არამართო დაარიგა, პარიზის არქიეპისკოპოსის მიმართ თხოვნა როგორ დაეწერა, იმასაც არ მოერიდა, თვითონ დიდზე დიდ უსიამოვნებას რომ გადაეყრებოდა, და არმანდას პარიზის არქიეპისკოპოსთან გაჰყვა.

ქვრივსა და მღვდელს წყნარ მისაღებ ოთახში მცირე ხანს აცდევინეს და არქიეპისკოპოსის კაბინეტში შეიყვანეს. არმანდამ პარიზის არქიეპისკოპოსი არლე დე შანვალონი დაინახა.

— თქვენო მაღალუსამღვდელოესობავ, — წამოიწყო ქვრივმა, — თქვენ-
თან იმიტომ მოვედი, რომ ჩემი განსვენებული ქმრის საეკლესიო წესით დაკრ-
ძალვის ნებართვა გთხოვოთ.

დე შანვალონმა თხოვნა წაიკითხა და მერე ქუთუთოებდამძიმებული თვა-
ლებით ქვრივს კი არა, ლუაზოს დააცქერდა დაკვირვებით.

— ქალბატონო, თქვენი ქმარი კომედიანტი იყო? — ჰკითხა არმანდას ისე,
ლუაზოსთვის თვალი არ მოუცილებია.

— დიახ, — უპასუხა აღელვებულმა არმანდამ, — მაგრამ ისე გარდაიცვა-
ლა, როგორც სათნო ქრისტიანი. ამას დ' ანესის წმინდა კლარას მონასტრის
ორი მონაზონიც დაადასტურებს. ისინი მაშინ ჩვენსა იყვნენ. ამას გარდა, შარ-
შან, აღდგომა დღეს, განსვენებული აღსარების სათქმელად იყო და ზიარებაც
მიიღო.

— დიდად ვწუხვარ, — უთხრა არქიეპისკოპოსმა, — მაგრამ ვერაფრით
დაგეხმარებით. დაკრძალვის ნებართვას ვერ მოგცემთ.

— მაშ მიცვალეხს რა ვუყო? — იკითხა არმანდამ და ატირდა.

— ქალბატონო, მე იგი მებრალება, — თქვა არქიეპისკოპოსმა, — მაგრამ
კანონის ღირსებას ვერ შევლახავ.

ლუაზომ აქვითინებული არმანდა გარეთ გამოიყვანა. არქიეპისკოპოსმა
ლუაზოს თვალი გააყოლა.

არმანდამ მღვდელს მხარზე თავი მიადო და ტირილით თქვა:

— მაშ, ქალაქგარეთ უნდა გავასვენო და შარაგზის პირას დავმარხო...

მაგრამ ერთგულმა მღვდელმა არმანდა არ მიატოვა და ისინი სენ-ჟერმენ-
ში, მეფის სასახლეში აღმოჩნდნენ. აქ კი არმანდას გაუმართლა, მეფემ მიიღო.
არმანდა დარბაზში შეიყვანეს, სადაც მაგიდასთან მდგარი მეფე ელოდა. არ-
მანდას ხმაც არ ამოუღია, მაშინვე დაიჩოქა და ატირდა. მეფემ წამოაყენა და
ჰკითხა:

— ქალბატონო, გთხოვთ დამშვიდდეთ. რით შემოძლია, დაგეხმაროთ?

— თქვენო უდიდებულესობავ, — უთხრა არმანდამ, — ჩემი ქმრის, დე
მოლიერის დამარხვის ნებას არ მაძლევენ! გამომესარჩლეთ, თქვენო უდიდე-
ბულესობავ!

მეფემ უპასუხა:

— თქვენი განსვენებული ქმრისთვის ყველაფერი გაკეთდება. გთხოვთ,
შინ წახვიდეთ და მის ნეშტს მიხედოთ.

არმანდა ქვითინითა და მადლობის თქმით გავიდა, რამდენიმე წუთის შე-
მდეგ კი მეფის მალემსრბოლი შანვალონის მოსაყვანად გაეშურა და, როცა
იგი სასახლის დარბაზში შევიდა, მეფემ ჰკითხა:

— რა ხდება მოლიერის სიკვდილის თაობაზე?

— ხელმწიფე, — უპასუხა შანვალონმა, — კანონი ნაკურთხ მიწაში მის
დამარხვას კრძალავს.

— ნაკურთხი მიწა რა სიღრმეზეა? — ჰკითხა მეფემ.

— ოთხი ფუტის სიღრმეზე, თქვენო უდიდებულესობავ, — უპასუხა არ-
ქიეპისკოპოსმა.

— არქიეპისკოპოსო, კეთილინებეთ და განსვენებული ხუთი ფუტის სიღ-
რმეზე დაკრძალეთ, — უთხრა მას ლუიმ, — მაგრამ ნურც ზარ-ზეიმით დაკრ-
ძალავთ და ნურც აყალმაყალს გამოიწვევთ.

არქიებისკობოსის კანცელარიაში ბრძანება დაწერეს:

„ვითვალისწინებთ რა გარემოებებს, რაც ჩვენი ბრძანების თანახმად ჩატარებული ძიების შედეგად აღმოჩნდა, წმინდა ევსტათეს ეკლესიის მღვდელს ნებას ვაძლევთ, მოლიერის ნეშტი საეკლესიო წესით დაკრძალოს, თუმცა იმ პირობით, რომ დაკრძალვა მოეწყოს ყოველგვარი ზარ-ზეიმის გარეშე, ორ მღვდელზე მეტი არ დაესწროს, თანაც დღისით არ დაიკრძალოს. მიცვალებულის სულის მოსახსენებლად საზეიმო ღვთისმსახურება არ ჩატარდეს არც ზემოხსენებულ წმინდა ევსტათეს ეკლესიაში და არც სხვა რომელიმე ეკლესიაში“.

პარიზელ მეშპალერეთა საამქროში შეიტყვეს თუ არა, პატივცემული მეშპალერის, განსვენებული ჟან ბატისტ პოკლენის ვაჟი, მემკვიდრეობით მეშპალერე, კომედიანტი დე მოლიერი გარდაიცვალაო, საამქროს წარმომადგენლები რიშელიეს ქუჩაზე მივიდნენ, კომედიანტის ცხედარს საამქროს მოქარგული დროშა დააფარეს და მოლიერი იმადვე აქცეის, რაც მან თვითნებურად უარყო: მეშპალერე იყო და მეშპალერეებს დაუბრუნეს.

იმადვე დროს ერთი მარჯვე კაცი დიდ კონდესთან მივიდა და, რაკილა იცოდა, რომ იგი მოლიერის მიმართ კეთილად იყო განწყობილი, ასე მიმართა:

— თქვენო უმაღლესობავ, ნება მიბოძეთ, მოლიერისთვის ჩემ მიერ დაწერილი ეპიტაფია მოგართვათ.

კონდემ ეპიტაფია გამოართვა, ავტორს შეხედა და უთხრა:

— გმადლობთ, მაგრამ მერჩია, რომ მას თქვენი ეპიტაფია დაეწერა.

ოცდაერთ თებერვალს, საღამოს ცხრა საათისთვის, როცა მოლიერი უნდა გაესვენებინათ, განსვენებული კომედიანტის სახლის წინ თავი მოიყარა ას ორმოცდაათიოდე კაცმა. ვინ იყო ეს ხალხი, არავინ იცოდა. მაგრამ მოლიერის სახლის წინ თავმოყრილნი რატომღაც აღგზნებულნი ჩანდნენ, ხმამაღალი წამოძახილები და სტვენაც კი გაისმოდა. სიორ დე მოლიერის ქვრივი უცხოთა დანახვამ შეაშფოთა. მახლობელთა რჩევით მან ფანჯარა გამოაღო და ხალხს ასე მიმართა:

— ბატონებო! რად გინდათ, ჩემი განსვენებული ქმარი შეაშფოთოთ? გარწმუნებთ, იგი სათნო კაცი იყო და ისე მოკვდა, როგორც ქრისტიანი. იქნებ პატივი დასდოთ და სასაფლაოზე მიაცილოთ?

ამ დროს ვიღაცამ ქვრივს ხელში ტყავის ქისა ჩაუდო და მან ფულის დარიგება დაიწყო. ფულის გამო ხალხი ერთხანს ხმაურობდა, მერე კი დაწყნარდა და სახლის წინ ჩირაღდნები აბრიალდა. ცხრა საათზე სახლიდან ფიცრის კუბო გამოიტანეს. კუბოს წინ ორი მღუმარე მღვდელი მიუძღოდა, გვერდით სტიქარებით მოსილი ბიჭები მისდევდნენ და ანთებული კელაპტრები მიჰქონდათ. კუბოს უკან კი ჩირაღდნების მთელი ზღვა დაიძრა. გამცილებელთა შორის მოჩანდნენ სახელგანთქმული პარიზელნი: მხატვარი პიერ მინიარი, მეიგავე ლაფონტენი, პოეტები ბუალო და შაპელი. ყველას ხელში ჩირაღდანი ეჭირა. მათ უკან მწყობრად მიჰყვებოდნენ „პალე-როიალის“ დასის მსახიობები. მათაც ჩირაღდნები ეპყრათ. ბოლოს კი უცხოების უკვე ორას კაცამდე გაზრდილი ბრბო მიდიოდა. ერთ ქუჩაზე როცა ჩაიარეს, სახლის ფანჯარა გაიღო, იქიდან ქალმა გადმოიხედა და ხმამაღლა იკითხა:

— ვის მარხავენ?

— ვიღაც მოლიერს, — უპასუხა სხვა ქალმა.

მოლიერი წმინდა ჟოზეფის სასაფლაოზე მიასვენეს და იმ ადგილას დაკრძალეს, სადაც თავისმკვლელებსა და მოუნათლავ ბავშვებს მარხავდნენ. წმინდა ეგსტატეს ეკლესიაში კი მღვდელმსახურმა მოკლედ აღნიშნა, რომ 1673 წლის 21 თებერვალს, სამშაბათს, წმინდა ჟოზეფის სასაფლაოზე დაკრძალეს მეშპალერე და მეფის კამერდინერი ჟან ბატისტ პოკლენი.

მ ა ი ლ ო ზ ი

გამოთხოვება ბრინჯაოს კომედიანტთან

მის საფლაოზე ცოლმა გათლილი ქვა დაადებინა და სასაფლაოზე ასი კონა შეშა მიატანინა, რომ მიუსაფარნი გამთბარიყვნენ. პირველივე სუსხიან ზამთარში ამ ქვაზე დიდი კოცონი გააჩაღეს. ქვა მხურვალეებისგან დასკდა და დაიშალა. ჟამთა სვლამ ქვის ნატეხები მიმოფანტა და როცა ას ცხრამეტი წლის შემდეგ, დიდი რევოლუციის დროს, სასაფლაოზე კომისრები მივიდნენ, რათა ჟან ბატისტ მოლიერის ნეშტი მავზოლეუმში გადაესვენებინათ, მისი საფლავის ზუსტად მიგნება ვერაფერს შეძლო. ვილაციის ნეშტი კი ამოთხარეს და მავზოლეუმში დაკრძალეს, მაგრამ დარწმუნებით ვერაფერს იტყვის, რომ ეს მოლიერის ნეშტი იყო. პატივი ალბათ ვილაც უცნობ კაცს ხვდა.

მაშ ასე, ჩემი გმირი პარიზის მიწას მიეზარა და გაუჩინარდა. ზოლო მერე, ჟამთა სვლაში, ჯადოსნურად გაუჩინარდა მისი ყველა ხელნაწერი და წერილი უკანასკნელ ფურცლამდე. ამბობდნენ, ხელნაწერები ხანძარმა გაანადგურა, წერილები კი ვილაც ფანატიკოსმა საგულდაგულოდ შეაგროვა და მოსპოო. ერთი სიტყვით, ყველაფერი დაიკარგა ქალაქის ორი ნაგლეჯის გარდა, რაზედაც მოხეტიალე კომედიანტმა თავისი დასისთვის ფულის მიღებისას ოდესღაც ხელი მოაწერა.

ხელნაწერები და წერილები თუმცა სრულიად განებნა, იგი ერთ დღეს მაინც განშორდა მიწას, სადაც თავისმკვლელები და მკვდრადნაშობი ბავშვები დარჩნენ, და დამშრალი შადრევნის თავზე მოთავსდა. აი, ის — მეფის კომედიანტი, ფეხსაცმელებზე ბრინჯაოს ბაფთები რომ უკეთია! და მე, ვისაც მისი ხილვა არასოდეს მიწერია, ვუძღვნი გამოსათხოვარ სალამს!

მოსკოვი. 1932-1933 წწ.

კომენტარები

¹ აქ „სგანარელის“ მნიშვნელობის შეფასება გადაჭარბებულია. „ძეოთილი ბურჟუეზიის“ მომდღერება „ქმრების სკოლით“ დაიწყო და ყველაზე დიდ სიმძაფრეს „ქორჟ დანდენის“, „ტუნწის“ და „გააზნაურებული მდაბიოს“ დადგმისას მიაღწია.

² წიგნის ავტორს არმანდა ბეჟარი სამართლიანად ჰყავს წარმოდგენილი მადლენა ბეჟარის დად, მაგრამ ამასთან დაკავშირებით ექვს მაინც გამოთქვამს. საქმე ის არის, რომ მოლიერის მიმართ მტრულად განწყობილ წრეებში მის სიცოცხლეშივე გავრცელდა ჭორი, არმანდა მადლენას ქალიშვილიაო. ის ვერსიაც არსებობდა — არმანდა მოლიერისა და მადლენას შვილიაო. ამგვარად, დიდ მწერალს მტრები სისხლის აღრევას დებდნენ ბრალად. უახლესმა

მეცნიერულმა მოლიერისტიკამ ეს ცილისწამება უარყო. გამოჩენილი ფრანგი მოლიერისტები ე. რიგალი და გ. მიშო მხარს უჭერენ მოსაზრებას, რომლის თანახმადაც არმანდა ბეჟარი ეოზეფ ბეჟარისა და მარი ერვეს უმცროსი ქალიშვილი და მადლენას დაა.

3 მ. ბულგაკოვი, როცა არნოლფის ტანჯვაზე ლაპარაკობს, ამ გმირის იერსახეს სატი-რულ არსს ხაზს არ უსვამს. მოლიერი არნოლფის დესპოტიზმს მკაცრად ამბობს და შე-უძლებელია, მას საკუთარი აზრებისა და გრძნობების გამოხატვლად წარმოესწავლოს.

4 ძნელია, ავტორს დავეთანხმოთ, რომ მოლიერმა „საბედისწერა“ შეცდომაში ჩაბნა, როცა ლიტერატურულ მოწინააღმდეგეებთან პოლემიკაში ჩაება და კომედია „ცოლების სკოლის“ კრიტიკა დაწერა. ეს პიესაც ისევე პირადპირ და შემართებით გამოხატავდა დრა-მატურგიაში მოლიერის ესტეტიკურ პროგრამას, როგორც კომედია „ვერსალის ექსპრომტი“ სცენურ ხელოვნებაში გამოხატავს მის შემოქმედებით თვალსაზრისს. უფრო სწორი იქნებო-და, ამ ორი პიესის შექმნა მოლიერის მიერ საკუთარი შემოქმედებითი პრინციპების თეო-რიული შეცნობის მაჩვენებლად, საზოგადო მოღვაწის შემართების გამოხატულებად მიგვეჩ-ნია. აქედან უნდა დავასკვნათ, რომ მოლიერის მიერ „ბურგონული სასტუმროს“ სისტემის კრი-ტიკა შურისძიების სურვილით (რაზედაც ლაპარაკია 152 გვ-ზე) არ უნდა აიხსნას. ამ ბრძო-ლის კვშმარტ მიზეზებზე თვით ავტორი მიუთითებს, როცა მოლიერის ახალ შემოქმედებით პრინციპებზე და ყალბი სცენური რუტინის სიძულვილზე ლაპარაკობს.

5 ლამუანიონის საქციელი იმით უნდა აიხსნას, რომ იგი თავად იყო საიდუმლო „ზი-არების საზოგადოების“ ერთ-ერთი ხელმძღვანელი.

□

პეტერ ალტენბერგი

„ნაკუფები“



გერმანულიდან თარგმნა ნოდარ კაკაბაძემ

პეტერ ალტენბერგი (1859-1919) ის ავსტრიელი იმპრესიონისტი პროზაიკოსია, რომლის სტილიცა და მეთოდის გარკვეულ გავლენას ადასტურებენ ნიკო ლორთქიფანიძის ადრეულ შემოქმედებაზე. ავსტრიაში სწავლისას ქართველი მწერალი ტრიალებდა ავსტრიელი იმპრესიონისტების წრეში (1902-1907), თითქოს პეტერ ალტენბერგსაც პირადად იცნობდა. ალბათ ინტერესს მოკლებული არ იქნება ქართველი მკითხველებისათვის ალტენბერგის ზოგიერთი მინიატურის, ესკიზის, აფორიზმის, პარადოქსისა და „ნაკუფების“ გაცნობა (პ. ალტენბერგის ნამდვილი სახელი და გვარი რიჰარდ ენგლენდერი იყო).

მთარგმნელისაგან

ნაკუფები

ვინ შეიძლება გახდეს შენი დაუძინებელი მტერი?!

ქალი, რომელიც აშკარად ხედავს, მასზე უფრო ლამაზს ქალს რომ ეარ-შიყები.

კი მაგრამ, ამ განაწყენებული ქალის შემორიგება როდესმე მაინც არ შეიძლება?

როგორ არა, ოღონდ მოგვიანებით შეხვედრისას უნდა უთხრა:

„ის ბატისტინა გაუთხოვარი დავტოვე!“

დაგიჯერებს ამას?!

ამდგვარ რამეს ქალი ხალისით დაიჯერებს, რამეთუ ეს მალამოსავით ედება გულზე.

და თუნდაც არ დაიჯეროს, მაინც წაიგესლავს: „ვერც წარმომედგინა თქვენისთანა განათლებული ადამიანისაგან, რომ იმ ქალს არ ამასხარავებდით!“

დილოგი

ვაჟი და ქალი სხედან ცაცხვების ხეივანში მერხზე.

ქალი: „გინდათ მაკოცოთ?“

ვაჟი: „დიახ, ფროილაინ“.

ქალი: „ხელზე...?!“

ვაჟი: „არა, ფროილაინ“.

ქალი: „ტუჩებში...?!“

ვაჟი: „არა, ფროილაინ“.

ქალი: „ო, თქვენ უზრდელი ყოფილხართ...“

ვაჟი: „მე მხოლოდ თქვენი კაბის კალთას ვგულისხმობდი!“

ქალს ფერი ეცვალა...

ილია



„ძვირფასო, ცოტა ხნით შევიაროთ ამ მაღაზიაში, სადაც ახალგაზრდა გამყიდველი ქალი მუშაობს, ასე ძალიან რომ მოგწონს. მე ხომ ვიცი, რომ ძალიან მოგწონს...“

„არა, საყვარელო, ეს წუთიერი შთაბეჭდილება იყო. შენ ისე გულმოწყა-
ლე, ისე კეთილი ხარ ჩემდამი...“

„ო, ძალიან გთხოვ, შევიდეთ ცოტა ხნით, გამიწიე ანგარიში, დამდე პა-
ტივი...“

„არა, სულაც არ მიმწევს იქით გული. წავიდეთ...“

ლოყებზეფაკლული, ბედნიერი ქალი მკლავზე ჩამოეკიდა კაცს, მსუბუქი,
ლალი ნაბიჯით მიჰყვა...

...ორი საათის წინ კაცი მარტოკა იდგა ამ მაღაზიაში სანდომიან გამყიდ-
ველ ქალთან...

გოეთა

არსებობს გოეთეს უაღრესად მნიშვნელოვანი და ამასთან რატომღაც
შედარებით უცნობი გამონათქვამი:

„შეიძლებოდა ზრდილი ბავშვების ყოლა, თვითონ მშობლები ზრდილნი
რომ ყოფილიყვნენ“.

მხოლოდ ეს ერთი წინადადება გადასწონის მთელ ტომებსა და შტუდიებს.
ამიტომ ხდება ხოლმე, რომ ცუდად გაზრდილ, თავნება, უგულო, შტერ ქალებს
ქვეშეცნეულად არ სურთ ხოლმე შვილების ყოლა. ალბათ არ უნდათ თავიან-
თი უზნეობა და უზრდელობა უმემკვიდრონ ამ უბადრუკ შთამომავლებს მათი
ისედაც მძიმე ცხოვრების გზაზე.

ნერვეზი

ერთი მეგობარი მყავდა, ფრიად ინტელიგენტი ადამიანი. მაგრამ ნერვეზი,
ო, ისინი სრულებით არ ჰქონდა ინტელიგენტური...

ერთ საღამოს კაფეში მეგობარმა მითხრა: „პეტერ, გამიწიე მეგობრული
სამსახური! დღეს თავს ძალზე ბებრად და გამოფიტულად ვგრძნობ... ძალიან
გთხოვ, ხუთი წუთის შემდეგ მითხრა, დღეს განსაკუთრებით ცინცხლად და
ახალგაზრდულად გამოიყურებიო...“

საათი ავიღე, მაგიდაზე დავდე და ხუთი წუთის შემდეგ ვუთხარი: „მი-
თხარი, რა მოხდა, რა ამბავია შენს თავს? რა კარგად, რა ახალგაზრდულად გა-
მოიყურები...“ მეგობარი სიამოვნებისა და სიხარულისაგან აიფაქლა, გადაიბად-
რა და ბოლოს თქვა: „მართლა? ძალიან მიხარია! ასეთ სასიამოვნო რამეს მხო-
ლოდ შენ თუ მეტყვი!“

ცხოვრების სურათი

ინგლისელი ქალის ბუნება:

„ო, ჩემო საყვარელო მეგობარო, არიდ ჩავაგდებდი მთელ შენს დიდ სიყვარულს, კარებში პირველს რომ არ მატარებდე?!“

ამერიკელი ქალის ბუნება:

„უნდა იყო ისეთი, როგორც შენი ბუნება გკარნახობს!“.

ეს ჩავუწერე ერთ ახალგაზრდა კეთილშობილ ამერიკელ ქალს ალბომში.

„ო“, თქვა ამერიკელმა ქალმა, „ძალიან კარგი! რაც მთავარია, ეს ჭეშმარიტი და მართალია! კი მაგრამ, რას ჩაუწერდით ახალგაზრდა ინგლისელ ქალს ალბომში?!“

„რასაკვირველია, პირუკუდ!“

სამი წლის შემდეგ

„ო, პეტერ, პეტერ, საყვარელო პეტერ, მადლობა ღმერთს, რომ ბოლოს და ბოლოს კვლავ შეგხვდი... სრულებით არ გამოცვლილხარ, პირიქით, გაახალგაზრდავდი!“

„კვლავ შეხვედრაზე ლაპარაკი ცოტა ძნელია, რადგან მე პირველად გხვდავთ!“

„პეტერ, პეტერ?!“

„პეტერის ამდენჯერ წარმოთქმას აჯობებდა გეთქვათ, ვინ ბრძანდებით!“

„პეტერ, მე შენი ტკბილი მატილდა ვარ!“

„მატილდა, ჯიშისანი ქურციკი? თქვენ ხომ ძაფივით წვრილი იყავით!“

„მე უნდა მემკურნალა. უნდა გადამეწყვიტა, რა ჯობდა, ძაფად ყოფნა თუ სიცოცხლის შენარჩუნება!“

„მე, მაგალითად, ძაფის სასარგებლოდ გადავწყვეტი თქვენ მაგივრად ამ ალტერნატივას!“

მე მყავს ერთი მეგობარი ქალი, რომელსაც ყოველთვის რაღაც მიზეზი აქვს, ჩემთან დარჩეს, და მყავს მეორე მეგობარი ქალი, რომელსაც ყოველთვის რაღაც მიზეზი მოეძებნება, ჩემთან არ დარჩეს. ხშირად ვფიქრობ, რომელი მათგანი უფრო ნაკლებად მიშლის ხელს?

რა ძაფებია საჭირო, რომ ადამიანები მარიონეტებივით ვათამაშოთ?! ავიღოთ სამი ძაფი; პატივმოყვარეობა, ფულის სიყვარული, სექსი! მართო ამ ძაფებზე ადამიანები მშვენივრად აცეკვდებიან. მაგრამ თუ კიდევ სამ ძაფს დავუმატებთ: შურს, ეჭვიანობას და სიჩლუნგეს, მაშინ შეგვეძლო მარიონეტების მთელი წარმოდგენა მოგვეწყო! თუ, მაგალითად, თქვენი გულის მურაზს ეტ-

ყოდით: „მაშ, არტური მართლა ძალიან მოგწონთ? მან კი თქვენზე თქვა, არისტოკრატიული თითის ფრჩხილები არა აქვსო“, ამ ტიკინას შესანიშნავად ააცევებდით! ანდა რომელიმე მამაკაცისთვის რომ გეთქვათ: „მარა ამბობს, საცურაო კოსტუმში სასაცილო შესახედავია! ისე თითქოს გვარიანი შესახედავი ჩანს“, რა დაემართებოდა?!

უარყოფითი
გონებრივობა

თუ ქალი მაზინჯია და ამას კიდევ გრძნობს, ის ან გველია ანდა წმინდანი! თუ ქალი ლამაზია და ამას გრძნობს, ის ან ჰეტერა გამოვა... ანდა მდიდარი დიასახლისი!

თქვენ კი მეტყვით: „კი მაგრამ, ბატონო ალტენბერგ, სხვაგვარი ადამიანებიც ხომ არსებობენ!“

ჰო, თქვენი იდიოტიზმის გამრუდებულ და არა ჩვენი სიბრძნის მკმუნვარე შუქზე!

ყოველ ადამიანს ყოველთვის უნდა თავი მოიტყუოს. ამაში მას სხვები უნდა დაეხმარონ. ვინც არ დაეხმარება, მისთვის ისინი „უზრდელი ადამიანებია“!

ყოველი დედა ბედნიერი იქნებოდა, უფრო უკეთ, უფრო ღრმად გაეგო თავისი ქალიშვილისათვის, ვიდრე ამას ტოლსტოი, დოსტოევსკი, ჰამსუნი, ალტენბერგი შესძლებდნენ, მისი ქალიშვილი რომ სცნობოდათ! მაგრამ დედებს საყვარლებსა და თავგანისმცემლებზე უფრო ცუდად, უფრო ნაშუად ესმით თავიანთი ასულების, ამის მერე კი დედა უჩივის ხოლმე „გაუცხოებას!“ ნამდვილად კი თვითონაა ყველაზე უცხო!

ვის პურსაც ვჭამ, მის სიმღერასაც ვმღერი!

ამას ამბობენ ქალები, წესიერი, რიგიანი ქალებიც. ნუთუ ეს მართლაც გმირობაა?!

უფრო გმირული საქციელი არ იქნებოდა: ვის პურსაც ვჭამ, მის სიმღერას სრულებითაც არ ვმღერი!

საშინელებაა შტერ ქალთან საუბარი, იმიტომ კი არა, რომ შტერია, არამედ იმიტომ, რომ განუწყვეტლივ უნდა უმტკიცო, რა ჭკვიანი ხარო!

როცა რომელიმე ახალგაზრდა ლამაზი ქალი გამიმხელს ხოლმე: „სამწუხაროდ, ბუნების მოყვარული არა ვარ, ტყუილი რატომ უნდა გითხრათ?!“ ეს ჩემთვის უდრის შემდეგ აღიარებას: „სამწუხაროდ, სიამოვნებით ვაწვალე ცხოველებსა და ბავშვებს!“

ერთმა დაწერა ჩემზე, ტიპიური „კაფეს გენიაო“. ჰო, კნუტ ჰამსუნთან შედარებით შეიძლება მართლაც ვარ, „შეიძლება-მეთქი“, ვამბობ არცთუ თავმდაბლურად, მაგრამ იმასთან შედარებით, ვინც ეს დაწერა, ზევსი, მამაზე-ციერი ღმერთი გახლავართ!

მე არ ვიცი, გოეთე თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის განმავლობაში ზოგჯერ იტანჯებოდა თუ არა ყაბზობით? მაგრამ თეორიულად ეს ჩემთვის მთლიანად გამორიცხულია, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი გოეთე ვერ გახდებოდა!

სამწუხაროდ, მე კნუტ ჰამსუნი არა ვარ. კი მაგრამ, ამას განსაკუთრებით რატომ ვნანობ?! იმიტომ რომ სხვა პირობებში, სხვი მშობლებისაგან, სხვა ქვეყანაში მე შემეძლო კნუტ ჰამსუნი გავმხდარიყავი!

მე ყველა მწერალს მშვიდად ვკითხულობ, რაში მენადვლება მათი ნიჭი? მხოლოდ კნუტ ჰამსუნის კითხვას ვერ ვახერხებ მშვიდად! მრცხენია ჩემი უმნიშვნელობის.

დღესდღეობით ბლომადაა „მოდერნული ადამიანები“, რომლებსაც განსაკუთრებით მოაქვთ თავი, ძარღვებდაავადებულნი ვართო. მაგრამ ამის გარდა კაცი კიდევ რაღაც უნდა იყოს, ძარღვების სისუსტე არ კმარა! მიმოზაც ავადმყოფურად (!) მგრძნობიარეა, ყოველ შეხებაზე ფურცლებს კმუტუნის ხოლმე, მაგრამ ამის გარდა ის ხომ მშვენიერი მიმოზაცაა!

დილეტანტია ის, ვისაც არ შეუძლია იმის გაკეთება, რისი გაკეთებაც გულთ უნდა! ხელოვანია ის, ვისაც ეს შეუძლია და თანაც ისე, გულით არც კი სურს!

„ბატონო ალტენბერგო, თქვენთვის რომ მთლად ნორჩი გოგონების აღზრდა მიენდოთ, რა იქნებოდა თქვენი უპირველესი პრინციპი?“
„ქათინაურებისადმი იმუნიტეტი!“

„ეს ალტენბერგი წერს ყველაფერს, რაც თავში მოუვა?!“
„დიახაც, სწორედ თავში და არა სხვაგან...“

ერთმა ქალბატონმა მითხრა: „ცხადია, თქვენ ექვმიუტანლად მნიშვნელოვანი მწერალი ხართ. მაგრამ არასოდეს ხალხში თქვენი მელოტი თავით არ უნდა ჩნდებოდეთ! ჩვენ ნამდვილი პოეტებისაგან კულულებს მოვითხოვთ!“

„ხელს ხომ არ გიშლით?!“ — ეს არის ყველაზე უპატიოსნო და უმხდალესი შეკითხვა.

აქ მხოლოდ ერთი გამოსავალია: „დიახ, მიშლით!“
ვერაფერი თავაზიანობაა: „რას ბრძანებთ, ბატონო, პირიქით!“
გულში კი: „მიწა გაგისკდეს, მუნიანო ძაღლო!“

„მცინარი“ ფილოსოფოსი უკვე სიყალბეა!
თუკი ის ჭეშმარიტი ფილოსოფოსია, შეიძლება იყოს მხოლოდ „მტრისა“

„ბატონო ალტენბერგ, როგორ მიხვედით ასეთ ბრწყინვალე ავტორიზმამდე: „კაცი აკეთებს, რაც ქალს სურს, და ქალი აკეთებს, რაც ქალს სურს!“

„ეს მაშინ იყო, როცა თქვენთან და თქვენს ტკბილ მეგობარ ქალთან ერთად პირველად ვიყავი!“

„თქვენი ოხუნჯობა მეტისმეტად იაფფასიანია!“

„პო, არც ისე ძვირი დამჯდომია, სულ შვიდი კრონი და ორმოცდაათი შილინგი!“

ავადმყოფობა

სადამო ხანს, როცა ქალი ვაჟისაგან მიდიოდა, ვაჟმა შეამჩნია, ფართო-ფართოებიანი ჩალის შავი ქუდი, რომელიც ქალს თეთრი ბაბთით პქონდა

ნიკაპზე შეკრული, ძალიან უხდებოდა. ვაჟმა უთხრა: „დღეს საღამოს ქუჩაში ყურადღება რომ მიიქციო, იმისთვის დაიხურე ეს ქუდი, არა?!“

„მე მეგონა, შენ გამაცილებდი!“

„მაშასადამე, ნამდვილად იმედი გქონდა, შინ დავრჩებოდი. მაგრამ მარტო არ გაგიშვებ!“

„მე ბედნიერი ქალი ვარ!“

„არა, არ გაგაცილებ. გინდა შენი გამარჯვების მოწმეები გყავდეს?!“

„მაშ, კარგი, ნახვამდის!“

„მე გიკრძალავ ამ ქუდის დახურვას!“

„კი ბატონო, არასოდეს აღარ დავიხურავ!“

„კი მაგრამ, დღეს რატომ დაიხურე?“

„ვიცოდი, ქუდი რომ მიხდება და თანაც მეგონა, შენთან ერთად გავიდოდი ქუჩაში“.

„მაგრამ გუნებაში იმედოვნებდი, შინ დავრჩებოდი!“

ეს ტყბილი საუბარი ორსაათნახევარს გრძელდებოდა...



მეტი წილი ადამიანები „მოშურნალნი“ არიან და მაინც მათ შორის ორი ყაიდის ხალხი არსებობს: ისინი, რომლებსაც გული წყდებათ, რომ რაღაცა არა აქვთ, და ისინი, რომლებსაც გული წყდებათ, რომ სწორედ სხვა ფლობს ამ რაღაცას.



„რა აზრისა ხართ საკუთარ თავზე?“

„არცთუ ისე დიდისა. მაგრამ საკუთარი თავის სხვებთან შედარებისას სიამაყე მიპყრობს! მაგალითად, როცა ვიხსენებ, ორმოცდაჩვიდმეტი წლის ასაკში კიდევ ვცურავ, წყალში ვხტები, ოჩოფებებზე დავდივარ, ტანვარჯიშს მივდექ, რომანტიკულად ვეტრფი ქალს და...“

პატივისცემა

ჩემი მოახლე გოგო მოწიწებით:

„ოსტატო, დღეს კიდევ იწვიმებს?!“

„მე რა, ბაყაყი კი არ ვარ?!“

„არა, რას ბრძანებთ, თქვენ პოეტი ბრძანდებით — პოეტი ხომ წინასწარ გრძნობს, რაც ბუნებაში ხდება!“



როცა შეყვარებული ქალები დროთა განმავლობაში კარგავენ თავიანთ მისტიკური მიზიდულობის ძალას, ისევე როგორც ანდამატი — ხანგრძლივი ფერებით, უკაცრავად, სხელის სმით, და როცა ეს ქალები სიმარტოვისას იახლოებენ საყვარელ ძალღს, მაინც არა აქვთ უფლება ძალღის ახლად გათხ-

რილი სამარის თავზე (საკუთარი ხელით რომ გაუთხრია) იწკმუტუნოს: „შენ, მხოლოდ შენ გიყვარდი და გესმოდა ჩენი, მშვიდობით, ჩემო ყველაზე!“

გუგული

„მე, გუგულს, საშინელი ბრაზი მაქვს პოეტების მიმართ! ვზივარ ამ ქვეყანაში, დილიდან საღამომდე ვყვირი, ვჩხავი, გუგულს ვიძახი გულის სწორის გასაგონად, მას ესმის, იმ ოჯახქორს, მაგრამ ჩემი გაღიზიანება და, საღამომდე რომ მაყუნცულოს, ის უნდა. პოეტები კი ოცნებობენ და ბოდავენ: „უჩინარი გუგულის მელანქოლიური, დამახასიათებლად ერთფეროვანი, ღიახ, თითქმის ტრაგიკული ძახილი არის მთელი ბუნების თითქოსდა აედერებული მისტერია!“

ახი არაა იმ პოეტზე, დილიდან საღამომდე იყუნცულოს და „გუგუ“ იძახოს იმ ოჯახდაქცეულის გამო, რომელიც მხოლოდ უნდა დაავარგოს...

ვინც ქალაქგარეთ მარტო გასეირნებას ამჯობინებს, ვიდრე გულის მურაზთან ერთად, ის ამტკიცებს, რომ ახლო ნათესავია შუბერტისა, ბეთჰოვენისა, ჰუგო ვოლფისა, ლენაუსი, ჰოლდერლინისა, დანტესი, დიოგენესი! სხვები ჩურჩულებენ, ფუჩუნებენ, ელურტულებენ, კრუტუნებენ „ბაჩაჩა, გენავ, ნიბლია, შენი კვნესამე, შენი ჭირიმე, ჩემო ტურფავ, რაც შენ მოგწონს, მეც ის მომწონს!“ და ა. შ.

მდიდარი ადამიანების უმეტესობას საშინლად ეშინია სიკვდილისა. მაგრამ ისინი ხომ სიცოცხლეშიც მკვდრები არიან და ნეტა რა აშინებთ?!

უშურველობა იმის გენიალობაა, ვისაც ბედის წყალობით სხვისი არაფერი აქვს შესაშურებელი! დაბოღმილობა შედეგია საკუთარი თავით უკმაყოფილებისა.

პატარა ქალაქის ბინადრის ტრაგედია ისაა, რომ მტკიცედ სჯერა, დიდ ქალაქში რალაც მნიშვნელოვანი ხდებაო.

ქალები, ქალების სექსუალობა ყოველთვის საჭიროებს „დაძაბულებას“ და „განძაბულებას“, როგორც ყველაფერი ამქვეყნად. გაზაფხულზე გულის და სისხლის აჩქროლება, შემოდგომაზე მოთენთილობა, ცხელი დღე, ავღარი; ქალისთვის გამუდმებული ბედნიერების შექმნის პრეტენზია უსაზღვრო უტვი-

ნობაა მხდარი უტვინოებისა! შეიძლება ქალისათვის გამუდმებით ყიდულობდე ტანსაცმელს, სამკაულებს, ასვენებდე აგარაკზე, უქმნიდე უზრუნველ მდგომარეობას! მაგრამ მაინც ის საყვარელს დაეძღვს, რადგან ეს „წესის გადახვევაა“. საყვარლის ყოლა წესი რომ იყოს, მაშინ ქალი ამაზე უარს იტყვობდა, მუდამ უწესოს ქმნა ქალის სტიქიაა. შვილები ყოველ შემთხვევაში მცირეოდენი „გადახვევა“ მაინცაა, მით უმეტეს, თუკი ისინი სხვისაგანაა!

მე აზრი შემექმნა, რომ პატივცემულ ქალებს ზედმეტი სახელები უნდა დავარქვათ, როგორც ამას ჰომეროსი ბერძენი გმირების მიმართ სჩადის. მაშასადამე: პაულინა ფეხმშვენიერი, ლოტე ჰკვიანთვალეა, ლია ლესბოსი, ალბინე ერთგულა, პილდე ნათელმეტყველა, მარია დუმილა, ფროილაინ მაია დიდებულა, მიცი შავთმიანი, კატარინა ჩერჩეტი, ანა ზვადაგა, იზაბელა ცანცარა, მარგარეტე ზრდილი, ანტეა ავხორცა, პაულა განსაკუთრებულა, ჟოზეფინე მორჩილა.

ერთმა კაცმა შემომთავაზა ყოველთვიურად თხუთმეტი კრონის ოდენობით პენსია: „ბეტერ, შეიძლება საღამოობით ჩემი ახალი საყვარელი შენს მაგიდას მივუსვა ხოლმე რესტორანში? მე მინდა თქვენთან ურთიერთობით ჰორიზონტი თანდათან გაიფართოვოს!“

„თხუთმეტი კრონად მე ჰორიზონტის გაფართოებას ვერ დაგპირდები. ყველაზე იაფი ჰორიზონტი თვეურად ოცდახუთი კრონი დაჯდება. თხუთმეტი კრონად არაფერი არ შემიძლია, შენი ტურფა ისეთივე ბატი დარჩება, როგორსაც მოიყვან!“

სნობიზმი: არიან ადამიანები, რომლებიც უცნაური, თითქმის პათოლოგიური პატივმოყვარეობით არიან შეპყრობილნი, ცდილობენ დაგვიმტკიცონ, რომ უკეთესები არიან, ვიდრე ჩანან! იქნებ არიან კიდეც, მაგრამ ამას ვერაფრით ვერ დაგვიმტკიცებენ!

„თქვენ ამბობთ, რომ ამ ასექსუალურ რომანტიკოს დიაცს, ქმარს რომ გაეყარა, შემდეგ სავსებით ნორმალური საყვარელი პყავდა?“

„ქმართან ყოფნისას ფიქრობდა, არჩევანში შეცდომა მომივიდაო. მაგრამ საყვარლის შემდეგ იმ დასკვნამდე მივიდა, ყველა მამაკაცი ასეთიაო! და ამის გამო რომანტიკოსი გახდა!“

დანტეს „ჯოჯოხეთი“

დანტეს ჯოჯოხეთში მოთავსებულნი არიან: ღორმუცელები, მაჭანკლები, მოთამაშენი, მექრთამეები, მატყუარები, ცუდი მრჩეველები, განხეთქილების ჩამომგდენი, მეგობრის მოღალატეები, ძუნწები და მფლანგველები, გულზვიადნი და მოშურნალები!

მე ამ შემადგენლობას ასე შევაფასებდი: ადამიანები, რომლებიც არ არიან ბუნების ფანატიკურად მოყვარულნი; ადამიანები, რომლებიც ძნელად მოსაწონებელ საჭმელს მიირთმევენ და გვიმტკიცებენ, არა გვნებსო; მამაკაცები, რომ გაიძახიან, ლამაზი, მაღალყელიანი წინდა ლამაზ ფეხს გვირჩევენიაო; ისინი, „ძილისგან“ სრულიად დამოუკიდებელნი ვართო, რომ გვარწმუნებენ; ქალები, რომლებიც ამბობენ: თუ მოგწონვარ, მაშინ სამარაგდოს ბეჭედსაც მიყიდო! მამაკაცები, რომ ამბობენ: გემოვნებაზე არ დაობენო. მართლაც ეს სადაო არაა, რამეთუ თვითონ არიან მთლიანად უგემოვნონი და ვერც გამოსწორდებიან! შემდეგ: ადამიანები, რომლებიც თეატრში მხოლოდ კლასიკურ რეპერტუარს ეძებენ, ანდა ისინი, რომლებიც ამბობენ: ესა და ეს ქალი მართლაც შებერებულია, მაგრამ მაინც გარდასული სილამაზის ნაშთი აქა-იქ შერჩენია სახეზეო, ნამდვილად კი არც „აქ“ და არც „იქ“. შემდეგ ჯოჯოხეთში გავაგზავნიდი იმათ, რომლებიც ამბობენ: საკუთარი სააბაზანო თუ არ გაქვს, მთლად სუფთად თავს ვერ შეინახავო! აგრეთვე იმ ქალებს, რომლებიც ამბობენ: რატომ უნდა ვიყო სწორედ მე უფრო კარგი, უფრო კეთილი, უფრო თავმდაბალი, ვიდრე სხვებიო?!

მაშასადამე, არც ეს ჩვენი დანტეა ის, რადაც აქამდე მიგვაჩნდა! დანტეც არასრულია, შესავსებია!

კარგი საცხოვრებელია მაჩვის სორო, ფუტკრის სკა, ჭიანჭველების ბუდე, მაგრამ არა თანამედროვე ბინები!

ადამიანები ცდილობენ მომათავსონ თავიანთი აზროვნების პროგრესტეს სარეცელზე და, როცა ამოვიკვნესებ, „ვაიმე-მეთქი“, გამინაწყენდებიან ხოლმე: უმადურიო!

ბავშვები

რა ბედნიერად ვგრძნობ ხოლმე თავს, როცა შემიძლია ვთქვა (მე ვეცნობი მხოლოდ გოგონებს, ბიჭებს ნაკლებად მაცნობენ, მაღლობა ღმერთს) მომავლის განჭვრეტის ჩემი მიმინოსებური თვალის წყალობით: „ეს გოგონა ლამაზმანი იქნება!“ დედა ყოველთვის სახეგაბრწყინებული ამბობს ხოლმე: „მართლა?!“ მაგრამ ბავშვები, სამწუხაროდ, ამ ასაკში იცელებიან“.

ხოლო დედის მეგობარი ქალი აუცილებლად იტყვის: „შე ბატო, ამას პეტერი ყველას ეუბნება!“

რაზედაც მე ყოველთვის ვბასუხობ: „ყველას, ვინც იმსახურებს!“

მაშინ დედის მეგობარი ქალი მომახლის ხოლმე: „მამაკაცებო, დღესდღეობით არ აფასებენ სილამაზეს!“

ამაზე მე მაქვს პასუხი: „მე ხომ არ მითქვამს, გოგონა აუცილებლად გათხოვდება-მეთქი, მე ვთქვი, ლამაზი იქნება!“ „კი მაგრამ, თუ ქმარს ვეყოფი იშვინის, მაშინ რას აქნევს თავის სილამაზეს?!“

მაგრამ დედა მყის ჩაერევა: „არა, გენაცვალე, მაზინჯი და უქმრო კიდეც უფრო საშინელია!“

აფორიზმი

ქველუცობა სანდომიანი ქალის დიდზე დიდი ტაქტია: ამის წყალობით დროებით მაინც ახანებს ხოლმე იმ გულაცრუებას, მამაკაცს რომ უცილობლად აგემებს ბოლოს.

დონ შუანი

ყოველი დახვეწილი, გრძნობანატიფი, ჭეშმარიტად განათლებული მამაკაცი ოდითგანვე ატარებს სულში ქალის იდეალს. ეს ეხება როგორც სხეულსა და სულს, აგრეთვე გონებას. ასეთი აღნაგობისა უნდა იყოს, ასე უნდა რწინებდეს, ასე იჯდეს, ასე იდგეს, ასე იხედებოდეს, ლაპარაკობდეს, ასე დგოდეს! ასე და ასე უნდა უყვარდეს ტყეები, ტბები, ბავშვები და ცხოველები და ა. შ. და ა. შ. ყველაფერი ეს მამაკაცის წარმოსახვაშია მისი გემოვნებისა და მიხედვით განსაზღვრული. მაგრამ მალე, ჯერ კიდევ სიყრმის წლებშივე ხვდება მამაკაცი, მისი ეს იდეალი საერთოდ არ არსებობს. ყოველ შემთხვევაში, იმდენი ხნის ცდაც არ შეუძლია, იქნებ ოდესმე სადმე წავაწყდეს ასეთ იდეალსო. ამიტომ იძულებული ხდება დაკმაყოფილდეს თავისი თავდაპირველი იდეალის მხოლოდ რაღაც ნაწილებით, ამ იდეალის პატარ-პატარა ნაფლეთებითაც კი. ერთ ქალს ერთი ნაწილი აქვს, მეორეს — მეორე. დროებით მამაკაცს მცირეოდენი ნაწილიც კი აბედნიერებს, უფრო სწორად, აბრუებს... ყველაფერი ეს ერთ ქალში შეერთებული რომ ეხილა, ეს იქნებოდა მისი ჭეშმარიტი ხსნა, მისი მტკიცე ბედნიერება, მისი საბოლოო დამშვიდება! მაშასადამე, დონ ჟუანი არის იდეალისტი, რომელიც საკუთარ თავში არსებული ქალის იდეალს ანაწევრებს და ცდილობს თითოეული მათგანით ცალ-ცალკე დატკბეს, რაც, თავისთავად ცხადია, შეუძლებელია! რამეთუ ღმერთს სწადია, რომ ადამიანს ჰქონდეს მუდმივი მისწრაფება „სრულქმნილებისკენ“, და ეს ლტოლვა მან ადამიანს ტანჯულ სულში ჩაუდო. მაგრამ ტკბობა იმით, რაც თავისთავად გვეძლევა, საკადრისი არაა! გაბედვის გარეშე საქმეების მოკვარახჭინება ეშმაკის საქმეა. ამიტომ დონ ჟუანი ყოველთვის ჯოჯოხეთში ხვდება! მაგრამ ეს მისი საკუთარი ჯოჯოხეთია!

ჰერცოგმა ლაროშფუკომ იმდენი აფორიზმი დაწერა, გულწრფელად გული მწყდება, რატომ მე არ მომივიდა ისინი აზრად, მაგრამ რადგან ისინი სამი

საუკუნის განმავლობაში ვერავის ვერაფერში გამოადგა, ამიტომ მიხარია, რომ მე არ გამიწევია ეს უმადური ჯაფა.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

„ბეთპოვენის, მოცარტის, შუბერტის, გრიგის, ბრამსის, ჰაიდნის მუსიკა იწვევს შინაგან, სულიერ მოძრაობას და არა ხორციელს, სხეულისას, ეს კომპოზიტორები არ იცეკვებიან... ბავშვები თავისთავად აცეკვდებიან ხოლმე ნარნარად, კოხტად, როცა ქუჩის არღანი პოლკასა და ვალსს უკრავს. მაგრამ მოცარტის, წმინდა მოცარტის ცეკვა არავის შეუძლია. მისი მუსიკის მოსმენისას შეიძლება ტირილი ან ღიმილი, მაგრამ არა ცეკვა! ეს დაიმახსოვრეთ, თქვე თაღლითებო, თავს „მოდერნულად“ რომ მიიჩნევთ!

მეგობრობა

„მე სრულიად არ მრცხვენია, ჩემო საყვარელო პეტერ, გითხრათ გულწრფელად და გულგახსნილად, მიუხედავად ჩემი თქვენდამი უღრმესი პატივისცემისა, რომ ცხოვრების საკითხებზე სულ სხვანაირად ვფიქრობ, მათ სულ სხვანაირად ვიაზრებ და ვგრძნობ, ვიდრე თქვენ!“

„კი ბატონო, მაგრამ ამისი რატომ არ გრცხვენიათ?!“

კაცმა რომ თქვას, ადამიანების მხოლოდ ორი ყაიდა არსებობს: ვისაც ყოველთვის ეშინია, უმრავლესობა არ გავანაწყენო, და ვისაც მუდმივი შიში აქვს, ვაითუ ვერ ვახერხებ სხვების განაწყენებასო.

გენიოსები

მოვიყვანოთ ჩემთვის მთელი ბიოგრაფიის შემცვლელი ერთადერთი წინადადება გოეთეს წერილიდან ცელტერისადმი (2.IX.1812):

„ბეთპოვენი ტეპლიცში გავიცანი. მისმა ნიჭმა მე გამოაცა (ნიჭმა? გენიამ რატომ არა? დიდებულია მსოფლიოსმომცველი გოეთეს ეს ბრძნული ზომიერება და სიფრთხილე!!!), მაგრამ იგი, სამწუხაროდ (რატომ „სამწუხაროდ“?!), მთლად აულაგმავი პიროვნებაა, რომელიც, მართალია, არ ცდება, როცა ქვეყანას ამაზრზენად მიიჩნევს, მაგრამ ამით ხომ ქვეყანას ვერც თავისთვის და ვერც სხვებისთვის უფრო ასატანად ვერა ხდის!“ რა ნათელი, სუფთა, ფხიზელი, სამართლიანი განჭვრეტაა მთელი ცხოვრებისა გოეთეს მიერ ამ ერთადერთ წინადადებაში და როგორი მოკლე, ლაკონური ბიოგრაფია! ბეთპოვენის ტანჯვის მთელი სურათია მოცემული ამ ერთადერთ წინადადებაში! გოეთე იყო საკუთარი თავით მუდამ „დამშვიდებული“ და ამავე დროს მუდამ „მშფოთვარე“ გენიოსი! დიდებულია!



იუსტიციის მინისტრის მინდოება



დრამატული კომედია ორ ნაწილად

თარგმანი გიორგი ნიჟარაძის

ნაწილი პირველი

სიუჟეტური და ძალადობა

თეატრი მემბრანა

შავი მემბრანა

I

შავი მემბრანა: ნუთუ ისევ წერ?

თეატრი მემბრანა: მაშინაც ვწერ, როცა არა ვწერ.

შავი მემბრანა: აბა, გამოდის, ძილშიც შრომობ.

თეატრი მემბრანა: აღბათ ეგრეა.

თითქმის ყოველთვის შესივრება უამთა ტრიალი:

ოში, ხანძარი, შეთქმულება, ძღვენი, უხტარი,

გაუტანლობა, ვერაგობა, შხამი, ღალატი.

მოვალეობა არ მასვენებს, არ მეძინება—

უნდა აღვწახსოვო ეს ყოველი.

შავი მემბრანა: ჰკუაზე მოდი, უგუნურო, მატიანეს წერ,

თუ სივრცის ჰყვები?

თეატრი მემბრანა: მგონი, მართლაც, თავგა ამებნა, —

აღარც მე ვუწუი სად მთავრდება ჩემი სივრცე

და სად იწყება თვითონ ცხადი.

რაა სიშართლი?

მოკლე სივრცე ხომ არ არის, ყველა ჩვენგანი

მხოლოდ თავისთვის რომ ნახულობს და მერე უცებ

გვაფიწყდება და აღარ გვახსოვს გამოღვიძებულს?

წამია იგი, აი, ახლაც მან გაიღვიძა,

გაიღვიძა და გადიკარგა, აღარ გვეკუთვნის

მოდის მეორეც, შედგება და გაქრება ისიც.
წამია ყოფა მყისიერი — იგი ციხეა
და თვითეული შიგ ცალ-ცალკე გამომწყვდეულვართ,
ხერელში შემოდის უდიდამო სხივი მომავლის,
უკან ნაბზარში მტვერწყარილი კუთავს წარსული
და არცინ ვუწყით რაა აწმყო, საით მიილტვის,
ან აწმყოსა და წარსულს შორის ზღვარი სად გადის?

ზავი მამატიანე: მგონი შენ მართლაც სიზმრებს ხედავ.

თეთრი მამატიანე: რა გითხრა, ძმაო,

თქმა სიმაართლისა ოდითგანვე დაწყვეტილია.

ზავი მამატიანე: რა უნდა იყოს უსაშველო, დაჯექ და წერ:

ამა და ამ დღეს ესა და ეს აქ და იქ მოხდა.
ეს დაიბადა დილით, ღამით ის მიიცივალა,
მან იქორწინა, ეს დაქვრივდა, ის მოინათლა,
ამას უმტყუნა ბედისწერამ, მას გაუმართლა,
ერთმა უსტარი გააგზავნა, მეორემ ძღვენი,
მესამემ რა და ასე შემდეგ. უკეთესია,
ქვეყნად არც ეს თუ არ მოხდება, მაშინ არც წერა
აღარ მოგვიწევს.

თეთრი მამატიანე: ეგ ფაქტებია.

შენ მხოლოდ მშრალი ამბავი და რიცხვი გიზიდავს,
ხალხს რაღას ერჩი, ადამიანს რას ემართლები?
რად არ იკითხავ რა აწუხებს, გულში რა უდევს?
რა უხარია? რატომ იქცა მისი ცხოვრება
მიწევი აუხსნელ გამოცანად? ო, ეს ფაქტები! —
ზღვის კენჭებივით ისტორიის წყალმა ჩარეცხა
და ბავშვებს დარჩათ სათამაშოდ. ჩვენი ვალია
ავხსნათ ყოველი, ძირისძირში ჩავწვდეთ სიმაართლეს
და პირუთვნელი ვიყოთ.

ზავი მამატიანე: მაგრამ ადამიანი

ფაქტის გარეშე არის მხოლოდ არარაობა.

თეთრი მამატიანე: სიმაართლეს ბრძანებ, მაგრამ ფაქტიც არაფერია

კაცის გარეშე. მოდი, მაშინ შენ ფაქტის მითხარ,

მე კი კაცისას მოგახსენებ.

ზავი მამატიანე: რომელ ფაქტს ითხოვ?

თეთრი მამატიანე: ყველა წვრილმანი და მსხვილმანი.

ზავი მამატიანე: უგუნური ხარ.

ნუ გავიწყდება ვის პურსა სჭამ, რომელს ჰმსახურებს!

თეთრი მამატიანე: რაც თავი მახსოვს, მე ვმსახურებ ჭეშმარიტებას.

შთამომავლობას ვებმარები, მე ვარ მეცანი.

ზავი მამატიანე: იქნებ არ უნდათ მართლის ცოდნა შემდგომ თაობებს?

იქნებ სურთ უფრო ტყუილი და მრუდი იწამონ?

ვერც აიძულებ — ან რა იცი რა ჭირი ელით.

ჩვენ მათ ფეხისხმას უნდა ავყვეთ. ჯერ კიდევ ურმა ხარ

და ვერ მიმხვდარხარ, რომ მართოდენ აწმყო არსებობს,

რომ დღევანდელი დღის სიმაართლე არის მიზანი.

დროა დავიწყოთ.

თეთრი მამატიანე: მართალს ბრძანებ, საქმეს შევუდგეთ.

შენ ფაქტი მომე, მე კი ისევ კაცისას ვიტყვი.

ორივენი სხდებიან და წერენ

შპსი მინდია:

„1219 წელს ვოლინის მთავრებს, დანილასა და ვასილკას შორის წავი დაიდო. ხელშეკრულებას ხელს აწერდნენ ლიტველი თავადები: ჟივინუდი, დაუმანტი, დაუსპრუნგი და მისი ძმა მინდაუგი. აგრეთვე ჟემაიტის თავადები: ერდვილი და ვიკინტი. ასევე სლუდუვის თავადები: კინტიხუტი, ვაშხუტი, ვიტაუტი და ვიჟიკი. შემდეგ ნალშის თავადი გისმანტი და მისი ძმები ედივილი და სპრუდვიკი, და ბოლოს დელტუვის თავადები: იუდიკი, პუკეიკი და ლიგეიკი...“

თათარი მინდია:

„შინ მიბრუნებულმა ნალშის თავადმა იხმანტმა თავის ციხე-სიმაგრეში სტუმრად მიიწვია მინდაუგი და რამდენიმე თავადი. მინდაუგი მაშინვე დაეთანხმა. რა ახარებდა, რა ზრახვადო გულში და რას ესწრაფოდა იგი? ნუთუ მას უკვე მოუქრებული ჰქონდა ის დიადი გეგმა, რომლის განხორციელება ერთ კაცს არ ეხერხებოდა? იქნებ ვისმანტის ციხე-სიმაგრისაკენ მას უფრო იდუშალი და დაუოკებელი სურვილი ეწეოდა, ერთხელ კიდევ მოეკრა თავადის ახალგაზრდა მეუღლესათვის, მორტასათვის?.. იდგა გაზაფხული...“

იხდებოდა ფარდა.

I

ვისმანტის კოშკი.

ვისმანტი, მინდაუგი, მორტა, კინტიხუტი, დაუმანტი, დაუსპრუნგი, ვიკინტი და სხვები.

ვისმანტი: მესამე დღეა ცხენზე ვწვივარ, თქვენი არ ვიცი, ისე ჩამოვწყდი, აქვე სადმე უნდა მივეგდო.

მინდაუგი: რას ამბობთ, ძია! აღარ გახსოვთ, უნაგირიდან ერთხელ ორი თუ სამი კვირა არ ჩამოხსულხართ? მაშაჩემს ბევრჯერ უხუმრია — ეგ უბედური აღბათ ცხენზევე მოკვდებაო.

ვისმანტი: მართალი უთქვამს,

ახა, რა კაცის საქმე არის სახლში სიკვდილი! ცხენიდან კაცი ორჯერ უნდა ჩამოქვეითდეს: როცა მეუღლე უნდა შესვას ცხენის ტახტაზე და დაქრილი ძმა გაიყვანოს ბრძოლის ველიდან.

დაუსპრუნგი: ჟემაიტის მამაც თავადს და ჩემს მეგობარს ღმერთმა დიდება ნუ მოაკლავ!

მინდაუგი: სავალალოა, რომ ვიკინტისგან თავად ბევრი არ გისწავლია — აღბათ ჭირის დღე უნდა გადგეს, ცხენზე რომ შეჭდე.

დაუსპრუნგი: სისხლის სუნს მართლა ვერ ავიტან. ჩემი ხელები გუთნის ტარს უფრო შეეგუა. და ჩემი აზრი სულ სხვაგან დაფრენს, იმ სხვა ქვეყნის გზებს შეეჩვია, ადამიანთა სამკვიდროს რომ აღემატება — სჭობს, შენთვის წუნარად ბალახსა და ხეზე იფიქრო, ბედი განჭვრიტო კაცისა და ღმერთს ესაუბრო. ჩემთვის უცხოა ომის უინი, პირბასრი ხმალი. უნაგირს გუთანს ვერასოდეს ვერ გადიწონის.

წავსე შევთანხმდით — მაღალი ღმერთებს! ვინძლო მშვიდობის თუნდაც სულ ერთი წელიწადი მაინც მოგვაგონ.

მინდაუგი: წავი რომ არა, გარეთ არც კი გამოხვიდოდი, მაგრამ იმ წავსაც ჯერ ხმალი წერს, შერე გუთანი.

ვისმანტი: ყველას შენსავით რომ ეფიქრა, რა მოხდებოდა?

დაუსპრუნგი: მაშინ სოფელი იმ სხვა ქვეყნად მიიქცეოდა, შენ რომ მისტირი და ოცნებობ.

ვისმანტი: შენ კი, მინდაუგ.

- ზოგჯერ სიტყვასაც, დაუვირდი — ნუ შეურაცხყოფ
შენს საკუთარ ძმას, შენზე უფროსს.
- დაუსპრუნბი: ძმა მართალს ამბობს, მე მეომარი ვერ ვიქნები.
- მინდაუბი: ძმებში უფროსი
ის არის უფრო ვინც ძლიერი და მამაცია.
- პიპინტი: რისი თქმაც გინდა, კარგად ვიცი — გსურს პირველობა,
შენ კი, დაუსპრუნბე, უფროსობას ასე იოლად
უკეთუ დათმობ, სხვა რა გზაა, უნდა დაგიცვა —
და მოგათხოვე ვით მეომარს, და არა მენრეს.
- მინდაუბი: ყუმაიტის თავადთაგან ლიტვის მმართველად
ჩერეთ არავინ არ შობილა, მზე სხვას სწყალობდა.
- პისმანტი: დამშვიდდით, მამონო! შინ შევიდეთ, მუხლი გაშაღეთ,
გზა გადაგლლიდათ, ჩემი ტბილი თაფლიც იგემეთ —
რაც დავჭარწინდი, უფრო გატება, და გაორმაგდა.
- პიშეიტი: ცოლი რახა იქს. ისიც ხომ არ გაგიორმაგდა?
- მინდაუბი: კარგი უხამსი ხუმრობაა, მიდი, დაუსპრუნბე,
ღმერთებთან შენ ხარ უფრო ახლოს და შენ დაიწყე.
- დაუსპრუნბი: ღმერთებს აამებ კაცზე უმაღ. უზენაესნო!
ადამის შვილნი თქვენ გმორჩილებთ, მხოლოდ თქვენ უწყით
ჩვენი გულისთქმა და ფიქრები, ნიადაგ გვმოძღვრავთ
და იღწვით, ჩვენც რომ აგვამაღლოთ ვიდრე ცათამდე.
ბრძნულად წარმართავთ ჩვენს ცხოვრებას მორჩილებისკენ.
- პიპინტი: მე კი ღმერთები ცოტა სხვაფრივ წარმოგედგინა.
- დაუსპრუნბი: ისე შეიცნობს თვითმული მოკვდავი ღმერთებს,
ვითარცა თავად უკვდავები დაუსახვენ.
- მინდაუბი: ჩემი ჭურუში ეს იქნება უპირველესი.
- პისმანტი: ჰო, კეშმარიტად! მუხლს პირველი იგი მოიყრის
ჭვარცმულის ხატთან.
- დაუსპრუნბი: უხორცონო უზენაესნო!
დღეს ჩვენ გმირობა ჩავიდინეთ — ზავი შევკარი —
მშვიდობა შევინდეს კაცს და ღმერთსაც აშიერიდან!
- დაუმანტი: არ გეთანხმებით. მგონი შევცდით. ძმებო, ვოლინი
დღეს ერთად უნდა დავველაშქრა. განა იცით კი,
რა მდიდარია იქაური სავარგულები?!
ახლა როგორი ტყეებია! ტბებს არ იკითხავთ?
თქვენ ოღონდ მხარი დამიჭირეთ და ვით მახვილი
ვოლინს თავს ახლავ დავატყდები.
- მინდაუბი: მაგრამ, დაუმანტ,
- ოთხივე მხარეს ვერ გავწვდებით. უნდა დავუიქრდეთ.
ერთი მხრიდან ქრის მუდამ ქარიც. ალბათ პირველად
დასავლეთს უნდა დავუქროლოთ, მაშინ ეგების
აღმოსავლეთსაც გრიგალივით გადმოვუაროთ.
- დაუსპრუნბი: ნება მომეცით დავასრულო.
- დაუმანტი: კეთილი. ოღონდ
მოკლედ მოხტერი.
- დაუსპრუნბი: უკვდავ ღმერთებს ყველამ მადლი ვუოთ —
ისე სავსეა დღეს სიამით ჩვენი გულები,
ვით ეს მაღალი სასმისები ტბილი ნექტარით.
მათ სადიდებლად დავაქციოთ ჩვენ თითო წვეთი —
შვება გულიდან, თაფლუკი კი — სამწდეურიდან!
მე მოვრჩი. მწყინს, რომ უფრო მოკლედ ვეღარ მოვტყერი.
- დაუმანტი: ღმერთს არ უქნია მეომარი კურთხევისათვის,
იგი ბრძოლაში უნდა მოკვდეს.
(შემორბის მაცნე)

მაცნე: მითხრეს, აქ არის...

დიახ, თავადი კინტიბუტი აქ უნდა იყოს.

კინტიბუტი: რა ამბავია?

მაცნე: ო, თავადო! შენი ხამკვიდრო

გადაიბუგა სამი დღის წინ.

კინტიბუტი: ჰოი, ღმერთებო!

მაცნე: ხოლო ვინც სახტია და უღმობელ მახვილს გადურჩა,

წინ გაირეკეს ნახირივით.

კინტიბუტი: მძლეო ბერკუნო!

ჩემმა ულასუმა ალბათ მითომ წაიბოროტია...

მაცნე: ცხენებიც, ჭოგიც, მარცვლეულიც თან წარიტანეს...

ვინმანტი: ნეტავ ვინ უნდა ყოფილიყვნენ?

მაცნე: სამოსზე შავი

ჭვარი ეხატათ, უცნაურად ლაპარაკობდნენ...

ვინმანტი: აქი ვამბობდი მაგრამ, ვფიცავ, მეც არ მეგონა,

თუ ასე მალე შეგვიტევდნენ — გვაცლიან-მეთქი

კიდევ ორიოდ კვირას მაინც... დავაგვიანეთ.

დაუმანტი: რისი თქმა გინდა?

ვინმანტი: მონორიუს მესამემ, პაპმა,

პრუსებსა და ჩვენ შარშან ომი გამოგვიცხადა —

ეს ჭვაროსნული ლაშქრობაა — პრუსნი ბორგავენ,

დღეს, როგორც ვხედავთ, ჩვენი ჭერიც დამდგარა...

ვინმანტი: მაშინ

დავეწიოთ და ამოვხოცოთ ძაღლისშვილები!

ვინმანტი: სწორი არ არის შენი გეზი — ბოლოდან იწყებ,

საქმე შინ უნდა მოგვარო უწინარესად

და სულ უმოკლეს დროში თანაც. არ დავგვიანდეთ!

დაქსაქსულები მტერსაც აღარ ვეპიტნავენით,

დღეს კინტიბუტი ამოგდეს, ხვალ მე დამცხებენ,

ზეგ შენი წარიც ჩამორეკავს. უნდა შევერთდეთ,

მაშინ ექნებათ ჩვენი რიდიც. რაღას ვუდგაფართ?

კინტიბუტი: მისმინეთ, მამარნო! ახლა მხოლოდ ტირილი მინდა,

ეგების ბანი შემაწიოთ!

პველანი მღერინა: „ო, თავადო სუდაიჩო,

ეს რა დიდხანს გძინებია! —

დაუწვიათ შენი ციხე,

ქალნი შეუგინებიათ.

თვალციმციმა შენი დროშა

ლაფში გდია დახეული,

ციხე უნდა იტირო თუ

მებრძოლნი და სახლერულნი?!

კინტიბუტი: ციხეს მალე წამოვჭიმავ,

კიდევ შევჭმნი ახალ ოჯახს,

მებრძოლები მენანება,

ხელი მათ ხიკვდილმა მომჭრა.

ქვა და კირი თვითონ მომაქვს

ბჭე იწრდება გოჯა-გოჯა,

მაგრამ მებრძოლს მე ვერ ვხედავ,

ჭერ ვაუკაცი არვინ მოჩანს!

ვინმანტი: მონაწილე ვარ, ძმაო, შენი უბედურების.

ხვალ შეიძლება ჩვენც დაგვატყდეს ღმერთების რისხვა.

უძლეველი ხარ შენ, კინტიბუტი, მინდა მოგიძღვნა

კოლაინიას ციხე, მასთან მისი მიწებიც,



ტყეებიც, ხალხიც, საქონელიც. პირველი მუშტი
შენ უნდა იყო, ჩვენ რომ მალე მომხდურს ვაგემებო.
უარს არ მეტყვი, იმედი მაქვს.

პინტინი: გწამდეს, თავადო,

კუბოს კარამდის მსახური ვარ შენი ერთგული...

მინდაუბი: მე არ მაკლია სამსახური, მეტრძოლი მიჭირს.

პინტინი: იქნებ აგვიხსნას მინდაუგმა, უმბაიტის

ციხეს და მიწებს ანაწილებს რისი უფლებით?

მინდაუბი: კოლაინიას ციხე გვერგო მემკვიდრეობით,

ის ჩვენმა მამამ დაგვიტოვა, არ გახსოვს, ვიკინტ?

პინტინი: შენ თუ დაუსპრუნგს, რომელია უფროსი თქვენში?

მინდაუბი: უბედურება კარს მოგვადგა, ახლა წლების თვლა
სისულელია.

პინტინი: რატომ დუმხარ, მიკვირს, დაუსპრუნგ?

დაუსპრუნგი: დღეს ყველას გვიჭირს, რა თქმა უნდა, ვალდებულნი ვართ
ერთმანეთს ხელი გავუწვდინოთ.

პინტინი: ეხ, ქალაჩუნავ!

ხმები: მართალი გახლავთ მინდაუბი!

პირველი ხმა: სწორად სჯის დასტურ!

მეორე ხმა: ხვალ შეიძლება ჩვენც გვიჭირდეს!

მესამე ხმა: ძმას მივეშველოთ!

დაუმბანტი: ყველა მდიდარი დაუდევრად ჰფანტავს ქონებას!

პინტინი: აჰა, მინდაუგ, ეს მახვილი, შენად იგულებ,

გამომართვი და ზე აღმართე, მხოლოდ შენ ძალგობს

მაგისი ტვირთვა. ჩვენც ყველანი შენთან დავდგებით.

სადაც გაიწევ, იქით გასჭრის! ამიერიდან

შენ უნდა იყო აქ, ჩვენ შორის უპირველესი!

შენ გადიარებთ წინამძღოლად.

პინტინი: გწამ გადამდგალა,

და, როგორც ვხედავ, ამ ციხეში ვერ დავისვენებ (გადის.).

პინტინი: ხაიო, დაუმბანტ? შენც მიდიხარ?

დაუმბანტი: დროა წასვლისა.

მე არ დავდლილვარ, არც შორს ვცხოვრობ ამ ადგილიდან.

მინდაუბი: (ყვირის): რატომ არ იდებ ხმას, დაუსპრუნგ, ნუღარ აყოვნებ,
მხოლოდ შენ იცი სწორი სიტყვა!

დაუსპრუნგი: აკი გითხარით,

არ მიყვარს-მეთქი, ძმებო, ხმალი!

მინდაუბი: ხმალს რას დაეძებ,

შენ ცას შეხედე, ღმერთებს უხმე, სანამ ესენი

არ დაქსაქსულან, სიტყვა გვითხარ, სიტყვა დასძარი!

დაუსპრუნგი: არ მოხვედროდეს ეს მახვილი მართალს და უძლურს,
დაგვიცვას ყველა მომხდურთაგან, გადაგვარჩინოს.

ენა და რწმენა, მიწა-წყალი შემოგვინახოს,

ჩვენი ღმერთები, ჩვენი თავი...

მინდაუბი: საკმარისია.

ისიც ახსენე, ახლა ვისაც ხმალი უპყრია.

დაუსპრუნგი: ღმერთებისა და ხალხის რჩეულს შენ მოუმართე,

განგებავ, ხელი დალოცე და აკურთხე იგი,

რათა აღსრულდეს ცათა ნება, რათა მოსარჩლე

იყოს მშრომელი ხალხისა და მშობელი მიწის!

ჩვენც მხარს დავუჭერთ საქმით, სიტყვით...

მინდაუბი: და...

დაუსპრუნგი: მახვილითაც!

ყველანი: ერთხმად გაბრდებით!

მინდაუბი: მეც გპირდებით,
რომ ხმაღს აღვმართავ

მარტოდენ ჩვენი მიწა-წყალის საკეთილდღეოდ,
მშრომელი ხალხის დასაცავად, ხსნად ჩვენი სჯულის!

ვიპინტი: მე მგონი, უკვე დაამთავრეთ. მაღლობა ღმერთებს,
რომ დავყოვნდი და მოგისმინეთ — შინ მუდღესთან
რადაც მექნება მოსაყოლი. ემეტიას
სიცილით სული ამოხდება, როცა გაიგებს,
რომ მეფე უკვე აირჩიეთ. მე აქ არა ვარ
და არც ვყოფილვარ. დაქანცულმა ვერ დავისვენე.
და ისევ უნდა გზას დავადგო. (გადის).

დაუმაბნტი: ჰკუა მერევა.

იქნებ ასე სჯობს... იქნებ მართლაც ამის დრო დადგა,
მაგრამ ეს ფიცი შეთქმულებას უფრო მაგონებს. (გადის)

მინდაუბი: (ყვირის): თქვენ დაბრუნდებით! მაღე ჩემ წინ მუხლზე
იფორთხებთ...

ჩემ წინ კი არა, ჩვენ წინაშე... თავისუფალი,
ერთიანი და უძლეველი ლიტვის წინაშე...
მაღე საზღაურს ის მოგიზღავთ... მე ისევ შევცდი...
გულზე მიგიკრავთ, მოგიტყვებთ!

ხმები: გულზე მიგიკრავთ...

დედა-სამშობლო მოწყალეა!..

დაუსპრუნბი: რა დიდებული.

რა საუვარელი არის მართლაც სიტყვა „სამშობლო“!
რაა სამშობლო, თუ არა ჩვენ, იგი ხალხია —
თუ მართლები ვართ, მართალია მაშინ სამშობლოც.

ხმები: დასტურ ასეა. მართალი ხარ. დედა-სამშობლო

მაინც მეტია — ჩემზე მეტი, ჩვენზე დიდია
ანუ სამშობლო მართალია ჩვენზე უმეტეს!

მინდაუბი: რა დიდებული ნათქვამია!

ვისმანტი: ახლა კი დროა,

თახიც დავცალოთ — მორტას ვუხმოთ, თავლი დავვისხას.
(გადის. შემოდის მორტა)

ხმები: რა ღამაზია!.. ბედი მართლაც მაგას ჰქონია!..

ბედი კი არა, მოიტაცა, მშობლებს წაგლიჯა...

...რა ვუყოთ, დღეს ხომ მაგისია... ხომ გაგიგია —

სახლში ნაცარი მუდამ ცეცხლზე უფრო მეტია...

ამ ქალის პატრონს რას დაკლებს ფუთი ნაცარიც!..

ნუთუ მშვენიერ დიასახლისს არ მოენატრა

შორეულ გზებზე ღვთის ანახრად წასული ქმარი?..

მორტა: ასეთი არის, ბატონებო, ქალების ხვედრი —

მხოლოდ ლოდინში გადის მთელი ჩვენი ცხოვრება.

(მინდაუბი მოშორებით დგას. მორტა ყველას სასმისს აუვსებს და მას უახ-
ლოვდება).

მინდაუბი: ახ, მორტა, მორტა!

მორტა: შენ, მინდაუბი!

მინდაუბი: იყურე, მორტა...

ორივეს ერთი ბედი გვერგო. ორთავ გაგვწირეს.

ჩვენ ხომ შეგვეძლო ბედნიერნი ვყოფილიყავით...

მამულზე ფიქრმა გაგვიტაცა — მე სხვა ვითხოვე,

შენც უნებლიეთ სხვას გაჰყევი, მერედა რატომ? —

დედა-სამშობლო აი, ისევ გაერთიანდა —

ჩვენ გავიწირეთ, ცალკე დავრჩით. ნუთუ განგებას

ასე სჭირდება ჩვენი ტანჯვა, ჩვენი ცრემლები?
ეს სიცრუეა, თავს ვიტყუებით.

მორტა: ჰო, ვიტყუებით.

მაგრამ, როგორც ჩანს, მაღალ ღმერთებს, ასე სწალიათ.

მინდაუბი: რაო, ღმერთებსო, სად არიან ჩვენი ღმერთები?

სამშობლო თუა ერთადერთი ღვთაება ქვეყნად უჩინესი
ისიც სასტიკი... მაგრამ მაინც სამართლიანი. გიგანოვსა
მინდა ეს ღმერთი განურჩევლად ყველამ იწამოს —
მასზე ილოცონ, თაყვანი სცენ, მსხვერპლი შესწირონ.

მორტა: ნუ ლაპარაკობ, მეშინია.

მინდაუბი: მეც მეშინია.

მაგრამ ამქვეყნად ერთადერთი შენ თუ გამიგებ —
შენც ხომ გიჭირს და გეშინია? და განა შევცდით,
ო, არა, მორტა, — ბედმა თვითონ ამოგვიჩია,
პირველი მსხვერპლი ჩვენ ვართ მისი, სხვაც ბევრი იცდის.
ნუთუ არა გვაქვს განწირულებს იმის უფლება,
მცირე ჟამს დავტკბეთ, თავი ვიგრძნოთ ბედნიერებად.
მე დღესაც უნდა მიხაროდეს — ის წუთი დადგა,
მთელი სიცოცხლე რომ ველოდი სიზმრად თუ ცხადლივ,
მაგრამ ეს დიდი საქმის მხოლოდ დასაწყისია,
ნამდვილი ბრძოლა ხვალ იწყება — მე ლიტვას შევქმნი! —
ცეცხლისგან, წყლისგან და ფერფლისგან შევანაწევრებ —
მაგრამ რა ვუყო, ჩვენს ბედს, მითხარ, რა მოვუხერხო...
ახ მორტა, მორტა...

(ჩურჩულით) მრჩევლად დავისვამ მალე ვისმანტს. მალე ორივეს
ჩემს ციხე-კოშკში გადაგიყვანთ. ახლოს იქნები.
ეს ხომ ყველაფერს ერთი-ორად გამიადვილებს.

მორტა: ჰოი, მინდაუბ — უფრო მეტად დავიტანჯებით.

მინდაუბი: ნუ მეუბრები — მსხვერპლს არ შესწევს ძალა სიურჩის.

მას მხოლოდ ძალუძს ყველა პირი ღმერთად შერაცხოს.

ახლა წადი და სტუმრებს უხვად გაუმასპინძლდი...

ძალა არა მაქვს. მარტოდმარტო ყოფნა მწადია...

(მორტა გადის. ისმის მოქვიფეთა შეძახილები: სად არის მინდაუბი? მინდა-
უბს გაუმარჯოს — უპირველეს თავადს!..).

მინდაუბი: მე როდი გთხოვეთ პატივი და დიდება, ხალხო?

თქვენ გსურთ ასეთი რომ მიზილოთ, ვალდებული ვარ
ასეთიც გავხდე — სხვაფრივ, ალბათ, ვერც გიწინამდგრებთ.
ვინც აირჩიეთ, მე ის არ ვარ, უნდა ვეცადო
დიდი სახელი შევიფერო... ჰოი, ღმერთებსო,
შემომსუბუქეთ მძიმე ტვირთი, მომეცით ძალა!
შეოხმეყავით დავივიწყო ჩემივე თავი!

ფარდა

თეთრი მემატიაწე.

შავი მემატიაწე.

1

შავი მემატიაწე: რა ეშმაკურად შეაბრუნა შიკრიკის სიტყვა —

და აირჩიეს მინდაუბი. მთელი სიცოცხლე

ამას ელოდა და ეწია კიდევ საწადელს!

თეთრი მემატიაწე: ახლა შენც გჯერა, მარტო ფაქტი რომ ცოტას ნიშნავს.

რა სულგრძელია მინდაუბი, რა სატანჯველი
დაუტევია მის კეთილ გულს!

შავი მამაკაცი: გული ვინ მიხტა

ქვეყნად მეფეთ და ხელისუფალთ? სასაცილოა...

სხვისი ტყვეობა მათ არ ესმით, მხოლოდ საკუთარ

თავზე წრუნავენ დღენიადაგ, ჩვენ გვატყუებენ —

თქვენზე წრუნებით სულ გავთვრდითო.

ხელისუფლება, ჩემო კარგო, მხოლოდ სკიპტრა

დავა, შუღლი და შეთქმულება. დიდებულ

და ლიტონ სიტყვებს იყენებენ ისინი ფარად,

სულ ტყუიან და გვატყუებენ, მონებსა ჭგვანან.

მათი როგორ გშურს? — ეს ხომ მტკნარი სისუფელია.

თეთრი მამაკაცი: მე მათი არ მშურს. მსურს გულისთქმას მივუხვდე მხოლოდ.

შავი მამაკაცი: არაფერია დაფარული. ყველა ჩვენგანი

მხოლოდ მბრძანებლად იბადება. კიდევ კარგი, რომ

სკიპტრა და ტახტი არ გვარგუნა ყველას განგებაში.

II

მინდაუგის ციხე. მინდაუგო, ვისმანტი და სხვები.

მინდაუგო: მშვიდობა შენდა, ჩემო ვისმანტი, მე უკვე ვწუხდი.

რას იტყვი ახალს, ან რა ისმის შემოიტიით?

რამ ვიკინტმა?

ვისმანტი: ქალს მინდაუგს ვერ გავატანო.

მინდაუგო: არ გითხრა, რატომ?

ვისმანტი: არ მესმისო მისი წრახვების —

ლიტვის მთავარმა მინდაუგმა ახლა დამარხა

ცოლი და უკვე სხვას ეძებსო, — ძალზე მიკვირსო.

შემოიტიის მესვეურმა იხუმრა კიდევ —

სჯობს ახლომანლო ეძებოსო თავისი ბედი,

შორს ნუ წავაო, ხელი იქვე მოაფათუროს...

მინდაუგო: (შემკრთალი) ნეტავ რას ნიშნავს ეს ხუმრობა?

ვისმანტი: ვერაფერს გეტყვი.

ბოლოს დასძინეს, რომ ქალს უკვე ჰყავს გულის სწორი

და იძულებით სხვაზე ველარ გაათხოვებენ.

მინდაუგო: ხომ ხედავ, ვისმანტი, გულით მსურდა შემოიტიაც

გადმომეყვანა ჩვენს მხარეზე — მოყვრობაც ვცადე.

რაკი ვიკინტმა საუფლისთან ბრძოლა მოიგო,

ისე გაურჩა, გაგონებაც არ უნდა ჩემი.

ბეცა ყოფილა, უბედური.

ვისმანტი: უკვე მოხუცდა.

შენც კარგად იცი, ამაყი და თავგერდაც არის.

სახელმწიფოს კი ახალგაზრდა თავი სპირდება.

მინდაუგო: ვაი რომ, ვისმანტი, ჩვენც ვბერდებით... დღე ჩვენც გვაკლდება...

მაგრამ რაღაცის გაკეთება მაინც შევძელით,

რაკილა თავი არ გვახსოვდა, იქნებ დრო არის

ახალი საქმე წამოვიწყოთ, ყველაზე ძნელი?!

სჯობდა, ეს დრო არ დამდგარიყო, მაგრამ რას იზამ —

უნდა დავიწყოთ და დავიწყოთ უძვირფასესით.

მიდი, უბრძანე ჩემს ქალიშვილს მოუხმონ, ვისმანტი.

(შემოდის რამუნე.)

მინდაუგო: ჩემო გოგონა, ისევ სტირი?

რამუნე: მამიკო, წუხელ

დღეა მესამეა, წინ მიჭდა და თმას მივარცხნიდა.

რას დუმხარ-მეთქი, — ვკითხე. მან კი ამოიოხრა

და ხმა არ გამცა.

მინდაუბი: ო, სიზმრები!

რამუნე: ხმა რად არ გამოცა?

მინდაუბი: აბა, რა გითხრა, შე საბრალოვ? არათუ სიზმრის, მოკვდავთა ზრახვის ახსნა გვიჭირს, იმად მოვიხმე, შენი ბედი და მომავალი უფრო მაწუხებს.

მშობელი ვარ და მოვალე ვარ შენზე ვიზრუნო, მსურს ბედნიერი გიხილო და, რაც მოთვარია, დროა, რომ უკვე ემსახურო მშობლიურ ლიტვას.

რამუნე: ვემსახურო? მე უმწეოს რა შემიძლია?

მინდაუბი: მომწიფდი, შვილო, — დროა შენი გათხოვებისა.

რამუნე: რას ამბობ, მამი! მე ხომ აქაც ბედნიერი ვარ.

მინდაუბი: ვიცო, პატარავ, მაგრამ საქმეც კვლავ ბევრი დაგვრჩა.

რამუნე: შენ აღასრულე, დღეს ყველაზე ძლიერი შენ ხარ.

მინდაუბი: ერთს არაფერი შეუძლია.

რამუნე: მე მუდამ მზად ვარ,

როგორც გსურს, ისე მემსახურე.

მინდაუბი: დიდებულია,

შენი იმედი მუდამ მქონდა — ჩემი სისხლი გაქვს.

მაშ, ყური მიგდე — შვილო ჩემო, კარგა ხანია,

რაც შეგიჩიე ლამაზი და მდიდარი საქმრო.

ის მამაცია, ბედნიერი იქნები მასთან.

მოკტბ: ნეტავ ვინ არის ეს ქაბუკი?

მინდაუბი: გალიჩის თავი,

დანილოვიჩი შვარნა — მოძმე და მეზობელი.

რამუნე: უცხო მხარეში? ო, ღმერთებო! რატომ მიშეტებ,

ასე იოლად დედა მე არ შემეღოდა.

მინდაუბი: იგი ჩემს სიტყვას არ შეცვლიდა, ჩემო პატარავ.

რამუნე: შენ არ გიყვარდა დედაჩემი!

მინდაუბი: მე ვის გუყვარდი?

ვინ იყო ჩემთვის? ყველა ცრუ და უღმრთელია.

ყველა მე უნდა შევიცოდო სამაგიეროდ,

ჩემი იმედი უნდა მქონდეთ. (მშვიდდება).

ასე გვჭირდება

დღეს მეც და ლიტვას. შველა უნდა სამხრეთის საზღვარს —

სამხრეთი უნდა გავამაგროთ. ათი დღის შემდეგ

სასიძოც მოვა. ახლა წადი და მოემზადე.

რამუნე: გემუღარები შემიბრალე — არ შემიძლია,

ალბათ მოგკვდები.

მინდაუბი: გათხოვებით არვინ მომკვდარა. (თავისთვის)

ჰო, დედაშენის გარდა. მიდით და გაიყვანეთ!

რამუნე: შენ არ გიყვარდა დედაჩემი!

ვისმანტი: ჭერეთ ბავშვია.

ყოველთვის უნდა დაუყვავო, უნდა აუხსნა.

მინდაუბი: შენ როგორ ფიქრობ — მამა ვარ და გული არ მტკივა?

ძალა არ მყოფნის, საშინელი ტვირთი ვიტვირთე.

ვისმანტი: ნუ სწუხხარ, მალე შეეჩვევა, დრო გაივლის და

კმაყოფილი და ბედნიერიც იქნება მასთან.

მინდაუბი: სწორს ამბობ, მაგრამ შვილს სხვა არვინ არ აძულებს...

ვინ შელოდება?

ვისმანტი: შაშუოლის თავადი გახლავთ —

ვილიკაილა.

მინდაუბი: მიდი, უხმე. ცრემლების გუბებს

არ დააყენებს, იმედი.

ვისმანტი: მას სისხლის გუბე

უფრო სწუროა. მაშ, გაფრთხილდი!

(შემოდის ვილიკაილა).

მინდაუბი: მოხარული ვარ შენი ნახვის. ისიც გავიგე

მხედართა რაზმი გაგიწვრთნია კარგა მოზრდილი.

ვილიკაილა: რაზმიც არ ეთქმის — ორასამდე კაცი იქნება.

ბევრმა მათგანმა ცხენზე ჯდომაც არ იცის.

მინდაუბი: რისთვის გჭირდება მეომრები?

ვილიკაილა: ისეთი დროა,

არავის აწყენს ჭირითის და ლაშქრობის ცოდნა.

მინდაუბი: ძალიან კარგი, ძმაო ჩემო ვილიკაილა,

მართლაცდა რა სჯობს, კაცს სამხედრო საქმე ასწავლოს

ვის ემუქრები, აღარ იტყვი?

ვილიკაილა: დიდო თავადო,

რისთვის მომიხმე?

მინდაუბი: გადავიდეთ მაშინ საქმეზე,

რაკილა ჩქარობ. გაიგებდი, ვილიკაილა,

რომ იანვარში ჩვენ ავიღეთ დიდი სლონიშა.

ვილიკაილა: დიახ, მსმენია.

მინდაუბი: იქნებ გვითხრა, შენს მეზობელთაგან

რატომ არც ერთი არ ერია იმ ლაშქრობაში?

ვილიკაილა: დიდი ქალაქის დასალაშქრად მზად არ ვიყავით.

მინდაუბი: მაშ, როგორც ამბობ, მომზადება ვერ მოახწარი?

სლონიშა დიდი ქალაქია, თანაც მდიდარი,

მაგრამ რად გინდა ღლეშღე არ ჰყავს ქალაქს მმართველი.

იქ მხოლოდ ჩვენი ნაცვალი ზის. შენ როგორ ფიქრობ,

ცოდრი არ არის უპატრონოდ მისი დაგდება?

ვილიკაილა: თუკი სჭირდება, რა თქმა უნდა...

მინდაუბი: ძალიან კარგი.

შეც ასეთ პასუხს მოველოდი და დიდად გმადლობ.

ვილიკაილა: რისთვის? არ მესმის.

მინდაუბი: მე მეგონა, უკვე მიმიხვდი.

(მოულოდნელად)

ჩვენი ნაცვალი სლონიშაში შენ გელოდება —

როდის მოვა და მიიღებსო მმართველის ადგილს.

შეც გეკითხები — მართლაც როდის?

ვილიკაილა: მე და მმართველი?

ეგ შენი სიტყვა ხომ არ ნიშნავს ჩემს გაძევებას?

მინდაუბი: გაძევებას თუ აღწევებას? დაუყოვნებლივ

უნდა გახწიო.

ვილიკაილა: მაშუოლის თავადს აძევებთ,

რადგანაც იგი დაუმანტის მეგობარია —

გამოდის, ჩვენი გეშინია.

მინდაუბი: გულწრფელი ვიყო:

იმ შეთქმულების გამო, მაშინ თქვენ რომ მოაწყვეთ,

აღბათ შენც უნდა ჩამომეხრჩვე, ვილიკაილა,

როგორც ვიბლი და ედივილა, თუ სხვა მრავალი.

მაგრამ დაგინდე — შენც იცი, რომ ხალხი მჭირდება.

ახლა გახწი და ის შეცდომა გამოასწორე —

დამიშტყიცე რომ ერთგული ხარ.

ვილიკაილა: არსად არ წავალ —

მხოლოდ აქ არის ჩემი მიწა.

მინდაუბი: ვილიკაილა,

ერთნაირია მიწა ყველგან.

ვილიპაილა: აგიჯანყდები.

მინდაუბი: დააგვიანე. უარაულო, გამყვევით თავადს
და სლონიმამდე გააცილეთ. პატივში გყავდეთ.
— როცა უველაფერს მოაგვარებ, ვილიკაილა,
მაშინ ცოლ-შვილსაც, მენდე, თვითონ გამოგიგზავნი
მძევლებად უნდა დავიტოვო მანამდე...

ვილიპაილა: პერკუნ!

ჩატომ დადუმდი!

მინდაუბი: ახლა ზუსტად შუა ზამთარია.

როცა შეხვდები, გადაეცი იმ შენს დაუმანტს —
ჭკუას მოეგოს — ხომ იცის, რომ მაინც ერთნი ვართ.
თქვენს მეგობრობას, იმედია, ვერას დააკლებს
ვერც განშორება, ვერც მანქილი. შენი მხედრები
მე დამჭირდება... დიდად გმადლობ, ვილიკაილა!
ხა-ხა-ხა! კიდევ დარჩა ვინმე?

ვისმანტი: ჰო, დაუსპრუნგი.

მინდაუბი: მასაც მოვუხმით, არც მას უყვარს დიდხანს ღოღინი,
თან, რაც არ უნდა იყოს, ჩემი ღვიძლი ძმა არის.

დაუსპრუნგი: (შემოდის) დიდება ღმერთებს!

მინდაუბი: დასკურ მაღალ ღმერთებს დიდება,

რომ ეს პავ გიხილე ცოცხალი და სალ-სალამათი
რა პირი უჩანს წელს მოსავალს? ხომ არ მოაზრო
იანვრის სუსხმა შენი სკები?

დაუსპრუნგი: მე მოსავალზე

სალაპარაკოდ არ მოვსულვარ. სხვა რამ მწადია.

მინდაუბი: კეთილი, ძმაო, არც მე მინდა პურზე ბაასი.

დაუსპრუნგი: მითხარ, რას ნიშნავს ეს ხმები და აყალმაყალი,
შენზე რომ დადის ჩვენს მხარეში: გააძევაო,
მოკლა, დასაჯა, ჩამოახრჩო...

მინდაუბი: ეჰ, სამწუხაროდ,

ჭორი კი არა, ხიშარტლეა...

დაუსპრუნგი: მაშ, ისიც მითხარ,

წმიდათაწმიდა ჩვენი მიწა როგორღა გიძლებს?

მინდაუბი: მეც ეგ არ მიკვირს?

დაუსპრუნგი: ბავშვობაში რა ხატნო იყავ,

არ სცილდებოდი დედის კალთას, უველას უყვარდი,
ვინ იფიქრებდა, შერე მხეცად გადიქცეოდი...

ამბობენ ცოლსაც მოუსწრაფე თითქოს სიცოცხლე...

მინდაუბი: კმარა, დაუსპრუნგი, ნუ გადახვალ ძმათა სიყვარულს,
თორემ არ ვიცი...

დაუსპრუნგი: ვიცი, ვიცი, რომ გამოჩუმებ,

მაგრამ შენს სინდისს, სინდისს მაინც რას მოუხერხებ?

მინდაუბი: ჩემი სინდისი ჩემი ტანჯვა და ტკივილია,

ნუ შეეხებით, თორემ უველა დაიფერფლებით.

გახსოვს, მე თვითონ ავირჩიე ეს მქიმე ზვედრი,

მაგრამ ასეთი უმძიმესი თუ იქნებოდა,

მაშინ ნამდვილად არ მეგონა.

დაუსპრუნგი: საბრალო ძმაო!

მინდაუბი: არა, საბრალო მაინც არა ვარ — ეგრე რომ იყოს.

ქვეყნად არავის ექნებოდა დღეს ჩემი შიში.

დაუსპრუნგი: მაშინ, მინდაუბი, უველა ჩვენგანს ეყვარებოდი!

მინდაუბი: არა სიყვარულს, ტახტი მხოლოდ შიშს ემყარება.

თუ მიხვდებიან, რომ მართალი ვიყავ და სხვა გზა

არ მქონდა და ღროც არ მყოფნიდა სიყვარულისთვის,

იქნებ შემინდონ, მე ხანაცვლოდ არაფერს ველი...

ხულ გოჭა-გოჭა, ნაწილ-ნაწილ ვაწებებ ლიტვას...

დაუსკრუნი: აწებებ სისხლით...

მინდაუბი: სისხლით შეკრულს წყალი ვერ დაშლის.

ბრიყვი ვიყავი და მჭეროდა, რომ თქვენს წილ თიხას მომაშველებდით, მაგრამ აბა ვინ გაისარჯა?

ვინ მომეხმარა, სახელმწიფო მართომ შევქმენი, დღეს ლიტვას ძალუძს ჯვაროსნების დარტყმას გაუძღოს, მაცალეთ კიდევ ათი წელი და გადავრჩენდი...

დაუსკრუნი: რა საფასურით, ძმაო ჩემო, რა საფასურით რად იტანჯება დღეს ლიტვაში თვითონ ლიტველი?

ცულ მაგალითებს ხომ არ ვაძლევთ შთამომავლობას?

მინდაუბი: მე არ დამიდევს საფასური...

დაუსკრუნი: ეგ სულ ერთია,

განა შენ თვითონ არ შექმენი ახალი ღმერთი —

ლიტვა უწოდებ მკრებელურად — ვთქვათ, დაგიჭერეთ,

მაგრამ უგვანო არაკაცმაც, ხომ შეიძლება,

ლიტვის სახელით კაცი ჰკლას და ძარცვოს ქვეყანა?

მაშინ როგორღა გავარჩიოთ მოკეთე მტრისგან?

მინდაუბი: აბა, რა ვიცი. გვედრები, ძმაო, გაჩუმდი.

გულს ნუ მიშხამავ მაგ სიტყვებით, ეჭვს ნუ მიღვივებ,

ნუ ეურჩები ჩემს დიდ მიზანს. მე მხოლოდ ის მწამს,

შეუვალი და მტკიცე ვიყო სხვებზე უმეტეს.

სჯობს სულ უბრალო წვრილმანებზე ვილაპარაკოთ

მოკვდავთა დარად ვით სიყრმისას, როდესაც მამა

ცოცხალი გვყავდა — ძმაო, დაუსკრუნე.

დაუსკრუნი: თუ გულანდილი

სიტყვისაც ასე გეშინოდა, რაღას მომიხმე?

მინდაუბი: მსურდა ჩემ გვერდით ყოფილიყავ, მხოლოდ შენ დამრჩი,

შენ ერთი მყავხარ ახლობელი, სამართლიანი,

მჭირდება, ძმაო, შენი რჩევა, კეთილი გული —

უნდა მიშველო და დამიხსნა შეცდომებისგან...

მხარი ამიბი, განმიცხადე დიდი ოცნება...

შენც გაიგებდი, მიიცვალა ჩემი ქურუმი...

მისი ადგილი ეგებ ძმაო, შენ დაიკავო?..

დიდად არგებდი ქვეყანას და ხალხსაც...

დაუსკრუნი: ღმერთებსაც?

მინდაუბი: რაღა თქმა უნდა, დიდ ღმერთებსაც...

დაუსკრუნი: ხომ არ მცდი, ძმაო?

მინდაუბი: აბა, რას ამბობ!

დაუსკრუნი: ეს თხოვნაა თუ ბრძანებაა?

მინდაუბი: ალბათ თხოვნაა... ჭერჯერობით...

დაუსკრუნი: რაკილა გიჭირს,

რაკილა თავგზა აგებნა და სულ მართლ დარჩი,

რა გაეწყობა, თანახმა ვარ...

მინდაუბი: (მის წინ მუხლებზე იჩოქებს) შემინდე, ძმაო!

მე უმხგავსობა ჩავიდინე... ძალიან მიჭირს,

ახლა თვალეში რომ გიყურებ... დამარტყი, ძმაო,

სახეში უნდა მომაფურთხო... რა ლაჩარი ვარ!

დაუსკრუნი: რა მოხდა, ძმაო, აღარ იტყვი?

მინდაუბი: შენ რომ მოგიხმე,

შენიანებთან ჩუმად დიდი ჯარი გავგზავნე,

დააპატიმრეთ ყველანი და მომგვარეთ-მეთქი...

შენ არც სახლი გაქვს, ძმაო, ახლა და არც მამული...

დაუსკრუნი: რატომ, მინდაუბი, მე უსიტყვოდ ხომ დაგეთანხმე?..

მინდაუბი: ლაჩარს მეგონა, რომ რატომღაც უარს მეტყოდი

და თადარიგი დავიჭირე... ახლავ გავგზავნი
კაცს და ჯარს უკან მოვაბრუნებ, მხოლოდ შემინდო...
დაუსპრუნბი: არა, ნუ ჩქარობ — გატეხილ გულს ვერ გაამრთელებ.
ხელმწიფე ხარ და ყველა შენი უსამართლობა
სამართლებდ უნდა შეირაცხოს, მწარე სამართლებდ..
ძმას რაღას ერჩი, საკუთარ ძმას?..

მინდაუბი: აქამდე თითქოს
ჩემს მტრებთან უფრო მეგობრობდი... ზო, ძმავ, შენთან
დაუშანტი და ვიკინტიც ხომ ხშირად სტუმრობდნენ...
მეომრებს გთხოვდი, შენ კი მხოლოდ პურს მიგზავნიდი.
მეც მეტი რაღა დამრჩენოდა, ვიფიქრე, ალბათ,
გაშვიდა-მეთქი, გადავწყვიტე, ამჯერად ძალით
გამომეგლიჯე ჩემი მტრების ხელიდან, ძმავ.
არ დავგვიანდე-მეთქი, ზოდა, მგონი, აუჩქარდი...

დაუსპრუნბი: არა, მინდაუბ. ახლა მივხვდი, ეს ჩვენი ლიტვა
რა უსაშველო უნდობლობის ზღვაში დანთქმულა.
საკუთარ ძმას თუ არ ენდობი, ვიღასი გჯერა?

მინდაუბი: ირგვლივ ღალატი, სიცრუე და პირფერობაა.
ყველგან მიწყობენ შეთქმულებას და ვეღარ ვუძლებ...

დაუსპრუნბი: არა, მთავარი ეს არ არის. შენ არაფრისგან
შეშქმენი ლიტვა — შემოძლია დაგემორჩილო,
მაგრამ მე შენი არა მჯერა, რა ვქნა, არა მწამს.

მინდაუბი: შემინდო, ძმავ!

დაუსპრუნბი: სხვა გზა არა მაქვს, — უნდა შეგინდო.
ისე მტკიცე ხარ, ძლიერი და ერთსულოვანი,
რომ ალბათ ბოლოს ყველაფერი მოგეტევება.
მაგრამ ჩვენ რა ვქნათ? ვინ ვართ ჩვენ და საით მივდივართ?
ანუ რა ბედი გვატრიალებს? საშინელია
შენი ღვთაებაც, და სხვებს მაინც რად აიძულებ,
მსხვერპლი შეხწირონ მას შენსავით?

მინდაუბი: ის უჩემოდაც

არსებობს, ძმავ, ის ჩვენშია. მაგრამ რატომღაც
ყველა თქვენგანმა დაივიწყა, ყველამ გასწირა.
ციხე-კოშკებში ჩაიკეტეთ, ვერ გრძნობთ, რა დიდი
უბედურება ემუქრება სამშობლოს ჩვენსას.
მე გაიძულებთ გამოფხიზლდეთ.

დაუსპრუნბი: ეგ ძალადობა

ჭეშმარიტება ნუ გგონია. ჩვენცა ვგრძნობთ საფრთხეს
და ამიტომაც აღგაზედეთ... საუბედუროდ... (გადის)

მინდაუბი: როგორ ვიქნები ერთმმართველი, როცა ჩემს ირგვლივ
ყველა მეფეა — ეს რა ჭირი შემყარეთ, ხალხო?
მაშინ მე თვითონ რად გპირდებით? მასხარა თუ ვარ?
თქვენცე დამგლიჯეთ ნაწილ-ნაწილ, როგორღა აღვდგე,
როგორღა შევკრა ახლა ლიტვა, რომელსაც თურმე
ათასი თავი ჰქონებია?
პაუზა, შემოდის ვისმანტი.

მინდაუბი: აქა ხარ, ვისმანტი?

ვისმანტი: აქ ვარ.

მინდაუბი: ტბის იქით ტყეს თუ ხედავ?

ვისმანტი: უღრანი ტყეა.

ნემუნასს გასდევს პრუსიამდე.

მინდაუბი: ტყეს რა ჰქმნის, ვისმანტი?

ვისმანტი: ათასი ჭურის ხე და ბუჩქი.

მინდაუბი: ათასი ჭურის...

- რა აძლებინებო, მათ რა ძალა აერთიანებო?
- ვისმანტო: რა ვიცი. მიწა... ნიადაგი.
- მინდაუბი: იგივე მიწა,
ხეებს რომ ერთად აძმოვილებს, ხალხს რაღას ერჩის?
იგივე მიწა ძმას ძმისაგან რად აცალკევებს?
- ვისმანტო: აბა, რა ვიცი.
- მინდაუბი: შენც დაფიქრდი. უნდა იცოდე.
- ვისმანტო: ალბათ იმიტომ, იმდენი აქვს მიწა თითო ხეს,
სიოცხლისათვის მას რამდენიც სჭირდება, ხოლო
ადამიანებს არასოდეს არ ჰყოფნით მიწა —
ამიტომ გვთიშავს იგი ჩვენ და მტრობას გვინერგავს.
- მინდაუბი: სიმაართლეს ამბობ. ძალუძს მიწას ადამიანთა
შეკავშირება? ჩუ, დამაცა, — ნამდვილად ძალუძს
მას სიამოვნებს, როცა ხარბს და ავხორცს იმონებს —
მიწა ქალია, თან გარყვნილი და მეძავია!
- ვისმანტო: აბა, რას ამბობ, მბრძანებელი? ის წმინდანია,
დედაა ჩვენი.
- მინდაუბი: წმინდანო, არ გეთანხმები.
ერთმანეთისგან ჩვენ ღმერთებიც გვთიშავენ, ვისმანტო.
მხოლოდ მე ერთს მსურს ყველაფერი შევაკავშირო —
ყველას გვჭირდება ერთი ღმერთი და სალოცავი —
დე, ლიტვა იყოს იგი ჩვენთვის. ეს ხალხს არ ესმის,
ვეჭვობ, გაიგებს კი ოდესმე. შენ როგორ ფიქრობ,
ჩვენს ხალხს უღმინს თუ უფრო უჭირს?
ხომ არ შემშილობს?
თუ ჰყოფნის, ვისმანტო, პური, ხორცი?
- ვისმანტო: აბა, რა ვითხრა,
ზოგს უჭირს, ზოგი მაძღარია. ჩვენში ზამთარი
მუდამ მძიმე და გრძელი იცის.
- მინდაუბი: ყოველი დღეო, —
მახსოვს, მეტყოდა მამაჩემი, — უნდა იცადო,
კეთილი საქმით დაამთავრო — მაშინ თვით ღმერთი
მოიქცევაო დღეკეთილად. უბრძანე, ვისმანტო,
დილითვე გახსნან სახელმწიფო ბეღელის კარი
და შენი ხელით მიუწონე ყველა დიდ ოჯახს
და გაჭირვებულ ქვრივ-ობლობას ქვაკი და პური —
უთხარი, ლიტვა იძლევა-თქო, არსობის ლუკმას.
დიდი თავადიც იცადა-თქო თქვენს დახმარებას;
მაგრამ წვრილ-წვრილმა მთავრებმა თუ ქარის ხარდლებმა
არ დააყადეს, დიახ, ხელი შეუშალეს-თქო.
- ვისმანტო: სურვილი თქვენი აღსრულებდა.
- მინდაუბი: რა სიმდაბლეა,
როცა ხალხის გულს ღუკმა-პურით ყიდულობ ხოლმე.
მაგრამ რას იზამ, ახეთია წუთისოფელი.
დედა-სამშობლო იქნებ სწორედ პურის წყალობით
უფრო შეიგრძნონ და შეიტკბონ — პურის გემოთი
ეგების უფრო მოინატრონ, რასა იქმს, ვისმანტო,
შენი ბიჭუნა? ცოლი შენი?
- ვისმანტო: ო, მბრძანებელიო,
ბედნიერი ვარ ჭეშმარიტად. შენც კარგად იცი,
ვერ გადავიდა მამის სიტყვას ჩემი მორტა და
ცოლად გამომყვა.
- მინდაუბი: კარგად ვიცი.
- ვისმანტო: ხოლო მას აქეთ,

რაც შენს ციხეში გადმოვედით, სულ შეიცვალა —
გაიხარა და გახალისდა. ძლივს შემეჩვია.
ბავშვი არ გვყავდა — მეგონა, რომ ბედმა დამჩაგრა —
დაბადებიდან კუზი დამევა — და უცებ ვაჟი!
მრავალმა წელმა განვლო, მაგრამ სულ არ გამწირა —
ბედნიერი ვარ, რა თქმა უნდა!

მინდაუბი: ვაჟს რა დაარქვით!

ვისმანტი: რუკლი დავარქვით,
დღედაღამ ახე ისურვა.

მინდაუბი: რუკლის სახელი მართლაც კარგი შეურჩევია.
გაჭირვებისას ბევრჯერ მხარში ამომდგომიხარ.
სიკეთე მინდა შენთვის, ვისმანტი, ნება მომეცი,
ციხე ვუბოძო პატარა რუკლს, სუდარვის ციხე.
მუუდრო მხარეა, თან ლამაზი სანახებია...

ვისმანტი: მადლს შემოგწირავთ, მბრძანებელო.

მინდაუბი: რისი მადლობა...

მორტას ნახვა თუ შემიძლია? ვაჟის შეძენა
მინდა პირადად მივულოცო...

ვისმანტი: რაღა თქმა უნდა...

გაუხარდება. დღესაც მკითხა, შინ თუ არისო...

მინდაუბი: კეთილი, ვისმანტი. მშვიდობიან ღამეს გისურვებ.
(ვისმანტი გადის)

კმაყოფილი ხარ, მატყუარავ, არარაობავ? —
ორი კეთილი საქმე მქმენი: ხალხს პური მიეც,
ციხე აჩუქე... საკუთარ შვილს! ო, გაიძვერავე!
იქნებ საერთოდ არ არსებობს კეთილი საქმე
და სათნოების არსიც მხოლოდ ანგარება?
იქნებ არც ავი, უკეთური საქმე არსებობს?
დღეს ქალიშვილიც გავათხოვე, ძალით გავაგდე,
გადავასახლე, გავაძვეე ვილიკაილაც,
ძმაც მოვატყუე, მაგრამ იქნებ ეს ყველაფერი
მალე სიკეთით შემოხრუნდეს, მადლობაც მიიხრან?...
არა, ნამდვილად არ არსებობს კარგი და ავი...
თუ არ არსებობს, მაშინ რაა ეს ყველაფერი?
ამაოება და სიცრუე? მხოლოდ სიცრუე... (გადის)

ფარდა

ფარდის იქით დანახავს თეთრ მემატიაწეს

მინდაუბი: ნუთუ ისევ წერ? გულმოდგინედ იღწვი, გეტყობა,
გსურს ისტორიას შეუნახო ჩემი სახელი...

შენი მბრძანებლის კეთილი და ნათელი სახე...

თეთრი მემატიაწე: დასტურ, ვასრულებ შენს ბრძანებას.

მინდაუბი: დღეს, მაგალითად.

მატიანეში რა ჩაწერე?

თეთრი მემატიაწე: სულ წვრილად გეტყვი —

ჩავწერე, როგორ იტანჯები და რარიგ გიჭირს,

რომ ქალიშვილი გაათხოვე, ძალით გააგდე,

რომ გაასახლე, გააძვეე ვილიკაილა,

რომ მოატყუე ღვიძლი ძმა და რომ სახელმწიფოს

სიცრუისა და უნდობლობის ქვიშაზე აგებ...

მინდაუბი: გეყოფა! მართლა ეს ჩაწერე?

თეთრი მემატიაწე: სულ სიმართლეს ვწერ!

მინდაუბი: იმას როგორ წერ, რაც არ გესმის, არ გაგეგება?..
განა ეს არის სიმართლე და გეშვარიტება?
ამოხიე და ჩქარა დაწვი... ბეი, მცველებო!
დილეგში ჩასვით ერთი-ორი კვირით ეს კაცი,
ხმელა პურზე და წყალზე გყავდეთ, დაე, გაიგოს
რაა სიმართლე.

თეთრი მამატიანე: შენ ისეთი კაცი გჭირდება,
ერთს რომ ფიქრობს და მეორეს წერს...

მინდაუბი: გკუას მახწავლი?
მე კარგად ვიცი, ვინ მჭირდება...
(მცველებს გაჰყავთ თეთრი მამატიანე)

შავი მამატიანე: აკი გითხარი,
ფაქტია-მეთქი აქ მთავარი.

თეთრი მამატიანე: მეც ფაქტებს ვწერდი.
ვერ გამიგია ვერაფერი...

შავი მამატიანე: ახლა გაიგებ! ხა-ხა-ხა....

3

მორტას თათბი.
მინდაუბი და მორტა.

მინდაუბი: ადამის შვილი მინდა ვნახო — ძე სიყვარულის,
ძალადობას რომ არ უშვია.

მორტა: მას ახლა სძინავს.
მიდი, დახედე — სულ შენა გგავს. ვისმანტმა შითხრა,
სუდარვის ციხე აჩუქაო, რა ბედნიერი
ბიჭია!

მინდაუბი: ციხეს რომ არ მოაქვს ბედნიერება?!
მაშინ იქნება ბედნიერი, თუ თავისუფალ
და ძლიერ ლიტვას მოესწრება — იმას მოიმკის,
ჩვენ რომ დავთესთ! ბედნიერიც შიტომ იქნება,
რომ ვერასოდეს ვერ გაიგებს, მშობელი მამა
როგორ ქურდულად მოდიოდა მის სანახავად.
მაშინ იქნება ბედნიერი...

მორტა: კმარა, მინდაუბი!

მინდაუბი: მეც მინდა ვიყო ბედნიერი, ჩემს ბიჭსაც მაშინ
მოვეფერები, ეგებ მაშინ მაინც დამდინდეს
მე სიხარულის ერთი ცრემლი — იმ ობოლ კურცხალს
გავუფრთხილდები სიკვდილამდე. ძეგლად დავიდგამ
ჩემი ოცნების და ტრფიალის საფლავზე, მორტა.
ნუთუ იმ ცრემლის ღირსი არ ვარ, ჩემმა თვალებმა
ნუთუ ის ცრემლი ვერ უნდა შეან, ის ერთი ცრემლი?
მეტე არც მინდა — იმ ობოლი ცრემლით ჩავახშობ
ყველა სიხარულს, იმ ობოლი ცრემლით გადავუხდი
მოწყალე ღმერთებს სამადლობელს, რომ გამაჩინეს.

მორტა: გაჩუმდი-მეთქი, გევედრები, ძალა არ მყოფნის,
შორიდან ყველა შენს წუხილს და ტანჯვას ვუყურო.
სარკმლიდან ბევრჯერ მინახინარ, ბოლთას როგორ სცემ
ეზოში შენთვის, მარტოდმარტო, ცხენს მოგართმევინ,
დგახარ და პირუტყვს ეფერები... (შენ ჩემზე მეტად
ბო, პირუტყვს უფრო ეფერები...) და აი, უკვე
შენ ცხენზე უხინარ,
კარს გიღებენ მცველები უხმოდ,

ეშვება ხადი... მავიწყდება სუყველაფერი,
მოვრბივარ, მინდა უნაგირზე ხელი ვიტაცო
და არ გაგიშვა, თუნდაც ცხენმა მტვერში მათრიოს,
ოდონდ შენს გვერდით კიდევ ვიყო, უცებ რაღაცას
წამოვედები და ვფხიზლდები — არ შეიძლება!
მძიმედ მოისმის ხილზე უკვე ფლოქვთა თქარუნო,
მე ზღუბრულზე ვგდივარ, მეჩვენება, მუხთალმა ბედმა
ჩემს დაჭრილ გულზე როგორ მძიმედ გადითქარუნა.
მე მლოცველივით ველოდები ხოლმე შენს აღერსს,
შენს გამოხედვას, თუნდ ერთ სიტყვას,
შენს მწარე სიტყვას...

მინდაუბი: მეც ასე ველი, ჩემო მორტა, რამდენი წელი.
უკვე დავბერდი ამ ლოდინში, ხულ თავს ვიტყუებ,
მცირედი მყოფნის, რა ხანია, გასახარებლად,
თვალს ვერ ვუსწორებ საკუთარ ხულს, ადამიანებს.

მორტა: შენ კაცი ხარ და ძლიერი ხარ... შენ ხარ ხელმწიფე...
ჰო, რაღაც უნდა მოიფიქრო, რაღაც იღონო,
ასე როდემდე უნდა ვიყოთ... მოკალი იგი!

მინდაუბი: დიდმა ღმერთებმა დაგვიფარონ, აბა, რას ამბობ!

მორტა: რა გენაღვლება — სტუმარივით მოდიხარ ჩემთან,
ჩემი საწოლის მეფეცა ხარ, ნუ გავიწყდება.
იმ კუზიანის უღონო და ცივი აღერსი
გულ-ღვიძლს მიწამლავს, ტვირთად მაწევს, მოდი, მიხსენი,
ჩვენი პატარას გულისათვის მიხსენი-მეთქი...

მინდაუბი: მე მოვიფიქრე... თქვენ ორივე ხვალვე გადახვალთ
იმ ჩემს ციხეში... ჰოდა, დიდხანს არ დაბრუნდები,
აღარ გადმოხვალთ უკან ჩემთან...

მორტა: იქ მომაკითხავ?

მინდაუბი: ნადირობისას შემოგივლით, ჩემს ბიქს დავხედავ...
მერე კი იქნებ დავიფიქროთ ჩვენ ერთმანეთი,
იქნებ განელდეს ეს წყეული ციციხლი...

მორტა: რას ამბობ!

არსად არ წავალ, კარს კბილებით ჩავეჭიდები...

მინდაუბი: ეგების ასე უფრო ჯობდეს... ძალა აღარ მაქვს...
უნდა გამიგო, საყვარელო...

მორტა: კარგად დაფიქრდი.
დაფიქრდი-მეთქი, ეს არ არის გამოსავალი,
იქნებ სხვა რამე მოახერხო... ნუ აჩქარდები.

მინდაუბი: კარგი, ვიფიქრებ, თუმც უკეთესს არც ველოდები...
ძილი ნებისა, მორტა! ვწუხვარ და მენატრები...

მორტა: მინდაუბ, ხშირად მინახულე...

ფარდა

მინდაუბი და ვისმანტი

მინდაუბი: საით მიდიხარ, ვისმანტ? უკვე გვიან არ არის?
ვით ახალგაზრდა მამა, ახლა შინ უნდა იქდე.

ვისმანტი: თავადო!

მინდაუბი: აღბათ რაღაც მოხდა.

ვისმანტი: მე აქ ველოდი...

მინდა, რომ გკითხო...

მინდაუბი: გკითხე, ვისმანტ.

ვისმანტი: არ შემოძლია,

ენა მეტყვება, მბრძანებელი... შენ სიყრმიდანვე

მეგობარი და ძმა ხარ ჩემი... ჩემი მამა ხარ...
დაე, ღმერთებმა შეგაჩვენონ... მითხარი, ნუთუ
ეს ყველაფერი მართალია?..
მინდაუბი: რა ვქნა, არ მესმის.
მელაპარაკე ვით კაცს კაცი...
ვისმანტი: ვფიცავ, არასდროს
მოუურადება არ მიცდია, არც ვიფიქრებდი...
როდესაც ოთახს ჩავუარე... (ნეტავ ეზოში
ორივე ფეხი მომტეხოდა!) ყური მოვკარი
მორტას სიტყვებს, რომ... რუკლი ჩემი ვაჟი არ არის...
რომ... მბრძანებელი, ვიცი, მხოლოდ სიმართლეს მეტყვი...
თქვი, რატომ დუმხარ, რად გაჩუმდი, თქვი, ტყუილია,
თქვი, ტყუილია-თქო... მომეჩვენა, მბრძანებელი... ტყუილია-თქო.
მინდაუბი: სამწუხაროდ, სიმართლე გახლავს.
ვისმანტი: მაშ, მართალია იხიც, რომ შენ...
მინდაუბი: ჰო, მართალია.
ვისმანტი: კარგი, გამიშვი... ჩემი ხელით მოვუღებ ბოლოს,
ხანჯალზე უნდა წამოვავო გველის წიწილი,
რომ ყველამ ნახოს, ეს სოფელი რა მუხთალია,
ადარც ძმობა და მეგობრობა, არც სიყვარული —
ადარაფერი დარჩა წმინდა...
მინდაუბი: ჭკუას მოეგე!
ვისმანტი: მაშ, ასე, არა! მე უბედურს გადამაფიწყდა,
რომ ერთგულების ფიცით შემკარ, გზა მომიჭერი...
ჩემი საშველი არ ყოფილა...
(ხანჯალს მკერდში ჩაიდუმს).
ოჰ, რა იოლი, რა ადვილია ყველაფერი...
მინდაუბი: მე არ მომიკლავს!
ჰო, ღმერთებო, მხოლოდ თქვენ ხართ ჩემი თავმდები
(გარბის ყვირილით)
მე არ მომიკლავს! არ მომიკლავს! მე არ მომიკლავს...

ფარდა

(დასასრული იქნება)

ორასიო კიროვა

ფლამინგოს წინდები



თარგმნა კარლო არსენიშვილმა

ორასიო კიროვა

ორასიო კიროვა (1878-1937 წ.წ.) დიდი ურუგვაელი მწერალია. მას ხშირად აღარებენ ედგარ პოს, კიპლინგს, ჯეკ ლონდონს, დოსტოევსკის. მიუხედავად ამისა, მწერალს აქვს თავისი საკუთარი, განუმეორებელი სტილი და საკუთარი თემატიკა. მის თხზულებებში გაცოცხლებულია სელვა — სამხრეთ ამერიკის ჯუნგლი. მოთხრობილია სელვის ბინადართა ამბავი, ამეტყველებულია ბუნება — ფლორა და ფაუნა. მისი ნაწარმოებები თარგმნილია მსოფლიოს მრავალი ზალხის ენაზე. „საუნჯის“ მკითხველებს ეთავაზობთ კიროვას ზღაპარს „ფლამინგოს წინდები“.

გველებმა ერთხელ მეჭლისი გამართეს. ბაყაყები, გომბეშოები. ფლამინგოები, ნიანგები და თევზები მოიწვიეს. თევზებს ფეხები არა აქვთ და ცეკვაც არ შეუძლიათ. რადგანაც საცეკვაო მოედნად მდინარის პირას მდებარე მდელი აირჩიეს, თევზები ქვიშიან ნაპირთან მიცურდნენ, ისინი წყლიდან იწეოდნენ და გახარებულნი ტაშს უკრავდნენ კუდებით.

ნიანგები ბანანების მძივებით მორთულიყვნენ და პარაკვაულ სიგარებს აბოლებდნენ. გომბეშოები თავით ფეხამდე თევზის მბრწყინვალე ქერცლით შემოსილიყვნენ და რწევა-რწევით დასეირნობდნენ. ყოველთვის, როცა ზვიადად მიუახლოვდებოდნენ ნაპირს, თევზები ყიჟინით ეგებებოდნენ და სასაცილოდ იგდებდნენ.

ბაყაყებს სუნამოს სურნელი ასდიოდათ და უკანა ფეხებით დახტოდნენ. კისერზე ფარნის მაგიერ ციცინათელები ეკიდათ, რომლებიც მათ ყოველ მოძრაობაზე ქანაობდნენ.

სხვებზე ლამაზად მაინც გველები გამოიყურებოდნენ. ბალერინებივით გამოწყობილებს, საკუთარი კანის ფერის შესაბამისად ჩაეცვათ. წითელ გველებს წითელი სალექაქე ქსოვილის ქვედატანი ამშვენებდათ, მწვანეებს — მწვანე, ყვითლებს — ყვითელი, ხოლო იარარაკებს შავ და წიბლისფერზოლებიანი მონაცრისფრო სალექაქე ქსოვილი ემოსათ, იმიტომ რომ ამ ჯიშის გველებს ასეთი პერანგი აქვთ.

განსაკუთრებით მარჯნისფერი გველები ანცვიფრებდნენ მნახველს თავიანთი სამოსით. ისინი გრძელ, შავ-წითელ-თეთრზოლებიან გამჭვირვალე წამოსასხამებს აფრიალებდნენ და სერპანტინივით იგრიხებოდნენ. როცა ცეკვავ-

დნენ და ტრიალებდნენ, მიწას მხოლოდ კუდის ბოლოთი ეხებოდნენ და ყველა სტუმარი ტაშს უკრავდა.

ნალვლობდნენ მხოლოდ ფლამინგოები, რომლებსაც იმ დროს თეთრი ფეხები და ახლანდელივით სქელი და კაუჭიანი ნისკარტები ჰქონდათ. სულელი ფრინველები საზეიმოდ ვერ გამოეწყნენ, გემოვნებამ უღალატათ, ამიტომ, როცა მოკაზმულ სტუმრებს უცქერდნენ, შურისგან გული უსკდებოდათ. ყველაზე ძალიან მარჯნისფერი გველებისა შურდათ. ყოვლთვის, როცა თხელ, გამკვირვალე წამოსასხამში გამოწყობილი მარჯნისფერი გველი ლაზათიანი გრენით ჩაუვლიდათ, ფლამინგოები ლამის ბოლმისგან დახოცილიყვნენ.

მაშინ ყველაზე ჰკვიანმა ფლამინგომ თქვა:

— მე ვიცი, როგორც უნდა მოვიქცეთ, მოდით, მოშავო-მოწითალო-თეთრ-ზოლებიანი წინდები ჩავიცვათ და მარჯნისფერ გველებსაც შევუყვარდებით.

უეცრად წამოიშალნენ, მდინარეს გადაუქროლეს და ქალაქის ერთ დუქანთან მიწაზე დაეშვნენ.

— კაკ-კუკ! — ნისკარტებით დააკაკუნეს დუქნის კარზე.

— ვინ არის? — იკითხა მედუქნემ.

— ეს ჩვენა ვართ, ფლამინგოები. ჰყიდით თუ არა შავ-წითელ-თეთრ-ზოლებიანი წინდებს?

— არა, ასეთი წინდები არა მაქვს, — უბასუხა მედუქნემ. — ისე თქვენ ვიყები ხომ არა ხართ? ასეთ წინდებს ვერსად იშოვით.

ფლამინგოები გაფრინდნენ და სხვა დუქნის კარს მიაკაკუნეს.

— კაკ-კუკ! შავ-წითელ-თეთრ-ზოლებიანი წინდები არა გაქვთ?

— რა თქვით? — იქით შეეკითხა მედუქნე. — შავ-წითელ-თეთრ-ზოლებიანი? ასეთ წინდებს ვერსად იშოვით. თქვენ ნამდვილად ჰკუთხე შემცდარ-ხართ, ვინა ხართ?

— ჩვენ ფლამინგოები ვართ, — უბასუხეს ფრინველებმა.

— მაშ, თქვენ გიჟი ფლამინგოები ყოფილხართ.

ფლამინგოები ისევ აფრინდნენ და მესამე დუქანს მიაკაკუნეს.

— კაკ-კუკ! შავ-წითელ-თეთრ-ზოლებიანი წინდები ხომ არა გაქვთ? მედუქნემ წამოიყვირა:

— როგორი? შავ-წითელ-თეთრ-ზოლებიანი? მხოლოდ თქვენნაირი დოყ-ლაპია გრძელცხვირა ფრინველები თუ იკითხავენ ასეთ რამეს, ახლავე გაეთ-რით აქედან!

მედუქნემ ცოცხს დაავლო ხელი და საწყალ ფლამინგოებს შეუტია.

ასე მოიარეს ფლამინგოებმა ყველა დუქანი. ყველგან სულელებს ეძახ-დნენ და ერეკებოდნენ.

ამ დღეში იყვნენ, რომ ერთი კეცტყავა შემოხვდათ. კეცტყავა მდინარეზე ჩასულიყო და წყალსა სვამდა. მან ფლამინგოების გამასხარავება გადაწყვიტა. ძალზე მოკრძალებული კილოთი მიმართა:

— სალამო მშვიდობისა, სენიორ ფლამინგოებო. ვიცი, რასაც ეძებთ: ასეთ წინდებს ვერც ერთ დუქანში ვერ იშოვით. იქნებ ბუენოს-აირესში იყიდებოდეს, მაგრამ იქიდან ფოსტის საშუალებით მოგიხდებათ გამოწერა. მხოლოდ ბუს, ჩემს რძალს, ექნება ის, რაც თქვენ გჭირდებათ, სთხოვეთ მას და შავ-წითელ-თეთრ-ზოლიანი წინდებს მოგცემთ.

ფლამინგოებმა მადლობა გადაუხადეს და გამოქვაბულისკენ გაფრინდნენ. გამოქვაბულში ბუ ცხოვრობდა.

— სადამო მშვიდობისა, დეიდა ბუ. ჩვენ მოვედით შავ-წითელ-თეთრზოლებიანი წინდების სათხოვნელად. დღეს გველებს დიდი მეჭლისი აქვთ და, თუ ჩვენ ასეთ წინდებს ჩავიცვამთ, მარჯნისფერ გველებს შევუყვარდებით.

— ძალიან კარგი! — უბასუხა ბუმ. — ცოტა მოითმენეთ, ახლავე დავბრუნდები.

ბუ გაფრინდა. ფლამინგოები მარტო დარჩნენ. ცოტა ხნის შემდეგ ბუ დაბრუნდა და წინდებიც მოიტანა, მაგრამ ეს წინდები კი არ იყო, არამედ მარჯნისფერ გველთა პერანგები, საოცრად გამჭვირვალე პერანგები. ბუს გველები დაეჭირა, შეეჭამა და პერანგებიც მათთვის გაეძრო.

— აი, თქვენი წინდები, — თქვა მან. — ახლა შეგიძლიათ დამშვიდდეთ. მხოლოდ არ დაგავიწყდეთ, რასაც გეტყვით: მთელ ღამეს იცეკვეთ განუწყვეტლივ, იცეკვეთ, ერთ წუთსაც არ გაჩერდეთ, იბრუნეთ, იტრიალეთ, თავდაყირა დადექით. ერთი სიტყვით, იცეკვეთ, როგორც გსურთ, მაგრამ არ გაჩერდეთ. დაიხსომეთ, წამითაც თუ შეჩერდით, ცუდი დღე დაგადგებათ.

მაგრამ სულელი ფლამინგოები ვერ მიხვდნენ, რა საშიშროება ემუქრებოდათ და, სიხარულისგან მთლად გადარეულებმა, გრძელ ფეხებზე გველის პერანგის წინდები კოხტად დაიჭიმეს. შემდეგ, ბედნიერებმა და კმაყოფილებმა, მეჭლისს მიაშურეს.

ძვირფას წინდებში გამოწყობილი ფლამინგოები რომ დაინახეს, მათი ყველას შეშურდა. გველებს მხოლოდ მათთან სურდათ ცეკვა, მაგრამ ვინაიდან ფლამინგოები ერთ წამსაც არ შეჩერებულან, შეუძლებელი იყო გაერჩიათ, რისგან იყო მოქსოვილი ეს გასაოცარი წინდები.

გველებმა თანდათან იგრძნეს რალაც უბედურება. და როცა ფლამინგოები ცეკვით ჩაუქროლებდნენ ხოლმე, მიწისკენ იხრებოდნენ, რათა უკეთესად დაენახათ ეს უცნაური წინდები.

განსაკუთრებით მარჯნისფერმა გველებმა დაკარგეს მოსვენება. ისინი თვალს არ აშორებდნენ წინდებს და დაძაბულნი ცდილობდნენ ნესტარით შეხებოდნენ ფლამინგოთა ფეხებს. ისინი ხომ ნესტარს ისევე ხმარობდნენ, როგორც ადამიანები ხელებს. მაგრამ ფლამინგოები ცეკვავდნენ და ცეკვავდნენ, ერთ წამსაც არ ჩერდებოდნენ, თუმცა უკვე საკმაოდ დაიღალნენ.

როცა მარჯნისფერმა გველებმა შეატყვეს, რომ ფლამინგოები ძლივსღა იდგნენ ფეხზე, ბაყაყებს ფარნები სთხოვეს. ფარნები პატარა ციციანთელები იყო. გველები შეგროვდნენ და დაელოდნენ, როდის დაეცემოდნენ დაღლილი ფრინველები.

მართლაც მალე ერთ ფლამინგოს ძალ-ღონე გამოეღია, ნიანგის მიერ გადაგებულ სიგარის ნამწვს დააბიჯა, ფეხი გაუსხლტა და წაიქცა. მარჯნისფერი გველები მივარდნენ მას და ფარნები ფეხებზე მიანათეს. მაშინვე მიხვდნენ, რისიც იყო წინდები, და ისე აღშფოთდნენ, მათი სისინი პარანას გაღმა გაისმა.

— ეს წინდები არაა! — სისინებდნენ ისინი. — ჩვენ ვიცით, ეს რაცაა! მოგვატყუეს! ფლამინგოებს ჩვენი დები დაუხოციათ და წინდების მაგიერ მათი პერანგები ჩაუცვამთ! მათ მარჯნისფერი გველების პერანგები აცვიათ!

ფლამინგოებმა ეს გაიგეს თუ არა, მაშინვე მიხვდნენ, რომ ამხილეს. შეშინებულნი აცახცახდნენ და აფრენა დააპირეს, მაგრამ ისე იყვნენ დაქანცულ-

ნი, ფრთის განძრევაც არ შეეძლოთ. მაშინ კი დაესივნენ მარჯნისფერი გველები, ფეხებზე შემოეგრავნენ, გააფთრებულემა თვალის დახამხამებში ნაკუწებად აქციეს წყეული წინდები და ფლამინგოების შიშველ კანჭებს შხამიანი ცბილებით დაეძგერნენ.

ტკივილისგან შეშლილი ფლამინგოები აქეთ-იქით აწყდებოდნენ და გველების მოცილების ლამობდნენ. ბოლოს, როცა სულ შემოაფლირეს წინდები, გველებმა ფლამინგოებს თავი მიანებეს და დაღლილნი გასრიალდნენ, თან დაჰმუჭნულ დოღბანდის წამოსასხამებს ისწორებდნენ. ასე ეგონათ, ფლამინგოები მალე მოკვდებიანო. იმ უბედურების დამკბენელი გველების ნახევარი ხომ შხამიანი იყო.

მაგრამ ფლამინგოები არ ამომწყდარან. აუტანელი ტკივილისგან იგრიბებოდნენ და წყლისკენ მირბოდნენ. თავზარდაცემული ფრინველები გაჰკიოდნენ, თეთრი ფეხები გველის შხამისაგან მთლად გასწითლებოდათ. დღეები დღეებს მისდევდა, მაგრამ ფლამინგოებს კანჭები მაინც სტკიოდათ და ისე ეწვოდათ, თითქოს ცეცხლი უკიდიათო. საბოლოოდ გველის შხამმა ფეხები სისხლისაფრად შეუღებათ.

ბევრმა დრომ გაიარა მას შემდეგ, მაგრამ ფლამინგოები ახლაც მთელ დღეს წყალში დგანან, იქნება როგორმე ფეხები გავიგრილოთო. სამუდამოდ დაწითლებული ფეხები ახლაც ეწვით.

ზოგჯერ ფრინველები წყლიდან ამოდიან და მიწაზე რამდენიმე ნაბიჯს დგამენ. სურთ შეამოწმონ, უკეთესად ვართ თუ არაო. მაგრამ ძველი ტკივილი კვლავ უახლდებათ და მაშინვე წყლისკენ მირბიან. ზოგჯერ ისე ეწვით კიდურები, რომ ცალ ფეხს მალლა სწევენ და საათობით დგანან. განძრევის უნარიც არა აქვთ.

აი, ასეთია ფლამინგოთა თავგადასავალი, რომელთაც წინათ თეთრი ფეხებაჰქონდათ და შემდეგ გაუწითლდათ. თევზებმა იციან ეს ამბავი და ფლამინგოებს დასცინიან. ფლამინგოები კი ფეხებს მკურნალობენ და შემთხვევას არ უშვებენ, რომ შური იძიონ. საკმარისია, რომელიმე გულადი თევზი მათთან ახლოს მიცურდეს და დაცინვა მოუწოდოს, რომ მაშინვე ნისკარტს ჩაჰყოფენ წყალში და იმ თავხედს გადაყლაპავენ ხოლმე.



თარგმანა დოდო გოფონალიძე

დრსებობს ჭეშმარიტად დაუჯერებელი შემთხვევები... მაგალი-
თად, მრავალი წლის მანძილზე არ გინახავს ნაცნობი, რომე-
ლიც ცხოვრობს... თუმცა თავად არ იცი, სად ცხოვრობს. და აი, ინებეთ! უცა-
ბედად თვითონ მოგიჯდება გვერდით ტრამვაიში ან ავტობუსში... სხვაგვარა-
დაც ხდება. ჩამოხვედი, ვთქვათ, კიევში, შედიხარ მაღაზიაში, ჩერდები დახ-
ლთან, ათვალიერებ, რომელი თოჯინა შეიძინო ბავშვისათვის, უხმოვ გაწყიდ-
ველს, თან თვალს არ აშორებ მოწონებულ სათამაშოს. მოულოდნელად შენი
თვალები მის თვალებს ხვდება. ო, ღმერთო! შენ წინ დგას ყოფილი მეუღლე,
რომელსაც პირველ გაზაფხულზე, თქვენს გაზაფხულზე, თავად ეძახდი თოჯი-
ნას. აი, კიდევ შემთხვევა: მიდიხარ ტროტუარზე, უნებლიეთ იგონებ საზღვარ-
გარეთ გამგზავრებულ ძმაკაცს. შენ წინ მიაბიჯებს მამაკაცი. შემობრუნდება.
პოი, საკვირველებავ! ის არის, შენი ძმაკაცი! რამ აიძულა შემობრუნებულიყო?
მანძილზე აზრების გადაცემამ? ტელეპატიამ? ამაზე მეცნიერებიც ყაბულს არი-
ან იბაასონ. მრავლადაა მსგავსი ცხოვრებისეული დამთხვევები. მწერლებს
კი, რომლებიც ამაზე წერენ, ხშირად მეჭორებოდ ნათლავენ.

იდგა ივნისი. ცას ლაყვარლისფერი მოძალებოდა. დნესტრის ნაპირზე თით-
ქოს მთელი ბესარაბია შეიკრიბა. მარცხენა ნაპირიდან პონტონის ხიდებზე მო-
ცურავდნენ საბჭოთა ჯარისკაცები და მოქალაქეები. ჩემ გვერდით იდგა ვი-
ლაც ყმაწვილი. მან ხელი წამავლო და მითხრა:

— შეხედე, მანქანა მოცურავს! — ეს იყო სამხედრო „ამფიბია“.

ყმაწვილს შევხედე. ყურებზე ბლის კუნწულები საყურესავით ჰქონდა ჩა-
მოკიდებული, თვალები უცინოდა. ანცად იცინოდნენ ბლის კუნწულები, ზუს-
ტად მისი თვალებივით, იმ განსხვავებით, რომ თვალები შავი იყო, ხოლო ბლის
ნაყოფი — წითელი. უცებ სიმღერა დაიწყო, „ჩემი დნესტრის სანაპირო“. გა-
მაოცა მაშინ მისმა ხმამ, მართლაც რომ ბუღბუღივით უსტვენდა.

— რა გქვია, ყმაწვილო?

— იონი.

— რა გვარისა ხარ?

— მარინი... შენთან სალაპარაკოდ არ მცალია, საბჭოთა ჯარისკაცი მინდა
ვნახო, ერთი მაინც შევახო ხელი.

ყმაწვილი მდინარისკენ გაიჭრა.

„ამფიბია“ დნესტრს კვეთდა. ჩამოვარდა ყუმბარა. დალაზეროს ეშმაკმა!
თავზე გადაგვევლო მღვრიე ქაფიანი ტალღა. უცებ გავიგონე:

— იმღერე, ბუღბუღო!

...და დაიღვარა სიმღერა:

სმარანდა პირველი ქალია სოფელში,
სადაც ცხოვრობენ მოცეკვავენი.
აღბათ ეს არის მიწები,
რომ მას ჰაბუნი წრეში იწვევენ
თუნდაც ცოტა ხნით...



ნეტა სად მომისმენია ეს წკრიალა ბულბულის ხმა?

— რა გქვია, სერჟანტო?

— იონი.

— რა გვარისა ხარ?

— მარინი.

— ა... ა... სად არის თქვენი ბლები?

— დავკარგე ფრონტზე. ახლა ხომ აგვისტოა და არა ივნისი. აგე ჩვენი ნაპირი! როგორ ბოროტად ზუზუნებენ ტყვიები. ეი, არ მომკლათ, ტყვიებო, მინდა შინ ცოცხალი დავბრუნდე, დედაჩემის დაკრეფილი ვაშლები გჭამო! დიახ... აგვისტოში ვაშლები მზის სხივებით არის სავსე. იმ შემოდგომაზე მოლდავური ჭრელი ხალიჩებივით ელვარებდა ვაშლის ხეები. პაერი მწიფე ყურძნის სურნელით გაჟღენთილიყო. ახლოვდებოდა ქორწილების ჟამი. საცაა მეგობრები აიღებდნენ ტყავგადაკრულ მათარებს, შეკაზმავდნენ ცხენებს და გააქენებდნენ, დაუბრუნდნენ სოფლის ორღობეებს და მოუხმობდნენ სტუმრებს საქორწილო ნადიმზე. მორთულ-მოკაზმული სოფლები თავს მოიყრიდნენ პატარძლის სახლში. იქ კი მათ მეჭვარეები ელოდებიან მხარზე გადაღებული მოქარგული პირსახოცებით.

..მაშინ ჯერ კიდევ ომი იყო. კიშინიოვისათვის იბრძოდნენ. აგვისტო იხუთებოდა დაცხრილული ხეების წითელ ფოთლებში.

ებრძოდა მტერს იონ მარინი — მამაცი, გაბედული ვაჟკაცი, ახალგაზრდა მუხასავით ძლიერი.

— რას ჩაფიქრებულხარ, იონ?

იგი ჩუმად იყო, არ მპასუხობდა, მხოლოდ ავტომატს უჭერდა მძლავრად ზელებს და იშვიათად ისროდა. ეს იყო კიშინიოვის მახლობლად დურლესტში. დედაქალაქის ცენტრში კი მეხუთე დამკვრელი არმია გენერალ-პოლკოვნიკ ბერზარინის მეთაურობით გმირულად უბრძოდა და ავიწროვებდა მტერს.

უცებ სანგრებზე სიჩუმე ჩამოწვა. და აი, უკვე მერამდენედ, გაისმა იონ მარინის სიმღერა:

...ცაში მზე მაღლაა...
სატრფომდე შორსაა...

პოლკის ბულბული უსტვენდა ხერსონსა და ნიკოლაევში, მღეროდა სანგრებში, კიშინიოვის მისადგომებთან.

როგორ გამოიყურებოდა ჩემი ჯარისკაცი-ბულბული? — მაღალი იყო, შავგვრემანი, მარცხენა ლოყაზე დიდი ხალი ჰქონდა. მხიარული, ხუმარა, პოლკის თაოსანი. იგი სოფელ შტეფენუკში მცხოვრები გამოცდილი მევენახისა და მწყემსის დუმიტრუ მარინის შვილი იყო.

იონმა ომამდე დაამთავრა პედსასწავლებელი. ოცნებობდა სკოლაში მუ-

შობაზე, ბავშვების აღზრდაზე... ხოლო ყუმბარები და ჭურვის ნამსხვრევები კი არ ინდობდნენ პატარებს, ჭრიდნენ და ხოცავდნენ მათ ადგილზევე.

იონ მარინი წავიდა სამხედრო კომისარიატში. ითხოვა, რომელი გამოწვევით, მაგრამ უპასუხეს:

— როცა საჭირო იქნება, მაშინ გაგიშვებთ!

— გთხოვთ დაუყოვნებლივ გამგზავნოთ ფრონტზე!

— ეს არ შეიძლება, წესი არ არის!

— გთხოვთ, მე ვერ მოვიცდი, მინდა შური ვიძიო ფაშისტებზე.

კაპიტანი მომღიმარი სახით უყურებდა ჭაბუკს. როგორც ჩანს, ცოცხალი შავი თვალების გამოხედვამ რაღაცით გული აუჩუყა, დაარწმუნა იგი.

— კარგი, მომეცი საბუთები! შენ მობილიზებული ხარ ქვეით ჯარში.

— დიდი მადლობა, ამხანაგო კაპიტანო!

ასე გახდა ჩვენი იონ მარინი წითელი არმიის ჯარისკაცი.

„მუდამ ახალგაზრდა, ბედნიერი და მხიარულია ალექსანდრი“, — წერდა ოდესღაც ემინესკუ პოეტ ვასილ ალექსანდრიზე. მე კი მინდა ასევე ვთქვა ჩემს ჯარისკაც-ბულბულზე, იონზე. უყვარდა მას ხუმრობა და სიმღერა, სიცოცხლე...

მისი პოლკის ჯარისკაცებმა, სხვადასხვა ეროვნების, სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ჭაბუკებმა ისწავლეს ორი მოლდავური სიტყვა:

— კინტე! ფრუმოს!

..და მღეროდა იგი, მოლდავეთის მიწის ბულბული, ახალისებდა სასიკვდილოდ მიმავალ ჯარისკაცებს.

გლეხკაცი, დასხი შაურის,
სად მიგაქვს ეგ ღვინო?
მოაბრუნე შენი ფორანი
ღამის სათევში, სადაც სიბოა
და არა ჰყავს ქალს სახლში ქმარი...

ეს სახუმარო სიმღერა ძალიან უყვარდა, იონი მღეროდა და იცინოდა. მე კი ვუყურებდი მის შავგვრემან სახეს, მის შავ ცოცხალ თვალებს, რომლებშიც სანდაზე ფიქრი, ნალგელი და სევდა ჩაბუდებული. მათ ერთმანეთი ომის დაწყებამდე ორი თვით ადრე გაიცნეს. ერთმანეთს ეფერებოდნენ, კოცნიდნენ, მთვარიან ღამეში, ბაღის მერხებზე მსხდომნი.

სავსე მთვარეც გაოცებულიყო მათი მხურვალე კოცნის შემყურე.

ჰაიდა, იონ! იცოდა მან ახალგაზრდა ქალიშვილების კოცნა! მხოლოდ მიჯნურთა სუნთქვით გამთბარმა ბალახმა და სანაპიროზე ჩარიგებულმა ტირიფებმა იცოდნენ, რამდენს უმღეროდა იგი სანდას. ღმერთო, რამდენი ფიქრი, ამედი და ოცნება ჰქონდა ხვალინდელ დღეზე. იონს არ უთქვამს სანდასათვის, რომ უყვარდა იგი...

დიდ სიყვარულს, როგორც დიდ პოეზიას, ეშინია სიტყვების. მასზე არ ლაპარაკობენ. მისგან მხოლოდ მოუსვენრობა და მღელვარება გვეუფლება და სიმღერები იღვრება გულიდან... და ყველაფერი ალვიძებს მოგონებებს. აი, რა შეემთხვა ერთ-ერთ ჩემს ჯარისკაცს: ერთხელ, ცეკვის, დროს, სანდას ერთი ჟანდარში გადაეკიდა, იონმა სცადა დაეცვა ქალიშვილი. მაგრამ რას გააწყობ-

1. ამდერე, ლამაზია!

და? ჟანდარმს მხარზე თოფი ჰქონდა გადაკიდებული. ეს წყეული ჟანდარმერი! აწიოკებდა სოფელს, როგორც ქორი წიწილებს. იონი თოფის კონდახით მიბეგვეს, ხოლო სანდამ უკუნეთ ღამეში, როცა ცაზე არც ერთი ვარსკვლავი არ ანათებდა, კინალამ დაიღუპა თავი, გაძვრა ჟანდარმების საგუშაგოსთან და ქვევით ჩაამტვრია ფანჯრები. სმენის წამლები ხმით ზრიალებდა ჩამტვრეული მინები, ხოლო სანდა, თითქოს მიწამ ჩაყლაპაო, უგზოუკედლოდ გაქრა.

დილით სოფელში აურზაური ატყდა. სოფლის მამასახლისმა ვერასგზით ვერ გაიგო ღამის შემთხვევის მიზეზი.

...გულის ხსოვნა... მოგონებები... ისინი ხან გახარებენ, ხან გაღონებენ, გაღელვებენ, ხოლო ხანდახან იმედს გისახავენ.

ჩვენი იონი სანგრებში იგონებდა წარსულს, სოფელს, სავსე მთვარეს, გადაგვარებულ ჟანდარმებთან შეტაკებას. ახლა მასაც ჰქონდა თოფი...

...და იღვრებოდა, წკრიალებდა ბრძოლის ველზე მისი სიმღერა, გულიდან ამოხეთქილი. საბრალო რუმინელი ჯარისკაცები, მეფის მონები! ისინიც მღეროდნენ მაშინ, თითქოს დარდი და ჭირ-ვარამი არ იყოს უბედურება. „ჩემო საბრძოლო ტყვიამფრქვევო, შევხვრებ ჭირ-ვარამს შენთან ერთად! დაგუმიზნებ გაქცეულ მტერს, თვითონ კი ვიოცნებებ პატარძალზე, მის ნახშირივით შავ თვალებზე. თუ მტერს ვერ მოვახვედრებ, შენთან ერთად განსაცდელში ჩავიგდებ თავს!...“

...სიჩუმე ჩამოწვა სანგრებზე. თიფები მარწყხივით შემოეჭდო თოფებს. მკვეთრად გაისმა ბრძანება, რომელიც ძლივს ისმოდა ქვემეხების გრუხუნში.

პოლკოვნიკმა სანგრებს ჩამოუბრინა და თან გაჰყვიროდა:

— ბიჭებო! ვუტევთ! კიშინიოვს ვიღებთ! შენ კი, ბუღბუღო, სიმღერით წამოდი ომში!

— ეს შეიძლება, ამხანაგო პოლკოვნიკო, — მიუგო იონ მარინმა რუსულად უცნაური, ყდერადი მახვილით.

შევხედე ჰაბუკს. რა დაემართა? განა შეუძლია მხიარულ მომღერალს იტიროს? არა, არა, მის თვალებში არ იყო ცრემლი, მაგრამ ისინი ძალზე მწუხარედ იყურებოდნენ... ხოლო დახრილი წამწამები მტირალი ტირიფის ფოთლებს უგავდა. ნუთუ წინათგრძნობა სტანჯავდა? იქნებ ეს იყო ფიქრში წასული გულის ხმა? არ ვიცი, არ ვიცი... მე მას ვერ ვცნობდი. უცხო იყო მწარე ღიმილიც, რომლისგანაც მოღრეცოდა პირის მარჯვენა კუთხე. რა დაემართა საბრალოს?

— რა გქვია შენ? — ვკითხე მე.

— იონი.

— გვარი?

— მარინი.

...და ჰაბუკი ამღერდა. სიტყვები არ მყოფნის გიამბოთ, როგორ მღეროდა მაშინ.

...ეულ ალვის ხეებთან
ვძრწოდი დაღამებამდე;
ოლქში ყველა მიცნობდა
არ მიცნობდი მხოლოდ შენ...

...ბრძოლა მოკლე გამოდგა. დავამარცხეთ პიტლერელები. არმიის კორპუს-მა გენერალ დ. ს. ჟერბინის მეთაურობით, გაათავისუფლა კიშინიოვის ცენტრი. ცნობამ რადიოთი მოაღწია მე-2 პოლკშიც, რომელსაც ხელმძღვანელობდა ი. დურნევი. გაიგო ეს იონ მარინმაც და ძლიერ გაიხარა. კვლავ ამღერდა მოლდაველი ბულბული, წამოიწყო სიმღერა ამაყი და მედიდური, როგორც სიხარული, როგორც მწიფე, წითლად მოღაუღაფე ალუბალი.

...შემდეგ იყო შეტევა... და იონის გიმნასტურას შეწყვეტილ სიმღერასავით შემორჩა პატარა შავნაწიბურებიანი ნახვრეტი და სისხლის წითელი ლაქა, მიწაზე დაცემულ უსიცოცხლო ჯარისკაცთან პოლკოვნიკმა სვირიდოვმა მიიბინა, მისმა ყვირილმა ჩაახშო პაერში ლითონის ღრქიალი:

— ბულბულო! ბულბულო!

დასტიროდა რუსი პოლკოვნიკი მკვდარ მოლდაველ ჯარისკაცს.

...შეწყვიტა ცემა მღერიათ გულმა, პოლკის ბულბულის გულმა.





ესტონურიდან თარგმნა ირინა უშვარიძემ

თ ა გ ვ ი

სულშემხუთავი პაერი იდგა...

ზუსტად შუალამე იქნებოდა, როცა ზედამხედველს, საპატიმროს გრძელი დერეფანის ერთი ბოლოდან მეორეში რომ მიდი-მოდიოდა, შემცვლელი მოუვიდა. დიდ საერთო საკანში პატიმრებს ჯერ არ ეძინათ, სულგანაბული უგდებდნენ ყურს ციხის ზედამხედველთა ნაბიჯებს — საკონტროლო შემოვლა ჰქონდათ და ყოველი საკნის კართან ჩერდებოდნენ, გასაღებსა და ურდულებს აჩხაკუნებდნენ.

საერთო საკნის კართან მისულ ზედამხედველებს შიგნიდან ხმამაღალი ხვრინვა მოესმათ. ეს არის ერთადერთი რამ, რაც ღამით საკანში პატიმარს არ ეკრძალება. ვერც აუკრძალავ! გასაღები და ურდულები წესრიგშია. რკინის გისოსის გადახერხვასაც არავენ ფიქრობს, საეჭვოც არაფერი ჩანს.

მაგრამ როგორც კი ზედამხედველები საკანს გასცდნენ, ტახტიდან საცვლის ამარა კაცი ჩამოხტა. ჯერ გაინაბა, მერე კი რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, მოცეკვავესავეით თითის წვერებზე შედგა და, თითქოს კარნახს ელისო, ტახტებისკენ მიიღრია კისერი.

— უფრო ახლოს, კედელთან! — ეჩურჩულებიან ტახტებიდან.

კაცმა კიდევ გადადგა ნაბიჯი, ჩაცუცქდა და იატაკზე პურის პატარა ნაჭერი დადო. ქვედა ტახტზე მჯდომმა აყლაყუდამ მოწონების ნიშნად თავი დაუქნია.

— ყოველლამე გამორბოდა ხოლმე, — დაიქსიტინა იმ პატიმარმა.

— მარტონი უფრო გამბედავები არიან, — უპასუხა რომელიღაც უჩინარმა პატიმარმა.

იმავე წამს სამი კაცი წამოხტა და საკნის კუთხეს ფეხაკრეფით მიაშურეს. ჩაცუცქდნენ და პურის ნაჭერს დააშტერდნენ. აყლაყუდა ქვედა ტახტზე იჯდა და ხელში ჩექმა მოემარჯვებინა. მკრთალ სინათლეზე მაიმუნს უფრო ჰგავდა, ვიდრე ადამიანს. საცვლების ამარა კაცი ზედა ტახტზე ამძვრალიყო და იქიდან დასჩერებოდა იატაკს, ხელში კი კარტოფილი ჩაებლუჯა, კარის მახლობლად კოჭლი ჩოფურა ფხიზლობდა, მუხლებზე დამტვრეული ცოცხი ედო.

მეორე კუთხეში მიმალული პატიმარი კალის კოვზით შეიარაღებულიყო. ფანჯრის ქვეშ სიცივისაგან აკანკალებული ნაბდისჩექმებიანი მოხუცი ჩაცუცქულიყო და წვივსახვევში გახვეული კარდალა მოემარჯვებინა.

კარგა ხანმა გაიარა, კალის კოვზით შეიარაღებულმა პატიმარმა კეფა მოიფხანა და თქვა:

— ეგ ქალბატონი ძალიან ბევრს გვალოდინებს!

— მოითმინე! — შეუტია ქვედა ტახტზე მჯდომმა აყლაყულამ.

დაძაბულ ლოდინში კაცუნი ისმის საკნის კარებზე და რომელიღაც პატიმარი ნამძინარევი ხმით ითხოვს, გარეთ გამიშვიტო.

— რატომაა, რომ ქალებს ასე ძალიან ეშინიათ მისი? — იკითხა უეცრად იმ პატიმარმა, კარტოფილი რომ ჩაებლუჯა ხელში.

ვილაცამ ჩაიქირქილა.

ჩოფურა თავის კუთხეში აქსიტინდა, მაგრამ კარგა ხანს კრინტი არ დაუძრავს. ბოლოს ჩაახველა და თქვა:

— ეგ ტყუილია, უბრალოდ ინაზებიან და იმიტომ კივიან. მე მდიდარი ბიძა მყავდა, ქალიშვილი ეზრდებოდა; ჰოდა, ამ გოგონამ თავგების მთელა ჯოგი მოამრავლა...

— ალბათ თეთრები იყვნენ, — ამბობს უჩინარი პატიმარი.

— ჩუმად! არ გინდათ, რომ გამოვიდეს?! — ბრაზობს აყლაყულა.

ეს გაფრთხილება მხოლოდ თხუთმეტწუთი ჰყოფნით, შემდეგ კი ფანჯრის ქვემოთ ჩაცუცქული, სიცივისაგან აკანკალებული მოხუცი ჰყვება:

— მაშინ ალბათ ხუთი-ექვსი წლისა ვიქნებოდი. ერთხელ დედამ ღამით მარტო დამტოვა. ერთი ოთახი გვქონდა. დილით რომ გამეღვიძა, მესმის, საწოლის ქვეშ ღამის ქოთანში რაღაც ფხაკუნობს. ვიფიქრე, ნამდვილად ეშმაკია-მეთქი... უჰ, როგორ შემეშინდა!

— ცარიელ ქოთანში ჩავარდა და ველარ ამოვიდა? — შეეკითხა ჩოფურა.

— სწორედ რომ ჩავარდა. ღამის ჭურჭელი კი ახალი იყო, მომინანქრული.

ვილაცამ ნალვლიანად ჩაიქირქილა. შემდეგ დიდ საკანში ისევ სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ცოტა ხნის მერე აყლაყულამ ბრაზიანად თქვა:

— ბებერო ქურდო! არცა გრცხვენია, რომ გვატყუებ, შემეშინდაო.

— ისიც მოგვატყუა, პატარა ვიყავიო! — დაუმატა უჩინარმა.

— მე ხშირად შემეშინებია, დედას ბევრჯერ დავუტოვებოდა ღამით მარტო.

— ჩუუ! — თქვა უეცრად კალისკოვზიანმა პატიმარმა და თითი მალლა ასწია. — ისაა!

— თავვი! — დაიჩურჩულა ჩოფურამ.

ერთმა ციცქნა არსებამ საწოლის ქვემოდან გამოირბინა და შემკრთალმა აქეთ-იქით მიმოიხედა. აუჩქარებლად მოჰყვა წინ და უკან ცუნცულს. წამდა-უწუმ დაეჭვებული ინაბებოდა, თან კიდევ კურდღელივით ჩაცუცქდებოდა და უღვაშზე თათს ისვამდა.

პატიმრები სუნთქვაშეკრული უთვალთვალეზდნენ. ბოლოს თავი კარგა ახლოს მივიდა პურის ნატეხთან.

აყლაყულამ ჩექმა შემართა, ჩოფურამ ცოცხი ასწია, საცვლის ამარა პატიმარმა კარტოფილი მოიმარჯვა, ხოლო ნაბდისჩექმებიანმა მოხუცმა — წვივ-

სახვევში გახვეული კარდალა; კალის კოვზიც შემართული იყო.

თავმა პური რომ იპოვა და შეექცა, გულდაგულ დამიზნებული საგნებიც მაშინვე ერთსა და იმავე ადგილზე დახვავდა ხმაურით.

ადამიანები კვალდაკვალ მიჰყვნენ თავიანთ ნივთებს და წამოვრდნენ, მაგრამ თავი, საათობით მოთმინებით რომ ელოდნენ, გაუსხლტნენ მეთექვთესი: კიდევ მოვა და პატიმრებიც დაელოდებიან.

ყველანი შუა საკანში იდგნენ, ზედამხედველმა ურდული რომ გამოსწია და ლანძღვით გააღო კარი.

— რა ამბავია?! — იკითხა მან მრისხანედ.

— მოგვწყინდა! — უპასუხა აყლაყულამ წუთიერი, მტრული ღუმილის შემდეგ. — მოგვწყინდა, ჯოჯოხეთურად მოგვწყინდა!

და ყველა უსიტყვოდ აიძურწა თავ-თავის ტახტზე.

უიღბლო სიყვარული

პირველად რომ სიყვარული მეწვია, ასე ოცს გადაცილებულ ხულზე შეუსრულდა თვრამეტი წელი. დედა მქსოველი ჰყავდა, მამაც ფაბრიკაში მუშაობდა, მაგრამ ლოთობდა. ძმაც ჰყავდა — მეწაღე, არც იმას უჩანდა კარგი პირი, — ალბათ ისიც მამის ჭკალს გაჰყვებოდა.

რაკი ამდენი რამე მითხრა თავის ოჯახზე, აშკარაა, ვუყვარდი. სხვაგვარი მდგომარეობა რომ ჰქონოდა, მაგალითად, მამამისი რომ ბანკირი ყოფილიყო, დედა — მომღერალი, ხოლო ძმა — ყველაზე წესიერი კაცი ამქვეყნად, ბედნიერი სულაც არ ვიქნებოდი. ქალიშვილი მენდობოდა და ეს ნდობა სიამაყით მავსებდა. ყოველი ამაღელვებელი სიყვარული ხომ კეთილშობილური ნდობით იწყება.

მაინც რა მორიდებული ვიყავით! ქალიშვილმა ჯერ კიდევ გაზაფხულზე დაიწყო მუშაობა იმ ბაღში, სადაც მე მოწაფედ ამიყვანეს. კოცნით კი მხოლოდ ზაფხულში, სათბურების მიწებს კირი რომ მოასხურეს, მაშინ ვაკოცეთ ერთმანეთს. მე სათბურში ვიყავი, ქალიშვილი ერთი წუთით შემოვიდა იქ; არ ვიცო, რამე მოიტანა თუ რაღაც უნდა წაეღო. მერე მთელი დღე მისი სიმღერა მესმოდა. რწყავდა ბაღს, სარწყული სარწყულზე მიჰქონდა და თან მღეროდა. ვუსმენდი მის სიმღერას და მეჩვენებოდა, რომ ცეკვავდა კიდევ. ახლა ჩვენ საიდუმლოება გვაკავშირებდა და ვგრძნობდით, რომ ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

იმ დღიდან ხშირად შემოირბენდა ხოლმე სხვადასხვა საქმეზე ჩემს სათბურში. უკვე ვიცოდი, რომ მისი მოკლედ შეჭრილი, ქერა თმა ჩალასავით ხმელი იყო. ჩემს ხელისგულებსა და ლოყებს დღისითაც და ღამითაც არ შორდებოდა ამ სიხმელის შეგრძნება. „ეს ქარის, მზისა და მიწისაგანაა“, — ვფიქრობდი მე; თავლის გვერდით რომ ფარდული იყო, ოცნებით, იმედითა და ბედნიერებით ივსებოდა — ზაფხულში აქ ვიძინებდი; ქვეშაც კი მისი თმასავით ხმელი თივა მეგო.

დადგა შემოდგომა, წვიმამ სათბურის მიწებიდან კირი ჩამორეცხა, მაგრამ ახლა აყვავებული ქრიზანთემები გვფარავდა უცხო თვალთაგან.

და როგორც ზაფხული შეცვალა შემოდგომამ, ასევე სიმღერები შეცვალა ფიქრიანმა საუბრებმა. არც მე და არც იმას არა გვქონია თავშესაფარი. ვოცნებობდით სახლზე, ღუმელზე, საკუთარ სათლებზე, საკუთარ პირსაბანზეც კი, საკუთარ ოჯახზე... რა იქნება, შემოდგომის საღამოები საკუთარ კერასთან გაგვატარებინაო. შემოდგომის წვიმას კი რახარუხი გაჰქონდა სათბურის მინებზე, ჩვენს ოცნებას ბანს აძლევდა.

მაგრამ მალე ჩემი რჩეულის თვალებში ნაღველი შევამჩნიე. ასე მეგონა, იტანჯება და რაღაცას მიმაღავეს-მეთქი. რაღაც აწუხებდა, ეტყობა, თავს დამნაშავედ გრძნობდა. ხშირად გულსტკივილითა და სინანულით შემომხედავდა ხოლმე. ერთხელ თვალცრემლიანმა მითხრა:

— მაპატიე, მაგრამ არა მეგონია, ჩვენს ქორწინებას თავი მოეხსნება.

არაა საჭირო იმის აღწერა, რაც იმ წუთს განვიცადე.

— რატომ? — როგორც იქნა, მოვახერხე და ვკითხე.

დიდხანს არ მიპასუხა, მერე ასლუკუნდა და მითხრა:

— იცი რა, სულ იმას ვფიქრობდი, მხოლოდ მეხანძრეს გავყვები-მეთქი.

— რატომ? — შევეკითხე ენის ბორძიკით.

— მეხანძრეებს მუნდირები აქვთ, — მიპასუხა მან მიაშიტად, — და გულზე მედლებს ჰკიდებენ. რაც მთავარია, მეხანძრე რომ მოკვდება, დიდებულად მარხავენ. ქალაქში პროცესია გაივლის, ორკესტრი წინ გაუძღვება და სამგლოვიარო მარშს დაუკრავს.

— გინდა შენი ქმარიც ასე დამარხონ?

— ჰო, მინდა კუბოს სახურავზე სპილენძის მუზარადი იდოს.

აი, ესეც ჩემი უიღბლო სიყვარულის ამბავი! რატომ არ გავხდი მეხანძრე, რატომ არ მოვიხდომე მუნდირში გამოწყობილს მწყობრი ნაბიჯით მეგლო პარადებზე და მთელი ჩემი სიცოცხლე იმით მენუგეშებინა თავი, რომ ოდესმე მეც ორკესტრის თანხლებით დამმარხავდნენ, ხოლო კუბოს შავებით შემოსილი, მაგრამ პატარძალივით ბედნიერი ჩემი ცოლი გამოჰყვებოდა, სულ ვფიქრობდი, სულ ვეკითხებოდი ჩემს თავს: „რატომ არაფერი იღონე მაშინ, რატომ ვერ მოიმოქმედე რაიმე შენი სიყვარულის გადასარჩენად?“

მაშინ!..

განა მას შემდეგ კი რაიმე ვიღონე?





მთხრობა

უკრაინულიდან თარგმნა ბრიგოლ სიხარულიძემ

მეგობარმა კუნძულზე დამტოვა, თვითონ კი ძრავიან ნავში ჩაჯდა და სოფლისაკენ აიღო გეზი: კაცს დასვენების უამსაც ბევრი რამ სჭირდება, პურს, ზეთს, ასანთსა და მარილს ამოვიტანო.

ხდება ხოლმე, ადამიანი განმარტოებაზე ოცნებობს და, როგორც კი ამის შემთხვევა მიეცემა, მერე აღარ იცის, მოწყენილობას როგორ დააღწიოს თავი. ისე, კაცმა რომ თქვას, რა სჯობია ნეტარებასა და განცხრომას, მაგრამ შენც არ მომიკვდე, თუ არ ხარ ნაჩვევი განმარტოებას, მაშინ არც ძალგიძს ერთბაშად განიცადო ნებივრობის სიამე. თურმე ყველაფერ ამას შეჩვევა სდომებია. თანაც მარტოობის გემოც უნდა გქონდეს და მისი მოხმარაც შეგეძლოს.

კუნძული შუა ღნეპრში მცურავ აფრიან გემს მოგაგონებდათ. მართლაც თავსა და ბოლოში ისრის წვეტივით იყო წაგრძელებული და ქვიშიანი ნაპირიც თეთრად მოჩანდა მოლურჯო წყლის ფონზე. იქაურობა საგსე იყო რკუებით. ღია ლილისფერი თოლიები ხან ერთ თავთან მიცურდებოდნენ, ხან მეორესთან და იშვიათად თუ გაიღებდნენ ხმას, ზაფხულის ამ პაპანაქებაში უღიმამოდ და უმწეოდ ჟღერდა მათი ჭყვილი.

კარავი ნაპირთან, ბუჩქნარში გაემართეთ, იქვე ვთევზაობდით, ტირიფის მსხვილ ტანს შეფარებულნი. საოცარია, საიდან გაჩნდა აქ ტირიფი, კუნძულზე ხე არ ხარობდა. მდინარეში ერთი ხელის ანკესი და ორიც სპინინგი ჩაეუშვით. სპინინგის წვეროებს თითო ეჭვანი მივამაგრეთ, მიმზიდველად და საამოდ რომ ჟღერდნენ. თევზი კი არ ჩანდა. ზოგჯერ წყლიდან ანკესს ამოვიღებდი, მისატყუებელს შევამოწმებდი, მერე ისევ მოვისროდი რაც კი შემეძლო შორს.

გათანგული ზანტად მიეჩერებოდი ზეცას, მცხუნვარე მზისა და ხვატისაგან ბული რომ ასდიოდა. გაღმა მარცხენა ნაპირი ყურეებს დაესერა, ლელქაშებსაც გუბეები და მდინარის პატარ-პატარა შენაკადები დაეფარათ. მარჯვენა ციცაბო ნაპირზე ყვითელი და თეთრი თიხა ბზინავდა, აქა-იქ ტყესაც გაედგა ფესვი. მოშორებით, ტყის პირას, კოცონი ენთო, ხანდახან ახალგაზრდებ-

საც დაულანდავდი ხოლმე, ქათქათა კარვებთან რომ ფუსფუსებდნენ. ან სტუ-
დენტთა ბანაკი იყო, ანაც ტურისტთა სადგომი — იოლად ვერ გაარჩევდა კაცი.

მე და ჩემი მეგობარი უკვე მესამე დღეა ამ კუნძულზე ვართ. საღმრთოებით
უხას ვხარშავთ ცეცხლზე, ვსაუბრობთ. საოცარი თხრობის ფხა ექვს: ეშმა-
კურად შემომანათებს ლოკოკინასავით ჭროლა თვალებს, გუდას თაფს მონსნი და
ჰყვება და ჰყვება ათასნაირ ამბავს, იმასაც, ომის წლებში რომ გადახდომია
ობოლს. მიამბო, როგორ მუშაობდა დონბასის შახტებში, სწავლობდა სახე-
ლოსნო სასწავლებელში, დადიოდა ქალიშვილებთან სასეირნოდ ნათხოვარი
შარვლითა და პერანგით. ახლა რომელიღაც დაწესებულებაში მუშაობს, სადაც,
ვგონებ, პროპაგანდას უწევენ თუ სწავლობენ ყოველგვარ ხალხურ ზნე-ჩვეუ-
ლებას, — და იქაც უფათერაკოდ დღე არ გაილევა ხოლმე...

ცას აღმური ასდიოდა, ნიავეც არ იძვროდა. ამოდენა მდინარე კერაფერს
შველოდა ჩამომდგარ ბუღს. ცივსა და წვიმიან გაზაფხულს ცხელი ზაფხულა
მოჰყვა, თითქოს დანაკარგს უნაზღაურებსო, ბუნებამ ერთბაშად ისურვა დარს
დანატრებული ადამიანის, ფრინველის, საქონლისა თუ მცენარის გათბობა.
სიცხისაგან მისავათებულს ანკესიცა და სპინინგებიც მიმავიწყდა და რული
მომერიდა...

ბურანს თავი რომ დავაღწიე და თვალი გავახილე, წამწამები ამიხამხამდა
და ისევ მოვჭუტე: მდინარის ზედაპირზე ისეთი ბული იდგა, თითქოს მაგმამ
ამოანთხიაო. ის იყო წყალში ჩახტომას ვაპირებდი, ცოტათი მაინც გავგრილ-
დე-მეთქი, რომ ნავის ძრავის თუხთუხი მომესმა. ნეტა ვინ უნდა მოდგომოდა
ნაპირს ან წასულიყო?

მერელა დავინახე, როგორ მიჰქროდა მდინარეზე ძრავიანი ცისფერი ნავი,
რომელსაც გეზი დნებრის მარჯვენა ნაპირისაკენ აეღო. ნავში მზისაგან გა-
რუჯული სამი ახალგაზრდა იჯდა. ერთ მათგანს მკერდზე ძეწკვიანი მედალიონი
უბრწყინავდა, მეორეს იისფერი ქუდი ეხურა, მესამეს წითური წვერი ჰქონდა.
სხვა რამ განსაკუთრებული არაფერი შემიმჩნევია. ამნაირი ბიჭები ათასობით
დაცურავენ დნებრზე.

ვიბანავე, ანკესები შევამოწმე და რატომღაც გულმა რეჩხი მიყო: ქვეცნო-
ბიერად იმ ნავზე ვფიქრობდი, კუნძულს ჩემი ჩაძინებისას რომ მოდგომოდა.

მივარღვევდი მაღალ, ხშირსა და ოდნავ ნამიან გაუთიბავ ბალახს. ირგ-
ვლივ ვათვალიერებდი ყველაფერს. ყოველთვის, როცა კი დნებრს ვეწვეოდი,
სასწაულებრივად მოხიბლული გავყურებდი არემარეს, ვცდილობდი, რაც
შეიძლება მეტი სივრცე დამეტიო თვალსაწიერში. ყველაფერი, რაც ჩემ წინ
გადაშლილიყო და მდინარის გაყოლებაზე შორეთში იკარგებოდა, — ნო-
ლები, ბუჩქნარები და გუბურების თავზე მწვანედ მოხაშხაშე ლელქაშები, მაც-
დუნებელი სივრცე, რომელიც ცის კიდემდე აღწევდა და იქ, დასალიერთან,
ბუნდოვანდებოდა, — ეს ყველაფერი ჰკარგავდა პირველსახებას, ნისლში ეხ-
ვეოდა, ცისფერი ბურუსით იფარებოდა. ამ უკიდევანო სივრცეში შთანთ-
ქმულს მეჩვენებოდა, თითქოს მთელი ეს არემარე ჩემი სულის ნაწილი ხდე-
ბოდა, და იმის შეგრძნება, რომ ეს მოუხელთებელი სივრცე ახლა უკვე ჩემი
საკუთრებაც იყო, სულს მიმალღებდა.

სწორედ ასეთსავე ნეტარებას განვიცდიდი ახლაც, როცა ჩემდა უნებუ-
რად, უმიზნოდ კუნძულის მოპირდაპირე ნაპირისაკენ მივდიოდი.

ჩვენი კუნძული მართლაც საოცრად ჰგავდა აფრაგაშლილ, მდინარეში

ნარნარად მოცურავე იმ პატარა გემს, ნავმისადგომს რომ არასდროს მიაღწე-
ბოდა.

ჰოდა, რამდენი ასეთი დიდი და მცირე კუნძული გაჰქმნულა ღნებრის
თვალუწვდენ წყლებში, ის კი არაა, გგონია, დაცურავენ კიდეც, დაცურავენ,
მაგრამ მაინც ვერასოდეს აღწევენ ვერც მღნარის სათავეს, ვერც კაზა-
ეთას ზღვას!.. შესაძლოა სწორედ ამ ზღვისავენ უჭირავთ გემო-თხრებს და საწ-
ყისი ნათელია, დასასრული კი არა და არ უჩანს!

საკვირველმა ხმამ მაიძულა შევჩერებულიყავი. იქნებ თოლიაა? ფრთოს-
ნები გადაუფრენდნენ ხოლმე კუნძულს, ლამის ბალახამდე ეშვებოდნენ. წამით
მათ ფრენას გავაყოლე თვალი, მივაყურადე კიდეც, საკვირველი ხმა აღარ გან-
მეორებულა. გზა განვაგრძე, ვაფრთხობდი პეპლებს, კალიებსა და ჭიანჭვე-
ლებს, ხვატს რომ ემალებოდნენ დასიცხულნი.

ქანგისფერი კუნძებითა და დამბალი ტირიფის ფესვებით აჭრელებულ
ქვიშიან ნაპირზე რომ გავედი, უკვე ახლოდან გავიგონე ის ხმა, რომელიც
კვნესას უფრო ჰგავდა. იქნებ კვნესა კი არა, წკმუტუნია? გაურკვევლობისა და
შიშისაგან აცახცახებულმა, სულის სიღრმემდე შეძრწუნებულმა კიდეც რამ-
დენიმე ნაბიჯი წარვსდგი.

ძირფესვიანად მოთხრილ ძეწნის ბუჩქის დაჩეჩქვილ ტოტებზე ძალღი
იწვა უმწეოდ: უძლური ფეხები გვერდზე მოჰქცეოდა, ღრუნჩი დამტკნარი ძეწ-
ნის ფოთლებზე დაედო. არ განძრეულა, თითქოს არც დავუნახივარ. მხოლოდ
მაშინ შემომხედა ცალი თვალით, როცა ჩემი ჩრდილი ქვიშაზე მასთან სულ ახ-
ლოს დაეცა.

ეს ცალი თვალი ანთებოდა და აწითლებოდა, ისეთ საშინელ სევდას გა-
მოხატავდა, შეუძლებელი იყო უნებლიეთ არ გადაგდებოდა ტკივილი... დაღე-
ბული ხახიდან დამძიმებული ენა გადმოეგდო. ენის მოლურჯო-მოწითალო ფონ-
ზე მოკლე ფოსფორის ალივით ელვარებდნენ თეთრი ეშვები, ხოლო მათგან
არეკლილი მზის სხივები ნაპერწკლებით ცვივოდნენ... ანთებიანი თვალი
რამდენსამე წამს ნამდვილი ადამიანური ტანჯვით მიცქერდა, ძალღი იგი ერთხე-
ლაც არ დაუხამხამებია.

რადაც ხმა შესაძლოა მართლაც ამოსდიოდა ცხოველს ყელიდან. როცა
ძალღმა ხრინწიანად ჩაახველა, მაშინვე გავიგონე მტკივნეულ ამონასუნთქს
ამოყოლებული ხიხინარევი წკმუტუნი.

იქნებ დატრილია? ან ეგებ რადაც სენისაგან დაფავს სულს? როგორღა
მოხვდა კუნძულზე? არც გუშინ, არც გუშინწინ აქ ძეხორციელი არ გაჰაჰა-
ნებულა — მეგობართან ერთად კიდიტ კიდედღე მოვიარეთ კუნძული: მაში-
ნაც, როცა ადგილს ვეძებდით კარვის გასამართავად და სათევზაოდ, და მაში-
ნაც, როცა ფიჩხს ვაგროვებდით კოცონისათვის.

ნუთუ ძალღი იმ ბიჭებმა მოიყვანეს, ცისფერი ნავით რომ მოადგნენ კუნ-
ძულს? ეს აზრი ისევე სწრაფად გაქრა, როგორც დამებადა, ვინაიდან ჩემი
ყურადღება ცხოველმა დაიპყრო, მაგრამ მომდევნო წამს უკვე ეჭვი აღარ
მეპარებოდა, რომ ნამდვილად ასე იყო: ბიჭებმა მომაკვდავი ძალღი მოიშო-
რეს, ღნებრის კუნძულზე დააგდეს, ეგონათ, უკაცრიელი იყო.

ძალღის წკმუტუნში ჩივილიც ისმოდა და ვედრებაც. მაგრამ რით შემემსუ-
ბუქებინა ზვედრი ან როგორ მეშველა? სილაზე ცარიელი კონსერვის ქილა ეგ-
დო. ავიღე, წყლით ავაკე და დაღებულ ხახასთან მივუტანე, ცოტ-ცოტა ენაზე

დავუწვეთ. წყალი ჯერ ხაოიანი ენის ზედაპირს მოჰყვებოდა და იღვრებოდა, მაგრამ მალე ენა შეუტოკდა, მერე ყელიც შეერხა — ძალლი მაცოცხლებელი ტენის ჩაყლაპვას შეეცადა.

როცა ქილა დაიწალა, სწრაფად მივირბინე მდინარესთან, თან ციებ-ცხელებიანმა ავადმყოფურმა სიხარულმა ამიტანა. მერე იმასაც ვაწყვედრიდი თავს, რაღაც ხანი უქმად რომ ვიდექი ცხოველთან და მაშინვე ვერ დავალევიწე წყალი.

ფრონტი გამახსენდა... მძიმედ დაჭრილ მეგრძოლთა მოგონებამ ისე ამიჩუყა გული, ეს ამბავი ისე ვამსგავსე მაშინდელს, რომ როცა ძალღს ხახაში წყალს ვუხსამდი, როგორც ადამიანს, ისე მივმართავდი:

— დალიე რა... მიდი ჰო... შესვი...

თითქმის მთელი წყალი მიწაზე იღვრებოდა, თუმცაღა ორიოდუ წვეთი მაინც ჩასდიოდა ყელში, ძალლი მეტი მონდომებით აბრუნებდა ენას. უკვე სიმზნევე ჩადგომოდა სულ ახლახან წითლად დაძარღვულ, შეშუბებულ თვალში.

ისევ სწრაფად ვეცი მდინარეს, წამის უქმად დაკარგვისაც კი მეშინოდა. ახლა მეტი რიხით ვთხოვდი, დალიე-მეთქი.

— წყალი მკურნალია. მომჯობინდები, ხომ მართალია? იქნებ ამაზე უარესიც გადაგიტანია...

ჩანს, გაზვიადებულ იმედთან კილოში აქიყალბეც ატანდა, რადგან ძალღმა ცივი, უნდო თვალთ შემომხედა.

სენისა და სიცხისაგან დასუსტებულს მანამდე ვასვი წყალი, ვიდრე ხახა არ დამუწა და ერთ-ორჯერ ფოსფორისფერი ეშვები არ აატკაცუნა.

— ალბათ გშია კიდევაც. მოითმინე, საჭმელსაც მოგიტან.

„მოითმინე-მეთქი“ ვუთხარი, თორემ ის არც აპირებდა ადგომას, ძველებურად იწვა ძეწნის დამჭკნარ ბუჩქზე განწირულსავით. მაინც ვერ მივმზვდარიყავი, რა სენმა უწია ამ უბედურ სულიერს? დაეჯახნა კი იმ ოხერსა და ტიალს, — ძალლი უიმედოდ გამოიყურებოდა. ასე რომ არ ყოფილიყო, მაშინ არც ის სამი ყმაწვილი გადმოსვამდა მას ცისფერი ნავიდან. ძალღის გადარჩენის იმედი გადაუწყდათ ალბათ და იფიქრეს, დნებრის უკაცრიელ კუნძულზე დალიოსო სული.

ჰო, სული დალიოსო... და როცა მე ჩორთით დავრბოდი ძალღსა და კარავს შორის, არ მასვენებდა მწარე ფიქრი იმაზე, რომ ამას იყო ჩემი ცდა, რომ ძალლი ყოველ წამს შეიძლებოდა მომკვდარიყო, და თანაც ეს ყველაფერი ისეთ პაპანაქებაში ხდებოდა, როცა მზე დაუნდობლად აცხუნებდა, თითქოს ღაღარს აყრის დედამიწასო.

მაგრამ როცა ძალღმა იგრძნო, ვუახლოვდებოდი, თავი ოდნავ წამოსწია და ისე მოაბრუნა, რომ ახლა ცალთ კი არა, ორთავე თვალთ შემომხედა. ამ ქცევამ დამაიმედა და გამხიარულებულმა ღიმილით ვუთხარი:

— ეჰეი, შე საწყალო პაციენტო...

ძალღს ძეხვი მოვაყნოსვინე, მერე ნამცეცი ჩამოვფცქვენი და ენაზე დავუდე. მოწითალო ენა შეირხა.

აი, ასე, ნამცეც-ნამცეც, ძეხვს პირდაპირ ხახაში ვუდებდი, და ძალღიც ყლაპავდა. ეს კია, სვენებ-სვენებით ყლაპავდა — წამით თავს დაბლა ხრიდა და სადღაც გვერდზე იყურებოდა ნაღვლიანად.

— რა გჭირს, შე საცოდავო? — ვეკითხებოდი მე, — ცოფი? მაგრამ

არა, ცოფი არ გეჭირვება, მაშინ თავსაც დაიკბენდი და მეც დამკბენდი... ვაითუ მართლაც ცოფია და შენ უკვე დადამბლაგებული ხარ, ფეხები აღარ გემორჩილება? — და თვითონვე ვცდილობდი დამემშვიდებინა: — არა, ცოფიანს არა ჰგავხარ, სულ სხვა სენი გჭირს, ხომ მართალია?

ისევ მივუტანე წყალი და ვასვი ძაღლს — ცოტაოდენი მაინც გადასცდა ყელში, დანარჩენი კი ისევ სილაზე დაიდვარა.

— ჭირი ხომ არ შეგეყარა, ა?... ალბათ ტყეში იბოდიხლავ, ჰოდა, განა ძნელი საქმეა, მელიასა ან ენოტისაგან გადაგდებოდა?... თუმცა ძაღლებს ჭირი შემოდგომასა ან ზამთარში ემართებათ და არა ასეთ ხვატში... არც იმას მოისურვებ, ეგ სენი მე გადმომდო, ხომ ასეა? მე ხომ წყალი ვასვი, მოგასულსიერე, გაჭმევ კიდევაც...

ძაღლმა კიდევ გადაყლაპა ნამცეცი ძეხვი. მისი თვალებიდან ტკივილი გამოსჴვირდა — ეს იყო ნათელი, გამჴვირვალე, როგორც მეჩვენა, ნამდვილად ადამიანური ტკივილი. ძაღლი ქოფაკი როდი გახლდათ, უსაბელოდ რომ დახეტილობენ და არაფერს არ თაკილობენ საქმელად, თანაც თავზე ერთხელ რომ გადაუსვა ხელი ან ნატეხი პური მიუგდო, მაშინვე რომ აგეტორლიალებიან; აბა დაძახილზე ხომ არ გააწბილებენ ვინმეს! არა, ეს ძაღლი თუმცა ძაღზე უმწეო და გასაცოდავებული იყო, მაინც შერჩენოდა რაღაც კეთილშობილური, რაიც მის ჯიშზე მიანიშნებდა. მდევარია? გავა და მხრები ჴრელი ჴქონდა, ზურგზე შავი ლაქები ასხდა: ფეხები და ჩაცვივნილი ფერდები თეთრად უბზინავდა; შეენოდა მოგრძო, ფართო თავი და სამკუთხა ყურები. თვალები? ვგონებ, თაფლისფერი ჴქონდა. კუდი იმ ბასრ იარაღს მოგაგონებდათ, ძველად ცხენებზე ამხედრებული მეომრები იმით ხელჩართულ ბრძოლაში რომ ხოცავდნენ ერთმანეთს. მოკლე ბალნით დაფარულ კანქვეშ მკვრივი კუნთები უთრთოდა.

და თუმცა ძაღლი ახლა უმწეოდ იწვა, მაინც არ გახლდათ ძნელი იმის წარმოდგენა, საღსალამათი ძლიერი იქნებოდა იგი, როცა შემოდგომის ნაირფერი ბალახით აჴრელებულ მშრალ ველზე გარბოდა რომელიღაც ნადირის კვალში ჩამდგარი, როცა ცდილობდა ნადირი მოხერხებულად მიეგდო სანადიროდ გამოსული თავისი პატრონისათვის. ო, რა ლამაზი იქნებოდა საცქერლად ეს ჟინიანი დევნა, ჴეშმარიტი ზეიმი ცხოველური ყოფისა!

— ეჴეი!

მოულოდნელ შეძახილზე წამოვიჴერი — კარავთან ჩემი მეგობარი დავინახე — სასურსათო მივლინებიდან დაბრუნებულიყო უკვე. იმანაც დამინახა თუ არა, უზარმაზარი ნახტომებით გადმოკვეთა მწვანე მინდვრის ფარდაგი, ბული რომ ასდიოდა პაპანაქებისაგან.

— მანდ რას უკირკიტებ? — შორიდანვე მომესმა მისი ტკბილი ხმა. — თევზმა მთელი მისატყუარი შესანსლა, შენ კი არხეინად ბრძანდები...

ნიჟარანავით შრგვალ თვალებში მწვავე კვამლივით ედგა უცაბედი აფეთქების სინანული. წელამდე შიშველი, გაოფლილი, გვარიანად შერუჯული, ზაფხულის ამ პაპანაქებაში ნარბენი ახლა სულაც არ ჰგავდა ქალაქელს, ის კი არადა, ნამდვილ მეთევზეს ჰგავდა, ყოველ თავისუფალ დღეს მდინარეს, ანკესსა და ნავს რომ ანაცვალებს ხოლმე.

— მანდ გინ არის? — მკითხა, როგორც კი მომიახლოვდა.

სწორედ ამ წამს ძაღლმა, აქამდე წყნარად რომ იწვა ცალ გვერდზე და კრინ-

ტიც არ დაუძრავს, დაიღრინა. ეს ღრინი, რაც ღმუილს უფრო ჰგავდა, მისუსტებული იყო, თუმცა ავი მუქარაც გამოსჭვიადა. იმავე წამს ძაღლმა თათები და მთელი სხეული ისე დაძაბა, თითქოს ეს არის წამოვარდებო.

— ძაღლი?! — გაუკვირდა მეგობარს.

ძაღლს ძალიან კი უჭირდა წამოდგომა, მაგრამ მაინც დადგა — მთხივე ფეხზე, თვალებში შიში და ტკივილი ჩადგომოდა. ისევ დაიღრინა და ჯიდაობა მოკლე ბალანი აეშალა. თვალებს არ ვუჭერებდი: ნუთუ მომაკვდავი არსება, ძლივს რომ ითქვამდა სულს, მართლა წამოდგა? წამოდგა კი არა, ჩემი დაცვაც მოინდომა! ჩანს, ახალ პატრონად მიგულა.

— სად იპოვე ეს მური? — შემეკითხა მეგობარი. — კუნძულზე ხომ სულდგმული არ ჰქონებდა?

— აი აჰ... ნავიდან გადმოსვეს.

— გადმოსვეს? არ მესმის. — მეგობარს თვალი არ მოუცილებია ძაღლისთვის, რომელიც მუქარით განაბულიყო. მერე განზე გადგა და რალაც მეტისმეტი გაკვირვებით შემეკითხა:

— რა სჭირს ამ ძაღლს?

— ავადაა... ძნელია რაიმეს თქმა...

— ძნელია? რას ამბობ! ვერა ხედავ, რა დღეშია, ვილაცას ნახევარი გვერდი დაუმდურავს თუ დაუგლეჯია, ნეკნებში სინათლე გასდის.

და მართლაც... იმ გვერდზე, რომლითაც ძაღლი მიწაზე იწვა, დიდი ჭრილობა მოუჩანდა. ჭრილობას თქო და ბეჭის ნაწილიც ჩაეთრია. ბეჭვი გასცვენოდა, ალაგ-ალაგ კანიც დახეთქოდა და სისხლიანი ხორცი მოუჩანდა. ნამდვილად გული დაგეწვებოდა იმ ჭრილობის დანახვისას, რომელსაც შეხორცების პირი არც უჩანდა.

— მდევარია, — თქვა მეგობარმა, — ნამდვილი მდევარი.

ძაღლმა მუქარიანი ღრენით უპასუხა.

— წყნარად, — ვუბრძანე მე. — დაწექ!

მდევარი მიმიხვდა, ენა შეინახა და პირიც დამუწა, აძაგრული ბალანი დაუშვა. მორჩილად დაეშვა მიწაზე — და ისევ დაჭრილი გვერდით დაწვა რბილი ძეწნის ტოტებზე.

— მზეს არიდებს, — მივხვდი მე.

— რაო? — გამეხშიანა მეგობარი.

— ხომ ხედავ, ჭრილობიანი გვერდით წვება მიწაზე. მზემ რომ არ აუწვას იარა...

— რა უქნეს, თუ იცი?

— ვინ?

— როგორ თუ ვინ? ახალგაზრდა თაობამ, აბა სხვა ვინ იზამდა! აი იმათ, ვინც ძაღლი ჩვენს კუნძულზე გადმოსვა. მოიცვილეს, არ უნდოდათ მათ თვალწინ დაეღია სული! — და შეიგინა. — საით გაცურეს?

— მგონი, იმ ბანაკში, გაღმა ნაპირზე რომ მოჩანს.

— რალაც შვება უნდა მივცეთ, — ბრაზით თქვა მეგობარმა. — უნდა ვუმკურნალოთ.

— ასეთ იარაგს რა მოაშუშებს?

— არ შემიძლია ვუყურო, როგორ დაღევს სულს, გესმის? — ცხარედ

მომმართა. — იქნებ გირჩევნია, დავტოვოთ კუნძული, მოვცილდეთ ამ უბედურებას?

— დაწყნარდი, გაქცევა ფიქრადაც არ მომსვლია.

მეგობარმა სინანულით შეხედა ძაღლს, რომელიც გულგრილად გვიცქერდა და არ ეხმიანებოდა ჩვენს დავას. ყურები დამკვნარს ფოთლებივით ჩამოეყარა.

— კეთილი, მაგრამ გულზელდაკრეფილი ხომ არ უნდა ვიდგეთ? ნავში, ვგონებ, რალაცები გვაქვს...

იგი მალე დაბრუნდა, თან ცელოფანის პარკით მოიტანა ყველაფერი, რაც სალაშქრო აფთიაქში ებოვა.

— ცუდია, მაკრატელი არ გვქონია, — თქვა და ძაღლის წინ მუხლებზე დაეშვა. — სამაგიეროდ იოდიცა გვაქვს და სტრებტოციდიც. მაგრამ ასეთ კრილობას რა იოდი და სტრებტოციდი აუვა? მე ხომ ცოტა წამოვიღე, ყოველი შემთხვევისათვის — თითქმის გავიჭრი ან დავიწვავ ან ანკესი გამომედება-მეთქი. — და დაყვავებით მიმართა ძაღლს: — მოდი ერთი გვერდი შეიცვალე, შევუდგეთ მკურნალობას.

ძაღლი, ვგონებ, კვლავ მიგვიხვდა სურვილს, მეგობარი კი ცდილობდა ფრთხილად გადაებრუნებინა ცხოველი. არც მე ვიდექი უსაქმოდ, ვეხმარებოდი... და ჩვენ კვლავ ვიხილეთ შემადრწუნებელი ფართო იარა. კრიჭაშეკრულმა მეგობარმა ბრაზით ამოიხვნეშა.

— ეს ხომ ბარბაროსობაა? კაციჭამიები!... კრილობა უნდა გაიწმინდოს სილისა და სიბინძურისაგან, მაგრამ როგორ? რით? სპირტიც არა გვაქვს. მოვბანდით სუსტი ხსნარით და საქმესაც ეშველებოდა. — და ყასიდი უკმაყოფილებით მომახალა: — ყველაფერი უნდა გაითვალისწინო!

— აბა ვინ იფიქრებდა?

— თავი უნდა გაანძრიო!

და მეც ვიგრძენი ბრალი, თითქოსდა მართლაც ვერ მოვიფიქრე, ვერ გაითვალისწინე გასათვალისწინებელი. მდინარეს ერთი დღით ხომ არ მივაშურეთ, პოდა, აუცილებელი რალაცები უნდა წამოგვეღო.

— კრილობა ჯერ წყლით მოვბანოთ, მერე იქნებ გამოჩნდეს რამე... ხომ არ გადაგვეყვანა?..

გადაყვანა ვერ მოვახერხეთ, ფეხების გადადგმაში ვეხმარებოდით მხოლოდ. ამხანაგს პეშვით მოჰქონდა ღნებრის წყალი და მაცოცხლებელი ტენი ვერცხლივით ბრწყინავდა მის თითებს შორის, მარაოსებრ მოედინებოდა კრილობის ღარებში, აცილებდა ზედ მიმხმარ სილას; მკედარი კანის ნაფლეთები თრთოდნენ, მოკლე ბალანი ძაგდაგებდა და ბზინავდა. ძაღლს თითქოს ეჭვი აღარ ეპარებოდა ჩვენს კეთილგანწყობაში და მორჩილად იდგა, მაგრამ, ეტყობა, კრილობაზე წყალს რომ ვასხამდით, ტკიოდა და ხან აცახცახლებოდა, ხან აკანკალებულ ყურებს შეატოკებდა, ხან კიდევ თვალებს ხუჭავდა.

— აი, ასე, აი, ასე, — ფუსფუსებდა მეგობარი, — ფრონტზე ამაზე უარესს ითმენდნენ ძაღლები. ხომ არ გგონია, ძაღლები არ ომობდნენ? ომობდნენ და მერე როგორ, გმირულად. ეგებ მედლებსაც კი იღებდნენ, ვინ იცის... შენ კი, ყოჩაღ, კაი მოთმენა შეგძლებია! ფრონტზე ალბათ ყველაზე მამაცი იქნებოდი. კეთილი, გვეყოფა, ახლა კი მშრალ ბალახს მივაშუროთ.

განბანვის შემდეგ ძალს ფერი მოუვიდა, სიმხნევე შეემატა. ნაპირს მო-
ვაცილეთ და ძეწნის ბუჩქებში შევიყვანეთ. მოვაგროვეთ რბილი ნიკერი და
ფოთლები, მიწაზე დავაფინეთ.

— დაწევი, — უბრძანა მეგობარმა. — ოღონდ მტკივან გვერდზე კი არა,
ჯანსაღზე, კრილობა ჯერ ცოტათი მაინც უნდა შეგიშრეს მზეზე. ~~ქვემოთ~~
ძალს მართლაც ესმოდა ჩვენი, აღარ ღრინავდა, გვემოჩნდა.

— ნამდვილი გმირი ხარ, — აქებდა მეგობარი, ძალლი კი იწვა რბილ სა-
ფენზე და ხან ერთი თვალით გადმოგვხედავდა, ხან მეორეთი. — აი სწორედ შე-
ნისთანა ძაღლები იყვნენ, ფერდზე ამოკრული ყუმბარებით ქვეშ რომ უვარდე-
ბოდნენ გერმანულ ტანკებს. ევ, ძმობილო, შენისთანა ძაღლები ნაღმების ძებ-
ნაშიც გვეხმარებოდნენ. შენისთანა ძაღლები, ჩემო ძმობილო, მტრის ჯა-
შუშებსაც იჭერდნენ.

— კი მაგრამ, მე მგონი, ეს მღევარი უნდა იყოს, — შევედავე. — და
არა სასამსახურო ძაღლი. არც ნაგაზია, არც სენ-ბერნარი, არც დოგი.

— ბევრი გესმის შენ, — აღმაცერად გადმომკრა მეგობარმა. — თავი კი
გისკდება, ოღონდ უბრალო ფსიქოთერაპიისა ვერაფერი გაგიგია.

— თუ მართლა ფსიქოთერაპიაა...

— სწორედ რომ ფსიქოთერაპია გახლავს. ხომ არ გგონია, ის მარტო ადა-
მიანისთვის არის მოგონილი და ცხოველს არ გამოადგება?

— გამოადგება და მერე როგორ, — ხალისით დავუღაღატურე მეგო-
ბარს გამკილაჲად გადმოკრული სიტყვა.

— მგონი, სტრებტოციდის მოყრის დროა... დასაბანია, რომ სპირტი არ
წამოვიღეთ! ღვინით კი ვინ ბანს კრილობას? ამიერიდან ყოველთვის წამოვი-
ღებ სპირტს, პროფილაქტიკისათვის... აბა მოიტა შენი წყლიანი ქილა...

თუნუქის ქილის ფსკერზე შემორჩენილ წყალში მან იოდი ჩააწვეთა მუქ-
ყვითელი ფლაკონიდან. იმ სუსტ ხსნარში ბამბის ფთილა დაასველა და ფრთხი-
ლად შეეხო იარას, მსუბუქად წაუსვა. ხოლო როცა ძაღლი ოდნავ შეკრთა,
მეგობარმა წამით შეაყოვნა პაერში ბამბა, რათა ცხოველი მოთმინებით შეგუე-
ბოდა დაწყებულ ტკივილს. მერე კვლავ წაუსვა კრილობაზე, ამჯერად უფ-
რო თამამად, და ისევ შეისვენა. ძაღლი უკვე გაუნძრევლად იწვა, თაფლისფერ
თვალეში სევდა გაუქრა, მოკუმული ტუჩების ხაზი ხვატისაგან დამკნარ
და გაუფერულეზულ ბალახის ღეროს დაემსგავსა. მეგობარი კი აწებდა ბამბას
იოდის ხსნარში, უსვამდა კრილობაზე, დიდი სიფრთხილითა და გულისყურით
ექცეოდა ცხოველს, — და მეც მიკვირდა ჩემთვის მიუწვდომელი მისი ბუ-
ნებრივი სიმკვირცხლე, ხელების სასწაულებრივი სიმარჯვე.

— ესეც ასე, — თითქმის ჩურჩულით გამეხმინა მეგობარი. — იოდი
წავუსვით, ახლა სტრებტოციდიც ვსინჯოთ.

ქანგისფერი ქალაღლის პაკეტიდან თითქმის იღებდა თეთრ ფხვნილს და
მომჭირნედ აფრქვევდა იოდწასმულ კრილობას. გვერდიდან გამონაჟონ
ლორწოსა და სისხლში გახსნილი ფხვნილი პირველ ხანებში კარგავდა სითეთ-
რეს, მაგრამ რაც უფრო მეტად აყრიდა წამალს იარაზე ჩემი მეგობარი, მით
უფრო შესამჩნევად ქათქათებდა მარცვლებად შეკრული ფხვნილი.

გაკვირვებული და თანაგრძნობით ავსილი ვიდექი. აფსუს, ვმკურნალობ-
დით ცხოველს და არა ადამიანს.

— ახლა კი გაიხადე პერანგი, — მიბრძანა მეგობარმა, როცა სტრუპტოცი-
დის მოყრა დაასრულა.

— რად გინდა? — ვერ მივხვდი მე.

— მართლაც მიუხვედრელი ყოფილხარ, — ბაგეთა კუთხეებში ზღარბის
ეკლებივით წამოეშალა იგი ნაოჭები. — აბა სად ვიშოვოთ სახვედი?

— უნდა შევუხვიოთ? — მოვისაზრე მე და მაშინვე შევუდექი ქათქათა
სელის პერანგის გაზდას. — ასე გეთქვა, შე კაი კაცო...

— სწორედ ასე გითხარი! — მეგობარმა მარჯვედ გაფხრიწა პერანგი. —
მომეშველე...

როგორც იქნა, შევუხვიეთ კრილობიანი გვერდი — პერანგი ისე შემოვახ-
ვიეთ ტანზე, რომ ზურგზე შევუსკვენიოთ სახელოები, საყელო კი სწორედ
კისერზე მოუწია.

— შეხე, შენს პერანგში როგორ დაგემსგავსა. — ირონიანარევი ალტაცე-
ბით მითხრა მეგობარმა.

— ეგებ უპერანგოდაც მგავს?..

— რატომ გწყინს? — კილო გაულხვა და თვალებში სასიამოვნო სითბო
ჩაუდგა. — გასაჭირსა თუ მწუხარებაში ყოველთვის უნდა დაეხმარო მეგო-
ბარს. ჰოდა, ჩვენც ხომ დავეხმარეთ შეხედე, რა ლამაზია, მინდა შენი სა-
ხელი ვუწოდო.

ეშმაკურად გაიღიმა და შეხვეულ ძაღლს ჩემი სახელით უხმო. საკვირველო
ის იყო, რომ თითქოს ხუმრობას მიგვიხვდაო, ძაღლმა თავი ჩვენკენ მოაბრუნა
და კუდიც გააქიცინა.

— აჰა, სეხნიაც გაგიჩნდა! — გადმოკრა ლამის ახარხარებულმა მეგო-
ბარმა. — პირველმა ვინ გაუწოდა დახმარების ხელი? შენ! თქვენ ახლა ძმად-
ნაფიცნი ხართ.

— გეყოფა მასხრობა, — ვუთხარი მე, მაგრამ ამას რა ლაპარაკი უნ-
დოდა, სიმართლის ნატამალი მაინც იყო მის ხალას ხუმრობაში.

— ახლა კი ხვატს გავარიდოთ. აღვმართოთ კარავი — სასახლე როკო-
კოს სტილისა.

მართლაც, ძაღლისთვის აღვმართეთ „სასახლე როკოკოს სტილისა“: სილაში
ჩასობილ ფარჩხა ჯოხებზე მწვანე ძეწნის ტოტები შემოვაწყვეთ. ახლა ჩვენი
ოთხფეხა პაციენტი ჩრდილში იწვა, ზაფხულის მცხუნვარე მზეს მოფარებული.
მზე კი შუბის წვერზე იდგა და ცეცხლოვანი სხივებით ისრავდა დედამიწას.
ეს სხივები კრაზანასავით იკბინებოდნენ და უპერანგო მხრები ღუმელივით
მიხურდა.

მეგობარი სილაზე იჯდა, ისე ამოძრავებდა ფეხის გაპარჭყულ თითებს, თით-
ქოს პაპანაქების უხილავ ალს იგერიებდნო.

— გინახავს ოდესმე მღევრებით ნადირობა?

— მღევრებით? მინახავს, თუმცა არც ისე ხშირად.

— ხომ დიდებული სანახავია, ა? — დაწვდილად მკრთალ სახეზე უცებ
სიხარულისა და ალტაცების ათინათი აუციიგდა. ოდესღაც განცდილი, ახლა
ჩათელ მოგონებად ამოუტივტივდა მეხსიერებაში. — გამოცდილი მონადირე-
ები ამბობენ, რომ ზოგმა მღევარმა ძაღლმა დანამდვილებით იცის, სად იმა-
ლება ნადირი. ზოგი კიდევ იბოდიანებს ბუჩქებსა და ხეებს შორის, ირბენს
ალაღბედზე, ბრმად, და უცებ შემთხვევით დააფრთხობს და წამოაგდებს ნა-

დირს. ასეთ მღევარს შეუძლია გვერდიც აუაროს ნადირს, ვერ აავდოს იგი და ნადირიც განაგრძობს წოლას. მაგრამ არიან ოსტატებიც, რომლებიც არა მარტო წამოაგდებენ, არამედ მიჰყვებიან კიდევაც კვალდაკვალ საზრითა და სიმარჯვით... ხომ იცი, რა ეშმაკიც არის კურდღელი, რა ნაირ-ნაირ მარყუტებს აკეთებს, როგორ აბნევს კვალს? კურდღელს რომ მისდის და ამოიყვანოს მისი დახლართული ნაკვალევი, მარტო გამოცდილება, ყნოსვა და შეუძლებლობა კი არ არის საჭირო, არამედ ქვეცნობიერების ნიჭიც, სწორედ ის ცხოველური ინტუიცია, რასაც გონებით მხოლოდ წარმოვიდგენთ.

— ქვეცნობიერება, ინტუიცია...

— მაშ როგორ გეგონა!.. შეგრძნება, ყნოსვა!.. ეგებ ჩვენი პაციენტი სწორედ იმათ რიცხვს ეკუთვნის? იქნებ კურდღლის კვალის ძებნის ოსტატია? მშვენივრად მისდევს მგელსა თუ მელიას? შესაძლოა თავისი საქმის ხელოვანიც არის, ვინაიდან ყოველ საქმიანობაში უპირველეს ყოვლისა ხელოვანს აფასებენ?

საოცრად ჟღერდა შემოდგომისა თუ ზამთრის ნადირობაზე საუბარი ზაფხულის ამ პაპანაქებაში.

უცებ ჩვენი „როკოკოს სასახლე“ შეირხა. ამრიალდა და ჩემს პერანგში გამოწყობილი სეზნია მზის სინათლეზე გაშოვიდა. იქ, სადაც იარა ჰქონდა, პერანგზე წითელ ლაქად აჩნდა უკვე მიმხმარი სისხლი. ძალღი მოხერხებულად აღგამდა ფეხებს, ჯერ ფრთხილად, მერე კი სულ უფრო აუჩქარა და ნაპირისაკენ მოუსვა.

— ეჰეი, საით?! — შეუძახა გაოგნებულმა მეგობარმა. — დახე, როგორ მომჯობინდა და გამოცოცხლდა!

ერთხანს ვერ დავიჯერე, რომ ეს ყველაფერი მართლაც ხდებოდა. ძალღი ნაპირთან მივიდა, წინა ფეხებით სველ სილაზე დადგა, თავი ოდნავ ასწია და მოჰყვა ყმუილს. ყმუილი იგი განწირული და ნალვლიანი იყო, მაგრამ, ცხადია, შორს ვერ მისწვდებოდა. ყოველ შემთხვევაში, ვერ გადალახავდა ამოდენა მდინარეს, ვერ გააგონებდა გაღმა ნაპირს, სადაც ტყის სიგრილეში, ბუჩქებსა და ხეებს შორის ახალგაზრდული ბანაკის კარვები ქათქათებდა, სწორედ იმ ბანაკისა, საიდანაც საღამოდან გარიჟრაჟამდე ჩვენამდე აღწევდა სიმღერა და გიტარის ხმა.

— ნალვლობს, — დაასკვნა მეგობარმა.

— იქნებ ტკივილისაგან ყმუის?

— ადრე ხომ უფრო ტკიოდა, მაგრამ არ უყმუევლია... ახლა კი — დარღისაგან არის ეს... ნახე, სული მოითქვა, მომჯობინდა, უკვე ძალაც ერჩის სა-ნალვლოდ.

შესაძლოა ძალღი მართლაც ნალვლობდა თავის პატრონს, იმ ყმაწვილებს, ეულ კუნძულზე რომ გადმოსვს. ყმუილი საცოდავად და გულისწამლებად ისმოდა, თითქოს უწვრილეს სიმს ჩამოჰკრესო, ხან ძლიერდებოდა, ხან უიმედოდ ჟღერდა.

— რას არ შეესწრები კაცი! მოიცვილეს, ცოცხლად სიკვდილი მიუსაჯეს, მას კი არ შეუძლია ჩასწვდეს ადამიანურ სისასტიკეს, ამ დაუნდობლობისთვისაც კი უღალატო სიყვარულით მიუზღავს. ერთგულება! ახლა ვისგან უნდა ისწავლო იგი, ა?

დაე, ჩემი შეგობრის შეკითხვა ლაღად დადგეს. მაშ რა უნდა შეპასუხნა?

— ვუშველოთ მდევარს. ყოვლად შეუძლებელია, ვერ გადავარჩინოთ ასეთი ჯიშისანი ძაღლი. შეფერილობა ნახე, წმინდა სისხლისაა! სოფელში ავირბენ ნავით, საავადმყოფოში გამოვართმევ წამალს — თევზის ქონს, მანგანუმს, სახვევს. თუ იქ ვერ ვიშოვე, კოლმეურნეობის ზოოვეტპუნქტში მოვხსინჯავ. ზომ მართალს ვამბობ? არ მივატოვებთ შენს სეხნიას... წარმოგიდგენია, როგორ ვინადირებთ შემოდგომაზე მისი წყალობით?.. აბა, გავიქეცი!

მალე გაისმა ძრავის დაგადუგი, მერე თანდათან მინელდა და ბოლოს მიუყუჩდა. თითქოს იმ ხმებმა გამოაფხიზლაო, ძაღლი გაჩუმდა, მერე კი მოჰყვა სირბილს მდინარის პირას, სილისაგან თეთრ ზოლად რომ იყო გამოყოფილი. ნელა დარბოდა, აღმა-დაღმა, გამუდმებით გაჰყურებდა უკიდვანო ღნებრის სივრცეს. ჩემკენ სულ არ იხედებოდა. ანაზად გულის აჩუყებისა თუ თანაგრძნობისაგან საშინელი კრუნჩხვა ვიგრძენი, ყელი გამიშრა, თვალები კი ისე ამეწვა. ცრემლები რომ მოგაწვება კაცს. ნებისყოფის დიდი დაძაბვით დავძლიე წამიერი სისუსტე... ანკესებისათვის უნდა დამეხედა, და მეც მოვიხმე ძაღლი. ყურიც არ მათხოვა, ზოლო როცა მე დავიძარი და უკვე ხვატისაგან გახურებულ მოშრიალე ბალახში მივაბიჯებდი, გამომსდია მაინც.

— შედი კარავში! ეს იქნება შენი სამკურნალო პალატა. გაიგე? აბა, მოკურცხლე პოსპიტალში...

მაგრამ ძაღლი კარავში არ შესულა, შესასვლელთან დაჯდა, მაგრად გაშვართა თეთრი წინა თათები და მთლად გაშინაურებულმა გადმოაგდო გრძელი ენა. ახლა იგი უწყინრად, მორჩილად და კეთილმოსურნედ შემომცქეროდა. დავუგდე თუ არა ძეხვის ნაჭერი, უმაღლესეებიან ხახაში გადაუძახა. უნებლიეთ გამეცინა: მაინც საოცარი სანახავი იყო — ნამეტნავად უხდებოდა ჩემი პერანგის საყელო, პერანგისა, სახვევის მაგივრობას რომ უწყევდა.

ღნებრზე კი აღმა და დაღმა, კუნძულის ორსავე მხარეს უამრავი და ნაირ-ნაირი ნავი დასრიალებდა. მათი ძრავების ხმა ჩემი ცნობიერების მიღმა რჩებოდა, მაგრამ უცებ ერთი ძრავის ხმა გამოვარჩიე, თანდათან მიახლოვდებოდა თუხთუხით, განცვიფრებულმა თავი აეწიე, მართლაც ნავმა გადმოკვეთა ვრცელი მდინარე, მოუახლოვდა კუნძულს და წამის შემდეგ სულ ახლოს ცხვირით ჩაერჭო სილაში.

საცურაოდ გამოწყობილმა ქალიშვილმა ნაპირამდე რამდენიმე მეტრის მოშორებით ოსტატურად გამორთო ძრავა, მერე მოხდენილი ტანი ზამზარასავით დაძაბა, ნავი სილაზე ამოათრია და კუნძულს თვალი შეავლო. ჯერ, მგონი, მოპირდაპირე მხარეს აპირებდა წასვლას, მაგრამ ანკესები შეამჩნია და ჩემკენ წამოვიდა.

სანთელივით ჩამოსხმული ფეხები მტკიცედ მოაბიჯებდნენ ტალღების არშით შემოვლებულ სილაზე. შორიდანაც ჩანდა, ქალიშვილი ლამაზი იყო. ისიც ეტყობოდა, იცოდა, ლამაზი რომ იყო, თავი ამაყად, თავისუფლად ეჭირა. გაშლილი ჩალისფერი თმა მხრებზე დაჰფენოდა, მრგვალ პირისახეს ორ ტალღად შემოხვეოდა. ბოლოს ისიც გავარჩიე, ზედა ბაგე ოდნავ მაღლა აეზიდა, რაც ანცსა და ლალ გამომეტყველებას ანიჭებდა მის სახეს. და ეს გამომეტყველება თითქოს იძირებოდა, ქრებოდა ძალუმ ნათებაში, მისი თვალები რომ ასხივებდა...

— ალბატროს! — დაიძახა ქალიშვილმა.

მაგრამ სიტყვის დასრულებაც ვერ მოასწრო, რომ აქამდე კარავთან მწოლიარე ძაღლი მაშინვე წამოვარდა და დაჭრილი ცხოველის აცაბაცა ქუნძულთ შესახვედრად გაემართა. ქალიშვილმა ჩაიმუხლა და მოეფერა.

— ღმერთო ჩემო, ჩვენ კი გვეგონა, ალბატროსი მოკვდა, — თქვა ქალიშვილმა და მომიახლოვდა. ძაღლი მკერდს უგლასუნებდა მის შუბლებს და ცდილობდა სახეში შეეხედა. — ვინ უბოძა ასეთი მოდური პერანგი? გვეგონა, კუნძულზე არავინ იყო.

საკვირველი შეგრძნება გამიჩნდა — სილამაზემაც მომხიბლა და ბრაზიც მახრჩობდა. იმწუთს ქალიშვილს მოღუშული ვუსმენდი. რაც გინდა თქვი და, სილამაზის, სრულყოფის განსახიერება კი გახლდათ: სიცოცხლით სუნთქავდა მისი ყოველი ნაკვთი.

ყელს ვერცხლის ძეწკვზე მოქანავე მედალიონი უმშვენებდა — მასზე აღბეჭდილი ადამიანის პროფილი კეისრისა თუ ლეგიონერის ძველ რომაულ გამოსახულებას მოგაგონებდათ.

— თქვენი ძაღლია? — ვკითხე ბოლოს კუშტად.

— ჩემი?.. არა. პეტრო ოდარჩენკოს ძაღლია. ჩემი ამხანაგისა. ერთადა ვართ.

— რატომ გადმოსვეს ბიჭებმა ძაღლი კუნძულზე? რა შეემთხვა?

— უხას ვხარშავდით ცეცხლზე. მერე ტოტა დავლიეთ, ვიძიძგილავეთ... პოდა, ქვაბი გადაგვიბრუნდა... აქ კი ალბატროსი გამოტყვრა და კინალამ მთლად არ დაიმდურა.

— მერე ძაღლი კუნძულზე გადმოიყვანეთ, რათა აქ დაეღია სული, ხომ? რატომ არ მოსინჯეთ, რაიმეთი მაინც დახმარებოდით?

— იმედი ყველას გადაეწურა, — მის თვალებში დანაშაულის ან სიბრაღის ნასახიც არ ჩანდა. — როგორ გვეშველა, რით?... არავის უნდოდა ჩვენს ბანაკში მომკვდარიყო, და აი გადავწყვიტეთ, აქეთ გადმოგვეყვანა.

— აქ თუ მოკვდებოდა, ცოდვაც ნაკლები დაგედებოდათ, არა?

— მე არა ვარ დამნაშავე, — აწყრიალდა მისი ხმა, თვალებიდან კი კვლავ იღვრებოდა მსუბუქად მოლივლივე სხივთა ნათება. — რომ არ შემბრალებოდა, ხომ არც გადმოვცურავდი. ბიჭები არ მიშვებდნენ, გამოვიპარე...

— გადმოსცურეთ იმის გასაგებად, მოკვდა თუ არაო, ხომ?

— კი მაგრამ, ალბატროსი ხომ არ მომკვდარა! — მხრები აიჩეჩა. მარცხენა ხელი ალბატროსს გადაუსვა თავზე. ფრჩხილგალაქული თხელი თითები ნაზად და ალერსიანად დასრიალებდნენ ძაღლის ბეწვზე. — ეს თქვენ... იზრუნეთ?

წყლიდან სპინინგი ამოვიღე, შევათვალიერე. ხელის ანკესსაც შევაღვეთვალი. ხელები აშკარად არ მემორჩილებოდა. თვალებბრიალა ქალიშვილი ზურგს უკან დაყუდებულიყო არაფრის მაქნისად.

— ალბატროსი თქვენთან დარჩეს, — გამეხმიანა ბოლოს ქალიშვილი, ის იყო წასვლას რომ აპირებდა, — თუ წავიყვანო?

— რატომ უნდა წავიყვანოთ, მეორე გვერდიც რომ დაუმდუღროთ?

ახლა, როცა შეგყურებდი ახალგაზრდა, ლამაზ, ჯან-ღონით სავსესა და თავნება ქალიშვილს, ვცდილობდი საკუთარ ბრაზიან მზერაში ჩამექსოვამთე-

ლი ჩემი სიძულვილი და შეჩვენება არა მხოლოდ მის მიმართ, არამედ ყველა მისი უსულგულო ამხანაგის მიმართაც.

ქალიშვილი სულაც არ შეუშფოთებია ჩემს მზერას:

— კი მაგრამ, ძალღი ხომ თქვენი არ არის?

— მაშ ვისია? — ჭკუიდან მშლიდა მისი ლახვარივით ბასრი ლოგია. — მაშ ვისია ძალღი?

— აკი გითხარით, პეტრო ოდარჩენკოსია-მეთქი. მამამისმა აჩუქა.

სწორედ ამ დროს მოადგა ნაპირს ჩემი მეგობარი, რომელიც, როგორც იქნა, დაბრუნდა სოფლიდან. ვერცხლისფერქაფიანი წყლის უღვაშით დამშვენებული ნავის ცხვირი რბილად გაეხახუნა ნაპირს. დამასკური ფოლადივით ალაპლაპდა მცხუნვარე მზით გარუჯული მეგობრის ახოვანი ტანი. სიმინდის ფორისფერი კულულები ერთ კონად შეეკრა მდინარისგან მონაბერ ნიავს, კაზაკის ქოჩორივით გადაჰფენოდა ყურებს უკან.

— როგორ არის შენი სეხნია? — მკითხა მან და თვალი შეავლო ქალიშვილს. — ხომ არის უკეთესად? წამლები კი მართლაც ვიშოვე ვეტერინართან...

— იცი, რა ჰქვია ჩემს სეხნიას? ალბატროსი...

— გასაგებია... ეს ამორძალი საიდან გაჩნდა აქ?

— მე ამორძალი არა ვარ, — უპასუხა ქალიშვილმა, თან პატარა ხელის-გულით ეფერებოდა ძალს. ისიც სიამოვნებით იფერებდა ალერსს და თვალებს ნაბავდა.

— მღევარი ნაცნობია?

— განა ვერა ხედავთ? — კეკლუცად უპასუხა მან.

— სი-რცხვი-ლი-ა-ა...

— რატომ?

— იმიტომ, რომ ძალღის ნაცნობთა შორის თქვენისთანებიც გვხვდებიან.

წარბები შეუტოკდა ნაწყენ ქალიშვილს, სქელ ბაგეთა კუთხეები შეუთრთოლდა. რადიკნაირად გამეხარდა კიდევაც, რომ თუნდაც ოდნავ დაერღვა წონასწორობა — მედიდური და ცივი იერი.

— სირცხვილია, რომ ასეთი რამ ძალღის ნაცნობთა შორის მოხდა, — გაიმეორა მეგობარმა. — და რომ ასეთმა ნაცნობებმა დაასახიჩრეს ცხოველი, მერე კი კუნძულზე გადმოსვეს სულის ამოსახდომად.

მეგობარმა ქამარი შეიხსნა, ძალღს ყელზე შემოარტყა საბელის ნაცვლად. ხელში ქამრის ბოლო დაიჭირა და თქვა:

— მკურნალობის კურსი ჯერ არ დამთავრებულა. ადიუ, მადამ! — განგებ ალაპარაკდა უხეშად მეგობარი. — გთხოვთ, ამიერიდან ნულარ შემოიჭრებით ჩვენს სამფლობელოში. ხოლო თუ ვინმე თქვენი ჯგროდან გაბედავს აქ ფეხის დადგმას, თოფს გამოვიტან კარვიდან.

თოფი, ცხადია, ჩვენ არა გვქონია.

— ეგებ ატომური ბომბიც ჩამოგეგდოთ ჩვენს ბანაკში? — ახლა მოჩვენებითი თავდაპერილობაც დაჰკარგა, ხმა აუკანკალდა. — იქნებ ნეიტრონულიც?

— შესაძლოა ნეიტრონულიც! ვინაიდან ისეთებისაგან, როგორიც თქვენ ბრძანდებით, იარაღით უნდა დავიცვათ ყველა სულდგმული!

ოო, რომ იცოდეთ, რა მკვირცხლად შებრუნდა, როგორ მიდიოდა —

თითქოს მრისხანე ცეცხლოვანი გრიგალი იძვროდა თეთრ ქვიშაზე! ძალღმა სცადა გაკიდებოდა, მაგრამ მეგობარს მაგრად ეჭირა ქამარი, თან უბრძანებდა:

— წყნარად, დამშვიდდი!... წყნარად, დამშვიდდი!..

— ასე სასტიკად რატომ მოექცე? — ვუსაყვედურე მე, — ის / ხომ არაფერ შუაშია, ყველაფერში ბიჭები არიან დამნაშავენი. ხომ ხედავ, გულში სინანულმა გაპკრა, კუნძულზე მოაკითხა.

— ცოტათი მაინც გაიტანჯოს, არგებს. იქნებ მისი ტანჯვისაგან რაღაც მაინც გადაედოს იმ აყლაყულდა უქნარებს, გულის მაგივრად ტრანზისტორი თუ გიტარა რომ უღევთ მკერდში.

— ახალგაზრდები არიან, გამოუცდელნი.

— რა გამოცდილებაზე ლაპარაკობ? იგი კაცს პატარაობიდანვე უნდა ჰქონდეს, ხანდაზმულობაში ვერ შეიძენ... იმისათვის, რომ აღამიანი იყო, გამოცდილებაა საჭირო?

ნავზე ძრავამ დაიღრიალა და, თითქოს გაბოროტებული ეშმაკეული ძალა მიერეკებო, გამეტებით ორად გააბო მდინარის ფართო მკერდი, სახნისისაებრ აქეთ-იქით ბელტებივით გადააწვინა ტალღები. ნავი მიაპობდა დნებრის მკვრივ წყალს, ცისფერი რომ მოჰკიდებოდა, ათინათებს აციაგებდა, ჰავლს ათამაშებდა, ელვასავით ანათებდა. ნავი ღრმა ჭრილობას ტოვებდა ამ ნაირფერ ფერიაში, ვიდრე არ მიეფარა და შთაინთქა გაღმა ნაპირის ბურუსში.

— ახლა მათ შეუძლიათ ვარიანთა ნავების მთელი არმადით მოგვადგნენ.

— არა მგონია, — მეგობარს ნესტოები უკანკალებდა მღელვარებისაგან. — ეგებ ქალიშვილმა უთხრას, ძალღ მომკვდარაო, გვამთან გამოთხოვებას კ არ ისურვებენ.

— გჯერა მისი კეთილშობილებისა?..

— ზოლო თუ გამოჩნდებიან, — არ უპასუხნია შეკითხვაზე, — როგორმე შევძლებთ ძალღის დაცვას. ხომ შევძელით გადარჩენა, ჰოდა, დაცვასაც შევძლებთ... თუკი ღირსებისა და ზნეობის გაკვეთილს მოგვთხოვენ, ამასაც მივართმევთ. ჩვენ თუ არა, მაშ სწვა ვინღა უჩვენებს მაგალითს... მთავარია, აითვისონ, ამაოდ არ ჩაიაროს გაკვეთილმა.

ოქროსფერი უფსკერო მზის კასრიდან თაკარა გადმოდუღდა დედამიწაზე, მდინარეზე, მის შუაგულში მცურავი ჩვენი პატარა კუნძულის იალქნებზე. ჰაერი ისე იყო გავარვარებული და შეხუთული, რომ თოლიებსაც კი უჭირდათ ფრენა, და ისინიც გუნდებად და თითო-თითოდ ისხდნენ წყალზე ხან სად და ხან სად, ნავივით ირწეოდნენ, რაიც შორიდან მომცრო ძველ რუსულ ქალამნებს მოგაგონებდათ. კარავს თავშეფარებულნი ვსადილობდით მოთენთილნი, უაზრო სიტყვებით ვეხმეიანებოდით ერთმანეთს, გავყურებდით წყალუხვი დნებრის მდინარეებს, ნიავსაც რომ არ იმეტებდა. ძალღმა რამდენიმე შაშხის ნაჭერი შექამა და ახლა კუთხეში იწვა ჩემს ძველ ჯინსებზე. შიგადაშიგ შეაჟრჟოლებდა, ატყეტდა ტკივილისაგან შემუბებულ და დაწითლებულ თვალებს და გვარიანადაც ამოქნარებდა — გადმოგდებული ენა უცახცახებდა, ცეცხლის ალს მიშვერილ სველ ჩვარს მიუგავდა. მერე ისევ მუწავდა ხახას, წამით ჩათვლებდა, და კვლავ მთელი ტანით ათრთოლდებოდა — იღვიძებდა ხოლმე...

მეგობარს სასოება წაერთო, მოეშვა. თითქოს კანქვეშ ძლიერი კუნთების ნაცვლად დნებრის მშრალი სილა ედო, რომელიც ამძიმებდა და მიწამდე ხრიდა. არც მე ვიყავი უკეთესად — სულ ახლახან ხომ ნერვული კრიზისი

გადავიტანე, მომჯობინებას ჯერ კიდევ არ უჩანდა პირი. ეჭვი არ მეპარებოდა, რომ ორთავენი ერთსა და იმავეზე ვფიქრობდით: ძალღსა და ქალიშვილზე...

როგორც იყო, გადავაგორეთ ლუკმა და თერმოსიდან ცხელი ყავაც დავლიეთ. მეგობარმა ზურგჩანთიდან ძველებური ჭოგრი ამოიღო, მოგზაურობაში ყოველთვის თან რომ დაჰქონდა, კარვიდან გამოვიდა და დნეპრის ნაპირზე, უფრო ალბათ გაღმა ნაპირს ათვალიერებდა — ბურუსოვან ტყეს უძღვებოდა და იმ მომცრო ტყისპირა აღვიღს, სადაც ახალგაზრდული ბანაკი გაეშალათ. მერე კარავში დაბრუნდა, ჭოგრი ზურგჩანთაში ჩააბრუნა, თვითონ კი გულაღმა წამოწვა და ფიქრებს მიეცა.

ჩვენი უნებლიე ღუმილი ხვატივით მხუთავი და აუტანელი გახდა.

ძალდი ისევ შეერთა, კვლავ ასწია თავი, ფოსტორისფერ ეშვებს შორის ჩამოშვებული ენის წვერი აუკანკალდა და დაამთქნარა..

— მგონი, დროა წასასვლელად გავემზადოთ, — თქვა მეგობარმა და ბალახი გაკვნიტა. — ძალღს ჩვენ მხოლოდ პირველი დახმარება გავუწიეთ. თან არც ისეთი სპეციალისტები ვართ... ხელავ, როგორ ამთქნარებს? აგონია რომ იყოს?

— არა ჰგავს აგონიას.

— აგონიაა თუ ეშმაკი, ჩვენ მაინც სიფრთხილე გვმართებს.

საქმე კიევში დაბრუნებას ეხებოდა. უკაცრიელ კუნძულზე მოსვლას დღე და ღამეზე მეტი მოვანდომეთ, ამ მოგზაურობაზე კი მთელ წელიწადს ვოცნებობდით, დავთქვით, მომავალი ზაფხულის შვებულება სწორედ აქ, უკაცრიელ კუნძულზე გავგეტარებინა. მეგობარი მპირდებოდა, ყველაფერს გაიმბობ, რაც ცხოვრებაში გადამხდენიაო. მაგრამ დახე ბედს: მხოლოდ სამი დღე ვინებიერეთ და ახლა უნდა აგვეკრა ბარგი-ბარხანა, სათევზაო მოწყობილობა, ასე დიდხანს რომ ვამზადებდით, ამდენი ხნის ნაოცნებარზე უარი გვეთქვა და შინ დავბრუნებულიყავით.

ეს ყველაფერი უნდა მიგვეტოვებინა იმ დასახიჩრებული ძალღის გამო, ბედის უკუღმართობამ რომ გვიბოძა.

ძალღმა, ვგონებ, ყნოსვით იგრძნო, მასზე რომ ვსაუბრობდით. ჭკვიანი თავი წამოსწია, ყურადღებით შემოგვხედა; ლამაზი წარბები მუქყავისფრად უბზინავდა. თითქოს ღიმილით მოგვესალმათ, ქათქათა, ძლიერი კბილებიც გამოაჩინა. ერთი-ორჯერ მოკლე კუდიც დააბრტყა საფენს.

— ნახე, რა ჭკვიანია! — გულითადი აღტაცებით წამოიყვირა მეგობარმა. — ხვდება, მასზე რომ ვსაუბრობთ... მაშ გადავწყვიტეთ, მივდივართ ხომ?

ჩემი მეგობარი წამოდგა, გაუქრა წელანდელი უგუნებობა. ახლა მისი გარუჯული ბრინჯაოსფერი სხეული ისევ მხიარულებას ასხივებდა, ოღონდ ეს კია, ბრაზნარევიც იყო ეს გახალისება.

დამაბნია მისმა ნაჩქარევმა გადაწყვეტილებამ. ძალდი ჩვენთან ერთად გამოვიდა კარვიდან და მზისაგან თვალისმომჭრელ სილის ზოლს გაჰყვა ჩვენგან მოშორებით. წინა თათები წყალში ჩადგა, კისერი წაიგრძელა, ზე ასწია კოხტა თავი და გაბმით შეეშუვლა. საზარელი იყო ცხოველის ყმუილის მოსმენა, რომელსაც ლამის ეცვა ჩემი პერანგი: ეს იყო ხმა ტკივილისა, ქიმერულ ძალღ-ადამიანის თუ ადამიან-ძალღის მკერდიდან ამოხეთქილი.

მდევარი ყმუოდა. დნებრის ფრიალო მოპირდაპირე ნაპირს უაზროდ მიშტერებოდა. იქ ტყის პირას ქათქათებდნენ კარვები.

— პატრონს ნაღვლობს, — თქვა მეგობარმა. — ხედავ, საზარელ დიალტს ერთგულებით, მხოლოდ სიყვარულით უპასუხებს.

ბრაზისაგან სახე მოედრიცა, სიავე დაეტყო, ელვარე თვალით ჩინში მუქარის ნაპერწკალი აუკვესდა.

— იყმუვლე, იყმუვლე, — ეჭვიანად თქვა მან. — ელოდე იმათგან ილერსს...

აუჩქარებლად ვალაგებდით ნივთებს, ნავში მოხერხებულად გაწყობდით მონარჩენ სურსათს, ტანსაცმელს, ალუმინის ჭურჭელს, კარავს, სათევზაო მოწყობილობას. ამხანაგი მეტად წესრიგის მოყვარული გახლდათ, ყოველ ნივთს მკაცრიდ მიჩენილი ადგილი ჰქონდა.

მზე ისე აღარ აცხუნებდა, როგორც შუადღისას; ახლა ის ირიბად აფრქვევდა სხივთა კონებს, რაც აკვარელის ელფერს აძლევდა დნებრისპირა სანახებს. აგერ ახლა მოთენთილი თოლიები მეტი სიმკვირცხლით დაფრინავდნენ ჩვენს თავზე. დღისით გამთბარ წყალს ოხშივარი ასდიოდა — სწორედ ისეთი, საძოვრიდან ახლად დაბრუნებული, ბოსელში ჩალასთან მიმდგარი და მოსაწველად გამზადებული ფური რომ შემოგასუნთქებს,

ენით აუწერელი სევდა დაფარფატებდა ჩვენს ნაჩქარევ აყრას... მეგობარმა ბოლოს გაქვარტლული ქვაბი აიღო, წყლით აავსო და ნაკოცონარზე დაასხა, თუმცა ცეცხლი ჩამქრალი და ჩაფერტლილი ჩანდა.

ამ დროს ძალდი შეცბუნებული დარბოდა ნაპირზე. წამით შეჩერდებოდა, დაგვეყნოსავდა, ცხვირს ზედ ნავის გვერდს მიაღებდა და ისევ დარბოდა ქათქათა სილაზე, თან ისე, რომ ნაკვალევს ძნელად შეამჩნევდით. ან დაღლილი წამოჯდებოდა, უკვე გაჭუჭყიანებული პერანგის საყელოდან კისერს წაიგრძელებდა და აფორიაქებული გაპყურებდა გაღმა ნაპირს.

სინანულით ვეთხოვებოდით კუნძულს, სადაც უზრუნველად გავატარეთ რამდენიმე დღე. ცოდო კი იყო იმ მომავალ დღეებსაც გამოვთხოვებოდით, ასე რომ გველოდებოდნენ და იღბლიან თევზაობასაც გვპირდებოდნენ. რა სჯობია საღამოს კოცონთან საუბარს, ნისლში ჩაძირული სანახების ჭვრეტას განთიადის ჟამს. გვენანებოდა კუნძულ-იალქანთან განშორება, რომელიც თითქოს მიცურავდა დროსა და სივრცეში, მაგრამ ხანდახან მაინც გვეჩვენებოდა. რომ ეს დროისა და სივრცის მიღმა ხდებოდა.

— ალბატროს! — ხმამაღლა დაუძახა მეგობარმა. — ნავში ჩქარა, მივდივართ!

ნაპირიდან მოშორებით მდგარმა ძაღლმა ჩვენკენ მხოლოდ თავი მოაბრუნა.

— ალბატროს!

ვეძახდით, ვუხმობდით, მაგრამ მდევარს თითქოს ყურები ამოუჩურთესო, არაფერი ესმოდა. გეგონებოდა, საცურაოდ გამზადებულ ნავთან მიახლოებისა ეშინიაო. სულ ერთიანად კანკალებდა გაღმა დამრეც ნაპირს მიშტერებული ძაღლი — უთრთოდა დაძაბული კანი მკერდზე, კისერზე, გავაზე, ასევე

უცხაობაზე და ფეხები და მხოლოდ ნახევრად დაშვებული კუდი გაშეშებოდა უნდოდ დაძაგრულს.

— ხედავ? არა სურს ჩვენთან წამოსვლა, — მიხვდა მეგობარი.

იგი ნაპირს გაუყვა ძაღლისაკენ, ფეხშიშველად მსუბუქ ნაკვალევს ტოვებდა სველ სილაზე. ლალი სვლითა და კეთილი გამომეტყველებით ცდილობდა შთაეგონებინა ძაღლისთვის, რომ მხოლოდ სათნო ზრახვა ამოძრავებდა.

— ალბატროს! — უხმობდა დაყვავებით. — ალბატროს!..

ხუთი-ექვსი მეტრიღა რჩებოდა, როცა ძაღლი გამოერკვა და უცებ კისრისტებით გადაეშვა წყალში, წამიც და იგი უკვე შორს მიცურავდა კუნძულიდან. ეს ისე მოულოდნელად მოხდა, რომ მეგობარმა აღგილზე ჩაიჩოქა, მე კი ნავში წამოვხტი. მდინარის ზედაპირზე მხოლოდ ყურებაწეული თავი მოჩანდა, კისერზე კი ჩემი პერანგის საყულო უქათქათებდა.

— ალბატროს, უკან! — უყვიროდა მეგობარი. — დაბრუნდი!

ნავიდან ამოვხტი, ნაპირ-ნაპირ მივრბოდი და მეც ვყვიროდი:

— ალბატროს! ალბატროს!

განცვიფრებულნი სილაზე ვიდექით და ვხედავდით, სულ უფრო და უფრო გვშორდებოდა ძაღლი. უცებ მდინარის ზედაპირიდან გაქრა მისი თავი. იქნებ მოგვეჩვენა, ეგებ თვალი მოგვეჭრა მზის ბრწყინვალე სხივებმა? არა, არ მოგვეჩვენებია, ვინაიდან მალე მდევრის მზინავი თავი ისევ გამოჩნდა, ჩანს, ამოყვინთა. ძაღლი იმავე მიმართულებით მიცურავდა, ოღონდ შესაძლოა ნაკლები სისწრაფით. დასუსტებულს უჭირდა ცურვა.

— თავისიანებს, პატრონს მიაშურა... — ნაღველი გამოსჰვიოდა მეგობრის სიტყვებში. — იაზრა, რომ მივდიოდით და მისი წაყვანაც გვსურდა.

მეგობარმა ამოიოხრა, რამდენიმე წამის მერე მკითხა:

— ხედავ ძაღლს? მე ველარ ვხედავ, გაქრა.

ვერც მე ვხედავდი. იქნებ ხელს გვიშლიდა ტალღათა ქოჩორზე მოცეკვავე მზის სხივთა ათინათი? ან ეგებ გადაღლილმა ისევ ჩაყვინთა და საცაა ამოყვინთავდა?

— ველარ ვხედავ! — სასოწარკვეთა ჟღერდა მეგობრის ხმაში. მთელი გულისყური შუა მდინარისათვის მიეძყრო, სადაც სულ ახლახან ჩანდა ძაღლის თავი. — სად დაიკარგა?

თვალეზმოჭუტულნი გავცქეროდით დნებრის დინებას, მაგრამ ამაოდ. ხერხემალში ყინულოვანმა ჭვალმა გამკრა, ეჭვნეული შიშის სუსხმა დამთუთქა.

— აბა, ნავში!

მან სწრაფად დაქოქა ძრავა და ნავიც, ხელებით რომ მივაწეკი და უკვე დაძრულს შევახტი, დიდხანს ნადგომი ულაყვივით ერთბაშად მოსწყდა აღგილს. მეგობრის თვალები აღესილ მახვილს ჰგავდა, თითქოს ფერიც ეცვალა. გარდუვალის ქვეცნობიერმა შეგრძნებამ გონი დამიზრო. წყლის სივრცე გრაგნილივით იშლებოდა ჩვენ წინაშე, და ჩვენც ამ გრაგნილზე მივფრინავდით სულ უფრო შორს — იმედის ნაპერწკლითა და მოლოდინით აღესილნი.

მეგობარმა სვლა შეაჩერა, ხმაჩახლეჩით თქვა:

— კმარა... ასე შორს ვერ გაცურავდა.

ჩვენი ნავი აღმა-დაღმა სერავდა ღნებრს. სქელი წყალი მოცისფრო-მომწვანოდ მიედინებოდა, შიგადაშიგ მიჰქონდა ტოტები, ბლუჯა-ბლუჯად მოთხრილი ძაფოვანა, ან კიდევ ცარიელი ფსკერამობრუნებული ბოთლი.

— დაიხრჩო, — დაასვენა ბოლოს ამხანაგმა. ეს აზრი ორთავეს არ გვასვენებდა.

რამდენსამე ხანს კიდევ დავბორიალებდით წყალზე ამოდ.

— ესეც შენ მღევარი... ესეც შენ მღევრით ნადირობა.

მეგობარი გაუგებრად ლუღლუღებდა რაღაცას და თვალს მარიდებდა. ერთხანს მდინარეებს მივყევით — იქნებ რაღაც სასწაულად გადარჩა, სადმე გაირიყა?.. დავბრუნდით კუნძულთან — ამოდ. იქ ობლად გამოიყურებოდა ჩამქრალი კოცონის შავი ლაქა, კვლავინდებურად ბზინავდა სანაპიროს სილიანი ზოლი.

— არა მჭერა, — ბურტყუნებდა მეგობარი. — მომკალი და ვერ დავიჭერებ.

და მართლაც განა შეიძლებოდა გვერწმუნა ის, რაც მოხდა?

მარადიულმა, ძლიერმა, მღუმარე ღნებრმა იცოდა საიდუმლო, მაგრამ ოდესმე გაუმხელდა იგი ვინმესთვის? ახლაც სდუმდა, თუმცა დაძაბულად მიედინებოდა ზვირთთა ათინათით აციაგებული, ნაპირებზე ლელქაშებაყრილი. რამდენი რამ იცის ამ ჭაღარა და მარად ჭაბუკმა ბრძენმა, რამდენი გამოცანისა და უბედურების მოწმეა უტყვი, — და იქნებ სწორედ ეს არის ამ დიდი მდინარის იდუმალების სიბრძნე?!

იქნებ ძაღლმა ნაპირს მიაღწია და ტყეს შეეფარა?

არ ვიცი, ეს აზრი მე მომივიდა თუ მეგობრის ნათქვამი ჩამესმა? მაშინვე ნავი, რომელსაც მტკიცე ხელი მართავდა, შემადრწუნებელი ღრიალით ეძგერა მდინარის სივრცეს, მყარი და ამობურცული რომ ჩანდა გიჟური სიჩქარის გამო. ნავი კი ისეთ მაღაყებს გადადიოდა, თითქოს ღორღის გროვას ახტებოდა თავზე. ალბათ ასე მიდის იერიშზე ნაღმოსანი კატარა. მეგობარს დანა პირს არ უხსნიდა და ვერც მიხვდებოდი, სახეზე ოფლი სდიოდა თუ შხეფები ასხდა.

ნაპირი გვიახლოვდებოდა, ტყე მაღლდებოდა, ხეთა ჩრდილში გაშლილი კარვები დიდდებოდა. წამიც და ქვიშაში გავეჩხირებოდით, მაგრამ მეგობარმა მკვეთრად დააგდო სიჩქარე და შემობრუნდა — ახლა ჩვენ პლაჟის გასწვრივ მივცურავდით, სპლაც ქალ-ვაჟნი ბურთს თამაშობდნენ. არემარეს აყრუებდა შეძახილი, ხარხარი, ხელისგულის ყრუ დარტყმა; სახეზე ხვითქი გადასდიოდათ, გაოფლილი ტანი უბზინავდათ; თვალში გეცემოდა დაკუნთული ბარძაყები, ამობურცული მკერდი, დაძარღვული კისრები, ნაირფერი საცურაო კოსტიუმები. ბურთი ხან მაღლა ავარდებოდა, ხან დაეშვებოდა, მერე გვერდზე გაიჭრებოდა, შუბივით დაეყუდებოდა, ხან კიდევ ხმელი ფოთოლივით ჩამოფარფატლებოდა. ჩვენ არავინ გვაქცევდა ყურადღებას, განა ცოტა ნავი აივლის და ჩაივლის აქ?!..

დავეძებდით ხეებსა და კარვებს შორის — ძაღლი არ ჩანდა.

ის იყო ბანაკს ჩავუარეთ, როცა ერთმა ქალიშვილმა (ეგებ ის გახლდათ, აგერ ახლა კუნძულზე რომ გადმოვიდა?) უმწეოდ დაუშვა ხელები, თამაში მიატოვა და დიდხანს მიგვაცილებდა მზერით...

გრაგნილივით იშლებოდა მოლურჯო-მომწვანო წყალი ჩვენი ნავის ქვეშ. დაისის ჟამს დნებრი სხვანაირად აციაგდა, სხვა ელფერი დაედო, უფრო შთამბეჭდავი, ამოუცნობი, ჟინიანი გახდა, თუმცა როდი შეუნელდა ნათელი და სხივმოსილი ხალისიანი მიმზიდველობა... უკვე შორს მოჩანდა ჩვენი ქათქათა იალქნიანი ნავი-კუნძული, და რაც უფრო ვშორდებოდით, მისი უფრო იძირებოდა დნებრის უძირო წყალში, ვიდრე მთლად არ მიეფარა მეწამული მწუხრის ბურუსს.

ასე ვბრუნდებოდით შინ. ხანდახან დავლანდავდი ხოლმე მკაცრად მოხაზულ მეგობრის პროფილს, ლოყაზე თითქოს ცრემლის კვალიც აჩნდა, ან იქნებ ეს დნებრის წყლის შხეფები გახლდათ, შემხვედრ ქარს რომ დაეწინწკლა. დნებრი ბურუსით იფარებოდა, ჩვენც ამ ბურუსის შუაგულში მივქროდით, უსაზღვრო მწუხარებითა და ზაფხულის მომაჯადოებელი ღამის ლუსკუმით მოცულნი, გვესმოდა საოცარი ხმა სიმისა, რაღაც განუმეორებელი ჰანგი...





ინგლისურიდან თარგმნა ვაკა გავაჩქორვა

შაბათ ღამეს

ერთხელ ვუყურე, როგორ იკლავდა თავს ერთი ტიპი. ის დღე არასოდეს დამავიწყდება. იმ შაბათს, ძალზე დაღვრემილი, მართო ვიყავი სახლში, ბოლმა ყელში მქონდა მობჯენილი, ჩემიანები ყველანი კინოში წაბრძანდნენ, მე კი რატომღაც შინ დამტოვეს. აბა მაშინ რას ვიფიქრებდი, თუ რა საოცარი რამის მომსწრე გავხდებოდი ცოტა ხანში, იმის მსგავსს კინოშიც ვერასდროს ნახავდა კაცი — როგორ იხრჩობდა თავს ერთი ტიპი. მაშინ კიდეც ბავშვი ვიყავი და ადვილი წარმოსადგენია, რა თავშესაქცევი იქნებოდა ჩემთვის ეს სანახაობა.

საოცარი ბოლმა ჩამოწვებოდა სახლში, როცა ყველაფერი ყელში გვქონდა ამოსული, ამდენი ბოლმა არც ერთ ოჯახში არ მინახავს. დღესაც მახსოვს უმიზეზოდ დაბღვერილი მამაჩემის სახე, კაცის მკვლელობით რომ იყურებოდა. უმიზეზოდ-მეთქი იმიტომ, რომ ასე შეეძლო დაბოღმულიყო სულ უმიზეზნელო რამის გამო. ან სიგარეტს ვერ იპოვიდა. ან უნდა განძრეულიყო და სახარინი ჩაეგდო ჩაიში დასატკბობად, ან მხოლოდ იმიტომ, რომ თავი უნდა შეეწუხებინა და ბუხართან მდგარ სავარძლიდან ამდგარიყო ჩემს მოსაძებნად, როცა სახლიდან ვიყავი გასული. ბუხართან ახლოს იცოდა ხოლმე ჯდომა, ლამის ზედ ცეცხლთან. მაზუთგამჯდარ ნაჯაფარ ხელებს მუხლებზე უქმად დაიწყო, ისე, რომ ხელისგულები ერთმანეთს უყურებდნენ, მკვრივ მხრებს წამოწევდა, აიჩეჩდა და დაბოღმულ თაფლისფერ თვალებს მიაშტერებდა მოგიზგიზ ცეცხლს. დროგამოშვებით, სულ უმიზეზოდ, ისეთ უშვერ სიტყვებს წამოროშავდა, ყურები სად წამელო, არ ვიცოდი, როცა ასეთ გინებას დაიწყებდა, დროზე უნდა მოშორებოდი იქაურობას.

უარესი ამბავი დატრიალდებოდა ხოლმე, დედა თუ შინ იყო, ნეტავი რა დავუშავე, ასე რომ იბღვირებო, გაცეცხლდებოდა დედაც და ერთი კარგად წაქ-

ბენდა ხოლმე: ასე რა ჯანდაბამ მოგშხამაო?! — მაშინ, თვალის დახამხამებაში ააყირავებდა მამაჩემი მაგიდას მთელ ჯამჭურჭლიანად, დედა კი კიტილით გარბოდა სახლიდან. ყოველივე ამის შემდეგ მამა მხრებაჩეჩილი ბუზისკენ გასწევდა და ისევ მოჰყვებოდა გინებას. ეს ყველაფერი კი შეიძლება ერთი ღერი სიგარეტის გამო მომხდარიყო.

ერთხელ ისეთი გამოლენჩებული სახე ჰქონდა, ვიფიქრე, ნეტა ჰკუდიდან ხომ არ შეიშალა-მეთქი. ასე იჯდა, სანამ შორიახლო ბუზმა არ გაუწულილა. მაშინ კი ელდანაკრავივით გაიქნია ხელი, ბუზი დაიჭირა, გაჰყლიტა და ბრიალა ცეცხლში ისროლა. ამან ცოტა გაამხნევა, გაახალისა და ჩაის მომზადებას შეუდგა.

ასე და ამგვარად, ოჯახის წევრებსაც გადაგვედებოდა ხოლმე მისი დაბლვერილობა. განა რა ძნელი მისახვედრია, თუ რატომ და საიდან უნდა გვექონოდა ასეთი დაბლვერილი სახეები? — მამას სულ ასეთ ხასიათზე ვხედავდით და მისი შემყურე ჩვენც ვიბოლმებოდით. ეს ბოლმა ღრუბელივით ჩამოწვებოდა ხოლმე მთელ სახლში. ყველა ოჯახში როდი ხდებოდა ასეთი რამ. ჩვენს ოჯახს კი საკმაოდ ხშირად ემართებოდა, ეს ნამდვილად ასე იყო, და თუკი მოგვადგებოდა ბოლმა ყელში, ვაი ჩვენს ღღეს — ისე უსაშველოდ წაგვიჭერდა, ლამის დავეხრჩვეთ. ღმერთმა იცის, რით იყო გამოწვეული ეს საშინელი ბოლმა ყველასა და ყველაფერზე, ან რად გადაგვესხმებოდა გულზე ასეთი ნალველი. განა სხვები არ ჩავარდნილან ამ ღღეში, — ყელში არ ამოსვლიათ ყოველივე? მაგრამ ასე უსაშველოდ არ დაბოლმილან. ნეტავ საიდან ჰქონდა ამ ხალხს ასე უცნაურად ბედნიერი სახეები? ისეთი შთაბეჭდილება მრჩებოდა, თითქოს ისინი ეს-ეს არის ციხიდან გამოუშვეს, სადაც არც იცოდნენ, რისთვის ჩასვეს, ან თითქოს ეს წუთია დააღწიეს თავი უინტერესო ფილმს, რომელსაც რატომღაც კინოდარბაზში შეყრილები აგერ უკვე რვა საათია უყურებდნენ; ან თითქოს ნახევარი მილი გასდიეს ცხვირწინ გასწრებულ ავტობუსს და სულმოუთქმელი სირბილის მერე აღმოაჩინეს, რომ ავტობუსი მათი არ იყო. მაგრამ ჩვენთვის კი სიკვდილზე უარესი იყო, თუ რომელიმეს მოგვეჩვენებოდა ეს უსაშველო ბოლმა, ვერა და ვერ გავიგე, თუ რა იყო ყოველივე ამის მიზეზი, რა გვემართებოდა, საათობით ვმჯდარვარ და მიფიქრია ამაზე, გულახდილად რომ გითხრათ, საათობით არა, მაგრამ საკმაოდ დიდხანს კი ვმჯდარვარ დაფიქრებული, სანამ დედას არ გამოუფხიზლებივარ. მამაჩემივით მობუზულს და მხრებაჩეჩილს ბუზართან რომ დამინახავდა, შემძახებდა: „ასე რამ მოგშხამა?“ — ფიქრებიდან კი გამოძაფნილებდა, მაგრამ თუ მართლა დაბოლმილი გახლდით, მაშინ მამაჩემივით გავგულისდებოდი ხოლმე და იწყებოდა იგივე აყალმაყალი, სავსე მაგიდის გადატრიალება და ვინ იცის, კიდევ რა.

კაცმა რომ თქვას, ასეთი დასაბლვერი და საბოლმი არაფერი გვეჭირდა, მაგრამ ვერავის დასდებდი ბრალს, ვერავის დაადანაშაულებდი — ასე მოშხამული რატომ ხარო. ეს ჩვენ ნამდვილად სისხლში გვექონდა გამჯდარი. სწორედ ასეთ მოშხამულ ხასიათზე ვიყავი იმ შაბათს, როცა მამაჩემი დოლიდან დაბრუნდა და მკითხა:

— რა მოგივიდა?

— რაღაც ცუდად ვარ, — ვიცრუე; კინოში რომ არ წამიყვანეს, იმიტომ ვიბოლმები-მეთქი, რომ მეთქვა, უთუოდ გაგიჟდებოდა.

— წადი, ცივი წყალი დალიე! — მითხრა მან.

წყალი არ მინდა-მეთქი, ვუბასუხე, და მართლაც არ მინდოდა.

— მაშინ გაეთრიე და სუფთა ჰაერი ჩაყლაპე! — დამიღრიალა.

ჰაერი ჩაყლაპეო, გაეთრიეო; ასეთ ლაპარაკს თუ დაიწყებდა მამაჩემი, ჯობდა საერთოდ არ გაკარებოდი. ჰოდა, მეც დამიღრიალა თუ არა, სასწრაფოდ მოვშორდი იქაურობას. გარეთ კი გავედი, მაგრამ სუფთა ჰაერისა რა მოგახსენოთ, იმ წყეული ველოსიპედების ქარხნიდან გამოსული საშინელო კვამლი მთელ ეზოს ეღებოდა. აღარ ვიცოდი, სად წავსულიყავი, ეზოს შემოთქვენ ავეუყვე და ვილაცის უკანა ჭიშკართან ჩამოვჯექი.

სწორედ მაშინ დავინახე ის ტიპი — დიდი ხანი არაა, რაც ჩვენს ეზოში ცხოვრობდა. მაღალი იყო და გამხდარი, ბრტყელი კეპი და ჩამოგრძელებული ულვაშები რომ არა, მღვდელი გეგონებოდათ. ისე გამოიყურებოდა, იფიქრებდით, ამ საწყალს მთელი წელია ხეირიანად არ უჭამიაო. მაშინ არც კი მიმიქცევია მისთვის ყურადღება, მაგრამ ეს კი დამამახსოვრდა: ჩვენს ეზოში ერთი ენაჭარტალა დედაკაცი ცხოვრობდა, — ქმრის საუკეთესო კოსტიუმით ან ქმრის ველოსიპედით თუ დაინახავდით ლომბარდისკენ მიმავალს, თორემ სხვა დროს სულ ეზოში იყო და ჭორაობაში კლავდა დროს. ჰოდა, როცა ის ტიპი ეზოში შემობრუნდა, იმ ქალმა გადასძახა:

— ეგ თოკი რად გინდა?

— თავი უნდა ჩამოვიხრჩო, ქალბატონო, — მიუგო ტიპმა. ქალმა ისეთი გაბმული ხითხითი ატეხა ასეთ ხოშიან ხუმრობაზე, გეგონებოდათ, ცხოვრებაში ამაზე სასაცილო არაფერი სმენიაო. მაგრამ ვაი ამ სიცილს, მეორე დღეს ტირილად რომ გადაექცა და მსუქანი ლოყები ცრემლით დაუსველა.

ის ტიპი მომიახლოვდა. ახალთახალ თოკის შულოს მოათრევდა, თან სიგარეტს აბოლებდა, ლამის გამიტანა, რომ ჩამიარა. ჩექმით კინალამ მხარი წამაცალა. მივაძახე: წინ იყურე, როგორ დადობარ-მეთქი, — მაგრამ არა მგონია რამე გაეგონა, არც კი გამოუხედავს. ეზოში არავინ იყო. ბავშვები ჯერაც კინოს უყურებდნენ, მშობლები კი, თითქმის ყველანი, ქალაქში გასულიყვნენ საყიდლებზე.

ტიპი ბოლომდე გაჰყვა ეზოს. სახლის უკანა კარს მიაშურა და შევიდა. მე მაინც არ ვიცოდი, რა მექნა, კინოში ხომ არ წამიყვანეს, ჰოდა, ავდექი და იმ ტიპს გავყევი; კარი ღრიჭოდ დატოვა, მეც ვკარი ხელი კარს და შევედი. იქვე გავჩერდი, ვუთვალთვალედი, რას იზამს-მეთქი, თითი პირში მქონდა ჩაჩრილი და ვწუწნიდი, მეორე ხელი ჯიბეში მედო. მე მგონი, შეამჩნია, რომ შევყევი, იმიტომ რომ ისეთი გამოლენჩებული აღარ ჩანდა, როგორც ეზოში, მაგრამ, ეტყობა, მისთვის ეგ უკვე სულ ერთი იყო.

— ბიძია, თოკი რად გინდა, რა უნდა გააკეთო? — ვკითხე მე.

— თავი უნდა ჩამოვიხრჩო, ბიძიკო, — ისე მიპასუხა, თითქოს აღრეც არაერთხელ ჩამოუხრჩვია თავი და აღრეც მიუციათ მისთვის ასეთი უჩვეულო შეკითხვა.

— მერედა, რატომ ბიძია? — რა უტიფარი ვინმეა, რას ყოფს ცხვირს სხვის საქმეშიო, გაიფიქრა უთუოდ ჩემზე.

— მინდა და იმიტომ, გასაგებია? — თან მაგიდიდან ჭურჭელი მოხიკა და შუა ოთახში დაყარა. შემდეგ მაგიდაზე შედგა და თოკი ნათურის მისამაგრებელს მიაბა. დანჯღრეულმა მაგიდამ გაიჭრაჭუნა, მაინცდამაინც საიშედო არ ჩანდა, მაგრამ ამ საქმისათვის მაინც გამოდგებოდა.

— ვერ გაგიძლებთ, ბიძია, — ვუთხარი და თან გუნებაში გავიფიქრე, ღმერთმანი, ამის ყურება სჯობს „ჯუნგლების ჯიმის“ თავგადასავალს მთელი თავისი სერიებიანად-მეთქი.

ამჯერად შემომიბრუნდა და მითხრა: — შენს საქმეს მიხედო, მეგონა მეტყოდა, მოუსვი აქედანაო, მაგრამ არა, თოკის განასკვას შეუდგა ამისთანა უცნაური ყულფის ასე მოხერხებულად განასკვა მხოლოდ მეზღუდულს იმის მაგვარს თუ შეეძლო. შემდეგ მაგიდიდან ჩამოვიდა, მაგიდა კედლისკენ მიაჩოჩა და სკამი საჭირო ადგილას დადგა. სულ არ ეტყობოდა, ასეთ ბოლმიან ხასიათზე თუ იყო. კარგად იცით, როგორ იბღვირება ხოლმე ყველა ჩვენს ოჯახში, როცა ბოლმა ყელში გვაქვს ამოსული, მაგრამ მსგავსსაც ვერაფერს ამოიკითხავდით იმის სახეზე. ერთი კი გავიფიქრე, ამ ტიპს ოდესმე იმის ნახევარი ბოლმა რომ მორეოდა, მამაჩემს კვირაში ორჯერ მაინც რომ მოერევა. უთუოდ კარგა ხნით ადრე მოიკლავდა-მეთქი თავს. ის კი ისე მოთმინებით და მოხერხებულად ნასკვავდა თოკს, თითქოს ამაზე ბევრჯერ უფიქრია და დიდი ხანია ამ საქმისათვის ემზადებოდაო. ვუყურებდი და იმაზე ვფიქრობდი, რასაც თვითონ ვერ მიხვდებოდა და ვერც დაინახავდა, რადგან ჩემს ადგილას არ იდგა; ვხედავდი, ნათურის მისამაგრებელი ვერ გაუძლებდა, და გავუმეორე.

— ხმა ჩაიწყვიტე! — მიპასუხა მან საკმაოდ მშვიდად, — თორემ გარეთ გისვრი!

არ მინდოდა ამ სანახაობას მოვკლებოდი და გავჩუმდი. კები მოიხადა და კამოდზე დადო, შემდეგ პალტო გაიხადა, კაშნე მოიხსნა და ორივე ტახტზე გადაფინა. ყველაფერმა ისე დამაინტერესა, სულ არ შემშინებია, ყოჩაღად ვიდექი და ვუყურებდი, თითქოს ათის კი არა, თექვსმეტი წლის გყოფილიყავი. ღმერთმანი, ათი წლის ბიჭი ასეთ სანახაობას ჯერ არ შევსწრებივარ. უცნაურია, მაგრამ თითქოს საოცრად დავახლოვდით. ყულფი ჯერ არ ჩამოეცვა კისერზე.

— კარი დახურე! — მითხრა მან და მეც შევუსრულე.

— პატარა ხარ, მაგრამ კარგი ბიჭი კი ჩანხარ, — მითხრა მან. მე კი ამ დროს თითქმის ვწუწნიდი. შემდეგ ჯიბეები მოისინჯა, ამოატრიალა რაც შიგ ჰქონდა, და ყველაფერი მაგიდაზე დაყარა: ბლუჯა-ბლუჯა ქალაქის ნაფლეთები, შეკრულები, სიგარეტის კოლოფი, საღეჭი რეზინები, ლომბარდის ქვითარი, ძველი სავარცხელი და რამდენიმე მონეტა. ერთი პენი აიღო, მომცა და მიოხრა:

— კარგად მომისმინე, ბიჭუნა, მე ახლა თავი უნდა ჩამოვიხრჩო და, რო-
ოესაც ქანაობას დავიწყებ, ამ სკამს ერთი ვაჟკაცურად ფეხი ჰკარი და იქით გააგორე, კარგი?

თავი დავუქნიე.

ყულფი კისერზე ჩამოიცვა. შემდეგ სწრაფადვე მოიშორა, თითქოს თოკი კი არა, ჰალსტუხი ვერ მოირგო.

— კი მაგრამ, რად იხრჩობ, ბიძია, თავს, რატომ?

— ყელში ამომივიდა ყელაფერი და იმიტომ. — ძალზედ უბედური კი ჩანდა, — და კიდევ იმიტომ, რომ ძალიან მინდა; ცოლმაც მიმატოვა, სამსახურსაც ვერ ვშოულობ.

მე აღარ შევეცამათე. ვუყურებდი ამ კაცს და ვხედავდი, მისთვის ერთადერთი გამოსავალი თავის ჩამოხრჩობა იყო. საოცარი გამოხედვა კი ჰქონდა! მაინც რა უცნაურად იყურებოდა მისი თვალები: დარწმუნებული ვარ, როცა მე-ლაპარაკებოდა, ვერც კი მხედავდა. ეს ის გამოხედვა არ იყო, მამაჩემს რომ შევამჩნევდი ხოლმე. სამწუხაროა, მაგრამ სწორედ ამიტომ მამაჩემი ეს კაცი არ გახლდათ, რომელიც ოდესმე თავს ჩამოიხრჩობდა. მამას ხელ-სხვაგვარი დაბღვერილი სიფათი ჰქონდა. მისი შხამნარევი გამოხედვა სულ სხვა იყო, ისე მოგაშტერდებოდა, რომ ვერ გაუძლებდი, სასწრაფოდ სახლიდან უნდა გავარდნილიყავი, ამ ტიპს კი ისეთი გულში ჩამწვდომი მზერა ჰქონდა, არ შეგაშინებდა, გაუძლებდი, და იცოდი, ცუდს არაფერს გიქადდა. ახლა კი მივხვდი, რატომ არ ჩამოიხრჩობდა მამაჩემი თავს: მას თავის დღეში არ ჰქონია თვითმკვლელის ის უცნაური გამოხედვა, ამ ტიპს რომ შევამჩნიე, თუმცა მამაც საკმაოდ ხშირად ყოფილა უმუშევარი. იქნებ დედას რომ მიეტოვებინა, მაშინ მაინც მოექცა თავი. თუმცა არა, მართალია, ასეთი ძალღუერი ცხოვრება არგუნა მამამ საცოდავს, მაგრამ დედის გაქცევაზე ლაპარაკი მაინც ზედმეტი იყო.

— სკამის გადაგდება ხომ არ დაგავიწყდება? — შემახსენა ტიპმა. პასუხის ნაცვლად თავი დავუქნიე, თვალებს ვაცეცებდი, ყოველ მის მოძრაობას ვაკვირდებოდი. სკამზე ავიდა და ყულფი კისერზე ჩამოიცვა, ამჯერად მოერგო; ისევ იმ უცნაურ ჰანგს უსტვენდა, ვცდილობდი არაფერი გამომპარვოდა, ერთი ძმაკაცი მყავდა, ყველგან რომ უყვარდა ჭხვირის ჩაყოფა, პოდა, უეჭველად გამომკითხავდა, როგორ მოხდა ეს ყველაფერიო. მონაყოლით რომ გავაგიჟებდი, სამაგიეროდ ის კინოში ნანახ „ჯუნგლების ჯიმის“ თავგადასავალს მომიყვებოდა და მეც ორ კურდღელს დავიჭერდი ან, დედა როგორც ამბობს, ბარი ბარს ვიჭნებოდით, მაგრამ გადავწყვიტე არაფერი მეკითხა იმ ტიპისათვის და ისევ კუთხისაკენ გავიწიე.

სულ ბოლოს მან ტუჩიდან სველი, ჭუჭყიანი სიგარეტის ნამწვი მოიშორა და ლუმელში ისროლა, სანამ საქმეს შეუდგებოდა, განათების შესაკეთებლად მოსულმა მონტიორებმა რომ იციან ხოლმე, სწორედ ისე. ხელს თვალი გააყოლა და ნაცარზე დაგდებულ ნამწვს მიაშტერდა.

უცებ ფეხები გაასავსავა, თან სკამის გადაგდებას ცდილობდა, ხომ დავპირდი, მოგეხმარები-მეთქი, და ისე გავქანდი, ისე ვკარი სკამს ფეხი, თითქოს „ნოტინგემ ფორესტის“ ცენტრალური თავდამსხმელი ვყოფილიყავი. სკამი სწრაფად ტახტს მიეხეთქა, შარფს წამოედო და ზედ დაიხვია.

იგი ცოტა ხანს კიდევ ქანაობდა, ხელებს ისე აფართხალებდა, თითქოს საფრთხობელაა და ჩიტების დაშინება უნდაო. ყელიდან ისეთი ხმა ამოდიოდა, თითქოს საფალარათო დაუღევი და ცდილობს როგორმე უკან არ ამოაღები-ნოსო.

შემდეგ სხვანაირი ხმა გაისმა. ზემოთ ავიხედე და რას ვხედავ! იმ ადგილას, სადაც ნათურა ეკიდა, ჭერი დამსკდარიყო, სწორედ ისე, ფილმებში მიწისძვრის დროს რომ დასკდება ხოლმე მიწა. ნათურამ წრიულად დაიწყო ტრი-ალი კოსმოსური ზომალდივით. დატრიალდა და დატრიალდა, ცოტაც და თავ-ბრუ დამეხვეოდა, მაგრამ, მადლობა ღმერთს, ის ტიპი ჩამოვარდა და ისეთი საზარელი ბრაგვანი გაადინა, ვიფიქრე, ნეკნიც არ შერჩა-მეთქი დაუმტვრევე-

ლი. ერთხანს მწარე ტკივილებისგან გამწარებული ძალღვიით იგრიხებოდა. შემდეგ დამშვიდდა, გაჩერდა.

არ მინდოდა მეყურებინა, გარეთ გამოვედი. „ერთი მაგისი, რომ ვეუბნებოდი, ვერ გაგიძლებს-მეთქი“. გამოვედი და ვბუზლუნებდი ქემთვლის. ნერვები მომეშალა, ასე უხეიროდ რომ გააკეთა ყველაფერი. ხელები ღრმად ჩავიყავი და ამ სულელური დასასრულით აღშფოთებულმა ლამის ტირილი მოვრთე. გულგატეხილმა ისე მაგრად მივაჯახუნე მისი სახლის კარი, კინალამ ჩამოვიღე.

ეზოში რომ გამოვედი, პირდაპირ სახლისაკენ გავეშურე ჩაის დასალევად. ამდენი ხანი კინოც დამთავრდებოდა და ჩემიანებიც ალბათ უკვე შინ დამხვდებოდნენ, ასე რომ, მეც მეტი არაფერი მექნებოდა დასაბოლში. სწორედ ამ დროს პოლიციელმა ჩამიარა და პირდაპირ იმ ტიპის კარისაკენ გაეშურა. თავი წინ წაეწია და მიაღაჯებდა — უკვე მოუსწრიათ და დაუბეზლებიათ — გავიფიქრე, ეტყობა, თოკს რომ ყიდულობდა, მაშინ შეამჩნიეს და შეატყობინეს ან იქნებ ეზოში რომ გამოელაპარაკა, ის დედაკაცი მიუხვდა ხუმრობას, თუმცა თვითონაც შეეძლო ვინმესთვის გაეჩნდო ეს ამბავი. ჩემი აზრით, იცოდა, რაზედაც მიდიოდა, ის უცნაური გამოხედვაც აბა რა იყო, მის თვალებში რომ ამოვიკითხე, თავს ისე არ ჩამოიხრჩობდა. მაგრამ ხედავთ, რა ხდება, თავის ჩამოხრჩობის ნებაც არ ჰქონია თურმე აღამიანს, გავიფიქრე და პოლიციელს გავყევი იმ ტიპის სახლისაკენ.

კარებში პოლიციელის უკან აღმოვჩნდი. იგი ჯიბის დანით კისერზე მოხვეულ თოკს აჭრიდა, შემდეგ წყალი დააღვინა. ჩამოხრჩობილმა თვალები ჰყიტა. ძალიან კი არ მიყვარდა ეს პოლიციელი. ამან დაიჭირა ერთი-ორი ჩემი ამხანაგი, საპირფარეშოებიდან ტყვიის მილსადენებს რომ იპარავდნენ, და გამოსასწორებელ კოლონიაში უკრა თავი.

— კაცო, თავს რისთვის იხრჩობდი? — შეეკითხა პოლიციელი და თან ცდილობდა როგორმე წამოეყენებინა ის ტიპი. იმას კი ლაპარაკის თავიც არ ჰქონდა. ნათურის ნამსხვრევით ხელი გაეჭრა და სისხლი მოსდიოდა. მე ხომ ვიცოდი, რომ თოკი ვერ გაუძლებდა, მაგრამ ვინ დამიგდო ყური. თავს მაინც არასოდეს ჩამოვიხრჩობ, მაგრამ თუკი დავაპირე, იმას როგორმე მოვახერხებ, ნათურაზე კი არა, ხეზე ან უფრო მაგარ რამეზე ჩამოვკიდო თოკი.

— მაინც რად ჩაიღინე ეს, არ მეტყვი?

— მინდოდა და იმიტომ, — ამოიოხრა ტიპმა.

— ხუთ წელს მოგისჯიან ამისთვის, — უთხრა პოლიციელმა.

შუა ოთახისკენ შევღერღეტდი, თითი ისევ ისე მედო პირში და ვწუწნიდი.

— შენ ასე გგონია? — უთხრა ტიპმა, ახლა უკვე ჩვეულებრივი, შეშინებული თვალები ჰქონდა. — მე მხოლოდ თავის ჩამოხრჩობა მინდოდა.

— მერედა არ იცი, რომ ეგ კანონით აკრძალულია? — უთხრა პოლიციელმა და ჯიბიდან წიგნაკი ამოიღო.

— შენც ამბობ რაღა, — გაეპასუხა ტიპი, — განა ჩემი სიცოცხლე მე არ მეკუთვნის?

— ეგრე გეგონოს, მაგრამ რომ არ გეკუთვნის? — უთხრა პოლიციელმა.

ტიპმა ხელიდან სისხლის გამოწოვა დაიწყო, პატარა ნაკაწრი კი იყო, არც ჩანდა.

— ეგ კი პირველად მესმის, აი, — უთხრა მან.

— პოდა, აწი გეცოდინება, — უპასუხა პოლიციელმა.

რა თქმა უნდა, პოლიციელს არ გავუმხილე, რომ იმ ტიპს თავის ჩამოხრჩობაში ვეხმარებოდი, ციდან ჩამოფრენილი კი არ ვიყავი.

— კარგად ყოფილა ჩვენი საქმე, თუ აღამიანს არ შეუძლია თა-ვის თავს, რაც უნდა, — თავის მართლება დაიწყო, მიხვდა რა, რომ და-ნაშაულზე წაასწრეს.

— დიახაც არ შეუძლია, — უპასუხა პოლიციელმა და, თითქოს ეს დამა-ჯერებელი ფრაზა თავის წიგნაკში ამოიკითხაო, კმწყოფილმა განაგრძო: — შენი სიცოცხლე შენ არ გეკუთვნის, სიცოცხლეზე უარის თქმა ხომ დანაშაუ-ლია. მაშასადამე, შენ სიცოცხლეს სპობ. ეს კი თვითმკვლელობაა!

იმ ტიპს ახლა პირქუში სახე ჰქონდა, თითქოს პოლიციელის ყოველი სი-ტყუა ექვს-ექვსი თვის პატიმრობას უქადდა. ღმერთმანი, ძალიან კი შემეცოდა, ნეტავი ჩემთვის მაინც დაეგდო ყური და იმ ნათურის მისამაგრებელს არ დან-დობოდა. ხეზე მაინც ჩამოეხრჩო თავი, ან რამე ამის მაგვარი მოეძებნა.

ეზოში უწყინარი კრავივით მიყვებოდა პოლიციელს და ჩვენ ყველას გვეგონა, საინტერესო მეტი აღარაფერი მოხდებოდა.

მაგრამ ერთი-ორი დღის შემდეგ ეზოს ახალი ამბავი მოედო, უფრო აღ-რე, ვიდრე გაზეთებში გამოქვეყნდებოდა. ერთი ჩვენი ეზოელი ქალი საავად-მყოფოში საჭმლის ჩამომრიგებლად და ამლაგებლად მუშაობდა საღამოობით და ეგ ამბავი სწორედ იმისგან გავიგე. ყური მოვკარი, ეზოში ვიდაცას რომ უყვებოდა: „ამის ვიფიქრებდი? ჩვენთან რომ მოიყვანეს, იმის მერე მეგონა, სა-ერთოდ გაუქრებოდა თავიდან სულელური აზრი, თურმე არა, რას არ გაიგებ ამ ქვეყანაზე, საწოლთან რომ დარაჯობდა, ის პოლიციელი მოსასაქმებლად გასულა, ის უბედური კი ამდგარა და საავადმყოფოს ფანჯრიდან არ გადმომხ-ტარა? მოკვდაო? მოკვდებოდა, აბა რა მოუვიდოდა?“

ძლივს აფოფხებულა ფანჯარაზე და ქვასავით დანარცხებულა მიწაზე. გუ-ლი მეტკინა, ასე რომ მოხდა, მეორე მხრივ კი გამეხარდა, გამეხარდა იმი-ტომ, რომ იმ საწყალმა ასე კარგად დაუმტკიცა პოლიციელს და ყველას, რომ მისი სიცოცხლე მხოლოდ მას ეკუთვნოდა. სასწაულია მაინც, — ამ უტვინო ნაბიჭვრებმა ის კაცი, რომელიც მეთვალყურეობის ქვეშ უნდა ჰყოლოდათ, მე-ექვსე სართულზე როგორ დააწვინეს? კარგად არ შეურჩიეს ადგილი, მერედა როგორი, ხეზე უკეთესი რომ გამოდგა!

ეს რომ მახსენდება, უფრო მადარდებს ჩემი ბოლმიანი ხასიათი. თითქოს შავი ნახშირით ამოტენილი ტომარა ვიყო, ისეთ შავბნელ ხასიათზე ვდგები. მაგრამ არ გეგონოთ, ეს ბოლმა თავს ჩამოგახრჩობინებს, ან ამის გამო ორსარ-თულიან ავტობუსს შეუვარდები, ან ფანჯრიდან გადაგახტუნებს, ან გახსნილი თევზის კონსერვის ჟანგიანი ზუფით ყელს გამოგატყვევინებს. ან გაზქურაში შეყოფ თავს და ამოიხრჩვები, ან ამ ოხერ გატენილ მუთაქას, — ტანს რომ ვეძახით, — მატარებელს ლიანდაგზე დაუდებ. არაფერი ეგ არ მოხდება, იმი-ტომ რომ რომ როცა ასე მურღლად დაიბოლმები, სკამიდან ადგომასაც ვერ მოახერ-

ხეზ. ყოველ შემთხვევაში, რაც უნდა იყოს, ნაღვილად ვიცი, ისე არასოდეს დავიბოლმები, რომ თავი ჩამოვიხრჩო. რაღაც არ მიზიდავს ეს ამბავი და ამიტომ, რაც უფრო ხშირად მახსენდება, როგორ ქანობდა ნათურის მისამაგრებელზე ჩამოკიდებული — რა ეშმაკიც ერქვა იმ ტიპს — უფრო მეტად არ მიზიდავს ეს ამბავი და რა ვქნა.

ყველაზე მეტად კი ის მიხარია, იმ შაბათ დღეს, როცა უსაშველო ბოლმისაგან ლამის იყო თავი მომეკლა, კინოში არ წავედი და შინ დავრჩი. იმიტომ რომ, იცით, რა გითხრათ, თავს უკვე აღარასოდეს ჩამოვიხრჩობ. ეგ ნაღვია, დიდხანს, დიდხანს ვიცოცხლებ, დაჩაჩანაკებული, ას ხუთ წელიწადს რომც მივალწიო, გარეთ გავვარდები და ქანცისგაწყვეტამდე გიჟივით ვიდრიალებ, იმიტომ, რომ ასე ძალიან მწყურია ეს წყვეული სიცოცხლე და მინდა აქ დავეტოო, სადაცა ვარ.





ძველბერძნულიდან თარგმნა, წინათქმა და
კომენტარები დაურთო ანი ჩანტლაძემ

წინათქმა

იქ, სადაც უდაბნო და ნილოსი — სიკვდილი და სიცოცხლე — ერთმანეთს ეხლება, იშვა კაცობრიობის უძველესი ცივილიზაციის კერა — ეგვიპტე. ნილოსმა დატბორა მზით გამოფიტული ნაპირები და უკულმა ნასროლი თესლი წაშლა ამოდოდა. მის ნაპირებზე ცხოვრობდა ხალხი, რომელსაც უყვარდა, სძულდა და ხელოვნების უკვდავ ნიმუშებს ქმნიდა. მათაც აწუხებდათ სიცოცხლის წარმავლობა და პაპირუსის გრძელ გრაგნილებზე მითების სახით დაგვიტოვეს თავიანთი შეხედულებები ამ მარად უპასუხო კითხვაზე — „შემდეგ რა...“. უამთა სიღრმეში ბევრჯერ დაემხო და აღდგა ეგვიპტე. მაგრამ მივიდა ალექსანდრე მაკედონელი, დაადგა ნილოსის შესართავს და ეგვიპტე ვეღარ გაიმართა წელში. დარჩა დიდი კულტურა, პირამიდები ვერ დაამხო დრომ, ხოლო მითები — ელინებმა შეითვისეს და შემოგვინახეს. მათ არ შეუცვლიათ მითის სიუჟეტი, მაგრამ ელინურმა მსოფლმხედველობამ სულ სხვა ელფერი მისცა მას. ეს მკაფიოდ ჩანს პლუტარქეს ტრაქტატში „ისისისა და ოსირისის შესახებ“.

პლუტარქე ქერონეელი ჩვ. წ. ა. I-II ს. ბერძენი მოაზროვნეა. მისი „პარალელური ბიოგრაფიები“ დღემდე რჩება ისტორიოგრაფიის კლასიკურ ნიმუშად. პლუტარქე არ იყო მხოლოდ მწერალი და ფილოსოფოსი, ის პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეც გახლდათ — კონსულარი, აქაიის პროვინციის (ისე უწოდებდნენ რომაელები საბერძნეთს) პროკურატორი, დელფოს სამისნოს ქურუმი, რომელსაც დელფოელებმა და ქერონეელებმა ძეგლი დაუდგეს.

„პარალელური ბიოგრაფიების“ გარდა მან დაგვიტოვა „მორალიების“ სახელით გაერაიანებული, სხვადასხვა თემაზე დაწერილი ტრაქტატები, რომელთაგან ერთ-ერთია „ისისისა და ოსირისის შესახებ“.

ოსირისი ეგვიპტური პანთეონის ერთ-ერთი მთავარი ღმერთია. მისი კულტი ჯერ აბიდონში გავრცელდა შუა სამეფოს ხანაში, შემდეგ კი მისი მითი, ბ. ა. ტურაევის თქმით, „ეგვიპტური რელიგიის მთავარი მითი ხდება, რომელსაც ეგვიპტურ კულტურაში ცენტრალური ადგილი უკავია“.

ოსირისი იყო ღმერთი — მეფე, ღმერთი — ვნებელი, ღმერთი მცენარეულობისა და ბუნების ძალებისა, გარდაცვლილთა მსაჯული და იმქვეყნიური მბრძანებელი. ეგვიპტური მითოლო-

1 ტურაევი, ძველი აღმოსავლეთის რელიგია, ტ. 1, მ. 1935.

გიაში მასთან განუყრელადაა დაკავშირებული ისი — გრძნეული და მძლავრი ქალღმერთი, ოსირისის და და ერთგული ცოლი, ჰოროსის დედა. მან შეაგროვა სეთის მიერ გაწველული ოსირისის სხეულის ნაწილები და ღმერთი მკვდრეთით აღადგინა.

ელინისტურ ხანაში ოსირისმა სახელი შეიცვალა და საბერძნეთსა და ეგვიპტეში სარაპისად იწოდებოდა (იხ. კომ. 11), ისიც კი თავის მნიშვნელობით გადააქარბა სარაპისს. „ელინიზმის“ ყველა ღმერთს შორის უდიდესი ისი იყო. ის გაიგივებულ იყო ყველა ქალღმერთთან. ის იყო „ყველაფრის მფლობელი“, „ყველაფრის მფარველი“, „ყოვლისშემძლე“, „სილამაზე“, „ბედნიერება“, „ნაყოფიერება“. უფრო მეტიც, ამ წარმართულმა ქალღმერთმა ქრისტიანობაშიც დაიღო ბინა და „მისი ქანდაკებები მადონას გამოსახულებებად იქნა გამოყენებული“².

ეგვიპტური წყაროებით ოსირისის მითი გაფანტულადაა მოღწეული (სხვადასხვა პაპარუსები; „სარკოფაგთა წიგნები“, „იეფეთა წიგნები“). პლუტარქე მითს თანმიმდევრულად და დალაგებულად გადმოგვცემს. იგი ცდილობს ეგვიპტური ტრადიცია დაიცვას ღმერთების დახასიათებისას და არა ელინისტური. ფაბულის თვალსაზრისით ამას აღწევს კიდეც, თუმცა არც დეტალები, რომლებიც აშკარად ბერძნული მითებიდანაა ნასესხები (თავი 14-16), სულე, რომლითაც მითია გამსჭვალული, ბერძნულია და არა ეგვიპტური.

პლუტარქე ეგვიპტურ გადმოცემებს ელინიზმისათვის დამახასიათებელი სინკრეტიზმით უდგება, მისთვის ერთია ჰერმესი და ტოტი, კრონოსი და გები, რეა და ნუტი, ჰელიოსი და რა, დიონისე და ოსირისი (თავი 3, 12, 35...). მაგრამ მითის გადმოცემა არ ატვის პლუტარქესთვის მთავარი. მას უფრო მითის ფილოსოფიური ინტერპრეტაცია აინტერესებს, რადგანაც უპირველესი სიკეთე ამქვეყნად ღმერთების შესახებ ჭეშმარიტების შემეცნებაა, ამას კი მიადწევს იმ შემთხვევაში, თუ სწორად შეძლებს მითის „წაკითხვას“ (თავი 11). პლუტარქეს მკითხველი თანდათან აჰყავს შემეცნების კიბის საფეხურებზე. იგი მითს რამდენიმე ასპექტში განიხილავს. ჯერ ოსირისი ნილოსია, ისი — ნაყოფიერი მიწა, სეთ-ტიფონი კი — გვალვა და სიმშრალე. შემდეგ საფეხურზე ისი და ოსირისი ნაყოფიერების გამომხატველნი არიან, ტიფონი კი ყოველგვარი ქარისა. შემდეგ ტიფონი და ოსირისი ერთმანეთს უპირისპირდებიან, როგორც კეთილი და ბოროტი საწყისები, დაბოლოს ოსირისი მხოლოდ გონებით შეცნობადი, შემოქმედი ლოგოსია, ისი მისკენ მისწრაფებული მატერია, ჰოროსი კი ლოგოსის ანაბეჭდი მატერიაში, აღქმადი სამყარო, რომელსაც იდეალური ბუნებაც აქვს და მატერიალურიც.

მეოცე საუკუნის ადამიანისათვის შეიძლება არც მითი და არც მისი ახსნა საინტერესო არ იყოს, მაგრამ პლუტარქეს მწერლური ოსტატობა ალბათ არავის დატოვებს გულგრილად.

² ტარნი, ელინისტური ცივილიზაცია, მოსკოვი, 1949.

1. ყოველგვარი სიკეთე, რა, კეთილი, გონიერება ადამიანებმა ღმერთებს უნდა სთხოვონ. ყველაზე მეტად კი გვსურს და ამასვე ვეძებთ, რომ ცოდნა ღმერთების შესახებ მათგანვე მივიღოთ, რამდენადაც ეს ხელეწიფების ადამიანს, რამეთუ ჰერმარიტებაზე უფრო დიდბუნად ვერაფერს მიიღებს ადამიანი და ვერც ღმერთთა მონიჭების მას რაიმეს უფრო წმინდას, სხვა რამ საჭიროს ყველაფერს სრულად აძლევს ღმერთთა ადამიანს, გონებასა და სიბრძნეს კი, რომელთაც იგი ფლობს და იყენებს, როგორც თავის გამორჩეულ საკუთრებას, მხოლოდ გამოწველილვით იძლევა, რადგანაც ღმერთთა ნეტარ არს არა ოქროთი და ვერცხლით და ძლიერია არა მებთა ტებით, არამედ ცოდნითა და წვდომის ნიჭით. სწორედ ესა თქვა ჰომეროსმა ყველაზე კარგად მათ შორის, რაც კი ოდესმე უთქვამს ღმერთებზე:

„ორთავე იყო ერთი მოდგმისა,
და შეილნი იყვნენ ერთი მამისა,
ოლონდაც ზევსი ადრე გაჩნდა რა
— მეტი უწყოდა“.²

მან ნათლად გამოთქვა, რომ ზევსის პირველობა უფრო წმინდაა, რადგანაც უფრო ძველია მისი სიბრძნე და ცოდნა. და, მე მგონია, ღმერთის წილხვედრ მარადიულ ცხოვრებაში ბედნიერება სწორედ ისაა, რომ შემცნებისას არაფერი გამოარჩეს იქიდან, რაც ხდება; და თუ მას წაერთმეოდა ნიჭი შეცნობისა და არსის წვდომისა, მაშინ უკვდავება ცხოვრება კი არა, დრო იქნებოდა.

2. ამიტომ, სწრაფვა ჰერმარიტებისაკენ, განსაკუთრებით კი ჰერმარიტებისაკენ ღმერთთა შესახებ, არის ლტოლვა ღვთაებრივისკენ, რადგანაც ის გულისხმობს წმინდა საგანთა შესწავლას, აღქმასა და გამოკვლევას და უფრო ხალხთოს საქმეა, ვიდრე ნებისმიერი განწმენდა და ტაძარში მსახურება; არანაკლებ სიამოვნებებს ის ღმერთქალსაც* რომელსაც ემსახურები; არაჩვეულებრივად ბრძენია იგი და სიბრძნის მოყვარული. თვით მისი სახელიც კი იმას მიგვანიშნებს, რომ ყველაზე მეტად მას შემეცნების ნიჭი და ცოდნა ახასიათებს, რადგანაც ისინი ბერძნული სიტყვაა, ისევე როგორც ტიფონი,³ მისი დაუძინებელი მტრის სახელი; იგი, ცრუ და უმეცარი გლეჯს და

ანადგურებს წმინდა სიტყვას⁴, რომელსაც ღმერთქალთა აგროვებს, აერთებს და ხელდასხმულთ გადასცემს; ხოლო ხელდასხმა წესად უღებს მუდამ ზომიერ ცხოვრებას, თავშეკავებას მრავალი სახის საცდებისაგან, სიყვარულის სიტკბოებისაგან, ანელებს აღვირახსნილობას და განცხრომით ცხოვრების სიყვარულს, აჩვენებს ადამიანებს შეუღებელ და შკაცრ მსახურებას, რის მიზანიც არის წვდომა იმისა, რომელიც პირველ არს, რომელიც ხელმწიფებს და რომელიც მხოლოდ გონებისთვისაა მისაწვდომი. მის საპოვნელად მოგვიხმობს ღმერთქალი და იგი არს მისა თანა, მის გვერდით და მასთან კავშირში. ტაძრის სახელი უმეტესად გვაუწყებს არსის ცოდნას და წვდომას; მას „ისიონი“⁵ ჰქვია ნიშნად იმისა, რომ შევიცნობთ არსს, თუკი განსჯითა და ღვთისმოსაობით მივყავხლებით ღმერთქალის წმიდათაწმიდას.

3. უფრო მეტიც, ბევრი მოგვეთხრობს, რომ ისინი არის ასული ჰერმესისა, ხოლო სხვები ამბობენ, თითქოს ის პრომეთეს⁶ შვილი ყოფილიყო, რადგანაც ამ უკანასკნელმა დასახაში მისცა სიბრძნესა და ნათელხილვას, ხოლო ჰერმესმა კი — გრამატიკასა და მუსიკას. ამიტომ, ჰერმოპოლისში, უპირველესს მუზეთა შორის, „ხამართლიანობას“ და „ისისს“ ეძახიან; ისინი ბრძენია, როგორც ადვნიშნე, და უმხელს ღვთაებრივს მხოლოდ იმით, ვინაც სწორად და სამართლიანად ჰქვიათ პიერაფორები და ჰიეროსტოლები;⁷ მათ სულში აქვთ დაუნჯებული, როგორც წარდახშაში, წმიდათაწმიდა სიტყვა ღმერთთა შესახებ, შეუმღვრეველი ყოველგვარი ცრურწმენითა და ამოცნობით. ეს ისინია, რომლებიც ხანდახან გამოაჩენენ ხოლმე ნაწილს თავიანთი სწავლებისა, ხან წყვედიადით მოცულისა და ჩრდილოვანს, ხან კი — ცხადსა და ნათელს, მსგავსსა ამ სიმბოლოებისა, რომლებიც გაცხადებულია წმინდა სამოსელში. ამ სამოსით ისინი გარდაცვლილ ქურუმთა შემოსტა იმის ნიშანია, რომ სიტყვა იგი არს მათ თანა და იმიერ სამყაროში გარდასულთ მხოლოდ იგი მიაქვთ თან და, ისევე, როგორც გრძელი თმა და მოსახსნამი ვერავის აქცევს ფილოსოფოსად, ასევე ვერ გახდის ისინი ქურუმად სელის კაბა და თავის პარსვა. რამეთუ ღმერთქალის ჰერმარიტი მსახური ისაა, ვინც ყოველთვის წესისამებრ აღიქვამს ყველაფერს ღმერთების შესახებ თქმულსა და მათ ხაღიდებლად ნადვანს, ვინც ამას თავის გონებით იკვლევს და მასში დაუნჯებულ ჰერმარიტებაზე ფიქრობს.

* დედანში ხმარებული „ჰე თეოს“ და „ჰე თეა“ ქართულად შესაბამისად გადმოვიტანეთ, როგორც „ღმერთქალი“ და „ქალღმერთი“.

4. მაგრამ ხალხის უმრავლესობისათვის გაუგებარია საყოველთაოდ ცნობილი და უმნიშვნელო წესი: რატომ იპარსავენ ქურუმები თავს და რად ატარებენ სელის სამოსელს? ზოგს ეს სულ არ აწუხებს, ზოგი კი ამბობს, რომ ქურუმები თავყვანს სცემენ ცხვარს და ამდენად, ერიდებიან მისი მატყლისა და ხორცის გამოყენებას; თავს გლეხის ნიშნად იპარსავენ, სელს იმ ფერის გამო ატარებენ, რომლითაც ის ყვავილობის ემსილება და რომელიც სამყაროს შემავსებელი ციური ეთერის დარია თავისი ლაჟვარდოვნებით. ყოველივე ამის კეშმარი-ტი მიზეზი კი ერთია: როგორც პლატონი ამბობს, დაუშვებელია უწმინდურის წმინდასთან შეხება.⁸ საკმლის მონარჩენი და ათახვარა ნაყარ-ნუყარი კი არც სუფთაა და არც პატივსაცემი. მატყლი, ბეწვი, თმები, ფრჩხილები, რომლებიც ნარჩენებს განეკუთვნება, ჩნდება და იზრდება; და ამიტომ სასაცილო იქნებოდა, რომ ქურუმებს, რომლებიც განწმენდის წესის შესრულებისას საკუთარ თმებს იპარსავენ და ტანს იპრიალებენ, ცხოველთა ბეწვი ჩაცვათ და ეტარებიანთ. და უნდა ვიფიქროთ, რომ, როდესაც შესიოდე ამბობს:

„ზუთთითა შტოზე შუა ლხინში მარად უკვდავთა მანვილი რკინით ნუ ჩამოსხეპ მწვანიდან ხმელსა“⁹

— გვასწავლის, დავიწყოთ დღესასწაული ყოველგვარი ზედმეტისაგან განწმენდილებში, და ნუ შევუდგებით ნარჩენების გადაყრას საღმრთო წესის შესრულებისას. რაც შეეხება სელს, იგი იზრდება უკვდავი მაწიდან და იძლევა მასაზრდოებელ ნაყოფს, მსუბუქ, უბრალო და სუფთა სამოსელს, რომელიც წლის ყოველ დროს ვარგისია, და როგორც ამბობენ, ნაკლებად არის ტილის ბუდე. მაგრამ ეს უკვე სულ სხვა რამაა.

5. ქურუმებს ისე ეზიზღებათ ყველაფერი, რაც ნარჩენების ბუნებისაა, რომ ერიდებიან არა მარტო სხვადასხვა ჯიშის ცერცვის, ცხვრისა და ღორის ხორცის ქამას, არამედ განწმენდის რიტუალის აღსრულების პერიოდში უმარილო საჭმლით იკვებებიან. საამისოდ მათ ბევრი მიზეზი აქვთ: მარილი მადას აღვიძებს, აშიებს და აწყურებს. არისტოტელის¹⁰ თქმით, მარილი იმიტომაცა უწმინდური, რომ გამყარებისას მასში მოხვედრილი ციკქნა ცოცხალი არსებანი ილუპებიან; მაგრამ ეს

შეხედულება ძალიან სულელურია. იშახაც ამბობენ, რომ ამის¹¹ განსაკუთრებული კიდე არწყულებენ და ნილოსს ახლოსაც არ აკარებენ; იმიტომ კი არა, რომ ნილოსის წყალი თითქოს ნიანგებისაგან იყოს წაბილწული (პირიქით, ეგვიპტელთათვის ნილოსზე უფრო სათაყვანებელი არაფერია), უბრალოდ, ნილოსის წყალი ახუქებს და ამძინებს. ქურუმები ამას არ უსურვებენ არც ამის და არც თავის თავს; მათ ხურთ, რომ სხეული მოხერხებულად და მსუბუქად ეხვეოდეს სულს და ღვთაებრივი არ იყოს შევიწროებული და შეხუთული მოკვდავი საწყისით, რომელიც დათრგუნავდა და დაამძიმებდა მას.

6. რაც შეეხება ღვინოს, ბელიოპოლისის ღვთისმოსავთაგან ზოგიერთს საერთოდ არ შეაქვს ის ტაძარში, რადგანაც არ შეძფრით სმა დღისით-მზისით ბატონისა და მეფის თვალწინ. სხვები ხმარობენ ღვინოს, მაგრამ ძალიან ცოტას, მათაც აქვთ დღესასწაულები, რომელთა დროსაც ღვინის სმა აკრძალულია. ეს მაშინ, როდესაც სიბრძნეს ეუფლებიან, სწავლობენ და ასწავლიან ღვთაებრივს. ბეკატაიოსის¹² თქმით, თვითონ მეფენიც, წმინდა წესის შესაბამისად, ცოტას სვამენ, რადგან ისინი ქურუმებიც არიან. სმა პსამეტიქის¹³ დროიდან მოყოლებული დაიწყეს. მანამდე ღვინოს არც სვამდნენ და არც სწირავდნენ, როგორც ღმერთთათვის საამურს. პირიქით, თვლიდნენ, რომ ეს მათი სიხსლია, ვინც ოდესღაც ღმერთებს ებრძოდა, სიკვდილის შემდეგ კი მიწას შერეთო და მის ძვლებზე ვაჭი ამოვიდა. ამიტომაცა, რომ სიმთვრალე ადამიანს აცოფებს და აგიჟებს, თითქოს იგი წინაპართა სიხსლით ივსებოდეს. ევდოქსოსი¹⁴ თავის „დედამიწის აღწერის“ მეორე წიგნში ამბობს, რომ სწორედ ამას გვიამბობენ ქურუმები.

7. ასევე, ზღვის თევზებიდან ყველა როდი ეკრძალებათ ხაჭმელად, მხოლოდ ზოგიერთი. მაგალითად, ოქსირინხოს მცხოვრებლები არ ეკარებიან ანკესით დაჭერილ თევზს, რადგან ისინი თავყვანს სცემენ ოქსირინხოსს¹⁵ და შიშობენ, რომ ანკესი შეიძლება წაბილწული აღმოჩნდეს, თუ ამ თევზს მისთვის ოდესმე პირი მოუკიდია. სიენიტელები კი არ ჰკამენ ფაგროსს, რადგან ითვლება, რომ ის ნილოსის ადიდებასთან ერთად გამოჩნდება ხოლმე და ხალხისათვის მოხალისე მაცნეა დიდროის დასაწყისისა. ქურუმები ყველანაირი თევ-

ზის ჰამას ერიდებთან და პირველი თვის მეცხრე დღეს, როდესაც ყველა სხვა ეგვიპტელი თევზს შეეჭყვევა თავის ხანლის წინკარში, ქურუმები პირსაც არ აკარებენ და ჰიშკრის წინ დანთებულ ცეცხლში ყრთან თევზს. ამას ორნაირად ხსნიან, რომელთაგან წმინდასა და ფაქიზზე მეტი მოგითხოვთ: იგი ეხება უმაღლეს ცოდნას ოსიკისისა და ტიფონის შესახებ. მეორე, ყველასათვის ნათელი და გასაგები მიზეზი კი ისაა, რომ თევზი არც უბრალო და არც აუცილებელი საჭრდოა, მომეროსის მოწმობით, არც განებივრებული ფეაქლები და თვით კუნძულები ითაკელებიც კი თევზს არ ჰამდნენ, ისევე, როგორც ოდისეგის თანამგზავრები, რომელთაც პირი არ დაუკარებიათ თევზისათვის, სანამ ფეიდურესად არ გაუჭირდათ.¹⁸ ხაერთოდ, ეგვიპტელები თვლიან, რომ ზღვა ცეცხლს გამოეყო და სამყაროს გარეთ გასული არც მისი ნაწილია და არც ელემენტი, არამედ მისთვის უცხო ნარჩენია, მაგნე და დამდუპველი.

8. არაფერი უაზრო, არაფერი ფანტასტიური, როგორც ზოგს ჰგონია, და არაფერი ცრურწმენიდან გამომდინარე არ შეაქვთ მათ ღვთისმსახურებაში. შეაქვთ მხოლოდ ისეთი სხვადასხვა რამ, რომელთაგან ზოგს საფუძვლად წნეობრივი და სახარგებლო უდევს, ხოლო ზოგისათვის კი უცხო არ არის ისტორიისა და ბუნებისმეტყველების დამახასიათებელი საკითხები. მაგალითად, ხანვს უკავშირებენ იმას, რომ ისიის ადწრდელი დიქტისი მდინარეში ჩავარდა და დაიღუპა ხანვს მოჭიდებული. ეს დაუჭერებელია. მაგრამ ქურუმები ერიდებთან ზანვს, ეზიზღებათ ის და პირსაც არ აკარებენ, რადგან ხანვი ერთადერთი მცენარეა, რომელიც მთვარის გაღვივისას ყვავილობს და იზრდება. მიუღებელია ის მათთვის, ვინც მარხვას ინახავს ან ზეიმობს, რადგან პირველს აწყურებს, მეორეს კი ატირებს. ამის მსგავსად, ისინი თვლიან, რომ ღორი უწმინდური ცხოველია, რადგან ფიქრობენ, რომ მისი შეწყვილება მთვარის გაღვივისას ხდება. ღორის რძის შემსმელს, მათი აზრით, კეთრი შეეყრება და კანი დაუმუწუდება. წელიწადში ერთხელ, მთვარის გავსებისას სწირავენ მხხვერბლად ღორს და მის ხორცს შეეჭყვევიან. საბაბად კი შემდეგ ამხავს იხსენებენ: ერთხელ ტიფონი მთვარის გავსების უამს ტახტს გამოდევნებული წის ყუთს გადააწუდა, რომელშიაც ოსიკისის ნეშ-

ტი ეხვენა, და დაამტვრია. ამ ამბავს ზევრი მონაპორად თვლის, ძველ ხალხზე კი ამბობენ, რომ ფუფუნება, განცხრომა და კეთილი ცხოვრება ისე ეზიზღებოდათ, რომ თებეს ტაძარში მეფე შეინისის¹⁷ შემარვენებელი წარწერებით სტელაა თურმე აჭრებულთ, მეფისა, რომელმაც მოუშალა ეგვიპტელებს ზომიერი, ალალი და უბრალო ცხოვრების წესი. იმასაც ამბობენ, რომ ტექნაკტისი,¹⁸ ბოკქორისის¹⁹ მამა, არაბეთში ლაშქრობისას, როცა მის ალაღს დააგვიანდა, სიამოვნებით დანაყრდა იმით, რაც ეშოვებოდა და ტკბილად დაიძინა ჩაღაზე მწოლარემ. ამის მეტი მოეწონა უბრალო ცხოვრება, შეჩვენა შეინისი და ქურუმების წაქეზებით სტილებზე წყევლა დააწერინა..

9. ეგვიპტელები მეფეს ქურუმთა ან მეომართა წრიდან ირჩევდნენ, ამ უკანასკნელთ მამაცობისათვის, ქურუმებს კი სიბრძნის გამო. ამასთანავე მეომართა წრიდან არჩეული მაშინვე ქურუმს ხდებოდა და ეზიარებოდა მათ სიბრძნეს, შებურვილს მითითა და სიტყვით, რასაც თან ახლდა ჭეშმარიტების ბუნდოვანი ნათებანი და ანარეკლები. სწორედ ამის გამო ისინი თავიანთი ტაძრების წინ სტინქსის ქანდაკებებს დგამდნენ. ნიშნად იმისა, რომ მათ მოძღვრებაში ღვთაებრივის შესახებ საიდუმლო სიბრძნე იყო დაფარული. ხოლო საიხში, ათენას ქანდაკებას, რომელსაც ისინი ისისად მიიჩნევდნენ, ასეთი წარწერა აქვს: „მე ვარ ის, რაც ოდესმე ყოფილა, არის, ან იქნება და არც ერთ მოკვდავს ჩემი საფარველი არ აუხდია“. ზევრი თვლის, რომ ზევსის ეგვიპტური სახელია ამუნ (ან ამმო-ნი, როგორც არასწორად გამოვთქვამთ ჩვენ). მანეთოს სებენიტელი ფიქრობს, რომ ეს სიტყვა დაფარულს ან დაფარულობას უნდა ნიშნავდეს. მეკათაოს აბდერელი კი ამბობს, რომ ეგვიპტელები ამ სიტყვას მიმართვისას იყენებენ, რამეთუ ის არის მიმართვა. ამიტომ, როდესაც ისინი უხილავსა და დაფარულს, სამყაროსთან მათ მიერ გაიგივებულ უზენაეს ღვთაებას მიმართავენ და ევედრებიან გამოცხადოს, მაშინ ამბობენ — „ამუნ“. ასეთია ეგვიპტელთა მოწიწება იმ სიბრძნის წინაშე, რომელიც ღვთაებრივ საქმეთ შეეხება.

10. გვემოწმებიან უბრძენესნი ელინთა ზორის: სოლონი, თალესი, პლატონი, ევდოქსონი, ზოგის თქმით ლიკურგოსიც, რომლებიც ეგ-

ვიპტეში მიდიოდნენ და იქ ქურუშებთან ჰქონდათ ურთიერთობა. ამბობენ, ევდოქსოსი ქსონუფის შემფინელისაგან დებულობდა ცოდნას, ხოლო სონქის საიხელის, ხოლო პითაგორა კი ოინუფის ჰელიოპოლისელისაგან. ეტყობა, განსაკუთრებით პითაგორა, თავად შესანიშნავი, ქურუშებით მოხიბლულა, ბაძვდა მათ საიდუმლო სიმბოლიკას და თავის მოძღვრებას ქარაგმულად ამბობდა. პითაგორელთა უმეტესი დარიგებანი არაფრით განსხვავდება ე. წ. იეროგლიფური დაწერილობისაგან, მაგალითად: არ ჭამო ხაოშარ ეტლზე ამხედრებულმა; არ უნდა ჭამო საკუთარი პური უქმად ყოფნისას; ნუ დარგავ პალმას; ნუ გაადვივებ სახლში ცეცხლს და ნით. ის, რომ ეს ხაზნი¹⁹ ერთიანს აპოლონს უწოდებს, ორიანს — არტემისს, შვიდიანს — ათენას, ხოლო კუბს — პოსეიდონს, მე ჩემდა თავად, ზევსსა ვფიცავ, ეგვიპტურ ტაძრებში დადგმულს, ამოტვიფრულსა და დახატულს მაგონებს. რადგან, მაგალითად, ოსირისს — ზემოწიფესა და მეუფეს — ისინი თვალისა და კერძონის საშუალებით გამოხატავენ; თან ზოგიერთი მის სახელს როგორც „მრავალთვალს“ ისე ხსნიან, რამეთუ „ოს“ ეგვიპტურად ნიშნავს „ხევრს“, „მრავალს“, „ირი“ კი თვალს, ხოლო ცას, მარადიულობის გამო უხერხებელს ასეთი ნიშნით გამოხატავენ: გულსა და მის ქვეშ შედგმული სასაქმევლე. თებში მოსამართლეთა უხელო ქანდაკებები იდგა; უზენაეს მოსამართლეს კი თვალები ჰქონდა დახტული, ნიშნად იმისა, რომ სამართალი მოუსყიდველი და მიუკერძოებელია. მეომართა სიმბოლო ხარაბუზას²⁰ გამოხატულება იყო, რადგანაც მათ მდებარი არა ჰყავთ, შეიღებს კი იმ ნივთიერებაში აჩენენ, რომელსაც თვითონ გამოყოფენ და ამრგვალებენ; და არანაკლებ ზრუნავენ ჭამაზე, ვიდრე დაბადების ადგილზე.

11. ასე რომ, კლეა, როდესაც ისმენ ეგვიპტელთა მითებს ღმერთების შესახებ, მათ ხეტილზე, განწილვაზე და სხვა მრავალ მსგავს ვნებებზე, უნდა გახსოვდეს, რაც ადრე ითქვა და არ იფიქრო, რომ ამის მსგავსი რაიმე ისე მოხდა, როგორც ყვებიან, მაგალითად, პერმესს ძაღლს²¹ ეძახიან, ამ სიტყვის არა საკუთარივე მნიშვნელობით; უბრალოდ, როგორც პლატონი ამბობს,²² ისინი ღმერთის გამჭრიახობას აღარებენ ცხოველის დაუღწელობას, სიფხიზლეს, სიბრძნეს, რომლითაც ის განარჩევს მეგობრულს და მტრულს საგნის

ცოდნით ან არცოდნით, და არავის სჯერა, რომ მზე ახლადშობილი ბავშვივით ლოტოსის ყვავილიდან ამოდის. მაგრამ მაინც ამგვარად ხატავენ მზის ამოხველას, და მით სიმბოლურად გამოხატავენ, რომ მზის აალება წყლიდან ხდება. ხატავენ მზეს²³ უსასტიკესს, ოხოსს,²⁴ ეგვიპტურად ბევრის მკვლელს, რომელმაც ბოლოს აპისი დაკლა და მეგობრებთან ერთად მის ხორცს შეექცა, „მახვილი“ შეარქვეს და დღემდე ამ სახელით იხსენიება მეფეთა კატალოგში. ვფიქრობ, ამ სახელით კერძო პირს კი არ აღნიშნავენ, არამედ სისასტიკესა და ხასიათის წამხდრობას მკვლელობის იარაღს აღარებენ. ასე, რომ, თუ შენ ღმერთებზე მოყოლილ ამბებს ამგვარად შეისმენ, და მათგან მოისმენ ვინც მითს ბრძნულად და ღვთისმოსავად ხსნიან, თუ შენ ყოველთვის დაიცავ დაწესებულ ჩვეულებებს, და შეიგნებ, რომ ღმერთებისათვის არ არსებობს უფრო საამო საქმი, უფრო საამო მსხვერპლი, ვიდრე ჰერმარიტი წარმოდგენა მათ ბუნებაზე, მაშინ დაადწევ თავს ცრურწმენას, რომელიც არანაკლები ზოროტებაა ვიდრე ურწმუნობა.

12. აი, მითიც, მოყოლილი რაც შეიძლება მოკლედ, ყოველგვარი ზედმეტის გარეშე. ამბობენ, როდესაც მედიოსმა შეიტყო, რომ რეა საიდუმლოდ შეიუღლა კრონოსს, დასწყვიტა იგი — ვერ ეშოხა ვერცერთ თვეს და ვერცერთ წელს; მაგრამ ქალღმერთზე შეყვარებული მერმესი დაუახლოვდა მას, საწადელს მიაღწია და მის გადახარჩენად ხრიკი მოიგონა: მთვარეს კამათელს ეთამაშებოდა და ყოველ ჟერზე მისი ნათების ყოველი პერიოდიდან მერვიდმეტედ ნაწილს უგებდა. მოგებულისთ მან შეადგინა ხუთი დღე და სამას სამოც დღეს დაუმატა. ამ დღეებს ეგვიპტელები „დამატებულს“ უწოდებენ და დღესასწაულობენ, როგორც ღმერთთა დაბადების დღეებს.²⁵ ყვებიან, რომ პირველ დღეს ოსირისი დაიბადა, და იმ წამს რალაც ხმამ ღაღადუო: მეუფე ყოველი არსისა ქვეყანას მოეგლინა. სხვები კი ამბობენ, რომ ვინმე პამილეს,²⁶ თებში, წყალს რომ იღებდა, ზევსის ტაძრიდან ხმა მოესმა. მან უბრძანა, ხმამაღლა ეუწყებინა ყველასთვის, რომ დაიბადა დიდი და მწყალობელი ღმერთი ოსირისი. ამისთვის თითქმის კრონოსს ბავშვის აღზრდა მიენდოს მისთვის, და მის საპატივცემულოდ პამილეს დღესასწაულიც დაეწესებინათ, რომელიც ფალოურ პროცესიებს ჩამოგავს. მეო-

რე დღეს არუერისი დაბადა, რომელსაც აპოლონადაც უხმობენ, ზოგი კი უფროს ჰოროსს²⁵ ეძახის. მესამე დღეს ტიფონი გაჩნდა უდროოდ და უწებოდ: მან დედის გვერდი გაანგრია და იქიდან გამოხტა. მეოთხე დღეს სინოტივეში გაჩნდა ისინი; მეხუთეს — ნევთისი, რომელსაც უწოდებენ დახასრულსა და აფროდიტეს, ზოგიერთი კი — ნიკეს. მითი გადმოგვცემს, რომ ოსირისი და არუერი-სი ჰელიოსის ნაშვილებია, ისინი — ჰერმესისა, ზოლო ტიფონი და ნევთისი — კრონოსისა. ამიტომ მეფენი დამატებულ დღეთაგან მესამეს ავბედითად თვლიდნენ. იმ დღეს ხაზოგადობრივ საქმეებს არ აკეთებდნენ და თავსაც არ უვლიდნენ დაღამებამდე. იმასაც ყვებიან რომ ნევთისი ტიფონის ცოლი გახდა, ზოლო ისინი-სა და ოსირისს ხალხს წყვდიადში შეყვარები-ათ ერთმანეთი და იქვე შეერთებულან დაბა-დებამდე. ზოგიერთი ამბობს, რომ ამ ქორწი-ნებიდან იშვა არუერისი, რომელსაც ეგვიპ-ტელები უფროს ჰოროსს ეძახიან, ზოლო ელინები — აპოლონს.²⁶

13. ყვებიან, რომ ოსირისმა გამეფებისთა-ნავე ხელი აადებინა ეგვიპტელებს მწირსა და ველურ ცხოვრებაზე, აჩვენა მათ ნაყოფი მიწისა და ასწავლა პატივისცემა ღმერთები-სა და დაუდგინა მათ კანონები. შემდეგ მთე-ლი დედამიწა შემოიარა და დაიმორჩილა, ამისთვის იარაღი არც დაჭირვებია, ხიმღერა-სა და მუსიკასთან შერწყმული დამაჯერებე-ლი სიტყვით ხიბლავდა და თავისკენ იბი-რებდა აღაწიანთა უმრავლესობას. ამიტომ, ელინები მას დიონისედ მიიჩნევენ, ამბობენ კიდევ, რომ მის არყოფნაში ტიფონს არაფე-რი მოუშოქმედებია, რადგან ისინი ძალაუფლე-ბის სრულად მფლობელი, მონდომებით დარა-ჯობდა და თვალყურს ადევნებდა მას.²⁷ მაგ-რამ ოსირისის ჩამოსვლისთანავე ავი განიზ-რახა, შეთქმულებაში სამოცდათორმეტი²⁸ კა-ცა ჩაიბრია და მოკავშირედ გაიხადა იმხანად ეგვიპტეში მყოფი ეთიოპელთა დედოფალი ახო. ტიფონმა ჩუმად გაზომა ოსირისი, გააკეთა მისი ზომის მშვენიერი და საუცხოოდ მოკაზ-მული კილობანი და ნადიმზე მიიტანა. მონა-დომენი გაიოცა და აღაფრთოვანა ამ სანა-ხაობამ, ტიფონი კი ვითომ ხუმრობით დაპირ-და, რომ კილობანს მას აჩუქებდა, ვინც შიგ ჩაწებობდა და მოერგებოდა. ყველა სტუმარ-მა მოხიზჯა და არავის მოერგო. ზოლოს ოსი-რისი ჩაწვა შიგ, ამბობენ, შეთქმულები მიც-ვედნენ, თავი დაახურეს კილობანს, ლურს-

მნებთ დაჭედეს, ადუღებული ტყვია ჩაას-ხეს, მდინარეზე წაიღეს და ტანსთან, მდინა-რის შესართავში, ზღვას მიხცეს. იმ შესარ-თავს ეგვიპტელები დღესაც ამიტომ ეძახიან საძულველსა და საწიფარს²⁹. ამბობენ, ეს ამბავი ოსირისის მეფობის³⁰ მესამე წელს მოხდა, ათირის³¹ თვის მეჩვიდმეტე დღეს, რომ-დესაც მზე ღრმანკალის ზოდიაქოში გადადის. სხვები ამტკიცებენ, რომ ოცდარვა — ოსირისის მეფობის კი არა, სიცოცხლის წლებია.

14. ვინაიდან ეს ამბავი ყველაზე ადრე ქე-მისთან მცხოვრებმა პანებმა და სატირებმა³² გაიგეს და ყველას ამცნეს, ამიტომ ბრბოს მოულოდნელ შიშს და შეშფოთებას დღესაც პანიკას უწოდებენ. ამბობენ, როცა ისინი ეს ამბავი შეიტყო, მაშინვე მოიქრა ერთი კუ-ლული და ძაბით შეიმოსა იქ, სადაც ქალაქს დღესაც კოპტოს³¹ ეძახიან. სხვები ფიქრო-ბენ, რომ ეს სახელი „დანაკლისს“ ნიშნავს, რადგან დაკლებას ისინი გამოხატავენ სიტყ-ვით „კოპტეინ“. ყვებიან, რომ თავისი ბე-ტიალის ღროს ის ყველას ეკითხებოდა კი-დობნის შესახებ. ბავშვებისთვისაც უკითხავს, შემთხვევით ენახათ მათ მდინარის შესართავ-თან კილობანი, იმ ადგილას, სადაც ტიფონის მეგობრებმა ზღვას მიხცეს იგი. ამის გამო ეგვიპტელები ფიქრობენ, რომ ბავშვებს წი-ნასწარმეტყველების ნიჭი აქვთ და მათ სიტყ-ვებში ცდილობენ მომავლის ამოცნობას, როდესაც ისინი წმინდა ადგილებში თამაშო-ბენ და რაც ენაზე მოადგებათ, იმას ამბობენ. ზოლო როდესაც ისინი შეიტყო, რომ მასზე შეყვარებულმა ოსირისმა შეცდომით მის დასთან იცხოვრა, რადგან ისინი ეგონა და ამ-ის დასტური ოსირისის მიერ ნევთისთან და-ტოვებული ყვითელი ძიძო ყვავილის გვირგ-ვინში დაინახა, წავიდა ბავშვის მოხაძებნად, რომელიც ნევთისმა ტიფონის შიშით დაბა-დებისთანავე სხვაგან გადაშალა. ბავშვი ძლივს იპოვა ძაღლების დახმარებით, რომლებიც წინ მიუძღოდნენ ისინს; მან ის აღწარდა და სახე-ლად ანუბისი დაარქვა და ის შეიქმნა მისი დამცველი და თანამგზავრი. ამბობენ, რომ ანუბისი დარაჯობს ღმერთებს, ისევე რო-გორც ძაღლი — ადამიანს.

15. და შემდეგ, ყვებიან, გაუგიათ, რომ კილობანი ზღვამ ბიბლოსის³² ნაპირს მიაყენა და ტაღლებმა ფრთხილად გარიყა მანანის ხარდებში³³. მანამა მალე აიყარა ტანი და დიდ, მშვენიერ ხედ იქცა. შემოეხვია კილო-

ხანს და თავის ტანში დამაღლა. მეფე გააოცა მცენარის ხიდიდემ, გამოჭრა ხის ვუღი, რომელშიაც კიდობანი იყო დამალული, და სახურავს შეუბიჯა. ამბობენ, როცა ისინი ამის შესახებ ღვთაებრივი ხულის საშუალებით შეუტყვია, მისულა ბიბლოსს, წყაროს პირს ჩამოჭდარა თვინიერი და ნამტირალევი, არავის სცემდა ხმას, მხოლოდ დედოფლის მსახურ ქალებს ესალმებოდა, ეფერებოდა, თმებს უწნავდა და გადასცემდა თავისი სხეულის ხაოცარ სურნელს. როგორც კი დედოფალმა მსახურები ნახა, მაშინვე ღტოლვა იგრძნო უცნობი ქალისაკენ, მისი თმებისა და სხეულისაკენ, რომლებიც მათრობელა ნელსურნელებას აფრქვევდნენ. ისინი მოიყვანეს, და როცა ის მათ შეეჩვია, უფლისწულის ძიძა გახადეს, ამბობენ, რომ სახელი იმ მეფისა იყო მალკანდროსი, || დედოფლისა — ასტარტე. სხვების მოწმობით დედოფალს საოხისი ერქვა ან ნეშანუსი; ელინები მას ათენაისად იხსენიებენ.³⁴

16. გადმოცემა გვამცნობს, რომ ისინი ძუძუს ნაცვლად თითს აწოვებდა ჩვილს, ხოლო ღამ-ღამობით მისი სხეულის მოკვდავ გარსს ცეცხლით შანთავდა; თვითონ კი მერცხლად გადაქცეული საწყალობელი ჭევილით გარს უფრენდა ბოძს იქამდე, ვიდრე ერთხელ დედოფალმა არ წაასწრო და არ იკიფლა ცეცხლში ჩაგდებული ბავშვის დანახვაზე, და მით წაართვა მას უკვდავება. მაშინ, მხილებულმა ქალღმერთმა გამოსთხოვა სახურავს შებიჯებული ბოძი; ადვილად გამოაძრო, გააბო მანანა, გაახვია სელის ნაპერში, მირიანი სცხო და მეფე-დედოფალს ჩააბარა; და ახლაც, ბიბლოსის მცხოვრებლები თაყვანს სცემენ იმ ხეს, რომელიც ისინი ტაძარში ასვენია³⁵ და ამბობენ, იგი დამბობია კიდობანს და ისე უბღავლია, რომ მეფის უმცროსი ვაჟი იქვე მომკვდარა, ხოლო უფროსი თან წაიყვანა. კიდობანი გემზე მოათავსა და გზას გაუდგა, გამთენიისას მდინარე ფედროსმა ძლიერი ქარი ამოზარდა, ქალღმერთი განრისხდა და მდინარე დააშრო.

17. და აი პირველხავე უკაცრიელ ადგილას, მარტო დარჩენილმა გახსნა კიდობანი სახე სახეზე მიადო, კოცნიდა და მოთქვამდა. უცებ ბავშვის დაჟინებული მზერა იგრძნო. მოიხედა და ისე სასტიკად შეხედა, რომ შეძრწუნებულ ბიჭს იქვე სული გააფრთხობინა. სხვები ასე არ ყვებიან; ამბობენ, რომ ბავ-

შვი, როგორც ადრე მოგახსენეთ, ზღვაში ჩავარდა და რომ ღმერთქალის ხატით მასაც პატივს სცემენ: თითქოს იგი სწორედ ის მანეროსი³⁶ იყოს, რომელსაც ეგვიპტელები ქეიფის დროს ადიდებენ სიმღერით; სხვები ამტკიცებენ, რომ ბავშვს ქალღმერთის ან პელუსიოსი ერქვა და უფროსი მხარეებისა სახელი ღმერთქალის მიერ დაარსებულ ქალაქს. ისინი აცხადებენ, რომ სიმღერებში მოხსენიებულმა მანეროსმა პირველმა გამოიგონა მუსიკა. მესამენი ამბობენ, რომ მანეროსი ვინმეს სახელი კი არა, მსმელი და მოქიფე ადამიანების წრეში ხმარებული გამოთქმაა: „დაე ეს ყველაფერი საბედნიეროდ იყოს“ და თითქოს, როცა ეგვიპტელებს მსგავსი რამის თქმა სურთ, ყოველთვის ამბობენ „მანეროსი“! ასე რომ უიკვდილა, პატარა კიდობანში მოთავსებული მიცვალებულის ფიგურა, მათ რომ აძლევდნენ ხელიდან ხელში გადასაცემად, ოსირისის სიკვდილის გახსენება კი არაა, როგორც ზოგიერთი ფიქრობს, არამედ ამ უხიამო თანამეინახის რამდენიმეჯერ ჩამოტარებით, მათ, მწირალთ, არწმუნებენ, ისარგებლონ და დატკბნენ აწმყოთი, რამეთუ ყველას, მალე იგივე ბედი ეწევა.

18. ყვებიან, რომ მერე, როდესაც ისინი ბუტოსს გაემგზავრა თავის შვილ მოროსთან, რომელიც იქ იზრდებოდა, კიდობანი გზიდან მოშორებით მოათავსა. მთვარიან ღამით, ნადირობისას ტიფონი მას გადააწყდა, იცნო გვამი, თოთხმეტ ნაწილად განწილა და მიმოფანტა; როდესაც ისინი ეს შეიტყო, საძებრად წავიდა. ქაობები პაპირუსის ნავით გადაცურა. თითქოს ამის გამო ნიანგები პაპირუსის ნავებით მცურავთ არ ერჩიან, შიშის, ან ზევსსა ეფიცავ, ღმერთქალის წინაშე მოწიწების გამო. და ამიტომ, თითქოს ეგვიპტელები ოსირისის ბევრ საფლავზე უთითებენ რადგანაც ისინი ყოველი ნაპოვნისას ცალკე დაუმარხავს. ზოგიერთი უარყოფს ამას და ამბობს, რომ ისინი დაამზადებინა ქანდაკებები და ოსირისის ნეშტის ნაცვლად ყველა ქალაქს დაურიგა მისთვის, რომ თუ ტიფონი მოროსს დაამარცხებდა და ოსირისის ნამდვილ აკლდამას დაუწყებდა ძებნას, ვერაფერს გამხდარიყო, რადგან მას ბევრ საფლავზე მოუყვებოდნენ და მიუთითებდნენ. ოსირისის სხეულის ნაწილთაგან მხოლოდ ფალოსი ვერ იპოვა ისინი, რადგან ის მდინარეში ჩავარდნილიყო და ღებდოტოსს, ფაგროსსა³⁷ და ოქსირინოსს შეეჭამათ თითქოს. ამიტომაც

ეროდებიან მათ ყველა სხვა თევზზე უფრო. ხოლო ისინი, როგორც ამბობენ, ფალოსის ნაცვლად ქანდაკი გააკეთებინა და ის აკურთხა; მის სახელზე ეგვიპტელები დღესაც აწყობენ დღესასწაულს.

19. შემდეგ, როგორც გადმოცემა გვამცნობს, მკვდართა საუფლოდან გამოცხადდა ჰოროსის ოსირისი, წვრთნიდა და ავარჯიშებდა ბრძოლისათვის, ხოლო შემდეგ კი ბკითხა, რა იყო მისთვის ამქვეყნად ყველაზე მშვენიერი და როდესაც მან უპასუხა — „შურისძიება ვნებული დედ-მამისათვის“, კვლავ ბკითხა, რომელიც ცხოველი ერგებოდა სასარგებლოდ ბრძოლად მიმავალს; და რა ჰოროსისაგან პასუხად ისმინა — „ცხენი“, — გაიკვირვა და დაინტერესდა, რატომ ცხენი და არა ღომი? მაშინ ჰოროსმა უპასუხა, რომ ღომი გამოადგება მას, ვისაც დაცვა სჭირდება, ხოლო ცხენი იმადან კარგი, რომ გზა მოუპოვებს და გაანადგურებს გაქცეულ მტერი. ამის გამგონე ოსირისი გამხიარულდა, რადგან ჰოროსი სავსებით მზად იყო ბრძოლისათვის.

გვიამბობენ, რომ იმ დროს ბევრი გადადიოდა ჰოროსის მხარეს, ტიფონის ხარჭა თუერხისი³⁷ კი მივიდა მასთან. გველი კი, რომელიც მას ერჩოდა, ჰოროსის შეგობრება აკუწებს. ამის სახსოვრად დღემდე მიწაზე აგდებენ თოქს და შუაზე ჭრიან. რაც შეეხება ბრძოლას, ის თითქოს მრავალ დღეს გაგრძელბულა და ჰოროსს გაუმარჯვია. ისინი კი, რომელსაც შეკოტილი ტიფონი მიშგვარეს, დაინდო იგი, ხელ-ფეხი გაუხსნა და გაათავისუფლა. ჰოროსმა ეს ვერ აიტანა, მან ხელი აღმართა საკუთარ დედაზე და თავიდან მეფის გვირგვინი მოგლიჯა, მაგრამ ჰერმესმა მას რქიანი ჩაფხუტი დაჰხურა³⁸. შემდეგ ტიფონმა ჰოროსს ბრალდება წაუყენა, რომ იგი უკანონოდ შობილი იყო და სამართალში მისცა, მაგრამ ჰერმესის დახმარებით ღმერთებმა ჰოროსი კანონიერ ძედ ცნეს, ხოლო ტიფონი კი კიდევ ორ ბრძოლაში დამარცხდა. ოსირისი სიკვდილის შემდეგ ისინი შეეუღლა და მან ქვეყნად პარპოკრატე შვა³⁹, რომელიც დროზე ადრე დაიბადა და ხუსტი ფეხები ჰქონდა.

20. ასეთია, დაახლოებით, მითის მთავარი შინაარსი, თუ ვახსოვებ ისტორიებს გამოცხოვებით, როგორც მაგალითად ამბავი განწილული ჰოროსისა და თავმოკვეთილი ისინისა⁴⁰. ნეტარი და უკვდავი ბუნებაა ის, რომლის მეოხებითაც ყველაზე კარგად უნდა შე-

ვიცნოთ ღვთაებრივი და თუ მასზე ასეთ რამეებს ფიქრობენ და გვიყვებიან, როგორც ქეშმარიტად მომხდარსა და ჩადენილს, მაშინ ესკილეს თქმისა არ იყოს, უნდა გადააფურთხო და პირი გაიწმინდოს⁴¹. მაგრამ ამის შეხსენება შენ არ გჭირდება, შენ ხვითონაც მოგდის გული მათზე, ვინც ღმერთების შესახებ ასეთ უკანონო და ბარბაროსულ მოძღვრებას ემსახურება. მაგრამ შენ ისიც იცი, რომ ეს მთლად არ ჰგავს პოეტების და ლოგოგრაფების იმ უბადრუკ მონაპორებს, რომლებიც ობოლასავით ქსოვენ და გამოწელავენ თავის თავიდან თვითნებურ საფუძველს, და რომ მათში არის წარსულ ამბებზე მონათბრობისა და გადმოცემათა გამოძახილი. და როგორც მათემატიკოსები ამბობენ, რომ ცისარტყელა მზის ანარეკლია, მზერის ღრუბლებში გარდატეხით შეფერადებული, ასევე ჩვენთან მითი, რაღაც ამბის გამოხატვაა, რომელსაც ფიქრი სხვა რამეზე გადააქვს; ამაზე მიგვანიშნებს ძაძვის ტარების ჩვეულება, რომლითაც გლოვას გამოხატავენ, ასევე ტაძრების აგებულება, რომლის ერთი ნაწილი გადის გვერდით კოლონადებსა და ნათელ და ღია დერეფნებში, ხოლო მეორე ნაწილი — მიწაში, საიდუმლო და ბნელ შესამოსლებში, რომლებიც თებებს, ტაძრის ჭურღმულებისა; და შესამოსლების მსგავსია. არანაკლებ რთულია სწავლება ოსირისის აკლდამებზე, რომლის სხეულიც, გადმოცემით, ბევრ ადგილას განისვენებს; ამბობენ, დიოქიტე ჰქვია იმ პატარა ქალაქს, სადაც ნამდვილი ნეშტი განისვენებს, მაგრამ აბიდოსშიც ხშირად მარხავენ მდიდარ და გავლენიან ეგვიპტელებს, თითქოს იმიტომ, რომ პატივი ჰქონდეთ განისვენონ იმავე მიწის წიაღში, რომელშიც ოსირისის სხეულია დასაფლავებული. მეფისში კი ანებივრებენ ამისს, რომელიც ოსირისის სულის გამოხატულებაა; ამბობენ, სხეულიც იქაა დასაფლავებული, ქალაქის სახელს კი ხსნიან როგორც „სიკეთის სავანეს“ ან როგორც „ოსირისის აკლდამას“. იმასაც ამბობენ, რომ ფილას მახლობლად არის კუნძული, ყოველისთვის აკრძალული, და ვერ შეფრინდება იქ ჩიტი და ვერ მიუღდება თევზი. მხოლოდ, განსაზღვრულ დროს ქურუმები მიდიან იქ, თან მიაქვთ სულის მოსახსენიებელი მსხვერპლი და გვირგვინით ამკობენ მეთიდის ხით დარდილულ საფლავის ქვას. და ხე იგი აღმატებულია სიდიდით ნებისმიერ ზეთისხილის ხეზე.

21. თუმცა ეგვიპტეში ოსირისის მრავალ

აკლდამას ახახელეებენ, ევდოქსისი ამტკიცებს, რომ მიხი სხეული ბუხირისში განიხვეწებს, რადგან ეს ქალაქი ოსირისის სამშობლო იყო, განმარტებას არც კი საჭიროებს სიტყვა ტაფოსირისი⁴², რამეთუ იგივედ შეიცავს ოსირისის საფლავის სახელს. ხის გაკვეთის, ხელის გაგლეჯის და შესანდობარი კიქის წაქცევის ჩვეულებებზე არაფერს ვამბობ, რადგან მათში ბევრი იდუმალია შერეული. ქურუმები ამბობენ, რომ მათთან ინახება ბალწამირებული ხეულები არა მხოლოდ ამ ღმერთებისა, არამედ სხვებისაც, რომლებიც დაუბადებელთა და უკვდავთა რიცხვს არ განეკუთვნებიან, ხოლო მათი სულები კი ცაზე ანათებენ ვარსკვლავებად; ისინი თანავარსკვლავედს, რომელსაც ეგვიპტელები პოთისს უწოდებენ, ბერძნები — მწევარს ეძახიან, ჰოროსის თანავარსკვლავედი — ორიონია, ტიფონისა კი — დათონი⁴³. იმასაც ყვებიან, რომ ეგვიპტელებს მიაქვთ განსაზღვრული საკვები იმ ცხოველთა საფლავებზე, რომელთაც ისინი თაყვანს სცემენ. მხოლოდ თებეს მცხოვრებნი არ იძლევიან არაფერს, რადგანაც ისინი არ ეთაყვანებიან არც ერთ ღმერთს, რომელიც შეიძლება მოკვდეს, მხოლოდ კნეთს⁴⁴ სცემენ თაყვანს — შეუქმნელსა და უკვდავს.

22. ბევრი ასე ყვება და ასე წარმოგვიდგენს საქმეს, მაგრამ არიან ისეთებიც, რომლებიც თვლიან, რომ ეს ყველაფერი იმ მეფეთა და ტირანთა, საოცარ და დიდებულ საქმეთა და ტანჯვათა ხსოვნაა, რომელთაც გამორჩეული მამაცობის ან ძლიერების გამო ღვთაებრივი სახელის დიდება მიიწერეს და შემდგომ კი ბედის უკუღმართობა განიცადეს. ეს ხალხი, თბრობიდან უმცირეს გადახვევასაც კი იმისთვის იყენებს, რომ ღმერთების ცუდი სახელი კეთილგონივრულად ადამიანებზე გადაიტანოს. ამას თვითონ გადმოცემები უწყობს ხელს, რამეთუ ეგვიპტელები ყვებიან, რომ ბერძენი მოკლემკლავა იყო, ტიფონი — წითელი, ჰოროსი — თეთრი, ხოლო ოსირისი — მუქკანიანი⁴⁵. ღმერთებზე ისე ლაპარაკობენ, თითქოს ისინი ადამიანის ბუნებისანი უოფილიყვნენ. თანაც, ოსირისს — სარდალს უწოდებენ, ხოლო კანობოსს⁴⁶ — მესაჭეს (ხწორედ მას, ვისი სახელიც დაერქვა ვარსკვლავს). გემი კი, რომელსაც ელინები არგოს უწოდებენ და რომელიც ოსირისის გემის ხატია⁴⁷, თითქოს საბატოლდაა მოთავსებული ვარსკვლავებს შორის. და არც ისე შორსაა ორიონისა და მწევრის ვარსკვლავებიდან, რის გამოც ეგვიპ-

ტელები ფიქრობენ, რომ პირველი ჰოროსს ეძღვნება, მეორე კი — ისინს.

23. მაგრამ ვაი თუ დაუძვრელი დაძაბას და დაიწყოს „ომი არა მხოლოდ მრავალთა შორის წინააღმდეგ“ (როგორც ქრისტე სიმონიდემ)⁴⁸, არამედ ამ ღმერთებს მორწმუნე ადამიანთა შორის ტომთან“ და მოდგმასთან — ადამიანები ხომ ვერ იშლიან ციდან მიწაზე დიდებული სახელების ჩამოტანას, ღვთისმოწიწებისა და რწმენის მოთხრასა და განადგურებას. რწმენისა, რომელიც თითქმის ყველას ბავშვობიდანვე აქვს ჩანერგილი, ანადგურებენ და მით კარს უღებენ ურწმუნოების ურჩხულს⁴⁹ და ღმერთებს განაკაცებენ, გზას უხსნიან მესხენეელი ეგზემეროსის⁵⁰ ხრიკებს, რომელმაც თვითონ შეადგინა არასანდო და ნაჟალბევი მითების ასლები და ამით ურწმუნოება დათესა ქვეყნად, მით რომ ყველა შესაძლებელი ღმერთის სახელი ერთად გადმოაკეთა ხარდლების, ნავარქების და მეფეთა სახელებისაგან, რომლებიც შორეულ წარსულში ცხოვრობდნენ და ოქროს ასოებით აღიბეჭდნენ პანქონში. და იმ ასოებს, როგორც მოხალოდნელი იყო, ვერ პოულობდა ვერც ბარბაროსი და ვერც ელინი. მხოლოდ ეგზემეროსმა იხილა ისინი, როდესაც გემით მიაღწია არსად და არასდროს არსებულ პანქონსა და ტრიფილიას.

24. ხომ აღიდებენ ახურეთში სემირამისის დიდებულ საქმეთ, ხოლო ეგვიპტეში — სეზოტრიისისას⁵¹. ფრიგიელნი კი ბრწყინვალესა და საოცარ მოდგაწიობას დღემდე „მანიკას“ უწოდებენ, რადგან ძველად, მეფეთა შორის იყო ვინმე მანესი, კეთილშობილი და ძლიერამოსილი ვაჟკაცი, რომელსაც ზოგიერთი მასდესად იხსენიებს. გამარჯვებული ატარა კიროსმა სპარსელები თითქმის ქვეყნის კიდეში, მაკედონელები კი — ალექსანდრემ, მაგრამ მათ მხოლოდ კეთილ მეფეთა სახელი და ხსოვნა მოიხვეჭეს. ზოგიერთმა გაუოკლოჩინებულმა, როგორც პლატონი იტყვის უმაწვილური უინით და უგუნურობით, სული თვისი სიამაყით აღანთო⁵², ღმერთის სახელი დაირქვა და ტაძრები აიგო. მერე რა? დიდება მათი ხანმოკლე იყო და შემდეგ ისინი, უკანონოობით და მკრებელობით წარმავალი დიდების მომხვეჭნი, „დროშოკლენი, მხგავსად კვამლისა ზეფით მიდიან და ქრებიან“⁵³. და ახლა, ვით დამნაშავე ლტოლვილები, იდევენებიან ტაძრებიდან და საკურთხევლებიდან და არაა რჩებათ გარდა საფლავებისა და ძეგლებისა. ამიტომაც, როდესაც ვინმე პერმოდოტოსმა უფროსი ან-

ტიფონის ლექსში „მზის შვილად და ღმერთად“ გამოაცხადა, მან ასე უთხრა მეზობლებს: „მონა, რომელსაც ჩემი ღამის ქოთანი გარეთ გააქვს, ასე არ ფიქრობს ჩემზე“. სამართლიანად კიცხავდა მოქანდაკე ლისიპოსი მხატვარ აპელესს მასზედ, რომ ალექსანდრეს ნახატზე ხელში ელვა დააჭერინა; თავად მოქანდაკემ ხელში შუბი მისცა, რომლის დიდებასაც, როგორც ალექსანდრეს კუთვნილი ნივთისას, ვერაღა დრო ვერ გაანადგურებს.

25.64 საუკეთესო იმათი მსჯელობაა, ვინც წერს, რომ ტიფონის, ოსირისისა და ისინის ამბებში ღმერთების ან ადამიანების ვნებებზე კი არ არის მოთხოვნილი, არამედ დემონებისაზე, რომელთა შესახებაც პლატონი⁵⁵, პითაგორა⁵⁶, ქსენოკრატე⁵⁷ და ქრისიპოსი⁵⁸ ძველ თეოლოგთა ყველადაც კვებიან, რომ ისინი ადამიანებზე ბევრად ღონივრები არიან და ძალითაც ჩვენზე ბევრად აღმატებულნი, მაგრამ არც ღვთაებრივი აქვთ წმინდად და შეურევლად, ვინაიდან მათთვის უცხო არ არის ხულის ბუნება და სხეულის შეგრძნებები, აღიქვამენ ტკივილსა და ნეტარებას და განიცდიან ამგვარ გადახვედრათა ყოველგვარ უბედურებას. ზოგი მეთად, ზოგი — ნაკლებად. დემონებთან, ისევე, როგორც ადამიანებთან, არსებობს განსხვავება სათნოებასა და მანკიერებას შორის. ელინების მიერ ზოტბაშეხმულია გიგანტთა და ტიტანთა საქმენი საგმირონი. კრონოსის უკანონო საქციელი⁵⁹ ტიფონის წინააღმდეგობა აპოლონისადმი, დიონისესა და დემეტრეს ხეტიალი არაფრით განსხვავდება ოსირისისა და ტიფონის ამბისაგან და სხვა მითებისაგან, რომლებიც ყველას შეუძლია საკმაოდ მოიხმინოს. იგივე შეიძლება ითქვას იმაზეც, რაც მისტერიებსა და ადათ-წესებშია დაფლული და დამალული ბრბოს თვალისა და ყურისაგან.

26. წაგვიკითხავს, როგორ ხვადასხვანაირად ამკობს ჰომეროსი კეთილშობილ ადამიანებს: „ღვთისდარი“, „ღვთის სწორი“, ღმერთთაგან გაბრძნებული“, ზოლო დემონებს კი აღარებს როგორც ღირსეულ ისე უკეთურ ადამიანებს:

„მომიანლოვდი, დემონის დარო: რისთვის დაეცი შიშის ზარი შენ არგიველებს?“⁶⁰
და ისევ:
„მაგრამ მეოთხედ კვლავ გაფრენილი,

როგორც დემონი...“⁶¹

და აგრეთვე:

„დემონო! ასეთი მძიმე რა შეგცოდეს პრიამოსმა და მისმა შვილებმა, რომ ასე ბრდღინავე შეუწყვეტლად და ანგრევ ილიონს, მაღალკედლებას, კეთილმოწყობილს“.⁶²

ამგვარად, დემონების ბუნება და არსი მრავალგვარია და არაერთნაირი, ამიტომ, პლატონი მარჯვენას და კენტ რიცხვებს ოლიმპიელ ღმერთებს აკუთვნებს, ზოლო ყველაფერ საწინააღმდეგოს — დემონებს⁶³. ქსენოკრატე კი ფიქრობს, რომ უბედური დღეები და ის ნაღვლიანი დღესასწაულები, რომლებიც განუწყესებენ მათრახის ცემას, ტირილს, მარხვას, ლანძღვა-გინებას და ბილწიყვანებას, არ არის არც ღმერთებისა და არც კეთილ დემონთა სადიდებელი, მაგრამ არსებობენ გარემომცველ სივრცეში უზარმაზარი, ზოროტი, თავნება და პირქუში არსებანი, რომლებიც ხარობენ ამგვარი რამეებით და როდესაც მიიღებენ, ადარაფერში ერევან. შესიოდე კი კეთილ დემონებს ეძახის „წმინდათ“ „ადამიანთა დამცველთ“,⁶⁴ „სიმდიდრის მომნიჭებელთ და მეფური დიდების მქონეთ“.⁶⁵ პლატონი კი წინასწარმეტყველებს და ღმერთებსა და ადამიანებს შორის შუამავალთ უწოდებს და ამბობს, რომ მათ მიაქვთ ცაში ადამიანთა ლოცვები, თხოვნები, იქიდან კი წინასწარმეტყველება და კეთილი საჩუქრები მოაქვთ.⁶⁶ ემპედოკლეს თქმით, დემონები ისევეააან იმ შემთხვევაში, როდესაც რამეს დააშავენ ან შეცდებიან:

„ზღვისკენ ერეკება მათ ეთერის რისხვა, ზღვა გადაისვრის დევნილებს ხმელზე, მიწა — მზის მცბუნვარებაში, მზე — ეთერის ქარბორბალაში; ერთი დებულობს მეორისაგან და ყოველი — სიძულელით“.

და იქამდე, არიან ამგვარ ყოფაში ვიდრე სასჯელს არ მოიხდიან და არ განიწმინდებიან, რის შემდეგაც დაიკავებენ თავის ბუნების შესაფერის ადგილს და რიგს.

27. ასეთ ამბებს ტიფონზეც ყვებიან: როგორ ჩაიღინა უსაშინლესი საქმენი ზოროტებისა და ღვარძლიანობის გამო, არია ყველაფერი ამქვეყნად და აავსო ზოროტებით ზღვა და ხმელი.⁶⁷ და ამიტომაც დაისაჯა, შეუჩინაძიებელმა კი, ოსირისის ცოლმა და დამ

იხილეთ, დააშოშმინა და ჩაახშო ტიფონის რისხვა, და არ იუკადრისა ბრძოლა და ომი, რომლებიც მას ზედა წილად, არ მისცა დავიწყებას თავისი ზეტიალი და მრავალი საქმე ბრძნული და მამაცური, არამედ მიუხადაგა უწყმინდეს მისტერიებს ნატები, ალფგორიები და სამახსოვრო ნიშნები მის მიერ ოდესღაც გადატანილი ტანჯვისა და მიუძღვნა იგი სამაგალითოდ დეტისმოსაობისა და ამავე დროს დასაშვებდებლად, კაცებს და ქალებს, რომლებიც მსგავს უბედურებებს იტანდნენ. ისიც და ოსირისიც სიჭველისთვის კეთილი დემონებიდან ღმერთებად აქნენ ქცეული, როგორც მოგვიანებით პერაკლე და დიონისე. და უსაფუძვლოდ არ მიაგებენ ღმერთებისთვის და დემონებისთვის შესაფერის პატივს და აქვთ ხელმწიფება ყველგან. განსაკუთრებით კი მიწაზე და მიწისქვეშეთში. ამბობენ, რომ სარაპისი სხვა არაფერია თუ არა პლუტონი, იხილეთ კი — პერსეფონე,⁵⁸ ასე ამტკიცებს არქიმედე ევბოელი,⁶⁹ პერაკლიტე პონტოელი⁷⁰ კი ფიქრობს, რომ კანობოსში სამისნო პლუტონისაა...

28. პტოლემეაოს სოტერს⁷¹ სინოპში მდგარი პლუტონის კოლოსი ესწმრა, თუმცა მეფემ არაფერი იცოდა მის შესახებ და წარმოდგენაც არ ჰქონდა, როგორი იყო იგი. და ბრძანა კოლოსმა, სასწრაფოდ გადმოეტანათ ის ალექსანდრიას. ხაგონებელში ჩავარდა მეფე, რომელ ქვეყანას ეძებნა სიწმრად ნანახი, მეგობრებს გაანდო ხილვა და აი აღმოჩნდა ვინმე მოგზაური სოსიბოსი, რომელსაც სინოპში ენახა ისეთი კოლოსი, მეფეს რომ ეზმანა. მაშინ პტოლემეაოსმა სოტელესი და დიონისიოსი გაგზავნა მის ჩამოსატანად. დიდი ძალისხმევა დასჭირდათ, ვიდრე ღმერთების თანადგომით არ მოიტაცეს და ალექსანდრიას არ ჩაეტანეს. და როცა ხალხს მისი ნახვის საშუალება მიეცა, ექსტატიკ ტიმოთეონისა და მანეთოს საბანიტელის მიმდევრებმა პლუტონის ქანდაკებად გამოაცხადეს, გველისა და კერბერის გამო. პტოლემეაოსს კი არწმუნებდნენ, რომ არა სხვა ვინმესი, არამედ სარაპისის გამოსახულება იყო. ამგვარად, ეს სახელი იქიდან კი არ მოჰყვა ქანდაკებას, სადაც თავდაპირველად იდგა, არამედ ალექსანდრიაში მიტანის შემდეგ შეერქვა პლუტონის ეგვიპტური სახელი — სარაპისი, რასაკვირველია, ამ აზრს აძლიერებს პერაკლიტეს⁷² გამონათქვამი: „ერთი და იგივეა ჰადესი და დიონისე, რომელთა გამო გახელდებულნი

დღესასწაულები ღინელები“. ხოლო იხილეთ, რომლებიც თვლიან, რომ ჰადესად სხეული იწოდება, რამეთუ ხული მასში თითქოსდა მთვრალია და გადარეული, — ძალზე უსუსურ ალფგორიას მიმართავენ; უფრო სწორია ოსირისი დიონისეს ^{გაგზავნიერო} ჰადესი, ხოლო სარაპისი იმ ოსირისს, რომელმაც ეს სახელი მას შემდეგ მიიღო, როცა პირველყოფილი ბუნება შეიცვალა.⁷³ ამიტომ სარაპისი თანაწიარია ყველა ადამიანისა, ისევე, როგორც ოსირისი; ეს ცნობილია მათთვის, ვინც დაკავშირებულია ტაძრის მსახურებასთან.

29. მეორეს მხრივ, არ ღირს ყურადღების მიქცევა ფრიგიელთა თხზულებებისთვის. მათში ლაპარაკია იმაზე, რომ სარაპისი პერაკლეს ქალიშვილის, ქაროპას შვილი იყო. ტიფონი კი — ალკევსის შვილი და პერაკლეს შვილიშვილი. ასევე უგულვებელყოფის ღირსია ფილარხუსიც,⁷⁴ რომელიც წერს, რომ დიონისემ პირველმა მიიყვანა ინდოეთიდან ეგვიპტეში ორი ხარი, რომელთაგან ერთს აპისი დაერქვა, მეორეს კი — ოსირისი. სარაპისი კი თითქოს იმის სახელია, რომელიც ყველაფერს აწესრიგებს და წარმოდგება სიტყვა „საირენ“-ისაგან, რომელსაც ზოგიერთი განმარტავს როგორც „მორთვას“ და „მოწესრიგებას“. ფილარხუსის ყველა ეს ნათქვამი უაზრობაა, მაგრამ უფრო დიდი უაზრობაა მათი ნათქვამი, ვინც ფიქრობს, რომ სარაპისი ღმერთი კი არ არის, არამედ აპისის განსასვენებლის სახელია, რომ არის შემფოსში ბრინჯაოს ჭიშკარი, რომელსაც დავიწყებისა და გლოვის ჭიშკარს ეძახიან. იგი მაშინ იღება, როდესაც აპისს მარბავენ და მძიმედ სასმენ და მჭახე ხმას გამოსცემს. და თითქოს ამიტომ, როდესაც ბრინჯაოს ნებისმიერი საგანი ეღრიალებს, მდელვარება გვიპყრობს. უფრო ზომიერია მათი მტკიცება, ვინც ამბობს, რომ ეს სიტყვა მოდის „სევესთაი“ და ან „სუსთაიდან“, რაც ასე თუ ისე ყოველი არსის მოძრაობას აღნიშნავს. ქურუმთა უმრავლესობა ამბობს, რომ ოსირისი და აპისი ერთი და იგივეა და რომ აპისი უნდა განვიხილოთ როგორც ოსირისის ხულის ხორციელი გამოვლენა, მე ჩემდა თავად ვთვლი, რომ სარაპისი ეგვიპტური სახელია. ის უნდა აღნიშნავდეს სიხარულსა და მხიარულებას. ასე იმითომ მგონია, რომ ეგვიპტელები თავიანთ სამხიარულო დღესასწაულებს „საირებს“ უწოდებენ. ხოლო პლუტონის თქმით, ჰადესს ეს სახელი დაერქვა, როგორც ქველმოქმედსა და გულ-

გაშლილ ღმერთს მათთვის, ვინც მასთან მოხვდება.⁷⁵ ამასთანავე, ეგვიპტელებს ბევრი სახელიცა აქვთ, რომლებსაც დასახელებისთვის იყენებენ. ასე მაგალითად, მიწისქვეშეთი, ის ადგილი, სადაც ხულები სახლებიდან სიკვდილის შემდეგ, იწოდება „ამენთად“.⁷⁶ ხოლო ეს სახელი აღნიშნავს მას, „ვინც იღებს და გასცემს“. იმის თაობაზე არის თუ არა ეს ერთი იმ სიტყვათაგანი, რომელიც ბერძნული წარმომავლობისაა და ეგვიპტეშია შეტანილი, მოგვიანებით მოგახსენებთ. ახლა კი ჩვენთვის საინტერესო მოძღვრებას მივუბრუნდეთ.

30. მაშ ასე, ოხირისი და იხიხი კეთილი დემონებიდან იქცნენ ღმერთებად. ტიფონის ძალას კი თუმცა მოტეხილსა და დასუსტებულს, მაგრამ ჯერ კიდევ მოპოპქრეს თავის აგონიაში. ეგვიპტელები მსხვერპლშეწირვით ამშვიდებენ და აწყნარებენ; და პირიქით, გარკვეულ დროს, დღესასწაულზე იხიხი შეურაცხყოფას აყენებენ წითურ ხალხს, დასცინიან მათ. კოპტოს მცხოვრებლები კი ვირს წამოაქცევენ ხოლმე, რადგან სახედარი წითურია და ეს ხომ ტიფონის ფერია. ბუსირისისა და ლიკოპოლისის მოსახლეობა საერთოდ არ იყენებს საყვირს, რადგან ის ვირით ყრუყინებს. და საერთოდ ითვლება, რომ ტიფონთან მსგავსების გამო სახედარი უწმინდური და გრძნეული ცხოველია და პაუნიისა და ფაოფის თვეებში ეგვიპტელები სადღესასწაულო კერებს აცხობენ, რომლებზეც გაკოჭილი სახედარია გამოსახული.⁷⁷ მზის სადიდებელი ღვთისმსახურებისას იხიხი წესად უდებენ ქურუმებს არ ატარონ ოქროს ნივთები და არ აკამონ საჭმელი ვირს. აშკარაა, ტიფონს პითაგორელებიც დემონურ ძალად მიიჩნევენ, იხიხი ამბობენ, რომ იგი დაიბადა ბნის ლუწ მამრავლში. ისევ და ისევ ეგდოქსოსი წერს, რომ სამკუთხედი შეესაბამება პადესს, დიონისეს და არებს, ოთხკუთხედი — რეას, აფროდიტეს, დემეტრესა და პერას, თორმეტკუთხედი — ზევსს, ხოლო ორმოცდათექვსმეტკუთხედი კი — ტიფონს.

31. ეგვიპტელებს ხწამთ, რომ ტიფონი ცეცხლოვანი წითელი ფერისაა და ამის გამო მსხვერპლად წითელი ფერის ხარებს სწირავენ. მათ იმდენად გულდასმით ამოწმებენ, რომ თუ ცხოველს ერთი შავი ან თეთრი ბეწვი მაინც გამოერია, შეხაწირად უვარგიად მიიჩნევენ. წესისამებრ შერჩეული მსხვერპლი ღმერთისთვის არამც თუ საუვარელი,

არამედ საქუთველი უნდა იყოს, რადგანაც მან მიიღო სხვა სხეულში გადასახლებული ურწმუნო და ცოდვილ ადამიანთა სულები.⁷⁸ ამის გამო ეგვიპტელები წყველა-კრულვას ატეხდნენ თავს მსხვერპლს და კლავდნენ. წინათ ხორცს მდინარეში ყრიდნენ. ახლა კი უცხოელებს აძლევდნენ. სამსხვერპლო ხარებს დამლას ადებენ სფაგისტინად წოდებული ქურუმები, ამასთანავე კასტორის მოწმობით,⁷⁹ ტვიფარზე ადამიანის გამოსახულებაა ამოკვეთილი, რომელსაც ხელები ზურგს უკან აქვს შეკრული და ყელზე კი მასვილი აქვს მიბჯენილი. ეგვიპტელები თვლიან, რომ ის, რაც ვირს ემართება, გამოწვეულია მისი ტიფონთან არა მხოლოდ ფერის მსგავსებით, არამედ მისნაირი სისულელეთა და სიჭიუტით უფრო მეტად. ამიტომ სპარსელ მეფეთაგან ყველაზე საქუთველს, სისხლისმსმელსა და ბოროტმოქმედს — ოხოსს ვირი შეარქვეს. მან კი თქვა: ეგვიპტე შეგეპარებათ, რომ ეს ვირი თქვენს ხარს შეგამს“, და აპიხი მოკლა. ამას მოწმობს დეინონი.⁸⁰ იხიხი კი, ვინც ამბობს, რომ ტიფონმა შვილდღწიანი ბრძოლის შემდეგ ვირზე ამხედრებულმა თავს გაქცევით უშველა, გადარჩა და შეიქმნა მამა იერუსალიმისა და იუდეისა, სავსებით ცხადად და აშკარად მითში იუდეველთა ტრადიციის შეტანას ცდილობენ.

32. აი, რა აზრებამდე მიბჟავს ხალხი ასეთ ამბებს, მაგრამ ჩვენ საქმეს სხვაგვარად მივუდგეთ და პირველ რიგში ყურადღება მივაქციოთ მათ, ვინც, როგორც გვგონია, რაიმეს უფრო ფილოსოფიურს ამბობს. მათ განეკუთვნება იხიხი ვინც გვახწავლის, რომ, როგორც ელინები კრონოსში დროს ასახიერებენ,⁸¹ პერაში — პერსს, ხოლო პეფესტოს დაბადებაში კი პერის ცეცხლად გარდაქმნას, ასევე ეგვიპტელები ნილოსს ოხირისში ასახიერებენ, რომელიც შეუდლებულია მიწასთან! — იხიხთან, ხოლო ტიფონი ზღვაა, რომელსაც ნილოსი ერთვის, ქრება მასში და განიბნევა, ვარდა იმ ნაწილისა, რომელსაც მიწა ღებულობს, იწოვს და მით ნაყოფიერდება. არსებობს გლეგის საკუთხო სიმღერა ნილოსის სადიდებლად, რომელშიც დაიტრება მარცხენა მხარეს დაბადებული და მარჯვენა მხარის საზღვრებში დაღუპული, რადგან ეგვიპტელები თვლიან, რომ აღმოსავლეთი სამყაროს სახეა, ჩრდილოეთი — მარჯვენა მხარეა, სამხრეთი კი — მარცხენა. და რადგანაც ნილოსი სამხრეთიდან მიაქანებს ზვირთებს და ჩრდილო-

ეთში, ზღვაში იკარგება, სამართლიანად ამბობენ, რომ ის მარცხენა მხარეში იზადება და მარჯვენაში იღუპება: ამიტომ ქურუმები უკადრისობენ ზღვას და მარილს ტიფონის ქაფს ეძახიან და ხვდა აკრძალულთა შორის, მათ დაწესებული აქვთ არ მოიტანონ მარილი სუფრაზე; ასევე ხმას არ სცემენ ისინი მესაპეებს, რადგანაც მათ ზღვასთან აქვთ კავშირი და მის ხარჯზე ცხოვრობენ. ამ მიზეზით, არანაკლებ ეჭავრებათ თევზიც და სიძულვილს სწორედ მისი საშუალებით გამოხატავენ. ახე მაგალითად, ხაისში, ათენას ტაძრის შესასვლელში გამოსახული იყო: ბავშვი, მოხუცი, შემდეგ შევარდენი, თევზი და შიპოპოტამი. ყველაფერი ეს შემდეგს ნიშნავდა: „იცოდეთ ყველამ, ვინც იზადებით და იხოცებით, ღმერთი ვერ იტანს უსიარცხილობას“. ჩვილი — დაბადების სიმბოლოა, მოხუცი — სიკვდილის, შევარდენით ისინი ღმერთს გამოსახავენ, თევზით, როგორც ვთქვით, მისი ზღვასთან კავშირის გამო — სიძულვილს, შიპოპოტამი კი ურცხოვობის გამოსატყულებად, რადგანაც მასზე ამბობენ, რომ მოკლა საკუთარი მამა და დედაზე კი ძალა იხმარა. და ეტყობა, პითაგორელთა მტკიცება, რომ ზღვა კრონოსის ცრემლია, გულისხმობს მის უწმინდურ და ჩვენთვის უცხო ბუნებას, მაგრამ ამ ყველაზე ცნობილ ამბებზე სხვაგან ვისაუბრებთ.

მე. ქურუმთაგან ყველაზე ბრძენი არა მხოლოდ ნილოსს ეძახიან ოსირისს და ზღვას ტიფონს, არამედ საერთოდ ოსირისის სახელს უწოდებენ ყოველგვარ ნოტიო საწყისს და ენერგიას, თვლიან რა მათ დაბადების მიზეზად და თესლის სუბსტანციად. ტიფონს კი ისინი უწოდებენ ყველაფერ მშრალს, ცეცხლოვანს და უნაყოფოს, რომელიც ებრძვის სინოტივს. ღრმად სწამთ, რომ ტიფონი ცეცხლოვანი წითელი ფერისა იყო და ამიტომ არ ელტვიან წითურ ხალხთან შეხვედრას და ურთიერთობას. ოსირისი კი გადმოცემით მუქი ფერის იყო, რადგანაც წყალი ყველაფერს ამუჭებს — მიწას, ტანსაცმელს, ღრუბლებს — ყველაფერს, რასაც შეეხება. ახალგაზრდა სხეულში წყლის არსებობა მუქ შეფერილობას აძლევს თმებს, გაქაღარაგება და სიფერმკრთაღე კი გამოწვეულია სიმშრალით მათ სხეულში, ვინც ბერდება. ასევე გაზაფხული უხვია, ნაყოფიერი და მაცოცხლებელი. გვიანი შემოდგომა კი, ტენს მოკლებული, მტრულია მცენარეთათვის და მავნეა

ცოცხალთათვის. ხარი, რომელსაც ზელიოპოლისში ასუჭებენ (იგი ოსირისისთვისაა მიძღვნილი, ზოგი მას აპისის მამად მიიჩნევს) და მნევსად იწოდება, შავია. იგი აპისის მერე ყველაზე მეტადაა პატივდებული. ხოლო ეგვიპტეს, რომელიც მეფეპტოტის ყველაზე შავშიწა ნიადაგზე, ისინი მეფე ქსენუს ეძახიან, რასაც თვალის გუგას — „ხეშია“-ს და გულს ადარებენ, რადგან ის თბილია და ნოტიო და სამყაროს სამხრეთ მიწებს ესაზღვრება, ისეა მათით გარშემორტყმული, როგორც აღამიანის გული სხეულის მარცხენა ნაწილით.

მე. მე და მთვარი, როგორც ამბობენ, ეტლებს კი არა, ნავებს იყენებენ სამოგზაუროდ. ამით ეგვიპტელები ნართაულად ამბობენ, რომ მათი წარმოშობა და აღვსება წყლით ხდება; არის აზრი, რომ ჰომეროსმა,⁸² ისევე როგორც თალესმა,⁸³ ეგვიპტელებისაგან ისწავლა, რომ ყოველი არსის დაბადების საწყისი — წყალია. ახევე ფიქრობენ, რომ ოკეანე ოსირისია,⁸⁴ ტეთუნი⁸⁵ — ისინი, რადგან ის კვებავს და ზრდის ყოველ ცოცხალს. ამასთანავე, ელინები თესლის გამოყოფას „აბუსიას“ უწოდებენ, სქესობრივ კავშირს „სინუსიას“ და ვაჟს კი ჰვიოს, და აწარმოებენ ჰისიადან (წვიმს). დიონისეს აგრეთვე უწოდებენ მიესს („წვიმის მომტანს“) როგორც ტენის მეუფეს და იგი სხვა არავინაა თუ არა ოსირისი; ეტყობა, ზელანიკემ ოსირისის სახელი „ბუსირისად“ გაიგო წმინდანთაგან, რადგან ის ასე ეძახის ღმერთს და საამისო საფუძველიც აქვს. ღმერთის ბუნებიდან და მისი პოვნის წესიდან გამომდინარე.⁸⁶

მე. და ის, რომ ოსირისი და დიონისე ერთი და იგივეა, სხვამ ვინ იცის, თუ არა შენ, კლეა? შენ ხომ დელფოსში თიასების⁸⁷ წინამძღვარი ხარ და ოსირისის წმინდა საქმეებს ნაწიარბი, როგორც ეს შენი დედამამის მიერ იყო გამოიწვეული, და თუ ამის საბუთი სხვების გამო უნდა იქნას წარმოდგენილი, მაშინ არ გავამხელ ყოველგვარ იდუმალს, მაგრამ ქურუმების ყველაზე დასანახი მოქმედება აპისის დასაფლავებისას, როდესაც მისი სხეული ტიფით გადააქვთ, არაფრით ნაკლები არაა ბაკხურ აღტკინებაზე, რადგანაც ისინიც ირმის ტყავით იმოსებიან, ხელთ უპყრიათ თირსოვები, ყვირიან და იქცევიან ისე, როგორც დიონისური ექსტაზით შებურბობილნი. ამის გამო ბევრი ელინი დიონისეს ბარის სახით გამოხატავს. ელისელი ქალები

კი აღვიძებენ მას და ლოცვის დროს ღმერთს ევედრებიან, რომ ღმერთი მათთან „ხარის ჩლიქებით“ მივიდეს, არგვილები დიონისეს „ხარის ძეს“ უწოდებენ, მას წყლიდან იხმო-ბენ საუვირის ხმებით და წყალში აგდებენ ცხვარს კარის მცველისთვის; საუვირებს თირ-სოვებში მალავენ, როგორც ამას ხოკრატე⁸⁷ მოგვითხრობს თავის წიგნებში „წმინდათაწმი-დან“ შესახებ; ასევე გადმოცემები ტიტანებსა და დიონისეს სადიდებელ ღამის დღესასწაუ-ლებზე საცხებით შეესაბამება ოსირისის გან-წილების, მისი აღდგომისა და აღორძინების ამბებს. იგივე შეიძლება ითქვას მათ საფლავებზეც; ეგვიპტელები, როგორც ვთქვით, ოსირისის საფლავს ბევრგან უთითებენ, ხო-ლო დელფოელები თვლიან, რომ დიონისეს ნეშტი იქვე, მათთან ხამისნოს უკან განისვენებს, და როცა შთაგონებული ქურუმნი ქა-ლები „ლიკნიტს“⁸⁸ აღვიძებენ, „წმინდან-ნი“⁸⁹ საიდუმლო მსხვერპლს ხწირავენ აპო-ლონის ტაძარში. ელინები დიონისეს არა მარტო ღვინის, არამედ მთელი ბუნების ბა-ტონად რომ თვლიან, ამის დასამტკიცებლად პინდარეს სიტყვებიც კმარა:

„მხიარულო დიონისე, სიმწიფის თეთრო ელვარებაჲ.

განამრავლე ხეთა საკვები“.

ამიტომ, ვინც ოსირისს სცემს თავჯანს, მას აკრძალული აქვს ბადის ხეების ჩეხვა და წყა-როების დაყრუება.

86. არა მხოლოდ ნილოსს, საერთოდ ყო-ველგვარ თხიერს უწოდებენ ოსირისისგან მომდინარეს და ღმერთის საპატივცემულოდ წმინდა პროცესიას ყოველთვის წყლით საცხე ქურჭლით მიუძღვებიან. ღერწმით ეგვიპტე-ლები მეფეს და სამყაროს სამხრეთ საზღვ-რებს აღნიშნავენ, ხოლო ღერწაში არის ხიმ-ბოლო ყოველგვარი არსის დანაშვისა და გა-ნაყოფიერებისა და ბუნებითაც თითქმის ის ბავშვთა მშობელ ასოს ჰგავს. პამილიას დღე-სასწაულზე, რომელიც, როგორც მოგახსენეთ, ფალიური ხასიათისაა, წინ მოაქვთ ქანდაკი, რომლის ფალოსი სამჯერაა გადიდებული, რა-მეთუ ღმერთი არის საწყისი, ხოლო ყოველი საწყისი ნაყოფიერების გამო ამრავლებს ყვე-ლაფერს მისგან გამომდინარეს, ჩვენც შეჩ-ვეულები ვართ „მრავლის“ ნაცვლად „სამის“ თქმას, მაგალითად, „სამგზის ბედნიერი“, ან „სამმაგი ბადით ჩემი თავის შებოჭვის ნებას მივცემდი სიამოვნებით“⁹⁰ და ვფიცავ ზევსს, რომ ძველი ხალხი „სამს“ თავის ნამდვილი

მნიშვნელობით ხმარობდა, რადგან თხიერმა ბუნებამ, როგორც საწყისმა და დაბადების აღვლამა, პირველმა გააჩინა თავის თავისაგან სამი რამ: მიწა, ჰაერი და ცეცხლი. და მითში მოთხრობილი ამბავი, რომ ტიტონმა ოსირი-სის ფალოსი მდინარეში ჩააგდო, ხოლო ისი-მა ვერ იპოვა ის მაგრამ დაამწადა მისი მსგავსი და ბრძანა პატივი ეცათ მისთვის და ფალიური პროცესიები გაეშართათ, იმ რწმენი-დან მოდის, რომ ღმერთის შემოქმედი და მწარმოებლური ძალა თავიდანვე შეიცავდა თავის თავში თხიერ მატერიას და წყლით უერთდებოდა მას, რაც შექმნილია დაბადებაში მონაწილეობის მისაღებად.

აქვთ ეგვიპტელებს კიდევ სხვა გადმოცემა იმის შესახებ, რომ მედიოსის ძმა აპოპისი⁹¹ ებრძოდა ზევსს, მას კი ოსირისი გაუბდა მო-კავშირედ და მტრის დამარცხებაში დაეხმარა. ზევსმა ოსირისი იშვილა და დიონისე უწოდა. უნდა ითქვას, რომ ამ გადმოცემის ზღაბრუ-ლი მხარე უკავშირდება ჭეშმარიტებას, რო-მელიც ბუნებას შეეხება, რამეთუ ეგვიპტე-ლები ქარს „ზევსს“ უწოდებენ, მას მტრობს ყველაფერი გამომწრალი, ცეცხლოვანი, და ეს არ არის მზე, მაგრამ რაღაც მზის მონა-თესავია; ხოლო ხითხე, რომელიც სპობს ზე-მეტ სიმშრალეს, ზრდის და აძლიერებს აო-თქლებას, რომლითაც ქარი იჟღისთება და მძლავრდება.

87. ელინები დიონისეს სუროს უძღვნიან და გამოგონია, რომ ეგვიპტელები ამ მცენა-რეს „ხენოხირისს“ ეძახიან, რაც, „ოსირისის ნაყარს“ ნიშნავს, არისტოსი,⁹² „ათენის კოლო-ნიზაციის“ ავტორი, გადაწყდომია ვინმე ალექსარხოსის წერილს, რომელშიც ნათ-ქვამია, რომ დიონისე ზევსისა და ისისის შვილია და ეგვიპტელებთან ოსირისი კი არ ჰქვია, არამედ არსაფსი (ალფა-თი დაწერი-ლი), რომლის სახელიც ითარგმნება როგორც „სიმამაცე“. „ჰერმაიოსი“⁹³ „ეგვიპტელთა შე-სახებ“ თხულებათა პირველ წიგნში იგივეს ამტკიცებს. იგი ამბობს, რომ ოსირისი შეიძ-ლება გავიგოთ როგორც „მძლავრი“. აღარა-ფერს ვამბობ მნახეაზე,⁹⁴ რომელიც დიონისეს, ოსირისსა და სარაპისს ეპათოსთან აიგივებს, არც ანტიკლეიდესზე⁹⁵, რომელიც ამტკიცებს, რომ ისისი პრომეთეს ქალიშვილი და დიონი-სის ცოლი იყო. ის დღესასწაულები და წეს-ჩვეულებები, მე რომ აღწერე, გაცილებით ცხად ჭეშმარიტებას შეიცავს ვიდრე მომხწრე-თა სიტყვები.

მე. ყველაზე ბრწყინვალე ვარსკვლავს ეგვიპტელები იხილს უწოდებენ, რადგანაც ის ნილოსის აღმდგმას იწვევს; ისინი აგრეთვე თაყვანს სცემენ ღოშს და ხახადადებული ღოშების ქანდაკებებით ამკობენ ტაძრის შესასვლელს, რადგანაც ნილოსი ნაპირებიდან გადმოდის მაშინ, როდესაც „მზე პირველად შეხვდება ღოშს“.

და როგორც ნილოსს უწოდებენ ოხირისის დანადგარს, ასევე მიწას ისინი იხილის სხეულად თვლიან, მაგრამ მთელ მიწას კი არა, მის მხოლოდ იმ ნაწილს, რომელიც ეწლება აღმდებული ნილოსი, ეუბნება მას და ანაყოფიერებს. ამ შეწყვილებით ისინი შობენ ჰოროსს, რომელიც არის ჰაერის თანაზომიერი შერევა და გაზაფხული, ყოველი გარემომცველის მკვებავი. ამბობენ, რომ ჰოროსი ღეტომ გაზარდა იმ ქაობებში, ზუტს რომ არტყია გარშემო; დარწმუნებული და სველი მიწა ზომიერად უშვებს, რომელიც ანადგურებს და ასუსტებს უნაყოფობასა და სიმშრალეს.

საზღვრის იმიერი ხანაპირი მიწა, რომელიც ზღვას ებჯინება, ნევთისად იხსენიება. ამიტომ, ნევთისს „ზღვარს“ უწოდებენ, თანაც ამბობენ, რომ ის ტიფონის ცოლია; როდესაც აღმდებული და ნაპირებიდან გადმოსული ნილოსი განაპირა საზღვრებს აღწევს, ამას ოხირისისა და ნევთისის შეუღლებას უწოდებენ, რასაც აღმოცენებული მცენარეები მოწმობს, და მათ შორის უვითელი ძიძოც რომელზეც მითი მოგვითხრობს, რომ ეს უვითელი ჩამოვარდა ოხირისის გვირგვინიდან და ამით შეიტყო ტიფონმა თავისი სარეცლის შეურაცხყოფა. ამ რატომღაც, რომ ისინი ჰოროსი შვა კეთილშობილურად, ხოლო ნევთისმა ანუბისი — უკანონოდ. ამასთანავე, „მეფეთა კატალოგებში“ წერენ, რომ როცა ნევთისი ტიფონის ცოლი შეიქნა, ის უნაყოფო იყო, და თუკი ამას ქალზე კი არა, ქალღმერთზე ამბობენ, გულისხმობენ მიწას, უნაყოფოსა და ვერდამზადებელს წყლის ნაკლებობის გამო.

მე. ასევე ტიფონის ბოროტი განზრახვა და ტირანია აღნიშნავდა იმ ხვატის სიჭარბეს, რომელიც დამარცხა და განდევნა წყალი, რომელიც არის ნილოსის მშობელი, წყარო მისი არსებობისა და ზრდისა; ხოლო ტიფონის მოკავშირედ ეთიოპელთა დედოფლის არჩევა, ეთიოპიიდან მონაბერ სამხრეთის ქარებზე მიგვანიშნებს, რამეთუ, როცა ისინი ამარცხებენ ეთიოპიისკენ ღრუბლების გამრეკავ ეტი-

ლი წვიმების მოსვლას, მაშინ გაცხადება ოხირისის მღევარი ტიფონი და ძლიერ ნილოსს, რომელიც, ისედაც თვინიერი წყლის სიმცირის გამო, მოწანწკარებს შალს ნაპირებს შორის, ზღვაში აძევებს. ეტყობა, ოხირისის კუბოში ჩასვენება სხვას არაფერს ნიშნავს, თუ არა წყლის უკლებასა და დაღევას: ამიტომ ამბობენ, რომ ათიოპის ტყეში ოხირისი კვდება, რადგანაც ეტესიები რომ ჩაწყნარდება, მაშინ ნილოსი ზომ ხავსებით შრება, მიწა შეშვლდება და ღამის მომატებასთან ერთად, სიზნელეც მატულობს, სინათლის ძალა მარცხდება და იფიტება. ხოლო ქურუმები ასრულებენ პირქუშ წიგნებს და ღმერთქალზე გლოვის ნიშნად შავი სილის გადასაფარებელში შეფუთულ ძროხის მოოქროვილ თავს გამოდგამენ (ისინი ძროხას და მიწას იხილის გამოსახულებად თვლიან); თვის ჩვიდმეტა რიცხვიდან მოყოლებული ეს ყველაფერი ოთხ დღეს გრძელდება. გლოვის მიზეზი ოთხია: ჯერ ერთი, კლებულობს და ქრება ნილოსი, მეორე — ჩრდილოეთის ქარები მთლიანად დამარცხებულია, სამხრეთისა კი იმარჯვებს, მესამე — დღე ღამეზე მოკლე ხდება, დაბოლოს მიწა შეშვლდება და ქრება მცენარეულობა, რომელიც ამ დროს საფარველს კარგავს, მეცხრამეტე ღამეს პროცესია ზღვისკენ ეშვება, ქურუმებს და სტოლისტებს¹⁸ მიაქვთ ხვტორში მოთავსებული ოქროს კიდეები, რომელშიც მტკნარ წყალს ასხამენ და გაისმის უვირილი, რომ ოხირისი იპოვებს. მეორე წყალთან მიაქვთ ნაყოფიერი მიწა, ურევინ მას ნელსაცხებლებს და ხურნელოვან ზეთებს. მეორე ძერწავენ ნახევარმთვარის ფორმის გამოსახულებას, რთავენ და ამკობენ მას, რითაც აჩვენებენ, რომ ამ ღმერთებს წყლისა და მიწის სუბსტანციად თვლიან.

10. როცა ისინი მკვდრებით აღადგინა ოხირისი და აღზარდა ჰოროსი, რომელიც მომაგრდა პორტკლების, ნილოსისა და ღრუბლების წყალობით, მაშინ ტიფონი დამარცხებულ იქნა, მაგრამ არა განადგურებული; ამრიგად, მიწის მბრძანებელმა ღმერთქალმა არ დაუშვა ტენის მოწინააღმდეგე ბუნების საბოლოო გაქრობა, მხოლოდ დაასუსტა ის და მეორე გაათავისუფლა; მას სურდა, შენარჩუნებულიყო შერევა, რადგანაც შეუძლებელია სრულყოფილი წესრიგი ციკლოვანი საწყისის ჩაფერფლისა და გაქრობის შემთხვევაში. და თუ ამის შესახებ შეუფერებელ რამეს ამბობენ, მაინც არ უნდა უბუდვებდნენ ამ-

ხავი იმის შესახებ, რომ ერთ დროს ტიფონი ოსიროსის ბედს განაგებდა. ეგვიპტე ხომ ზღვა იყო ოდესღაც⁹⁹. ამის გამო მალაროებსა და მთებში დღემდე პალუდობენ ნიჟარებს. ყველა წყაროა და ყველა ჭაში (იხილეთ კი უამრავია) მწარე და მარილიანი წყალი დგას, თითქოს აქ იყოს დაგროვილი ძველი ზღვის ნარჩენები.

მოროსის ჭერიც დადგა და ტიფონი დამარცხდა, ანუ უხვი წვიმების შემდეგ ნილოსმა განდევნა ზღვა, ააღორძინა დაბლობი, მოტანილი შლამით აავსო. ამას დაკვირვებაც გვიდასტურებს. ჩვენ ხომ დღესაც ვხედავთ, როგორ მოაქვს მდინარეს ახალი შლამი, როგორ ამოძრავებს მიწას ზღვის წინააღმდეგ; ზღვა კი თანდათან უკან იხევს და ტოვებს ფსკერს, რომელიც შლამით იფარება. კუნძული ფაროსი, რომელიც, მომეროსის ცნობით, ეგვიპტიდან ერთი დღის სავალზე იყო¹⁰⁰, დღეს მისი ნაწილია იმიტომ კი არა, რომ გაიწარდა და ხმელეთს მიუახლოვდა, არამედ იმის გამო, რომ მათ შორის ზღვა მდინარემ განდევნა, რომელიც ავსებს და ზრდის ხმელეთს.

მსგავსი წარმოდგენები სტოელეებსაც აქვთ თავიანთ მსჯელობაში ღმერთების შესახებ და ისინი ამბობენ, რომ დიონისე არის მკვებავი და შემოქმედი ხული, პერაკლე — მოძალადე და დამანგრეველი, ამონი შემთვინებელი, ხოლო დემეტრი და კორეა ყველაფერი, რასაც კავშირი აქვს მიწასთან და მის ნაყოფთან, პოსეიდონი კი ის, რაც ზღვას უკავშირდება.

41. მაგრამ ბუნებრივ მიზეზებს ასტრონომიულსაც ურევინ და უშვებენ, რომ ტიფონად მზის სამყარო იწოდება. ოსიროსად კი — მთვარისა,¹⁰¹ ამბობენ, რომ მთვარის სინათლე, ცხოველმოქმედი და ტენის დამზადებელი, ხელსაყრელია ცხოვრების გასამრავლებლად და მცენარეთა ყვავილობისთვისაც; ხოლო მზე, უზომო და დაუნდობელი ციცხლით წვავს და აწრობს ყველაფერს მწარდსა და ყვავილოვანს. თავისი მხურვალეობით უკაცრიელს ხდის მიწის დიდ ნაწილს და ხშირად იმარჯვებს მთვარეზე. ამიტომ ეგვიპტელები ტიფონს ყოველთვის „ხეტს“ უწოდებენ, რაც ნიშნავს „დამღუპველსა“ და „დამმორჩილებელს“. მითა მოგვითხრობს, რომ მზეზე დახანლებული პერაკლე მასთან ერთად ხეტიალობს, ხოლო პერმესი მთვარესთან ერთად.¹⁰² მთვარის მოქმედება გონებისა და სრულყოფილი სიბრძნის მოქმედების მსგავსია, ხოლო მზისა კი — სიმძლავრისა და ძალადობით მიუენებულ და-

რტყმებს მგავს. სტოელეები ამბობენ, რომ მზე ზღვიდან ამოდის და მითვე იკვებება, მთვარეს კი საამო და ნაწ აორთქლებას წყაროებისა და ტბების წყალი უჭნავს.

42. ეგვიპტური გადმოცემებით, ოსიროსი თავის მეჩვიდმეტე დღეს მოკვდა, მაშინ, როდესაც სრულდება მთვარის მოვანების პერიოდი. პითაგორელები ამ დღეს ზღუდეს უწოდებენ და საერთოდ რიცხვ ჩვიდმეტს გაურბიან, რამეთუ ის შეტრილია თექვსმეტსა და თვრამეტს შორის, რომლებიც კმნიან კვადრატსა და სწორკუთხედს. ბრტყელ ფიგურათა შორის მხოლოდ მათ გააჩნიათ ფართობის ტოლი პერიმეტრი. ჩვიდმეტი მიქნავს ამ რიცხვებს, არღვევს ეპოვდონურ¹⁰³ თანაფარდობას, რადგანაც თვითონ არათანაბარ ნაწილებად იყოფა.

რაც შეეხება წლებს, ერთნი ამბობენ, რომ ოსიროსი ოცდარვა წელიწადს ცხოვრობდა, სხვები კი მიიჩნევენ, რომ ოცდარვა წელს მეფობდა, რადგან ასეთია მთვარის ციკლი და ამდენ დღეში ასრულებს ის თავის წრეს. ხოლო ეგერთ წოდებულ ოსიროსის საფლავებზე მოქრილი ხისგან, ნამგალა ყუთს ამზადებენ, რადგანაც მთვარე მზესთან შიახლოებისას იშალება და ნამგალს ემსგავსება; ოსიროსის თოთხმეტ ნაწილად განწილვა იმ დღეთა რაოდენობაზე მაუთიანებს, რომელთა განმავლობაში კვდება მნათობი მთვარის მოვანებიდან მის გაღვივამდე. ხოლო დღე, როდესაც ის პირველად გამოჩნდება, თავს დაადწევს მზის სხივებს და განერიდება მას, „დაუხრულებელ სიკეთედ“ იწოდება, რადგან კეთილმოქმედია ოსიროსი და ბევრ რამეს ნიშნავს სახელი მისი და განსაკუთრებით კი მით აღნიშნავენ კეთილ და ცხოველ ძალას. ასევე ოსიროსის მეორე სახელი ომფისი პერმეოსის თქმით, ითარგმნება, როგორც, „მწყალობელი“.

43. ვარაუდობენ, რომ მთვარის გამოსხივებასთან კავშირი ნილოსის აღიდებასაც აქვს, რადგანაც ყველაზე მეტად ელფიანტინეს მახლობლად დიდდება ნილოსი, ოცდარვა ადლით, რაც მთვარის ნათებისა და მისი თვის ციკლს საზომი რიცხვია. ყველაზე ნაკლებად კი წყლის დონე მენდესისა და ქსოისის რაიონში იწევს — მ ადლით, ციკლის პირველ მეოთხედის შესაბამისად; საშუალოდ კი — მემფისში, თოთხმეტი ადლით, რაც სავსე მთვარის პერიოდს უკავშირდება.

ამისი ოსიროსის გასულიერებული ნატია, რომელიც წარმოიქმნება მაშინ, როდესაც მთვა-

რის ცხოველმყოფელი ხინათლე ეცემა ატეხილ ქროხას და გამსჭვალავს მას. ამის გამო, აპისი ბევრ რამეში მთვარის ზახიათს ემსგავსება და მისი ბეწვის ღია ფერის ნაწილები მუქითაა გარშემორტყმული.¹⁰⁴ ფაშენოთის თვეში, ახალ მთვარეობას, ეგვიპტელები აწყობენ დღესასწაულს, რომელსაც „ოსირისის მთვარეზე ასვლა“ ეწოდება და რომელიც გაწაფხულის მომასწავებელია. ამგვარად ოსირისის ძალას მთვარეში დაუნჯებულად მიიჩნევენ¹⁰⁵ და ამბობენ, რომ ისინი მასთანაა, როგორც დამბადებელი. ამიტომ, მთვარის ისინი სამყაროს დედას უწოდებენ და თვლიან, რომ მას გააჩნია როგორც მამრული, ისე მდედრული საწყისი, და რომ ის მზისგან ორსულდება, მაგრამ თვითონაც უშვებს და აბნევს პერში ცხოველმყოფელ თებს¹⁰⁶, რამეთუ ყოველთვის ვერ იმარჯვებს ტიფონის დამანგრეველი ძალა და ხშირად დამარცხებული და შებოჭილია ნაყოფიერების ენერგიით. შემდეგ კვლავ თავისუფლდება და ებრძვის ზოროსს, ზოლო ზოროსი — მიწიერი წესრიგია, რომლისთვისაც მთლად უცხო არ არის არც სიკვდილი, არც დაბადება.

44. ზოგიერთები ფიქრობენ, რომ მითში დაბნელებებზეა მინიშნება, რადგანაც მთვარის დაბნელება მაშინ ხდება, როცა სავსე მთვარე მზის პირდაპირ იკავებს ადგილს და დედამიწის ჩრდილში ექცევა, ისევე, როგორც ოსირისი — კუბოში. შემდეგ, თვის ოცდამეათე დღეს მთვარე ფარავს და ჩრდილავს მზეს, მაგრამ მთლიანად არ ღუპავს მას, როგორც ისინი არ ღუპავს ტიფონს. და როდესაც ნევთისმა ანუბისი შობა, ისინმა ის საკუთარი შვილივით მიიღო, რადგან ნევთისი არის ის, რაც მიწის ქვეშეთშია და უხილავია, ზოლო ისინი — ის, რაც მიწის ზედათაა და ხილულია. ორივეს შემხებს კო, წრეწირის ჰორიზონტად წოდებულს და ორივესთვის საერთოს, ანუბისი პქვია. მას ძაღლისთ გამოხატავენ, რადგანაც ძაღლი ერთნაირად ბედავს დღისითაც და ღამითაც¹⁰⁷. ეგვიპტელები თვლიან, რომ ანუბისს იგივე ძაღაუფლება გააჩნია, რაც ელინთა ბეკატეს¹⁰⁸, რომელიც ერთდროულად ზოონური ღმერთიცაა და ოლიმპიელიც. ზოგიერთი თვლის, რომ ანუბისი — კრონოსია, რადგან ის ყველაფერს თავის თავიდან შობს და თავის თავში ჩასახავს (კიო), თითქოს ამიტომ, მეტსახელად ძაღლს კიონს უწოდებენ. ანუბისის თავგანისმცემლები რაღაც იდეალებით არიან მოცულნი. ძველ დროში ეგვიპტეში, ძაღლს დიდად სცემდნენ პატივს; მაგრამ როცა კამბიზმა მოკლა და

გადააგდო აპისი, არც ერთმა ცხოველმა პირი არ დააკარა მის სხეულს ძაღლის გარდა — და მას შემდეგ აღარ სცემენ მას განსაკუთრებულ და სხვა ცხოველებზე აღმატებულ პატივს. არიან ისეთებიც, რომლებიც ტიფონს ეძახიან დედამიწის ჩრდილს, რომელშიც, მათი რწმენით, შესრიალდება მთვარე და მთაღის ეფარება.

ბიზანტიუმი

45. ამგვარად, საფუძველი გვაქვს, დავასკვნათ ყველა ცალ-ცალკე არასწორად მსჯელობს, ყველა ერთად — სწორად, რადგან ტიფონის წილხვედრად სიმშრალეს, ზღვას, ქარს, სიბნელეს კი არ მიიჩნევენ, არამედ ყველაფერ მაგნესა და დამღუპველს და არ უნდა ეძიოთ სამყაროს სათავე უსულო საგნებში, დემოკრიტესა და ეპიკურეს მსგავსად, არც სტოელებით უთვისებო მატერიის შემოქმედ ერთიან გონებასა და ერთიან განგებაში, რომელიც ყველაფერს მოიცავს და ყველაფერზე ბატონობს, რადგან შეუძლებელია რაიმე ბოროტების აღმოცენება იქ, სადაც ღრმერთი ყველაფრის მიწეწია, ზოლო სიკეთის არსებობა იქ, სადაც ღმერთს არაფერი შეუქმნია. პერაკლიტეს თანახმად „სამყაროს პარმონიაში დაძაბულობას მოდუნება ცვლის, როგორც ეს ღირას ან მშვილდს მოსდის, ზოლო ევრიპიდე ამბობს:

„ვერ იქნებიან ცალ-ცალკე
ბოროტება და სიკეთე,
მაგრამ უნდა იყოს რაღაც შერევა,
რომ იქმნეს ლამაზად“.

აი რატომ გადმოცა ეს უძველესი წარმოდგენა დვთისმეტყველთა და ნომოთეტებისაგან პოეტებსა და ფილისოფოსებს; თუმცა მას არ გააჩნია თავისი საწყისის შემოქმედი, მაგრამ სამაგიეროდ აქვს მყარი და შეურყეველი დამატერებლობა, და ის ვრცელდება არა მხოლოდ მონათხრობითა და გადმოცემებით, არამედ მისტერიებისა და მსხვერპლშეწირვის ჩვეულებათა საშუალებით, ყველგან — ელინებთანაც და ბარბაროსებთანაც. და მისი არსი ასეთია: თავისთავად კი არ არის გამოკიდებული სამყარო, უთქმელად, უგონოდ და წარუმატებელად, არც ერთიანი გონება წარმართავს და მიმართავს ხაქის თუ ადვირის მეშვეობით მას, არამედ, რადგანაც ბუნება თავისთავში მრავალ რამეს შეიცავს, თანაც არეულს სიკეთითა და ბოროტებით, ან უკეთესად და მარტივად რომ ვთქვათ, არა აქვს ბუნებას არაფერი შეურყეველი, ამიტომ არ ვეგონოს, რომ ის მოვლენებს ისე ანაწილებს,

როგორც პატრონი ორი ღვინის ჭურჭლისა, რომელიც თვალთმაქცურად ურევს ჩვენთვის ღვინოს ერთმანეთს; პირიქით, ორი საპირის-პირო საწყისიდან და ორი მტრული ძალიდან, რომელთაგან ერთს მივყავართ მარჯვნივ და შეუწყდარი გზით, მეორე კი უკუღმა გვატარებს და გზას აგვადგენს, შეიქმნა რთული ცხოვრება და სამყარო, თუ მთელი არა, ყოველ შემთხვევაში ეს მიწიერი მთვარისკვდეთი მაინც, არაერთგვაროვანი, კრელი, რომლისთვისაც არავითარი ცვლილება უცხო არ არის. და რადგანაც არაფერი არ წარმოიქმნება უმიზეზოდ, სიკეთე კი ვერ შეიძლება თავისთავში ბოროტის საწყისს, ამიტომ ბუნებას უნდა ჰქონდეს განსაკუთრებული საწყისი და სათავე, როგორც სიკეთისა, ისე ბოროტებისა.

46. სწორედ ასე ფიქრობენ ყველაზე ბრძენნი. მათი აზრით, არსებობს ორი მოქიშპე ღმერთი — ერთი კეთილის შემოქმედი, მეორე — ბოროტის. სხვები კი კარგს „ღმერთს“ ეძახიან, ცუდს კი — „დემონს“, როგორც მაგალითად ძორაასტრესი, მოგვი, რომელიც, გადმოცემით, ტროას ომამდე ხუთი ათასი წლით აღრე ცხოვრობდა. ის კეთილ ღმერთს ჰორომადებს უწოდებდა, ბოროტს კი — არეიმანიოსს¹⁰⁸ და ამბობდა, რომ პირველი შეგონობადთა შორის შეიძლება სინათლეს შევადაროთ, მეორე კი სიბნელესა და უფიცობას, მათ შორის კი არის შიორა და ამიტომ, სპარსელები მას „შუამავალს“ უწოდებენ. ძორაასტრესი ამბობდა, რომ ჰორომადებს უნდა შესწირონ მსხვერპლი სასურველი და სამადლობლო, მეორეს კი — გულის მოსაღებობა და პირქუში. ამიტომ, ისინი ნაყავნ რადაც ბაღაბს, რომელსაც ომომს ეძახიან და ასე უხმობენ ჰადესს და სიბნელეს¹¹⁰ მერე კი ურევნ მას მსხვერპლად შეწირული მგლის სიხლს, მიაქვთ იმ ადგილას, სადაც არ ეცემა მზის შუქი და ჰქვე აგდებენ. ისინი ფიქრობენ, რომ მცენარეთაგან, ზოგი კეთილ ღმერთს ეკუთვნის, ზოგი კი — ბოროტს. ასევე ცხოველებიც. მაგალითად, ძაღლი, შინაური ფრინველი, ტყის ზღარბი — კეთილი ღმერთისაა, ბოროტისა კი — წყლის ვირთხები. ამიტომ კაცი, რომელიც ბევრ წყლის ვირთხას დახოცავს, მათი წარმოდგენით, ბედნიერი იქნება.

47. მაგრამ ისინიც ბევრ ზღაპრულს ყვებიან ღმერთების შესახებ. მაგალითად: ჰორომადესი დაიბადა უწმინდესი სინათლიდან, არეიმანიოსი კი — წყველიდან და ისინი განუწყვეტლივ ებრძვიან ერთმანეთს, ჰორომადესმა ექვსი

ღმერთი შექმნა: პირველი — კეთილგონების, მეორე — ჭეშმარიტების, მესამე — სამართლიანობისა, დანარჩენები — სიბრძნის, სიმდიდრისა და ერთი კეთილსიამოვნებათა შემოქმედი. მაგრამ არეიმანიოსმა იმავე რაოდენობის მოწინააღმდეგენი შექმნა. ჰორომადესი თავთან სამჯერ გაიზარდა, მზეს იმავე მანძილზე მოშორდა, რა მანძილითაც მზე დედამიწასა და მორბული, და ცა ვარსკვლავებით მორთო. ერთი ვარსკვლავი, სირიუსი, წინ დააყენა მცველად და მეთვალყურედ; მერე კიდევ ოცდაოთხი ღმერთი შექმნა და კვერცხში ჩახვა, ოღონდ არეიმანიოსის შექმნილმა იმავე რაოდენობის ღმერთებმა შეადწინეს ამ კვერცხში და ასე შეერია ბოროტი კეთილს. მაგრამ მოვა ხედის-წერით განსაზღვრული დრო და არეიმანიოსი, — სიკვდილისა და შიმშილის გამოწყვეტი, — განადგურდება და გაქრება, დედამიწა სწორი და გლუვი გახდება და იქნება საერთო ცხოვრება და საერთო სახელმწიფო ერთ ენაზე მოლაპარაკე ნეტარი ადამიანებისა. თეოპომპოსი¹¹¹ კი, ამბობს, რომ მოგვთა სიტყვებით, ყოველ ხაში ათას წელიწადში ერთხელ ერთ-ერთი ღმერთი იმარჯვებს, მეორე კი მარცხდება; მერე, სამი ათასი წლის განმავლობაში ისინი იბრძვიან და ერთი ანადგურებს მეორის ნაღვას; მაგრამ ბოლოს და ბოლოს ჰადესი გაქრება და ადამიანები ბედნიერნი იქნებიან, მათ არც სატყეოსისმედი დასჭირდებათ და არც ჩრდილი თავშესაფარად. ღმერთი, კი, ყველაურის მომწყობი, წავა მოხალხვნებლად და ვარკვეული ხნით დაისვენებს; ეს დრო მისთვის, როგორც ღმერთისთვის, ხანგრძლივი არ არის, ზომიერია, ისე, როგორც ძილი ადამიანისთვის. ასეთია მოგვთა ზღაპრული ამბების შინაარსი.

48. ქალღმერთები კი ამტკიცებენ, რომ იმ პლანეტებიდან, რომელთაც ისინი შუარველ ღმერთებს ეძახიან, ორი სიკეთის მომტანია, ორი — ბოროტების. სამი კი საშუალოა და ორივეთვისების მატარებელი. ელინთა მათგნი ასე თუ ისე ყველა სათვის ცნობილია. კეთილ ნაწილს ისინი ოლიმპიელ ზევსს მიაკუთვნებენ, ბოროტს — ჰადესს და ყვებიან, რომ ჰარმონია იქმნა აფროდიტისა და არესისაგან, რომელთაგან პირველი სასტიკი და ქაუტია, მეორე კი ალერსიანი და დამხადებელი. დაუკვირდი, რომ ამას ფილოსოფოსებიც ეთანხმებიან. მაგალითად, პერაკლიტე პირდაპირ უწოდებს ომს „ყველაურის მამას, მეფეს და გამგებელს“ და ამბობს, რომ, როცა ჰომეროსი დადადებს: „დაე წარიხოცოს მტრობა კაცთა და მტრობა ღმერთ-

თა¹¹² ვერ ამჩნევს, რომ წყვედრის ყოველი არსებულის სათავეს, რამეთუ სათავე იგი — ბრძოლასა და წინააღმდეგობებშია. პერაკლიტი იმასაც ამბობს, რომ მზე დადგენილ საზღვარს არ გადავა, რადგან მაშინ მას დიკეს საშინოვალა მხლებლები მიეწევინან. ემპედოკლე კეთილ საწყისს „მეგობრობას“, „სიყვარულს“ და ხშირად „მშვიდ მარმონიას“ უწოდებს; ბოროტს კი — „დამღუპველ განხეთქილებას“ და „სისხლისმღვრელ ბრძოლას“. პითაგორელებმა¹¹³ კი კეთილი პრინციპი ბევრი ცნების საშუალებით გამოხატეს: ერთი, დასრულებული, მუდმივი, სწორი, კენჭი, ოთხკუთხა, ტოლი, მარჯვენა, სინათლე; ბოროტ საწყისს კი გამოხატავენ შემდეგი ცნებებით. ორი, უსასრულო მოძრაობი, მოღუნული, ღუნწი, არატოლგვერდი, უტოლობა, მარცხენა, წყვედიანი; მათი აზრით, ბუნებას საფუძვლად სწორედ ეს ცნებები უდევს. ანაქსაგორასთვის¹¹⁴ საწყისია გონება და უსაზღვრო, არისტოტელესთვის — ფორმა და ნაკრულობა, პლატონი კი ხშირად ფარავს და მალავს ამას და დაპირისპირებულ მხარეთაგან ერთს „იგივეობას“ უწოდებს, მეორეს კი — „განსხვავებას“, მაგრამ „კანონებში“¹¹⁵ რომელიც მან უკვე საკმაო ხნასამ დაწერა, ნათელად ან სიმბოლურად კი არა, პირდაპირ გვეუბნება, რომ სამყაროს ამოძრავებს არა ერთი სული, არამედ შეიძლება ბევრიც. ყოველ შემთხვევაში, ორი მაინც, მათგან ერთი კეთილმოქმედია, მეორე კი, მისი საპირისპირო, ყველაფერს საწინააღმდეგოს ჩადის. ამ ორს შუა, პლატონი შესამე ბუნებასათვისაც კოვებს ადგილს, რომელიც არ არის მოკლებული გონებასა და დამოუკიდებელი მოძრაობის უნარს, როგორც ზოგიერთს ჰგონია, მაგრამ რომელიც ჩრდილ საწყისს უკავშირდება და ილტვის უკეთესისაკენ, ენატრება ის და იბრძვის მის მოსაპოვებლად, როგორც ამას ჩვენი შემდგომი მონათხრობი დაგანახებთ, იმასაც ვნახავთ, რომ ეგვიპტელთა მოძღვრება ღმერთებზე ყველაზე მეტად ამ ფილოსოფიას უკავშირდება.

48. რთულია სამყაროს წარმოქმნა და აგებულება, დაპირისპირებული და ამასთანავე, განსხვავებული სიძლიერის ძალთა გამო. მათში უპირატესობა უკეთესს რჩება, მაგრამ ვერც ბოროტი მოიხრება მთლიანად, რადგან ის დამანასათებელია სამყაროს სხეულისა და სულის მნიშვნელოვანი ნაწილისათვის და მუდამ ებრძვის უკეთეს ძალას. ამიტომ, სულიერ ხფეროში ოხირისი ყველაფერი კეთილშობილის მეუფე და ბედმწიფეა, ის არის აზრი და გონე-

ბა¹¹⁶, ხოლო ამქვეყნად, ყოველივე განსაღი, აწყობილი, პერიოდებით, შეთანადებით და ვადებით მოწესრიგებული, მიწაზე იქნება ეს, ქარში, წყალში, ცაში მთუ ვარსკვლავებზე — ოხირისიდან გამომდინარეობს და მასი მსგავსია. ტიფონი კი, სულის უარგულებში, ყველაფერი ბოძოქარი, ტიტანური ქაჩუნებული და ცვალებადია, მატერიალური ნივთიერება და ცვალებადია, მატიერიალური ნივთიერება, მაგნი, ადგუნებადი, არეულ ვადებთან პროპორციათა დარღვევასთან, მზისა და მთვარის დაბნელებასთან დაკავშირებული. და ეს ყველაფერი თითქმის ტიფონის ამბობს და შემოსევას; ამაზე მეტყველებს სახელი „სეთი“, რომელსაც ეგვიპტელები ტიფონს ეძახიან და რომელიც ნიშნავს „დამღუპველს“ და „მოძალადეს“, ხშირად „გადატრიალებას“, ზოგჯერ კი „ნახტომს“, ზოგი ამბობს, რომ ბებონი ტიფონის ერთ-ერთი მეგობარი იყო, მანეთოსი¹¹⁷ კი ამ სახელით თვით ტიფონს იხსენიებს, თავად სიტყვა „დაუფრენებას“ და „დაბრკოლებას“ ნიშნავს, რადგანაც ტიფონის ძალა აბრკოლებს მოვლენებს, სწორი გზითა და სათანადო მიზნისაკენ რომ მიდიან.

50. ამ მიზეზით, შინაური ცხოველებიდან ტიფონს უძღვნიან ყველაზე უხვს — ვირს, გარეუფლთაგან კი ყველაზე ხაშინელს — ნიანგსა¹¹⁸ და ჰიპოპოტამს. ვირთან დაკავშირებით უკვე ყველაფერი განვმარტე. პერმოპოლისში ტიფონი ჰიპოპოტამის სახითაა გამოხატული, რომელსაც ზურგზე გველთან მებრძოლი შეგარდენი აზის. ჰიპოპოტამით ტიფონია გამოსახული, შეგარდენით კი — სიძლიერე და ძალაუფლება. რომელთა მოპოვებასაც ტიფონი ძალადობის საშუალებით ცდილობს, ხშირად ამაოდ, და მაშინ ბრანისაგან თვითონაც ცაბახებს და ირგვლივ ყველაფერს აზანზარებს. ამიტომ, ტუბის თვის მეშვიდე დღეს, რომელსაც ფინიკიიდან ისისის გამოსვლას დღედ იხსენიებენ, ეგვიპტელები გაკოჭილ ჰიპოპოტამს გამოსახავენ პურზე. აპოლინოპოლისში კი ნიანგის ხორცის ჭამა მიღებული. ერთი დღის განმავლობაში ქალაქის მცხოვრებლები დახოცავენ იმდენ ნიანგს, რამდენსაც შეძლებენ, და ტაძრის წინ ყრიან. ყვებიან, რომ ტიფონი ნიანგად ქცეული დაუსხლტა ჰოროსს ხელიდან და საერთოდ, ყველა მავნე და ცუდი ცხოველი, მცენარე თუ მოვლენა ტიფონის მოძრაობა, ნაწილი და ქმედებაა.

51. ოხირისს ისინი მაინცა და მაინც თვითონა და კვერთხით გამოხატავენ; პირველი

ნათელმშვილდელობას აღნიშნავს, მეორე კი — ძალაუფლებას; ასევე როდესაც ჰომეროსი¹¹⁹ ყოველი არხის მეუფესა და ხელმწიფეს, „წევს, მბრძანებელსა და მოძღვარს“, უწოდებს „მბრძანებლით“, როგორც ჩანს, მის ხიძლიერეს გამოხატავს, „მოძღვრით“ კი მწყალობლობას და სიბრძნეს. ხშირად ოხირისხე შევარდენით გამოხატავენ, რადგანაც ეს ჩიტი მანვლი მწერით და სწრაფი ფრთებით გამოირჩევა და მცირედი საკვები მყოფნის. აგრეთვე ყვებიან, რომ როცა ის დაუმარხავ მკვდრებს თავზე გადაუფრენს, თავლებზე მიწას მიაყრის ხოლმე. როდესაც მდინარეზე წყურვილის მოსაკლავად დაეშვება, ბუმბულს ყალუზე შეაყენებს და წყურვილ-მოკლული ისევ დაუშვებს. აქედან ცხადი ხდება, რომ ის ნიანგს გადაურჩა; წინააღმდეგ შემთხვევაში, ბუმბული ისევ ყალუზე შემდგარი დარჩებოდა. ყველგან აჩვენებენ ოხირისხის ანთროპომორფულ გამოხატულებას აღვსებული ფალოსით მისი მწარმოებლური და ნაყოფიერი ძალის ნიშნად. მის ქანდაკებებს აღისფერი ქსოვილით მოსავენ, რადგან მწეს თვლიან კეთილი ენერგიის სხეულად და მხოლოდ გონებთ საწყდომი არხის ხილულ გამოხატულებად. ამიტომ ზეზღის ღირხია ის, ვინც მწეს ტიფონს აკუთვნებს, რომელთანაც არაა დაკავშირებული არაფერი ნათელი, მხსნელი, არავითარი წესრიგი, დაბადება ან მოძრაობა, ზომიერება და აზრი რომ აქვს. პირიქით, ყველაფერი ამის საპირისპირო გაჩნდა და გვაღვა, რომელიც ღუპავს უამრავ ცხოველსა და მცენარეს, მზის მიწზე კი არ არის, არამედ ქართა და წყალთა, რომლებიც იწვევენ ხვატს დედამიწაზე და ზერში, თავისი უღროს შერევით, ყოველთვის, როცა უწესრიგო შეუკავებელი ძალის ხელმწიფება უსამართლოდ იქცევა და აორთქლებას იწვევს.

ნა. წმინდა პიმენტში კურუმები ოხირისხის „მზის გულზე მირქმულს“ უწოდებენ, ხოლო ებიფის თვის მეცამეტე დღეს, როცა მთვარე და მზე ერთ წრეზე იქცევიან, ისინი ჰოროსის თვლების დაბადების დღეს დღესასწაულობენ, რადგან არა მხოლოდ მთვარეს, არამედ მზესაც ჰოროსის თვალად და სინათლედ თვლიან. ფაოფის თვის გაღვივებთან მერვე დღეს, შემოდგომის ბუნიობის შემდეგ, მზის კვერთხის დაბადებას დღესასწაულობენ, რითაც აჩვენებენ, რომ თითქოს მნათობი დასაყრდენსა და დახმარებას საჭიროებს, რადგან სითბოსა და სინათლის ნაკლებობას განიცდის, გადახრილი და ჩვენგან ცერად მიმავალი. გარდა ამისა, ზა-

მთრის მზებუდობისას, ტაძრის ირგვლივ შეიძლება შემოატარებენ ძროხას; შემოვლას „ოხირისხის ძებნა“ ჰქვია, რადგან ღმერთქალს ზამთრის წყალი წყურია. ხოლო ზეზღის იმითმ უვლიან, რომ ზამთრის მზებუდობიდან ზაფხულის მზებუდობამდე შეიძლება და ამბობენ, რომ ისინი ვაფი მოროსი ყველაზე ადრე სწირავს მზეს მსხვერპლს, მაშინ როცა თვის მეოთხე დღე დგება. ასე სწერია „ჰოროსის დაბადების დღის“ წიგნში. ეგვიპტელები ყოველდღე სამნაირად უკმევდნ მზეს: განთიადისას გუმფისით, სმირნით — შუადღისას და ე. წ. კუფით — დაისის ჟამს. რა მიზეზი აქვს თითოეულ მათგანს, მოგვიანებით მოგითხრობთ. ისინი ფიქრობენ, რომ ყოველივე ამის მეშვეობით მზეზე ლოცულობენ და მას მსახურებენ. რა ძალა გვაღვას, გავავრცელოთ მსგავსი აზრი? საქმე იმაშია, რომ არაან აღამიანები, რომლებიც პირდაპირ ამტკიცებენ, ოხირისხი მზეა და ელინები მას სირიუსს¹²⁰ უწოდებენო, მიუხედავად იმისა, რომ ეგვიპტელების მიერ არტიკლის დამატება სახელს ორაზროვანს ხდის. იგივენი ამტკიცებენ, რომ ისინი მთწერია. ამიტომ მისი რქიანი გამოსახულება ნამგალა მთვარის მსგავსია, ხოლო შავი საბურველი დაბნეულებებსა და მწუხრზე მიუთითებს, რომელთა წყვდიადში მზეს მონატრებული მთვარე დაეძებს მას. ამიტომ, მთვარეს სასიყვარულო საქმეებისას მოუბმობენ, ხოლო, ევდოქსოსის თქმით, ისინი სიყვარულის ხელმწიფეა. ამ ამბებს რაღაც სიმართლისეული გადაჰყრავთ, მაგრამ ყურის გდების ღირხიც კი არ არიან ისინი, ვინც ტიფონს მზედ გადააქცევს. ჩვენ კი ჩვენს მოთხრობას მივუბრუნდეთ.

ნა. მაშ ასე, ისინი ბუნების მდებარეული საწყისია და თავის თავში შეიცავს ყოველგვარ შობას, რისთვისაც პლატონი¹²¹ ადიდებს როგორც „ძიძასა“ და „ყოველისმომცველს“, ხოლო უმეტესობა „მრავალსახელებს“ უწოდებს იმის გამო, რომ, გონიერი საწყისის ნებით, იგი ყოველგვარ სახესა და ფორმას ღებულობს, მას დაბადებიდან მოხდგამს პირველისა და ყველაზე ძლიერის სიყვარული, რომელიც სიკეთეს უტოლდება, იგი სწყურია და მიხეცნ მიისწრაფის, ხოლო ბოროტების წილს გაურბის და არ ღებულობს. იგი ორივესთვის ნიადაგი და მასაღაა, მაგრამ საკუთარი ნებით ყოველთვის უკეთესისაკენ იხრება, აძლევს მას თავისი სხეულიდან შემკვიდრებას, ნებას რთავს განაყოფიერებულ იქნას გა-

მონაყოფით, უხარისხ და ბედნიერია, რომ ჩაესახა და შექმნილი იყვნენ. მატერიაში კი შექმნა — არსის ხატია, შექმნილი კი — არსებულის მიზანძვა.

ნ4. ამიტომ მითები არც თუ უსაფუძვლოდ გვიყვებიან, რომ ოსირისის სული მარადიული და უკვდავია, რომ მის სხეულს ტიფონი მრავალჯერ განწილავს და მალავს, და რომ ისინი დაეძრება, პოულობს და კვლავ აღადგენს; რამეთუ არსი, გონებით საწვდომი და სიკეთით სავსე განადგურებასა და ცვალებადობაზე უფრო ძლიერია. მის სახეს აღიბეჭდავს თავის თავზე მგონობიარე და სხეულებრივი საწყისი, მიხვან ღებულს იღებებს, ფარმებს და მხგავსებებს, რომლებიც ვითარცა ბეჭედი ფიჭაზე მარადიულად არ აღიბეჭდებიან. მათ დაეუფლება ჰოროსთან მებრძოლი, მაღალი სფეროდან მოვლენილი უწესრიგო და დამშლელი ძალა; ჰოროსი ხომ ისინმა შეა როგორც გრძნობადი ასლი გონებით საწვდომი სამყაროსი. ამბობენ, ამიტომ დასდო ტიფონმა ბრალი როგორც უკანონოდ შობილს, რომ არ დაემსგავსა სიწმინდესა და შეუმღვრევლობაში მამას. თვითმარგონებას, შეურეველს და უცვლელს, რადგან ბუნება მისი, შერყვნილია განსხეულებით. ჰოროსი სძლევეს და ამარცხებს ჰერმესის, ანუ გონების წყალობით, რომელიც მოწმობს და აჩვენებს, რომ ბუნება ქმნის სამყაროს იმით, რომ გონებით საწვდომის წყალობით იცვლება; ხოლო აპოლონის შობა ისინისა და ოსირისისგან, როცა ისინი ჭერ კიდევ რეას საშოში იყვნენ, იმის სიმბოლოა, რომ, ვიდრე სამყარო ხილულ იქნა და მატერია კი — სრულქმნილი გონების მეშვეობით, ბუნებამ გამოცადა თავისი თავი და ქვეყნიერებას მოავლინა არასრულყოფილი ნაშეირი. ამიტომ ამბობენ, რომ ეს ღმერთი სიბნელეში ხეიბრად დაიბადა და მას უფროს ჰოროსს უწოდებენ. იგი არ იყო სამყარო, ის მხოლოდ მომავალი სამყაროს მონახაზი და ანარეკლი იყო.

ნ5. თვით ჰოროსი დასრულებული და სრულქმნილია, და მან მთლიანად არ მოსპო ტიფონი, არამედ მხოლოდ დაუპარგა მოქმედების უნარი და ძალა. ამიტომ როგორც ამბობენ, კობტოში არსებობს ჰოროსის ქანდაკება, რომელსაც ხელში ტიფონის ფალოსი უჭირავს. ასევე, მითის თანახმად, ჰერმესს ძარღვები ამოუღლეჭია ტიფონისთვის, რათა სიმებად გამოეყენებინა. ასე ახწავლიან, რომ გონებამ სამყაროს

მოწყობისას იგი ააწყო, როგორც ჰარმონიული, ასევე არაჰარმონიული ნაწილებისაგან და კი არ განადგურა, არამედ მხოლოდ დაახახიჩრა დამანგრეველი ძალა ამიტომ, იგი, ჩვენს სამყაროში, მოთენითი და დახუსტებული, ერევა და უერთდება უოველგვარ ბოტქარსა და ცვალებად სტიქიონს და მიწისძვრების ბიძგების, გვალვებსა და მავნე ქარების, აგრეთვე ქექა-ქუხილის შემოქმედად გვივლინება; ეს ძალა აჭირიანებს წყალსა და ქარებს, არბის მთვარემდე და შმაგობს, ხშირად აბნელებს და აქრობს მის სინათლეს; ეგვიპტელები ახე ფიქრობენ და ამბობენ, რომ ამა და ამ მომენტში ტიფონმა თვალში ჰკრა ჰოროსს, ამა და ამ წამს კი წახტარა თვალი და შეჭამა, ხოლო მერე უკან დაუბრუნა მზეს. დარტყმის ქვეშ ისინი გულისხმობენ მთვარის უოველთვიურ მიღევას, ხოლო დაახახიჩრების ქვეშ — დაბნელებას, რომელსაც განკურნავს მზე იმით, რომ მთვარეს სხივებს უგზავნის, როცა ის მზის ჩრდილიდან გამოდის.

ნ6. ამგვარად, უკეთესი და ღვთაებრივი ბუნება სამი საწყისისგან შედგება: გონებით საწვდომისაგან, მატერიალურისაგან და იმისაგან, რაც მათგან წარმოიშობა და რასაც ელინნი კოსმოსს უწოდებენ. გონებით საწვდომს პლატონი²² იღეას, ნიმუშსა და მამას უწოდებს, ხოლო მატერიალურს — დედასა და მარჩენალს, აგრეთვე დაბადების ნიადაგსა და ადგილს; ხოლო იმას, რაც ორივესაგან წარმოიქმნება — ნაშობსა და ნაშეირს; და, ეტყობა, ეგვიპტელები სამყაროს ბუნებას ადარებენ სამკუთხედებს შორის ულამაზესს, ასე რომ პლატონმა იგი თავის „სახელმწიფოში“²³ გამოიყენა ქორწინების სიმბოლურ ხატად. ამ სამკუთხედის კათეტი სამი ნაწილისაგან შედგება, ფუძე-ოთხისაგან, ხოლო ჰიპოტენუზა — ხუთისაგან. ამასთანავე მისი ძალა დანარჩენი ორის ძალის ტოლია²⁴. ამგვარად, კათეტი შეიძლება მამრულ საწყისად ჩაითვალოს, ფუძე—მდედრულად, ხოლო ჰიპოტენუზა ორთავებს ნაშეირად. ასევე, ოსირისი შეიძლება საწყისად ჩაითვალოს, ისინი — ხათვსად, ჰოროსი კი — შედგად. ამასთანავე „სამი“ პირველი კენტი და სრულყოფილი რიცხვია; ოთხი — კვადრატია, რომლის გვერდები ლუწი ორიანებია, „ხუთი“ — მამასაც მგავს და დედასაც — რადგან ორიანისა და ხამიანისაგან შედგება და სამყარომ (პანტა) ხუთისაგან მიიღო სახელი (პენტე), და სიტყვა „თვლის“ ნაცვლად ხმარობენ „ხუთობას“. ხუთის კვადრატი, არის რიცხვი, რომე-

ლიც ეგვიპტური ასოების რაოდენობისა და აბისის ხიდობის ხანგრძლივობის ტოლია. რაც შეეხება შოროსს, მას ჩვეულებრივ კიდევ „მინსაც“ უწოდებენ, რაც ნიშნავს ხილულს, რამეთუ კოსმოსი გრძნობადი და ხილულია. ხოლო ისინი მუთს უწოდებენ, აგრეთვე ათირსა და მეთიერს. პირველი სახელი მათეურად აღნიშნავს „დედას“. მეორე „შოროსის მიწიერ ხათავსს პლატონისეული „მარჩენაღისა“ და „დაბადების ნიდაგის“ მხგავსად. მესამე სახელი „სინავისა“ და „მადლისაგან“ შედეგება; რამეთუ სავსეა სამყაროს მატერია და იგი კეთილთან, წმინდასთან და მოწესრიგებულთანაა დაკავშირებული.

57. შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ შესაძლებელი იქნებოდა აქვს მხედველობაში, როდესაც პირველ-საწყისად მიიჩნევს ქაოსს, მიწას, ტარტაროსსა და სიყვარულს¹²⁵. რაც შეეხება სახელებს ისინი ასე შეგვიძლია შევცვალოთ: მიწა — ისინით, სიყვარული — ოსირისით, ხოლო ტარტაროსი — ტიფონით; ქაოსი კი, როგორც გვგონია, პოეტის მიერ ქვემოთაა მოთავსებული, როგორც სამყაროს ნიდაგი და სივრცე. ეს გარემოება შეტნაკლებად მოგვაგონებს პლატონისეულ მითს, რომელსაც სოკრატე ყვება ეროსის დაბადების შესახებ.¹²⁶ იგი მოგვეთხოვს, რომ შევიღწეოთ მოწყურებული პენია¹²⁷ მიუწვა მძინარე შოროსს და მისგან მიდგომილმა ეროსი შვა, რომელსაც შერეული და არაერთგვაროვანი ხუნება აღმოაჩნდა, რადგან მამამისი იყო კეთილშობილი, ბრძენი და ყველასაგან დამოუკიდებელი, დედა კი — უსუსური, ღარიბი და გაჭირვების გამო სხვებზე დამოკიდებული და სხვისი შემყური. ხოლო შოროსი კი სხვა არავინაა, თუ არა პირველი შეყვარებული, ნანატრი, სრულყოფილი და დამოუკიდებელი პენია კი მან უწოდა მატერიას, რომელსაც თავისთავად არ გაჩნდა მადლი, მაგრამ მით ივსებოდა, მისკენ მიისწრაფოდა, მის წილს იღებდა. მათგან გაჩენილი კოსმოსი, ანუ შოროსი, არც მარადიულია, არც უცვლელი და არც უკვდავი; მაგრამ მუდმივი აღორძინების შედეგად იგი მოძრაობს და მარად უმაწვლელი და გაუნადგურებელი რჩება მოვლენათა პერიოდებისა და ცვალებადობის წყალობით.

58. ამგვარად, მითებში უნდა დავინახო არა მხოლოდ ამბავი, არამედ თითოეულისაგან სახარებლო უნდა ამოარჩიო და ეს არჩევანი მსგავსებით უნდა იყოს ნაკარნახევი. ამიტომ, როდესაც ჩვენ მატერიაზე ვლაპარაკობთ, ნუ

გაგვიტაცებს ზოგიერთი ფილოსოფოსის¹²⁸ მოძღვრება, და ნუ ვეცდებით მასში დავინახოთ რაღაც უსულო სხეული, უხარისხო, ძნელტუღი და თავისთავად გამოუხადებარი. ჩვენ ხომ ზეთს შირონის მატერიას ვუწოდებთ, რქროს — ქანდაკების მატერიას, ისინი კი — ხელოვნება არ არიან მოკლებული თავისობრივ განსაზღვრულობას. და თვით ადამიანის შეგნებასა და სულის როგორც ცოდნისა და სიკეთის ნედლ მასალას გონებას ვუთმობთ, რათა გაწრთვას და მოაწესრიგოს ისინი; ზოგიერთი ამტკიცებს, რომ კეჟა იდუათა და გონებით საწვდომი საწყისის ანაბეჭდისთვის საჭირო მატერიაა, ხოლო სხვები ფიქრობენ, რომ ქაღალის თესლი არ არის არც ენერგია და არც საწყისი, არამედ ნაშიერის მატერია და საკვებია. აი, როგორ უნდა იფიქრონ ღმერთქალზე მათ, ვინც ასეთ წარმოდგენებს მისდევს: იგი მუდმივად ნაზიარებია პირველ ღმერთს, უღუდეგა მასთან იმ მადლისა და სილამაზის სიყვარულის გამო, რომლებიც მას გარს ატყუია. ღმერთქალი მისთვის უცხო არაა, და როგორც ჩვენ ვიტყვი, რომ კანონიერი და წმიდა ქმარი უფლებით ყვარობს, ხოლო წესიერი ქალი, მიუხედავად იმისა, რომ ეს კაცი მისი ქმარია, ვნებიანად სურვილობს მას, ასევე ღმერთქალი მუდამ მიისწრაფის მისკენ, ეხვეწება მას და ივსება მისი უმნიშვნელოვანესი და უწმინდესი ნაწილებით.

59. თვლიან, რომ, როცა ტიფონი შემოიჭრება და სამყაროს უკიდურეს საზღვრებს აღწევს, მაშინ ღმერთქალი საგონებელში ვარდება და როგორც ამბობენ, ტირილს იწყებს, ეძებს და აგროვებს ოსირისის ნარჩენებსა და ნაგლეჭებს, ხოლო დაზიანებულ ნაწილებს შეითვისებს და მაღავს, რომ კვლავ მოავლინოს და გამოუშვას თავისთავიდან საყვარელი ნაშიერი. ამრიგად, ღმერთის აწრები, სახეები და გამოწყაფი, რომლებიც ცაშია და ვარსკვლავებზე — მარად უცვლელია, ხოლო ის, რაც ცვადად ბუნებაშია გაბნეული, მიწაში, ზღვაში, ცხოველსა თუ მცენარეში, რაც დაგლეჯილია, დაღუპული და დამარხული — ხშირად კვლავ გვევლინება და ნაყოფში ბრწყინავს. ამიტომ მითი გვაუწყებს, რომ ნევთისი ტიფონთან კავშირში იმყოფება, მაგრამ ოსირისს საიდუმლოდ მიუდგა მას. დამანგრეველი ძალა ხომ უპირატესად მატერიის განაპირა საზღვრებს ფლობს, რომელთაც ნევთისი ან ხოლო ეწოდება, ხოლო კეთილშობილი და მფარველი ძალა მას მხოლოდ ხუსტ და უღლეურ თესლს უწილადებს, ტიფონი კი ანადგურებს ყველაფერს, გარდა

იხილა, რასაც ისინი კრეფს, ინახავს, კვებავს და ზრდის.

80. მოკლედ რომ ვთქვათ, პლატონისა და არისტოტელეს აზრით, ეს ღმერთი¹²⁹ მეტად კეთილია. ბუნების ნაყოფიერი და დამცველი ნაწილი მისკენ, ყოფიერებისაკენ მიიღრმავის, ხოლო დამღუპველი და დამანგრეველი კი — მისგან და არყოფილკენ. ამიტომ სახელ „ისის“ ისინი აწარმოებენ ცნებისაგან „გონივრულად იმოდრაო“ (იესთაი) და „ისწრაფოდ“, რადგან იგი გასულიერებული და გააზრებული მოძრაობაა. ეს სახელი არაა ბარბაროსული, არამედ, როგორც ღმერთების ზოგადი სახელი (თეოს) ნაწარმოებია სიტყვისაგან „ხილული (თეატოს) და „მოძრავი“ (თეონ).¹³⁰ ჩვენც ეგვიპტელების მსგავსად ამ ქალღმერთს ცოდნისა და მოძრაობის პათივისცემის ნიშნად ისისს ვუწოდებთ, ამიტომ ამბობს პლატონი¹³¹, რომ ძველი ხალხები არსის (უსია) გამოსახატავად მას „ისიას“ უწოდებდნენ. მისივე სიტყვებით ისინი ასევე განმარტავდნენ აზრს (ნოესის) და შეგნებას (ფრონესის)¹³², რაც თითქოსდა გატაცებული და მიპნწრაფი გონების გადაადგილება და მოძრაობაა და ისინი ერთიანობას, მადლსა და სიკეთეს ხედავდნენ მარად შედინში. ზუსტად ასევე, საპირისპირო სიტყვებით კიცხავდნენ ბოროტებას. ყველაფერს, რაც ბოჭავს და აბრკოლებს ბუნებას, ყველაფერს, რაც აკავებს და ხელს უშლის მისწრაფებასა და მოძრაობას, ისინი უწოდებენ მანკიერებას (კაკია), სიმწარეს (ამორია), სიმხდალეს (დეილია), ტანჯვას (ანია)¹³³.

81. ასევე ოსირისის სახელი ორი სიტყვისაგანაა შედგენილი „წმინდა“ (მოსიოს) და „საღმერთო“ (პიეროს)¹³⁴, ვინაიდან იგი საერთო გონივრული საწყისია არსისა როგორც ზესკნელში, ასევე ქვესკნელში. აღსანიშნავია, რომ ძველი ხალხი, პირველს წმინდას ეძახდა ნეორეს კი — საღმერთს. ხოლო ის, რომელიც უმაღლესი სფეროს კანონია და ზეციური მოვლენებს გვიმარტავს, ხან ანუნიხად იწოდება, ხან კი — ჰერმანუბისად. ერთი სახელით იგი ზემოთ მყოფს უკავშირდება, მეორეთი კი ქვემოთ მყოფს. ამიტომ მას მსხვერპლად სწირავენ როგორც თეთრს, ასევე კრელ მამალსაც, თვლიან, რომ ზეციური უმინარევო და ნათელია, ხოლო მიწიერი კი — შერეული და კრელი.

და ხუთ არ არის გასაკვირი, რომ ეს სახელები ბერძნულ უაიდაზე გადაკეთდა, რადგან აურაცხელი სხვა სიტყვა, რომელიც თან გაი-

ყოფს ელადიდან გადასახლებულმა ადამიანებმა, დღემდე შემორჩა და ცოცხლობს, ისევე, როგორც უცხოელი სხვა ხალხთა შორის. და ის, ვინც ამ სიტყვებს ვლუტებს უწოდებს, ტყუილად სწამებს ცილს პიეზიას ბარბაროზში, ზოგიერთი მათგანის მხარეების გამო. კიდევ წერენ, რომ ე. წ. ჰერმანუბის¹³⁵, წმინდა სახელთა შესახებ წერია, რომ მზის ბრუნვასთან დაკავშირებულ ენერგიას ეგვიპტელები ჰოროსს უწოდებენ, ხოლო ელინები — აპოლონს, ქართან დაკავშირებულ ენერგიას კი — ზოგი ოსირისს უწოდებს, ზოგი — სარაპისს, სხვები კი ეგვიპტურად — სოთისს. სოთის კი ნიშნავს ფენმძიმობას (კიეის) ან „ფენმძიმედ ყოფნას“ (კიეინ) ამიტომ, სიტყვებში შეცდომის გამო, ძაღლს (კიონ) უწოდებენ ბერძნულად იმ თანავარსკვლავედს, რომელსაც ისისის წილხვედრად თვლიან. ამგვარად, არ ღირს სახელების გამო კამათი. მაგრამ მე უფრო ადვილად დავუთმობდი ეგვიპტელებს სარაპისის სახელს ვიდრე ოსირისისას, ვინაიდან პირველი მათგანი უცხოურია, მეორე კი — ბერძნული. და მე ვთვლი, რომ ორივე ერთ ღმერთსა და ერთ ენერგიას ეკუთვნის.

82. ყველაფერ ამას ეგვიპტელთა წარმოდგენებიც ეთანხმება, რამეთუ ისინი ხშირად ისხს ათენას სახელით იხსენიებენ, რომელსაც შემდეგი მნიშვნელობა აქვს: „მე თვითონ მოვედი“. რაც თვითნებურ მოძრაობას მიუთითებს. თიფონი კი, როგორც ვთქვით, იხსენიება სახელებით, სეთი, ზეზონი, სმუ; ამ სახელებით ხურთ აღნიშნონ რაღაც მოძალადე და შემბორკავი ზღუდე ან წინააღმდეგობა ან გადატრიალება. უფრო მეტიც, როგორც მანეთოსი წერს, მაგნიტს ჰოროსის ძვლებს ეძახიან, ხოლო რკინას — თიფონის ბრჭყალებს, რადგანაც მას ხშირად თითქოს მაგნიტით იწიდავენ და იტაცებენ, მაგრამ ხშირად საპირისპირო მხარეს გადაგდებული და განდევნილია ხოლმე. ასევე, მხნელი, სიკეთით სავსე და გონივრული მოძრაობა ხამყაროსი, დარწმუნებულ გზით მოაქცევს, მოიწიდავს და შეარბილებს თიფონის ჭიუტ მოძრაობას, და მერე დაახლოებული ხელსაშკრავს და უსაზღვროებაში ძირავს; ევდოქსიას თქმით, ეგვიპტურ მითში ზევსის შესახებ მოთხრობილია, რომ მას ფეხები შეზრდილი ჰქონდა, სიარული არ შეეძლო და შერცხვენილი უდაბნოში ცხოვრობდა. ისინიმა განუცალა სხეულის ეს ნაწილები და მსუბუქი ნაბიჯი უწყალობა. ყველაფერ ამის ქვეშ მითი გულისხმობს, რომ ღმერთის აზრი და გონება, თავის-

თავად უნდა დავიკავოთ და უცნობი, მოძრაობის შედეგად იქნა გაცნადებული.

მს. ასევე ხეივანების იმის სიმბოლოა, რომ ყოველი არსი საჭიროებს შერყევას და არასოდეს წყვეტს წრებრუნვას; პირიქით, ყველაფერი ჩამოხრებული და ჩამქრალი თითქოსდა ინტერვა და იდვიდებს. ყველა, რომ ხეივანების დახმარებით ტიფონს აფრთხილებს და იგერიებს და ამით გვეუბნებიან, რომ თუ წერვა ბუნებას ბოკავს და ახშობს, აღორძინება კვლავ ათავისუფლებს და აღადგენს მას მოძრაობის მეშვეობით. ამასთანავე, ხეივანების ზედა ნაწილი წრის მსგავსია და რკალი კი მოიცავს ოთხ მოძრავ ნაწილს. სამყაროს ის ნაწილიც, რომელიც იხადება და კვდება, რომ მთვარის სფეროთა მოცულობა და ყველაფერი მასში მოძრაობს და იცვლება ოთხი სტიქიის მეშვეობით: ცეცხლით, მიწით, წყლითა და ჰაერით, ხეივანების რკალზე ზევით კაცისაბიან კატას აქანდაკებენ, ხოლო მოძრავი ნაწილის ქვეშ კი — გამოხატავენ ერთ მხარეს — ისინი სახეს, მეორე მხარეს კი — ნევთისისა და მათი პირისახეები დაბადებას და სიკვდილს აღნიშნავენ, რადგანაც ხწორედ ისინი წარმოადგენენ ელემენტების გადაადგილების და მოძრაობის არსს, ხოლო ზედა კატის ქვეშ მთვარე იგულისხმება, მისი სიჭრელის, ღამეული ხეტიალისა და ნაყოფიერების გამო; ამბობენ, რომ ის აჩენს ერთ კნუტს, მეორე — ორს, სამს, ოთხს; და ახე უმატებს თითო-თითოს შვიდამდე. ამასთანავე, ყოველთვის ოცდარგას აჩენს, რაც მთვარის დღეების რაოდენობის ტოლია. თუმცა ეს შეტად ფანტასტიკურია და იმასაც ამბობენ, რომ თითქოს ზედას თვალის გუგა მთვარის დავანებისას ეცხება და უფართოვდება, ხოლო მნათობის დამცრობისას — უწყრისდება და უბრმავდება. ხოლო კატის ანთროპომორფულად გამოხატვა მთვარის მონაცვლეობის გააზრებული და გონიერი საწყისის სიმბოლოთა გამოხატველია.

მმ. მოკლედ, არასწორია წყლის, მზის, მიწის ან ცის ოსირისად ან ისინად გამოცხადება; მეორე მხრივ, არ შეეცდებით, თუ ტიფონს მივაკუთვნებთ არა ცეცხლს, გვალვას ან ზღვას, არამედ საერთოდ ყველაფერს უზომოსა და მოუწესრიგებელს ზედმეტობის ან უკმარისის გამო, ხოლო ყველაფერ მოწესრიგებულს, კეთილსა და ხასარგებლოს პატივს ვცემთ, როგორც ისინი ნახელავსა და ოსირისის ანარეკლისა და აზრის გამოხატვას. ჩვენ

აგრეთვე სიტყვას ჩამოვართმევთ ეგდოქსოსს, როდესაც ის უნდობლობას გამოხატავს და ვერ გაუგია, რატომ არ შეიძლება დემეტრეს სახიყვარულო საქმეები, ხოლო ისინი კი შეეხება და კიდევ, რატომ არ შეუძლია დიონისეს არ გამოიწვიოს ნილოსის დედამისი — ანდა იუოს მკვდართა მეუღლე, რადგან მარტყლა მსგავსობის გზით მე ვასკვნი, რომ ეს ღმერთები ფლობენ მადლის ყოველ წილს და ყოველგვარი სიკეთე და მშვენიერება ბუნებაში მათი წყალობით აღმოცენდა, თანაც ოსირისი დახაბამს აძლევს მათ, ხოლო ისინი კი ღებულობს და ანაწილებს.

მნ. ასევე შევეცაშათებით უამრავ უფიცს, რომელთაც სიამოვნებით ამბობი ასეთი დიდი ღმერთების შეხახებ დაუკავშირონ ან ამინდის სეზონურ ცვალებადობას, ან ხვნას, თესვის დროსა და ნაყოფის გამოდებას. ისინი ამბობენ, რომ ოსირისს მაშინ მარხავენ, როდესაც დათესილი მარცვალი მიწაში იმალება, და იგი აღდგება და კვლავ მოგვევლინება, როცა მცენარე აღმოცენდება იწყება. ამიტომ ყველა, რომ როცა ისინი დაორსულდება იგრძნო, უაფთის თვის მიეჭვსე დღეს ავგაროზი შეიბა და ზამთრის ბუნობის ჟამს ნადრევ ყვავილებსა და ახლადმოხულ სიმწვანეში უდღეური და ზრდანაკლული მარპოკრატე შვა. ამიტომ მას უძღვნიან ახალ კმოსულ ოსპს ხოლო მისი დაბადების დღეს გაზაფხულის დღედამსწორობის შემდეგ იხდიან. ვინც მსგავს ამბებს უტრს უგდებს, სიამოვნებას ღებულობს და სჭერა, რადგან ნაჩქარევად მიიღო ისეთი ახსნა, რომელიც მისთვის მისაწვდომი და ჩვეულებრივია.

მმ. და პირიქით, არაფერი ხაშიში არ არის იმაში, რომ ქერ ერთი, ეგვიპტელები წმინდად იხაზავენ ჩვენთვის საერთო ღმერთებს და არ იჩემებენ მათ, არ ავრცელებენ მათ ხანებებს მხოლოდ ნილოსზე და იმ მიწაზე, რომელსაც ნილოსი რწყავს, არ თვლიან ერთადერთ ღვთაებრივ ქმნილებად ჭაობს ან ლოტოსს და არ ართმევენ დიად ღმერთებს დანარჩენ ხალხებს, რომელთაც არც ნილოსი აქვთ, არც ბუტო და არც მემფისი. ხოლო ისინი და მასთან დაკავშირებულ ღმერთებს ყველა ადამიანი იცნობს და აღიარებს, და თუ ზოგიერთების ეგვიპტური სახელები ცოტა ხნის წინ ისწავლეს, თითოეულის ძალა თავიდანვე იცოდნენ და პატივს სცემდნენ. მეორე და უფრო მნიშვნელოვანი ისაა, რომ ზრუნავენ და შიშობენ, როგორმე შეუმჩნევლად არ გაანადგურონ და არ

გააქრონ ღვთაებრივი საწყისი ქარში, მდინარეში, ოცხლში, ნიადაგის მდგომარეობასა და წლის დროთა ცვალებადობაში, როგორც ამას ზოგიერთი აკეთებს, როცა დიონისეს ღვინოსთან აიგივებს, ჰერფესტოს კი — ცეცხლთან. აგრეთვე კლემანთე¹³⁷ სადღაც ამბობს, რომ პერსეფონე თავთავების მონაბერი ნიაგია, რომელიც იღუპება, ხოლო ვინმე პოეტმა მთხველელებზე ასე დაწერა:

„როცა ძლიერნი ჰკვეთენ დემეტრეს
სხეულს“.

ეს ხალხი არაფრით განსხვავდება მათგან, რომლებიც თვლიან, რომ იალქანი, ღუზა და ბაგირი — შესაჰეა, ძაფი და შაქო — ფეიქარი, ხოლო თასი, თაფლის ნაყენი ან ქერისაგან დამზადებული სახმელი — მკურნალი. ამგვარად თესვენ ისინი საშინელ და უღვთო სწავლებას იმით, რომ ღმერთის სახელებს არქმევენ უგონობა და უსულუო ბუნებასა და საგნებს, რომლებიც აუცილებლად ნადგურდება ადამიანთა მიერ, რადგანაც ადამიანებს სჭირდებათ ისინი და ხმარობენ მათ, მაგრამ შეუძლებელია წარმოვიდგინოთ ასეთი მოვლენები ღმერთებად.

87. რამეთუ ღვთაება არ არის მოკლებული აზრსა და სულს და არ ემორჩილება ადამიანებს. ჩვენ ხომ ღმერთებად ვცანით ისინი, ვინც გვიჩვენებს და სახმარად გვაძლევს ყოველთვის მარადიულსა და მარად გამძლეს, და ჩვენ არ განვარჩევთ სხვადასხვა ხალხთა სხვადასხვა ღმერთებს, არც ბარბაროსულსა და არც ელინურს, არც სამხრეთისას და არც ჩრდილოეთისას და როგორც მზე, მთვარე, ცა, მიწა და ზღვა ხერეთა ყველასთვის და მხოლოდ სხვადასხვა ხალხთა ენებზე სხვადასხვანაირად იწოდება, ასევე ერთ მთლიან, ყოვლისშემოქმედ გონებას, და ერთ მთლიან ყოვლისმბრძანებელ განგებას და ყველაფერში გავრცობილ კეთილმოქმედ ძალებს სხვადასხვა ხალხი თავისი ადამიანების მიხედვით სხვადასხვანაირად მიაგებს პატივს და სხვადასხვა სახელს უწოდებს. უბრალოდ არაა, როცა ღვთაებრივი სიმბოლოებით სარგებლობენ, ერთნი — ბუნდოვანი, მეორენი — კი უფრო ნათელით, და გონებით ჰვრეტას ღვთაებრივისკენ მიმართავენ, რამეთუ ზოგიერთი გზასაცდენილი, ცრურწმენაში ვარდება, ხოლო მეორე კი ცდილობს ცრურწმენის ჯაობს გაექცეს და მოულოდნელად უღმერთობის უფსკრულში ეშვება.

88. ამიტომ, ასეთ შემთხვევაში ფილოსოფიური სწავლებით უნდა იხელმძღვანელო და ღვთისმოსავად იმსჯელო თქმულსა და ქმნილზე და როგორც თეოდოროსი¹³⁸ გვიყვება, რომ მის სიტყვებს თურმე, მარჯვენიო მოწოდებულს, ზოგიერთი მარცხენით იღებდა. ახლვე ნუ შევცდებით ჩვენც და ნუ გავიგებთ უკულმა იმას, რაც მშვენიერად დაადგინეს კანონებმა მსხვერპლშეწირვასა და დღესასწაულებზე. და რომ ყველაფერი გონივრულზე შეიძლება დავიყვანოთ, ეს შეიძლება თვითონ ეგვიპტელებისაგან გავიგოთ.

პირველი თვის მეცხრამეტე დღეს ისინი ჰერმესის პატივსაცემად დღესასწაულს აწყობენ, ჰამენ თაფლსა და ღებვს და აღმოთქვამენ: „ტკბილია ჭეშმარიტება“, ისინი ავგაროვს, რომელიც, მითის თანახმად უელზე შეიბა მან, „სიმართლის ხმას“¹³⁹ უწოდებენ. ასევე პარპოკრატე უნდა ჩაითვალოს არა მახინჯ ღმერთებად და რაღაც ცერცვის ღვთაებად, არამედ ღმერთების შესახებ ადამიანთა აღრეული, არასრულყოფილი და გაუფორმებელი მოძღვრების დამცველად და გამომხატველად. ამიტომ მიუღვეს მას თითო ტურებზე ნიშნად დუმბილისა და სიჩუმისა, ხოლო მესორეს თვეში მას ცერცვს უძღვნიან და ეუბნებიან „ენა-ბედნიერება“, „ენა-ღვთაება“. ყვებიან, რომ ეგვიპტელები გავრცელებულ მცენარეთაგან ღმერთქალს უფრო ხშირად პერსეას სწირავენ, რადგან მისი ნაყოფი გულსა ჰგავს, ფოთოლი კი — ენას; ყველაზე ძვირფასი, რასაც დაბადებიდან ფლობს ადამიანი, არის სიტყვა და არაფერია სიტყვაზე ღვთაებრივი, განსაკუთრებით კი სიტყვაზე ღმერთის შესახებ; და ადამიანის ბედნიერებისათვის არაფერსა აქვს უფრო მეტი მნიშვნელობა, ვიდრე სიტყვას. ამიტომ აქ, სამისნოში მოსულს¹⁴⁰ ვურჩევთ, იაზროვნოს როგორც ღვთისმოსავს შეშენის და წესიერად ილაპარაკოს. მაგრამ სასაცილოდ იქცევა ადამიანთა უმრავლესობა, რომლებიც პროცესიებსა და დღესასწაულებზე მაცნეს ბაგეებით აღიარებენ ტკბილმეტყველებას, ხოლო შემდეგ თავად ღმერთებზე ცუდს ფიქრობენ და ლაპარაკობენ.

89. მაგრამ როგორღა მივუდგეთ პირქუშ, უნაღისო და მგლოვიარე დღესასწაულებსა და მსხვერპლის შეწირვას, თუ არ გვების არც დადგენილი წესის უგულვებელყოფა და არც ღმერთების შესახებ მოძღვრების შერევა და დაბურღვა უაზრო იქვით? ბერძნებიც თითქმის ბევრ რამეს იმის მსგავსს ჩადიან, რასაც ეგვიპტელები ღვთისმსახურებისას. ასე მაგალითად,

ათენში თესმოფორიების დღესასწაულის დროს ქალები მიწაზე დამსხდარი მარხულობენ, ხოლო ბეოტიელები „მგლოვიარეს“¹⁴¹ მეგრებს გადაადგილებენ და ამ დღესასწაულს სამძიმარს უწოდებენ. რადგან ღმერთი კორეს ქვესკნელში ჩახვდა გლოვობს. ეს თვე პლეადეს სეზონში თესვის თვეა, რომელსაც ეგვიპტელები ათირს უწოდებენ, ათენელები — პიანეპსიონს, ხოლო ბეოტიელები — დამეტრიონს. თეოპომპოსი კი წერს, რომ დახვედეთის¹⁴² მცხოვრებლები ზამთარს კრონოსად თვლიან და ასეც უწოდებენ, ზაფხულს — აფროდიტეს, გაზაფხულს კი — პერსეფონეს ეძახიან და ფიქრობენ, რომ ყველაფერი კრონოსისა და აფროდიტისაგან წარმოიშვა. ფრიგიელები კი თვლიან, რომ ზამთრობით ღმერთს სძინავს, ხოლო გაზაფხულობით იღვიძებს და ბაქსური მსახურებით ხან აძინებენ და ხან აღვიძებენ მას; პატლაგონელები კი ამტკიცებენ, რომ ზამთრობით ღმერთი გაკოჭილი და დამწყვდეულია, გაზაფხულობით კი ტანს შეიბერტყავს და თავისუფლდება.

70. სავარაუდოა, რომ წლის გარკვეულ დროს მოხადლის მოღვეა სევდას იწვევს, რადგან თუმცა ძველი ხალხები ნაყოფს მარადიულ ღმერთებად არ თვლიდნენ, მაგრამ ღმერთების დიდ და აუცილებელ საჩუქრად მიაჩნდათ იმით, რომ ველურად და ნადირივით არ ეცხოვრათ. იმ დროს როდესაც ისინი ზედადნენ, რომ ნაყოფი ხეებზე ლეებოდა და იღუპებოდა, გაჭირვებითა და ხარბად ფლავდნენ მარცვალს მიწაში, ხელით უფხვიერებდნენ ნადავს და მერე ზემოდან მიწას აყრიდნენ. ფლავდნენ მარცვალს და არ იცოდნენ, შეძლებდა გაღვივებას ან სიმწიფეს მიაღწევდა თუ არა და აკეთებდნენ ბევრს რაშეს იმათ მსგავსად, ვინც მარხავს და იგლოვს. როგორც ჩვენ ვამბობთ პლატონის წიგნების მყიდველებზე, რომ მათ პლატონი შეიძინეს, ან მენანდრეს ნაწარმოების შემსრულებელზე, რომ ის მენანდრეს თამაშობს, ასევე ისინი არ უცხოობდნენ, ღმერთების სახელები დაერქმიათ მათი საჩუქრებისა და ნამოქმედარისთვის და პატივი მიეცათ და განედიდებიათ ისინი ხარგებლიანობისთვის. შემდგომ, ამას უვიცად და გაგების გარეშე ითვისებდნენ და ღმერთებზე გადაჰქონდათ თესლის გარდაქმნები და არათუ ღმერთის სახელს არქმევდნენ, აუცილებელი საკვების გამოჩენასა და გაქრობასაც ღმერთის დაბადებად ან სიკვდილად თვლიდნენ. ამით ისინი აღივსნენ ხუდელური, ბოროტი და დაბნეული მოძღვრებებით, თუმცა ამ უაზრობის სისულელე თვალში საცემი იყო და ქსენოფანე კოლოფონელი¹⁴³ სამართლიანად მოითხოვს, რომ თუ ეგვიპტელები ნაყოფს ღმერთებად აცხადებენ, არ იგლოვონ ისინი, ხოლო თუ დახტრიან, მაშინ ღმერთებად ნუ თვლიან; განა სახადლო არ არის, რომ ვინც გლოვობს, იმავე დროს ეხვეწება ხელმეორედ მოვიდეს და მისთვის დამწიფდეს, რათა შემდეგ კვლავ დაიღუპოს და ისევ სატირული შეიქნას?

71. მაგრამ საქმე ასე არ არის, ისინი ხომ ტირიან ნაყოფს და შესთხოვენ ღმერთებს, პირველმიწესა და მწყალობლებს, რომ დაღუპულის ნაცვლად მათ კვლავ გააჩინონ და გაზარდონ ახალი მოხადალი; ამიტომ მშვენიერა ფილოსოფოსების გამოხატვაში, რომ, ვინც ნათქვამის სწორად გაგება ვერ ისწავლა, საქმეს კარგად ვერ გააქეთებს. ასე, მაგალითად, ზოგიერთებმა ელინთა შორის ვერ ისწავლეს და ვერ მიაჩვიეს თავი იმას, რომ ბრინჯაოს, ნახატ და ქვის გამოსახულებებზე ილაპარაკონ, როგორც ღმერთების სადიდებლად შექმნილ ქანდაკებებზე და არ დაუძახონ მათ ღმერთები: ისინი ზებდავენ და ამბობენ, რომ ათენას ლახარესმა¹⁴⁴ შემოახია სამოსი, ოქროსთმიანი აპოლონი დიონისიოსმა გაკრიჭა, ხოლო ზევს კაპეტოლიოსი კი „მოკავშირეთა ომის“ დროს დაიწვა და დაიღუპა. ამგვარად ისინი შეუმჩნევლად ნერგავენ და ავრცელებენ სიტყვებიდან გამომდინარე ცუდ წარმოდგენებს. ყველაფერი ეს არანაკლებად გამოსცადეს ეგვიპტელებმაც, იმის გამო, რომ დიდ პატივს მიაგებდნენ ცხოველებს. ამ შემთხვევაში ბერძნები კარგად ფიქრობენ და ხწორადაც ამბობენ, რომ მტრედი აფროდიტეს რჩეულია, გველი — ათენასი, ყვავი — აპოლონისა, ხოლო ძაღლი — არტემიდესი; როგორც ევრიპიდემ თქვა,

„შენ, ძაღლო, გახდები კერპი სხივოსან ჰეკატესი“.¹⁴⁵

ეგვიპტელების უმრავლესობა არა თუ უფლის და, ღმერთების დარად, ცხოველების გულის მოგებას ცდილობს, არა თუ გაავხეს თავიანთი საღმრთო წესები სასაცილო და გასართობი ამბებით — ეს ჭერ კიდევ სისულელით გამოწვეული უმცირესი ბოროტებაა; ყოველივე ამისაგან ჩნდება ხაშინელი მოძღვრება, რომელიც სუსტებსა და გუდუბრიყვილოთ ცრურწმენას უწერგავს, ხოლო უფრო გონებაშახვილებსა და თამაშებს ველურად და ღმერთის უარმყოფ-

ლად აქცევს. ამიტომ ურიგო არ იქნება, ამის თაობაზე ჯგვიანური სიტყვა ითქვას.

72. იმის წარმოდგენა, რომ ტიფონის შიშით ღმერთები ცხოველებში ჩასახლდნენ და იბისის, ძაღლის ან შევარდენის სხეულებში დაიმაღლნენ; ყოველგვარ სხეულებსა და ზღაპარს აჭარბებს. ასევე არასწორია ის, რომ პალინგენესია (ნელახლად შობა) გადაცვლილთა სულების მხოლოდ ამ არსებებში გადასახლებით ხდება. იმათ შორის, ვისაც სურს ეს ყოველივე სახელმწიფო საქმიანება დაუკავშიროს, ერთნი ყველანი, რომ ოსირისმა თავისი დიდი ღაშქრობის დროს ქარი მრავალ ნაწილად დაყო, რომლებიც ბერძნულად რაზმებად და კოლონებად იწოდება, და ყველას თავის ნიშნად ცხოველის გამოსახულება მიაკუთვნა, ყოველი მათგანი იმ გვარის საღმრთო სათაყვანებელი გახდა, რომელსაც ის მიაკუთვნებს; მეორენი ამბობენ, რომ გვიანი ხანის მეფეები მტრის დასაშინებლად ბრძოლის ველზე ვერცხლისა და ოქროსაგან დამზადებული ცხოველების ნიღბებით გამოდიოდნენ. მესამენი კი წერენ, რომ ერთმა მრისხანე და ეშმაკმა მეფემ შეატყო, რომ ეგვიპტელები ბუნებით დაუფიქრებელი არიან და მიდრეკილება აქვთ ცვალებადობისა და სიახლისაკენ და როცა იბინი ერთსულვნად მოქმედებენ, მათი დამარცხება შეუძლებელია სიმრავლის გამო, ამიტომ მოუვლინა ცრუმორწმუნეობა და მათში დათესა, როგორც მუდმივი უთანხმოების საფუძველი იმით, რომ სხვადასხვა ტომს სხვადასხვა ცხოველის თაყვანისცემა უბრძანა. ხოლო ცხოველები ერთმანეთისადმი მტრულად იყვნენ განწყობილი და ერთმანეთის შეჭმას ცდილობდნენ. ადამიანები კი მუდმივად იცავდნენ თავთავიანთ ცხოველებს, ვერ ითმენდნენ, თუ მათ ვინმე აწყენინებდა და ნელ-ნელა, ცხოველთა მტრობაში ჩარეულები, ერთმანეთს გადაეკიდნენ. დღემდე ეგვიპტელთაგან მხოლოდ ლიკოპოლები ჰქმნენ ცხვარს მგლის მიბადვით, რომელსაც ისინი ღმერთად თვლიან. ოქსირინოს მცხოვრებლები კი დღემდე იჭერენ ძაღლს, კლავენ და ჰამენ, როგორც სამსხვერპლო ცხოველს იმის გამო, რომ კინოპოლები¹⁴⁶ თართს მიირთმევდნენ. ყოველივე ამის გამო მათ ომი გააჩაღეს და დიდი ზიანი მიუყენეს ერთმანეთს. შემდგომ რომაელებმა დაიმორჩილეს ისინი და შეარიგეს.

73. ბევრი ამტკიცებს, რომ ტიფონის სული ამ ცხოველებში გადანაწილდა. შესაძ-

ლთა მითი სიმბოლურად გვიჩვენებს, რომ ბუნებაში ყოველგვარი უგონო და ველური ამ ცუდი დემონის ნაწილია და მისი გულის მოსაგებად და დასაწყნარებლად ამ ცხოველებზე წრუნავენ და უფლიან ქართულად ბანგრძლივი და მძიმე გვალვა დადგება. ქრისტიანული ყველა სიკეთესთან ერთად ჭირსა და სხვა მოულოდნელ და საშინელ უბედურებას იწვევს, მაშინ ქურუმებს წყვდობაში, ჩუმად და მღუმარედ გარეთ გამოჰყავთ ზოგიერთი სათაყვანებელი ცხოველი. ჭერ ემუქრებიან და აშინებენ და თუ უბედურება გაგრძელდა, კლავენ და მსხვერპლად სწირავენ; თითქოს ეს დემონის დასჯა იყოს ან სხვანაირად, დიდი გამოსასყიდი მსხვერპლი დიდი უბედურების უამს. ხოლო ქალაქ ეთიოპიაში, როგორც მანეთოსი წერს, ცოცხლად წვავდნენ ადამიანებს, რომელთაც ტიფონისეულებს უწოდებენ, მათ ფიქვლს ქარს ატანდნენ და ანადგურებდნენ. და ამას დაუფარავად და გარკვეულ დროს — ძაღლის დღეს — აკეთებდნენ. სათაყვანებელი ცხოველების შეწირვა კი საიდუმლოდ ხდება, დაუდგენელ საათს, შემთხვევისა და მიხედვით და ბრბოსაგან დაფარულად. მხოლოდ დამარცხის ცერემონიალია ხალხის დასანახად, როცა ზოგიერთი ცხოველის ტეშს გამოდგამენ და ერთად მარხავენ ყველას თანდასწრებით. თვლიან თავის მხრივ, რომ ამით ზიანს აყენებენ მას, რაც ტიფონს უყვარს. ვინაიდან, როგორც ჩანს, ოსირისს მხოლოდ აძისი და რამდენიმე ცხოველი ეძღვნება, ტიფონს კი ცხოველთა უმეტესი ნაწილი. თუ ასეთი აზრსა სწორია, მაშინ ვფიქრობ, ის მიუთითებს, რომ ძიების საგანი¹⁴⁵ იმ ცხოველთა შორისაა, რომლებიც ყველას მიერ აღიარებულია და საყოველთაოდ ცნობილი პატივი მიეგებათ. ასეთებია: იბისი, შევარდენი, კინოკეფალუსი¹⁴⁷, თვითონ აძისი და მენდები — ასე უწოდებენ ქალაქ მენდესში თხას.

74. რჩება კიდევ მათი სარგებლიანობა და სიმბოლიზმი. ზოგიერთი ცხოველის თაყვანისცემას პირველი უდრევს საფუძვლად, ზოგიერთისას — მეორე. უმეტესობას კი ერთიც და მეორეც ცხადია, რომ ხარს, ცხვარს და იქნეუშონს თაყვანს სცემდნენ მათი საჭიროებისა და გამოსადეგობის გამო. ასე, მაგალითად, ლემნოსელები თაყვანს სცემენ ტოროლას, რომელიც პოულობს და ამტვრევს მკაღის კვერცხებს. ხოლო თესალიელები თაყვანს სცემენ ყანჩას, რადგან, როცა მიწა უამრავ გველს შობს, ყანჩები მიდიან და მთლიანად ანადგურებენ მათ. ამიტომ მიიღეს კანონი, რომ უო-

ველი უანის მკვლეელი ექსორია ქმნილ იყო. თაყვანს სცემენ აგრეთვე ასპიტს, სინდოფალას და ხარაბუზას, რადგანაც მათში ხედავდნენ ღვთაებრივი ძლიერების მინამცვანს, როგორც წვეთში მზის ანარეკლს. ბევრი დღემდე ფიქრობს და ყვება, რომ სინდოფალა ურბიდან ნაყოფიერდება და პირიდან შობს, და რომ ეს სიტყვის დაბადებას მგავს; კიდევ ამბობენ, რომ დედალი ხარაბუზა არ არსებობს, რომ ყველა მამრი ბურთულად შეკრულ ნივთიერებაში უშვებს თესლს და მერე აგორებს მას უკან, ისევე როგორც მზე უკუღმა მიმართულებით აბრუნებს ცას დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ.

ასპიტს კი ვარსკვლავს ადარებენ, რადგან იგი არ ბერდება და კიდურების დაუხმარებლად მსუბუქად და მოქნილად მოძრაობს.

75. ასევე ნიანგიც სარგებლობს პატივით, რომელიც მოკლებული არ არის საბუთიან საფუძველს — მას ხომ ღმერთის მსგავსად თვლიან იმიტომ, რომ ცხოველთა შორის მხოლოდ მას არა აქვს ენა; ხოლო ღვთაებრივი სიტყვა ბგერას არ საჭიროებს.

„და უხმაურო გზის მოგზაური მოკვდავთა საქმეს სამართლით მართავს“.¹⁴⁸

და ამბობენ, რომ წყლის ხინაღართაგან მხოლოდ მის თვალებს ფარავს შუბლიდან ჩამოშვებული ნაზი და გამჭვირვალე აბკი. და ნიანგი ხედავს მაშინაც, როცა თვითონ უხილავია, ეს კი პირველი ღმერთის თვისებაა. და სადაც დედალი ნიანგი კვერცხს დადებს, იქ ისაზღვრება ნილოსის დიდროსი, რამეთუ მათ წყალში კვერცხის დადება არ შეუძლიათ, წყლიდან შორს — ეშინიათ, მაგრამ ისე ზუსტად გრძნობენ მომავალს, რომ კვერცხის დადებისას და მისი გათბობისას ისინი იყენებენ მდინარის წყლის აწევას და იმავე დროს მათ მშრალად იწახვევენ. ისინი დებენ სამოც კვერცხს, ამდენივე დღეს კრუბობენ და ამდენივე წელიწადს ცოცხლობენ ყველაზე უამრავი ნიანგები, ხოლო ეს რიცხვი პირველია მათთვის, ვინც ციურ მნათობებს სწავლობს.¹⁴⁹

ახლა რაც შეეხება იმ ცხოველებს, რომელთაც თაყვანს სცემენ ორივე მოსაზრების გამო; ძალღის შეხახებ ზემოთ უკვე ვილაპარაკეთ, იბისმა კი, რომელიც ბოცავს სიკვდილის მატარებელ ქვეწარმავლებს, პირველმა ასწავლა კაცს სამკურნალო განწყობა, რადგან ადამიანი ხედავდა, როგორ ირეცხავდა და იწმენდა

ფრინველი კუჭს და ყველაზე მეტად ქურუმები განსაწმენდელ წყალს იქ იღებენ, საიდანაც იბისი სვამს, რადგან თუ წყალი მკვნივლია ან მოჯადოებული, იბისი მას არათუ სვამს, ახლოსაც არ ეკარება; მანძილი ფრინველ შორის და ფრინველსა და ნისკარტს შორის ტოლგვერდა სამკუთხედს ქმნის, ხოლო მისი წვეთი და თეთრი ბუმბულის შერევა ნამგალი მთვარეს მგავს. ხუთ არ არის გასაკვირი, რომ ეგვიპტელები ასეთი სუსტი მსგავსების ერთგულნი არიან. ბერძნებიც ხომ იყენებენ ბევრ მსგავს სიმბოლოს ღმერთების ნაძერწი თუ ნახატი გამოსახულებისთვის. მაგალითად, კრეტაზე ზევსის უყურო ქანდაკება იდგა, რადგან არა ხამს უოველის ხელმწიფესა და მბრძანებელს რაიმეს მოსმენა. ათენას ქანდაკების გვერდზე ფიდიასმა გველი მოათავსა, ხოლო ელისში, აფროდიტეს ქანდაკების გვერდზე — კუ იმიტომ, რომ ქალწულს დამცველი სჭირდება, ხოლო ქმრიან ქალს შინ ჯდომა და სიტყვაძვირობა შეშფერის. პოსეიდონის სამკაპი კი სიმბოლოა მიწის მესამედისა, რომელიც წყალს უკავია ციხა და ზღერის მერე; აქედან წარმოიშვა ამფიტრიტესა და ტრიტონების სახელი. ასევე ამკობენ პათაგორელები ღმერთების სახელებით რიცხვებსა და ფიგურებს (გეომეტრიულს). ტოლგვერდა სამკუთხედს კი ისინი ათენას უწოდებენ, თავიდან დაბადებულს და სამგზის ნაშობს,¹⁵⁰ რადგანაც სამკუთხედს ყოფს სამი კუთხიდან გავლებული ხაზი მართობი. ერთიანს აპოლონს უწოდებენ იმის გამო, რომ იგი უარყოფს სიმრავლეს და კიდევ ერთის სიმარტივის გამო; ორიანს — განხეთქილებასა და თავხედობას, ხოლო სამიანს — სამართლიანობას, რადგან უსამართლობის ჩადენა და ატანა უკმარისობიდან და ზედმეტობიდან მომდინარეობს, იმიტომ სამართლიანობა კეთილი წონასწორობის გამო შუაში თავსდება, ხოლო ე. წ. „ოთხობა“, რიცხვი ოცდათექვსმეტი, როგორც საზოგადოდაც ცნობილია, უდიდესი ფიცი იყო და კოსმოსად იწოდებოდა, რადგანაც იგი პირველი ოთხი კენტის და პირველი ოთხი ლუწი რიცხვის ჯამია.

76. მაშ ასე, თუკი ყველა ცნობილი ფილოსოფოსი ღვთაების ანარეკლს უხულო და უსხეულო ელემენტებში აკვირდებოდა და ფიქრობდა, რომ არაფრის უგულვებელყოფა არ შეიძლება, არაფრის უუურადღებოდ დატოვება არა ღირს, მაშინ მე ვთვლი, რომ ისინი, რომელთაც აქვთ შეგრძნების ნიჭი, გააჩნიათ სული, გრძნობა და ნასიათი, მით უმეტეს სიყვარულის ღირსნი არიან; და თაყვანს სცემენ არა

მათ, არამედ მათი საშუალებით — ღვთაებას, რადგან ისინი არიან მისი უნათლესი და ბუნებრივი სარკე და მათში უნდა ვცნათ ყოვლისმომწყობი ღმერთის შემოქმედება და ქმნილება. და საერთოდ არ ღირს უსულო სულიერზე მეტად დაფასება და უგრძნობისა — გრძნობების მქონეზე. არ ღირს, თუნდაც ვინმემ ერთად შეაერთოს მთელი ოქრო და მთელი სპარაგდა, ფერში, ფორმასა და სიგლუფეში როდი სუფევს ღვთაება, რადგან იმისი ზვედრი, რაც თავისი ბუნებით სიცოცხლეს არ მიეკუთვნება და არც შეიძლება მასთან რაიმე კავშირი ჰქონდეს, ბევრად უფრო უსახელოა, ვიდრე ზვედრი გარდაცვლილებისა. ხოლო ბუნებაში, რომელიც ცოცხლობს, ხედავს და თავის თავში ატარებს მოძრაობის წყაროს, საკუთარსა და სხვის ცოდნას, შეითვისა გამონაკადი და წილი სილამაზისა მოაზროვნისაგან — „ვინც ყველაფერს მართავს,“ — როგორც უკვე ჰერაკლიტემ, ამიტომ არაფრით უარესი არაა, ღვთაება ამ ცოცხალ არსებებს მივამხგავსოთ, ვიდრე ბრინჯაოსა და ქვის ნაკეთობებს, რომლებიც ცვდებიან და იცვლებიან და ბუნებისაგან ყოველგვარ გრძნობასა და გონებას არიან მოკლებულნი. აი რას ვიზიარებ ყველაზე უფრო იმისაგან, რასაც სათაყვანებელ ცხოველებზე ამბობენ.

77. ტანსაცმელს რაც შეეხება, ისინი — ფერად ჭრელია, რადგან მისი ენერგია მატერიალურად შეიძლება, და ამიტომ ყველაფერად გარდაიქმნება და თავის თავში ყველაფერს მოიცავს: ნათელსა და ბნელს, ცეცხლსა და წყალს, სიცოცხლესა და სიკვდილს, დასაწყისსა და დასასრულს, ხოლო ოხირისის სამოსს არც ჩრდილი აქვს და არც ჭრელი მოხატულობა და წარმოადგენს ერთს, სუფთას, სინათლის მსგავსს, რამეთუ საწყისი შეუმღვრეველია და პირველადი და გონებით საწვდომი არაფერთანაა შერეული; ამიტომ ასეთ კაბას ქურუმები მხოლოდ ერთხელ იცვამენ, შემდეგ იხდიან და ინახავენ უნილავად და ხელუხლებლად. ხოლო ისინი საფარველს ისინი ხშირად ხმარობენ, რადგან გამოყენებისას, გრძნობადი და მისაწვდომი უამრავ საშუალებას გვაძლევს მის გამოსაცნობად და სახილველად, თანაც ყოველ ჯერზე ის სხვადასხვა სახით წარმოგვიდგება. პირიქით, სუფთა და უბრალო გონებით საწვდომის ცოდნა ელვასავით გასხივოსნდება ხულში და მხოლოდ ერთხელ გეძლევა მისი შეხებისა და ხილვის საშუალება. ამიტომ პლატონი¹⁵¹ და

არისტოტელე ყველაფერ ამას ფილოსოფიის მისტიკურ ნაწილს უწოდებენ, რადგან ადამიანები გონების დახმარებით რაღაცასა და მრავალმხრივის დაძლევის გზით ამაღლდებიან ამ პირველადთან, უბრალოსა და არამატერიალურ საწყისთან და მასში დაუნებებელ წმინდა კრწმარიტებას ზიარებულენა თვლიან, რაც ბოლოს და ბოლოს მთელ სიბრძნეს ფლობენ.

78. აი, რაზე მიგვითითებენ სიფრთხილით ახლანდელი ქურუმები, როდესაც კრწმარიტებას ემსახურებიან და თან მალავენ მას; ეს ღმერთი¹⁵² მართავს და მკვდრებზე ხელმწიფობს, და ეს არის ის, ვისაც ელინნი პლუტონს ან ჰადესს უწოდებენ. და რადგან ეს კრწმარიტება გაუგებარია, ამიტომ ბევრი ორჭოფობს, ეჭვობს, რომ სინამდვილეში წმინდა ოხირისი მიწაშიც სუფევს და მიწის ქვეშეთშიც, სადაც იმათი სხეულები იმალება, ვინც, როგროც თვლიან, თავის აღსასრული მპოვა.

პირიქით, ეს ღმერთი ძალიან შორხაა მიწისგან და სუფევს წმინდა, ხელუხლებელი, შეუბღალავი ყოველი არსისაგან, რომელიც ხრწნად და მოკვდავია და ადამიანთა სულები კი, რომლებიც ამქვეყნად სხეულებად და ვნებებად იქცევიან ღმერთის თანაზიარნი ხდებიან, ოდონდაც ბუნდოვანი, სიჭმარეული სახისა, რომელსაც მხოლოდ ცოდნისა და ფილოსოფიის დახმარებით შეიძლება შევხვ. ხოლო როცა სულები თავისუფლდებიან და გადადიან დაუნახავ, უნილავ, შეუმღვრეველ და უბიწო სასუფეველში, მაშინ ეს ღმერთი მათი მბრძანებელი და მეფე ხდება, მისით ისინი თითქმის მიჯაჭვული არიან ადამიანთათვის ენით უთქმელ და კალმით აუწერელ სილამაზეს. ჭვრეტენ მას და დაუოკებლად ისწრაფვიან მისკენ და როგორც ძველი გადმოცემა ამბობს, ისინი შეიყვარა სილამაზე, მუდამ ილტვის მისკენ და როდესაც მასთან არის, ავსებს ჩვენს სამყაროს მშვენიერითა და მაღლით, რასაც კი კავშირი აქვს დაბადებასთან. ასეთია ყოველივე ამის ახსნა, რაც ყველაზე მეტად შეესაბამება ღვთებრივ ბუნებას.

79. და თუ კიდევ უნდა მოვყვებ, როგორც დაგპირდით, ყოველდღიურ კმევათა შესახებ, ვინმემ შეიძლება ჯერ იფიქროს, რომ ადამიანები ყოველთვის ზრუნავენ იმ ადამიანებსზე, რომლებიც ჯანმრთელობასთანაა დაკავშირებული; რელიგიური წეს-ჩვევები — განწმენდა და ცხოვრების მკაცრი წესი — ჯანმრთელობასაც უზღუდა და ღვთისმოხაობისთვისაც საჭიროა,

რამეთუ ეგვიპტელები თვლიან, რომ ავადმყოფი ზადიანი სხეულის ან სულის პატრონი და სუფთა, მთლიანად უზადო და უმწიკველი ერთმანეთის გვერდიგვერდ არ უნდა მსახურობდეს. მართლაც, ზაერი, რომელსაც ჩვენ ყველაზე მეტად ვეზებით და ვხმარობთ, ყოველთვის ერთი შედგენილობისა და ერთ მდგომარეობაში მყოფი არაა, მაგრამ ის დამლაშობით ამკვრივებს და წინეხვს სხეულს და მასთან ერთად საწრუნავსა და მოწყენილობაში შთანთქავს სულს, თითქოსდა დამძიმებულსა და დანახლულს. ამიტომ გაღვიძებისთანავე ისინი წვავენ გუშფის და მისი დაშლით ზაერს აქანსადებენ და წმენდენ. და კვლავ აღანთებენ სხეულის მინავლულ ბუნებრივ სულს; რადგან გუშფის სურნელს ახლავს რაღაც ძლიერი და ამაღწენებელი და როცა ისინი ხედავენ, რომ შუადღის მზე ძალით იტაცებს მიწიდან უხვ და მძიმე ანაორთქლებს და ზაერში ურევს, მაშინ წვავენ სმირნას, რადგანაც სიბზო გადენის და გააზნევს ატმოსფეროში შედგენილ ნალექსა და მტვერს.

ეტყობა იგივე მოსაზრებით ხელმძღვანელობენ ექიმები, როდესაც ეპიდემიების დროს დიდი ციცხლის დანთებით სურთ ზაერის განწმენდა და დახმარების აღმოჩენა. ყველაზე კარგად იწმინდება ზაერი, როცა წვავენ სურნელოვან ხეებს, მაგალითად კვიპაროსს, ღვინას და ნაძვს.

ყვებიან, რომ ათენში, დიდი ეპიდემიის უამს სახელი გაითქვა ექიმმა აკრონმა, რომელიც ავადმყოფების ახლოს ციცხლს აჩაღებინებდა. მან ბევრ ადამიანს უშველა. არისტოტელე ამტკიცებს, რომ სურნელოვანი მცენარეების, ყვავილებისა და მდელოების კეთილსურნელოვანი ხუნთქვა სიამოვნებასთან ერთად არანაკლებ სასარგებლოა ჯანმრთელობისთვისაც, რადგან თავისი სიბზოთი და სინაზით ის მუდმივად არბილებს ბუნებით ცივსა და უსულგულო ჭვინს. და ეგვიპტელები სმირნას „ბალ“-ს უწოდებენ. ეს კი თარგმანებით უპირველეს ყოვლისა „სიჭარბის განდევნას“ ნიშნავს, ეს შესაძლოა რაღაცნაირად ადასტურებდეს ჩვენს მოსაზრებას მისი მოხმარების მიზეზის თაობაზე.

მე. ხოლო კუფის ნაერთში თექვსმეტი სხვადასხვა რამ შედის: თაფლი, ღვინო, ქიშმიში, კიბეროსი, მის ფისი, სმირნა, ეკლიანი კურდღლისცოცხა, სესელისი, ზღვის ხახვი, მთის ფისი, ლელქაში, მუაუნა, გარდა ამისა ორივე ხახვის კენკრის ნაყოფი (რომელთაგან ერთს დიდს უწოდებენ, მეორეს მცირეს), ილი და ღერწაში, ამათ თვითნებურად კი არ ურევენ,

არამედ როცა ნელსაცხებლების დამაშადებელი ყველაფერი ამას აწვევენ. მათ ხალხთათვის ნაწერებს უკითხავენ ყველაზე ნაკლებ საკარადოა, რომ თვითონ რიცხვი განსაზღვრავს მის წარმატებას, თუმცა ეს სხვადასხვა შედეგისაა და ერთადერთი კვადრატის, რომლის ფართობიც პერიმეტრს უდრის. მაგრამ საკმისაა, რომ შემადგენლობის კომპონენტთა უმეტესობა არმატულ ენერგიას შეიცავს და საამო და სასარგებლო ქროლვასა და ანაორთქლებს უშვებს, რომლისაგანც ზაერი გარდაიქმნება, ხოლო სურნელებათა შორის ნელა და მსუბუქად მოძრავი სხეული ითვისებს შემადგენლობას, რომელიც საძილედ გიწვევს: დღიური ბრუნვის ყოველგვარ ნაღველსა და დაძაბულობას სურნელება ღვინის დაუხმარებლად როგორც კვანძებს ისე ხსნის და ახსუტებს. ის საკვებადით აპრილებს ძილისა და ფანჯარების ამთვისებელ ორგანოს და აფხიზლებს მას არანაკლებ, ვიდრე ლირას ხმები, რომელსაც ძილის წინ უკრავენ ბითაგორელები, რათა მისი ხმიანობით მოაჯადოონ და დააწყნარონ სულის ვნებიანი და უგუნური საწყისი; სურნელოვანი მცენარეები ხშირად აბრუნებენ დაკარგულ მგრობობიარობას, ზოგჯერ — პირიქით, აჩლუნგებენ და ახსუტებენ მას, როცა მათი ანაორთქლი ნაზად იღვრება სხეულში. ამიტომ ზოგიერთი ექიმის აზრით, ძილი მაშინ გვეკიდება, როცა საკვების ორთქლი ნელა მოძრაობს და ეხება შიგნეულობას და რაღაც დიტილის მსგავსს იწვევს. კუფს სახმელადაც ხმარობენ და მაღაშოდაც: ფიქრობენ, რომ, როცა მას სვამენ, იგი კუჭს წმენდს. გარდა ამისა, ფისი მზისაგან წარმოიშობა, ხოლო სმირნა — მცენარეებისაგან, რომლებიც მზის სინათლეზე ფისს გამოყოფენ.

კუფში შედის ბალახები, რომლებსაც ლამე უფრო უყვართ, იმათ მსგავსად, რომლებიც თავის ბუნებით ცივი ქარებისაგან, ჩრდილისაგან, ცვარისაგან და ტენისაგან ივსებენ ძალებს და მაშინ, როცა დღის სინათლე ერთიანია და მართი და, როგორც პინდარემ თქვა, „უდაბურ ეთერში“ მოჩანს, ლამის ზაერი სინათლის მრავალ სახეთა და ენერგიათა ნაზავია, თითქოს ყველა ვარსკვლავიდან ერთ ადგილას დაცვივდა თხელი. მაშ ასე, სავსებით სამართლიანად აკმევინ დღისით, მარტივსა და მზისაგან მომდინარეს, ხოლო სხვებს, როგორც ნარევსა და თვისობრივად არაერთგვაროვანს — დაღამების უამს¹⁵².

ბიბლიოგრაფია

1. დელფოს სამისნოს ქუროში ქალი. მასვე ეძღვნება პლუტარქეს ტრაქტატი „ქალთა სიქველის შესახებ“.
2. ჰომეროსი, ილიადა, XIII, 354.
3. ისიის ეგვიპტური სახელია, პლუტარქე კი ამ სიტყვას აწარმოებს ზმნიდან „ოიდა“ (ვიცი); ტიფონი — ტარტაროსისა და გეას ნაშიერი, ზევსთან მებრძოლი საშიშერი ღრჩხული. ელინისტურ ხანაში ის ეგვიპტურ სეთთან იქნა გაიგივებული და პლუტარქე სეთს ტიფონს უწოდებს. ეს სახელი, მისი აზრით, მოდის სიტყვიდან „ტიფო“ — ვაბოლებ, ვწვავ, ვგოჟობ, ვთავსებდობ.
4. წმინდა სიტყვის „ლოგოსის“ ქვეშ, როგორც ჩანს, ოსირისი იგულისხმება.
5. ამ სიტყვაში ეძებს „ოიდა“ (ვიცი) და „ონ“ (არსებული) სიტყვათა ძირს.
6. ეგვიპტური ტრადიციით ისიის გების (ბერძნული პარალელი კრონოსი) ან ტოტის (პერსი) შვილია.
7. წმინდა ჭურჭლისა და სამოსის შემნახველნი.
8. ფედონი. 67 ხ.
9. პესიოდე, სამუშაონი და დღენი, 742-743.
10. არისტაგორა მილეტელი, ძვ. წ. ა. IV საუკუნის ისტორიკოსი, აქვს ნაშრომი ნილოსზე.
11. აპისი — ხარისსახოვანი ნაყოფიერების ღმერთი ეგვიპტურ მითოლოგიაში. მისი კულტის ცენტრი მეშფისი იყო. აპისი თეთრლაქებიანი შავი ხარი იყო, უკავშირდებოდა გარდაცვლილთა კულტს და ბევრი რამ საერთო ჰქონდა ოსირისთან. პტოლემეაოსთან ხანაში მოხდა ოსირისისა და აპისის შერწყმა ერთ ღვთაებად — სარაპისად, რომელსაც თაყვანს სცემდნენ როგორც ეგვიპტეში, ასევე ბერძნულ-რომაულ სამყაროში.
12. ჰეკატაიოს აბდერელი — ისტორიკოსი და ფილოსოფოსი, ალექსანდრე მაკედონელის დაშქრობის მონაწილე.
13. XXVI დინასტიის პირველი ფარაონი (ძვ. წ. ა. 664-610 წწ.)
14. ევდოქსოს კნიდელი (დაახ. ძვ. წ. ა. 408-355 წწ.), მათემატიკოსი, ასტრონომი, გეოგრაფი.
15. თართი.
16. ჰომეროსი, ოდისეა, IV, 369, XII, 332.
17. ტრადიციით ეგვიპტის პირველი მეფეა. მისი მეფობის ხანა დაახლოებით ძვ. წ. ა. 3500-3400 წლებს შორის ივარაუდება.
18. დიდი ბრძოლის შემდეგ ქვემო ეგვიპტის მეფე გახდა.
19. ბოქტორისი — 24-ე დინასტიის ეგვიპტის მეფე დაახლოებით 718-712 წწ. ბერძნული წყაროების თანახმად ქვეიანი და სამართლიანი მმართველი იყო.
- 19-ა. პითაგორელები იგულისხმება.
- 19-ბ. ხარაბუზა — ხოჭო რომელსაც ეგვიპტელები ეთაყვანებოდნენ.
20. პერმესს აიგივებდნენ ძაღლისთავა მაიმუნ ტოტთან, სიბრძნის გამო, და ტურა ანუბისთან, იმქვეყნიურ სამყაროსთან კავშირის გამო.
21. სახელმწიფო, 375e.
22. ოზოსის სახელით შემკული იყო დარიოს II (ძვ. წ. ა. 423-404 წწ.) და არტაქსერქსე (359-338). აპისის დაკვლას აბრალებდნენ კამბისს და არტაქსერქსეს.
23. რეა და კრონოსი ნუტს და გებს შეესაბამება, ჰელიოსი — რა-ატუმს (მზე), ეგვიპტური გადმოცემებით ნუტის მეუღლე გებია, მაგრამ არსებობს გამოსახულებები, სადაც მზის დისკო ნუტის სხეულში შედის. ტოტი (ბერძნული პერმესის შესაბამისი ღვთაება) კამათლის გამომგონებლად და მთვარის ღმერთად ითვლებოდა.
24. სახელ პამილას წარმომავლობა უცნობია.
25. ეგვიპტურ წყაროებში არ განასხვავებენ უფროს და უმცროს პოროსს.
26. აპოლონისა და პოროსის გაიგივება მოხდა მათი მზის კულტთან კავშირის გამო.
27. ეგვიპტურ წყაროებში არაფერია ნათქვამი ისიის მეფობის შესახებ.
28. ეგვიპტურ წყაროებში ხშირად იხსენიება ტიფონის თანამზრახველები, მაგრამ მათი რიცხვი არსად არ არის მითითებული.
29. 13 ნოემბერი.

30. პანები და სატირები აქ დიონისეს მითებიდანაა შემოტანილი.
31. კობტო — გვეთ, მოვთქვამ, თმის მოჭრა ბერძნული სამგლოვიარო ტრადიცია იყო.
32. ისისის ბიბლოსში ყოფნის ეპიზოდი დეტალებით ჰგავს ჰომეროსის ჰიმნში მოთხრობილ დემეტრეს თავგადასავალს. იხ. ჰომეროსის ჰიმნები.
33. მანანა საერთოდ ბუჩქია, მაგრამ ზოგჯერ ხედაც იზრდება.
34. მალკანდროსი ფინიკიურ მეღვინეს შეესაბამება; ასტარტე არა მხოლოდ ქალღმერთია, არამედ ფინიკიის მითიური მმართველიცაა. დანარჩენი სახელები ჯერჯერობით უცნებელია.
35. ბიბლოსში, ასტარტეს ტაძარში აღონისისადმი მიძღვნილი მისტერიები იმართებოდა და ბოძი იყო თავყვანისცემის საგანი.
36. ჰეროდოტეს გადმოცემით მანეროსი ეგვიპტის პირველი მეფის უდროოდ დაღუპული შვილია (II, 79).
- 36-ა. ფაგროსი (ბერძნ.) — კაპარჰინა (თევზია).
37. თუერისი — ქალღმერთი — ჰიპოპოტამი. დედალი ჰიპოპოტამები კეთილ არსებებად ითვლებოდნენ, განსხვავებით მამრებისგან — სეთის ცხოველებისგან.
38. ეგვიპტურ მითებში ჰოროსი თავს აცლის დედებს და მას ტოტი ძროხის თავს გამოაბამს.
39. ეგვიპტურ წყაროებში ჰარპოკრატე — ბავშვი ჰოროსია.
40. არის გადმოცემა, რომ ისისმა ჰოროსს ხელები მოჰკვეთა.
41. მეტტე, ფრ. 310b.
42. ტაფოს — საფლავი (ბერძნ.) ტაფოსირის — ოსირისის საფლავი.
43. ღმერთთა ასტრალური სფეროები ასე ნაწილდებოდა: რა — მზე, ჰოროსი — ცა, (მთვარე და მზე მისი თვალებია), ოსირისი — ორიონი, სეთი — დიდი დათვის თანავარსკვლავედი.
44. კნეთი — ძველი თებეს გველ-ღმერთის სახელი. მისი კულტი ამონის კულტს შეერწყა.
45. ეგვიპტური მითის თანახმად ტოტი ჩაერია სეთისა და ჰოროსის ორთაბრძოლაში, ჰოროსს მიემხრო, ხოლო სეთმა შური იძია და ხელი მოსწყვიტა. შავი — ნაყოფიერი მიწის ფერია, თეთრი — ზემო ეგვიპტის, წითელი კი — ქვემო ეგვიპტის და უდაბნოსი.
46. კანოზოსი — მენელაოსის მესაჰე, რომელიც ეგვიპტეში დაიღუპა.
47. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, არგოს თანავარსკვლავედის სახელი ეგვიპტური წარმოშობისაა, რადგანაც ციურ ხომალდებზე წარმოდგენები ეგვიპტელებისთვისაა ნიშანდობლივი და არა ბერძნებისთვის.
48. ბერგეი, III, ფრ. 193.
49. სიტყვასიტყვით — „ურწმუნოების ლომი“. ლომი შეიძლება საკუთარი სახელი იყოს ვინმე პელიაში მცხოვრები ლეონისა, რომელმაც ეგვიპტოსის სტილში დაწერა თხზულება ეგვიპტულ ღმერთებზე.
50. ცხოვრობდა მაკედონიაში კასანდრეს კარზე.
51. სეზოსტრისი — შუა სამეფოს სენუსერტების განმაზოგადებელი სახე. მანესი — ლიდელთა მითიური მეფე (პლუტარქესთან — ფრიგიელთა).
52. არაზუსტი ციტატაა „კანონებიდან“ 716a.
53. ემპედოკლეს ციტატაა (490-430).
54. ამ თავში მოცემული დემონოლოგია აშკარად ბერძნულია. განვითარებული დემონოლოგიის შემქმნელად ითვლება ქსენოკრატე, პლატონის მოწაფე, აკადემიის წინამძღვარი 319-314 წლებში. დიდ ყურადღებას უთმობდნენ დემონოლოგიას სტოელებიც. შექმნილი იყო იერარქია: ღმერთები — დემონები გმირები — ადამიანები.
55. ნადიმი, 202e.
56. დიოგენე ლაერტელი, VIII, 32.
57. ქსენოკრატე ქალკედონელი (ძვ. წ. ა. 399-314).
58. სტოელთა სკოლის მესამე წინამძღვარი (ძვ. წ. ა. 280-207).
59. იგულისხმება ურანოსის დასაჭურისება.
60. ილიადა, XIII, 810.
61. ილიადა, V, 430, XVI 705, XX 447.
62. ილიადა, IV 31.

63. კანონები, 717b.
64. პესიოდე, სამუშაონი და ღღენი, 123, 253.
65. პესიოდე, სამუშაონი და ღღენი, 126, 417.
66. ნადიმი, 202e.
67. ეგვიპტურ მითოლოგიაში სეთი არ არის მსოფლიო ბოროტების გამომგზაველი, ის წყვდიადის, ქარიშხლისა და უდაბნოს ღვთაებაა.
68. ისისი გაიგივებულია პერსეფონესთან, რომელიც ოსირის — პლუტონის ცოლია.
69. ძვ. წ. ა. III ს.
70. პლატონის მოწაფე, რამდენიმე ისტორიული ხასიათის ნაშრომის ავტორი.
71. პტოლემეოსის სოტერს (305-283) სარაპისის სახელმწიფო კულტის დაარსებას მიაწერენ.
72. პერაკლიტე ეფესელი (503-470).
73. აქ ნაგულისხმებია, რომ პტოლემეოსის ხანიდან ოსირისი სარაპისად იწოდებოდა (იხ. შენიშვნა 11).
74. ძვ. წ. ა. II ს-ის ისტორიკოსი.
75. კრატილოსი 403a-404b.
76. ამენთე — ეპითეტია, აღნიშნავს „დასავლეთის ხელმწიფეს“.
77. სეთის ცხოველები: ნიანგი, ჰიპოპოტამი (მამრი), ტახი, სახედარი. ბერძნულ პაპირუსებში სეთს ხშირად სახედრისთავიან კაცად ხატავდნენ.
78. აქ იგულისხმება ეგვიპტური მითი, რომლის თანახმადაც სეფი და მისი თანამზრახველები ცხოველთა სხეულებში ჩასახლდნენ.
79. კასტორ როდოსელი (ძვ. წ. ა. I ს.) ნილოსზე ნაშრომის ავტორი.
80. ძვ. წ. ა. IV ს-ის ისტორიკოსი, დაწერა თავის დროზე მეტად პოპულარული ნაწარმოები სპარსელთა შესახებ.
81. ციცერონი, ღვთაებრივი ბუნების შესახებ II, 25, 64.
82. ილიადა, XVI, 201;
- 82-ა. თაღეს მიღებული — პირველი ბერძენი ფილოსოფოსი ძვ. წ. ა. VII ს-ის ბოლო და I ს-ის დასაწყისი.
83. ოკეანე, ზღვისაგან განსხვავებით, მტკნარი წყლის ნაკადად იყო მიჩნეული.
84. ტეტუნი — ურანოსისა და გეას შვილი, ოკეანოსის ცოლი, ოკეანიდებისა და მდინარის ღვთაებათა დედაა.
85. იხ. თავი 39.
86. თიასები — ქურუმი ქალები.
87. სოკრატე არგიველი, ძვ. წ. ა. III ან II საუკუნე.
88. ლიკონი — კალათა, რომლითაც ყვავილებს უძღვნიდნენ დიონისეს, აგრეთვე ორფიკული მითის თანახმად, ტიტანების მიერ განწილული დიონისე-ზაგრეფის აკვანი. აქედან დიონისეს სახელი ლიკნიტი.
89. დელფოს ქურუმები.
90. ოდისეა, V 306, VI 154, VIII 340.
91. აპოპისი — გველი, წყვდიადის ღვთაება.
92. ფილოსოფოსი, სტრაბონის თანამედროვე, დაწერა გამოკვლევა ნილოსზე.
93. არ არის ცხადი, რომელი პერმაიოსია ნაგულისხმები, ფიქრობენ, რომ პერმოპოლეი (ჩვ. წ. ა. II ს.).
94. ლიკიის პატარას მკვიდრი, ერატოსთენეს მოწაფე, ანტიკვარულ-გეოგრაფიულ თემაზე დაწერილ თხზულებათა ავტორი.
95. დიადოხოსების ეპოქის ისტორიკოსი.
96. ჩრდილოეთის ქარები.
97. ნოემბერი.
98. სამოსის შემნახველნი.
99. პეროდოტე II; დიოდორე I 39, III 3.
100. პომპროსი, ოდისეა IV 356; სტრაბონი, XII 2,4; XVIII 1,6.
101. ეს გვიანდელი პლასტია.

102. ჰერმესი გაიგივებულია მთვარის ღვთაება ტოტთან. მზესთან ჰერაკლეს კავშირი ჩანს წითში ჰერიონის ძროხების შესახებ.
103. ეპოგდონური — რაც შეიცავს მთელს და მის მერვედს ერთად. აქ არის ეპოგდონური დამოკიდებულება ორ რიცხვს შორის: $16 + 1/8 \times 16 = 16 + 2 = 18$.
104. როგორც ჩანს, მთვარის ლაქებთანაა შედარებული. აბისს რქებს შუა „მზის/დისკო“ ჰქონდა (თეთრი ლაქა).
105. ოხირისის მთვარეზე ასვლის ეპიზოდში ღმერთი მზის და ქვეყნის მფლობელს ას-რულებდეს, მაგრამ პლუტარქე ამას სხვაგვარად განმარტავს.
106. ეგვიპტური წარმოდგენებით მთვარე მამრობითი სქესისაა.
107. ისისის, ნეფთისის და ანუბისის სამგვარ ინტერპრეტაციას ეგვიპტურ წარმოდგენებში ანალოგია არ ეძებნება, მხოლოდ ტაძრებში გვხვდება ზოგჯერ გამოსახულება ანუბისისა, რომელიც მთვარის დისკოს მიაგორებს.
108. ნაუკი, ფრ. 21.
109. ე. ი. ორმუზდი და არიშანი.
110. ჰადესი არიშანთანაა გაიგივებული.
111. თეოპომპოს ქიოსელი — ისოკრატეს მოწაფე, დაიბადა დაახლ. ძვ. წ. ა. 378 წ. ისტორიკოსი; მისი მთავარი ნაწარმოებებია „საბერძნეთის ისტორია“ და „ფილიპეს ისტორია“.
112. ილიადა XVIII 107.
113. არისტოტელე, მეტაფიზიკა, 1985b 23 და შემდ.
114. ეს ტერმინები ბერძნულად ასეა; ანაქსაგორა — ნუს კაი აპეირონ: არისტოტელე — ეიდოს კაი სტერესის, იხ. მეტაფიზიკა VII, 1041b, პლატონი — ტაუტონ კაი თატირონ, იხ, ტი-მაიოსი 35d.
115. კანონები, 896e.
116. ჰო ნუს, ჰო ლოგოს (ბერძნ.).
117. მანეთოსი — პირველი ორი პტოლემეიდოსის მანამდროვე ქურუმი. ბერძნულ ენაზე დაწერა ეგვიპტის ისტორია. პლუტარქე, როგორც ჩანს, სარგებლობს მისი ტრაქტატით „წმინდა წიგნთა შესახებ“.
118. ნიანგი სებეკი ეგვიპტურ მითებში ხან კეთილი ძალაა, ხან ბოროტი.
119. ილიადა VIII, 22.
120. სირიუსი აქ ვარსკვლავის სახელი კი არ არის, არამედ მზის ეპითეტია — მცხუნ-ვარე.
121. ტიმაიოსი, 49a 51a 52d 53a; პლატონი მდებარეულ საწყისზე ლაპარაკობს, მაგ-რამ მასისის არ უწოდებს.
122. ტიმაიოსი 50c-d.
123. სახელმწიფო 546b-c.
124. აქ ასეთი ფაქტია აღნუსხული: მართკუთხა სამკუთხედში კათეტების სიგრძეების კვადრატების ჯამი ჰიპოტენუზის სიგრძის კვადრატის ტოლია. როდესაც ეს ტოლობა მთელი რიცხვებისთვის სრულდება, ასეთ სამკუთხედს ეგვიპტურს ან პითაგორულს უწოდებენ.
125. თეოგონია, 116 და შემდეგი.
126. ნადიმი 203b და შემდეგ.
127. პოროსი — „სიმდიდრე“, პენია — „სიღარიბე“, ეროსი — „სიყვარული“ (ბერძნ.).
128. სტოელები იგულისხმება.
129. ოხირისი.
130. კრატილოსი, 397d.
131. კრატილოსი, 401c.
132. ამ სიტყვებში ეძიებს ძირს „ის“.
133. სიტყვებს ორ ნაწილად ყოფს, მეორე ნაწილია „ია“—მოძრაობა, სიარული. ასე რომ, გამოდის: ბოროტება — ცუდი მოძრაობა, სიმწირე — მოძრაობის უკმარობა, სიმ-ხდალე — მოძრაობის შიში, ტანჯვა — უმოძრაობა.
134. გამოყოფს ძირებს „ოს“ და „ირი“.
135. იგულისხმება ჰერმეს ტრისმეგისტოსის სახელით მოღწეული თეოსოფიური ტრაქ-ტატების კრებული.
136. სეისტროსი — ეგვიპტელთა საკულტო საგანი (სარაკუნა).

137. კლენთე (ძვ. წ. 331-233 წ.წ.), სტოელთა სკოლის წინამძღვარი ზენონის შემდეგ.
138. დაიბადა დაახლ. ძვ. წ. ა. 340 წ. კირენის ფილოსოფიური სკოლის დამაარსებლის არისტოტელეს მოწაფე და მიმდევარი. თავისი ეთიკური მოძღვრების ზოგიერთი ასპექტისა და ათეისტური გამონათქვამების გამო ამორალისტის სახელი გაუვარდა. იხ. დიოდორე/ლაერტიელი II, 86, 97—103.
139. ან ხმა — ჰეშმარიტება. ამ სიტყვებს წარმოთქვამდა ოსიროსი იმპერატორის სასამართლოში სულის გამართლებისას.
140. დელფოს სამისნო უნდა იგულისხმებოდეს.
141. დემეტრე იგულისხმება.
142. დასავლეთი — სიცილია და იტალია. კრონოსში ეტყობა სატურნი უნდა დავინახოთ. აფროდიტე უფრო ხშირად გაზაფხულთან იყო გაიგივებული, ვიდრე ზაფხულთან.
143. ძვ. წ. ა. IV ს-ის ფილოსოფოსი.
144. ძვ. წ. ა. 300 წელს ლახარესმა, რომელიც ათენის დაცვას ხელმძღვანელობდა დემეტრიოს პოლიორკეტეს წინააღმდეგ, ათენას ქანდაკების მოოქროვილი სამოსი სამხედრო ზიზნებისთვის გამოიყენა (პავსანია 1, 25, 7), იმავე მიზეზით „გაკრიჭა“ აპოლონის ქანდაკება სირაკუზელმა ტირანმა დიონისიოს უფროსმა. იუპიტერ კაპიტოლიელის ტაძარი პლუტარქეს ბანამდე ორჯერ დაიწვა, ერთხელ ძვ. წ. ა. 83 წელს, სულას დროს, მეორედ ჩვ. წ. ა. 69 წელს ვიტელიუსის დროს (ტაციტუსი, ისტორია, III, 72).
145. ნაუკი, ფრ. 959.
146. იგულისხმება კეთილი ღმერთი, ოსიროსი.
147. კინოპოლისი — ძაღლის ქალაქი, ლიკოპოლისი — მგლის ქალაქი.
148. ძაღლისთავა მაიმუნი.
149. ევრიპიდე, ტროელი ქალები, 887 და შემდ.
150. იგულისხმება, რომ ასტრონომიაში ძველი შუმერებიდან შემორჩენილი თვლის სისტემითი სისტემა იხმარება.
151. იგულისხმება ათენას ეპითეტი ტრიტოგენეა. ამ სიტყვის ეტიმოლოგია დადგენილი არ არის.
152. პლატონი, ნადიმი 210a და შემდ.
153. ოსიროსი.
154. გაურკვეველია, აქ მთავრდება ნაწარმოები, თუ ტექსტის ნაწილი დაკარგულია.



თაბკონა გიდეა ზუბაძელაშვილი

მოედნის ბოლოს პარტულოთ მოჩანს ღვთის-

20. „საუნჯე“ № 5

და გარკვეული წარმოდგენა რუბინზე, შეისწავლეთ იმდენად, რომ უფლებამოსილად გრძნობთ თავს, შეტყობდით იმდენად მასზე, მაგრამ დეტალური მონაცემები მაინც ვერ შეგვატოვებ, როგორც მუხრანში შედიან. კოშკის საათმა ეს-ეს არის სამეგრეო დარეკა. ეკლესია ცარიელია, მხოლოდ მნათი არღვევს მღვდლარს, სუფთა და ნათელი ეკლესია მუხრანისა. წვიმს. ამინდი პირველად, ტრანსპარენტის ციხეა და სწორ კედლებზე მიმაგრებულ მუქსა და უბრალო, ვიწრო ხისჩარჩოვან რა ტრიპტიკზე ერთმანეთს ცვლიან სინათლის ათონათა და წყვილია, და ეს გულწრფელი მხატვრობა აქ, თითქოსდა მის დასაუფლებლად შეკრებილ წყვილია და კაშკაშა სინათლის შორის უფრო შთაბეჭდვით გრძნობათ. „გარდა მოხსნის“ წინ ვიღაც გერმანელ ახლის გადამღებებს დაუდგამთ თავთავიანთი მოღებრებები. „ჭვრის აღმართვის“ წინ არავინაა. ეს უბრალო ფაქტი საკმაოდ მკვირვებულად გამოხატავს ხერხთა აზრს ამ ნაწარმოებთა შესახებ. ამ სურათებით თითქმის ყველანი უზომოდ არიან აღფრთოვანებულნი — ასეთ ფაქტს კი რუბინთან დამოკიდებულებაში აწვიათ ვხვდებით. და მაინც ეს აღფრთოვანება უფრო გაყვითლი. ფაქტთა ხაზგადგობა „გარდა მოხსნის“ გამოარჩია, „ჭვრის აღმართვის“ კი უნარი შესწავს ადრევეს რუბინის ყველაზე მკვლევარ და თავდადებული მეგობრები. პეტე-მარტად, არაფერი არ არსებობს ერთმანეთისაგან უფრო მეტად განსხვავებული, ვიდრე ეს ორი ნაწარმოებია. შესრულებული ორი წლის შუალედით, შემოქმედებითი ნაწარმის ერთიანი ძალით შეგონებულნი, ისინი მაინც მოცუვენ ორი განსხვავებული მიმართულების ჩანახაზს. „გარდა მოხსნის“ 1812 წელს ეკუთვნის, „ჭვრის აღმართვა“ კი — 1810 წელს. ამ თარიღებს ხაზს იმითვე ვუხვამ, რომ მათ გარკვეული მნიშვნელობა ენიჭებათ: ანტერპენში დებრუნებულმა რუბინმა, თუ შეიძლება ასე ითქვას, ნაპირზე გადმოხვედისთანავე დახატა ეს სურათები. მხატვრული განათლების მიღება უკვე დასრულებული მქონდა. ამ დროისათვის მას პარბი, მისთვის ერთგვარად დამამძიმებელი ცოდნაც კი გააჩნდა, რომლის გამოყენებასაც დაუფარავად აპირებდა, მაგრამ რისთვისაც თავი თითქმის მაშინვე უნდა დაეღწია. იტალიელი ოსტატები, რომელთაც იგი მიმართავდა, რაღათქმა უნდა, ერთმანეთის საწინააღმდეგო რჩევადარაგებას აძლევდნენ. დაუდგრომელი სულის მხატვრები მას შემართებისკენ მოუწოდებდნენ, თავდატყობდნენ კი — თავშეკავებულობას ურჩევდნენ.

რუბინის ხუნებას, მანათს, ბუნებრივ ნიჭს,

ძველსა და ახალ გაკეთებებს მისი გარება უნდა გამოეწვია. თავად ამოცანა მოთხოვდა, რომ მას თავისი ჩინებული ნიჭის ორივე თვისება გამოეყენებინა. რუბინმა იგონა, ასეთი შემთხვევა რომ ჩაუვარდა ხელთ, გამოიყენა იგი და ყოველი სიუხვეტი თავისი სულის შესაბამისად დაამუშავა. საკუთარ თავზე თვითონვე შექმნა ორი ურთიერთსაწინააღმდეგო, მაგრამ სწორი შეხედულება: იგი ხან საკუთარი სიბრძნის დიდებულ მაგალითებს გვაძლევს, ხან კი გუნებისა და შთაგონების საოცარ ნიმუშებს. მხატვრის ღრმა პირად განწყობილებებს მიუმატეთ ძლიერად გამოხატული იტალიური გავლენა და მაშინ კიდევ უფრო უკეთ გაიგებთ, სატომ აძლევს შთამომავლობა ასეთ განსაკუთრებულ მაღალ შეფასებას რუბინის ამ ნაწარმოებებს. ისინი უკვე შეიძლება განვიხილოთ, როგორც დიდი ოსტატის ნაწარმოებები. პირველად საქვივნოდ სწორედ ეს ნაწარმოებები შევიდნენ რუბინის, როგორც სკოლის მეთაურის, ცხოვრებაში.

მე კვლავაც მივუბრუნდები საკითხს იმის შესახებ, თუ რაში მქვანდება რუბინზე მოხდენილი ეს გავლენა. რა ნიშან-თვისებებით შეიძლება მისი გამოცნობა. ჭერჭერობით იმის აღნიშვნაც ვიკაროთ, რომ ეს გავლენა არსებობს, რომ განსახილველ პერიოდში რუბინს ჭერ კიდევ არ დაჰკარგოდა არც ერთი დამახასიათებელი თვისება. ეს იმას არ ნიშნავს, რომ რუბინს ზღუდავდა კანონიკური ფორმულები, რომლებიც სხვებს მთლიანად შეზოკავდნენ. პირიქით, ის გახედულად ტრიალებს ამ ფორმულათა სფეროში, თავისუფლად იყენებს და საოცარი ტაქტით ხან წილბავს და ხან აშეშვლებს მათ, იმისდა მიხედვით, რაწირად სურს დაგვანახოს თავი — მცოდნე კაცად თუ ნოვატორად. მიუხედავად ამისა, რაც არ უნდა ეკეთებინა, მასში მუდამ შეიგრძნობთ რომანისტს, მრავალი წელი კლასიკის ქვეყანაში რომ გაუტარებია, ეს-ესაა სამშობლოში დაბრუნებული და ჭერ კიდევ ვერ მოუხსრია სხვა ატმოსფეროსთან შეგუება. რაღაც მოუხელთებული შეგვახსენებს მის მოგზაურობას, მისი ტანისამოსიდან მომდინარე რაღაც უცხო სურნელს. ურბეულია „გარდა მოხსნის“ სწორედ იტალიის ამ საუკეთესო სურნელს უნდა უმადლოდეს მის მიმართ გამოხედვანებულ განსაკუთრებულ სიმათიას. მართლაც, იმათ, ვისაც სურს რუბინი იხილოს თითქმის ისეთი, როგორც არის, მაგრამ უფრო მეტად მათ მიერ ოცნებაში წარმოდგენილს მიმსგავსებული, ამ სურათში დაინახვენ სიკაბუკისათვის უჩვეულო რაღაც სიმატარეს, უბიწოებთა და შრომისმოყვარეობით დადგამულ ნადრევი სიშვი-

ფის უვადოობას — თავისებურად ერთადერთობა და მოკლედღიანს.

კომპოზიცია აღწერას არ საჭიროებს. ხატვითა, დასახელოთ ხელოვნების ამანე უფრო პოპულარული ნაწარმოები, რელიგიური სტილით შესრულებული ამანე პოპულარული ფურცელი. არ შეგულებია ადამიანი, რომელიც არ აფასებდეს ამ სურათის წყობას და მის მიერ გამოწვეულ ეფექტს, მუქ ფონზე წარმოჩენილ ცენტრში დაცემულ სინათლის ნაკადს, გამოკვეთილ, მასიურ, გრანდიოზულ ლაქებს. ცნობილია, რომ ეს სურათი რუბენსმა იტალიაში ჩაიფიქრა და ოდნავადაც არ ცდილა დაეფარა ეს ნახევრობა. სცენა ძლიერია და მრავალმეტყველო. იგი შორიდანვე ახდენს შთაბეჭდილებას და კედელზე ძალუზადაა წარმოჩენილი: მკაცრია და მნახველს სერიოზულად განაწყობს. როდესაც გაიხსენებთ მკვლელობებს, სიხლით მორწყულ რუბენსის სურათებს, გაიხსენებთ ნოცვა-ფლეტის სცენებსა და ქალათებს, რომელნიც გახურებული შანთის კვეთებით მოწამებს ტკივილისაგან ყვირილის აღმოჩენას აძლევდნენ, მაშინ იგრძნობთ, რომ აქ კეთილშობილური დასჯაა ნაჩვენები. აქ ყველაფერი ისევე თავშეკავებული, შეკრული და ჯაკონურია, როგორც საღვთო წერების ფურცლებზე.

აქ არ არის არც მკვეთრი ენტები, არც ყვარელი, არც წამება და არც გადაპარბებული ცრემლები. მხოლოდ ღვთისმშობელს აღებუდია ძლივსძლიობით შეკავებული ქვეთინა; უზომო მწუხარება გამოხატულია უნუგეშო დედის ენტებით, — ნამტირალევი სახითა და ცრემლებისაგან დაწითლებული თვალებით. ქრისტე ერთ-ერთი ყველაზე უფრო დახვეწილი ფიგურაა რუბენსის მიერ დიქტის გამოსახატავად ოდესმე შექმნილ ფიგურათა შორის. ამ ფიგურაში იგრძნობა მოხდენილი, მოქნილი, თანქმის ნატრფი ფორმის, სიტყვით გამოუთქმელი გრაცია, რაც მას ცოცხალი ნატურის შნოსა და საუცხოო აკადემიური ეტიუდის კეთილშობილებას ანიჭებს. პროპორციები წუნდაუდებელია, გემოვნება — სრულყოფილი, ნახატი კი — მხატვრის შთაბეჭდილებით გრძნობის საკადრისი.

ვერასოდეს დაივიწყებთ შთაბეჭდილებას, რასაც თქვენზე ახდენს ეს ვიება ღონეშისდელი სხეული, გვირგვინი გადავარდნილი პატარა თავი, გამხდარი, მკვდარივით გაფითრებული, სიფრთხანა სახე, სიკვდილს ვერც რომ დაუუშნობია და ვერც დაუმაინებია. მას წამების ნიშანწყალიც აღარ ეტყობა. მისი სხეული, თითქოსდა წამიერი სიმშვიდის მოსაპოვებლად, ბურანში გახვეულია, რომელიც ხავსეა იმ საოცარი სილამაზით, რასაც სიკვდილი ანიჭებს წმინდა-

ნებს. შეხედეთ, როგორ დამძიმებულია, რა უღონოდ ჩადგენილია სურათის ქვეშ და რა აღერსიანი მზრუნველობით აკავებს მას ქალის გაწვდილი ხელები. ქრისტეს ნაფურსმევი და ოდნავ გაღურებული ერთი ფიგურა ქრისტის ძირთან მაგდალინელის მოშველდნულ მხარს ეხება, კი არ ეყრდნობა, ენება მხოლოდ. და ეს შენება შეუმჩნეველია თითქმის. უფრო სწორად, ეს კი არ ჩანს, ამას შენ თვითონ უნდა მიხვდე; ამის ხაზგასმა უხერხულა იქნებოდა, ვერ-შემჩნევია კი — სიმკაცრე. რუბენსის მთელი ფარული მგრძნობელობა ამ ძლივსშეხამჩნევ შენებაშია, რაც ბევრ რამეზე მეტყველებს. მეტყველებს ძალზე თავშეკავებულად და ამაღილებლად.

ცოდნელი მომხიბლავია. ეს — სურათის უდავოდ საუკეთესო ფერწერული მონაკვეთი, შესრულებული ყველაზე უფრო დახვეწილად და ინდივიდუალურად. ერთ-ერთი უსრულყოფილები ქმნილებაა ქალის სახეებით ესოდენ მდიდარ რუბენსის შემოქმედებაში. ამ დიდებულ ფიგურაზე არსებობს ღრგუნდა, ანდა შეიძლება განა უამისობა, როცა თავად მისი სრულყოფილება ღრგუნდარულად გადაიქცა? ადვილი ხარწმუნოა, რომ ეს შავთვალა, ლამაზი, დახვეწილ-პროფილიანი ქალიშვილი, ასეთი მტკიცე გამოხედვა რომ აქვს — მხატვრის მეუღლე იზაბელა ბრანდტი უნდა იყოს, ვისზედაც რუბენსი ამ სურათის შექმნამდე ორი წლით ადრე დაქორწინდა და, ვინც, შესაძლოა, ორსულობის დროს ღვთისმშობლის მოდელად პყავდა მხატვრის ტრაპიქის ერთ-ერთ ფრთაზე, სადაც „წმ. ელისაბედთან წვივთა“ გამოსახული. მაგრამ, როდესაც უყურებთ მაგდალინელის ხორცსავსე ფიგურას, ფერფლისფერ თმას და მოხდენილ მოყვანილობას, უნებურად გახსენდებათ კამორჩიული თვალწარშტაცობა და მომხიბვლელობა ელენე ფაურმანტისა, ვისზედაც რუბენსი ოცი წლის შემდეგ დაქორწინდა.

ადრეული ასაკიდან სიკვდილამდე რუბენსის გულში ცოცხლობდა სილამაზის განსაზღვრული ტიპი. ეს იდეალური სახე, რომელზეც ასე იყო შეყვარებული, მუდამ განუყრელად ახლავს თან და დაუფლებია მთელ მის წარმოსახვას. რუბენსი ტკება მისით, თანდათანობით ამდიდრებს და სრულყოფს მას. რუბენსი ამ სახეს ეძიებს თავის ორივე ქორწინებაში და დაუხრულებლად იმეორებს ყველა ნაწარმოებში. ქალის ტიპებს, რომელთაც რუბენსი ან იზაბელასაგან ან ელენესაგან ხატავდა, მუდამ ბქონდით რაღაც რთვორც ერთისა, ისე მეორისა. პირველში თითქოს მეორის ნაკეთებს ჰვრეტდა, მეორეში კი პირველზე თავის წარუხოცელ მოგონებებს გალობატავდა. ამ მომენტში, რაზედაც ჩვენ ვხა-

რუბრები, რუბრების ერთ-ერთი დამატებითი ნაწილია და მისი იყო შეთავაზებული; მეორე კი ქრისტე არ იყო დაბადებული, და მაინც რუბრების წინააღმდეგ გამოიყენა იგი. მომავალი აქ აწმყოსთანაა გადახლართული, რეალური — წინააღმდეგ გამოიყენა იდეალური. ამ სახეს თავიდანვე გაორებული ფორმა გააჩნია და იგი მარტო დიდებულიებით კი არ გამოირჩევა, მასში არც ერთი თვისება არაა დავიწყებული. ბანდასან გვანიათ, რომ რუბრების ამ სახის თავდაპირველი აღბეჭდვისთანავე იმის თქმა სურდა, რომ არც თვითონ და არც სხვებს იგი აღარასოდეს აღარ უნდა დაევიწყებინათ.

ამასთან იგი ხერხი სილამაზის ერთადერთი სახეა, რომლითაც რუბრებისა და ამშვენა ეს მკაცრი, რამდენადმე ბერ-მონაწევრი, თავისი ხასიათით კი მთლიანად სახარებისეული ხურათი — თუკი ამაში ვიცუდისსებობს გრძნობისა და შესრულების სერიოზულობას და დავიწყებთ იმ მკაცრ მოთხოვნებს, რასაც ამ უადის მხატვარი უნდა დამორჩილებოდა. ადვილი გასაგებია, რომ ასეთ ვითარებაში მისი თავშეკავებულობის გარკვეული წილი ერთნაირად იქნებოდა დამოკიდებული როგორც იტალიაში მიღებული სწავლებაზე, ისე სიუჟეტისადმი მის მიდგომაზე.

სინათლის ღაქისა და სუდარის არაჩვეულებრივი სიჭაბჭათის მიუხედავად ტილო მრუმე გეგმვებათ, ფერწერა კი, მიუხედავად რელიეფურობისა — ბრტყელი. სურათის საფუძველს შეადგენს მოშავო ტონები, რომელზეც დადებულია ფართო, მკაფიო, უფლფერო სინათლის ღაქები. სურათის კოლორითი არ არის ძალიან მდიდარი, მაგრამ მთლიანობაში ერთიან ნებას არის დამორჩილებული, რაც წესბამაა გაანგარიშებული შორიდან შეთბეჭდილების მოსაზრებად. სურათის თითქმის კოლორითი აგებს, აჩარხოებს და ისე გვიჩვენებს მის ძლიერსა და სუსტ მხარეებს, არც ცდილობს არაფრის შელამაზებას, იგი შექმნილია შავში გადასული მომწვანო ფერისაგან, აბსოლუტურად შავი ფერისაგან, რამდენადმე დაბინდული წითლისაგან და თეთრისაგან. ეს ოთხი ფერი გვერდიგვერდ სავსებით თავისუფლადაა მოთავსებული, რამდენადაც ეს შესაძლებელია ასეთი ძალის ოთხი ტონის შეხამების დროს. შეხამება, მართალია, მკვეთრია, მაგრამ იგი არც ერთ ტონს არაფერს არა უნებს. ჩად თეთრ ფონზე ქრისტეს სხეული წარმოჩენილია დახვეწილი, მოკნილი ხაზებით, იგი მოდელირებულია საკუთარი რელიეფით, ოღონდ არა ელფერის ვარიანტების რაიმე მცდელობით, არამედ მხოლოდ ძლიერ შესამჩნევი ვალიერული გადახვედრის მეშვეობით. აქ ვერ შეხვედებით ვერაფერთარ ბლიეს, განათებულ ადგილებ-

ში არ შეიმჩნევა არანაირი მკვეთრი გაყოფა, სურათის ჩაბნელებულ მონაკვეთებში ვერ იპოვით თითქმის ვერც ერთ დეტალს. ყველაფერი განსაკუთრებულად თავისებური გაქანებითა და სიშკაცრითაა შესრულებული. კონტურები არ არის იქცენტირებული, ნახვარტონების გამო შეზღუდულია; მხოლოდ ქრისტეს ფიგურაზე გამოსჭვივის ულტრა-მარტივი თავდაპირველი ნაწერი, რაც ახლა რაღაც ღაქის ქმნის. სადებავი თანაბრად და მკვეთრადაა დადებული, მონასში მსუბუქია, მაგრამ ფრთხილი, იმ მანძილიდან, საიდანაც სურათს ვუყურებთ, ფუნჯის ნაშუშე-ვარი არა ჩანს, თუმცა ადვილად შეხვედრით, რომ იგი ჩინებულია, სურათი საუკეთესო ტრადიციებზე გაწაფული ადამიანის განსაცვიფრებელი თავდაჭერებულობითაა შესრულებული. მხატვარი მისდევს ამ ტრადიციებს, ცდილობს მასთან შეგუებას, იხწრაფვის იმუშაოს ოსტატურად. რუბრები აკვირდება საკუთარ თავს, ცდილობს იყოს თავშეკავებული, მარჯვდ ფილოს და იმორჩილებს შესაძლებლობებს, მაგრამ სანახევროდ თუ იყვნენ მათ.

მიუხედავად უკიდურესი თავშეკავებულობისა, ეს ნაწარმოები მაინც ძალზე ორიგინალური, მიმზიდველი და ძლიერია. შემდეგ ვან დიკი ისენებს რუბრისაგან რელიგიურ შეთავაზებას, ფილიპ დე შამპენიც მიხატავს მას, მაგრამ ვში-შობ, უფრო სუსტ მონაკვეთებში, და ამით შექმნის საკუთარ, ფრანგულ სტილს. ვენიუსი, რაღა თქმა უნდა, ადფრთოვანებით შეხვედებოდა რუბრებს, ვან ნორტს¹ რაღა მოსაზრება შეექმნებოდა? რაც შეეხება როდანსს, ის არ აჩქარებულა და მაშინვე არ ჩაბდგომა კვალში რუბრებს, მომენტს დაელოდა, როდის იქცეოდა მისი მეგობარი, ოსტატობის მხრივ, ნამდვილ რუბრებად.

ფრთაზე გამოსახული „წმინდა ელისაბედთან ღვთისმშობლის წვევა“ ყოველმხრივ თვალწარმტაცია. ძნელია მონახო მასზე უფრო მკაცრი, უფრო მომხიბლავი, უფრო წმინდრი, უფრო მდიდრული, უფრო მშვენიერი და კეთილშობილურ-ინტიმური. იტალიურ სტილში ფლანდრია არასოდეს შემოსილია ასეთი კეთილშობილებით, ასეთი ღაზათითა და ბუნებრიობით, ტიციანმა მას უბოძა გამო და ტონიც ნაწილობრივ მან უპარნახა, შენობები მან შეაღებინა შუქ წაბლისფრად, მანვე უპარნახა ღვგარდანთა სიმაღლეზე მოკიაფე მშვენიერი მონაცრისფრო ღრუბლებიც. შესაძლოა, მანვე შეთავაზა მომწვანო ლავარდიც, ასე ეფიქტურად რომ გამოსჭვივის სვეტებს შორის. მაგ-

¹ ვენიუსი და ვან ნორტი — რუბრის მასწავლებლები არიან.

რამ რუბენმა თავად იპოვა ღვთისმშობლის სახე — მომრგვალო მუცელი, მოხდენილი ტანი. მის ტანსაცმელში ოსტატურადაა შეხამებული წითელი, ყვითელი და მუქი ლურჯი ფერები. ახურავს ფლამანდური ქუდი. და, რაღა თქმა უნდა, ეს მან დახატა, მან დაწერა, მან გადმოგვცა საღებავებით, თვალთ და ფუნჯით, იგი თითქმის ეალერსებოდა რკინის შავ ბალუსტრადზე დაყრდნობით, მოვარდისფრო ყვავილისდარ, მშვენიერ, თეთრად მბრწყინავ უნაწეს ხელს. აქვე დახატა მან მოხატეც, იგი სურათის ჩარჩოთა გადაკვეთილი და გამოხატულია მხოლოდ ამ ქერათმიანი და ცისფერთვალება ქალის ნახევარწრედ ამოჭრილი კორსაფი, მაღლა ავარცხნილთმიანი მრგვალი თავი და ზევით აწეული ხელები, რითაც მას ღერძის ქალათა უბყრია. არის თუ არა აქ რუბენის დამოუკიდებელი? დიახ. სავსებით დამოუკიდებელი? არა მგონია. დაბოლოს, შეუქმნია თუ არა მას როდესმე უკეთესი რამ? უცნო მეთოდით — არა, საკუთარით — უეჭველად.

ტრიტიქ „გარდასახების“ ცენტრალური ნაწილი და „ჯვრის აღმართვა“, რომელიც ჩრდილოეთის ტრანსპტს ამკობს, ერთიმეორისაგან ხავსებით განსხვავდებიან: განსხვავდებიან თვალსაზრისით, ტენდენციით, მნიშვნელობით და მეთოდითაც კი — რაც ხავსებით სხვადასხვაგვარადაა გაშლავებული ამ ორ ნაწარმოებში: ეს რომ ვიწმუნოთ, ერთი თვალის მოვლენაც ხკმარისა. თუკი ფიქრით თავს წარმოიდგენთ ამ ცნობილი ქმნილებების შესრულების პერიოდში, დაინახავთ, რომ, თუ ერთი მათგანი კმაყოფილებას და რწმენას ბადებდა, მეორეს უნდა გავევირვებინეთ, აქედან გამომდინარე, იძულებული გავხადეთ, მასში რაღაც უფრო ახალი დაგვეანახა.

უფრო ნაკლებად სრულყოფილი „ჯვრის აღმართვა“ — ნაკლებად სრულყოფილი თუნდაც იმიტომ, რომ უფრო მღელვარეა და არც ერთი ფიგურა არ არის მასში იზრერივად დასრულებული და მიმზიდველი თვალისათვის. როგორც მაგდალინელია — გაცილებით ზევს გვეუბნება რუბენის თვითმყოფადობაზე, მის აღმაფრენაზე, სითამამესა და წარმატებებზე, ერთი სიტყვით, მის მღელვარე გონებაზე, ყოველგვარ ახლისა და უცნობის მიმართ მის ვნებიან დამოკიდებულებაზე. იგი უფრო ფართო გზას ხსნის მხატვრის წინაშე. შესაძლოა, სურათი ნაკლები ოსტატობით არის შესრულებული, მაგრამ იგი გვიწინასწარმეტყველებს გაცილებით უფრო ორიგინალურ, გახედულსა და ძლიერ ოსტატს. ნახატი უფრო დაძაბულია და ნაკლებად თავშეკავებული, ფორმა უფრო თამამი, მოდელირება — ნაკლებად მარტივი და

ამოჩენებული. მაგრამ კოლორიტში უფრო იგრძნობა უდიდესი მგზნებარება და ელერალობა, რაც რუბენის უდიდეს რესურსებს წარმოადგენს, როცა ის ფერთა სიკაშკაშეს, მათ სხივიანობას ამჯობინებს. წარმოადგენს, რომ მისი ფერები უფრო გიჟივანია, კონტრასტულია — ნაკლებად უხეში, ნაზები — ნაკლებად მკვეთრი, ჩამოაშორეთ მას ყოველგვარი ნიშანწყალი იტალიური ქედმაღლობისა, რაც, ასე ვთქვათ, ცხოვრების სიბრძნისა და მედიდური მანერების გამოხატულებას წარმოადგენს და მხატვარმა მოგზაურობის დროს აიტვისა, დააკვირდით მხოლოდ იმას, რაც დამახასიათებელია თავად მხატვრისათვის — აწლგაზრდობას, გზნებას, უკვე მომწიფებულ მრწამსს — და თქვენს წინაშე წარმოსდგება თავისი შემოქმედების საუკეთესო პერიოდის რუბენის, ესე იგი, მისი ფერწერის მგზნებარე და მკვეთრი მანერის პირველი და უკანასკნელი სიტყვა, საკმარისი იყო ფუნჯის თუნდაც ოდნავი თავშეუკავებლობა, რომ ეს შედარებით მკაცრი სურათი მის ქმნილებათა შორის ერთ-ერთ ყველაზე უფრო ზოხოქარ ტილოდ გადაქცეულიყო. ისეთი კი, როგორც ახლაა — მუქი ქარვისტონიანი, მრუმედ მოჩრდილული, მოშთობილი გეჟა-ქუნილის მარმონით — ეკუთვნის იმ სურათთა რიცხვს, ხადაც ციცილი ვაჟაკური ძაღის შემწეობით განსაკუთრებული სიკაშკაშით იელვებს ხოლმე და ნებისყოფის მოუღლელი დაძაბვის წყალობით უდიდეს ძაღას აღწევს.

ეს სურათი დაწერილია სულმოუთქმელად და აგებულია ხაზთა მეტისმეტ თამამ წყობაზე. მხატვრის ჯვინივით აღმართულ ღია თუ შენივთულ ფორმებში, მოღუნულ სხეულებში, ზევით აპყრობილ ხელებში, განმეორებად ტენილსა თუ მტკაცრე ხაზებში სურათს ბოლომდე აქვს შენარჩუნებული ჩანახატის ხასიათი, რომელშიც აღბეჭდილია მხატვრის წუთიერად მომსკდარი გრძნობა. თავდაპირველი ჩანაფიქრი, ამა თუ იმ მონაკვეთის განლაგება, საერთო ეფექტი, ეისტები, ფიზიონომია, ლაქათა თავისებურება, ტექნიკა — ყოველივე ეს დაუძლეველი, ნათელი და წუთიერი შთაგონების გადმოფრქვევას ჰგავს, რუბენის შემოქმედების ამ, ერთი შეხედვით, მოულოდნელი ფურცლის გახსნა მხატვრისათვის უჩვეულო დაინებოთაა შესრულებული. ახლა, როგორც 1610 წელს, შესაძლოა, განსხვავებული აზრები გავაჩნდეს ამ ნაწარმოების მიმართ, რომელიც შესრულების მანერით თუ არა, ხულით მაინც, უეჭველად, ინდივიდუალურია. მაგრამ საკითხი, რომელსაც, ალბათ, მხატვრის სიცოცხლეშივე განიხილავდნენ, დღემდე ღიად რჩება: საჭიროა გადაწყვიდეს, ამ ორი სურათიდან რომელი წარმოგვიდ-

გენს უკეთესად რუბენსს, როგორც თავის ქვეყანაში, ისე ისტორიაში — ის, რომელშიც რუბენსი ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული თუ ის, სადაც იმგვარადვე გვევლინება, როგორადაც საბოლოოდ იქცა.

„ქვერის აღმართვა“ და „გარდამოხსნა“ ორი მომენტია გოლგოთის დრამისა. იმ მანძილიდანაც რა მანძილიდანაც მოჩანს ორივე ხურათი ამხნევთ მთავარ ლაქებს. აღიქვამთ მათში გაბატონებულ ტონალობას. მე ვიტყვოდი, გენსით მათი ჟღერადობა, ეს საკმარისია, რათა წოგად აღმოჩნდეთ მათ მხატვრულ ექსპრესიას და გამოიყნოსოთ მათი აზრი.

„გარდამოხსნაში“ ჩვენ უკვე დასასრულს ვეხვრებით, მე კი გითხარით, რა თავშეკავებული წეშურლობითაც არის იგი გადმოცემული. აღსრულდა ყოველივე. დაშვა, ყოველ შემთხვევაში, პოროვნებს ტყვიისფერი გადაშვრია. ყველა დადუმებულია, ტირიან, ამოღებული შერუნვულობით ღებულავენ ძვირფას ნეშტს. ახლოზელი ადამიანის სიკვდილის დანახვაზე ბაგდან ერთმანეთისათვის სათქმელი სიტყვები სწყდებოთ. იქვე არიან დედა და შვიკობრები, მათ შორის პირველ პლანზე დგას ქალთა შორის ყველაზე მოსიყვარულე და ყველაზე სუსტი, რომლის სინაზეში, გრაცობა და სინანული ბორცვებსშეულია ყველა მიწიერი ცოდვა — მიტევებული, შენდობილი და უკვე გამოსყიდული. აქ ცოცხალი კანი დაპირისპირებულია მკვდარი სხეულის სიფითრესთან. სიკვდილსაც კი აქვს თავისი მომნიშვნელობა. ქრისტე უმშვენიერეს მოწყვტილ ყვავილსა ჰგავს. მას აღარ ესმის აღარც იშვით, ვინც იგი შეაჩვენა, აღარც იშვით, ვინც მას დასტირის, ის აღარც ხალხს ეკუთვნის და აღარც დროს, აღარც რისხვასა და არც სიბრალულს; ის აღარაფრის, თვით სიკვდილის თანაზიარიც კი აღარ არის.

„ქვერის აღმართვაში“ არაფერი ამის მსგავსი არ არის. შორს დარჩენილა თანაგრძნობაც, სინაზეც, დედაც და შვიკობრებიც, მხატვარმა მწუხარებით შეპყრობილი ყველა ახლოზელი მარცხენა ფრთაზე სასოწარკვეთილი და მოტირალი ხალხის მშფოთვარე ჭკუფში გააერთიანა. მარჯვენა ფრთაზე ორი ცხენოსანი მცველია — ამ მხრიდან არაფითარი დანდობა არ არის მოსალოდნელი. ცენტრში — ყვრილი, შეურაცხყოფა და ღვთის გმობაა. ყახბისიერიანი ქალათები მხედური ძაღვებისგვით ცდილობენ ქვერის აღმართვას და მის ვერტიკალურად დაყენებას. ნეშტები დაძაგრულა, თოკები დაჭიმულა, ქვერი ქანაობს და ჯერ ხანახვეროდაა აღმართული. სიკვდილი გარდუვალია. აგონიაში ჩავარდნილი ქვარცმული ადამიანი იტანჭება; მთელი არსებოდან აღარაფერი შერჩენია თავისუფალი, რო-

გელიც მას შეიძლება ეკუთვნოდეს. მის სხეულს უწყალო ბედისწერა დაუფუძნებია, მარტოოდენ სულიდა გადარჩენია, ეს კარგად იგრძნობა ზევით აპყრობილ მწერაში; მიწას მოწყვთილი იგი სულ სხვა საყრდენს ეძებს და პირდაპირ ზეცისთვის მიუშობთაქვს მსუბუქი სს ჯაშშაგება, ის ფაციფუცი, რითაც მკვლელები ცდილობენ თავიანთი საქმის დამთავრებას, მხატვარმა გამოხატა, როგორც მრისხანებისა და წმინდა მხედური ინსტიტუტების გამოვლენის ღრმად მცოდნე ადამიანმა. მაგრამ იგი გაცილებით უკეთესად გადმოცემს მომაკვდავის ნეტარებას და სულიერ სიმშვიდეს, რომელსაც მოწამეობრივად გაუწერავს თავი. ყურადღებით დააკვირდით, როგორ აღწევს ამას მხატვარი.

ქრისტე შუქითაა შემოსილი, იგი თითქმის სხივთა კონაშია მოქცეული, მთელ სურათზე გაფანტული სხივები მასშია თავმოყრილი. პლასტიკური თვალსაზრისით, ქრისტეს ეს ფიგურა „გარდამოხსნის“ ფიგურას ვერ გაუტოლდება, იტალიელი მხატვარი, უიკველია, მას სტილს შეუსწორებდა, გოტიკური სტილის მიმდევარი ლინდოშებდა, უფრო საზგახშული ყოფილიყო ძველები და კუნთები, უფრო ნათლად გამოხატულიყო სხეულის ნაწილები, მთელი ფიგურა კი შედარებით გამბარა ანდა უფრო მსუბუქი მაინც ყოფილიყო. როგორც ცნობილია, რუბენსი უპირატესობას ანიჭებდა სორცხავსე ჯანმრთელ ფორმას, რაც მისი შეგრძნების მანერით, უფრო მეტად კი წერის მანერით აიხსნება; სხვაგვარად იძულებული გახდებოდა შეეცვალა საკუთარი ხერხების დიდი ნაწილი. მაგრამ მთლიანად ქრისტეს ფიგურა შეუდარებელია, რუბენსის გარდა ამ ფიგურას ასე ვერავინ ჩაიფიქრებდა, ვერავინ მოათავსებდა იმ ადგილზე, რომელიც უკვია და ვერც ვერავინ ასეთი მაღალი ფერწერული ღირსებებით შეამკობდა. რაც შეეხება ქრისტეს მშვენიერ თავს — შთაგონებულსა და მოწამეობრივს, ვაჟაკურსა და ნაწს, საფეთქლებზე თმები რომ მიწებებია და შუბლი ოფლით დანამვია, მწუხარების გამომეტყველ სახეს, ზეციური ნათებით აღბეჭდილ თვალებს და ექსტაზს — მითხარით ერთი, იტალიური ფერწერის თუნდაც საუკეთესო ეპოქის რომელი ოსტატი არ განცვიფრდებოდა გაუღწერელად კულმინაციას მიღწეული ამ ექსპრესიის ძალით? რომელი მათგანი არ შეიცნობდა მასში ღრმატული ბელოვნების აბსოლუტურად ახალ იდეალს?

შემოქმედებითმა ციებ-ცხედებამ და წრფელი გრძნობების მოწვევებამ იმ დღეების რუბენსი მისთვის უკიდურეს თვისებამდე მიიყვანეს. შემდეგში ის უფრო ნაკლებად შებოჭილად იგრძნობს თავს და უფრო მეტად გათამამდება.

წმინდის მოქმედება და სრულყოფილი თავისუფალი მანერის წყალობით დიდ თანმიმდევრობას და, რაც მთავარია, უდიდეს გაქანებას აღწევს თავისი სამუშაოს ყველა ნაწილში — ნახატის გარეგნულსა და შინაგან არსში, კოლორიტსა თუ ფაქტურაში. კონტურებს მერე ასე გაუტად აღარ გააშუქებს იქ, სადაც უფრო მინაჩქმალია, არც ჩრდილს გამოხატავს ასე მკვეთრად იქ, სადაც მისი გამჭქალეობა ემჭობინებოდა, შეიძენს მოქნილობას, რასაც ჭერ კიდევ ვერა ვხედავთ აქ, იპოვის უფრო ოსტატურად გამოხატვის ფორმას. უფრო პათეტიკურსა და ინდივიდუალურ ენას, მაგრამ ჩაიფიქრებს თუ არა რაიმე უფრო ნათელსა და ენერგიულს, ვიდრე ეს შეაგონებულნი დიაგონალია, ორად რომ მყოფს კომპოზიციას და თავდაპირველად გვატყვებს ამ უკანასკნელის სიმტკიცეში, მერე კი მაღალი იდეის აღმავრენის მსგავსი ძლიერი და გაბედული გაქანებით გამართავს და შეატყობინოს მას? იპოვის თუ არა რაიმე უკეთესს, ვიდრე ეს პირველში კლდეები, მიმჭრალნი ცა და მრუშე ფონზე მოედვარე ეს დიდი თეთრი ფიგურაა, უძრავი და იმავ დროს გასულიერებული, გაურკვეველ ძალას ტილოზე აღმაცვრად რომ გაუტყობინა ზრმა, უმეცარი და ბოროტი ქვეყნის ზემოთ გულმოდგინედ აპყრობილი მიღუქსმული ხელებით?

ახ, ვისაც ეტყება მარჯვედ გავლენილ ხატთა სიძლიერე, კომპოზიციური სახის დრამატული მნიშვნელობა და საერთო ეფექტი, ვისაც არ დააკმაყოფილებს ფერწერული კონცეფციის მოკალურის სიმშვენიერის დამადასტურებელი მაგალითები, ამ ტილოს ნახვის შემდეგ ხელს აიღებს ყოველგვარ ყოყმანზე.

ამ ორიგინალური და ვაჟაკური სურათით ახალგაზრდა მხატვარმა, რომელიც 1800 წლიდან სამშობლოს გარეთ იმყოფებოდა, ყველას ამცნო იტალიიდან თავისი დაბრუნება. ახლა ყველასთვის ნათელი გახდა, რა შეიძინა მან მოგზაურობისას, შეიტყვის მისი საქმიანობის ხასიათი და თავისება, ყველაზე მეტად კი ის ჰუმანური სული, რითაც გამსჭვალული იყო მისი მხატვრობა. აღარავის ატყვებდა მხატვრის მომავალი ბედი: არც იმას, ვინც აღმოჩენასავით განაცვიფრა მისმა ფერწერამ, არც იმას, ვინც აღაშფოთა და ხასკანდალოდ მიიჩნია იგი, ვისი თეორიაც დამბო და თავს დაესხა, არც იმას, ვინც მან დაარწმუნა და თან გაიყოლია, ამ დღიდან რუბენის სახელი წმიდათაწმიდად იქცა. დღესაც ეს ნაწარმოები, რომელიც მხატვრის დებიუტს წარმოადგენდა, ისევ სრულყოფილად და გადამწყვეტად გვეჩვენება, როგორც მხატვრის თანამედროვეებს. მასში იგრძნობა რაღაც განსაკუთრებული, ფართო ხუნთქ-

ვა, რასაც რუბენის ხევა ნაწარმოებებში აშკარად ვხვდებით. ენთუზიასტი ამ სურათს უბრალოდ „ამაღლებულს“ დაარქმევდა და სწორადაც მოქცეოდა, თუკი დააშუქებდა, რა უნდოვიგულისხმობს ამ სიტყვაში. რუბენის ლირიკოსია, ყველა მხატვარზე უფრო ლირიკული მისი წარმოსახვის სისწრაფეს, სტილის ენტიგენიურობას, მჟღერ, შვარდ რიტმს, ამ რიტმის გაქანებას, მის, ასე ვთქვათ, ვერტიკალურ სწრაფვას დაარქვით ლირიკში და ვერმეორებოდან შორს არ იქნებით.

ლიტერატურულუ ჟანრთა შორის არის ჰეროიკული ჟანრი, ჩვეულებრივ ოდას რომ ეძახიან, როგორც ცნობილია, ის ყველაზე უფრო მოქნილი და ელვარე ფორმაა ხალექსო ენის მრავალგვარ ფორმათა შორის. არავითარი აღტკინება, სტილის არანაირი სიმდიდრე გადაჭარბებულიად არა ჩანს სტროფთა აღმავალ მოძრაობაში, სინათლის არც როგორი სიუხვე უადგილოდ არ გეჩვენებათ მის მწვერვალზე. მე შემეძლო თქვენთვის დაშესახელებინა რუბენის ასეთი სურათი, სინათლით გაციხროვნებული, დაფიქრებული, შესრულებული და ხკანდობებული პინდარესეული სტილის საუკეთესო! ნაწევრებით, „წმინდის აღმართვა“ უპირველეს მაგალითად გამოდგებოდა, მით უფრო განსაცვიფრებელ მაგალითად, რადგან აქ ყველაფერი ჰარმონიულადაა და სიუხვითი ღირსია იმისა, რომ ამგვარად გამოხატულიყო. ჭკუას ხუთაც არ ვატან ძალას, როცა ვამბობ, რომ ეს ცეცხლოვანი ფურცელი მთლიანად დაწერილია რიტორიკული სტილით, ამადლებულს რომ ეძახიან, დაწერებული მისი გამსჭვალავი ზეაღმავალი ხაზიდან, მისი იდეიდან, რომელიც მწვერვალთან მიახლოებისას თანდათან უფრო ნათელი ხდება. დამთავრებული განსაცვიფრებლად შესრულებული ქრისტეს თავით, რომელიც, ყოველ შემთხვევაში, იდეური შინაარხის თვალსაზრისით მაინც პოემის კულმინაციურსა და ყველაზე გამომსახველ ნოტს, ხევა სიტყვებით რომ ვთქვათ, მის უმაღლეს სტროფს წარმოადგენს.

რუბენის ანტიპარკინის მუზეუმში

ანტვერპენის მუზეუმის პირველ დარბაზში შესვლისთანავე რუბენის შემოგებებებით მარჯვენა უზარმაზარი ტილო — „მოგვთა თაყვანისცემა“, დაწერილი მხატვრისათვის ჩვეული ოსტატობითა და სისწრაფით, როგორც ირწმუნებიან, ცამეტ დღეში დაახლოებით 1928 წელს.

1 პინდარე — კლასიკური საბერძნეთის ერთ-ერთი უდიდესი პოეტი, ცხოვრობდა დაახლოებით 522—442 წ.წ. ჩვენს წრამდე.

ესე იგი, მისი ცხოვრების საუკეთესო, შუა პერიოდში; მარცხნივ არანაყოფიერად გრძელდებოდა ქრისტეს ღვებათა ერთ-ერთი სურათია, რომელსაც „შუბის კვეთება“ ჰქვია. შემდეგ თავის მოვლებზე დარბაზს, პირდაპირ, მარჯვნივ თუ მარცხნივ, და უკვე შორიდანვე ამჩნევთ ამ თავისებურად ერთადერთს, ძლიერსა და დამატყვევებელს, მკვეთრსა და თბილ მოწახმს. — ირგვლივ რუხენსია, ისევ და ისევ რუხენსია. ხედავს კატალოგის გვირაგთ და იწყებთ დათვალიერებას. უვლიანური აღგოფრთხილებით? ყოველთვის არა. გულგრილი თუ დარჩებით როდისმე? თითქმის არასოდეს.

მოვიტან ჩემს შენიშვნებს უბის წიგნაკიდან: „მოგეთა თაყვანისცემა“ პარაზის შემდეგ ამოცემების უკვე მეოთხე ვერსიას, ოდონდ ამჟერად საგრძნობლად შეცვლილი. აქ ვერ ვხედავთ შესრულების ისეთ გულმოდგინებას, როგორც ბრიუსელის სურათშია, ისეთ დასრულებულობას, როგორც მებღღუნისეულშია. მაგრამ აქ იგრძნობა უფრო მეტი შემართება, თვალთახედვის სიფართოვე, გაქანება, თავდაქრებულობა, რაბაც ასეთივე სიმტკიცით იშვიათად აქვდნის იგი სხვა თავის მშვიდ ნაწარმოებებში. ეს კერძო მარტივი გვირგვინია, მით უფრო გახსოვარი, რომ სურათი იმპროვიზაციის სისწრაფითაა შეხრულებული. აქ ვერ ვხედავთ ვერც ერთ მარჯვნივ, ვერც ერთ უხეშ ხაზს. ჭარბად დაფენილი ნათელი ნახევარტონი, რომელსაც არ ახლავს არავითარი სინათლის მკაფიო ლაქა, გარს შემოხვევთა შემჭიდროვებულ ფიგურებს, ამასთან იგი სულაც არ ახშობს მათ ფერებს და წარმოქმნის უამრავ იშვიათ ვალიორებს, წამოიჭრად მიგნებულს, მაგრამ მაინც ცხოვრებისეულად მართლად, ხალცრად ფაქიზს, მაგრამ მაინც ხავსებით გარკვეულს.

მეხინჯი ტიპებს გვერდით სურათზე მრავლადია წყნად აღებული, ხწორნაკეთიანი სახეები, არჩეულულებრივია აფრიკელი მოგვის ფიგურა, რომელსაც აქვს ბრტყელი სახე, მსხვილი ტურბი, მოწითალო კანი, უცნაურად ანთებული ვიობა თვლები და სიმსუქნისაგან ძლივსდა ტრულა ფარშევანგის ლურჯ ბუშბულისფერსახელოებიან ქურქში: მას უმეტესად აღფრთოვანებით შეხედვობდნენ ტანტორიტოც, ტიციანიც და ვერონეზიც. მარცხნივ საწერიო პალაში ორი კოლონალური, ძალზე თავისებური ანგლო-ფლამანდიური ხტილის მხედარია; ფერების მხრივ — შავის, მომწვანო-მოცისფრო, ყავისფერისა და თეთრის ჩამქრალი მარმონით — იგი სურათის ყველაზე იშვიათი მონაკვეთია. ამას მიუმატეთ ყველაზე უხვი, ყველაზე გამჭვირვალე და ბუნებრივად აღმშენებლური ნუბიელი მეაქლეშეები; მკორებარბხვანო პერსონაჟები, ჩანქოსანი

ხალხი, ზანგები! მიუმატეთ ხის კოჭზე მოქანავი ახლახუდა, ხუთ ქვემოთ კი ხაის თავი — ხახილდახილო ჩანახატი, შესრულებული ასფალტის რამდენიმე მოწახმად, რომელსაც მაინცდა-მაინც არა აქვს დიდი შენიშნულობა და კალმის უბრალო მოხმას გვაფრთხილებს: „ხაუცხოა; იგი ერთ-ერთი საუკეთესოა“ რუხენის წმინდა ფერწერულ ქმნილებათა შორის. ეს არის უკანასკნელი სიტყვა მხატვრის მიერ კოლონიის გაფებისა და მისი ტექნიკური მხატვრობისა, რომელსაც მისი ბილვა ნათელი და წუთიერი იყოს, როცა ფუნჯს ხწრაფად და ხაფულდაფულად ფლობდა, როდესაც წერდა სრულად ძალდაუტანებლად; ეს სურათი — ტრიუმფია შთაგონებისა, ცოდნისა და საკუთარი თავის რწმენისა.

„შუბის კვეთება“ არამწყობრივ სურათია, თვალში მოგხვდებოთ დიდი სივარდილე, სიმკვავორო, სადრავთა ვეება, რამდენიმე თვითნებური ლაქები, რომლებიც თავისთავად მშვენიერნი არიან, თავიანთი შეხამებით კი — ხერცხონი. მერისმეტად დამოუკიდებელი, ცუდად მისადაგებელი ორი წითელი ლაქა გვაოცებს ფეკისი დისონანსით, დვთისმშობელი ძალიან კარგია, თუმცა მისი ქესტი ახალი არ არის, ქრისტე ნაკლებად საყურადღებოა, იოანე მოცოქული — მეხინჯი; ის ან ძლიერ გაფუჭებულია, ან — გადაწერილი, რაც ხშირად შეინიშნება რუხენსთანაც და ფერწერულობისაკენ და ძლიერი აღტკინებისაკენ მიდრეკილ სხვა მხატვრებთანაც. საუკეთესოა სურათის ის ადგილები, რაზედაც მხატვრის წარმოსახვა შემთხვევითაა შეჩერებული. ასეთია დვთისმშობლის თავი, ასეთია ქვარზე მოკრუნჩხული ორი ავაზაკი. ყველას კი მაინც ჩაფხუტიათ და შევაბქრიან ქარისკაცი ხეობდა. იგი ბოროტი ავაზაკის მიერ ქვარზე მიდგმული კიბიდან ჩამოღის და თავაწიული გვერდზე ბრუნდება. საუცხოოა ცის ფონზე მკაფიოდ გამოკვეთილი ლურჯა და წაბლა ცხენების შეხამება, და მაინც მიუხედავად ცალკეული ადგილის მაღალი ღირსებისა და ციმბილოვანი ტემპერამენტისა, მიუხედავად იმიხა, რომ ყველგან იგრძნობა მხატვრის ხელი, ნაწარმოები მოკლებულია მთლიანობას, იგი თითქოს ცალკე ფრაგმენტებადაა ჩაფაქრებული. მაგრამ თავისთავად, ცალ-ცალკე აღებული ამ მონაკვეთებს წარმოდგენის მოცემა შეუძლიათ რუხენის შემოქმედების საუკეთესო ფურცლებზე.

„სამება“ რაკურსით გამოხატული თავისი ცნობილი ქრისტეთი — რუხენის ხუთ ახალგაზრდობისდროინდელი ნაწარმოებია, შექმნილი მხატვრის იტალიაში გამგზავრებამდე. ეს ლამაზი დებიუტია, მაგრამ, იმავე დროს, ცივი, მშრალი, გაკრიადებული და უფერულია; ადამიანის სხე-

უღის ფორმის გაწერაში, პირისახეთა ტიპები-
სა და ხედვების მოქნილობაში აქ უკვე იჭრებო-
ბა რუბენის სტილის ჩანახაზი, მისი სხვა თვი-
ხებში კი უფრო მოგვიანებით გამოვლავლდუ-
ბა. ამიტომაც, თუ სურათის გრავიურა „შეა-
რად მოგვაგონებს რუბენს, თვითონ სურათი
არაფერს გვეუბნება იმის შესახებ, რად იქცეო-
და რუბენი ათი წლის შემდეგ...

„დღისმშობლის აღზრდა“ უველანზე მომ-
ხიბვლელი დეკორატიული ფანტაზიაა, როგო-
რც კი სადმე შეიძლება ნახოს კაცმა. ეს პა-
ტარა პანო, რომელიც სამლოცველოსთვის ანდა
საცხოვრებელი სახლისთვის უნდა იყოს დაწე-
რილი, თვალს უფრო ახარებს, ვიდრე სულს
ეუბნება რამეს. ის შეუდარებელია თავისი სიმ-
შვენიერითა და სინაზით, მდიდრულობითა და
ფერთა სიღრმით. ღამაშია წითელი და შავი
ტონები, სულ მალეა სადაფისა და ვერცხლის-
ფერის ცვალებადი ელფერი, აელვარებულ ღაუ-
ვარზე კი — უვანელთა დარი ორი ვარდის-
ფერი ანგელოზი. გამოაკელით ამ სურათს წმ.
ანას და წმ. იოაკიმის ფიგურები, დატოვებ
დღისმშობელი ორ ფრთხან ფიგურასთან ერთად,
რომლებიც ოლიმპოდანაც ისევ შეიძლება იყ-
ვნენ მოსულნი, როგორც სამოთხედან და ხელთ
შეგრიბათ ერთ-ერთი უმშვენიერესი ქალის
პორტრეტი, რაც კი რუბენს ოდესმე ჩაუფიქ-
რებია, აუმაღლებია ალფგორიული პორტრეტის
ფორმამდე და საკურთხევლის პატივ უქცევია...

გვერდს ავუვლი „წმ. ეკატერინეს“, მოზრ-
დილ ტილოს — „ქრისტეს ქვარცმას და დღის-
მშობლის ტარის „გარდასახვის“ მცარეფორ-
მატან განმეორებას. ხტობს, ნულა მივაქცევთ
ამთ ყურადღებას, რათა დაუფარავი მღვდელ-
რებით რაც შეიძლება მაღე ვნახოთ სურათი,
რომელიც თითქმის ნაწილობრივია სახელგანთქმუ-
ლი, მაგრამ მაინც განსაცვიფრებელ შედეგს
წარმოადგენს და დიდად სასიქადულოც არის
რუბენის გენიისათვის. მე მხედველობაში მაქვს
„ზიარება წმ. ფრანცისკო ასიზელისა“.

თქვენს წინაშე მომავლადვი აღამიანი. მოძლ-
ვარი მას წმინდა ზიარებას უწევს. თვალცრემ-
ლიანი ბერები გარშემორტყმიან მომავლადვს,
ეხმარებან და ხელს აშველებენ — ასეთია სუ-
რათის სინაზისი. წმინდანი შიშველია, მოძლ-
ვარს მოჰქრავილი შესამოსელი აცვია, რო-
მელსაც ოდნავ დაჰკრავს ჳიაფერი. ორთავ მე-
დავითნეს ზეთის სტოლანი მოხავთ, ბერებს —
მუქი ყავისფერი და მონაცრისფრო უბეში შა-
ლის ანაფორები. სურათზეა მოღუშული, ვიწრო
სადგომი, მოწითალო გავადაკი, მოღუშრჯო
ცის ნაგლეჯი და, ზუსტად წმინდანის თავზემოთ,
ღაფვარდოვან გამოწაშუქში ხაში ციურის ფრინ-
ველის დარი ვარდისფერი ანგელოზი, გაცხებროვ-

ნებულსა და ნაზ შორავანდს რომ ჳმინან. უველან-
ზე ჩვეულებრივი ელემენტები, უველანზე მრუბე
ფერები, უველანზე მკაცრი ქარმოწი — ასეთია ამ
სურათის გარეგნული სახე. თვალის ერთი მოვ-
ლენითაც დაინახავთ მხოლოდ მკაცრი სტილით,
ახალტით დაწერილ ფერთ-ტონურ ქველ-
ფერი მიმქრალია — შორიდან მკვეთრად მხოლოდ
ხაში ღაქა გვერდით თვალში; ღონეშიბდილი და
მკვდრისფერი წმინდანი; წმინდა ზიარება, რომ-
ლისკენაც დახრილა იგი; და ზევით — თავისი სი-
ნაზით საოცრად შეტყველი სამკურთხედის წვერზე
— უსაზღვროებაში ვარდისფერისა და ღაფვარ-
დისფერის გამოკრთომა, ცის გახსნა და ღომილი
მისი, რაც, გარწმუნებთ, უველას გვეირდება. აქ
ვერადერს ნახავთ ზედმეტსა და შემთხვევითს —
ვერც ბრწყინვალეებას, ვერც გაშმაგებას, ვერც
სხეულთა მოძრაობას, ვერც ბელოვანურ გრაცი-
ოსა და ვერც ღამაზ ტანსაცმელს. აქ მხოლოდ
სამოწმებო ცხოვრება, მისი უველანზე სადღუ-
სასწაულო მომენტია წარმოსახული. თქვენ
წინაშეა ხანითა და ასკეტური ცხოვრებით დაუძ-
ლურებული, აგონიაში მყოფი აღამიანი. იგი
ტოვებს თავის სახიკვდილო ხარცეულს და
ბრძანებს მიიყვანონ საკურთხეველთან, მას იქ
სურს სიკვდილი. სურს წმინდა ზიარე-
ბის მიღება და ეშინია, სული მანამ-
დე არ განუტეოვს, სანამ ზიარება მის
ხაგვს შეეხება. ცდილობს დაჩოქებას, მაგრამ
ვერ ახერხებს, წართმეული აქვს საძრაობა, სიკ-
ვდილის მაუწყებელი სიცივის ფრები შეუბოძ-
კავს, ხედები თითქმის რაღაცას უბოვნისო —
ეს სიკვდილის მოახლოების უტყუარი ნიშანია.
იგი უცნაურად დაღრცეულია, თითქმის ღრმობით
რამე და, უმბვილია მუხლებიც მოეკვეთებოდა,
აქეთ-იქიდან რომ არ ამოედგომოდნენ. სიცოცხ-
ლე მარტო მის ღია ცისფერ, წყლიანსა და ატ-
ნებულ, შუშისებურ, გაწითლებულსა და უკა-
ნასკნელი ხილვის ექსტაზით გაფართოებულ ვიწ-
რო თვალებს შერჩენიათ. აგონიისაგან გაღურ-
კებულ ბაგეზე უჩვეულო, მხოლოდ მომავლად-
ვისათვის დამახასიათებელი ღმილი უკრთის. უჩ-
ვეულოა ეს ღმილი წმინდანისა, რადგან მას
სწამს, იმედი აქვს, აღსასრულს ელის, ნეტარი-
ბას მიეწრაფვის და ზიარებას ისევ უყურებს,
როგორც თავად ღმერთს შეხედავდა.

იჩველია უველან ტარის, ტარიან დარბაისელი
აღამიანები, ძლიერნი, გაჭირვება გამოვლილნი და
თვინიერნი. მწუხარება არასოდეს ყოფილა უფ-
რო გულწრფელი და გადამღები, ვიდრე ამ გა-
რჩენულად უბეში და უაღრესად მორწმუნე აღა-
მიანთა ვეკაცური და ნაზი მწუხარებაა. ზოგს
თავი შეუკავებია, ზოგი ჳვითინებს, მათ შორის
ახალგაზრდებიც არიან, მსუქნებიც, წითურნიც
და წარმოსადგენიც, რომლებიც მკერდში ხელს

იცემენ, და ვისი მწუხარებაც ზარს ემგვანებოდა, მისი მოსმენა რომ შეიძლებოდა. ერთი ჭაღარა და მელოტი, ესპანელის იერიანი ბერი — ჩავარდნილი ლოყები, ახელი წვერი და გამწვანებული უღვაშები რომ აქვს, წყნარად სლუკუნებს, სახეზე ისეთი კაცის გრიმასა აღბეჭდვია, თავს რომ იკავებს, მაგრამ კბილს მაინც კბილზე აცემინებს. უველა ეს შესანიშნავი თავი — პორტრეტია, ტიპები კი განსაკუთრებულად მართალია. ნახატი გულუბრყვილო, ოსტატური და ძლიერია. კოლორიტი შეუდარებელია თავისი თავშეკავებულობით, ნაწი გადახვლებითა და სიღამაშით. ერთად შექუჩებულია შიშველი თავები, დეკორატიული ხელები ერთმანეთზეა გადაჭვრდილებული, გამოხედვა უველას დაძაბული აქვს, იშვიათ, ვინც მღელვარებისაგან აწითლებულა, იშვიათ, ვისაც, პირიქით — მღელვარებისაგან გათანგულს, სპილოს ძვლის ფერი დახდებია. ორი მხახურიდან ერთ-ერთს საცეცხლური უჭირავს, თანაც სახელოს უოშით თვალებს იწმენდს; მთელი ეს ჯგუფი — სხვადასხვაგვარად შეძრწუნებული, თავშეკავებული და აქვითინებული ხალხი — წრედ შემორტყმია ამ მომავდავი ადამიანის თავისებურად ერთადერთ თავს და პატარა ნახევარმთვარის დარ წმინდა ზიარებას, რომელიც გაფითრებული ხელით მოძღვარს უპყრია. ყოველივე ეს, ვფიქროვ, არნახულად მშვენიერია.

ამ ფურცლის მორალური მნიშვნელობა განსაკუთრებულია რუბენსის ამ ნაწარმოებთან შორის, რომლებიც ანტვერპენში იწახება, და — ვინ იცის, შესაძლოა, იგი იმდენად დიდია მთელ მის შემოკმედებაში, რომ მე თითქმის მეშინია არ შევბალო მის არანაკლებ თვალსაჩინო გარეგნულ ღირებებზე საუბრისას. მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ ეს უდიდესი ადამიანი არასოდეს ყოფილა ასეთი ბატონ-პატრონი თავისი აწრების, გრძნობებისა და ხელისა, რომ მისი კონცეფცია არასოდეს ყოფილა ამაზე უფრო ნათელი და უფრო გამჭვირავი, არასოდეს მოუცია მას ადამიანური ხულის ამაზე უფრო ღრმა გაგება. მხატვრის საღებავები არასოდეს ყოფილა უფრო კეთილშეობილური, უფრო ცოცხალი, მდიდარი და თავისუფალი ყოველგვარი მწვაობრობისაგან, არასოდეს ყოფილა იგი ასე გულმოდგინე ცალკეული დეტალის ხატვისას, არასოდეს ყოფილა ასეთი წუნდაუდებელი და სოცარო ოსტატი, ეს სასწაული ეკუთვნის 1618 წელს, რა შესანიშნავი წლებია! ცნობილი არაა, რამდენ ხანს მუშაობდა რუბენსი ამ სურათზე — იქნებ რამდენიმე დღე, მაგრამ რაინაირი უნდა ყოფილიყო ეს დღეები! ამ უბრალო სურათის დაწვრილებით შესწავლის შემდეგ, სადაც მთლიანად გადასხვაფერებულია რუბენსი, აღარაფრის-

კენ მივწევთ გული — აღარც სხვებისკენ და აღარც თავად რუბენსისკენ.

რუბენსის აკლდამა

რუბენსის აკლდამა წმ. იაკობის ეკლესიაშია. საფლავის ქვა საკურთხევლის წინაა მოთავსებული.

Non sui tantum saeculi sed et amnis aevi Apelles dici meruit! — იუწყება წარწერა.

ეს ჰიპერბოლაა თითქმის, ამასთან იგი არაფერს მატებს რუბენსის მსოფლიო დიდებას, მის უდავო უკვდავებას და არც არაფრით აკნინებს მას. მაგრამ საფლავის ქვაზე წარწერილი ზოტბისშემსხმელი ეს ორი სტრიქონი შეგვახსენებს, რომ აქ, ამ საფლავის ქვეშ განისვენებს ნეშტი უდიდესი ადამიანისა. 1640 წლის 1 ივნისს დაკრძალეს იგი. ორი წლის შემდეგ, 1642 წლის 14 მარტის ნებართვის საფუძველზე, რუბენსის ქვრივს თავისი მეუღლისათვის შეუწირავს ეს პატარა ეკლდარი და შიგ მოუთავსებიათ შესანიშნავი სურათი — „წმ. გიორგი“ — ოსტატის ეს ერთ-ერთი უაღრესად მომხიბლავი ნაწარმოები, რომელიც, თქმულების მიხედვით, მთლიანად შედგება მხატვრის ოქახის წევრთა პორტრეტული გამოსახულებებისაგან, ესე იგი, მასში წარმოსახულია მისი ერთგულება, მისი ახლობელი ადამიანები — ცოცხლებიცა და განსვენებულებიც, მისი ოქახის სევდა, იმედი, წარსული, აწმყო და მომავალი.

თქვენთვის, უბეველია, ცნობილი უნდა იყოს, რომ უველა პერსონაჟს, ვინც ამ თავისებურ „წმინდა ოქახს“ შეადგენს, საოცრად ამსგავსებენ ისტორიულ პირებს, სურათზე გვერდიგვერდაა გამოსახული რუბენსის ორივე ცოლი, უპირველეს ყოვლისა, მშვენიერი ელიენე ფაურმენტი — თექვსმეტი წლის გოგონა, რომელაც რუბენსი 1630 წელს მასზე დაქორწინდა, და მხატვრის სიკვდილისას კი სრულიად ახალგაზრდა, ოცდაექვსი წლის ქალი — ქერათმიანი, ხორცხავსე, ხანდომიანი, ნაწი, და თითქმის წილამდე გაშიშვლებული, აქვეა მხატვრის ქალიშვილი, მისი ძმისშვილი — ცნობილი ჩალისქუდიანი ფიგურა, მხატვრის მამა, პაპა, და ბოლოს, ანგელოზის სახით წარმოდგენილი უმცროსი ვაჟიშვილი, პატარა მომხიბლავი ბიჭუნა, უველაზე მშვენიერი ბავშვი, რაც კი მხატვარს ოდესმე დაუნატავს. თვითონ მხატვარი ამ სურათზე მრუმე ფოლადის-

1. „არა მარტო შენს ეპოქაში, არამედ საუკუნოდ მოგენიქა დიდები აპელესისა“ (აპელესი — ძველი საბერძნეთის უგამოჩინელები მხატვარი).

ფრად და ვერცხლისფრად მწვანადი აბჯრით შე-
მოსილი წარმგვიდგება, ხელში წმ. გიორგის
დროშა უჭირავს. დაბრუნებული, ვამბდარი და გა-
ჭაღარავებულია, თმები აბურღვია, სახეზე დრო-
ის მსახვრალი კვალი ატყვია, მაგრამ ის მშვენი-
ერია შინაგანი ცეცხლით. ყოველგვარი პოზის
და ძაღდატანების გარეშე — რკინის ტუბსაც-
ხლით ზედ შემდგარს — დაუშარცხებია გველე-
შები, რამდენი წლისა იქნებოდა რუბენის იმ
ხანებში? თუ გავიხსენებთ მხატვრის მეორე კორ-
წინების თარიღს, მეორე ცოლისა და მისგანვე
შეძენილი ბავშვის ასაკს, რუბენის, უმცირესია,
ორმოცდათექვსმეტა-ორმოცდათვრამეტი წლის
უნდა იყოს. მაშახადამე, დაახლოებით ორმოცთ
წელიწადი უნდა ყოფილიყო გახული მას შემ-
დეგ. რაც დაიწყო მისი ძლიერმოხილი, ბევრის-
თვის უძნელესი, მისთვის კი იოლი, მუდამ კე-
თილსახურველი ბრძოლა ცხოვრებასთან. რა წა-
მოწყებაში, მოღვაწეობის რა ხერხისა და რა
ბრძოლებში აღარ უდღესახწაუღია რუბენს
გამარჯვება!

ოღონდაც, რომ ხვდებზე უფრო მეტად სწო-
რედ რუბენს ბქონდა უფლები გამარჯვებულად
წარმოესახა თავი, როცა საკუთარ თავზე და
განვლელ ცხოვრებაზე ღრმად დაფიქრებული
რწმუნასა და ძალას იგრძნობდა.

როგორც ხედავთ, ხურათის ჩანაფიქრი ძალზე
მარტივია და მისი ამოცნობა არ ხატბროებს დიდ
კვლევა-ძიებას. სურათში დაფარული ემოცია
გადმოედება ყველას, ვის გულშიც ხიბობს ნა-
ტამალი მაინც მოიძებნება, ვისაც აღელვებს დი-
დებული საქმენი და შესწევს უნარი მსგავს
ადამიანებზე მოგონებებით შეიქმნას მეორე
რელიგია.

„წმ. გიორგი“ რუბენსმა თავისი შემოქმედე-
ბითი გზის დასასრულს შექმნა, როცა მისმა დი-
დებამ ზენიტს მიაღწია. შესაძლოა ეს სურათი
შრომისაგან დახვეწების საზეიმო წუთებშიც
იქმნებოდა, როცა მხატვრის წარმოსახვა გამო-
უხმობდა ღვთისმშობლის სახეს და იმ ერთადერთ
წმინდანს, ვისთვისაც რუბენსს საკუთარი იერი
მიუნიჭებია. ამ თავის მცირე ზომის (დაახლოე-
ბით ორმეტრიანი) ხურათში მხატვარმა გამოხატა
თავის ხაყვარულ ადამიანთა ყველაზე პატივსაცე-
მი და მომხიბლავი თვისება და მიუძღვნა იმათ,
ვინც იგი ამქვეყნად მოავლინა, ვინც იზიარებდა,
აღამაზებდა, ატკბობდა, აკეთილშობილებდა,
გრაჟიის ხურანელით, სინაზითა და ერთგულებით
ავსებდა მის მშვენიერ, ჭაფით ხავსე ცხოვრებას.
მხატვარმა მათ სამაგვირო მიაგო იმ სისავსეობით
და მოღიანობით, როგორც მის შთაგონებულ
ფუნჯსა და ყოვლისშემძლე გენიას ხმგეო-
და. ამ სურათში რუბენსმა ჩადო მთე-
ლი თავისი ხელოვნება, მთელი თავისი მოკრ-

ძაღება და გულმოდგინება. მან შექმნა ეს სუ-
რათი — რაღაც სასწაული, უზომოდ ამადლე-
ვებული, როგორც ქმნილება შეიქმნა, მამისა
და მერუდლისა, და რომელიც საერთო აღფრთო-
ვანებას იწვევს, როგორც ხელოვნების ნაწარ-
მოები.

უკონცეპტუა

არის თუ არა საჭირო? „წმ. გიორგი“ დაწერა?
ხურათის კომპოზიციის გასაგებად კატალოგის
შენიშვნებიც იქმარებდა. არის თუ არა საჭირო,
გესაუბროთ ხურათის განსაკუთრებულ ღირსე-
ბებზე? აქ გამოყენებულია სავსებით ჩვეულებ-
რივი ფერწერული თვისებები, მაგრამ განსაკუ-
თრებული ღირსეული ფორმითაა იგი ხორც-
შესხმული. ყოველივე ეს რუბენსზე არც ახალ-
სა და არც უფრო ამამადლებელ წარმოდგენას
არ გვიქმნის, მაგრამ, სამაგიეროდ, მხატვარს
უფრო სათუთად, უფრო გაფაქიზებულად წარ-
მოგვჩინებს. ეს გახლავთ საუკეთესო დღეების
რუბენის, გამორჩეული უფრო მეტი ბუნებრი-
ობით, სიცხადით, უშუალოდ, უკლორატო
ფერთა სიმდიდრით, ძაღდაუტანებელი ძლიერე-
ბით, უფრო სათუთი ხედვით, აღერსიანი ხე-
ლითა და გაცილებით ინტიმური, გულიანო და
ღრმა ოსტატობით. მე აქ მხატვრული ხელობის
ტერმინები რომ მომეშველდნენა, დავამახინებ-
დი ამ თითქმის მოუხედეტებელ თავისებურების
მქონე სურათის დიდ ნაწილს. ამ თავისებურება-
ზე, თუ კი მოისურვებთ მათი ხასიათისა და
ღირებულების გადმოცემას, მხოლოდ წმინდა
ხულიერი ენით შეიძლება საუბარი. რამდენა-
დაც იოლი იყო ჩემთვის მესაუბრა მებეღინის
„სასწაულებრივი თევზის პერის“ ტექნიკის გამო,
იმდენად მართებულად მერჩვენება მისგან განგ-
თავისუფლებულიყოფა და სამიტყველო ენა და-
მებეჭა. როდესაც რუბენის „წმ. ფრანცისკო
ახიზელის ზიარების“ კონცეპტუალური მადლდება,
ანდა, როცა მისი შესრულება ერთდროულად
აღსავსეა აზრით, გრძნობით, გზნებით. შემეცნე-
ბით, სინაზით იმათ მიმართ ვისაც ჩატავს, აღ-
სავსეა სიყვარულით იმის მიმართ, რასაც აკეთებს,
ერთი ხიტყვით, როდესაც მისდევს თავის იდე-
ალს, როგორცაა ხურათში „წმ. გიორგი“.

როდესმე მოუღწევია თუ არა რუბენსს უფრო
მეტად სრულყოფილსათვის? არა მგონია. ყოფილა
თუ არა როდესმე ასევე სრულყოფილი? არხად
არ შემიწინავეს. დიდ მხატვართა შემოქმედებაში
არის ხოლმე წინდაწინ განსაზღვრული ნა-
წარმოები — არცთუ ყველაზე დიდი, და არც
თუ ყოველთვის ყველაზე ოსტატური, ხანდა-
ხან კი პირიქით, ყველაზე უბრალო, რომელიც
ადამიანისა და ოსტატის ყოველგვარი ნიჭის
მოულოდნელი შერწყმის წყალობით, თითქო-
და მათსავე შეუცნობლად, გამოხატავს მათი
გენიის ყველაზე ღრმა არსს. „წმ. გიორგი“

სწორედ ასეთ ქმნილებათა რიცხვს შეეკუთვნება.

ამასთან, ეს სურათი, რომელიც რუბენის სიკაცობის მაწურაფლს თუ არა, უკველ-
შემთხვევაში, მისი ცხოვრების საუცხოო ბოლო
წლებს მაინც გამოხატავს სიმბოლურად, შე-
მოკმდებელი სულიანათვის არც თუ უცხო თა-
ვისებური დიდი თავმოწონებით გვიჩვენებს,
რომ ამ დიდებული მხატვრისათვის უცხო იყო
დადლა, მოშვებულობა თუ დაცემა. ოცდათხუთ-
შეტი წელიწადი მაინც აშორებს ერთმანეთს
ანტერპენის მუზეუმის „სამებასა“ და „წმ. ვი-
ორგის“, მაგრამ ამ ორიდან რომელია სურათი
უფრო ახალგაზრდული? როდესაც მხატვარს
შქონდა მეტი ცეცხლი, ყველაფრისადმი უფრო
მგწნებარე სიყვარული, თავისი გენიის გამე-
ღავნების მეტი მოქნილობა?

რუბენის ცხოვრება თითქმის დასრულდა.
შეიძლება იგი შევაჯამოთ და შევაჯამოთ.
მხატვარმა თითქმის თავისი ცხოვრების დასას-
რული დაინახა სწორედ იმ დღეს, როდესაც
საკუთარი თავი ყველა ახლოხელთან ერთად
დიდებით შემოსა და საბოლოოდ დაიდგა ძეგ-
ლი. მას ისევ, როგორც ბევრ სხვა ვინმეს,
უკველვარი შედეგურობის გარეშე, გულდაჭე-
რებით შეეძლო ამის თქმა. რუბენს ამ დროს,
სულ დიდი, ხუთ-ექვსი წლის სიკაცობედა
შქონდა დარჩენილი. აი, ის, ბედნიერი, მშვიდი,
პოლიტიკით მოყვრებული, ელჩის მოვალეობაზე
უარი რომ უთქვამს და ძლივს საკუთარი თავის
ბატონ-პატრონი გამხდარა. კარგად გამოიყენა
თუ არა რუბენსმა ცხოვრება? იყო თუ არა
მთლიანად ღირსა თავისი ქვეყნის, ეპოქისა და
საკუთარი თავისა? გამორჩეული ნიჭი შქონდა,
როგორ გამოიყენა იგი? ბედმა უხვად დააქილ-
და, შეძლო თუ არა ესარგებლა ბედის წყა-
ლობით? მას დიდ ცხოვრებაში — რომელიც
იყო ასე ნათელი და მთლიანი, ბრწყინვალე და
ბოლოვარი, ამასთან, თავის ხალხარ პერსპექტივ-
ში ასე წმინდა და უმწიკდლო, ზეიადი და უბ-
რალა, მშფოთვარე და წვრილმანებისაგან თა-
ვისუფალი, ათასი რამით დაკავებული და ნა-
ყოფიერი — იპყვით თუ არა სინანულის მომ-
გვრელ რამე დაქას? ბედნიერი იყო, მაგრამ
ხომ არ ყოფილა, ამავე დროს, უმადური? ჭირ-
ვარამიკ შქონია თავისი — გამოუხატავს თუ
არა როდისმე სიმწიის გრძნობა? ამ ქვეყნად
ბყვარება ბევრი, ამასთან, მხურვალედ, —
შეეძლო თუ არა იოლად დავიწყება?

რუბენს დაიბადა ზეგენში, მისი მშობლების
გადასახლებაში უოტნის დროს; დედამისი მე-
ტისმეტად პატოსანი და დიდსულოვანი ადამი-
ანი იყო, მამა — განათლებული კაცი, სწავლუ-
ლი დოქტორი, მაგრამ ფუქსავატი, არცთუ ძა-

ლიან სინდისიერი და შერყევი სახითისა.
თათხმეტი წლის რუბენს პრინციპსთან პაყად
მის, ჩველმეტი წლისა კი — სახელოსნოებში.
იგი ოცი წლისა უკვე მოწიფული მხატვარა. გა-
ნათლების მიღების შინაით მოგზაურობას იწყებს.
ოცდაცხრა წლისა ისეთადვე ტყუილად ბრუნ-
დება სამშობლოში, როგორც უცხოეთში მოპო-
ვებული გამარჯვების შემდეგ ბრუნდებიან. სწი-
რად გამოქვამენ ხოლმე მხატვრის ეტაუდების
ნახვის სურვილს, მაგრამ მას მხოლოდ დასრუ-
ლებული ნაწარმოებების ჩვენება შეუძლია.
ყველგან, სადაც კი რუბენი ყოფილა, მხოლოდ
სურათები დაუტოვებია, რომლებიც თავდაპირ-
ველად კაცს უცნაურად მოეჩვენება, მაგრამ
შალე გასაგები და მოსაწონი ხდება. ულანდრიის
სახელით მან დაიპყრო იტალია, თითოეული ქა-
ლაქში დატოვა თავისი იქ ყოფნის კვალი და
ამ გზებზე გავლით საკუთარ თავსაც და სამ-
შობლოსაც დადებდა მოუპოვია. კიდევ რაღაც
უფრო დიდი — იტალიისათვის მანამდე უც-
ნობი ხელოვნება, რუბენსმა მოგზაურობიდან
ნადავლის სახით ჩამოიტანა — მარმარილოს
ქანდაკებები, გრავიურები, სურათები, საუკე-
თესო ოხტატა შესანიშნავი ნაწარმოებები,
უფრო მეტიც, ჩამოიტანა ეროვნული ხელოვ-
ნება, უაღრესად ფართო გაქანებისა და თავი-
სი შესაძლებლობებით ხალხრად უჩვეულო
ახალი ხელოვნება.

ამასთან ერთად, რაც უფრო ფართოდ ვრცელ-
დება რუბენის დიდება, და რაც უფრო შორ-
სა მდებს იგი თავის სხივებს, რაც უფრო მეტ
ადიარებას პოულობს მისი ნიჭი, რუბენს თით-
ქმის იზრდება: თვალსაწიერი უფართოვდება,
უნარი უათმაგდება, საკუთარი თავისა და სხვე-
რის მიმართ მომთხოვნელობა უმკაცრდება.
იყო თუ არა რუბენი გამჭრიახი პოლიტიკოსი?
მე მგონია, მთელი მისი პოლიტიკა იმაში
გამოიხატებოდა, რომ ის ნათლად, უტყუარად,
ღირსებით აღიქვამდა და გადასცემდა თავის
მზრდანებელთა ნებას და სურვილს, ვისაც კი
ხვდებოდა, ყველას ხიბლავდა თავისი წარმო-
სადგომით, კეთილ, კულტურით, საუბრით,
სახითით, მაგრამ ყველაზე მეტად მათ ინადი-
რებდა თავისი მხატვრული გენიის დაუცხრო-
მელი მზნეობით. ის სწირად გამოჩნდებოდა
ხოლმე დიდი ზეიმურობით, წარმოადგენდა თა-
ვისი რწმუნებულობის სიგელს, მართავდა დარ-
ბისლურ საუბრებს, წერდა სურათებს, სა-
ტავდა მეფეებისა და პრინციების პორტრე-
ტებს, ქმნიდა მითოლოგიურ სურათებს სასახ-
ლეებისათვის, რელიგიურს — ტაძრებისათვის.
ძნელი სათქმელია, ვინ სარგებლობდა უფრო
მეტი ნდობით: პატერ პაუელ რუბენი —
მხატვარი თუ კავადერი — რუბენი —

სრულუფლებიანი ელჩი. მაგრამ სრული საფუძველი არსებობს ვივარაუდოთ, რომ მხატვარი, გაუგებარია ჩანაირად, მაგრამ ეხმარებოდა დიპლომატს. იმათდა სასიხარულოდ, ვინაც იგი სიტყვითა და ტალანტით სამხატვროს უწევდა, რუბენსი ყველაფერში წარმატებით აღწევდა. ცალკეული სიძნელე, დაბრკოლება და იშვიათი უსიამოვნებანი, ნაღველით რომ ავსებდა მის მოგზაურობას, როცა საქმეები უცნაურად ეხლართებოდა ნადიმებს, კავალადებსა და ფერწერას, არასოდეს არ წარმოსდგებოდა მისი მხრძანებლისაგან. ნამდვილი პოლიტიკოსები უფრო წვრილმანი და ნაკლებად დამყოფნი იყვნენ. ამის დამადასტურებლად შეიძლება მოვიტანოთ ბოლანდიასი რუბენსის უკანასკნელ მისიასთან დაკავშირებული რუბენსისა და არსხოტის პერცოგ ფილიპ არენბერგის დავა.¹ იყო თუ არა ეს ერთადერთი შეურაცხყოფა, რის მოთმენაც მოუხდა რუბენსს ასეთი საჩოთირო მოვალეობის შესრულებისას? ყოველ შემთხვევაში, შორიდან მხოლოდ ეს ერთადერთი დრუბელი მოჩანს, უსიამოვნების ჩრდილს რომ აყენებს მხატვრის გასწავლულ ცხოვრებას, დანარჩენ შემთხვევაში, ის ბედნიერი იყო. მისი ცხოვრება თავიდან ბოლომდე არის ერთ-ერთი მაგალითთაგანი, რაც ცხოვრების მიმართ სიყვარულს შთაგვაგონებს, და ყოველგვარ ვითარებაში ეს ადამიანი სასიყვარულო კაცობრიობისათვის.

რუბენსი შესანიშნავი გარეგნობის, საუცხოოდ აღზრდილი და განათლებული ადამიანი იყო. ის თავისი პირველი ხანმოკლე დაწყებითი სწავლების შემყიდრეობად იწახვდა ენების სიყვარულს და ადვილად ეუფლებოდა მათ. ის წერდა და ლაპარაკობდა ლათინურად, უყვარდა აზრიანი და სასარგებლო კითხვა. მუშაობის დროს უკითხავდნენ პლუტარქესა და სენეკას და ის ერთნაირად ყურადღებოანი იყო როგორც კითხვის, ისე ფერწერის მიმართ. ცხოვრობდა უდიდეს ფუფუნებაში, ჰქონდა ბრწყინვალე სახლი, მუავდა საუცხოო ჭიშის ცხენები და საღამო-

ბით ხერხობდა ამ ცხენებით. ფლობდა მხატვრული საგნების უნიკალურ კოლექციას, რითაც ტკბებოდა მოცალეობის უამრავი გულგრილი და მეთოდური იყო პირად ცხოვრებაში, თავისი სამუშაოს განაწილებაში, გონების დისციპლინირებაში და საკუთარი გონის თავისებურ გამოჯანსაღებელსა თუ განმამტკიცებელ მიგონებაში. ის იყო უბრალო და ყოველთვის აუჩქარებელი, სამაგალითოდ ერთგული მეგობარი, თანაუგრძნობი ყველა ნიჭიერ ადამიანს, საზღვარდაუდებლად იცოდა დამწყებთა მიმართ დახმარების აღმოჩენა. არ არსებობდა რაიმე წარმატება საქმეები სიტყვით ან კიხით ხელი რომ არ მოეშართა. ადრიან ბრაუერთან ურთიერთობაში მხატვრის უსასრულო მოთმენება ადამიანებისადმი კეთილმოხურეობით აღსავსე მისი ცხოვრების ხასხებით დამახასიათებელი ეპიზოდი და მეგობრული სოლიდარობის ერთ-ერთი უაღრესად საინტერესო დასტურია, ის ყოველგვარ მშვენიერებას აღმერთებდა და სიკეთისაგან არ გამოაცალკევებდა მას.

რუბენსი ისე შეხვდა თავისი ბრწყინვალე ოფიციალური ცხოვრების სხვადასხვა შემთხვევებს, რომ არაფერს უცდუნებია, არ გადასდგომია საკუთარ ხასიათსა და არხებითად არ დაურღვევია თავისი ოჯახური ჩვეულებანი. ის არც სიმდიდრესა და არც აღიარებას არ გაუნებიერებია. ქალებს ისევე, როგორც ბელისუფალთ, გადაჰარბებულ ყურადღებას არ აქცევდა და ამიტომ არაფერი ვიცით, ჰქონდა თუ არა აშკარა სასიყვარულო ურთიერთობა ვინმესთან, პარიკით, რუბენსს მუდამ შინ ხედავდნენ, წესიერი ოჯახური ცხოვრების გარემოში: 1608 წლიდან 1620 წლამდე პირველ ცოლთან ერთად, 1620 წლის შემდეგ კი მეორე ცოლთან. ის ყოველთვის გარემოცულია თავისი ლაშაზი, მრავალრიცხოვანი შვილებით და ერთგული მეგობრებით, ხვადგარად რომ ვთქვათ — გარემოცულია სიყვარულით, თავშეპყვითა და მოვალეობით, ესე იგი, ყოველივე იმით, რაც ხელს უწყობს მხატვრის სულიერ წონასწორობას და ეხმარება, იოლად, ბუმბერაზის ბუნებრიობით ატაროს ყოველდღიური არაადამიანური შრომის ტვირთი. ყველაფერი მარტივადაა მის რთულ, სასიამოვნოსა თუ ილუზიის წამრთმევ საქმიანობაში, ყველაფერი აღლმართალია მხატვრის უნაღვლო გარემოში. მთელი მისი ცხოვრება თვალნათლივ წარმოგვიდგება, იგი, მისი სურათებით, დღის კაშკაშა სინათლითაა განათებული. ვერ ვამჩნევთ მასში რაიმე ხაიდუმლოს, ჩრდილსა და ვერც ნაღველს — პირველი ცოლის სიკვდილით გამოწვეული გულწრფელი მწუხარების გარდა, —

1. 1632 წელს რუბენსს დაევალი ორანის პრინცთან მოლაპარაკება. ეს მისია, ბოლანდიასთან ზავის დადებას რომ ითვალისწინებდა, წარმატებით ვერ დასრულდა. რუბენსმა ანტვერპენში დაბრუნების შემდეგ შეურაცხმყოფელი წერილი მიიღო არსხოტის პერცოგის ფილიპ არენბერგისგან, რომელსაც უკვე მოესწრო მხატვარი-დიპლომატის უმაღლეს ხელისუფალთან გაბიაბრუება. რუბენსის დიპლომატიურ კარიერაში ამ ერთადერთმა ინციდენტმა მხატვარი აიძულა უარი ეთქვა თანამდებობაზე.

არაფერი მის ცხოვრებაში გამოუცნობი, ექ-ვის აღმძვრელი, რაიმე ვარაუდისათვის საბაბის მიშცემი. ბნელით მოცული ერთადერთი რამ არის მხოლოდ — ხაიღუმლოება განუწმლად დიდი შემოქმედებითი ნაყოფიერებისა.

„იგი შევბას სამყაროთა შექმნაში პოულობ-და“¹ — წერდნენ რუბენსზე. ამ მახვილგონივ-რულ განსაზღვრაში ხადავოდ მხოლოდ ერთი სიტყვა მამანია — „შევა“, რომელიც თავის თავში ვარაუდობს დაძაბულობასა და ტვირთ-მძიმობას, რაც უცხო იყო რუბენსის ჯანსაღი, მოუღწევი გონებისათვის. რუბენსი ქმნიდა ისევ, როგორც ზე იძლევა თავის ნაყოფს — ძაღდაუტანებლად, ყოველგვარი დაძაბულობის გარეშე. როდისღა ახერხებდა ფიქრს?

*Diu nocturne incubando*² — ასეთი იყო მი-სი ლათინური დევიზი. ეს იმას ნიშნავს, რომ სანამ ხატვას შეუდგებოდა, ფიქრობდა. ეს ჩანს მხატვრის ესკიზებიდან, პროექტებიდან თუ ჩანახატებიდან, და მართლაც, მისი ფუნჯის იმპროვიზაცია უშუალოდ მიჰყვება გონების იმპროვიზაციას: ერთნაირი დაჯერებულობა და გამოხატვის ერთნაირი სიმსუბუქე იჩენს თავს როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში. მისი სულიანობის უცხო იყო სევდა და სასოწარკ-ვეთა, ტანჯვა-ვაების ილუზიები. ეგებ მის მომეტებულ ჯაფას სადღე კვალაც დაუტოვებია, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ეს არ იგრძნობა არც რუბენსის ხანზე და არც მის ხუროთბში. XVI საუკუნეში დაბადებული ეკუთვნოდა მო-აზროვნე და საქმიან ადამიანთა იმ ძლიერ ჯილბას, რომელთა აზრი და მოქმედებაც ერთ მთლიანს შეადგენდა. რუბენსი ისევ იყო მხატ-ვარი, როგორც მეომარი შეიძლება ყოფილი-ყო. ის ქმნიდა ხუროთბში, ისევ როგორც შეიძლე-ბოდა ეომა და ამ ხუროთბში იმდენსავე გულ-გრილობას ხდებდა, რამდენსაც ვნებას. მშვე-ნიერად შეერქლო აწონ-დაწონა და უცბად გა-დაწყვეტა, დანარჩენში კი საკუთარი თავისი ერთგულებას ენდობოდა. ის ხატვას იღებდა ისეთებს, როგორნიც სინამდვილეში არიან, თავის საუცხოო ნიჭსა და უნარს კი იმდაგვარს — როგორიც ნაბოძები ჰქონდა. იგი ამ ნიჭსა და უნარს აფარჯიშებდა ისე, როგორც სხვა არავინ, და განავითარებდა იმ დონემდე, რომლის იქით მას ვეღარაფერს მოსთხოვდა; შემდეგ კი დამშ-ვიდებული სინდისით აგრძელებდა თავის საქ-მეს.

რუბენსს შექმნილი აქვს ათას ხუთასამდე ნა-წარმოები: ეს ყველაზე დიდი პროდუქტიულო-

ბაა, რისთვისაც ოდესმე მიუღწევია ადამიანს. რამდენიმე ნაყოფიერი მხატვრის ცხოვრების შეერთება იქნებოდა საჭირო ამ ციფრის მისა-ახლოებლად. თუ რაოდენობისაგან დამოუკი-დებლად გავითვალისწინებთ რუბენსის სურათ-თა ღირსებას, მათ ზომასა და სიჭრულებს, მა-შინ თავიწინ გადაგვუშლებოდა ჰუმბოლტად განსაცვიფრებელი, ადამიანურ შესაძლებლობაზე უაღრესად უდიდესი წარმოდგენის მომცემი ხა-ნახატა. ქედს გვახრევინებს მხატვრის თავა-თახედვის სიფართოვე და სულის სიძლიერე. ამ თავისაზრისით რუბენსი ერთადერთია; ყოველ შემთხვევაში, კაცობრიობის ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენელია. ჩვენს ხელოვნებაში უნდა ამოვღოთ რაფაელამდე, ლეონარდომდე, მი-ქელანჯელომდე, ნახევრად ღმერთებამდე, რომ იპოვოთ რუბენსის ბადალი ოსტატები, რომ-ლებიც რამდენადმე მისი მასწავლებლებიც იყვნენ.

რუბენსს ყველაფერი ჰქონდა ამქვეყნად, გარდა, როგორც იტყვიან, უწმინდესი და უკი-თილშობილისი გატაცებებისა და მართლაც, მშვენიერებათა სამყაროში ორი-სამი გონება თუ მოიძებნება, მასზე შორს რომ წასულიყო, უფრო მაღლა რომ აეღწიოს და ამიტომაც უფ-რო ახლოდან ეხილოს ღვთაებრივი ნათელი და მარადიული ჰუმბოლტება. ასევე სულიერ ღირებულებათა სამყაროშიც, გრძნობების, ხილვებისა თუ ოცნებათა სამყაროშიც არის სიღ-რმეობა, სადაც მხოლოდ და მხოლოდ რეზბ-რანდტმა ჩააღწია, რუბენსისათვის ყოველივე ეს უცხო ღარბა, მას მისი არსებობაც კი აეჭ-ვებდა. სამაგიეროდ, დედამიწაზე მბრძანებლობ-და ისე, როგორც სხვა არავინ. ხანახაობა ცხოვრებისა — ეს მისი სფეროა. მისი თავ-ლი — ყველა პრიზმაზე საუცხოო — ბრწყინ-ვალე და მართალ წარმოდგენას გვაძლევს სი-ნათლეზე თუ ხაგანთა ფერებზე. ადამიანის დრამა, ვნებათაღელვა, პოზა, გამომეტყველება საბისა — ერთი სიტყვით, ადამიანი თავისი ცხოვრების ნაირგვარ გამოვლენაში — აღი-ბეჭდება მხატვრის გონებაში, ღებულობს იქ უფრო გამოკვეთილ ხატებს, უფრო შთამბეჭდავ ფორმას, ვითარდება და, მართალია, კეთილ-შობილება არ ემატება, სამაგიეროდ, იძენს რაღაც განსაკუთრებულად ბეროიკულ იერს. რუბენსი ყველაფერზე ტოვებს თავისი ნათე-ლი ხასიათის, თავისი მდიდვარე სიხსლის, ძლი-ერი ნატურის, ნერვების გასაოცარი სიდიდის-სა და ყოველდღიური მხედველობითი აღქმის სიმშვენიერის კვალს. ის ზოგჯერ არათანაბარია, ხშირად არ იცის ზომა: არ ჰყოფნის გემოვნება როცა ხატავს, მაგრამ როცა წერს, ამას ვერ ვიტყვით. ხანდახან იჩენს გატაცებას, არის და-

1. ი. ტენი. „ხელოვნების ფილოსოფია“.

2. „ღლეღალამ გულში უნდა ატარებდე!“ (იგულისხმება აზრი)

უფლებრივ, მაგრამ უფლებათვის ანერგებს, რომ თავისი შეცდომები გამოიხატოს შედეგებით, ყურადღების, სერიოზულობისა და გემოვნების უქმარისობა — საკუთარი თავისადმი უცრად გამოვლენილი პატივისცემით, რადაც ამად აღვებელი გულმოდგინებით და ამადღებულ გემოვნებით.

მადლი რუბენისა ეს არის მადლი დიდი და ფართო თავდადებად ადამიანის, და ასეთი ადამიანის ღიმილი მომხიბლავია. როდესაც რუბენი ხელს ჰკიდებს არაჩვეულებრივ სიუჟეტს, როცა იგი აღივსება ღრმა და უწმინდესი გრძნობით, როდესაც მის გულს წრფელი და დიდი აღმაფრენა ეუფლება, ის ქმნის „წმ. ფრანცისკო ასიზელის ზიარებას“. და მაშინ წმინდა მოწოდებით ხასიათის განზოგადებამდე ამადღებულ მხატვარს შესწევს უნარი ჩაწვდეს იმას, რაც კრეშმარიტად ყველაზე მშვენიერია. ამ მხრივ ის მხოლოდოში ტოლს არავის უდებს.

რუბენსში გამოვლინდა დაბადებით გენიოსის ყველა თვისება, კერძოდ, მათ შორის ყველაზე უცხოა — უშუალოება, ბუნებრიობა, საკუთარი თავისადმი ერთგვარი შეუცნობელი მიდგომა, და ამასთან კრიტიკული დამოკიდებულების უთუო უქონლობა. ამიტომაც მუშაობისას არახოდებს არ იხევის უკან ჯერ გადაუწყვეტო თუ მნელად გადასაწყვეტი ამოცანის წინაშე, წარუმატებლობის გამო არ ეძლევა სასოწარკვეთას, და არც თავს იწონებს მიღწეულით, ის არ იხედება უკან და არც იმის ეშინია, რაც მომავალში უნდა გააკეთოს: ებილება ძალზე ძნელ ამოცანებს და ასრულებს კადრს. ის ხშირად წყვეტს ან დროებით გადადებს ხელზე ამო თუ იმ სამუშაოს, ერთხანს იფიქრებს მას, მერე კი, დიდი მოსატიურის მონით ხანგრძლივი და შორეული მოგზაურობის შემდეგ, ისე უბრუნდება, თითქოს არც არასოდეს მოწყვეტოდეს. რუბენსმა ერთადერთი დღე მოაწლო „კერმესას“ შექმნას, ცამერთი დღე — ანტვერპენის მუზეუმის „მოგვთა თაყვანისცემას“, „წმ. ფრანცისკო ასიზელის ზიარებისათვის“ კი, მხედველობაში თუ მივიდებით ამ სურათში გადახდილ ხაფასურს, ხუთ რადიკალურად დღე უნდა მოენდომებინა.¹

როგორც ირწმუნებთან, მართლა ძლიერ უყვარდა ფული რუბენსს? ანდა მართლა სწადიდა დაწვადება თავისი მოწოდებების წინაშე, როდესაც იხმარიებდა მათ მუშაობაში? ხედოვნების მიმართ, რომლისგანაც ასე იყო პატივდებული, იჩენდა თუ არა სინამდვილეში

აღებულ დამოკიდებულებას, როცა სურათზე მუშაობის თითო დღეს ახ ფლორინად აფასებდა? კრეშმარიტება ისაა, რომ რუბენის დროს ფერწერის ხელობა ნამდვილ ხეობად ითვლებოდა და რამდენადაც მას ისევე ეკიდებოდნენ, როგორც სხვა რომელიმე კრეშმარიტ პროფესიას, ამ ხელობის ნაწარმებზე კრეშმარიტად საკუთარი ღირსების პატივისცემის გრძნობით. იყვნენ მოწოდებები, იყვნენ ოსტატები, არსებობდა კორპორაციები, არსებობდა სახელოსნოც, რაც მხატვრებისათვის ნამდვილ სკოლას წარმოადგენდა. მოწოდებები ოსტატების კრეშმარიტი თანამშრომლები იყვნენ და არც ოსტატსა და არც მოწოდებებს არა ბქონდათ ხელუქმელი დაეჩივლათ გაწეული სამსახურისა თუ მიცემული გაკვეთილების გამო, რაც სახარგებლო და კეთილისმყოფელი იყო ორივე მხარისათვის.

რუბენსს სხვაზე მეტად ბქონდა უფლება მიმყოლოდა ძველ ტრადიციებს. რემბრანდტისა არ იყო, რუბენსიც სკოლის უკანასკნელი უდიდესი მეთაური იყო, მაგრამ რუბენსმა გაცილებით უკეთესად, ვიდრე რემბრანდტმა — ვინც გენიაც არავის გადაეცემოდა — შეძლო გაშესაწვდრა ახალი ესთეტიკის უამრავი და უწყვეტი კანონი. რუბენსმა დაგვიტოვა რჩევა შემკვიდრება — სწავლების საუცხოო მეთოდი და ბრწყინვალე ნიმუშები. მისი სახელოსნო ყველაზე ღირსეულად იცავს იტალიური სკოლის საუკეთესო ტრადიციებს. მისი მოწოდებები, თავიანთი მასწავლებლის სახელს დიდებით რომ მოსაგონ, შურს აღძრავდნენ სხვა სკოლებში. რუბენსს ვხედავთ ნიადაგ ორიგინალური გონებისა და დიდად ნიჭიერი ახალგაზრდებით გარშემორტყმულს. მხატვარი მათ ნაზად და მამობრივი მზრუნველობით ეპყრობოდა.

ღრმა სიბერეს რუბენსი არ მოსწრებია, არც მძიმე ხენითა და უძლურებით მოტეხილა. მხატვრის უკანასკნელი სურათი „წმ. პეტრეს ჯვარცმა“ ერთ-ერთი საუკეთესოა, რომლის გაუიფო ვეღარ მოახწრო. მხატვარი მას 1638 წლის ერთ-ერთ წერილში მოიხსენიებს, როგორც თავის ყველაზე საყვარელ ნამუშევარს, რომლითაც გატაცებული ყოფილა და აუჩქარებლად ხდომებია მასზე მუშაობა. მაგრამ უცრად შეუძლოდ შეიქნა, ვერც კი გაერკვა, რას უქადდა ეს მცირე უქიფობა, რომ ანაზღოულად, სამოცდაშვიდ წელიწადში გადამდგარი, გარდაიცვალა. მან თავის შვილებს, უმდიდრეს მემკვიდრეობასთან ერთად დაუტოვა ისეთი შეურყეველი დიდება, რისთვისაც არც ერთ მოაზროვნეს არხად, კერძოდ, ფლანდრიაში, არ მიუღწევია თავისი შემოქმედებით.


1. „მოგვთა თაყვანისცემაში“ რუბენსს გადაუხადეს 1500 ფლორინი, „წმ. ფრანცისკო ასიზელის ზიარებაში“ — 750 ფლორინი.

ესეთი ნაწილის მხატვრის სამაგალითო ცხოვრება და
გულთხეობა, ვინმე დიდი ცოდნისა და კი-
თილშობილური ადამიანის შიგნით აღწერილი ვნა-
ხი რა ჩვენი ხელოვნების საღიდავად და
ნიადაგ იმათ გკუთხს სასწავლებლად, ხელოვნე-
ბაში ვინც იღწვის. ეს შრომა, თუკი მოსახერ-
ხებელი იქნება და თუ კი ვინმე შეძლებს ამას,
აქ, საფლავზე, „წმ. გიორგის“ წინ უნდა იწე-
რებოდეს, როცა თვალწინ გვექნებოდა ის,
რაც ჩვენი ხელიდან მიდის და რაც რჩება, ის,
რაც კვდება, და ისიც, რასაც უკვდავება უწე-

რია. ამ უდიდესი ადამიანის ცხოვრებასა და ქმნი-
ლებებში უფრო საფუძვლიანად, გულდადებით
და პატავისცემით ავწონ-დავწინდებთ არა მარ-
ტო წარმავალსა და მიწიერს, არამედ უკვდა-
ვებასთან გეშმარებოდ წილნაყარსაც.

ვინ იცის, თუკი აქ, გვედერში, ყოფილია,
სადაც რუბენის ნეშტი განისვენებს, მივცე-
მოდიოთ მხატვრის გენიის საუცხოო ბუნებაზე
ფიქრს, შესაძლოა, უფრო იოლად მივმხვდარიყ-
ვით მის არსს, და იმისთვისაც, რასაც ზეზუნებ-
რის ვუწოდებთ, უკეთესი ახსნა მოგვეძებნა.





რუბენი.

პარადიმონი.

1139

76132



6280560.

მთავრობის მინისტრის